(3) ხოლო ჰეროდე მაშინ შეიპყრა იოვანე და შებოროკილა და საპყრობილესა შეაყენა ჰეროდიასთვს, ცოლისა ფილიპეს, ძმისა თვსისა, (4) რამეთუ ეტყოდა მას იოვანე, ვითარმედ: არა ჭერ-არს შენდა, ვითარმეცა გესუა იგი ცოლად. (5) და ჰუნდა ლათუ მისი მოკლეთ, ჰეშინოდა (ერისა მის, რამეთუ) ვითარცა წინაწარმეტყუელი ჰეპყრა იგი. (6) და ვითარცა შობისა დღენი იყვნეს ჰეროდშსნი, როკვიდა ასული იგი ჰეროდიასნი შოვრის, და ჰონდა ჰეროდეს როკვა იგი მისი, (7) რომლისაგან ფიცით აღუთქუა მას მიცემად, რაეცა ითხოვოს. (8) ხოლო იგი წინააწარ ბირებულ ჰიყო დედისაგან თვსისა და ჰრქუა: მომეც მე აქა ლაკლითა თავი იოვანშსი, ნათლის-მცემელისა. (9) და ლათუ შეწუხნა მეფე იგი, არამედ ფიცისა მისთვს და თანა-მეინაჟეთა ბრძანა მიცემად იგი მას. (10) და მიავლინა და მოჰყუეთა თავი იოვანეს საპყრობილესა შინა. (11) და მოართუეს თავი მისი ლაკლითა და მიჰცეს ქალსა მას).

17

(1) და შემდგომად ექუსისა დღისა წარიყვანა იესუ მათე და იაკობ და იოვანე, ძმა მისი, და აღიყვანნა იგინი მთასა მაღალსა თვსაგან. (2) და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად. და ბრწყინვიდა პირი მისი ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი სპეტაკ ჰიყო ვითარცა თოვლი. (3) და (ჰეჩუე)ნნეს მათ მოსე (და ელია მის) თანა და ჰზრახვიდეს მას. (4) მიჰუგო პეტრე და ჰრქუა იესუს: უფალო, კეთილ არს აქა ჩუენდა ყოფა. გნებავს, ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა, ერთი მოსშსა და ერთი ელიასა. (5) და ვიდრე-იგი ამას(და ი)ტყოდა ოდენ, აჰა ესერა ღრუბელი ნათლისა აგრილობდა მათ, და ჰჰმა ჰიყო ზეცით გამო და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ჰყუა; მაგისი ისმინეთ. (6) ჰესმა რაე ესე მოწაფეთა, დავარდეს პირსა ზედა მათსა და შეჰეშინა ფრიალ.

(13)... და მოვიდეს იგინი ერისა მის. (14) მოუტდა მას კაცი, მუქონი და ოდგნა მის წინაშე (15) და იტყოდა: უფალო, შემიწყალე ძე ჩემი, რამეთუ ცისად-ცისად ბოროტად იგუემების და მრავალ გზის შთავარდის იგი ცეცხლსა და მრავალ გზის წყალსა. (16) და მოჰუგუარე იგი მოწაფეთა შენთა, და ვერ შეუძლეს განკურნებად მისსა. (17) მიჰუგო იესუ და ჰრქუა: ჰ ნათესავე ურწმუნოა და გულარძნილი (ვიდრემდე თავს-ვე)იდებდე თქუნსა? მომგუარეთ მე იგი აქა.

18

(9)... აღმოიღე იგი და განაგდე შენგან. ჰუმჯობშს არს შენდა ერთ-თულისა შესლვად ცხოვრებასა, ვიდრე ორთა თულათა სხმასა და შესლვად გეჰენიასა ცეცხლისასა. (10) ჰეკრძალენით, ნუუყუე შეურაცხ-ვინმე-ჰყოთ ერთი მცირეთა ამბოგანი. გეტყუ თქუნ, რამეთუ ანგელოზნი მათნი ცათა შინა მარადის ჰხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა.

მარკოზ

2

(4)... ცხედარი იგი, რომელსა ზედა ჰილვა განრლუეული იგი. (5) და იხილა იესუ სარწმუნოებაჲ მათი და ჰრქუა განრლუეულსა მას: შეილო, მიგეტევენენ შენ: ცოდვანი შენნი.

(11)... აღდეგ, აიღე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენდა. (12) და აღდეგ იგი მეყსეულად და აილო ცხედარი იგი და გამოვიდა წინაშე ყოველთასა, ვითარმედ განუკვრდებოდა ყოველთა და აღიღებდეს ღმერთსა და იტყოდეს, ვითარმედ: არასადა ესევეითარი საკვრელებჲა ვიხილეთ. (14) და მიერ წარმოვიდოდა და იხილა ლევი აღფშსი, ჯდა რაჲ იგი საზუერესა ზედა, და ჰრქუა მას: მომდედ მე. და აღდეგ იგი და მიძლევდა მას. (15) და ჰიყო ვითარ ჯდა იგი სახლსა შინა მისსა და მრავალნი მეზუერენი და ცოდვილნი სხდეს იესუს თანა და მოწაფეთა მისთა თანა, რამეთუ იყენეს მუნ მრავალნი და მიძლევდეს მას. (16) და მწიგნობართა მათ და ფარისეველთა ვითარცა იხილეს იგი, რამეთუ მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჰამს, ჰრქუეს მოწაფეთა მისთა: რასა მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჰჰამთ და ჰსუამთ? (17) და ესმა ესე იესუს და ჰრქუა: არა ჰუკმს ცოცხალთა მეურნალი, არამედ სნეულთა; არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად. (18) და იყენეს მოწაფენი იოვანშსნი და ფარისეველნი მარხვასა შინა. და მოვიდეს მისსა და ჰრქუეს მას: რასათჳს მოწაფენი იოვანშსნი და ფარისეველნი იმარხვენ და მოწაფენი შენნი არა იმარხვენ? (19) ჰრქუა მათ იესუ: ვერ ჳელ-ჰეწიფების ძეთა სიძისათა მარხვად, ვიდრე სიძე იგი მათ თანა არს. (20) არამედ მოველენ დღენი, ოდეს ამალდეს მათგან სიძე იგი და მაშინ იმარხვიდენ მას დღესა შინა. (21) არავინ სადგმელი უმურკვეელი ახალი დაადგის სამოსელსა ძუელსა. უკუეთუ არა, მოაპის ცოცხალიცა იგი მისგან ახალმან მან ძუელისაჲ მის, და უძკრშს განიპის. (22) და არავინ შთაასხის ღვწოჲ ახალი თხიერთა ძუელთა, რაჲთა არა განხეთქოს ღვწომან ახალმან თხიერი და ღვწოჲ დაითხიოს.

3

(2) და უმზირდეს მას, უკუეთუ შაბათსა განკურნოს იგი, რაჲთა შეასმინონ იგი. (3) მას უამსა ჰრქუა იესუ კაცსა მას, რომელსა-იგი ჳელი განჳმელ ჰედგა: აღდეგ და წარმოდეგ შოვრის. (4) და ჰრქუა მათ იესუ: ჳერ-არს შაბათსა კეთილისა საქმშ ანუ ბოროტისაჲ? სულისა ცხოვრებჲა ანუ წარწყმედაჲ? ხოლო იგინი ღუმნეს. (5) და მიმოიხილა მათა რისხვით და მწუხარედ სიბრმისა მისთჳს ჳულისა მათისა და ჰრქუა კაცსა მას: განირათხ ჳელი შენი! და მან განირთხა ჳელი და კულად მოჰვეო ჳელი იგი. (6) და ვითარცა გამოვიდეს მიერ ფარისეველნი იგი ჰეროდინელთა თანა, ჳრახვა-ყვეს მისთჳს, რაჲთა წარწყმიდონ იგი. (7) ხოლო იესუ მოწაფითურთ განეშორა მათგან და მოვიდა ჳღჯს კიდედ. და მრავალი ერი გალილეაჲთ და ჰურიასტანით (8) და იერუსალიშმით და წიად იორდანით და ტვროსით და სიდონით და კერძონი. ესმა მრავალსა (სიმრაველსა), რაოდენსა-იგი ჰქმოდდა, და მოვიდეს მისა. (9) და ჰრქუა მოწაფეთა, რაჲთა ნავი განუმზადონ ერისა მისთჳს, რაჲთა არა შეეახლნენ მას.

5

(1) და მოვიდა წიად ზღუასა მას, სო(ფელსა მას გერგესევე)ელთასა. (2) ვითარცა გამოვიდა იგი ნავით, მეყსეულად მოჰგებოდა მას საფლავებისა(გან) კაცი, რომლისა თანა ჰიყო არაწმიდა სული, (3) რომელსა საყოფლად ჰაქუნდ-დავე საფლავები. და არცაღა ჰაქუნებითა ვის ჰქელ-ჰეწირფა შებოროკლებად იგი. (4) რამეთუ მრავალ გზის ჯაჰვთა და ბოაკილითა შეკრულ ჰიყო იგი. (7)... რაა არს ჩემი და შენი, იესუ, ძეო მალლისაო? გაფუცებ შენ ღმერთსა, ნუ მტანჯავ მე. (8) რამეთუ ჰეტყოდა მას იესუ: სული ეგე არაწმიდაა, განვედ კაცისა მაგის-განი... (29) და (ვითარცა შე)ახო, მეყსეულად განჰმა წყაროა იგი სისხლისა მი-სისაა და ცნა ჯორცთაგან, რამეთუ განიკურნა გუემულეებისაგან. (30) ხოლო იესუ გულისხმა-ყო თავით თუსით განსრული იგი ძალი მისგან, მოიქცა ერისა მის და ჰრქუა: ვინ შემახო სამოსელსა ჩემსა? (31) ხოლო მოწაფენი მისნი ეტყო-დეს მას: ჰხედავ ერსა ამას, რამეთუ შეგაჰირეებენ შენ და შენ იტყუ: ვინ შემახო მე? (32) და მიმოჰხედვიდა, რაათა იხილოს იგი, ვინ ესე ყო. (33) ხოლო ღედაკაც-სა მას (შეე)შინა და ძწოდა, უწყოდა, რაა-იგი ჰიქმნა მის ზედა, მოვიდა და შეჰუე-რდა და ჰუთხრა მას ყოველი ბრალი. (34) ხოლო თავადმან ჰრქუა მას: ასულო, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ, წარვედ სახიდ შენდა მშუდობით და ჰიყავ შენ ცოცხალ გუემულეებისაგან შენისა. (35) და ვიდრე იგი ამას ჰიტყოდა, მოვი-დეს შესაკრებლის მთავრისანი მის და ჰეტყოდეს: ასული შენი აღესრულა და (რასაღა აშრო)მებ მოძღუარსა? (36) ხოლო იესუს ვითარ ჰესმეს სიტყუანი ესე, რომელსა (ჰი)ტყოდეს, ჰრქუა შესაკრებლის მთავარსა მას: ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ! (37) და არავინ (ჰუტევა) მიღვენებად მის თანა, გარნა პეტრე და იაკობ და იოვანე, ძმაა იაკობისი. (38) და მოვიდეს სახლსა მას შესაკრებლის მთავარისასა და იხილა შფოთი და ტირილი და ღაღადებაა ფრიადი. (39) და შე-ვიდა და ჰრქუა მათ: რაახა აღშფოთებულ ხართ და ჰტირთ? ყრმაა ეგე არა მომყოლარ არს, არამედ ჰქინავს. (40) და იგინი ჰბასრობდეს მას. ხოლო თავადმან განთასხა ყოველი იგი შფოთი და მიიყვანა მამაა ყრმისაა და ღედა და მოწაფენი მისნი და შევიდა, სადა-იგი ჰიდვა მკუდარი იგი ყრმაა. (41) და ჰუჰყრა ჴელი ყრმისაა მის და ჰრქუა: ტალითა კომი...

6

(41)... აკურთხა და დამუსრა პური იგი და მიჰსცემდა მოწაფეთა თუსთა, რაათა დაუგონ მათ. და ორი იგი თეჯი ეგრევე განუყო ყოველთა. (42) და ჰამეს ყოველთა და განძლეს. (43) და აღიღეს ნამუსრევი ათორმეტი გოდორი სავსე-ბით, და თეჯისა მისგანი. (44) და ჰიყვენეს, რაოდენთა-იგი ჰამეს, ვითარ ხუთ ათას მამაკაც ხოლო. (45) და მეყსეულად აწუედა მოწაფეთა შესლვად ნავსა, რაათა წინა-წარუძღუენ მას წიაღკერძო ზღუასა მას ბეთსაიდად, ვიდრემდე გა-ნუტრეოს მან ერი... (50) ყოველთა იხილეს იგი და შეძრწუნდეს. მეყსეულად (ჰეტყო)და მათ და (ჰრქუა): გულ-ღებულ იყვენით, მე ვარ, ნუ გეშინინ! (51) და აღვიდა მათ თანა ნავსა, და დაჰცხრა ქარი იგი; და ჰუმეტშსად დაჰუკვარდებოდა მოწაფეთა მისთა, რამეთუ ვერ გულისხმა-ყვეს პურთა მათთა, რამეთუ იყვენეს გულნი მათნი შესულებულ.

7

(36) და ჰამცნო მათ, რაათა არავის უთხრან. და რაოდენ იგი ჰამცნებდა მათ, იგინი უფროჲს მიმოძღებდეს. (37) და უმეტესად განუკვრდებოდა და იტყოდეს: ყოველსავე კეთილსა (ჰიქმს): ყრუთა ჰასმენს და უტყუთა ჰატყუებს.

8

(1)... მოჰუწოდა მოწაფეთა თვსთა და ჰრქუა მათ: (2) მეწყალის ერი ესე, რამეთუ საში დღე არს, ვინათგან მელიან მე და არა ჰაქუს, რაჲ ჰამონ. (3) და უკეთუ განჰუტევენ უზმანი ვანად მათა, დაჰქსნდენ გზასა ზედა, რამეთუ რომელნიმე მათგანნი შორით მოსრულ არიან. (4) და მიჰუგეს მოწაფეთა მისთა და ჰრქუეს: ვინაჲ ძალ-გვც აქა განძლებად პურითა ესოდენისა ერისა უდაბნოსა ზედა? (5) და ჰკითხა მათ: რაოდენ გაქუს პური? ხოლო მათ ჰრქუეს: შვდი. (6) და უბრძანა ერსა მას დასხდომად ქუეყანასა ზედა და მოილო შვდი იგი პური და ჰმადლობდა და განტება და მიჰსცემდა მოწაფეთა მისთა, რაათა დაჰუგონ, ხოლო მათ დაჰუგეს ერსა მას. (7) და ჰაქუნდა თევზი მცირედ და იგიცა აკურთხა და ჰუბრძანა მათ დაგებაჲ. (8) და ჰამეს და განძლეს; და აღეს ნეშტი იგი ნამუსრევი შვდი სფურიდი. (9) ხოლო იყენეს, რომელთა-იგი ჰამეს, ვითარ ოთხ ათას ოდენ; და განუტევენა იგინი.

10

(23)... ამენ გეტყვ თქვენ, ვითარმედ ძნიად შევიდენ სასუფეველსა ღმრთისასა, რომელთა აქუს საფასე. (24) ხოლო მოწაფეთა დაუკვრდებოდა სიტყუასა ამას ზედა. ხოლო იესუ კულად მიჰუგო და ჰრქუა მათ: (ჰხედავთა), რაოდენ ძნელ არს, რომელნი საფასეთა ესევენ, შესლვაჲ სასუფეველსა ღმრთისასა! (25) ჰუადვილეს არს მანქანისა (საბელი) ჰურელსა ნემსისასა განსლვად, ვიდრე მდიდარი შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა. (26) ხოლო მათ (ჰ)უმეტესად დაუკვრდებოდა და (იტ)ყოდეს ურთიერთას: და ვის ჰცელ-ეწიფების ცხოვრებად? (27) მიჰხედა მათ იესუ და ჰრქუა: კაცთა მიერ შეუძლებელ არს ესე, არამედ არა ღმრთისაგან, რამეთუ ყოველივე შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ.

ლუკა

1

(51) ხოლო ელისაბედისნი აღიესნეს ეჰმნი შობისა მისისანი და შვა ძე. (58) და (ესმა) გარემოთა და ნათესავთა, რამეთუ განადიდა უფალმან წყალობაჲ თვის მის თანა, და იხარებდეს მის თანა. (59) და ჰიყო მერვესა დღესა და მოვიდეს წინადაცუეთად ყრბისა მის და ვითარმცა ჰუწოდეს სახელი მისი სახელად მამისა მისისა ჰაქარიასა. (60) და მიუგო დედამან მისმან და ჰრქუა: არა, არამედ ჰეწოდენ მაგას იოვანე. (61) და ჰრქუეს მას, რამეთუ: არავინ არს ნათესავსა შენსა შოვრის, რომელსა ჰრქვან სახელი ეგე. (62) და თუალ-ჰუყოფდეს მამასა მისსა, რაჲ-ძი ჰუნდეს სახელის-დებად მისა. (63) და მოითხოვა ფიცარი და დაწერა და თქუა: იოვანე სახელი (მისი. და და)ჰუკვრდა (ესე ყოველთა).

(41) და განვილოდეს ეშმაკნი მრავალთაგან, ლაღადებდეს და იტყოდეს, ვითარმედ: შენ ხარ ქრისტე, ძმ ღმრთისაჲ ცხოველისაჲ და შეპრისხნა მათ და არა პუტევებდა სიტყუად, რამეთუ პიცოდეს, ვითარმედ ესე არს ქრისტე. (42) და ვითარ განთენა, გამოვიდა მიერ და წარვიდა უღაბნოსა ადგილსა. და ერი იგი (-ე)ძიებდა მას და მოვიდეს და (აყენებდეს) მას, რაათამცა არა წარვიდა მათგან. (43) ხოლო თავადმან ჰრქუა მათ, ვითარმედ: სხუათაცა ქალაქთა ჟერ-არს ჩემდა ხარებად სასუფეველი ღმრთისაჲ, რამეთუ ამისთვის (მოვივილინე). (44) და ქადაგებდა ყოველთა შესაქრებელთა გალილეასათა.

(1) და პიყო ვითარ ერი დაესხმოდა მას სმენად სიტყუასა ღმრთისასა, და თავადი დგა კიდესა თანა ტბისა მის გენესარეთისასა. (2) და იხილნა ორნი ნაენი, მდგომარენი კიდესა მის ტბისასა, ხოლო მესათხველენი იგი გამოვიდეს ნაისა მისგან და განრცხიდეს ბადეთა. (3) და შევიდა ერთსა მას ნაესა, რომელი პიყო სიმონისი, და ჰუბრძანა მათ შე-რე-დგინებად მცირედ და დაჯდა და ასწავებდა ერსა მას ნავით გამო. (4) და ვითარცა დაჰსცხრა სიტყუად, ჰრქუა სიმონს: შეაე-ლინე ღრმად და ჰდევით ბაღმ თქუენი ნადირობად. (5) მიპუგო სიმონ და ჰრქუა: მოძღუარ, ღამე ყოველ დაეშუერთით და არარაჲ მოვიდეთ, ხოლო სიტყუთა შე-ნითა გარდაჰუტეთ ბაღმ. (6) და ესე ყვეს და შეაყენეს თევზისა სიმრავლმ დიდი, და განჰტქდებოდეს ბადენი მათნი. (7) და წამს-ჰუყოფდეს, რომელნი იყვენეს ერთსა მას ნაესა, რაათა მოვიდენ და შეჰეწინენ მათ. და მოვიდეს და აღავსნეს ორნივე იგი ნაენი, ვიდრემდე დაითქმოდეს იგინი. (8) ვითარცა იხილა სიმონ-პეტრე, შეჰუერდა მუკლთა იესუმსთა და ჰრქუა: განვედ ჩემგან, რამეთუ კაცა ცოდვილი ვარი მე, უფალო. (9) რამეთუ განკვრებამან შეიპყრა იგი და ყოველ-ნი მისთანანი ნადირობასა მას თევზისასა.

(21)... სადა არა დაჰთვისი. (22) ჰრქუა მას: პირისა შენისაგან გსაჯო შენ, მონაო ურწმუნოო; პიცოდე, რამეთუ კაცი ვარ სასტიკი: მოვიდი, რომელი არა დავდვი, და მოვიმკი, რომელი არა დავჰთვისი. (23) და რაჲსათვის არა და(ჰდევ) ვეცხლი ჩემი სავაკროსა, და მო-მცა-ვედ მე და ვახშითურთ ვქმენ იგი? (24) და ჰრქუა წინაშე მდგომელთა მათ: მოუდეთ ვეცხლი იგი, მიეცით, რომელსა-იგი ჰაქუს ათი სასწორი ვეცხლი. (25) და მათ ჰრქუეს მას: უფალო, ჰაქუს ათი სას-წორი. (26) გეტყვ თქუენ: რომელსა ჰაქუნდეს, მიჰეცეს, ხოლო რომელსა არა ჰაქუნდეს, და რომელსა-იგი ჰაქუნდეს, მო-ვე-ელოს მისგან.

(29) და ჰეტყოდა მათ იგავსა: იხილეთ ლედვ და ყოველნი ხენი. (30) რა-ჟამს გამოვალს ფურცელი, თვთ უწყოდით, რამეთუ ახლოს არს ზაფხული. (21) ეგრეცა თქუენ, რაჟამს იხილოთ ესე ყოველი ყოფილი უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს სასუფეველი ღმრთისაჲ. (32) ამენ გეტყვ თქუენ, რამეთუ არა წარჯ-

დეს ნათესავი ესე, ვიდრემდე ესე ყოველი იყოს. (33) ცანი და ქუეყანა წარკ-
დენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარკდენ. (34) ჰეკრძალენით თავთა თქუენთა,
ნუუკუე დამძიმდენ გულნი თქუენნი...

იოვანე

1

(35) ხეალისა ღლე დგა კულად იოვანე და მოწაფეთა მისთაგანნი ორნი.
(36) და მიჰხედა იესუს, ვიდოდა რაჲ იგი, და თქუა: აჰა ქრისტე, ტარიგო
ღმრთისაჲ. (37) და ჰესმა მისი ორთა მათ მოწაფეთა, იტყოდა რაჲ მას, და მიჰ-
დევდეს (მას). (38) მოიქცა იესუ, იხილნა იგინი, (მი-რაჲ-ჰ)დევდეს, და ჰრქუა
მათ: რასა ეძიებთ? ხოლო მათ ჰრქუეს მას: რაზი, რ(ომელი ი)თარგმანების: მოძ-
ლუარ, სადა ჰიყოფი? (39) ჰრქუა მათ: მოვედით და იხილეთ. მოვიდეს და იხი-
ლეს, სადა ჰიყოფოდა, და მის თანა დაადგარეს მას ღლესა შინა. ჟამი ჰიყო ვითარ
მეთმ.

6

(63)... სიტყუათა რომელთა გეტყოდენ თქუენ, სულ არიან და ცხოვრებაჲ
(64) არამედ არიან ვინმე თქუენგანნი, რომელთა არა ჰრწამს. რამეთუ იცოდა
იესუ პირველითგან, ვინ არიან იგინი, რომელთა [არა] ჰრწამს, და ვინ არს მიმ-
ცემელი მისი. (65) და ეტყოდა: ამისთვის გარქუ თქუენ, ვითარმედ: ვერ ჰელ-
-ჰეწიფების მოსლვად ჩემდა, უკუეთუ არა არს მოცემულ მისსა მამისაგან ჩემისა.
(66) ამისთვის მრავალნი მოწაფეთა მისთაგანნი უკუნჰიქცეს და არღარა მის თანა
ვიდოდეს. (67) ჰრქუა იესუ ათორმეტთა მათ: ნუუკუე თქუენცა გნებაეს წარს-
-ლვის? (68) მიუგო სიმონ-პეტრე და ჰრქუა: უფალო, (ვისა) მივიდეთ? სიტყუაჲ
ცხოვრებისა საუკუნოასაჲ გაქუს. (69) და ჩუენ გურწმენა და გვცნობიეს, რა-
-ზეთუ შენ ხარ ქრისტე, ძმ ღმრთისაჲ ცხოველისაჲ.

ნაწყვეტი აღიზის ოთხთავიანად

მათე

20

(1) რამეთუ მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა მამასახლისსა, რომელ
გამოვიდა განთიადითგან დადგინებად მოქმედთა საყურძენსა თუსსა. (2) და
-ლთქუმა-ყო მოქმედთა მათ მიმართ თითოჲ სატირი ღლისა და მიავლინნა იგინი
საყურძენსა თუსსა. (3) და მოვიდა სამ ეჰმს ოდენ და იხილნა სხუანი, მღგომარენი
სავაჰროსა ზედა ცალიერად, (4) და ჰქუა მათ: მივედით თქუენცა საყურძენსა
მას ჩემსა, და რაჲ-იგი ღირდეს, მიგცე თქუენ. (5) და იგინი მივიდეს. მერმე გა-
-მოვიდა მეექუსესა და მეცხრესა ეჰმსა და ყო ეგრევე. (6) ხოლო მეთაერთმე-
-ტესა ეჰმსა ვითარ გამოვიდა, პოვნა სხუანი მღგომარენი და ჰრქუა მათ: რასა
აჰა სდევით ღლე ყოველ ცულად? (7) ჰრქუეს მას, რამეთუ: რაჲინ დაგვდგინნა
ჩუენ. ჰრქუა მათ: მივედით თქუენცა საყურძენსა მას ჩემსა.

(8) რაჲამს დამწუხრდა, ჰრქუა უფალმან მან საყურძენსამან ეზოას მოძლუ-

არსა თვისა: მოუწოდე მოქმედთა მათ და მიეც სასყიდელი მათი; იწყე უკუ-
ნახსენელთაგან ვიღრე პირველთამდე. (9) მო- რაჲ უკუე -ვილეს მეათერთმე-
ტისა მის ჟამისანი იგი, მიილეს თითოჲ სატირი. (10) და ვითარ მოვილეს პირ-
ველი იგი, ჰგონებდეს, ვითარმედ უფროსი მიილონ; და მიილეს თითოჲვე
სატირი მათცა. (11) და ვითარ მიილეს, ტრტუნვილეს მის მამასახლისისათჳს
(12) და ჰრქუეს, ვითარმედ: ამათ უკუანახსენელთა ეამ ერთ ხოლო ქმნეს და
ღამასწორენ ჩუენ იგი, რომელთა ვიტვრთეთ სიმძიმე ღლისაჲ და სიცხჳ. (13)
ხოლო მან მიუგო ერთსა მათგანსა და ჰრქუა: მოყუასო, არა გეცრუევი შენ,
არა სატირი აღვითქუა შენ? (14) ხოლო თუ მნებავს უკუანახსენელსა ამას მი-
ცემად ვითარცა შენ, (15) ანუ ვერ ჰელ-მეწიფების, რაჲ-იგი მინდეს, ყოფად
ჩემსა ზედა? თუალი შენი თუ უკეთურ არს, ხოლო მე უხვ ვარ. (16) ესრჳთ
იყვენენ უკუანანი წინა და წინანი უკუანა, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ, ხო-
ლო მტირედნი რჩეულ.

(17) და აღვიდოდა იესუ იერუსალმმდ, წარიყვანნა ათორმეტნი თვისაგან
და მგზავრ ეტუოდა მათ: (18) ესერა ახუალთ იერუსალმმდ და ძჳ კაცისაჲ მიე-
ცეს მღდელთ მოძღუარათაგან და მწიგნობართა და დასაჯონ იგი სიკუდილითა.
(19) და მისცენ იგი წარმართთა კიცხევად და გუემად და ჟუარ-ცუმად, და მესა-
მესა ღღესა აღდგეს.

(20) მაშინ მოვიდა დედაჲ ძეთა ზებედესთაჲ ძითურთ თჳსნი, თაყუანის-
სცემდა და ითხოვდა რასმე მისგან. (21) ხოლო მან ჰრქუა მას: რაჲ გნებავს?
ხოლო მან ჰრქუა მას: თქუ, რაჲთა დასხდენ ორნი ძენი ჩემნი, ერთი მარჯუენით
შენსა და ერთი მარცხენით შენსა სუფევასა შენსა. (22) მიუგო იესუ და ჰრქუა
მას: არა უწყით, რასა ითხოვთ. გიძლავს შესუმად სასუმელისა მის, რომელსა
მე შეესუმიდე, და წაოლის-ღებასა რომელსა მე ნათელს-ვიღებდე. ნათლის-
ღებად? ჰრქუეს მას: გვძლავს. (23) ჰრქუა მათ იესუ: სასუმელი ჩემი შესუათ
და ნათლის-ღებაჲ, რომელი მე ნათელ-ვიღო, ნათელ-იღოთ, ხოლო დაჯდომჲ
მარჯუენით ჩემსა არა ჩემი არს მიცემაჲ, არამედ რომელთათჳს განმზადებულ
არს მამისა ჩემისაგან.

(24) და ვითარ ესმა ათთა მათ, გული განიწყეს ორთა მათ ძმათათჳს. (25) ხო-
ლო იესუ მოუწოდა მათ და ჰრქუა: უწყით, რამეთუ მთავარნი იგი წარმართთანი
ეუფლნიან მათ, და მდიდარნი ჰელმწიფებედ მათ ზედა? (26) ხოლო თქვენ
შორის არა ეგრე არს, არამედ რომელსა ენებოს თქვენ შორის, რაჲთამცა ღიდ
იყო, იყავნ იგი თქუენდა მსახურ; (27) და რომელსა უნდეს თქვენ შორის, ვი-
თარმცა წინა იყო, იყავნ იგი თქუენდა მონა. (28) ვითარცა ძე კაცისაჲ არა მო-
ვიდა, რაჲთამცა მსახურა ვინმე, არამედ მსახურებად და მიცემად თავისა თვისა
საქსრად მრავალთა წილ.

(29) და ვითარ გამოვიდოდეს იგინი იერიჳოთ, შეუდგა მას ერი მრავალი.
(30) და ორნი ბრმანი სხდეს გზასა თანა. ესმა, რამეთუ იესუ წარმოვალს, და-
ღატ-ყვეს და თქუეს: მიწყალენ ჩუენ, იესუ, ძეო დავითისო! (31) ხოლო ერმან
მან შეჰკრისხნა მათ, რაჲთა დაღუმენნ. მათ უფროსს დაღატ-ყვეს და თქუეს:
უფალო, გწყალენ ჩუენ, ძეო დავითისო! (32) და დადგა იესუ, ჳამა-უყო მათ და
ჰრქუა: რაჲ გნებავს, და გიყო თქუენ? (33) ჰრქუეს მას: უფალო, რაჲთა აღმებუ-
ნენ ჩუენ თუალნი ჩუენნი. (34) შეეწყალნეს იესუს და შეახო თუალთა მათთა. და
მულქუესვე აღეხილნეს და მისდევდეს მას.

(1) და რაჟამს მიეახლნეს იგინი იერუსალმად, და მოვიდა ბეთბაგედ, მთასა ძას ზეთისხილთასა, მაშინ იესუ წარავლინა ორნი მოწაფეთა თვსთაგანნი (2) და ჰრქუა მათ: მივედით დაბასა იმას, რომელ არს პირსპირ თქუენსა, და მუნქუეს კპოთთ ვირი დაბმული და კიცვ მის თანა, აჰქსენით და მომგუარეთ. (3) და თუ გრქუას რაჟმე ვინმე, თქუენ არქუთ, ვითარმედ: უფალსა მაგისსა უქმან ეგენი, და მუნქუესვე მოავლინნეს იგინი. (4) ხოლო ესე ყოველი იყო, რაათა აღესრულოს სიტყუა იგი წინაწარმეტყუელისა თქუმული: (5) არქუთ ასულსა სიონისასა: აჰა ესერა მეუფტ შენი მოვალს შენდა, მშვდ არს და ზე ზის ვირსა და კი-
ულსა ვირსა.

(6) და წარვიდეს მოწაფენი იგი და ყვეს, ვითარცა უბრძანა მათ იესუ. (7) და მოჰგუარეს ვირი იგი და კიცვ და დაასხეს სამოსელი მას ზედა, და აღჯდა მას. (8) და სიმრავლე იგი ერისაჲ დაჰფენდა სამოსელსა მათსა გზასა ზედა, და სხუანი მოჰკაფდეს რტოთა ხეთაგან და დაჰფენდეს გზასა ზედა. (9) ხოლო ერი იგი. რომელი წინა-უძლოდა და უკუანა შეუდგა, ლალადებდეს და იტყოდეს: დიდებულ არს ძმ დავითისი! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა: და დიდებულ მაღალთა შინა!

(10) და ვითარ შევიდა იგი იერუსალმად, შეიძრა ყოველი ქალაქი იგი და იტყოდა: ვინ არს ესე? (11) ხოლო ერმან მან ჰრქუა: ესე არს წინაწარმეტყუელი იესუ ნაზარეთით გალილეაჲსაჲთ. (12) და შევიდა იესუ ტაძრად და გამოასხა ყოველი მოფარდული და მომსყიდვლები ტაძარსა მას შინა და ტაბლები იგი თესლის მოფარდულთაჲ დაამტუა და საჯდომელები, რომელ იყიდდეს ტრედებსა. (13) და ჰრქუა მათ: წერილ არს: სახლსა ჩემსა სახლ თავყუანის-საეგემელ ეწოდოს; ხოლო თქუენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა.

(14) და მოუქდეს მას ბრმანი და მკელობელნი ტაძარსა მას შინა და განკურნნა იგინი. (15) იხილეს რაჲ მღღელთ მოძღუართა მათ და მწიგნობართა საკვარელებანი იგი, რომელ კმნნა, და ყმები იგი, რომელ კმობდა ტაძარსა მას შინა და იტყოდეს: დიდებჲა ძენსა დავითისსა, (16) გული განიწყეს და ჰრქუეს მას: გესმის, რასა ესენი იტყუნან? ხოლო იესუ ჰრქუა მათ: არა-მე აღმოგიკითხავსა, ვითარმედ: პირითა ჩჩულთა მწოვართაჲთა დაამტკიცე ქებაჲ? (17) დაუტევნა იგინი და განვიდა გარეშე ქალაქსა ბეთანიად და იყო მუნ. (18) განთიად, ვითარ აღმოვიდოდა ქალაქად, შეემშოა.

(19) და იხილა ლელვ ერთი გზასა ზედა და მოვიდა მისა და არაჲ პოვა, გარნა ფურცელი ხოლო. და ჰრქუა მას: ნულარამცა შენგან ნაყოფი გამოვალს უკუნისამდე! და განჰმა მუნქუესვე ლელვ იგი. (20) იხილეს რაჲ მოწაფეთა, დაუკვრდა და თქუეს: ვითარ მეყსეულად განჰმა ლელვ ესე! (21) მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: მართლიად გეტყვ თქუენ: გაქუნდეს თუ სარწმუნოებჲა და არა შეორგულდეთ, არა ხოლო ამის ლელვსაჲ ჰქმნეთ, არამედ მთასაცა თუ ამას ჰრქუათ: აღდეგ და შთავარდი ზღუასა! — იყოს. (22) და ყოველი, რაჲცა ითხოოთ თაყუანის-ცემასა სარწმუნოებით, მოგეცეს თქუენ.

(23) და ვითარ მოვიდა იგი ტაძრად, მოუქდეს მას სწავლასა შინა მღღელთ მოძღუარნი და მოხუცებულნი ერისანი და ჰრქუეს: რომლითა კელმწიფებითა ამას ექმ და ვინ მიგცა შენ კელმწიფებჲა ესე? (24) მიუგო იესუ და ჰრქუა მათ:

გკითხო მეცა თქუენ სიტყუა ერთ და მითხარტ მე და მეცა გითხრა თქუენ, რომ-
ლითა ჳელმწიფებითა ამას ეიქმ. (25) ნათლის-ცემამ იგი იოჰანესი ვინამ იყო:
ზეციით იყო ანუ კაცთაგან? ხოლო იგინი განიზრახვილეს გულთა შინა მათთა და
იტყოლეს: ვთქუათ თუ: ზეციით იყო, გურქუას: რად არა გრწმენა მისი? (26)
უკუეთუ ვთქუათ: კაცთაგან იყო, გუეშინის ერისაგან, რამეთუ იოვანე ყოველთა
წინაწარმეტყუელად აქუს. (27) და მიუგეს იესუს და ჰრქუეს: არა უწყით. ჰრქუა
მათ მანცა: არცა მე გითხრა თქუენ, რომლითა ჳელმწიფებითა ამას ჰვქმ.

(28) არასა ჰგონებთ თქუენ? კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე; და მიუქდა პირ-
ველსა მას და ჰრქუა: შვილო, მივედ დღეს და იქმოდე საყურძენსა ჩემსა. (29)
ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: მივიდე, უფალო; და არა მივიდა. (30) და მივიდა
ერთისა მის და ჰრქუა ეგრევე. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: არა მინებს. მერმე-
და შეინანა და მივიდა. (31) რომელმან-მე ორთაგანმან ყო ნებამ მაშისა?
ჰრქუეს მას: უკუანასკნელმან. ჰრქუა მათ იესუ: მართლიად გეტყვ თქუენ, რა-
მეთუ მეზუერენი და მეძაენი წინა-გიძღვან თქუენ სასუფეველსა ღმრთისასა.
(32) რამეთუ მოვიდა თქუენდა იოვანე გზითა სიმართლისაათა, და არა გრწმენა
მისი, ხოლო მეზუერეთა და მეძაეთა ჰრწმენა მისი; ხოლო თქუენ იხილეთდა,
არა შეინანეთ უკუანასკნელ, რათამცა გრწმენა მისი.

(33) სხუამ იგავი ისმინეთ: კაცი ვინმე იყო მამასახლისი, რომელმან დაასხა
ვენაქი და შეზღუდა იგი და აღმოხარა მას შინა ტაგარი და ქმნა გოლოლი და
მისცა იგი მოქმედთა და წარვიდა. (34) და რაჟამს მოეხო ეამი ნაყოფისაჲ, მო-
უვლინა მონანი თჳსნი მოქმედთა მათ მიღებად ნაყოფისა მისისა. (35) და შე-
იპყრნეს მოქმედთა მათ მონანი იგი მისნი, რომელსამე სცეს, რომელნიმე მოკლ-
ნეს, რომელსამე ქვაჲ დაჰკრიბეს. (36) მერმე მიუვლინა სხუანი მონანი, უმრავ-
ლესნი მათსა, და მათცა ეგრევე უყვეს. (37) უკუანასკნელდა მიუვლინა ძე
თჳსი და თქუა, ვითარმედ: შეიკლიმონ ძისა ჩემისაგან. (38) ხოლო მოქმედთა მათ
ვითარ იხილეს ძმ იგი მისი, ზრახვა-ყვეს ურთიერთას: ესე არს მკვდრი, მოედით
და მოკლათ იგი და დაეიპყრათ სამკვდრებელი იგი მისი. (39) და შეიპყრეს იგი
და მოკლეს და განაგდეს გარეშე საყურძენსა მას. (40) რაჟამს უკუე მოვიდეს
უფალი იგი მის საყურძენისაჲ, რამ-მე უყოს მოქმედთა მათ? (41) ჰრქუეს მას:
უკეთურნი იგი უკეთურადცა წარწყმიდნეს და საყურძენი იგი მისცეს სხუათა
მოქმედთა, რომელთა მისცოდიან მას ნაყოფი ეამთა მათთა.

(42) ჰრქუა მათ იესუ: არასადა აღმოგიკითხავს წიგნსა ესე: ლოდი, რომელ
შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, იგი იქმნა თავ კიდეთა. უფლისა მიერ იყო ესე და
არს საკვრველ წინაშე თუალთა ჩუენთა. (43) ამისთვის გეტყვ თქუენ, რამეთუ
მიგტლოს თქუენგან სასუფეველი ღმრთისაჲ და მიეცეს წათესავსა, რომელი იქმო-
დის ნაყოფთა მისთა. (44) და რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუხროს;
და რომელსა ზედა დაეცეს, განაბნოს იგი. (45) და ვითარ ესმა მღლეღთ მოძ-
ღუარათა მათ და ფარისეველთა იგავები იგი მისი, გულისქმა-ყვეს, რასათჳს
იტყუს. (46) და ეძიებდეს მას შეპყრობად და შეეშინა ერისა მისგან, რამეთუ ვი-
თარცა წინაწარმეტყუელი შეერაცხა იგი.

(1) და მიუგო იესუ მერმე და ჰრქუა მათ იგავით: (2) მსგავს არს სასუფევე-
ლი ცათაჲ კაცსა მეფესა, რომელმან ყო ქორწილი ძისა თჳსისაჲ. (3) და წარავლი-

ნა მონანი თუსხი მოწოდებად ჩინებულთა მათ ქორწიდ, და არა ინებეს მოსლვად. (4) მერმე მიუვლინა სხუანი მონანი და ჰრქუა: არქუთ ჩინებულთა მათ: აჰა ესერა პური ჩემი დამიშაღებუეს, ზუარაკები ჩემი და უსხები ჩემი დამიკლავს და ყოველი მზა არს, მოვედით ქორწილსა ამას. (5) ხოლო მათ უღებ-ყვეს და წარვიდეს: რომელნიმე თუსა აგარაკად, რომელნიმე ეაჭრობად, (6) და სხუათა მათ შეიპყრნეს მონანი იგი და მოსრნეს: (7) ხოლო მეუფმ იგი განარისხნა და წარავლინა ერი თუსი და მოსრინა კაცის-მკლველნი იგი და ქალაქი მათი დაწუა. (8) მაშინ ჰრქუა მონათა თუსთა: ქორწილი ესე მზა არს, ხოლო ჩინებულნი იგი არა ღირს იქმნეს. (9) აწ განვედით განსავალთა ზედა გზათასა და რავდენიცა ჰოოთ, მოხადეთ ქორწილსა ამას. (10) და განვიდეს მონანი იგი გზებსა ზედა და შეკრიბეს ყოველი, რავდენიცა პოვეს, ბოროტნიცა და კეთილნიცა. და აღიესო ქორწილი იგი შეინაჟითა. (11) რაჟამს შევიდა მეუფმ იგი მოხილვად შეინაჟეთა მათ, იხილა მუნ კაცი, რომელი არა მოიილ იყო სამოსლითა საქორწინითა. (12) და ჰრქუა მას: მოყუსო, ვითარ-მე შემოხუედ აჰა, რამეთუ არა გმოსიეს სამოსელი ქორწილისაჲ? ხოლო მან პირი დაიკრა. (13) მაშინ ჰრქუა მეუფემან მან მსახურთა: შეუკრენით მაგისნი ფერჯნი და ქელნი და განჰადეთ ეგე ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრქენაჲ კბილთაჲ. (14) რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედ არიან რჩეულნი.

(15) მაშინ წარვიდეს ფარისეველნი და ზრახვა-ყვეს მისთუს, რათამცა დაუღდეს მას მახე სიტყუთა. (16) და მოუვლინნეს მას მოწაფენი იგი მათნი ჰეროდიაწელთა თანა და ჰრქუეს: მოძღუარ, უწყით, რამეთუ ჰემმარიტ ხარ და გზასა ღმრთისასა ჰემმარიტებით ასწავებ და არაჲ გკირს შენ არავისთუს, რამეთუ არა ხედავ პირსა კაცისასა. (17) აწ მარქუ ჩუენ: ვითარ ჰერ-გიჩს: წეს-არს ხარკისა მიცემაჲ კეისრისა ანუ არა? (18) ვითარ გულსქმა-ყო იესუ უკეთურებაჲ იგი მათი, ჰრქუა: რასა გამომცდით მე, მზაყუეარნო? (19) მიჩუენეთლა მე ღრაჰკანი იგი ხარკისაჲ! ხოლო მათ მოართუეს მას ღრაჰკანი. (20) და ჰრქუა მათ იესუ: ვისი არს ესე ხატი და გარემოას წერილი? (21) ჰრქუეს მას: კეისრისაჲ. მაშინ ჰრქუა მათ: მიეცით აწ კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა. (22) და ვითარ ესმა ესე, დაუკვრდა და დაუტევეს იგი და წარვიდეს.

(23) მას ღღესა შინა მოუტდეს საღუქველნი, რომელთა თქვან ვითარმედ: არა არს აღდგომაჲ. ჰკითხვიდეს მას (24) და ჰრქუეს: მოძღუარ, მონე თქუა: მო-თუ ვინმე -კუდეს უშვილოჲ, ესიძენ მას ძმაჲ მისი ცოლსა მას მისსა ზედა და აღუდგინენ თესლი მძმასა მას თუსსა. (25) აწ იყვენს-ჩუენ თანა შვდ ძმა. და პირველი იგი ქმარი მოკუდა და არა ესუა მას შვილი, დაუტევა ცოლი თუსი ძმასა თუსსა. (26) ეგრეტა შერჯემან და შესამემან მიმეშვდემდე. (27) უკუანასკნელ-და ყოველთა მოკუდა დედაკაცი იგი. (28) აღდგომასა მას უკუანასკნელსა რომლისა შვდთა მათგანისა იყოს ცხლად, რამეთუ ყოველთა მათ ესუა იგი? (29) მი-უგო იესუ და ჰრქუა მათ: სტებით და არა იცით წიგნი და არცაღა ძალი ღმრთისაჲ, (30) რამეთუ აღდგომასა მას არცა ცოლს ისხმიდენ, არცა ქმრის ვიდოდიან, არამედ ვითარცა ანგელოზნი იყვენენ ცათა შინა. (31) მკუდართა აღდგომისათუს არა აღმოკიცითხავს თქუმული იგი თქუენდა მომართ ღმრთისა მიერ, რომელ-თქუა: (32) მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი და ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი? არა არს ღმერთი — ღმერთი მკუდართაჲ, არამედ ცხოველთაჲ.

(33) და ვითარ ესმა ერსა მას, დაუკვრდებოდა მოძღურებდა. იგი მისი:

(34) ხოლო ფარისეველთა ვითარ ესმა, რამეთუ პირი დაუყო საღუქვევლთა. შეკრბეს ერთად. (35) და ჰკითხა ერთმან მან მათგანმან შჯულის-მღებელმან გამოცდით: (36) მოძღუარ, რომელი მცნებაა უდიდეს არს შჯულსა შინა? (37) ხოლო მან პრქუა: შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. (38) ესე არს დიდი და პირველი მცნებაა. (39) ხოლო მეორე, მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი ვითარცა თავი თვისი. (40) ამათ ორთა მცნებათა შინა ყოველი შჯული და წინაასწარმეტყუელნი გამოაბენ.

(41) კრებულ იყვნეს ყოველნი იგი ფარისეველნი. ჰკითხა მათ იესუ (42) და პრქუა: რასა ჰგონებთ თქვენ ქრისტესთვის? ვისი ძე არს? პრქუეს მას: დაეითი-სი. (43) პრქუა მათ: ვითარ-მე უკუე დავით სულითა უფლით ხადის და იტყვს: (44) პრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერჯთა შენთა? (45) უკუეთუ დავით უფლით ხადის მას, ვითარ ძე მისი არს? (46) და ვერვინ შემძლებელ იყო მიგებად მისა, არცა იკადრა ვინ მიერთგან კითხვად მისა არღარა.

23

(1) მაშინ ეტყოდა იესუ ერსა მას და მოწაფეთა თვსთა (2) და პრქუა: საყ-დართა ზედა მოსესთა დასბდომილ არიან მწიგნობარნი და ფარისეველნი. (3) ყოველი რააცა გრქუნან თქვენ, ჰყოფდით და იმარხევდით, ხოლო საქმეთა მათთაებრ ნუ იქმთ, რამეთუ თქვან და არა ყვიან. (4) შეკრიან ტურთები მძიმე და ძნიად სატურთველი და დასდვიან ბეჭთა ზედა კაცთასა, ხოლო მათ თითითა-ცა მათითა არა ჰნებავენ შეძრეად იგი. (5) ყოველთა საქმეთა მათთა იქმედ სახილ-ველად კაცთა: ფართო იყვიან სამოსელნი მათნი და განიგრძვიან ფესუები მათი. (6) უყუარან მათ მქნისთაობაჲ ტაძრობასა და ზეშთა-ჯდომაჲ შესაყრებელთა შინა (7) და მოკითხვაჲ უბნებსა ზედა და რქუმად მათდა კაცთაგან: მოძღუარი! (8) ხო-ლო თქუენ ნუ პირქუამთ თავთა თქუენთა მოძღუარს, რამეთუ ერთ არს თქუენი მოძღუარი, ხოლო თქუენ ყოველნი ძმანი ხართ. (9) და მამად თქუენდა ნუვის ხადით ქუეყანასა ზედა, რამეთუ ერთ არს მამად თქუენი ზეცათაჲ. (10) და მოძ-ღუარ ნუ ირქუამთ თავთა თქუენთა, რამეთუ ერთ არს მოძღუარი თქუენი ქრის-ტი. (11) და რომელი დიდ იყუს თქუენ შორის, იყავნ იგი თქუენდა მსახურ. (12) რამეთუ რომელმან აღიზაღლოს თავი თვისი, დამდაბლდეს, და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს.

(14)¹ ხოლო ვაჲ თქუენდა, მწიგნობართა და თარგმანთა ორგულთა, რამე-თუ დაჰქსავთ სასუფეველსა ცათასა წინაშე კაცთა; თქუენ არა შეხუალთ და არცა შემავეალთ უტევებთ შესლვად. (15) ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნი და ფა-რისეველნი ორგულნი, რამეთუ მოჰგლით ზღუასა და ჰმელსა, რაათამცა მოაქ-ციეთ ვინმე ერთი; და რაჟამს მოიქცის, ჰყვით იგი ნაშობ გეჰენიასს, ორ წილ თქუენსა. (16) ვაჲ თქუენდა, მწიგნობართა ბრმათა, რამეთუ სთქვთ: რომელმან ფუტკოს ტაძარსა, აბარაჲ არს; ხოლო რომელმან ფუტკოს ოქროსა მას, რომელ არს ტაძარსა მას შინა, ჯერ-არს. (17) ცოფნი და ბრმანი, რაჲ უდიდეს არს:

¹ მე-13 მუხლი აკლია.

ოქროს ანუ ტაძარი იგი, რომელი განსწმედს ოქროსა მას? (18) და რომელმან ფუცოს საკურთხეველსა, არაა არს; ხოლო რომელმან ფუცოს შესაწირავსა მას, რომელ არს მას ზედა, ჳერ-არს. (19) ცოფნო და ბრმანო, რაჲ უფრო არს: შესაწირავი იგი ანუ საკურთხეველი, რომელი განსწმედს შესაწირავსა მას? (20) აწ რომელმან ფუცოს საკურთხეველსა, ფუცის მას და ყოველსა, რომელ არს მას ზედა. (21) და რომელმან ფუცის ტაძარსა, ფუცის მას და რომელი მყოფ არს მას შინა. (22) და რომელმან ფუცის ცასა, ფუცის საყდარსა ღმრთისასა და რომელი ზის მას ზედა. (23) ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მოიათესით პიტნაკისაჲ, ცერეცოჲსაჲ და ძირაკისაჲ და დაგიტევე-ბიეს უმჯობესი სჯულისაჲ: სამართალი და წყალობაჲ და სარწმუნოებაჲ. ესე გიღირდა ყოფად და იგი არა დატევებად. (24) წინამძღუარნო ბრმანო, რომელნი დასწურაეთ კურნაქსა და აქლეგსა შთანთქამთ. (25) ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, რამეთუ განსწმედთ გარეშესა სასუჟმლისასა და პარაფსიტისასა, ხოლო შინაგან საესე არიან ნატაცებითა და არაწმიდებითა. (26) ფარისეველნო ბრმანო, განსწმედთ პირველად შინაგანი სასუჟმლისაჲ მის, რაჲთა იყოს გარეშეცა მისი წმიდა. (27) ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მიმსგავსებულ ხართ სამარეთა განგლორწნილთა, რომელნი-იგი გარეშე შეუენიერ ჩან, ხოლო შინაგან საესე არიან ძუალებითა მკუღართაჲთა და ყოვლითა არაწმიდებითა. (28) ეგრეცა თქუენ გარეშე ურთ კაცთა მმარბელ, ხოლო შინაგან საესე ხართ ზაკუეითა და უმჯულოებითა. (29) ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ აშენებთ თქუენ საფლაკებსა მას წინაწარმეტყუელთასა და განაშუენებთ სამარებსა მას მართალთასა.

(30) და სთქვთ: ვიყვენით თუმცა ჩუენ დღეთა მათ მამათა ჩუენთასა, არამცა ზიარ ვიყვენით მათ თანა სისხლსა მას წინაწარმეტყუელთასა. (31) აწ თქუენვე ეწამებით თათა თქუენთა, რამეთუ ნაშობნი ხართ, რომელთა მოწყვდნეს წინაწარმეტყუელნი. (32) და თქუენცა აღაკსეთ საწყაული მამათა თქუენთაჲ. (33) გუელნო, ნაშობნო იქედნეთანო, ვითარ-მე განერნეთ სასჯელსა გეჰენიასასა?

(34) ამისთვის აჲა ესერა მივაკლინნე თქუენდა წინაწარმეტყუელნი და ბრძენნი, მწიგნობარნი; მათგანნი მოწყვდნეთ და ჳუარს-აუენეთ და მათგანნი ჰგუემნეთ შესაკრებელთა შინა თქუენთა და სდევნეთ ქალაქითი ქალაქად, (35) რაჲთა მოვიდეს თქუენ ზედა ყოველი სისხლი მართალი, დათხეული ქუეყანასა ზედა, სისხლითგან აბელის მართლისაჲთ მისისხლამდე ზაქარიაჲსა, ძისა ზარუქისი, რომელი-იგი მოჰკალთ შორის ტაძრისა მის და საკურთხეველისა. (36) მართლიად გეტყვ თქუენ, რამეთუ მოიწიოს ესე ყოველი ნათესავსა ამას ზედა. (37) იერუსალმჲ, იერუსალმჲ, რომელმან მოსწყვდენ წინაწარმეტყუელნი და ქვაჲ დაჰკრიბე მოციქულთა შენთა, რაოდენ გზის მინდა შეკრებაჲ ნაშობთა შენთაჲ, ვითარცა ქათამმან შეიკრიბნის მართუენი ქუეშე ფრთეთა, და თქუენ არა ინებეთ! (38) აჲა ეგერა დაგმდების თქუენ სახლი თქუენი ოკერი. (39) ხოლო გეტყვ თქუენ: ვერღარა მიხილოთ მე ამიერითგან, ვიდრემდის არა სთქუათ: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა.

(1) და გამოვიდა იესუ ტაძრით და წარვიდოდა. და მოუტდეს მას მოწაფენი თჳსნი ჩუენებად მისა ნაკმნევისა მის ტაძრისაჲსა. (2) ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ: ხედავთა ამას ყოელსა? მართლიად გეტყვ თქუენ: არა დაშდეს აჲა კვაჲ ქვასა ზედა, რომელ არა დაირღუეს. (3) ჯდა რაჲ იგი მთასა მას ზედა ზეთისხილთასა, მოუტდეს მას მოწაფენი თჳსაგან და ეტყოდეს: მარტუ ჩუენ: ოდეს ყოფად არს ესე და რაჲ სასწაული იყოს შენისა მოსლვისაჲ და აღსასრული ამის სოფლისაჲ? (4) მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: იგულეთ, ნუჲინ ვაცოთუნნეს თქუენ, (5) რამეთუ მრავალნი მოვიდენ სახელითა ჩემითა და იტყოდიან: მე ვარ ქრისტე, და მრავალნი აცოთუნენ. (6) ხოლო გესმოდინადა ბრძოლანი და კმაჲ წყობათაჲ, ეკრძაღენით, ნუ აღტყდებით, რამეთუ ყოფად არს ესე ყოველი, ხოლო აღსასრული არღა იყოს. (7) რამეთუ აღდგეს ნათესაჲი ნათესაჲსა ზედა და მეუფე-ბაჲ მეუფეებასა ზედა, და იყენენ სიყმილნი და წყუედანი და ძრვანი ადგილ-ადგილ. (8) ხოლო ესე ყოველი იყოს დასაბამი საღმობათაჲ.

(9) მაშინ მიგცენ თქუენ ჳირსა და მოგწყვდენ თქუენ და იყენეთ მოძულეზულ ყოველთაგან ნათესავთა სახელისა ჩემისათჳს. (10) და მაშინ ცოთენ მრავალნი და ურთიერთას არდაბაგებდენ და იძულებდენ ურთიერთას. (11) და მრავალნი ცრუ-წინაწარმეტყუელნი აღდგენ და აცოთუნენ მრავალნი. (12) და განმრავლებისათჳს უსჭლოებისაჲსა განკმეს სიყუარული მრავალთაჲ. (13) ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს. (14) და იჲადაგოს სახარებაჲ ესე სასუფეველისაჲ ყოველსა სოფელსა საწამებელად ყოველთა ნათესავთა, და მაშინღა იყოს აღსასრული. (15) ხ რჳს იხილოთ ბილწი იგი ოქრებისაჲ, რ ლ თქ მლ არს დანიელ წწსწტყლისაგან, მდგომარე ადგილსა მას წწსა, რ ი აღმოიკოთხვიდეს, გულისკმა-ჰყოფდინ.

(16) მაშინ ჰურიასტანისანი იელტოდედ მთად; (17) და რომელნი ერდოებასა ზედა იყენენ, ნუ გარდამოვლენან აღლებად რაჲსმე სახლისაგან თჳსისა: (18) და რომელი ველსა გარე იყოს, ნუ უკუმოიქცევინ უკუმომართ აღებად სამოსლისა თჳსისა. (19) ხოლო ვაჲ მუტელ-ქმნულთა მათ და მაწოვენებელთა მათ ღღეთა შინა (20) ხოლო ილოცედით, რაჲთა არა იყოს სივლტოლაჲ თქუენი ზამთარსა, ნუცა შაფათსა. (21) რამეთუ იყოს მაშინ ჳირი დიდი, რომელ არა ყოფილ არს დასაბამითგან სოფლისაჲთ მოაქამდე, არცაღა იყოს. (22) და არა თუმცა შემოკლდეს ღღენი იგი, არამცა განერა ყოველი ჳორციელი, ხოლო რჩეულთათჳს შემოკლდენ ღღენი იგი. (23) მაშინ თუ ვინმე გრქუას თქუენ: აჲა, ესერა არს ქრისტე ანუ ეგერა, ნუ გრწამნ. (24) რამეთუ აღდგენ ცრუ-წინაწარმეტყუელნი და სცენ სასწაულებ ღიღ და ნიშებ, რაჲთამცა აცოთუნნეს, შე-თუმცა-უძლეს, რჩეულთაჲცა. (25) აჲა ესერა წინაღწარ გარკუ თქუენ. (26) უკუეთუ გრქუან თქუენ: აჲა უდაბნოსა არს, ნუ განხუალთ; აჲა ესერა საუნჯეთა შინა არს, ნუ გრწამნ. (27) რამეთუ ვითარცა ელვაჲ რაჲ გამობრწყინდის მზის აღმოსაეალთა და ბრწყინან დასავალამდე, ეგრეთ იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ. (28) რამეთუ სადაცა დაეცეს მძორი, მუნცა შეკრბეს ორბები.

(29) მუნქუესვე შემდგომად ჳირისა მის მათ ღღეთაჲსა მზწ დაბნელდეს და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თჳსი და ვარსკულაჲნი გარდამოცვენ ზეცით და ძალნი ცათანი შეიძრნენ. (30) და მაშინ გამოჩნდეს ნიში იგი ძისა კაცი-

საა ზეცას, და ეტყებდენ ყოველნი ნათესაენი ქუეყანისანი, და იხილონ ძე კაცისაჲ მომავალი ღრუბელთა ზედა ცისათა ძალითა და ღიდებითა ღიდითა. (31) და წარავლინენს ანგელოზნი თჳსნი ნესტუთა ღიდითა და შეკრიბენს ჩჩეულნი თჳსნი ოთხთაგან ქართა კილითგან ცათათ კილედმდე მათა.

(32) ხოლო ლელსაგან ცანთ იგავი ესე: რამეთუ რაჲამს რტონი მისნი დაჩიანი და ფურცელი გამობუტკონ, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არნ არმ. (33) ეგრეთა თქუნ, რაჲამს იხილოთ ესე ყოველი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს, კართა ზედა. (34) მართლიად გეტყვ თქუნენ: არა წარქდეს ნათესავი ესე, ვიდრემდე ესე ყოველი იყოს. (35) ცანი და ქუეყანაჲ წარქდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არასადა წარქდენ. (36) ხოლო ღღმ იგი და ეამი არავინ უწყის, არცა ანგელოზთა ცათა შინა, არცა ძემან, გარნა მამამან ხოლო მარტომან.

(37) ვითარცა-იგი ღღენი ნოესნი, ეგრე იყოს მოსლვაჲ იგი ძისა კაცისაჲ. (38) რამეთუ ვითარცა იყენეს ღღეთა მათ რღუნის წინათა: ჳამდეს და სუმიდეს, იქორწინებოდეს და განჳქორწინებდეს მი-მუნ-ღღემდე, რომელსა შევიდა ნოვე კიღობნად, (39) და არა უწყოდეს, ვიდრემდე მოიწია რღუნაჲ იგი და წარიხუნა ყოველნი. ეგრე იყოს მოსლვაჲ იგი ძისა კაცისაჲ.

(40) მ-შნ ორნი იყენენ აგარაკსა შა: ერთი წარიყვანონ და ერთი დაუტეონ. (41) ორნი ფქვიდენ ფქვილთა: ერთი წარიყვანონ და ერთი დაუტეონ. (42) მღძმარე იყენით, რამეთუ არა უწყით. რომელსა ღღესა უფალი იგი თქუნენი მოვიდეს. (43) იგი უწყოდეთ, რამეთუ უწყოდა თუმცა მამასახლისმან, რომელსა ეამსა მპარავი მოვიდოდა, არამცა უფლო დათხრად სახლისა თჳსისა. (44) ამისთჳს თქუნცა მზა იყენით, რამეთუ რომელსა არა ჳგონებდეთ ეამსა, ძე კაცისაჲ მოვიდეს.

(45) ვინ-მე უკუე არს საჩწმუნოა იგი მონაჲ და გონიერი, რომელ დაადგინა უფალმან ეზოსა თჳსსა ზედა მიცემად როჳიკისა მათა ეამსა. (46) ნეტარ იყოს მონაჲ იგი, რომლისაჲ მოვიდეს უფალი მისი და ჳოოს იგი ესრეთ მოქმედრი. (47) მართლიად გეტყვ თქუნენ, რამეთუ ყოველსა ზედა დაადგინოს იგი, (48) უკუეთუ თქუას უკეთურმან მან მონამან გულსა შიდა თჳსსა: ყოენოს უფალმან ჩემმან მოსლვაჲ. (49) და იწყოს გუემად მონა-მოყუასთა მათ თჳსთა, ჳამდეს და სუმიდეს მომთრეალეთა. თანა, (50) მოვიდეს უფალი იგი მის მონისაჲ ღღესა, რომელსა არა მოელოდის, და ეამსა, რომელსა არა უწყოდის, (51) და განკუეთოს იგი და ნაწილი მისი ორგულთა თანა დაღვას. მუნ იყოს ტირილი და ღრქენაჲ კბილთაჲ.

(1) მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათაჲ ათთა ქალწულთა, რომელთა მოიხუნეს სანთელნი მათნი და გამოვიდეს წინა-მიგებებად სიძისა და სძლისა. (2) ხოლო ხუთნი იგი მათგანნი იყენეს სულელ და ხუთნი ბრძენ. (3) სულელთა მათ რა აღიხუნეს სანთელნი მათნი, არა აიღეს მათ თანა ზეთი. (4) ხოლო ბრძენთა მათ მიიღეს მათ თანა ზეთი საზეითთა მათითა სანთელთა მათთა თანა. (5) და ვითარ ყოენიდა სიძმ იგი, მიერულა ყოველთა და დაიძინეს. (6) შუეა ღამეს ოდენ ჳმა იყო: აჲა ესერა სიძმ, გამოედით და მიეგებოდეთ მას. (7) მაშინ აღდგეს ყოველნი იგი ქალწულნი და აღიგნეს სანთელნი იგი მათნი. (8) ხოლო სულელნი იგი ეტყოდეს ბრძენთა მათ: გუეცით ჩუენცა ზეთი ზეთისა მავის თქუე-

ნისაჲ, რამეთუ სანთელნი ჩუენნი დაგვშრტებიან. (9) მიუგეს ბრძენთა მათ და პრქუეს: ნუჲჲუე ვერ გუეყოს ჩუენ და თქუენ; მივედით მოფარულთა და ივიდეთ თქუენდა. (10) მი-რაჲ-ვილოდეს იგინი სყილად, მოვიდა სიძე იგი, და მზანი იგი შევიდეს მის თანა ქორწილსა მას. და დაეჲშა კარი. (11) უკუნაჲსენელ მოვიდეს სხუანი იგი ქალწულნი და იტყოდეს: უფალო, უფალო, განგვლე ჩუენ! (12) ხოლო მან მიუგო და პრქუა: მართლიად გეტყვ თქუენ: არა გიცნი თქუენ. (13) აჲ მღვძარი იყენით, რამეთუ არა უწყით დღე იგი, არცა ესე.

(14) ვითარცა კაცსალა ეგულეზინ გზად სლვად, მოუწოდა თვსთა მონათა და მისცა მათ ნაყოფი თვისი; (15) და რომელსამე მისცა ხუთი ქანქარი და რომელსამე ორი და რომელსამე ერთი, თითოეულსა მსგავსად თვისისა ძალისა, და წარვიდა. (16) მუნქუესეე წარვიდა, რომელმან ხუთი ქანქარი მიიღო, იქმოდა მას და შესძინა სხუა ხუთი. (17) ეგრეცა, რომელმან ორი მიიღო, შესძინა სხუა ორი. (18) ხოლო რომელმან ერთი იგი მიიღო, წარვიდა და აღმოთხარა ქუეყანაჲ და დამალა კეცხლი იგი უფლისა თვისისაჲ. (19) შემდგომად მრავლისა ესმისა მოვიდა უფალი მათ მონათაჲ და ეს სიტყუა მათ თანა. (20) და მოვიდა, რომელსა ხუთი ქანქარი მიეღო, მოართუა მას სხუა ხუთი ქანქარი და პრქუა: უფალო, ხუთი ქანქარი მომეც მე, აჲ ესერა სხუა ხუთი ქანქარი შეესძინე. (21) პრქუა მას უფალმან მისმან: კეთილო მონაო, სახიერო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ. მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა. (22) წარდგა, რომელსა-იგი ორი ქანქარი მიეღო, და პრქუა: უფალო, ორი ქანქარი მომეც, აჲ ორი სხუა ქანქარი შეესძინე. (23) პრქუა მას უფალმან მისმან: კეთილო მონაო, სახიერო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ შენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა. (24) წარმოდგა, რომელსა ერთი ქანქარი მიეღო, და თქუა: უფალო, უწყოდე, რამეთუ ფიცხელ კაც ხარ შენ: მოიძიე, სადა არა სთესი, და შეიკრიბი, რომელ არა განგინებვიან. (25) და შემეშინა, მივედ და დაეჲფალ ქანქარი იგი შენი ქუეყანასა. აჲ შენ თანა არს შენი. (26) მიუგო უფალმან მისმან და პრქუა მას: უკეთურო მონაო და მედგარო, უწყოდე, რამეთუ მოვიძიე, სადა არა დაესთესი, და შევიკრიბი, სადა არა განმინებვიან. (27) გიღირდა ეცხლი იგი ჩემი მიცემად ეპართა, და მო-მცა-ვედ მე და მო-მცა-ვილე ჩემი იგი აღნადგინებითურო. (28) აჲ მოუდეთ მას ქანქარი იგი და მიეცით; რომელსა აქუსთი ქანქარი. (29) რამეთუ ყოველსა, რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს; ხოლო რომელსა არა აქუნდეს და რომელსა-იგი აქუნდეს, მი-ვე-ელოს მისგან. (30) და მონაჲ იგი უქმარი განჯადეთ ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჲენაჲ კბილთაჲ.

(31) რაჲამს მოვიდეს ძე კაცისაჲ დიდებითა თვისითა და ყოელნი ანგელოზნი მის თანა, მაშინ დაჲდეს საყდართა ზედა დიდებისა მისისათა. (32) და შეკრიბნეს წინაჲე მისსა ყოველნი ნათესავნი და განარჩინეს იგინი ურთიერთას, ვითარცა მწყემსმანდა განარჩინის ცხოვარნი თიკანთავან. (33) და დაადგინის ცხოვარნი იგი მარჯუენით მისსა, ხოლო თიკანნი — მარცხენით. (34) მაშინ პრქუას მეუფემან მან მარჯუენითეკრძოთა მათ მისთა: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვდრეთ, რომელი-იგი განმზადებულ არს თქუენთვის სასუფეველი დაბადებითგან სოფლისაჲთ, (35) რამეთუ მშოიდა და მეცით მე ქამადი; მწყუროდა და მასუთ მე; უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ მე; (36) შიშუელ

ჰყავ და შემოსეთ მე; სნეულ ვიყავ და მომხედეთ მე; საპყრობილეს ჰყავ და მოხუდებით ჩემდა. (37) მაშინ მიუგონ მას მართალთა მათ და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ შშიერი და გამოგზარდეთ? ანუ წყურიელი და გასუთ შენ? (38) ანუ ოდეს გიხილეთ შენ უცხო და შეგიწყნარეთ? ანუ შიშუელი და შეგმოსეთ? (39) ოდეს სადა გიხილეთ სნეული, ანუ საპყრობილეს შინა და მოვედით შენდა? (40) მიუგოს მეუფემან მან და ჰრქუას მათ: მართლიად გეტყვ თქუენ: რაოდენი-რაჲ უყავთ ერთსა ამას ძმათა ჩემთა მცირეთვანსა, მე მიყავთ. (41) მაშინ ჰრქუას მარცხენითკერძოთაცა მათ: წარგულეთ ჩემგან. წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისა და მსახურთა მისთა. (42) რამეთუ შშიოდა და არა მეცით ზე ე. ჴადი; მწყუროდა და არა მასუთ მე; (43) უცხო ვიყავ და არა შემიწყნარეთ; შიშუელ ვიყავ და არა შემმოსეთ მე; სნეულ ვიყავ და საპყრობილეს შინა ვიყავ და არა მოხუდებით. (44) მაშინ მიუგონ მათცა და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ შშიერი. ანუ წყურიელი. ანუ უცხო, ანუ შიშუელი, ანუ სნეული, ანუ საპყრობილესა შინა და არა გმსახურეთ შენ? (45) მიუგოს მათ და ჰრქუას: მართლიად გეტყვ თქუენ: სადა არა უყავთ ერთსა ამათ მცირედთვანსა. არცა მე მიყავთ. (46) და მივიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი — ცხორებასა საუკუნესა.

ნაწუჳები ტავითის ოთხთავილან

ლუკა

1

(1) რამეთუ მრავალთა ჳელ-ყვეს აღწერად მითხრობაჲ გულ-სავსედ სარწმუნოებ-სათჳს ჩუენ შოვრის საქმეთა აღსრულებულთაჲ. (2) ვითარცა-იგო მომცეს ჩუენ, რომელნი დასაბამითგან თვთ-მხილველ და მსახურ ყოფილ იყვნეს სიტყუსა მის. (3) და ჳერ-მიჩნდა მეცა. რომელი შეუდეგ პირველითგან ყოველთა ჳეშმარტად, შემდგომითი-შემდგომად მიწერად შენდა, მჳნეო ღმრთის მოუუარეო, (4) რაჲთა სცნა, რომელთათჳს ისწავე სიტყუათაჲ მათ კრძალულებაჲ.

(5) იყო ღღეთა მათ ჳეროდე მეფისა ჳურიასტანისათა მღღელი ვინმე. რომლისაჲ სახელი ჴაქარია, შემდგომად ღღითი-ღღედ მსახურებისა მის აბიასა, და ცოლი მისი ასულთაგან აპრონისთა, და სახელი მისი ელისაბეთ. (6) და იყვნეს ორნივე ესე წინამე ღმრთისა მართალ და ვიდოდეს ყოველთა მცნებათა სიმართლისა უფლისათა უბიწონი. (7) და არა ესწა მათ შვილი, რამეთუ ელისაბეთ იყო ბერჳ, და ორნივე გარდასრულ იყვნეს ღღეთა მათთა.

(8) და იყო მღღელობასა მას მისსა, წესსა მას ღღითი-ღღედისა მისისასა წინამე ღმრთისა, (9) მსგავსად ჩუეულებისა მღღელობისა ჰხუდა მას საკუმეველისა კუმევაჲ და შევიდა ტაძარსა უფლისასა. (10) და ყოველი იგი სიმრაველჳ ერისაჲ მის ილოცვიდა გარეშე ეამსა მას საკუმეველისა კუმევისასა. (11) და ეჩუენა მას ანგელოზი უფლისაჲ, მდგომარჳ მარჳუენით საკურთხეველისა მის საკუმეველისა. (12) და შეძრწუნდა ჴაქარია, იხილა რაჲ იგი, და შიში დაეცა მას ჴედა. (13) ჰრქუა მას ანგელოზმან მან: ნუ გეშინნ. ჴაქარია, რამეთუ შეისმეს ვედრებანი შენნი და ცოლმან შენმან ელისაბეთ გიშვეს შენ ძმ და უწოდი სახელი მისი იოჰანე. (14) და იყოს შენდა სიხარულ და მხიარულება და მრავალთა

შობასა მისსა განიხარონ. (15) რამეთუ იყოს დიდ წინაშე უფლისა და ღვთისა და თაფლუქი არა სუას და სულითა წმიდითა აღივსოს მიერვე დედის მუცლით მისითგან. (16) და მრავალნი ძეთა ისრაელისათანი მოაქცინნეს უფლისა ღმრთისა მათისა. (17) და იგი თავადი პირველ განვიდეს წინაშე მისსა სულითა და ძალითა ელიასითა მოქცევად გულნი მამათანი შეილთა მიმართ და ურჩინ გონებითა მართალთათა განმზადებად უფალსა ერი მომზადებულნი.

(18) და ჰრქუა ზაქარია ანგელოზსა მას: რაათა ეცნა ესე, რამეთუ მე მოხუცებულ ვარ, და ცოლი ჩემი ვარდასრულ არს დღეთა მისთა? (19) მიუგო და ჰრქუა ანგელოზმან მან: მე ვარ გაბრიელ, წინაშე მდგომელი პირსა ღმრთისასა, და მოვივლინე სიტყუად შენდა და ხარებად ამას. (20) და ამა იყო შენ დადუმებულ და ვერ შემძლებელ სიტყუად, ვიღრე დღედმდე ყოფად ამისა ამისთვის, რამეთუ არა გრწმენეს სიტყუანი ჩემნი, რომელნი აღივსნენ ეამსა მათსა.

(21) და დგა ერი იგი და ელოდა ზაქარიას და უკრდა ყოვნებამ იგი მისი ტაძარსა მას შინა. (22) და გამო-რა-ვიდა, ვერ ეძლო სიტყუად მათა, და ცნეს, რამეთუ ჩუენებამ რამე იხილა ტაძარსა მას შინა. და იგი წამს-უყოფდა მათ და დაადგრა უტყუად.

(23) და იყო ვითარცა აღესრულნეს დღენი იგი მსახურებისა მისისანი. წარვიდა სახიდ თვსა. (24) და შემდგომად დღეთა ამათ მიუდგა ელისაბეთ, ცოლი მისი, და იფარვიდა თავსა თვსსა ხუთ თთუე და იტყოდა, (25) ვითარმედ: ესრეთ მიყო მე უფალმან დღეთა ამათ, რომელთა მოხედვა-ყო მოსპოვად ყუედრებამ ჩემი კაცთა შორის.

(26) და თუესა მეექუსესა მოივლინა გაბრიელ ანგელოზი ღმრთისა მიერ ქალაქად გალილეასა, რომლისამ სახელი ნაზარეთ, (27) ქალწულისა, თხოვლისა ქმარსა, რომლისამ სახელი იოსეფ, სახლისაგან და ტომისა დავეითისა, და სახელი ქალწულისამ მის მარიამ. (28) და შევიდა ანგელოზი იგი მისა და ჰრქუა: გიხაროდენ, მიმადლებული უფალი შენ თანა! კურთხეულ ხარ შენ დედათა შოვრის. (29) ხოლო მან იხილა და შეძრწუნდა სიტყუასა მას მისსა და განიზრახვიდა: ვითარ-მე არს მოკითხვამ ესე? (30) და ჰრქუა მას ანგელოზმან მან: ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე მაღლი წინაშე ღმრთისა. (31) და ამა ესერა შენ მუცლად-ილო და ჰშვე ძე და უწოდი სახელი მისი იესუ. (32) ესე იყოს დიდ და ძე მაღლის ეწოდოს, და მოსცეს მას უფალმან ღმერთმან საყდარი დავეითისი, მამისა თვისისამ, (33) და მეუფებდეს სახლსა ზედა იაკობისსა საუკუნოდ და სუფენისა მისისა არა იყოს დასასრულ.

(34) ჰრქუა მარიამ ანგელოზსა მას: ვითარ-მე იყოს ესე, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი? (35) მიუგო ანგელოზმან მან და ჰრქუა მას: სული წმიდამ მოვიდეს შენ ზედა, და ძალი მაღლისამ გფარვიდეს შენ. ამისთვისცა შობილსა მას წმიდასა ეწოდოს ძე ღმრთის. (36) და ამა ესერა ელისაბეთცა, ნათესაეი შენი, იგიცა მიდგომილ არს ძესა სიბერესა თვსსა, და ესე მეექუსე თთუე არს მისი, რომელსა-იგი ერქუა ბერწ. (37) რამეთუ არარამ შეუძლებელ არს წინაშე ღმრთისა სიტყუად. (38) ჰრქუა მას მარიამ: ამა მწვეალი უფლისამ; მეყავნ მე სიტყუსაებრ შენისა და წარვიდა მისგან ანგელოზი იგი. (39) და აღდგა მარიამ ამათ დღეთა

შინა და წარვიდა მთად კერძო მწრადელ ქალაქად იუდასსა (40) და შევიდა სახლსა ზაქარიაასსა და მოიკითხა ელისაბეთ.

(41) და იყო ვითარცა ესმა ელისაბეთს მოკითხვამ მარიამისი, კრთებოდა ყრმამ იგი მუტელსა მისსა. და აღივსო ელისაბეთ სულითა წმიდითა, (42) და ჳრა-ყო ჳმითა დიდითა და თქუა: კურთხეულ ხარ. შენ დედათა შოვრის, და კურთხეულ არს ნაყოფი მუტელისა შენისა. (43) და ვინად ესე ჩემდა, რამთა მოვიდეს დედა უფლისა ჩემისა ჩემდა? (44) რამეთუ ამა ესერა ვითარცა იყო ჳმამ მოკითხვისა შენისადა ყურთა მომართ ჩემთა, კრთებოდა სიხარულით ყრმამ ესე მუტელსა ჩემსა. (45) და ნეტარ არს, რომელსა ჳრწმენეს, რამეთუ იყოს აღსრულებამ თქუმულთამ მათ მისა მიმართ უფლისა მიერ.

(46) და თქუა მარიამ: აღიდებს სული ჩემი უფალსა. (47) და განიხარა სულმან ჩემმან ღმრთისა მიმართ, მაცხოვრისა ჩემისა, (48) რამეთუ მოჳხედა სიმდაბლესა ჳედა მჳვეელისა თვისსასა; ამა ესერა ამიერიტგან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი; (49) რამეთუ ყო ჩემ თანა დიდძალი ძლიერმან, და წმიდა არს სახელი მისი, (50) და წყალობამ მისი ნათესავითი ნათესავად მოშიშთა მისთა; (51) ყო სიმტკიცითა მკლავისა თვისსაათა: განაზნინნა ამპარტავანნი გონებითა გულთა მათთაათა; (52) გარდამოსთხინნა ძლიერნი საყდართაგან, აღამაღლნა მდაბალნი; (53) შშიერნი აღავსნა კეთილითა და მდიდარნი განაველინნა კუდნი; (54) შეიწყნარა ისრაჳლი, მონამ თვისი, მოჳსენებად წყალობისა. (55) ვითარცა ეტყოდა მამათა ჩუენთა აბრაჳმსა და ნათესავსა მისსა საუკუნოდ.

(56) და დაადგრა მარიამ მის თანა სამ თთუე და წარვიდა სახიდ თვისა. (57) ხოლო ელისაბეთისნი აღივსნეს ჳამნი შობისა მისისანი, და შვა ძჳ. (58) და ესმა გარემოთა და ნათესავთა, რამეთუ განადიდა უფალმან წყალობამ თვისი მის თანა, და იხარებდეს.

(59) და იყო მერვესა დღესა და მოვიდეს წინადაცუეთად ყრმისა მის და ვითარმცა უწოდეს მას სახელი სახელად მამისა თვისისა ზაქარიაასა. (60) და ბიუგო დედამან მისმან და ჳრქუა: არა, არამედ ეწოდენ მაგას იოჳანე. (61) და ჳრქუეს მას, რამეთუ: არავინ არს ნათესავსა შენსა, რომელსა ჳრქვან სახელი ეგე. (62) და თუალთ-უყოფდეს მამასა მისსა, რამ-ძი უნდეს სახელის-დებად მისა. (63) და მოითხოვა ფიცარი და დაწერა და თქუა: იოჳანე არს სახელი მისი. და ეკვრდა ესე ყოველთა. (64) და მეყსეულად აღელო პირი მისი და ენა, და იტყოდა და აკურთხევდა ღმერთსა. (65) და იყო შიში დიდი ყოველთა ჳედა გარემომო მკვდრთა მისთა, და ყოველთა მათ მითთ კერძოთა ჳურთიასტანისათა მიმომოთქუმოდეს ყოველნი ესე სიტყუანი. (66) და დაედვა გულსა, რომელთა ესმოდა ესე, და იტყოდეს: რამ-მე იყოს ყრმამ ესე? რამეთუ კელი უფლისადა იყო მიმ ყრმისა ჳედა.

(67) და ზაქარია, მამამ მისი, აღივსო სულითა წმიდითა და წინაწარმეტყულებდა და თქუა: (68) კურთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაჳლისადა, რამეთუ მოჳხედა მე და ყო ჳსნად ერისა თვისსადა; (69) და აღმიდგინა ჩუენ რქამ ცხოვრებისადა შოვრის სახლსა მას დავითის, მონისა თვისსასა; (70) ვითარცა იტყოდა პირითა წმიდათაათა საუკუნოთგან წინაწარმეტყუელთა მისთაათა, (71) გა-მოჳსნასა მტერთაგან ჩუენთა და ჳელისაგან ყოველთა მოძულეთა ჩუენთაასა: (72) ყოფად წყალობისა მამათა ჩუენთა თანა, და მოჳსენებად შჳკულისა წმიდისა მისისა; (73) ფიცით, რომელ ეფუცა აბრაჳმსა, მამასა ჩუენსა, მოცემად

ჩუენდა (74) უშიშად ქსნად ჯელთაგან მტერთა ჩუენთაჲსა, (75) მსახურებად მისა ღირსებით და სიმართლით წინაშე მისსა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩუენისათა. (76) და შენ, ყრმაო, წინაწარმეტყუელ მალლის გეწოდოს, რამეთუ წარჰიღუე წინაშე პირსა უფლისასა განმზადებად გზათა მისთა, (77) მიცემად მეცნიერებჲა ცხოვრებისაჲ ერსა თჳსსა მოტევებითა ცოდვათა ჩუენთაჲთა, (78) მოწყალეებითა და წყალობითა ღმრთისა ჩუენისაჲთა, რომელთა მომხედა ჩუენ აღმოსავლმან მალლით (79) გამოჩინებად მათ ზედა, რომელნი ბნელსა და აჩრდილსა სიკუდილისასა სხდეს, და წარმართებად ფერკთა ჩუენთა გზასა მშჳდობისასა. (80) ხოლო ყრმაჲ იგი აღორძინებოდა და განმტკიცებოდა სულთა. და იყო იგი უდაბნოსა, ვიდრე გამოცხადებად მისა ისრაჲლისა მიმართ.

2

(1) და იყო მათ დღეთა შინა გამოქდა ბრძანებჲა ავეუსტეს კეისრისაგან აღწერად ყოვლისა სოფლისა. (2) ესე აღწერაჲ პირველი იყო მთავრობასა ასურეთს კვრენქსსა. (3) და წარვიდოდეს ყოველნი აღწერად კაცად-კაცადი თჳსსა ქალაქსა. (4) აღმოვიდა იოსებჲცა გალილეათ, ქალაქით ნაზარეთით, ჰერიასტანდ, ქალაქად დავეითსა, რომელსა ჰრქვან ბეთლემ. რამეთუ იყო იგი სახლისაგან და ტოპმისა დავეითისა, (5) აღწერად მარიამის¹ თანა, რომელი თხოვილ იყო მისა, და იყო იგი მიდგომილ. (6) და იყო ვიდრე იყენეს იგინი მუნ. აღესნეს დღენი იგი შობისა მისისანი. (7) და შუა ძმ იგი მისი პირმშოჲ და შეხზა იგი სახუეველითა და მიაწვინა იგი ბაგასა, რამეთუ არა იყო მათა ადგილ სავანესა მას. (8) და მწყემსნი იყენეს მასეჲ სოფელსა, ველთა დგებოდეს და ჯუმილოდეს ჯუმილვასა ღამისასა სამწყსოსა მათსა. (9) და ანგელოზი უფლისაჲ დაადგა მათ და დიდებჲა უფლისაჲ განმობრწყინდა მათ ზედა, და შეეშინა მათ შიშითა დილითა. (10) და ჰრქუა მათ ანგელოზმან მან უფლისამან: ნუ გეშინინ თქუენ, რამეთუ აჲა ესერა გახარებ თქუენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოვლისა ერისა: (11) რამეთუ იშვა თქუენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტჲ უფალი. ქალაქსა დავეითისსა. (12) და ესე იყოს თქუენდჲ სასწაულად: ჰპოოთ ყრმაჲ იგი შეხუეული და მწოლარჲ ბაგასა. (13) და მეყსეულად იყო ანგელოზისა მის თანა სიმრავლჲ ერთა ცისათაჲ, აქებდეს ღმერთსა და იტყოდეს: (14) დიდებჲა მღალთა შინა ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ, და კაცთა შოვრის სათნოვებაჲ. (15) და იყო ვითარცა აღვიდეს ანგელოზნი იგი ზეცად, თქუეს მწყემსთა მათ ურთიერთას: განვიდეთ ჩუენ ვიდრე ბეთლემდმდე და ვიხილოთ სიტყუაჲ ესე, რომელი იყო ჩუენდა მომართ, რომელ-იგი უფალმან მაუწყა ჩუენ. (16) და მოვიდეს მწრაფლ და პოვეს მარიამი და იოსებჲ და ყრმაჲ იგი, მწოლარჲ ბაგასა. (17) და ვითარცა იხილეს, გულისხმა-ყვეს სიტყუაჲ იგი, რომელი ითქუა მათა მიმართ ყრმისა მისთჳს. (18) და რომელთა ესმოდა, უკვრდა სიტყუაჲ იგი მწყემსთაჲ მათ მათა მიმართ. (19) ხოლო მარიამს დაემარხნეს სიტყუანი ესე და დაედვა გულსა თჳსსა. (20) და მიიქცეს და წარვიდეს მწყემსნი იგი და აღიდებდეს და აკურთხევედეს ღმერთსა ამას ყოველსა ზედა, რომელი ესმა და იხილეს, ვითარცა-იგი ითქუენეს მათა მიმართ.

(21) და ვითარცა აღესრულნეს დღენი იგი რვანი წინადაცუეთისა მისისანი, და უწოდეს სახელი მისი იესუ, რომელ-იგი ეწოდა ანგელოზისა მისგან, ვიდრე

¹ მარიამ მის B.

ყოფადმდე მისა მუცელსა დედისასა. (22) და რაჟამს აღესრულნეს დღენი იგი განწყედისა მათისანი შჯულისა მისებრ მოსტისისა, აღმოიყვანეს ყრამა იგი იერუსალმად წარდგინებად წინაშე უფლისა, (23) ვითარცა წერილ არს შჯულსა უფლისასა. რამეთუ: ყოველმან წულმან რომელმან განალოს საშობა, წმიდა უფლისა ეწოდოს; (24) და მიცემად შესაწირავი, ვითარცა თქუმულ არს შჯულსა უფლისასა, ორნი გურიტინი ანუ ორნი მართუენი ტრადისანი.

(25) და იყო მუნ კაცი იერუსალმსს, რომლისა სახელი სვმეონ. და იყო კაცი ესე მართალი და მოშიში და მოელოდა ნუგეშინის-ცემასა ისრაელისასა; და სული წმიდაა იყო მის ზედა. (26) და იყო მისა უწყებულ სულისაგან წმიდისა არა ხილვად სიკუდილი, ვიდრემდე იხილოს ცხებული უფლისაჲ. (27) და მოვიდა სულითა წმიდითა ტაძრად უფლისა. და შეყვანებასა მას მამა-დედისა მიერ ჳრმისა მის იესუჲსსა ყოფად მათა მსგავსად ჩუეულებისა მის შჯულისა მისა მიმართ, (28) და ამან მოიქუა იგი მკლავთა ზედა მისთა და აუერთხევდა ღმერთსა და თქუა: (29) აწ განუტევე მონაჲ შენი, უფალო, სიტყვსაებრ შენისა მშუდობით, (30) რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებჲაჲ შენი, (31) რომელი განუშზადე წინაშე პირსა ყოელისა ერისასა, (32) ნათელი გამოჩინებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა. (33) და იყვნეს მამა მისი და დედა დაკვრებულ სიტყუათა ამით ზედა მისთვის. (34) და აუერთხნა იგინი სვმეონ და პრქუა მარიამს, დედასა მისსა: აჲა ესე დგას დაცემად და აღდგინებად მრავალთა ისრაელსა შოვრის და სასწაულად სიტყეს მგებელთა. (35) და თუთ შენსაცა სულსა განვიდეს მახვლი, რაჟთა განცხადნენ მრავალთაგან გულთა ზრახვანი. (36) და იყო ანნა წინაწარმეტყუელი, ასული ფანუელისი, ტომისაგან ასერისი. ესე გარდასრულ იყო ღღეთა მრავალთა, ცხოვრებულ იყო ქმრისა თვისისა თანა შუდ წელ სიქალწულოთგან თვისით. (37) და ესე იყო ქურივი ვითარ ოთხმეოც და ოთხის წლის, რომელი არა განეშოვრებოდა ტაძრისა მისგან მარხვითა და ვედრებითა და მსახურებითა ღამე¹ და ღღე². (38) და ესე მსცევე ეამსა შინა მოიწია და აღუვარებდა უფალსა და ეტყუოდა მისთვის ყოველთა, რომელნი მოელოდეს გამოქსნასა იერუსალმისასა. (39) და ვითარცა აღასრულეს მის ზედა ყოველი მსგავსად შჯულისა, მოიქცეს და წარვიდეს გალილეად, ქალაქად თვსა — ნაზარეთა.

(40) ხოლო ყრამა იგი იესუ აღორძნდებოდა და განმტკიცნებოდა სულითა და აღიესებოდა სიბრძნითა და მადლი ღმრთისაჲ იყო მის ზედა. (41) და აღმოვიდინა მამა და დედა მისი წლითი წლად იერუსალმად დღესასწაულსა მას პასექისასა, რომელ არს ვენებისაჲ. (42) და იყო რა იგი ათორმეტის წლის, აღმოვიდეს იგინი იერუსალმად, ვითარცა ჩუეულ იყვნეს დღესასწაულსა მას. (43) და აღასრულნეს დღენი იგი, და წარსლვასა მას მათსა დაშთა იესუ ყრამა იერუსალმსს, და არა უწყოდეს მამამან და დედამან მისმან, (44) ჰგონებდეს მისსა, ვითარმედ მოგზაურთა თანა არს. და მოვიდეს დღისა ერთისა გზასა და ეძიებდეს მას ნათესავთა შოვრის მისთა და მეცნიერთა (45) და ვერ პოვეს იგი. და მოიქცეს იგინი იერუსალმადე და ეძიებდეს მას. (46) და იყო შემდგომად სამისა დღისა პოვეს იგი ტაძრისა მას შინა მდღომარშ შოვრის მოძღუართა, ისმენდა მათსა და ჰკითხვიდა მათ. (47) და განუკვრდებოდა მათ ყოველთა, რომელთა

¹ ღამე B. ² ღღე B.

ესმოდა მისი გულისხმის-ყოფა იგი და სიტყვს მიგებად მისი. (48) და იხილეს იგი და განუკრდა. და ჰრქუა მას ღედამან მისმან: შეილო, რაჲსა ესრეთ მიყავ ჩუენ? აჲ ესერა მე და მამად შენი ვრორინებთ და გეძიებთ შენ. (49) და მან ჰრქუა მათ: რაჲსა მეძიებთ მე? არა უწყითა, რამეთუ მამისა ჩემისა თანა ჰერარის ჩემი ყოფად? (50) და მათ ვერ გულისხმა-ყვეს სიტყუად იგი, რომელი ჰრქუა მათ. (51) და წარვიდა მათ თანა და მოვიდა ნაზარეთა და იყო დამორჩილებულ მათა. ხოლო ღედასა მისსა დაემარხნეს ყოველნი ესე სიტყუანი გულსა თჳსსა. (52) და იესუ წარმატებოდა სიბრძნითა და ჰასაკითა და მადლითა წინაშე ღმრთისა და კაცთა.

3

(1) წელსა მეათხუთმეტესა ტიბერის კეისრისასა, მთავრობასა პონტიელისა პილატესსა ჰურიასტანს, და მეოთხედ მთავრობასა გალილევას ჰეროდესსა და ძმისა მისისა ფილიპშსსა, მეოთხედ მთავრობასა იტურეას და ტრაქონიტელთა სოფელსა ლუსანისსა, მეოთხედ მთავრობასა აბილენესსა, (2) მღლეღ-მოდღურებასა ანნაჲსსა და კაიაფაჲსსა იყო სიტყუად ღმრთისად იოჲანშსა მიმართ, ძისა ზაქარიასსა, უდაბნოს. (3) და მოჰვიდა ' ყოველსა მას სოფელსა იორდანისასა და ქადაგებდა ნათლის-ცემასა სინანულისასა მისატყეველად ცოდვათა. (4) ვითარცა წერილ არს წიგნსა მას სიტყუათა ესაია წინაწარმეტყუელისათა. და იტყუს: ჰმად ლაღდებისად უდაბნოსა: განჰზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ჯეენით ალაგნი მისნი. (5) ყოველი ჰევენები აღმოივსოს და ყოველნი მთანი და ბორცუნი დამდაბლდენ; და იყოს გულარძნილი იგი მართლად და ფიცხელი იგი გზად წრფელად. (6) და იხილოს ყოველმან ჰორციელმან მაცხოვარებად ღმრთისად. (7) და ეტყოდა განმავალსა მას მისა ერსა ნათლის-ღებად მისგან: ნაშობნო ჩქედნეთანო, ვინ გიჩუენა თქუენ სიელტოლად მერმისა მისგან რისხვისა? (8) ყავთ უკუე ნაყოფი, ღირსი სინანულისად, და ნუ ჰგონებთ და იტყვთ გულთა თქუენთა, ვითარმედ: მამად გვეს ჩუენ აბრაჰამი. ხ- გეტყვ თქუენ, რამეთუ ძალ-უღ ღმრთისა აღდგინებდა ქვათა ამათგან ნაშობად აბრაჰამისა. (9) რამეთუ აწვე ცული ძირსა თანა ხეთასა ძეს; ყოველმან ხემან რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას.

(10) და ჰკითხვიდა მას ერი იგი და ეტყოდეს: რაჲ-მე ვყოთ? (11) მიუკო და ჰრქუა მათ: რომელსა აქუნდეს ორი სამოსელი, მიეცინ, რომელსა არა აქუნდეს; და რომელსა აქუნდეს საზრდელი, ეგრევე მსგავსად ყავნ. (12) მოვიდეს მისა მტუერენიცა ნათლის-ღებად და ჰრქუეს მას: მოძღუარ, ჩუენ რაჲ ვყოთ? (13) ხოლო მან ჰრქუა მათ: ნურას უფროჲს განწესებულისა თქუენისა იქმთ. (14) ჰკითხვიდეს მას ერად განწესებულნიცა იგი და ეტყოდეს: და ჩუენ რაჲ-მე ვყოთ? და მან ჰრქუა მათ: ნუვის აჭირებთ და ნუსა ცილსა შესწამებთ და კმა-გეყავნ როჭიკი თქუენი. (15) და ვითარცა მოელოდა ერი იგი, და განიზრახვიდეს ყოველნი გულთა მათთა იოჲანესსუსჲ ნუჲუეე იგი არს ქრისტჲ, (16) მიუგო ყოველთა და ეტყოდა: მე ნათელს-გცემ თქუენ წყლითა, არამედ მოვალს უძლიერშსი ჩემსა. რომლისა არა ღირს ვარ ჰამლთა მისთა ტურთვად; მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა. (17) რომლისა ნიჩაბი ჰელ-

თა შინა მისთა, განწმიდოს¹ კალო მისი და შეკრობოს იფქლი საუნჯესა თვსსა. ხოლო ბზმ დაწუას ცეცხლითა უშრეტითა. (18) და ფრად სხუასაცა მრავალსა ჯლოციდა და ახარებდა ერსა მას.

(19) ხოლო ჰეროდეს, ოთხთა საბრძანებელთა მთავარსა. რამეთუ ამხილებდა მას ჰეროდიასთვს², ცოლისა ძმისა მისისა. და ყოვლისა მისთვს, რომელი ჰმნა ბოროტი ჰეროდე, (20) შეჰძინა ესეცა მას ყოველსა ზედა და შეაყენა იოჰანე საპყრობილესა. (21) და იყო ნათლის-ღებასა მას ყოვლისა ერისასა და იესუცა ნათელ-ილო და ილოციდა. და განეხუნეს ცანი, (22) და გარდამოქდა სული წმიდაჲ ჯორციელითა ხილვითა, ვითარცა ტრედი, მის ზედა; და ჰმა იყო ზეცითა და თქუა: შენ ხარ ძმ ჩემი საყუარელი, შენ სათნო-გყავ.

(23) და თავადსა იესუს ეწყო ოდენ ყოფად მეოცდაათესა წელსა, რომელი საგონებელ იყო ძედ იოსეფისა, იაკობისა, ელისა, (24) მათთანისა, ლევისა; მელქისა, იანწსა, იოსეფისა, (25) მატათისა, ამოსისა, ნაუმისა, ესლისა, ნაგშსა, (26) მათისა, მატითისა, სემეისა, იოსეფისა³, იუდაჲსა, (27) იონნაჲსა, რესაჲსა. ზორობაბელისა, სალათიელისა, ნმრისა, (28) მელქისა, ადლისა, კოსამისა, ელმოდლისა, ერისა, (29) იესუჲსა⁴, ელიეზერისა, იორამისა, მატათისა, ლევისა, (30) სუმონისა, იუდაჲსა, იოსეფისა⁵, იონანისა, ელიაკიმისა, (31) მელეაჲსა, მენანისა, მატათანისა. ნათანისა, დავითისა, (32) იესესა⁶, იობედისა⁷, ზოვოზისა, სალმონისა, ნაასონისა, (33) ამინადაბისა, არამისა, ესრომისა, ფარეზისა, იუდაჲსა, (34) იაკობისა⁸, ისააკისა, აბრაჰამისა, თარაჲსა, ნაქორისა, (35) სერუქისა, რაგავისა, ფალეგისა, ებერისა, სალაჲსა, (36) კაინანისა, არფაქსადისა, სემისა, ნოშსა, ლამექისა, (37) მათუსალაჲსა, ენოქისა, იარედისა. მალე-ლშლისა, კაინამისა, (38) ენოსისა, სემითისა, ადამისა, ღმრთისა.

4

(1) ხოლო იესუსაჲსც სულითა წმიდითა, მოიქცა იორდანით და მოჰყვანდა სულსა უდაბნოდ. (2) და ორმეოც დღე გამოიცადებოდა ეშმაკისაგან და არარაჲ ჰმა მათ დღეთა შინა. და აღ-რაჲ-ესრულნეს დღენი იგი, შეემშია. (3) ჰრქუა მას ეშმაკმან მან: უკუეთუ¹ ძმ ხარ ღმრთისაჲ, არქუ ქუასა ამას, რაათა პურ იქმნეს. (4) მიუგო იესუ და ჰრქუა მას: წერილ არს: არა ხოლო პურითა ცხომდეს კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა ღმრთისაჲთა. (5) და აღიყვანა იგი მთასა მალასა და უჩუენა მას ყოველნი სუფევანი სოფლისანი გამოხატვითა ჟამისაჲთა (6) და ჰრქუა მას ეშმაკმან მან: შენ მიგცე ჯელმწიფებჲ ამის ყოვლისაჲ და დიდებჲჲ მათი, რამეთუ ჩემდა მოცემულ არს, და რომელსა მინდეს, მივსცე იგი; (7) უკუეთუ თავყუანის-მცე შენ ჩემ წინაშე, იყოს შენდა ყოველი. (8) მიუგო იესუ და ჰრქუა მას: წერილ არს: უფალსა ღმერთსა შენსა თავყუანის-სცე² და მას მხოლოსა ჰმსახურებდე. (9) და მოიყვანა იგი იერუსალმდ და დაადგინა ფრთესა მას ზედა ტაძრისასა და ჰრქუა მას: უკუეთუ ძმ ხარ ღმრთისაჲ, გარდაიგდე თავი შენი ამიერ ქუეყანად, (10) რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: ანგელოზთა მისთა უბრძანებთეს შენთვს დაცვად შენდა, (11) და მკლავითა მათითა აღგიპყრან შენ.

¹ განწმიდოს B. ² მარდიასთვს B. ³ იოსეფისა B. ⁴ იესუსა B. ⁵ იესუსა B. ⁶ იობედისა B. ⁷ იაკობისა B. ⁸ თავყუანისც B.

რათა არა წარბეჭე ქვასა ფერტი შენი. (12) მიუგო და ჰრქუა მას იესუ, რამეთუ: თქუმულ არს: არა განსცადო უფალი ღმერთი შენი. (13) და აღასრულნა ყოველნი განსაცდელნი ეშმაკმან მან და განეშოვრა მას ვიდრე ეამად რაოდენადმდე. (14) და მიიქცა იესუ ძალითა სულისა წმიდისაათა გალილეად; და ჰამბავა განჭდა მისთვის ყოველსა მას გარემო სოფლებსა. (15) და იგი თავადი ასწავებდა შესაყრებელთა მათთა და იდიდებოდა ყოველთაგან.

(16) და მოვიდა ნაზარეთა, სადაცა აღზრდილ იყო, და შევიდა, ვითარცა ჩუეულ იყო იგი, დღესა შაბათსა შესაყრებელსა მათსა, და მოსცეს მას წიგნი ესაია წინაწარმეტყუელისაჲ. (17) და აღდგა კითხვად და განყო წიგნი იგი და პოვა ადგილი, სადა წერილ იყო: (18) სული უფლისაჲ ჩემ ზედა, რომლისათვის მცხო მე, მახარებელად გლახაკთა მომავლინა მე, განკურნებად შემუსრვილთა გულთა, ქადაგებად ტყუეთა განტყუებისა და ბრმათა აღხილვად, განვლინებად მომსრალთა განტყუებითა, (19) და ქადაგებად წელიწადი უფლისაჲ შეწყნარებული. (20) და შეყო წიგნი იგი და მისცა მსახურსა და დაჭდა; და თუალნი ყოველისა კრებულისანი მას ჰხედვიდეს. (21) და იწყო სიტყუად მათა, ვითარმედ: დღეს აღესრულა წერილი ესე ურთა მიმართ თქუენთა. (22) და ყოველნი ეწამებოდეს მას და დაუკვრდებოდა სიტყუათა მათ მისთა ზედა მადლისათა, რომელნი გამოვიდოდეს პირისაგან მისისა, და იტყოდეს: ანუ არა ესე არს ძმ იოსეფისი? (23) და თავადმან ჰრქუა მათ: მრქუათ სამე იგავი ესე: მკურნალო, განიკურნე თავი შენი. რაოდენი გუესმა საქმშ შენი კაფარნაუმს, ქმენ აქაცა, მამულსა შენსა. (24) ხოლო თავადმან თქუა: ამენ გეტყვ თქუენ, რამეთუ არაინი წინაწარმეტყუელი შეწყნარებულ არს თვისსა სოფელსა. (25) ხოლო ჰეშმარიტად გეტყვ თქუენ, რამეთუ მრავალნი ქურიენი იყენეს დღეთა ელიაჲსთა ისრაჲლსა. შოვრის, ოდეს-იგი დაეკნეს ცანი სამ წელ და ექუს თთუე, რაჲამს-იგი იყო სიყმილი დიდი ყოველსა ზედა ქუეყანასა. (26) და არავისა ერთისა მათგანისა მიივლინა ელია, გარნა სარეფთად, სილონიაჲსა, დედაკაცისა ქურიენისა. (27) და მრავალნი კეთროვანი იყენეს ისრაჲლსა შოვრის ელისშს ზე, წინაწარმეტყუელისა, და არაინი მათგანი განიკურნა, გარნა ნეემან ასურთი.

(28) და აღივსნენ ყოველნი-გულის-წყრომითა, რომელნი-იგი იყენეს შესაყრებელსა მას შინა, ესმოდა რაჲ ესე, (29) და აღდგეს და განაძეს იგი გარეშე ქალაქისა მისგან და მოიყვანეს იგი, ვიდრე წუერადმდე მთისა მის, რომელსა ზედა დაშმნებულ იყო ქალაქი იგი მათი, რათა გარდააგდონ იგი. (30) ხოლო თავადმან განვლო შოვრის მათსა და წარვიდა. (31) და შთავიდა კაფარნაუმდ, ქალაქსა გალილეაჲსასა, და ასწავებდა მათ შაბათსა შინა. (23) და დაუკვრდებოდა მოძღურებჲა იგი მისი, რამეთუ ჰელმწიფებით იყო სიტყუაჲ მისი.

(33) და იყო შესაყრებელსა მათსა კაცი, რომლისა თანა იყო სული არაწმიდა, და დღად-ყო ჳმითა დიდითა: (34) ეჲა, რაჲ არს ჩუენი და შენი, იესუ ნაზარეველო? მოხუედ წარწყმედად ჩუენდა: გიცით შენ, ვინ ხარ, წმიდაჲ ეგეღმრთისაჲ. (35) და შეპირისხნა მას იესუ და ჰრქუა: პირი დიაყო და განედ მაგის-გან! და დასცა იგი შოვრის მათსა ეშმაკმან მან და განვიდა მისგან და არაჲა აენო მას. (36) და იყო განკვრებჲა მათ ყოველთა ზედა, და ზრახვიდეს ურთიერთას და იტყოდეს: რაჲ არს სიტყუაჲ ესე, რამეთუ ჰელმწიფებითა და ძალითა უბრძანებს სულთა არაწმიდათა, და განვლენ? (37) და მიმოუფინებოდა ჳამბავი მისთვის ყოველთა მათ ადგილთა გარემო მის სოფლებისათა.

(38) და აღდგა მის კრებულსაგან და შევიდა სახლსა სიმონისსა; ხოლო აღდგარი სიმონისი შეპყრობილ იყო სიციხითა დიდითა. და უთხრეს მას მისთვის. (39) და დაადგა მას ზედა და შეპყრობნა სიციხესა მას. და დაუტევა იგი მეცხუელად და აღდგა და ჰმსახურებდა მას. (40) და დასლვასა ოდენ მზისასა ყოველთა რაოდენთა ჰქონდეს უძღურნი თითო-სახეთაგან სენთა, მოიყვანეს მისა. ხოლო თავადმან კაცად-კაცადსა მათსა დასდვა ჴელი და განკურნნა იგინი. (41) და განვიღოდეს ეშმაკნი მრავალთაგან, დალაღებდეს და იტყოდეს, ვითარმედ: შენ ხარ ქრისტე, ძმ ღმრთისაჲ. და შეპყრობნა მათ და არა უტევებდა სიტყუად, რამეთუ იცოდეს, ვითარმედ ესე არს ქრისტე. (42) და ვითარცა განთენა. გამოვიდა მიერ და წარვიდა უდაბნოსა ადგილსა, და ერი იგი ეძიებდა მას. და მოვიდეს მისა და იყენებდეს მას, რამათმცა არა წარვიდა მათგან. (43) ხოლო თავადმან ჰრქუა მათ, ვითარმედ: სხუათაცა ქალაქთა ჳერ-არს ჩემდა ხარებად სასუფეველი ღმრთისაჲ, რამეთუ ამისთვის მოვივლინე. (44) და ქადაგებდა ყოველთა შესაკრებელთა გალილეაჲსათა.

5

(1) და იყო ვითარ ერი იგი დაესხმოდა მას სმენად სიტყუათა ღმრთისათა, და თავადი დგა კიდესა თანა ტბისა მის გენესარეთისსა. (2) და იხილნა ორნი ნაენი, მღგომარენი კიდესა მის ტბისასა; ხოლო მესათხეველენი იგი გამოვიდეს ნაენისა მისგან და განჰკციხიდეს ბადეთა. (3) და შევიდა ერთსა მას ნავსა, რომელი იყო სიმონისი, და უბრძანა მათ ქუეყანით შე-რე-დგინებად მცირედ. და დაჳდა და ასწავებდა ნავით გამო ერსა მას. (4) და ვითარცა დასცხრა სიტყუად, და ჰრქუა სიმონს: შეავლინე ნავი ეგე ღრმად და ჰსდევით ბადმ თჳუენი ნადირობად. (5) მიუგო სიმონ და ჰრქუა: მოძღუარ, ღამე ყოველ დავშუერით და არარაჲ მოვიღეთ; ხოლო სიტყუთა შენითა გარდაუტეო ბადმ. (6) და ესე ყვეს და შეაყენეს თევზთა სიმრავლმ დიდი, და განსტქდებოდეს ბადენი მათნი. (7) და წამს-უყოფდეს. რომელნი-იგი იყენეს ერთსა მას ნავსა, რამათა მოვიდენ და შეეწინენ მათ. და მოვიდეს და აღავსენს ორნივე იგი ნაენი, ვიდრემდე დაითქმოდეს იგინი. (8) ვითარცა იხილა სიმონ-პეტრე, შეუერდა მუჴლთა იესუსათა, და ჰრქუა მას: განედ ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარს მე, უფალო. (9) რამეთუ განკვრევაბამან შეიპყრა იგი და ყოველნი მისთანანი ნადირობასა მას თევზისსა, რომელი შეაყენეს. (10) ეგრევე იაკობ და იოვანე, ძენი ზებედმსნი, რომელნი იყენეს ზიარ სიმონისა. და ჰრქუა იესუ სიმონ-პეტრეს: ნუ გეშინნი, სიმონი ამიერითგან კაცთა იყო მონადირე¹. (11) და გამოადგინნეს ნაენი იგი ქუეყანად და დაუტევეს ყოველი და მისდევდეს მას.

(12) და იყო ვითარცა შევიდა იგი ერთსა ქალაქთაგანსა, და აჰა კაცი სავსმ კეთროვნებითა იყო მას ქალაქსა. ვითარცა იხილა მან იესუ, დავარდა ჰირსა ზედა თვისსა, ევედრებოდა მას და ეტყოდა: უფალო, უჴუეთუ გინდეს, ძალ-გიც განკურნებად ჩემდა. (13) და განყო ჴელი, შეახო მას იესუ და ჰრქუა: მნებავს. განწმიდინი! და მეცხუელად განწმურვა კეთროვნებდა იგი მისგან. (14) და თავადმან ამცნო მას. რამათა არავის უთხრას, არამედ: წარედ და უჩუენე თავი შენი მღდელსა და შეწირე განწმედისა შენისათვის, ვითარცა უბრძანა მოსე საწამებ-

¹ მონადირე B.

ლად მათა. (15) და უფროსად მიმოედებოდან მისთვის სიტყუა იგი. და შეკრბე-
ზოდა ერი მრავალი სმენად და განკურნებად უძლურებათა მათთაგან. (16) ხოლო
თავადი განეშოვრის უდაბნოდ და ილოცავნ.

(17) და იყო ერთსა შინა დღესა თავადი ასწავებდა მათ. და სხდეს მუნ
ფარისეველნი და შჯულის მოძღუარნი, რომელნი მოსრულ იყვნეს ყოვლისაგან
დაბნებისა გალილეასა და პერიასტანისა და იერუსალმისა, და ძალი უფლი-
სა იყო განკურნებად მათა. (18) და აჰა ესერა კაცთა მოაქუნდა ცხედრითა კაცი,
რომელი იყო განრღუეულ, და უნდა შელებამა მისი და დადგმად წინაშე მისსა.
(19) და ვერ პოვეს, ვინამცა შეიღეს იგი ერისა მისგან; აღტღეს ერლოსა ზედა და
აღიღეს კეცი და შთაუტრევეს იგი ცხედრითურთ შოვრის წინაშე იესუსა. (20) და
იხილა იესუ სარწმუნოებამა მათი და ჰრქუა მას: კაცო, მიგეტრევენ შენ ცოდვანი
შენნი. (21) და იწყეს განზრახვად მწიგნობართა მათ და ფარისეველთა და იტ-
ჯოდეს: ვინ არს ესე, რომელი იტყვს გმობასა? ვის ჰელ-წიფების მიტევებად
ცოდვათა, გარნა მხოლოსა ღმერთსა? (22) გულისხმა-ყვნა იესუ გულის ზრახვა-
ნი მათნი, მიუგო და ჰრქუა მათ: რასა-ეგე ჰზრახავთ გულთა თქუენთა? (23) რა
არს უადვილმს სიტყუად: მიგეტრევენ შენ ცოდვანი შენნი, ანუ თქუემად: აღდეგ
და ვიდოდე? (24) არამედ რაათა უწყოდით, რამეთუ ჰელმწიფებამა აქუს ძესა
კაცისასა ჰუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვათა, და ჰრქუა განრღუელსა მას:
შენ გეტყვ: აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და წარედ სახიდ შენდა! (25) და მეყსე-
ულად აღდგა წინაშე მათსა და აღიღო ცხედარი, რომელსა ზედა იდგა, და წარ-
ვიდა სახიდ თვსა და აღიდებდა ღმერთსა. (26) და განკურნებამან შეიპყრნა ყო-
ველნი და აღიდებდეს ღმერთსა. და შიში დეცა მათ ზედა და იტყოდეს, რამეთუ:
ვიხილეთ უდიდესი დიდებამა დღეს.

(27) და ამისა შემდგომად გამოვიდა და იხილა მეზუერმ, სახელით ლევი,
მკლომარმ საზუერესა ზედა, და ჰრქუა მას: მომდევდი მე. (28) ხოლო მან დაუ-
ტევა ყოველი და აღდგა და მისდევდა მას. (29) და დაუშადა ლევი პური დიდი
იესუს სახლსა შინა თვსსა. და იყო მუნ კრებული დიდი მეზუერეთა და სხუათა.
რომელნი იყვნეს მათ თანა ინაჯით-მსხლომარნი. (30) და დრტჯნიდეს ფარისე-
ველნი და მწიგნობარნი მათნი მოწაფეთა მისთა თანა და იტყოდეს: რაასათვს
მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჰჰამთ და ჰსუამთ? (31) მიუგო იესუ და ჰრქუა
მათ: არა უქმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ რომელნი ბოროტსა შინა სენსა
არიან. (32) არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა; რაათა შეინა-
ნონ. (33) ხოლო მათ ჰრქუეს მას: რაასათვს მოწაფენი იოჰანმსნი იმარხვენ
ზედას-ზედა და ვედრებასა ჰყოფენ, და ეგრევე ფარისეველთანი, ხოლო მო-
წაფენი შენნი ჰამენ და სუმენ? (34) მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ნუუკუე
ჰელ-წიფების ძეთა სიძისათა, ეიდრემდე სიძმ მათ თანა არს, რაათა ამარხებ-
დეს მათ? (35) არამედ მოვლენან დღენი, ოდეს აღმალდეს მათგან სიძმ, და
ნაშინ იმარხვიდენ მათ დღეთა შინა.

(36) და ეტყოდა მათ იგავითცა, ვითარმედ: არავინ სადგმელი სამოსლისა
ახლისა დაადგის სამოსელსა ძუელსა, რაათა არა ახალი იგი განაპოს; და ძუელ-
სა მას ვერ შეჰგავენ სადგმელი ახლისა სამოსლისა. (37) და არავინ შთასახის
ღვრთა ახალი თხიერთა ძუელთა, რაათა არა განხეტიწენს ღვრთამან ახალმან თხი-

ერნი იგი, ღვწოა დაითხოვს, და თხიერნი წარწყმდენ. (38) არამედ ღვწოა ახალი თხიერთა ახალთა ჯერ-არს შთასხმად, და ორნი დაიმარხნენ. (39) და არავინ სუამნ ძუელსა ღვწოსა და მეცსეულად ჰნებავნ მათელს რამეთუ თქვს, ვითარ-ნედ: ძუელი უტკბილჷს არს.

6

(1) და იყო შაბათსა მეორესა და განვიდოდა თავადი თესულისაგან ყანისა. ხოლო მოწაფენი მისნი მოჰკრიდეს თავსა ჭუვილისასა, მუსრვიდეს ჭელითა და ჰამდეს. (2) ხოლო რომელთამე ფარისეველთა ჰრქუეს მათ: რასა ჰზამთ შაბათსა შინა, რომელი არა ჯერ-არს? (3) მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არცა ესე აღმოგივითხავსა, რომელ-იგი ყო დავით, ოდეს-იგი შეეგშია მას და მისთანათა, (4) ვითარ-იგი შევიდა ტაძრად ღმრთისა და პურნი იგი შესაწირავისანი შეჰამნა და სცა მისთანათა, რომელთამე არა ჯერ-არს ჰამა, გარნა მღდელთა ხოლო? (5) და ეტყოდა მათ: უფალ არს ძმ კაცისაჲ შაბათისაჲ.

(6) და იყო სხუასაჲა შაბათსა, და შევიდა თავადი შესაკრებელსა მათსა და ასწაუებდა. და იყო მუნ კაცი, რომელსა ჭელი მისი მარჯუენმ^ს განჰმელ ედგა. (7) და უმზირდეს მას მწიგნობარნი იგი და ფარისეველნი, უკუეთუმცა შაბათსა განკურნა, რაათა პოვონ, ვითარმცა შესამინეს იგი. (8) ხოლო თავდამან იცნოდა ზრახვანი მათნი და ჰრქუა კაცსა მას, რომელსა-იგი ჭელი განჰმელ ედგა: აღდგ და წარმოდგ შოვრისი ხ^ს იგი აღდგა და დადგა შოვრის. (9) და იესუ ჰრქუა მათ: გვითხო თქუენ სიტყუაჲ: რაჲ ჯერ-არს შაბათსა: კეთილისა საქმმ^ს ანუ ბოროტისა ყოფაჲ? სულისა ცხოვრებაჲ ანუ მოკლვაჲ? (10) და მიჰხედა მათ ყოველთა და ჰრქუა კაცსა მას: განირათხ ჭელი შენი! და მან განირთხა, და მოევო. ჭელი იგი მისი ე^ა ერთი იგი. (11) ხ^ს იგინი აღივსნეს მანკიერებითა და განიზრახვიდეს ურთიერთას, უკუეთუმცა უყვეს რაჲმე იესუს.

(12) და იყო მათ დღეთა და განვიდა თავადი მთად კერძო ლოცვად და ღამესა ათევედა ლოცვითა ღმრთისა მიმართ. (13) და ოდეს განთენა, მოუწოდა მოწაფეთა თვსთა და გამოირჩინნა ათორმეტნი მათგანნი, რომელთაჲცა მოციქულ უწოდა: (14) სიმონ, რომელსა ერქუა პეტრე, და ანდრეა, ძმაჲ მისი, იაკობ და იოვანე, ფილიპე და ბართლომე, (15) მათეოს და თომა. იაკობ აღფსი და სიმონ, რომელსა ერქუა მოშურნე¹, (16) იუდა იაკობისი და იუდა სკარიოტელი, რომელი-იგი იყო განმცემელი. (17) და გარდამოვიდა მათ თანა და დადგა ადგილსა ეელსა, და ერი იგი მოწაფეთა მისთაჲ, და სხვსა ერისა სიმრავლმ^ს ფრიადი ჰურიასტანით და იერუსალმით და ზღვს კიდისაჲ და ტვროსით და სიდონით. (18) რომელნი მოსრულ იყვნეს სმენად მისგან და განკურნებად სნეულებათაგან მათთა; და უძლურნი იგი სულთაგან არაწმიდათა განიკურნებოდეს. (19) და ყოველი იგი ერი ეძიებდა შეახლებად მისა, რამეთუ ძალნი გამოვიდოდეს მისგან. და განჰკურნებდა ყოველთა. (20) და თავადმან აღიხილნა თუალნი მისნი მოწაფეთა მიმართ თვსთა და იტყოდა: ნეტარ ხართ გლახაკნი სულითა, რამეთუ თქუენი არს სასუფეველი ღმრთისაჲ; (21) ნეტარ ხართ, რომელთა გშიის აწ, რამეთუ განსძლეთ; ნეტარ ხართ, რომელნი სტირთ აწ, რამეთუ. იცინოდით; (22) ნე-

¹ მოშურნე B.

ტარ იყენებ, რაჟამს მოგიძულნენ თქვენ კაცთა და ოდეს გამოგასხნენ თქვენ და გაუყუდრებდენ თქვენ და განთქუან სახელი თქუენი ვითარცა ბოროტთა ჩინათუს კაცისა. (23) გიხაროდენ მას ღღესა შინა და მხიარულ იყვენთ, რამეთუ ამა ესერა სასყიდელი თქუენი ღიდ არს ცათა შინა, რამეთუ ეგრევე უყოფდეს წინაწარმეტყუელთა მამანი მათნი. (24) ვა თქუენდა, მდიდარხო, რამეთუ მიგიღებთეს ნუგეშინის-ცემა თქუენი; (25) ვა თქუენდა, განმამდარხო აწ, რამეთუ გმშობოდეს; ვა თქუენდა, რომელნი იცინით აწ, რამეთუ იგლოვდეთ და სტიროდით; (26) ვა თქუენდა, რაჟამს კეთილსა გეტყოდიან თქუენ ყოველნი კაცნი, რამეთუ ესრევე კეთილსა უყოფდეს ცრუ-წინაწარმეტყუელთა მამანი მათნი. (27) არამედ თქუენ გეტყვ, რომელთა-ეგე გესმის: გიუხარდედ მტერნი თქუენნი, კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა (28) და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და ილოცევდით მათთუს, რომელნი გამძლავრობდენ თქუენ.

(29) რომელმან გცეს შენ ყურიმალსა შენსა, მიუპყარ ერთკერძოცა; და რომელი მიგიღებდეს შენ სამოსელსა შენსა, კუართსაცა შენსა ნუ აყენებ (30) ყოველსა, რომელი გთხოვდეს, მიეც; და რომელი მიგიღებდეს შენ, ნუ ნოჰდღი. (31) და ვითარცა-იგი თქუენ გნებაეს, რაჟთა გიყონ თქუენ კაცთა, და თქუენცა ეგრევე მსგავსად უყოფდით მათ. (32) და ჟუჟუეთუ გიუხარდენ თქუენ მოყუარენი თქუენნი, რაჟ არს მადლი თქუენდა? რამეთუ ცოდვილნიცა ჰყუარობდენ მოყუარეთა მათთა. (33) და ჟუჟუეთუ კეთილსა უყოფდით კეთილის-მყოფელთა თქუენთა, რომელი მადლი არს თქუენდა? რამეთუ ცოდვილნიცა ამას ჰყოფედ. (34) და ჟუჟუეთუ ავასხებდეთ მათ, რომელთაგან ესავთ კუალად მოღებასა რომელი მადლი არს თქუენდა? რამეთუ ცოდვილნიცა ცოდვილთა ავასხებდენ, რაჟთა მოილონ სწორი. (35) ხოლო თქუენ გიუხარდედ მტერნი თქუენნი და კეთილსა უყოფდით და ავასხებდით და ნურას უსასოს ჰყოფთ, და იყოს სასყიდელი თქუენი მრავალ, და იყენებ ძე მადლის, რამეთუ იგი თავადი ტკბილ არს უმადლოთათუსცა და უკეთურთათუსცა. (36) იყვენით თქუენ მოწყალე, ვითარცა მამა თქუენი მოწყალე არს. (37) ნუ განიკითხავთ, რაჟთა არა განიკითხნეთ; და ნუ დასჯით, რაჟთა არა დაისაჯნეთ. მიუტკვეთ და მოგეტყვენენ. (38) მიეცით, და მოგცენ თქუენ. საწყაული შეხრილი და დატენილი და ზედაგარდათხული მოგეცეს: წიაღთა თქუენთა; და მითვე საწყაულითა, რომლითა მიუწყეთ, კუალად მოგეწყოს თქუენ.

(39) ეტყოდა მათ იგავსაცა: ნუ ჰელ-ეწიფებთ ბრმასა ბრმისა წინა-ძღუნ-ვად? არა-მე ორნივე ჰურღუმულსა შთაცვენა? (40) არა არს მოწაფელ უფროს მოძღურისა, ხოლო განკრძალული იგი ყოველი იყავნ, ვითარცა მოძღუარი თუსი. (41) რაჟასა ჰხედად წუელსა თუალსა შიდა მძისა შენისასა და ღირესა = თუალისა შენისასა არა განიციდი? (42) ანუ ვითარ ჰელ-გეწიფებთ რქუმად მძისა შენსა: ძმაო, მიტევე და აღმოგიდო წუელი თუალისაგან შენისა, და შენ ღირესა თუალსა შიდა შენსა-არა ხედავ? ორჯულო, აღმოიღე პირველად ღირს თუალისაგან შენისა და მერმე უხილო აღმოღებად წუელი თუალისაგან მძისა შენისა. (43) რამეთუ არა არს ხელ კეთილი, რომელმან გამოიღის ნაყოფი ხენეში; არცა კუალად ხელ ხენეში, რომელმან ყვის ნაყოფი კეთილი. (44) რამეთუ თითოეული ხელ თუსისაგან ნაყოფისა საცნაურ არს; რამეთუ არა ეკალთაგან შეკრიბიან ლელვ, არცა

მაყუალთაგან მოსდულიან ყურძენი. (45) კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გულისა თვისისა გამოიღის კეთილი, და ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა¹ გულისა თვისისა გამოიღის ბოროტი, რამეთუ ნამეტავისაგან გულისა იტყუნ პირი მისი.

(46) რაჟსა მეტყუთ მე: უფალო, უფალო! და არა ჰყოფთ, რომელსა გეტყუთქუენ? (47) ყოველი, რომელი მოვალს ჩემდა და ისმენს სიტყუათა ჩემთა და ჰყოფს მათ, გიჩუენო თქუენ, ვისა იყოს მსგავს. (48) მსგავს არს იგი კაცსა, რომელი აშშენებნ სახლსა, რომელმან მოთხარა და დაადრმო და დადვა საფუძველი კლდესა ზედა; და დიდროვაჲ რაჲ იყო, ეკუქთა მდინარჲ იგი სახლსა მას და ვერ შეუძლო შეძრვად მას, რამეთუ დაფუძნებულ იყო იგი კლდესა ზედა. (49) ხოლო რომელმან ისმინა და არა ყოს, მსგავს არს იგი კაცსა, რომელმან აღაშშენა სახლი მიწასა ზედა თვნიერ საფუძველისა, რომელსა ეკუქთა მდინარჲ, და მეცსეულად დაეცა; და იყო დაცემაჲ იგი სახლისაჲ მის ღიდ.

7

(1) და ვითარცა დაასრულნა იესუ სიტყუანი ესე სასმენელთა მიმართ ერი-სათა, შევიდა კაფარნაუმდ (2) და ასისტავისაჲ ვისიმე მონაჲ სნეულ იყო და მი-ახნდა აღსრულებად, რომელი იყო მისა პატროსან. (3) და ესმა მას იესუმსთვს და მიავლინნა მისა მოხუცებულნი ჰურიათანი ვედრებად მისა, რაჟთა მოვიდეს და განკურნოს მონაჲ იგი მისი. (4) ხოლო რომელნი-იგი მივიდეს იესუმსა, ჰლოცვიდეს მას მწრაფლ და ეტყოდეს, ვითარმედ: ღირს, რომელი-ესე ჰყო მისთვს. (5) რამეთუ უყუარს ნათესავი ჩუენი და შესაკრებელი ჩუენი მან აღმიშშენა ჩუენ. (6) და იესუ წარვიდა მათ თანა. ხოლო თავადი ვითარ მიახლებულ იყო სახლსა მას, მიავლინნა ასისტავემან მან მისა მეგობარი და ჰრქუა: უფალო, ნუ მოჰშურები, რამეთუ არა ღირს ვარ, რაჟთა სართულსა სახლისა ჩემისასა შემოხვდე. (7) რომლისაგან არცა თავი ჩემი ღირს მიჩნდა მისლვად შენდა, არამედ თქუ სიტყუთ, და განიკურნოს მონაჲ ესე ჩემი. (8) რამეთუ მეცა კაცი ვარ ჰელმწიფებასა ზედა განწესებულ და მქონან ჩემ ქუეშე ერისა კაცნი; და ვჰრქუ მას: წარედი და წარვიდის; და სხუასა: მოედი და მოვიდის; და მონასა ჩემსა: ყავ ესე! და ყვის. (9) ვითარცა ესმა ესე იესუს, დაუკრდა და მიექცა ერსა მას, რომელი მისდევდა, და ჰრქუა: ამენ გეტყუთქუენ, არცა ისრაშლსა შოგრის ვპოვევ ესევი-თარი სარწმუნოებაჲ. (10) და მიიქცეს, რომელნი-იგი მოსრულ იყვნეს, სახიდ მისა, და პოვეს მონაჲ იგი მისი ცოცხალი. (11) და იყო ამისა შემდგომად და წარვიდოდა იესუ ქალაქად, რომელსა ჰრქვან ნაიმ, და თანა-უვიდოდეს მას მოწაფენი მისნი და ერი მრავალი. (12) და ვითარცა მიეახლა იგი ბჰეთა ქალაქისა-თა, და აჰა ესერა გამოაქუნდა მკუდარი, ძმ მხოლოდ-შობილი დედისა თვისისაჲ, და იგი იყო ქურივი; და ერი მრავალი იყო ქალაქისაჲ მის თანა. (13) და იხილა დედაკაცი იგი უფალომან და შეეწყალა იგი და ჰრქუა მას: ნუ სტირი (14) და მოვიდა, შეახო ცხედარსა მას. ხოლო რომელთა აქუნდა იგი, დადგეს. და ჰრქუა მას: ჰაჰუკო, შენ გეტყუ, აღდეგი! (15) და აღემართა მკუდარი იგი და იწყო სიტყუად; და მისცა იგი დედასა თვისსა. (16) და შიში დაეცა მათ ყოველთა ზედა და

ადიდებდეს ღმერთსა და იტყოდეს, ვითარებდ: წინაწარმეტყუელი დიდი აღდგომ-
ის არს ჩუენ შოვრის, და რამეთუ მოჰხედა ღმერთმან ერსა თჳსსა.

(17) და განეფინა სიტყუაჲ ესე ყოველსა ჰურიასტანსა მისთვის და ყოველსა
ნას გარემო სოფლებსა. (18) და უთხრეს იოჰანეს მოწაფეთა მისთა ამის ყო-
ლისათჳს. (19) და მოუწოდა იოჰანე ორთა მოწაფეთა თჳსთა და მიავლინნა
იესუსსა და ჰრქუა: შენ ხარა მომავალი იგი, ანუ სხუასა მოველოდით? (20) და
მი-რამ-ვიდეს მისა კაცნი იგი. ჰრქუეს: იოვანე ნათლის-მცემელმან მომავლინნა
ჩუენ შენდა და თქუა: შენ ხარა მომავალი იგი, ანუ სხუასა მოველოდით? (21) მას
ჴამსა შა განკურნნა იჴ მრავალნი სნეულებისაგან მათისა და საღმობათა და
სულთაგან უკეთურთა და მრავალთა ბრმათა მიჰმადლა ხედეჲ. (22) და მიუგო
და ჰრქუა მათ იესუ: მიედით და უთხართ იოჰანეს¹, რამ-ესე იხილეთ და გესმ: ბრმანი
აღიხილევნ. მკელობელნი ელენან, კეთროვანნი განწმიდნებიან. ყრუთა
ესმის, მკუდარნი აღდგებიან და გლახაკთა ეხარების. (23) და ნეტარ არს. რომელი
არა დაჰკოლდეს ჩემდა მოჰართ.

(24) და ვითარცა წარვიდეს მოციქულნი იგი იოჰანესნი, იწყო სიტყუად
იესუ ერისა მის მიმართ იოჰანესთჳს: რაჲსა გამოხუედით უდაბნოდ ხილვად?
ლერწმისა, ჰარისაგან შერყეულისა? (25) არამედ რაჲსა გამოხუედით ხილვად?
კაცისა, სამოსლითა ჩჩვლითა შემეკულისა? აჲ ესერა რომელნი სამოსლითა
დიდებულთა და საშუებლთა არიან, სამეუფოთა შინა არიან. (26) არამედ რამ-
სა გამოხუედით ხილვად? წინაწარმეტყუელისა? ჰე, გეტყვ თქუენ, და უმეტეს
წინაწარმეტყუელისა. (27) რამეთუ ესე არს, რომლისათჳს წერილ არს: აჲ ესე-
რა მე წარვაკვირონი ანგელოზნი ჩემი წინაშე შენსა, რომელმან განმზადნეს გზანი
შენნი წინაშე შენსა. (28) გეტყვ თქუენ: უფროასი შობილთა შოვრის დედა-
თასა იოჰანესსა წინაწარმეტყუელისა არავინ არს, ხოლო უმცირესი სასუფე-
ველსა ღმრთისასა უფროას მისსა არს. (29) და ყოველსა ერსა ესმა და მეზუერე-
თა და განამართლეს ღმერთი და ნათელ-ილეს ნათლის-ცემითა იოჰანესითა.
(30) ხოლო ფარისეველთა და შჯულისაგანთა ზრახვად ღმრთისაჲ შეურაცხ-ყვეს
თავისა თჳსისა, რამეთუ არა ნათელ-ილეს მისგან.

(31) ვის ვამსგავსნე კაცნი ამის ნათესავისანი, და ვისა არიან მსგავს?
(32) მსგავს არიან. ყრმათა, უბანთა ზედა მსხდომარეთა, რომელნი მოუწუდ მო-
ყუასთა მათთა და ეტყუედ: გისტჳნევედით თქუენ, და არა ჰროკევედით; გიგოდებ-
დით თქუენ, და არა სტიროდეთ. (33) რამეთუ მოვიდა იოჰანე ნათლის-მცემელი,
არცა ჰამდა და არცა სუმიდა, და იტყუთ, ვითარებდ: ეშმაკეულ არს. (34) მოვი-
და ძმ კაცისაჲ, ჰამს და სუამს, და იტყუთ: აჲ ესერა კაცი მჴამელი და მსუამელი
ღვინსაჲ და მეგობარი მეზუერეთა და ცოდვილთაჲ. (35) და განმართლდა სიბრძ-
ნსმ შვილთაგან თჳსთა.

(36) ევედრებოდა ვინმე მას ფარისეველთაგანი, რაჲთა ჰამოს ჰური მის თა-
ხა; და შევიდა სახლსა მას ფარისეველისასა და დაჰდა. (37) და იყო დედაკაცი
ვინმე ჰალაქსა მას შინა, რომელი იყო ცოდვილ. ესმა, ვითარებდ არს იგი სახლსა
შინა მის ფარისეველისასა, მოილო ჰურჭრითა ნელსაცხებელი, (38) და დადგა
ფერჳთა თანან იესუსთა, ტიროდა იგი და იწყო ცრემლითა დაღტობად ფერჳთა
მისთა და თმითა თავისა თჳსისაჲთა წარჳოცად და ამბოვრს-უყოფდა ფერჳთა

მისთა და სცხებდა ნელსაცხებელსა. (39) ვითარცა იხილა ფარისეველმან მან, რომელმანცა-იგი ჰხადა მას, თქუა გულსა თვისსა და იტყოდა: ესე უკუეთუმცა იყო წინაწარმეტყუელი, უწყოდამცა, ვინ და რაბამი დედაკაცი შეეხების მას, რამეთუ ცოდვილი არს. (40) მიუგო იესუ და ჰრქუა: სიმონ, მაქუს რამე შენდა სიტყუად. ხოლო მან თქუა: მოძღუარ, იტყოდე! (41) და თქუა: ორნი თანა-მღებნი იყვნეს მასესხებელისაჲ ვისიმე: ერთსა თანა-ედვა ხუთასი დრაჰკანი, ხოლო ერთსა მას — ერგასისი. (42) და ვითარ არარაჲ აქუნდა მათ, რაჲ მისცენ, ორთავე მიუტევა. აწ თქუ შენ: ვინ უფროს შეიყუაროს იგი? (43) მიუგო სიმონ და თქუა: მე ეგრე ვგონებ. ვითარმედ რომელსა-ცა იგი უფროსი მიუტევა. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: მართლიად ჰსაჩე. (44) და მიექცა დედაკაცსა მას და სიმონს ეტყოდა: ჰხედავა ამას დედაკაცსა? შემოვედ სახლსა შენსა, წყალი ფერკთა ჩემთა არა მეც. ხოლო ამან ცრემლითა დაალტვნა ფერკნი ჩემნი და თმითა თვისითა წარჰკონა: (45) ამბოვრის-ყოფაჲ. არა მომეც მე, ხოლო ესე, ვინაჲთგან შემოვიდა. არა დააცადებს ამბოვრის-ყოფითა ფერკთა ჩემთა; (46) ზეთი თავსა ჩემსა არა მცხე, ხოლო ამან ნელსაცხებელი მცხო. (47) რომლისა მადლისათჳს გეტყვ შენ: მიეტევენ მაგას ცოდვანი მაგისნი მრავალნი, რამეთუ შეიყუარა ფრიად. ხოლო რომელსა მცირედ მიეტევეს, მცირედცა შეიყუაროს. (48) და ჰრქუა მას: მიგეტევენ შენ ცოდვანი შენნი! (49) და იწყეს მის თანა მერინაჲთა მათ სიტყუად გულთა შინა მათთა: ვინ არს ესე, რომელი ცოდვთა მიუტევებ? (50) და ჰრქუა დედაკაცსა მას: სარწმუნოებამან შემნმან გაცხოვნა შენ. გულე. ვიდოდე მშუღობით!

8

(1) და იყო ამისა შემდგომად და თავადი ვიდოდა ქალაქად-ქალაქად და დაბად-დაბად, ქადაგებდა და ახარებდა სასუფეველსა ღმრთისასა; და ათორმეტნი მოწაფენი მის თანა. (2) და დედანი ვინმე, რომელნი განკურნებულ იყვნეს სულთაგან უკეთურთა და უძლურებათა: მარიამ, რომელსა ერქუა მაგდალ-ხელი, რომლისაგან განსრულ იყვნეს ეშმაკნი შუღნი, (3) და იოჰანა, ცოლი ქუ-ზაასი. ეზოჲს მოძღურისა ჰეროდესი, და სუსანა და სხუანი მრავალნი, რომელნი ქმსახურებდეს მათ ნაყოფთაგან მათთა. (4) ხოლო რომელნი-იგი მის თანა იყვნეს ერნი მრავალნი და ქალაქად-ქალაქად რომელნი მოსრულ იყვნეს მისა, ეტყოდა მათ იგავით: (5) გამოვიდა მთესჯარი თესვად თესლისა თვისისა; და თესვისა მას მისსა რომელიმე დავარდა გზასა თანა და დაითრგუნა, და მფრინველთა ცისათა შექამეს იგი. (6) და სხუა დავარდა კლდესა ზედა, აღმოცენდა და განქმა, რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისაჲ. (7) და რომელიმე დავარდა შოვრის ეკალთა; და აღმოცენდეს ეკალნი და შეაშთვეს იგი. (8) და სხუა დავარდა ქუეყანასა კეთილსა და აღმოცენდა და ყო ნაყოფი ასი წილი. ამას იტყოდა ჳმითა: რომელსა ასხენ ჯური სმენად. ისმინენ!

(9) ჰკობვიდეს მას მოწაფენი, ვითარმედ: რაჲ არს იგავი ესე? (10) ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: თქუნდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ სასუფეველისა ღმრთისაჲ. ხოლო სხუთა-იგავით, რაჲთა ხედვიდენ და ვერ იხილონ და ესმოდეს და ვერ გულისხმა-ყონ. (11) ხოლო იგავი იგი ესე არს: თესლი იგი არა სიტყუად ღმრთისაჲ. (12) ხოლო გზასა ზედა იგი არიან, რომელთა ესმის, მერმე

მოვიდის ეშმაკი და მოულის სიტყუა იგი გულსიგან მათისა, რაათა არა ჰრწმენს და ცხომდენ. (13) ხოლო რომელი-იგი კლდესა ზედა, — რომელთა-იგი რა-ეამს ისმინიან, სიხარულით იწყნარიან სიტყუა იგი, და ამათ ძირ არა უბნ, რომელთა-იგი ეამ ერთ ჰრწმან და ეამსა განსაცდელისასა განდგიან. (14) ხოლო რომელი-იგი ეკალთა შინა დაჰვარდა, ესენი არიან, რომელთა ისმინიან სიტყუა და ზრუნვისაგან და სიმღიდრისა და გემოთაგან ამის სოფლისათა ვლენედ და შეაშდვიან და არა ნაყოფიერ იქმნიან. (15) ხოლო რომელი-იგი კეთილსა ქუეყანასა, — რომელთა გულითა კეთილითა და სახიერითა ისმინიან სიტყუა და შეიკრალიან და ნაყოფი გამოიღიან მოთმინებითა.

(16) არავინ სანთელი აღანთის და დაფარის იგი ქურჭრითა, გინა ცხედარსა ქუეშე შედგიან, არამედ სასანთლესა ზედა დადგიან, რაათა შემავალნი იგი ნათელსა ჰხედვიდენ. (17) რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, არცა საიდუმლოა, რომელი არა საცნაურ იყოს და ცხადად მოვიდეს. (18) იხილეთ უკუე, ვითარ-ევე ისმენთ: რომელსა აქუნდეს, მიეცეს მას, და რომელსა არა აქუს და რომელთა-იგი ჰგონიეს, ვითარმედ აქუს, მო-ვე-ელოს-მას.

(19) მოვიდეს მისა დედა და ძმანი მისნი და ვერ უძლეს შემთხუვეად მისა ერისა მისგან. (20) და უთხრეს მას და ეტყოდეს: დედა შენი და ძმანი შენი გარეშე დგანან და ხილვა შენი ჰნებაეს. (21) ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: დედა ჩემი და ძმანი ჩემნი ესენი არიან, რომელთა სიტყუა ღმრთისაა ისმინონ და უონ იგი.

(22) და იყო ერთსა შინა დღესა და თავადი შევიდა ნავსა, და მოწაფენი მისნი თანა, და ჰრქუა მათ: განვიდეთ წიაღკერძო ტბასა მას; და აღვიდეს. (23) და მი-რა-ვიდოდეს იგინი ნავითა, მიეძინა. და გარდამოქდა არმური ქარისაა ზღუასა მას ზედა, და აღიხებოდა ნავი იგი, და იურვოდეს. (24) მოუქდეს და განაღვ-ჩეს და ეტყოდეს: მოძლუარ, წარვწყმდებით. ხოლო თავადი აღდგა და შეჰრისხნა ქარსა მას და დელუათა წყალთასა; და დასცხრეს, და იყო დაუღებაა დიდი. (25) და ჰრქუა მათ: სადა არს საჩრწმუნობაა თქუენი? ხოლო მათ შეეშინა და დაუკვარდა და იტყოდეს ურთიერთას: ვინ-მე არს ესე, რამეთუ ქართათა უბრძანებს და წყალთა, და ერჩიან მას?

(26) და განვიდეს სოფელსა მას გერგესეველთასა, რომელ არს წიაღკერძო გალილეასა. (27) და ვითარცა განვიდეს იგინი ქუეყანად, მო-ვინმე-ეგებოდა კაცი ქალაქისაგან, რომლისა თანა იყენეს ეშმაკნი; და მრავალ ეამ სამოსელი არა შეემოსა და სახლსა შინა არა იყოფოდა, არამედ საფლავებსა. (28) და ვითარცა იხილა მან იესუ, დაღად-ყო და შეუვრდა ფერჯთა იესუმსთა და ჰმითა დიდითა ეტყოდა: რაჲ ძეს ჩემი და შენი, იესუ, ძეო ღმრთისა მალისაო? გვედრებდი, ნუ მტანჯავ მე. (29) რამეთუ უბრძანა სულსა მას არაწმიდასა განსლვად კაცისა მისგან; რამეთუ მრავალ ეამ წარიტაცის იგი და შებორკილიან იგი ჩაქვთა და საკრველითა და სცვედ, და განხეთქნის საკრველნი და იღვენებინ ეშმაკისა მისგან უდაბნოთა. (30) ჰკითხა მას იესუ: რაჲ არს სახელი შენი? ხოლო მან თქუა: ლეგეონ, რამეთუ ეშმაკნი მრავალნი შესრულ იყენეს მისა. (31) და ევედრებოდეს მას, რაათა არა უბრძანოს მათ უფსკრულთა შთასლვაჲ.

(32) და იყო მუნ კოლტი ღორთა მრავალთა, მძოვარი მთასა ზედა; და ევედრებოდეს მას, რაათა უბრძანოს მათ ღორებსა მას შესლვაჲ. და თავადმან უბრძანა მათ. (33) და გამოვიდეს ეშმაკნი იგი კაცისა მისგან და შევიდეს ღორთა მათ.

და მიიმართა ყოველმან მან კოლტმან კბოდესა მას ზღუად და დაიშთუნეს. (34) ვითარცა იხილეს მწყემსთა მათ საქმეს ესე, ივლტოდეს და უთხრეს ქალაქსა და დაბნებსა. (35) და გამოვიდეს ხილვად, რომელ-იგი იქმნა, და მოვიდეს იესუსა და იხილეს კაცი იგი, რომლისაგან ეშმაკნი იგი განსრულ იყვნეს, შემოსილი და გონიერი, მკლამარს ფერტა თანა იესუსთა. და შეეშინა, (36) რამეთუ უთხრეს, რომელთა-იგი ეხილა, ვითარ-იგი ცხომდა ეშმაკეული იგი. (37) და ევედრებოდეს მას ყოველი იგი სიმრავლეს გარემოას სოფლებიასა მის გერგესეველთა, რაათა წარვიდეს საზღურისაგან მათისა, რამეთუ შიშითა დიდითა შეპყრობილ იყვნეს. ხოლო თავადი შევიდა ნავსა და მიიქცა მუნვე. (38) ევედრებოდა მას კაცი იგი, რომლისაგან ეშმაკნი იგი განსხმულ იყვნეს, რაათა იყოს მის თანა. ხოლო თავადმან განუტრევა იგი და პრქუა: (39) მიიქვეც სახიდ შენდა და მიუთხარ, რაოდენი გიყო შენ ღმერთმან. და წარვიდა კაცი იგი და ყოველსა მას ქალაქებსა ქადაგებდა, რა-იგი ყო მისთვის იესუ. (40) და მიქცევასა მას იესუსსა მუნვე შეიწყნარა იგი ერმან მან, რამეთუ მოელოდეს მას.

(41) და ამა ესერა მოვიდა კაცი, და სახელი მისი იაროს, და ესე მთავარი იყო შესაკრებელისა, და დაეარდა ფერტა თანა იესუსთა და ევედრებოდა მას, რაათა შევიდეს სახიდ მისა, (42) რამეთუ ასული მარტოა ესუა მას, რომელი იყო ათორმეტის წლის, და იგი მოკვდებოდა. და მისლავასა მას მისსა ერი იგი შეპყრობებოდა მას. (43) და იყო ვინმე დედაკაცი წყაროათა სისხლისაათა ათორმეტით წლითგან, რომელი ვერვისგან განიკურნა. (44) მოუქდა ზურგით კერძო და შეახო ფესუსა სამოსლისა მისისასა. და მეყსეულად დაპცხრა წყაროა იგი სისხლისა მის. (45) და თქუა იესუ: ვინ შემახო მე? და ვითარცა ყოველნი უვარებდეს, პრქუა პეტრე: მოძღუარ, ერნი გარე-მოგადგან შენ და შეგაიწრებენ შენ და შენ იტყვ: ვინ შემახო მე? (46) ხოლო იესუ თქუა: შე-ვინმე-მახო, რამეთუ მე ვცან ძალი, განსრული ჩემგან. (47) და იხილა დედაკაცმან მან, რამეთუ არა დაეფარა, მოვიდა ძწოლით და შეუერდა მას და რომლისა ბრალისათვს შეახო. უთხრა წინაშე ყოვლისა ერისა, და ვითარ-იგი მეყსეულად განიკურნა. (48) ხოლო იესუ პრქუა მას: ასულო, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ, ვიდოდე მშვდობითი (49) და ვითარ იგი ეტყოდა. ოდენ, მო-ვინმე-ვიდა შესაკრებელისა მის მთავრისა და პრქუა მას, ვითარმედ: ასული შენი მოკვდა, ნუ დააშრობ მოძღუარსა. (50) ხოლო იესუს ვითარცა ესმა, პრქუა მას: ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ ხოლო, და ცხომდეს იგი. (51) და ვითარცა მოვიდა სახლსა მას, არავის უტრევა შესლვად მის თანა, გარნა პეტრე და იაკობ და იოჰანე და მამა და დედა მის ყრმისა. (52) სტიროდეს მას ყოველნი და ეტყებდეს. ხოლო იესუ პრქუა მათ: ნუ სტირთ, რამეთუ არა მომკუდარ არს ყრმად ეგე, არამედ სძინავს. (53) ხოლო იგინი პბასრობდეს მას, უწყოდეს, რამეთუ მომკუდარ იყო. (54) და თავადმან გამოასხა ყოველი და უპყრა ჭელი ყრმასა მას და ჯმა-უყო: ყრმარ, აღდეგ! (55) და მოიქცა სული მისი, და მეყსეულად აღდგა. და უბრძანა, რაათა მისცენ მას ჭამადი. (56) და განუკრდებოდა მამა-დედათა მისთა. ხოლო თავადმან ამცნო მათ, რაათა არავის უთხრან საქმეს იგი.

(1) და მოუწოდა ათორმეტთა მათ და მისცა მათ ძალი და ჯელმწიფებამა ყოველთა ზედა ეშმაკთა და სენთა განკურნებამა. (2) და წარავლინნა იგინი ქა-

დაგებად სასუფეველსა ღმრთისასა და განკურნებად უძლურთა. (3) და ჰრქუა მათ: ნურაა გაქუნ გზასა ზედა, ნუ ეაშჳარანი, ნუცა პური, ნუცა ვეცხლი, ნუცა ორი სამოსელი გაქუნ. (4) და რომელსაცა სახლსა შეხვდეთ, მუნ დაადგერით და მიერ გამოედით. (5) და რაოდენთა არა შეგიწყნარნენ თქუენ, გამო-რად-ხვდოდით მიერ ქალაქით, მტუერი ფერტთა თქუენთაგან განიყარეთ საწამებელად მათა. (6) და გამო-რად-ვიდეს, მიმოვილოდეს დაბნებსა მას და ახარებდეს და განჳკურნებდეს სნულთა ყოველთა ადგილთა.

(7) ხოლო ესმა ჰეროდეს მეოთხედ მთავარსა საქმჳ იგი, მის მიერ რომელნი იქმნებოდეს, და განიზრახვიდა, რამეთუ იტყოდეს ვინმე, ვითარმედ: იოჳანე ნათლის-მცემელი აღდგომილ არს მკუდრეთით. (8) ხოლო რომელნიმე იტყოდეს: ელია გამოჩნდა; და სხუანი იტყოდეს: წინაწარმეტყუელი ვინმე პირველთაგანი აღდგომილ არს. (9) ხოლო ჰეროდე თქუა: იოჳანეს მე თავი მოვკუეთე. ხოლო ესე ვინ არს, რომლისათჳს ესევითარი მესმის, არა ვიცი. და უნდა ხილვაჲ მისი. (10) და მიიქცეს მოციქულნი და უთხრეს იესუს, რაოდენი ქმნეს. და წარიყვანნა იგინი და განეშოგრა თჳსაგან ადგილსა ქალაქისასა, რომელსა ჰრქვან ბეთსაიდა. (11) ხოლო ერმან მან აგრძნა და მისდევდა მას. და შეიმთხვვნა იგინი და ეტყოდა მათ სასუფეველისათჳს ღმრთისასა, და რაოდენთა უქმდა, განჳკურნებდა.

(12) და ვითარცა იწყო დღემან მიდრეკად, მოუტდეს მოწაფენი და ჰრქუეს მას: განუტევე ერი ესე, რაათა წარვიდენ გარემო დაბნებსა და აგარაკებსა და დაადგრენ მუნ და პოვონ საზრდელი თავისა მათისა, რამეთუ აქა უდაბნოსა ადგილსა ვართ. (13) ხოლო იესუ ჰრქუა მათ: თქუენ ეციო მაგათ ჳამადი. და მათ თქუეს: არა არს ჩუენ თანა უფროს, გარნა ხუთ ჳუეზა პური და ორნი თევზნი, გარნა თუ ჩუენ წარვიდეთ და უყიდოთ ყოველსა ამას ერსა საზრდელი. (14) რამეთუ იყენეს კაცი ვითარ ხუთ ათას ოდენ. და ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა: დასხით კაცები ესე პურისმტელ-პურისმტელ ერგასისეული. (15) და მათ ყვეს ერგე და დასხეს ყოველი იგი. (16) ხოლო თავადმან მოილო ხუთი იგი პური და ორი თევზი და აღიხილნა თუალნი ზეცად და აკურთხნა იგინი და დამუსრა და მისცემდა მოწაფეთა, რაათა დაუგონ ერსა მას. (17) და ჳამეს და განძღეს ყოველნი, და აღიღეს, რომელ-იგი დაუშთა მათ ნამუსრევი, ათორმეტი გოდორი. (18) და იყო ლოცვასა მას მისსა თჳსაგან მის თანა იყენეს მოწაფენი. და ჳითხვიდა მათ და ჰრქუა: ვინ ეჳგონიე ერსა ამას? რად თქვან ჩემთვის? (19) ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს: იოვანე ნათლის-მცემელი; და სხუათა — ელია; და რომელნიმე იტყვან: წინაწარმეტყუელი ვინმე პირველთაგანი აღდგომილ არს. (20) ხოლო იესუ ჰრქუა მათ: თქუენ ვინ გგონიე მე? მიუგო პეტრე და ჰრქუა: ცხებულა ღმრთისად. (21) ხოლო თავადმან შეჳრისხნა მათ და ამცნო, რაათა არავის უთხრან ესე. (22) და ჰრქუა, ვითარმედ: ჳერ-არს ძისა კაცისა ფრიად ვნებჳს და შეუ-რად-ყოფად მოხუცებულთაგან და მღდელთ მოძღუართა და მწიგნობართა და მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად?

(23) და ეტყოდა ყოველთა: რომელსა უნებს შედგომად ჩემდა. უვარ-ყავნ თავი თჳსი და აღიღენ ჳუარი თჳსი დღითი-დღედ და მოშლევდინ მე. (24) რამეთუ რომელსა უნდეს თავი თჳსი განჩინებად, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს თავი თჳსი ჩემთვის, ამან აცხოვნოს იგი. (25) რად სარგებელ არს კაცისა, შე-თუ-ძინოს ყოველი სოფელი და თავი თჳსი წარიწყმიდა,

გინა იზღვია? (26) რომელსა სირცხულ უჩნდეს ჩემდა მომართ და სიტყუათა ჩემთა. ამას ძემანცა კაცისამან არცხუნოს, ოდეს მოვიდეს დიდებითა თვისითა და მაშისაათა და წმიდათა ანგელოზთაათა. (27) გეტყვ თქუენ ჰეშმარიტად: არიან ვინმე მანდა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოჲ სიკუდილისაჲ, ვიდრემდე იხილონ სასუფეველი ღმრთისაჲ.

(28) და იყო შემდგომად სიტყუათა ამათ ვითარ რეა ოდენ დღე და წარიყვანნა იესუ პეტრე და იაკობ და იოვანე და აღვიდა მათსა ლოცუად. (29) და იყო ლოცუასა მას მისსა ხილვაჲ პირისა მისისაჲ სხუა, და სამოსელი მისი სპეტაკ ეითარცა ელვაჲ. (30) და აჲა ესერა ორნი კაცნი მის თანა ზრახვიდეს, რომელნი იყვნეს მოსე და ელია, (31) რომელნი გამოჩნდეს დიდებითა და იტყოდეს ' განსლვასა მას მისსა, რომელი ეგულეობდა აღსრულებად იერუსალემს; (32) ხოლო პეტრე და მისთანანი დამძიმებულ იყვნეს ძილითა; ხოლო გან-რამ-იღვძეს, იხილეს დიდებაჲ მისი და ორნი კაცნი მის თანა მდგომარენი. (33) და იყო განშორებასა მას მათსა მისგან ჰრქუა პეტრე იესუს: მოძღუარ, კეთილ არს ჩუენდა აჲა უოფჲ და ვქმნეთ სამ ტალავარ: ერთი შენდა, ერთი მოსტსა და ერთი ელიასა. რამეთუ არა იცოდა, რასა იტყოდა. (34) და ვითარცა ამას იტყოდა, აჲა ღრუბელი აგრილობდა მათ, და შეეშინა შესლვად ღრუბელსა მას. (35) და კჲა იყო ღრუბლით გამო: ესე არს ძმ ჩემი საყუარელი, ამისი ისმინეთ. (36) და ესე რამ იყო კჲმა, იზოვა იესუ მარტოჲ. და მათ დაიდუმეს და არარაჲ ვის უთხრეს მათ დღეთა შინა, რომელ-იგი იხილეს. (37) და იყო მეორესა დღესა გარდამოსლვასა მას მათსა მიერ მითთ მოეგებვოდა მას ერი მრავალი.

(38) და აჲა კაცმან ვინმე დაღად-ყო ერსა მას შოვრის და თქუა: მოძღუარ, გვედრები შენ, მოიხილე ძესა ზედა ჩემსა, რამეთუ ეგე ხოლო მარტოჲ მივის. (39) და სულმან უკეთურმან შეიპყრის იგი და მეყსეულად დაღად-ყვის და დაკუეთის, და პეროენს, და ძნიად განეშოვრის მისგან და შემოსრის იგი. (40) და ევედრე მოწაფეთა შენთა, რაჲთამცა განაშოვრეს იგი, და ვერ შეუძლეს. (41) ხოლო იესუ თქუა: ჰ ნათესავი გულარძნილი ვიდრემდე ვიყო თქუენ თანა და თავს-ვიდებდე თქუენსა? მომგუარე მე აჲა ძმ შინი! (42) და ვიდრე-იგი მოვიდოდა, დაჲკუეთა იგი ეშმაკმან მან და აძწოლენა მას. და შეპრისხნა იესუ სულსა მას არაწმიდასა და განკურნა ყრმაჲ იგ: და მისცა იგი მამასა თვისსა. (43) და განუკრდებოდა ყოველთა დიდებასა მ:ს ზედა ღმრთისასა, და ყოველნი დაკრვებულ იყვნეს ყოველსა მას ზედა, რომელსა იქმოდა იესუ. ხოლო იესუ ჰრქუა მოწაფეთა თვისთა: (44) დაისხენით თქუენ სიტყუანი ესე ყურთა თქუენთა, რამეთუ ძმ კაცისაჲ მიცემად არს ჳელთა კაცთასა. (45) ხოლო იგინი უმეცარ იყვნეს სიტყუასა ამას, და იყო დაფარულ მათგან, რაჲთა ვერ გულისხმა-ყონ იგი, და ეშინოდა მათ კითხვად მისა სიტყუსა ამისთვის.

(46) შევიდა მათა გულის სიტყუაჲცა: ვინ-ძი იყოს უდიდეს შოვრის მათსა? (47) ხოლო იესუ იცნოდა გულის ზრახვანი მათნი და მოიყვანა ყრმაჲ ჲა დაადგინა იგი მის წინაშე (48) და თქუა: რომელმან შეიწყნაროს ესე ყრმაჲ სახელითა ჩემითა, მე შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნარა მომავლინებელი ჩემი. ხოლო უმცირესი თქუენ ყოველთა შოვრის იგი არს დიდ.

(49) მიუგო იოვანე და ჰრქუა: მოძღუარ, ვიხილეთ ვინმე, რომელი სახელი-

თა შენითა განასხმიდა ეშმაკთა, და ჩუენ ვაყენებლით მას, რამეთუ არა შემო-
გვდგს ჩუენ თანა. (50) ჰრქუა მას იესუ: ნუ აყენებთ, რამეთუ რომელი არა
არს ჩუენდა მტერ, იგი ჩუენ კერძო არს. (51) და იყო აღსრულებასა მას დღეთა
აღმალღებისა მისისათა და თავდმან დაამტკიცა პირი თვისი აღსლვად იერუსა-
ლშმდ. (52) და წარავლინნა მოციქულნი წინაშე მისსა. და იგინი წარვიდეს და
შევიდეს დაბასა სამარირელთასა, რაათა მო-რამე-უმზადონ მას. (53) და არა
შეიწყნარნეს იგინი, რამეთუ პირი მისი იყო მისლვად იერუსალშმდ. (54) ვითარცა
იხილეს მოწაფეთა მისთა იაკობ და იოვანე, თქუეს: უფალო, გხებავს, ვთქვათ.
რაათა ცეცხლი გარდამოქდეს ზეცით და აღვოცნეს იგინი, ვითარცა ელია ყო?
(55) მიექცა იესუ და შეპრისხნა მათ და ჰრქუა: არა უწყითა, რომლისა სულისანი
ხართ? (56) რამეთუ არა მოვიდა ძმ კაცისაჲ წარწყმედად სულთა კაცთასა, არა-
მედ ცხოვრებად. და წარვიდეს სხუასა დაბასა.

(57) და იყო სლვასა მას მათსა გზასა ზედა ჰრქუა ვინმე მას: მიგდევდე შენ,
ვიდრეცა მიხუალ. (58) ჰრქუა მას იესუ: მეღთა ქურელი უჩს და მფრინველთა
ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრკიოს.
(59) ხოლო სხუასა ჰრქუა: მომდევდი მე. და მან თქუა: უფალო, მიბრძანე მე
პირველად დაფლვად მამისა ჩემისა. (60) ჰრქუა მას იესუ: აცადენ მკუღარნი და-
ფლვად თუსთა მკუღართა, ხოლო შენ წარედ და მიმოსდევე სასუფეველი ღმრთი-
საჲ. (61) ჰრქუა მას სხუამანცა: მიგდევდე შენ, უფალო, ხოლო პირველად მიბრ-
ძანე მე კმნაჲ სახლეულთა ჩემთაგან. (62) ჰრქუა მას იესუ: არავინ დასდვის ჳელო
საჳხეველსა და ხედავენ გარეუქუნ და წარმართებულ არს სასუფეველსა ღმრთი-
სასა.

10

(1) ამისა შემდგომად გამოაჩინნა უფალმან სხუანი სამეოც და ათორმეტნი
და წარავლინნა იგინი ორ-ორი წინაშე მისსა ყოველსა ქალაქებსა და დაბნებსა,
ვიდრეცა-იგი ეგულებოდა მას მისლვად. (2) და ეტყოდა მათ: სამკალი ფრიად
არს, ხოლო მუშაჲნი მცირედ. ევედრენით უკუე უფალსა სამკალისასა, რაათა
გამოავლინნეს მუშაჲნი სამკალსა თუსსა. (3) წარედით! აჲ ესერა მე წარავლი-
ნებ თქუენ ვითარცა კრავთა შოერის მგელთა. (4) და ნუ წარგაქუნ ბალანტი,
ნუცა ვაშკარანი. ნუცა შესასხმელი ფერქთაჲ და გზასა ზედა ნუვის მოიკიახავთ.
(5) და რომელსაცა სახლსა შეხვდეთ. პირველად თქუთ: მშუდობისაჲ სახლსა ამას!
(6) და უკუეთუ იყოს მუნ ძმ მშუდობისაჲ, განსუენოს მის ზედა მშუდობაჲან
თქუენმან, უკუეთუ არა, — თქუენდავე მოიქცეს. (7) მასვე სახლსა შინა იყე-
ნით, ჳამდით და სუემდით მათ თანა, რამეთუ ღირს არს მუშაჲი სასყიდლისა
თუსისა, და ნუ მიხუალთ სახლითი სახლად. (8) და რომელსა ქალაქსა შეხვდეთ
და შეგიწყნარნენ თქუენ, ჳამდით წინადაგებულსა თქუენსა (9) და განჳკურნებ-
დით მას შინა უძლურთა და ეტყოდეთ მათ, რამეთუ: მოახლებულ არს სასუფე-
ველი ღმრთისაჲ თქუენ ზედა. (10) და რომელსა ქალაქსა შეხვდეთ, და არა შეგი-
წყნარნენ თქუენ, გამო-რამ-ხვდოდით მიერ უბანთა მისთა, არქუთ მათ: (11) აჲ
ესერა ბტუერი რომელი აღეკრა ფერქთა ჩუენთა ქალაქისაგან თქუენისა, განვიყ-
რით თქუენ ზედა; გარნა ესემუცა უწყით, რამეთუ მოახლებულ არს თქუენ ზედა
სასუფეველი ღმრთისაჲ. (12) გეტყვ თქუენ: სოლომელთა უმოლხინე იყოს მას
დღესა,ვიდრე ქალაქისა მის.

(13) ვაჲ შენდა¹, ქორაზინ, და ვაჲ შენდა, ბეთსაიდა, რამეთუ ტჯროსს და სიღონს თუმცა იქმნნეს ძალნი, რომელნი იქმნნეს თქუენ შოჯრის, პირველვემცა ძაძათა და ნაცართა ზედა მსხდომარეთა შეინანეს. (14) ხოლო ტჯროსსა და სიღონსა უმოღბინე ეყოს სასჯელსა მას, ვიდრე თქუენ. (15) და შენ, კაფარნაუმ, ნუ ცადმდე აღჰმალდები², არამედ ვიდრე ჯოჯოხეთამდე შთაჰქდე. (16) რომელმან ისმინა თქუენი, ჩემი ისმინა; და რომელმან თქუენ შეურაცხ-გვეყენეს, მან მე შეურაცხ-მყოს; და რომელმან მე შეურაცხ-მყოს, შეურაცხ-ყოს მომავლინებელი ჩემი.

(17) და მოიქცეს სამეოც და ათორმეტნი იგი სიხარულითა და იტყოდეს: უფალო, ეშმაკინცა დაგუმორჩილებიან სახელითა შენითა. (18) ჰრქუა მათ იესუ: ეხედვედ ეშმაკსა ვითარცა ელვასა, ზეცით გარდმოვრდომილსა³. (19) აჲ მიგეც თქუენ ჰელმწიფებაჲ დათრგუნვად ზედა გუელთა და ღრიაკალთა და ყოველსა ზედა ძალსა მტერისასა, და არარაჲ გავნოს თქუენ. (20) ხოლო ამას ზედა ნუ გიხარინ, რამეთუ სულნი უკეთურნი დაგუმორჩილებიან თქუენ, არამედ გიხაროდენ, რამეთუ სახელები თქუენი დაიწერა ცათა შინა.

(21) მას ეჴმსა შინა იხარებდა იესუ სულითა წმიდითა და თქუა: აღგვიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ჰქუეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე იგი ჩჩვლთა ყრმათა. ჰე, მამაო, რამეთუ ეგრე სათნო-იყო შენ წინაშე. (22) ყოველი მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ, და არავინ იცის, ვინ არს ძმ, გარნა მამამაჲ, და არავინ იცის, ვინ არს მამაჲ, გარნა ძემან; და ვისა უნდეს ძესა გამოცხადებად, გამოუცხადოს.

(23) და მიექცა მოწაფეთა მისთა თჴსაგან და ჰრქუა: ნეტარ არიან თუალნი, რომელნი ხედვენ, რომელსა თქუენ ჰხედავთ, და ყურნი, რომელთა⁴ ესმის, რომელი თქუენ გესმის (24) ხოლო გეტყუ-თქუენ, რა: მრავალთა წინაწარმეტყუელთა და მეფეთა უნდა ხილვად, რომელსა თქუენ ჰხედავთ, და ვერ იხილეს და სმენად, რომელი გესმის, და არა ესმა.

(25) და აჲ ესერა შჯულის-მეცნიერი ვინმე აღდგა, გამოსცდიდა მას და ეტყოდა: მოძღუარ, რაჲ ვქმნე, რაჲთა ცხოვრებაჲ საუკუნოჲ დავიმკვდრო? (26) ხოლო თავადმან ჰრქუა მას: შჯულსა ვითარ წერილ არს? ვითარ აღმოცითხი? (27) ხოლო მან ჰრქუა: შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულისთა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა, და მოყუასი შენი; ვითარცა თავი თჴსი. (28) ჰრქუა მას იესუ: მართლ მომიგე, მაგას იქმოდე და სცხომდე. (29) ხოლო მას უნდა განმართლებად თავი თჴსი და ჰრქუა იესუს: და ვინ არს მოყუასი ჩემდა? (30) მიუგო იესუ და ჰრქუა: კაცი ვინმე გარდავიდოდა იერუსალშმით იერიქოდ, და ავაზაკნი დაესხნეს და განძარცუეს იგი, დაწყუეს და წარვიდეს და დაუტევეს მწყულდარი⁵. (31) მღდელი ვინმე შთავიდოდა მასვე გზასა და მიემთხვა და იხილა იგი და თანა-წარჰქდა. (32) და ეგრევე ლევიტელი მასვე აღგილსა მოვიდა, იხილა იგი და თანა-წარჰქდა. (33) მერმე სამარიტელი ვინმე წარვიდოდა და მოვიდა მას აღგილსა და იხილა იგი და შეეწყალა. (34) და მოუქდა და შეუხვა მას წყლული იგი და დაასხა ზეთი და ღუნოა და აღსუა იგი თჴსსა კაჰრალსა და მოიყვანა იგი ყოველთასა მას სადგურსა და დაიღუაწა იგი. (35) და ზვალისაგან, გან-რაჲ-ვიდოდა.

¹ შენ B. ² აღმალდები B. ³ ასეა B. ⁴ რომელ B ⁵ მწყულდარი B.

მიხსნა ორი დრაკანი ყოველთა საღვურისა მის მოღუაწესა და ჰრქუა მას: ჰლუ-
წოდე მაგას და, სხუაჲ ¹ თუ რაჲმე წარაგო უმეტესი, მო-რა-ვიდე, მაშინ მიგცე
შენ. (36) აწ ვინ ამათ სამთავანი გგონიეს შენ მოუქუს მისა, რომელ-იგი შეეპარდა
ავაზაკთა? (37) ხოლო მან თქუა: რომელმან-იგი ყო წყალობაჲ მის თანა. ჰრქუა
მას იესუ: ვიდოდე და შენცა ეგრევე ჰყოფდ.

(38) და ვითარცა წარვიდეს ესენი, და თავადი შევიდა დაბასა რომელსამე,
იყო ვინმე დედაკაცი, რომლისაჲ სახელი მართა, და შეიყვანა თავადი სახლსა
თვსსა. (39) და იყო დაჲ მისი, რომელსა ერქუა მარიაჲ, რომელი ჯდა ფერქთა-თა-
ნი იესუსთა და ისმენდა სიტყუათა მისთა. (40) ხოლო მართა მიმოდაზრუნვიდა
მრავალისათჳს მსახურებისა, ზედა მიადგა და თქუა: უფალო, არას ილუწი, რამე-
თუ დამან ჩემმან მარტოჲ დამიტევა მე მსახურებად. არქუ მას, რაათა შემეწე-
ოდის მე. (41) მიუგო იესუ და ჰრქუა მას: მართა, მართა! ჰზრუნავ და შუოთ ხარ
მრავლისათჳს, (42) აჲა მცირელი არს საჯმარ. ხოლო მარიაჲ კეთილი ნაწილი გა-
მოიჩინა, რომელი არასადა მიეღოს მისგან.

11

(1) და იყო ადგილსა რომელსამე თავადი და ილოცვიდა. და ვითარცა დას-
ცხრა ლოცვისაგან, ჰრქუა ვინმე მას მოწაფეთაგანმან: უფალო, გუასწავე ჩუენ
ლოცვაჲ, ვითარცა-იგი იოვანე ასწავა მოწაფეთა თვსთა. (2) ხოლო თავადმან
ჰრქუა მათ: რაჲამს ილოცვიდეთ, თქუთ: მამაო ჩუენო ზეცათაო, წმიდა იყავნ სა-
ხელი შენი, მოვედინ სუფევაჲ შენი, იყავნ ნებაჲ შენი. (3) პური ჩუენი თანაარ-
სობისაჲ მომეც ჩუენ დღითი-დღედ. (4) და მომიტევენ ჩუენ ცოდვანი ჩუენნი,
და რამეთუ ჩუენცა მიუტევენთ ყოველთა თანა-მდებთა ჩუენთა, და ნუ შემი-
ყვანებ ჩუენ განსაცდელსა.

(5) და ეტყოდა მათ: ვის თქუენგანსა ესუას მეგობარი და მივიდეს მისა შოვა-
დამეს და ჰრქუას მას: მეგობარო, მავასხენ მე ხაშნი პურნი, (6) რამეთუ მეგო-
ბარი მოვიდა ჩემდა გზით, და არა მაქუს, რაჲ დაუგო მას. (7) მან მიუგოს შინაგა-
მო და ჰრქუას: ნუ შრომას მახუედრებ მე, რამეთუ კარი დაქსულ არს, და ყრმა-
ნი ჩემნი ჩემ თანა არიან საარეცელსა ზედა; ვერ ძალ-მიც აღდგომად და მიცემად
შენდა. (8) გეტყვ თქუენ: დაღათუ არა ეძლოს აღდგომად და მიცემად, რამეთუ
არს იგი მეგობარი მისა, წყინებისა მისთჳს მისისა აღდგეს და მოსცეს, რაოდენ
უქმდეს მას.

(9) ხოლო მე გეტყვ თქუენ: ითხოვდით და მოგეცეს თქუენ, ეძიებდით და
ჰპოვით, ირეკდით და განგელოს თქუენ, (10) რამეთუ ყოველი რომელი ითხოვ-
დეს, მოიღოს, და რომელი ეძიებდეს, პოვოს, და რომელი ირეკდეს, განელოს.

(11) ვის უკუე თქუენგანსა მამასა სთხოვდეს ძმ პურსა, ნუუკუე ქვაჲ მის-
ცეს მას? გინა თუ თევზსა სთხოვდეს, ნუ თევზისა წილ გუელი მისცეს მას?
(12) გინა თუ კუერცხსა სთხოვდეს, ნუ ღრიაკალი მისცეს მას? (13) უკუეთუ
თქუენ უკეთურთა ოცით მისაცემელი კეთილი მიცემად შვილთა თქუენთა, რა-
ოდენ უფროჲს მამამან ზეცით მოსცეს სული წმიდაჲ, რომელნი სთხოვენ მას.

(14) და კაცისა ვისგანმე განაძო ეშმაკი, რომელი იყო ყრუჲ და იყო განს-
ლევასა მას ეშმაკისასა იტყოდა ყრუჲ იგი. და უკვრდა ყოველსა მას ერსა.

¹ სხუა B.

(15) ხოლო რომელთამე მათგანთა თქუეს: ბეელზებულითა¹, მთავრითა მით-
ეშმაკთაათა, განასხამს ეშმაკთა. (16) და სხუანი ვინმე გამოცლით სასწაულსა ზე-
ციით ითხოვდეს მისგან. (17) ხოლო თავადმან იცნოდა ზრახვანი მათნი და ჰრქუა
მათ: ყოველი მეფობაჲ, რომელი თავსა თუსსა განევითს, მოოჯრდის, და სახლი
სახლსა ზედა დაეცის. (18) და უკუეთუ ეშმაკი თავსა თუსსა განევთა, ვითარ
დამტკიცნეს მეუფებაჲ მისი? რამეთუ იტყუთ თქუენ ჩემთვის, ვითარმედ: ბელზე-
ზულითა განვასხამ ეშმაკთა. (19) უკუეთუ მე ბელზებულითა განვასხამ ეშმაკთა,
ძენი თქუენნი რაათა განასხმენ? ამისთვის ივინივე მსაჯულ გექმნნენ თქუენ.
(20) უკუეთუ მე თითითა ღმრთისაათა განვასხამ ეშმაკთა, მოწვევულ არსა თქუენ
ზედა სასუფეველი ღმრთისაჲ?

(21) რაჲამს ძლიერი შეჰქურვილი სცვიდეს ეზოსა თუსსა, მშვდობით არს
ნაყოფი მისი. (22) და ოდეს უძლიერმსი მისი ზედაჰიუქდეს და სძლოს მას,
საჰურველი მისი მოუღის, რომელსა-იგი ესვიდა, და ნატყუენავი მისი განუყვის.
(23) რომელი არა არს ჩემ თანა, მტერი არს ჩემი; და რომელი არა შეიკრებს ჩემ
თანა, იგი განაბნევს. (24) რაჲამს სული იგი არაწმიდაჲ განვიდის კაცისაგან, მი-
მოვალნ ურწყულთა ადგილთა და ეძიებნ განსასუენებელსა და არა პოვის და
თქუს: მივიქცე სახლსა ჩემსა, ვინაჲცა გამოვედ. (25) და მოვიდის და პოვის იგი
განშუენებული და შემკობილი. (26) წარვიდის და მოიყვანის სხუანი შვდნი
სულნი, უბოროტმსნი მისსა, და შევიდის და დაიმკვდრის მას შინა, და იქმნის
უკუანასკნელი იგი კაცისაჲ მის უძრმს პირველისა.

(27) და იყო ვიდრე იტყოდოდა იგი ამას, აღ-ვინმე-ილო დედაკაცმან კმაჲ
ერსა მას შოვრის და ჰრქუა მას: ნეტარ არს მუცელი, რომელმან გიტვრთა
შენ, და ძუძუნი, რომელთა სწოვდ. (28) ხოლო თავადმან ჰრქუა: არამედ ნე-
ტარ არიან, რომელთა ისმინონ სიტყუაჲ ღმრთისაჲ და დაიმარხონ! (29) და ვი-
თარცა ვერი იგი შეჰკრებოდა მას, იწყო სიტყუად მათა: ნათესავი ესე ნათესავი
ბოროტი არს, სასწაულსა ითხოვს, და სასწაული არა ეცეს მას, არამედ სასწაული
ღონაჲსი. (30) ვითარცა-იგი ექმნა იონა სასწაულ ნინეველთა, ეგრმთ ეყოს ძმ.
კაცისაჲ ნათესავსა ამას.

(31) დედოფალი იგი სამხრისაჲ აღდგეს სასჯელსა მას კაცთა თანა ამის ნა-
თესავისათა და დასჯიდეს მათ, რამეთუ მოვიდა კილით ქუეყანისაათ სმენად
სობრძენსა სოლომონისსა: და აჰა ესერა უფროს სოლომონისსა არს აჰა. (32) კაც-
ნი: ნინეველნი აღდგენ სასჯელსა მას ნათესავისა ამის თანა და დასჯიდეს მას,
რამეთუ შეინანეს ჰადაგებასა იონაჲსსა; და აჰა ესერა უფროს იონაჲსსა არს აჰა.

(33) არავინ აღანთის² სანთელი და დაფარულად დადგის, არამედ სასანთ-
ლესა ზედა, რაათა შემავალნი ზედვიდენ ნათელსა. (34) სანთელი გუამისაჲ არს
თუალი; ოდეს თუალი შენი განმარტებულ არს, ყოველი გუამი შენი ნათელ
იყოს. უკუეთუ თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს.
(35) იხილე, ნუუკუე ნათელი იგი შენ შოვრის ბნელ იყოს. (36) უკუეთუ გუამი
შენი ყოველი ნათელ არს და არა აქუნდეს ადგილი რაჲმე ბნელისაჲ, იყოს იგი
ყოვლად ნათელ, ვითარცა-იგი სანთელი ელვითა განგანათლოს შენ.

(37) და ვითარცა თავიდი იტყოდა ამას, ჰლოცვიდა ვინმე ფარისეველი,
რაათა პური ჰამოს მის თანა; და შევიდა და დაჯდა. (38) ხოლო ფარისეველმან

¹ ისეა B. ² აღნთის B.

მან ვითარცა იხილა, უკვრდა, რამეთუ პირველად არა იბანა, ვიდრე პურის კა-
მადმდე. (39) ჰრქუა მას უფალმან: აწ თქუენ, ფარისეველთა, გარეშე სასუმლი-
სა და პინაკისა განსწმიდით, და შინაგანი თქუენი საესე¹ არს ნატაცებითა და
უკეთურებითა. (40) ორგულნო, ანუ არა რომელმან-იგი გარეშე შექმნა, მანცა
შინაგანი შექმნა? (41) გარნა ესე, რომელი ჭერ-არს, მიეცით მოწყალებამა, და
აპა ყოველივე წმიდა არს თქუენი.

(42) არამედ ვაა თქუენდა, ფარისეველნო, რამეთუ ათეულსა აღიღებთ პიტ-
ნაკისასა და ტეგანისასა და ყოვლისა მხლისასა და თანა-წარჰვალოთ სამართალსა-
და სიყუარულსა ღმრთისასა. ესე ჭერ-იყო ყოფად და იგი არა დატევენად. (43)
ვაა თქუენდა, ფარისეველნო, რამეთუ გიყუარს თქუენ ზემოჯღობაა შესაკრე-
ბელთა შოერის და მოკითხვამ უბანთა ზედა. (44) ვაა თქუენდა, რამეთუ ხარო,
ვითარცა საფლავნი უჩინონი, და კაცნი ზედა ვლენ და არა იციან. (45) მი-ვიწ-
მე-უგო შჯულის-მეცნიერმან და ჰრქუა მას: მოძლუარ, მაგას რა იტყვ, რუნეცა მა-
გინებ. (46) ხოლო თავადმან ჰრქუა მას: და თქუენდაცა, 'შჯულის-მეცნიერთჳ, ვაა
არს, რამეთუ აღჰკიდით კაცთა ტვრთი ძნიად სატვრთველი და თქუენ ერთითაცა
თითითა თქუენითა არა შეახით ტვრთსა მას. (47) ვაა თქუენდა, რამეთუ აშენებთ
საფლავებსა წინაწარმეტყუელთასა, ხოლო მამითა თქუენთა მოწყვდნეს იგინი.
(48) ეწამებით სამე და თანა-სათნო-ეყოფით საქმესა მამათა თქუენთასა, რამე-
თუ მათ მოწყვდნეს იგინი, და თქუენ საფლავთა მათთა აშენებთ. (49) ამისთვის-
ცა-იგი ხიბრძემან ღმრთისამან თქუა: მოვაელინნე მათა წინაწარმეტყუელნი და
მოციქულნი, და მათგანნი მოწყვდნენ და დევნენ. (50) რაათა იძიოს სისხლა
ყოველთა წინაწარმეტყუელთაჲ, დათხეული დასაბამითგან სოფლისაჲთ ნათესა-
ვისა ამისგან, (51) სისხლითგან აბელისით, ვიდრე სისხლადმდე ზაქარიასა, ძისა
ბარაქისა, რომელი წარწყმდა შოერის საკურთხეველისა მის და ტაძრისა. ჰე,
გეტყვ თქუენ, გამოიძიოს ნათესავისა ამისგან. (52) ვაა თქუენდა, შჯულის-მოდ-
ლუართა, რამეთუ დაჰმალენით კლიტენი მეცნიერებისანი; თქუენ შე- არა -ხუე-
ღით და შემავალთა აყენებთ.

(53) და ვითარცა ეტყოდა მათ თავადი ამას წინაშე ყოვლისა ერისა, იწყეს
მწიგნობართა მათ და ფარისეველთა განზრახვად ბოროტისა და უძნდა სიტყუაჲ
იგი და ჰგმობდეს მას მრავლისა მისთვის სიტყუსა. (54) და უმზირდეს მას პონად
რასმე სიტყუასა პირისაგან მისისა, რაათა შეასმინონ იგი.

12

(1) რომელთა ზედა შეკრებულ იყო ბევრეული ერი, ვიდრემდე დასთრგუნ-
ვიდესცა ურთიერთას. იწყო პირველად სიტყუად მოწაფეთა თვსთა: ეკრძალენით
თავთა თქუენთა ცომისა მისგან ფარისეველთასა, რომელ არს ორგულუბაჲ.
(2) ხოლო არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს. და დამალული, რო-
მელი არა საცნაურ იყოს. (3) ამისთვის რომელი ბნელსა შინა სთქუათ, ნათელსა
ცნემს, და რომელსა ყურსა იტყოდით საუნჯეთა შინა, იქადაგოს ერდოთა ზედა.
(4) ხოლო გეტყვ თქუენ, მეგობართა ჩემთა: ნუ გეშინინ მათგან. რომელთა
მოწყვდნენ ჯორცნი და ამისა შემდგომად ვერაჲა აქუს უმეტესს,
რაა გიყონ თქუენ. (5) ხოლო გიჩუენო თქუენ, ვისა გეშინოდის: გეშინოდენ მისა,

¹ სავსე B.

რომელსა შემდგომად მოწყუედისა ' კელ-ეწიფების შთაგდებად გეპენიასა. ჰე, გეტყვ თქუენ, მისა გეშინოდენ.

(6) ანუ არა ხუთი სირი განიცილების ორის დანგის? და ერთიცა მათგანი არა არს დაფარულ წინაშე ღმრთისა. (7) არამედ თმანიცა თავისა თქუენისანი ყო-
ელნი განრაცხილ არიან. ნუუკუე გეშინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ. (8) ხოლო გეტყვ თქუენ: ყოველმან რომელმან აღიაროს ჩემდა მომართ წინაშე კაცთა, ძემანცა კაცისამან აღიაროს იგი წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა. (9) და რომელმან უვარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უვარ-ყონ იგი წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა. (10) და ყოველმან რომელმან თქუას სიტყუაჲ ძისა მიმართ კაცი-
სა. მიეტეოს მას, ხოლო სულისა წმიდისა მგმობარსა არა მიეტეოს. (11) და ოდეს შეგიყვანენ თქუენ შესაკრებელთა წინაშე და მთავართა და ჭელმწიფეთა, ნუ ჰზრუნავთ, ვითარ, ანუ რაჲ სიტყუაჲ მიუგოთ, ანუ რაჲ სთქუათ, (12) რამეთუ სულმან წმიდამან გასწავოს თქუენ მას ეამსა შინა, რაჲ-იგი სთქუათ.

(13) ჰრქუა ვინმე მას მის ერისაგანმან: მოძლუარ, არქუ ძმასა ჩემსა, რაჲთა განმეყოს მე სამყვდრებელსა. (14) ხოლო თავადმან ჰრქუა მას: კაცო, ვინ და-
სადგინა მე მსაყულად და განმყოფელად თქუენ ზედა? (15) და ეტყოდა მათ: ეკრძალენით და დაიკვენით თავნი თქუენნი ყოელისაგან ანგაპრებისა, რამეთუ არა ნამებუთვისაგან ვისამე არს ცხოვრებაჲ მისი ნაყოფთა მათგან.

(16) და ეტყოდა მათ იგავსაცა და ჰრქუა მათ: კაცისა ვისიმე მდიდრისაჲ ნა-
ყოფიერ იყო აგარაკი. (17) და განიზრახვიდა გულსა თვისსა და თქუა: რაჲ-მე ვყო. რამეთუ არა მაქუს, სადა დაეკრიბო ნაყოფი ესე ჩემი? (18) დაეარღვნე საუნჯენი ჩემნი და უფროსნი აღვაშენნე და შეეკრიბო მუნ ყოველი ნაყოფი ჩემი და კეთილი ჩემი. (19) და ეპრქუა სულსა ჩემსა: სულო, გაქუს მრავალი კეთილი დაუნჯებული მრავალთა წელთა: განისუენე, ჰამე, სუ და იხარებდ. (20) ჰრქუა ნას ღმერთმან: უგუნურო, ამას ღამესა მიგიღონ სული შენი შენგან: რომელ-ეგე მოიშადე, ვისა იუოს? (21) ეგრძტყა რომელი იუნჯებდეს თავისა თვისსა და არა ღმრთისა მიმართ განმდიდრდებოდის.

(22) და ჰრქუა იესუ მოწაფეთა თვისთა: ამისთვის გეტყვ თქუენ: ნუ ჰზრუ-
ნავთ სულისა თქუენისა, რაჲ ჰჰამოთ, და ნუცა ჯორცთა თქუენთა, რაჲ შეიმოსოთ, (23) რამეთუ სული უფროს არს საზრდელისა და ჯორცნი. სამოსლისა. (24) გან-
იცადეთ ყორანნი, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან, რომელთა არა აქუს სა-
უნჯჲ, ანუ სადა შეიკრიბონ, და ღმერთი ზრდის მათ. რაოდენ თქუენ უმჯობეს ხართ მფრინველთა?

(25) ვინ-მე უკუე თქუენგანი ზრუნვიდეს და უძლოს შეძინებად ჰსაჲსა თვისსა წყრთა ერთ? (26) უკუეთუ არცა უმცირშისა შემძლებელ ხართ, რაჲსაღა სხუასა მას ჰზრუნავთ? (27) განიცადეთ: შრომანი, ვითარ-იგი აღორძნდის: არცა შურების, არცა სთავს. ხოლო გეტყვ თქუენ, რამეთუ: არცა სოლომონმან ყო-
ველსა მას ღიდებასა თვისსა შეიმოსა ვითარცა ერთი ამათგანი.

(28) უკუეთუ ველსა გარე, რომელი დღეს თიგა არს და ხვალე თორენსა შთაგზნეს, ღმერთმან ესრტშ შეამკო, რაოდენ უფროს თქუენ, მცირედ მორ-
წმუნენო? (29) და თქუენ ნუ ეძიებთ, რაჲ ჰჰამოთ და რაჲ ჰსუათ, და ნუცა განს-
ცხებებთ, (30) რამეთუ ამას ყოველსა ნათესავნი სოფლისანი ეძიებენ, ხოლო მა-

შამან თქუენმან იცის, რომელი გიკმს ამათ ყოველთაგანი. (31) გარნა ეძიებდით სასუფეველსა, ღმრთისასა და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ:

(32) ნუ გეშინინ მტირებსა მაგას სამწყსოსა, რამეთუ სათონ-იყო მამამან თქუენმან მოცემად თქუენდა სასუფეველი. (33) განცილდეთ მონაგები თქუენი და ზიეციტ ქველის-საქმმ და ყავთ თავისა თქუენისა საფასმ, რომელი არა დაძუელდეს, საუნჯმ მოუკლებელი ცათა შინა, სადა-იგი მპარაეი არა მიეხების, არცა წლილმან განრყუნის. (34) სადაცა არს საუნჯმ თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი.

(35) იყენდ წელნი თქუენნი მორტყმულ და სანთელნი აღნთებულ. (36) და თქუენ ემსგავსენით კაცთა მათ, რომელნი მოვიდენ უფალსა თუსსა, ოდეს-მე მოვიდეს ქორწილისაგან, რაათა, რაეამს მოვიდეს და ირეკოს, და მეცხეულად განუღონ მას. (37) ნეტარ იყენენ იგი მონანი, რომელთაჲ მოვიდეს უფალი მათი და პოენეს იგინი მღუძარენი. ამენ გეტყვ თქუენ, რამეთუ მოირტყნეს და დასხნეს იგინი და წარმოდგეს და კმსახურებდეს მათ. (38) დალათუ შეორესა საქუმი-ლაგსა¹ და მესამესა მოვიდეს და პოენეს ესრჳთ, ნეტარ იყენენ იგინი. (39) ხოლო ესემცა უწყით: უკუეთუმცა იცოდა სახლისა უფალმან, რომელსა ეამსა მპარაეი მოვიდეს, იღუძებდამცა და არა უტევა დათხრად გუერდი სახლისა თუსისაჲ. (40) და თქუენცა იყენით განზადებულ, რამეთუ ეამსა, რომელსა არა ჰგონებდეთ, ძმ კაცისაჲ მოვიდეს.

(41) ჰკტუა მას პეტრე: უფალო, ჩუენდა მომართ იტყვ იგავსა ამას, ანუ ყოველთა მიმართ? (42) და თქუა იესუ: ვინ-მე იყოს მნმ იგი სარწმუნოჲ, რომელა დაადგინოს უფალმან მონათა თუსთა ზედა მიცემად ეამსა იფქლის საწყაული? (43) ნეტარ არს იგი მონაჲ, რომლისაჲ მოვიდეს უფალი მისი და პოეოს იგი ესრჳთ მოქმედი. (44) ამენ გეტყვ თქუენ, რამეთუ ყოველთა ზედა მონაგებთა მისთა დაადგინოს იგი. (45) უკუეთუ თქუას მონამან მან გულსა თუსსა: ყოენის უფალი ჩემი მოსლვად, და იწყოს გუემად მონათა და მკვეალთა, ჰამად და სუმად და დათრობად, (46) მოვიდეს უფალი იგი მონისაჲ მის დღესა, რომელსა არა მოვიდეს, და ეამსა, რომელი არა იცის, და ორგან განკუეთოს იგი და ნაწილჲ მისი დადვას ურწმუნოთა თანა. (47) ხოლო მონამან მან რომელმან იცის ნებაჲ უფლისა თუსისაჲ და არა განემზადოს ნებისაებრ მისისა, იტანჯოს ფრიად. (48) ხოლო რომელმან არა იცის და ქმნეს ღირსი რაჲმე ტანჯვისაჲ, იგუემოს მტირედ, რამეთუ ყოველსა რომელსა მიეცა დიდად, დიდადცა იძიოს მისგან, და რომელსა მიეცა ფრიად, უმეტესი მოჰჯადონ მას.

(49) ცეცხლისა მოვედ მიფენად ქუეყანასა და რაჲ მნებავს, რაათა აწყვე აღეგზნეს! (50) ხოლო ნათლის-ღებჲჲ მკქუს ნათლის-ღებად და ვითარ შეურვებულ კარ, ვიღრემდე აღესრულოს! (51) ეგრე ჰგონებთ, ვითარმედ მშუდობისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა? არა, გეტყვ თქუენ, არამედ განყოფად. (52) რამეთუ იყენენ ამიერითგან ხუთნი სახლსა შინა ერთსა განყოფილ: სამნი ორთაგან და ორნი სამთაგან. (53) განეთას მამაჲ ძისაგან და ძმ მამისაგან; დედაჲ ასულისაგან და ასული დედისაგან; დედამთილი ძის ცოლისაგან თუსისა და ძის-ცოლი დედამთილისაგან.

(54) ეტყოდა იესუ ერსაცა მას: რაეამს იხილით ღრუბელი აღმომავალი და-

¹ საქუმილსა B.

სავალით, მეყსეულად სთქვთ, ვითარმედ: წვმაჲ მოაქუს, და არს ეგრტთ. (55) და რაჟამს სამხრით ქარი ქრინ, სთქვთ, ვითარმედ: სიცხმ იყოს, და არს ეგრტთ. (56) ორგულნო, პირი ქუეყანისაჲ და ცისაჲ იცით გამოცდად, ხოლო ჟამი ესე ვითარ არა გამოიცადით? (57) ანუ რაჲსა თავით თუსით არა შჯით მართალსა?

(58) რამეთუ ოდეს მიხუალ მოსაქულისა შენისა თანა მთავრისა წინაჲ გზასა ზედა, მიეც საქმარი განთავისუფლებად მისგან, ნუუყუე მიგითროოს შენ მსაქულისა, და მსაქულმან მიგცეს შენ სეფე-კაცსა, და სეფე-კაცმან მიგცეს შენ საპყრობილედ. (59) გეტყვ შენ: არა გამოხვდე მიერ, ვიდრემდე უკუანაჲსენელ-ცა იგი მი-ვე-სე შენ მწულილი.

(13)

(1) მო- ვინმე -სრულ იყენეს მას ჟამსა ოდენ და უთხრეს მას გალილეველთა მათოუს, რომელსაჲ-იგი სისხლი პილატე შექრია მსხუერპლთა მათთა თანა.

(2) მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ეგრე გგონიეს, ვითარმედ გალილეველნი იჲა უფროს ყოველთა გალილეველთა იყენეს ცოდვილ, რამეთუ ესევეთარი ევნა მათ? (3) გეტყვ თქუენ: არა; არამედ უკუეთუ არა შეინანოთ, ეგრევე სახედ ყო-ველნი წარსწყმდეთ. (4) ანუ იგი, რომელ ათრვამეტთა ზედა სილოამს გოდოლო დაეცა და მოწყვდნა იგინი, ჰგონებთ, ვითარმედ იგინი ხოლო თანა-მდებ იყ-ნეს უფროჲს ყოველთა კაცთა, რომელნი მკვდრ არიან იერუსალმს? (5) გეტყვ თქუენ: არა; არამედ უკუეთუ არა შეინანოთ, ყოველნივე ეგრტთ წარსწყმდეთ.

(6) და იტყოდა იესუ იგავსა ამას: ლელვ ვისმე ედგა ნერგი სავენაჲქეს: თუსსა, და მოვიდა, ეძიებდა ნაყოფსა მისგან და არა პოვა. (7) და ჰრქუა ვენა-ჯის-მოქმედსა მას: აჲ ესერა არს სამი წელი, ვინაჲთგან შოვალ და ვეძიებ ნა-ყოფსა ლელუსა ამას შინა და არა ეპოვე. მოკუეთუ ეგე, რაჲსათუს ქუეყანაჲცა დაუპყრიეს უქმ-დ? (8) ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მას: უფალო, ურემე ეგე ამასცა წელსა, ე-ღრემდე მოუთოჯნო მას გარემო და სკორმ დაუდგა (9) და ყოს ხოლო თუ ნაყოფი; უკუეთუ არა, მერმე მოკუეთუ იგი.

(10) და ასწავებდა მათ იესუ შესაყრებელსა ერთსა შაბათსა შინა. (11) და აჲ ესერა დედაკაცი, რომლისა თანა იყო სული უძლურებისაჲ ათრვამეტ წლო-თგან; და იყო იგი დაღუნებულ და ვერ ეძლო ზე აღზილვად ყოვლითურთ. (12) იხილა იგი იესუ და მოუწოდა და ჰრქუა მას: აღდაკაცი, განტყეებულ ხარ უძლურებისაგან შენისა. (13) და დაასხნა ჴელი მას ზედა, და მეყსეულად აღე-მარსა და ვიდრდა და აღიდებდა ღმერთსა. (14) მიუგო შესაყრებლის-მთავარმან მან რისხვით, რამეთუ შაბათსა განკურნა იგი იესუ, და ეტყოდა ერსა მას: ექუსნა-ღღენი არიან, რომელთა შინა ჴერ-არს საქმედ; მათ შინა მომავალნი განკურ-ნებოდეთ და ნუ ღღენსა შაბათსა. (15) მიუგო მას იესუ და ჰრქუა: ორგულო, კა-ცად-კაცადმან თქუენმან არა აღკვნისა შაბათსა ჴარი, ვინა ვირი ბავათაგან თუსთა და წარბიბის და ასუს წყალი? (16) ხოლო ესე ასული აბრაჰამისი იყო, რომელი შეეკრა ეშმაკსა, აჲ ესერა ათრვამეტი წელი არს; არა ჴერ-იყოა განკნნად საყრველთაგან მისთა ღღენსა შაბათსა?

(17) და ამას რა იტყოდა თავადი, ჰრცხუენიოდა ყოველთა წინა-აღმდგომთა მისთა; და ყოველსა მას ერსა უხაროდა ყოველთა მათ ზედა დიდებულებათა, რომელნი იქმნებოდეს მის მიერ. (18) და იტყოდა უფალი: რასა ვამსგავსო სასუ-

ფეველი ღმრთისა და ვისა მსგავს არს იგი? (19) მსგავს არს იგი მარტულსა ზიოგვსასა, რომელი მოილო კაცსან და დასთესა მტილსა თვსსა; და აღორძნდა და რქმნა იგი ხე¹ და მფრინველთა ცისათა დაიმკვდრეს რტოთა მისთა.

(20) მერმე კულად თქუა: რასა ვამსგავსო სასუფეველი ღმრთისა? (21) მსგავს არს იგი ცომსა, რომელი მოილო დედაკაცმან და შეპრთო იგი ფქვილსა სამსა საწყაულსა, ვიდრემდე აღაფუენოს ყოველი. (22) და მიმოვიდოდა ქალაქებსა და დაბნებსა და ასწავებდა და წარიგზავნებოდა იერუსალმმდ.

(23) და ჰრქუა ვინმე მას: უფალო, უკუეთუ მცირედ არიან ცხოვრებულნი? ზოლო თავადმან ჰრქუა მათ: (24) ილუაწუთ შესლვად იწროსა მისვან კარისა. ხოლო გეტყვ თქუნ: მრავალნი ეძიებდენ შესლვად და ვერ უძლონ. (25) ვინაათგან აღდგეს სახლისა უფალო და დაჰქსას კარი, და გარეშე სდგეთ და იწყოთ რეკად არსა და იტყოდით: უფალო, განმძლე ჩემს² და მოვიგოს და გრქუას თქუნ: არა გიცნი თქუნ, ვინანი ხართ. (26) მაშინ იწყით სიტყუად: ჭამდით წინაშე შენსა და ვსუემდით, და უბანთა ჩუნთა ზედა გუასწავებდ. (27) და გრქუას: არა გიცნი, ვინანი ხართ, განმეშოვრენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი სიტყუვისანი. (28) მუნ იყოს ტირილი და ღრქვენა კბილთა, რაჟამს იხილოთ აბრაჰამი, ისააკი და იაკობი და ყოველნი წინაწარმეტყუელნი სასუფეველსა ღმრთისასა და თქუნ განსხმულნი გარეშე. (29) და მოვიდოდიან მზის-აღმოსავალით და მზის-დასავალით, ჩრდილოთ და სამხრით და ინაჟ-იდგმიდენ სასუფეველსა ღმრთისასა. (30) და აჰა ესერა არიან უკუანასკნელნი, რომელნი იყვნენ³ პირველ, და არიან პირველნი, რომელნი იყვნენ უკუანასკნელ.

(31) მას დღესა შინა მო- ვინმე -უქდეს იესუს ფარისეველნი და ეტყოდეს მას: განედ და წარედ ამიერ, რამეთუ ჰერთედ გეძიებს შენ მოკლვად. (32) ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: მიედით და არქუთ მელსა მას: აჰა ესერა განვასხამ ეშმაკთა და კურნებასა აღვასრულებ დღეს და ხვალე და ზეგე აღვესრულები. (33) რამეთუ ჭერ-არს ჩემდა დღეს და ხვალე და ზეგე წარსლვად, რამეთუ ვერ ეგებოს წინაწარმეტყუელი გარეშე იერუსალმსა წარწყმედად.

(34) იერუსალმმ, იერუსალმმ, რომელმან მოჰწყუდენ წინაწარმეტყუელნი და ქვაჲ დაჰკრიბე მოვლინებულთა შენდა, რაოდენ გზის მინდა შეკრებად შეილთა შენთა, ვითარცა სახედ მფრინველმან თვსნი მართუენი ფრთეთა ქუეშე, და არა ინებეთ! (35) აჰა ესერა დაუტრენეთ თქუნ სახლნი თქუნნი ოჭრად. გეტყვ თქუნ: არღარა მიხილოთ მე ამიერთგან, ვიდრემდე სთქუათ: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა!

14

(1) და იყო მო-რა-ვიდოდა იესუ სახლსა ვისამე მთავრისა ფარისეველისასა დღესა შაბათსა ჭამად პურისა, და იგინი უმზირდეს მას. (2) და აჰა ესერა იყო ვინმე კაცი წყლითა მანკიერი წინაშე. მისსა⁴. (3) მიუგო იესუ და ჰრქუა შჭულის-მოძღუართა მათ და ფარისეველთა: უკუეთუ ჭერ-არს შაბათსა განკურნება? (4) ხოლო იგინი დუმნეს. და მოიყვანა კაცი იგი და განკურნა და განუტევა.

¹ ხმ B. ² იყვნეს B. ³ ამიზე წერილი ასომთავრულით, ტექსტის ხელითა და მეღწით, სწერია: „წყლითა მანკიერთა წინაშე მისა“.

(5) და პრქუა მათ: ვისი თქუენგანისაჲ შეილი, გინა ჯარი შთავეარდეს ჟურღულსა და არა მეყსეულად აღმოიქუეს იგი დღესა შუბათსა? (6) და ვერაჲ მიუვეს მას ამისთჳს.

(7) და ეტყოდა ჩინებულთა მათ იგავსა და შეისწაუებდა, ვითარ-იგი ზე-**მოქალმასა** ირჩევდეს, და ეტყოდა მათ: (8) რაჲამს გხადოს ვინმე ქორწინსა^ჲ ნუ დაჰქდები პირველსა საინაჲესა, ნუჟუჟე უპატიოსნ^მსი შენსა იყოს ჩინებულ მისგან; (9) და მოვიდეს, რომელმან-იგი შენ და მას გჲადა, და გრქუას შენ: ადგილ-ეც ამას! მაშინ იწყო სირცხვლით უკუანაჲსკენელსა ადგილსა დაჲყობად. (10) არამედ ოდეს გხადოს ჳონმე, მიედ და დაჲედ უკუანაჲსკენელსა ადგილსა, რაჲათა მოვიდეს, რომელმან-იგი გხადა შენ, და გრქუას შენ: მეგობარო, არ-**რე-გუალე ზემოკერძო!** მაშინ იყოს შენდა დიდება წინაშე ყოველთა მებინაჲეთა შენთა. (11) რამეთუ ყოველმან რომელმან აღმიადლოს თავი თჳსი, იგი დამდაბლდეს; და რომელმან დამდაბლოს თავი თჳსი, იგი აღმიადლდეს. (12) ეტყოდა მასცა, რომელმან-იგი ხადა მას: ოდეს ჰყოფდე სადილსა, გინა სერსა, ნუ ჰხად^ს სეგობართა შენთა, ნუცა ძმათა შენთა, ნუცა ნათესავთა შენთა, ნუცა მოძმეთა შენთა მდიდართა, ნუჟუჟე მათცა კუალად გხადონ შენ, და გექმნეს შენ მოსაგებელ. (13) არამედ ოდეს ჰყოფდე შენ სადილსა, ჰხადე გლახაკთა უმეცართა, მკელობელთა, ბრმათა, (14) და ნეტარ იყო, რამეთუ არა აქუს, რაჲმცა მოგაგეს შენ, და მოვეგოს შენ აღდგომასა მას მართალთასა.

(15) ესჲა ვისმე მის თანა მებინაჲესა ესე და პრქუა მას: ნეტარ არს, რომელმან ჳამოს პური სასუფეველსა დმრთისასა! (16) ხოლო თავადმან პრქუა მას: კაცმან ვინმე ყო პური დიდი და უწოდა მრავალთა. (17) და წარავლინა მონაჲ თჳსი ესჲა პურისასა, რაჲათა პრქუას ჩინებულთა მათ მოსლვად, რამეთუ: აჲ ესერა შუა არს ყოველი. (18) და იწყო თითოეულმან ყოველმან ჳმნად. პირველმან მან პრქუა მას: აგარაკი ვიყიდე და უნებელი ჳედა-მაც მისლვად და ხილვად. გლოცავ, მიტევე მე, ჳმნულმცა ვარ მე შენგან. (19) და სხუამან თქუა: უღლეული ჳართაჲ ვიყიდე ხუთი და მივალ გამოცდად მათა. გლოცავ შენ, ჳმნულმცა ვარ. (20) და მერმე სხუემან თქუა: ცოლი შევიერთე და მის გამო ვერ ჳელ-მემწიფების მისლვად. (21) და მოვიდა მონაჲ იგი და უთხრა უფალსა თჳსსა ესე. მაშინ განრისხნა სახლისა უფალი იგი და პრქუა მონასა მას თჳსსა: განედ აღრე უბანთა და ყურეთა ქალაქისათა და გლახაკნი, უცხონი და ბრმანი და მკელობელნი შემოიყვანენ აჲა. (22) და თქუა მონამან მან: უფალო, იჳმნა ბრძანებაჲ შენი და ადგილი არსლა. (23) და პრქუა უფალმან მან მონასა მას: განედ გზათა ჳედა და ფელოცთა და აიძულე შემოსლვად, რაჲათა აღიესოს სახლი ჩემი. (24) ხოლო გეტჳვ თქუენ: არავინ მათ კაცთაგანმან გემოჲ იხილოს სერობისა ამისგან ჩემისა.

(25) და შეკრებბოდა მისა ერი მრავალი; და მიექცა და პრქუა მათ: (26) რომელი მოვალს ჩემდა და არა მოიძულოს მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და ცოლი და შვილნი და ძმანი და დანი და მერმე კუალად თავიცა თჳსი, ვერ ჳელ-მემწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა. (27) და რომელმან არა აღილოს ჳუარი თჳსი და შემომიღგეს მე, ვერ ჳელ-მემწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა.

(28) ვის-მე უჲუე თქუენგანსა უნდეს გოდლისა შმნებაჲ და არა პირველად

დაჭდეს და აღირაცხოს, რაოდენი წარჭდეს, უკუეთუ აქუს, რაათა კმა-ეყოს აღსრულებადმდე, (29) ნუუკუე დაღვას საფუძველი და ვერ შეუძლოს აღსრულებად, და ყოველნი რომელნი ჰხედვიდენ მას, იწყონ მისა კიცხევად (30) და თქუნან, ვითარმედ: კაცმან ამან იწყო შშნებად და ვერ უძლო აღსრულებად.

(31) ანუ რომელი მეუფე მიუვალნ სხუასა მეფესა ბრძოლად, არა-მე პირველად დაჭდეს და განიზრახოს, უკუეთუ შემძლებელ არს ათითა ათასითა შემთხუევად ოცითა ათასითა მომავალსა მის ზედა? (32) უკუეთუ არა, ვიდრე შორსლა იყოს, მოციქული მიუვლინოს და მოიციტოს იგი მშულობით.

(33) ვერცა ყოველმანვე თქუენგანმან რომელმან არა იჯმნეს ყოველისაგან მონაგებისა თვისისა, ვერ ჭელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა.

(34) კეთილ არს მარილი. უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, რაათა დაიმარლოს? (35) არცა ქუეყანასა, არცა სკორესა სარგებელ არს, არამედ გარე განღვან იგი. რომელსა ასხენ: ყურნი სმენად, ესმოლენ!

15

(1) და იყენეს ყოველნი მეზუერენი და ცოდვილნი მახლობელად მისა და ისმენდეს მისსა. (2) და ღრტვნიდეს ფარისეველნი და მწიგნობარნი და იტყოდეს, ვითარმედ: ესე ცოდვილთა შეიწყნარებს და მათ თანა ჰვამს და სუამს.

(3) და ეტყოდა იგავსა ამას და ჰრქუა: (4) ვის თქუენგანსა კაცსა ეღვას ასა ცხოვარი და წარუწყმდეს ერთი მათგანი, არა-მე დაუტევენსა ოთხმეოც და ათცხრამეტნი იგი უღაბნოსა ზედა და წარვიდეს წარწყმედულისა მისთვის, ვიდრემდე პოვოს იგი? (5) და პოვოს რა იგი. დაისუსს მკართა ზედა თვისთა სიხარულით; (6) და მო-რა-ვიდეს იგი სახიდ. მოუწოდის მეგობართა და მოძმეთა და ჰრქუას მათ: ჩემ თანა გიხაროდენ, რამეთუ ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედულა. (7) გეტყვ თქუენ: ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა ერთისათვის ცოდვილისა. რომელმან შეინანოს, ვიდრელა ოთხმეოც და აცხრამეტთა მართალთა, რომელთა არა უქმს სინანული.

(8) გინა დედაკაცსა რომელსა აქუნდა ათი სატირი და წარწყმიდოს ერთი სატირი, არა-მე აღანთოსა სანთელი და მოჰმართოს სახლი და ეძიებდეს გულს-მოდგინედ, ვიდრემდე პოვოს იგი. (9) და პოვოს რა, მოუწოდის მეგობართა და მოძმეთა და ჰრქუას მათ: ჩემ თანა გიხაროდენ, რამეთუ ვპოვე სატირი იგი, რომელი წარმიწყმდა. (10) გეტყვ თქუენ: ესრეთ იყოს სიხარული წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა ერთსა ზედა ცოდვილსა, რომელმან შეინანოს.

(11) მერმე ეტყოდა და თქუა: კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე. (12) და ჰრქუა უმწემესმან¹ მან მამასა თვისსა: მომეც მე, რომელი მხედების ნაწილი სამკვდრე-ბელისაა. და განუყო მათ საცხოვრებელი იგი. (13) და შემდგომად არა მრავალთა დღეთა შეიკრიბა ყოველი უმწემესმან² მან ძემან და წარვიდა შოერსა³ სოფელსა და მუნ განაბნია ნაყოფი იგი მისი, რამეთუ ცხომდებოდა არაწმიდად. (14) და ვითარცა წარწყმიდა ყოველივე მისი, იყო სიყმილი ძლიერი სოფელსა მას, და იწყო მან მოკლებად. (15) და მივიდა, შეუდგა ერთსა მოქალაქესა მის სოფლისასა, ხოლო მან წარავლინა იგი ველად თვისა ძივნად ღორთა. (16) და გუ-

¹ ასეა B. ² ასეა B. ³ შოერსა B.

ლი ეტყოდა განძებდად მუცლისა ჩქისა მისგან¹, რომელსა-იგი ჰამედ ღორნი, და არაინ სცის მას.

(17) განიზრახა თავსა თუსსა და თქუა: რაოდენთა სასყიდლით დადგინებულთა² მამისა ჩემისათა ჰმარტ პური, და მე აქა სიყმილითა წარეწყმდები. (18) აღედგე, წარვიღე მამისა ჩემისა და ეპრქუა: მამაო, ევოლე ცად მიმართ და შენ წინაშე, (19) და არლარა ღირს ვარ მე წოდებდად ძედ შენდა. მუყე მე ვითარცა ერთი მუშაეთაგანი. (20) და აღდგა, მივიდა მამისა თუსისა. და ვიღრე იგი შორს-ლა იყო, იხილა იგი მამამან თუსმან და შეეწყალა. და მირბიოდა იგი და დავარდა ჰედსა ზედა მისსა და ამბოურ-უყოფდა. (21) პრქუა მას ძემან მან: მამაო, ევოლე ცად მიმართ და წინაშე შენსა და არლარა ღირს ვარ წოდებდად ძედ შენდა. (22) პრქუა მამამან მისმან მსახურთა თუსთა: გამოიღეთ სამოსელი იგი პირველი და შექმოსეთ მას და შეაეუთ ბეჰედი ჰელსა მისსა და ჰამლნი ფერჰთა მისთა. (23) და მოიბთ ზუარაკი იგი მსუქანს³ და დაკალთ და ეჰამოთ და ეიხარებდეთ, (24) რამეთუ ესე ძმ ჩემი მომეყდარ იყო და განცხოველდა, წარწყმედულ იყო და იპო-ვა. და იწყეს განცხრომად.

(25) და იყო ძმ იგი მისი უხუცესი ველსა გარე. და ვითარცა მოვიდოდა და ზიებალა სახლსა მას. ესმოდა ჰმა იგი სიხარულისა და განცხრომისა. (26) და მოუწოდა ერთსა მონათაგანსა და ჰკითხვიდა, ვითარმედ: რაა არს ესე? (27) ხოლო მან პრქუა მას, რამეთუ: ძმა შენი მოსრულ არს, და მამამან შენმან დაკლა ზუარაკი იგი ჰამებული, რამეთუ ცოცხლებით მოიყვანა იგი. (28) ხოლო იგი განრისხნა და არა უნდა შინა შესლვად. ხოლო მამა მისი გამოვიდა და ჰლოცვიდა მას. (29) და მან მიუგო და პრქუა მამასა თუსსა: აჰა ესერა ესოდენი წელი გმონე შენ და არასადა მცნებასა შენსა გარდაეჰქედ; და მე არასადა მომეც თიკა-ნი ერთი, რათამცა მეგობართა ჩემთა თანა ვიხარე. (30) და ოდეს ძმ ესე შენი მოვიდა, რომელმან შეჰამა საცხოვრებელი შენი მეზავთა⁴ თანა, დაუკალ მას ზუარაკი იგი ჰამებული. (31) ხოლო მან პრქუა მას: შეილო, შენ მარადის ჩემ თანა ხარ და ყოველი ჩემი შენი არს. (32) ხოლო აჰ მხიარულებდა და სიხარული ჰერ-არს რამეთუ ძმა ესე შენი მომეყდარ იყო და განცხოველდა, წარწყმედულ იყო და იპოვა.

16

(1) და ეტყოდა იესუ მოწაფეთა: კაცი ვინმე იყო მდიდარი, რომელსა ესუა ძმმ. და ესე შეასმინეს მას, ვითარმედ განაზნია ნაყოფი მისი. (2) და მოუწოდა და პრქუა მას: რაა არს, რომელი-ესე მესმის შენთვის? მომეც მე სიტყუა სამნო-სა შენსა, რამეთუ არლარა ჰელ-გეწიფების შენ ამიერთგან მნობად. (3) ხოლო მნემან მან თქუა გულსა თუსსა: რაა ეყო, რამეთუ უფალი ჩემი მიმი-ღებს სამნოსა ჩემსა? საქმედ არა ძალ-მიც⁴, თხოვად მრცხუნის. (4) აჰ უწყი. რაა ეყო, რათა, რაჟამს გარდაედგე მნობისაგან, შემიწყნარონ მე სახლთა მთთა. (5) და მოუწოდა კაცად-კაცადსა, თანა-მდებსა უფლისა თუსისასა, და პრქუა არტელსა მას: რაოდენი თანა-გაც უფლისა ჩემისა? (6) ხოლო მან თქუა: ასი საწინებელი ზეთისა. და პრქუა მას: მიიღე ჰელით წერილი შენი და დაჰედ აღრე

¹ ჩქისა მის B [ამ სიტყვის გასწვრივ აშიაზე ტექსტის ხელით, მაგრამ მომტორო ასომთავრულით, წერია: „ჩქაა, რომელ არს კერატი“]. ² დგინებულთა B. ³ ასეა B. ⁴ ძალ-მიც B.

და დაწერე ერგასისი. (7) მერმე სხუასა პრქუა: შენ რაოდენი თანა-გაც? ხოლო მან თქუა: ასი ოცდაათეული იფქლისაჲ. პრქუა მასცა: მიიღე ჳელით—წერილი შენი და დაწერე ოთხმეოცი. (8) და აჲო უფალმან მან მნშ იგი სიცრუვისაჲ, რა-მეთუ გონიერად ყო. ხოლო ძენი ამის სოფლისანი უგონიერშს არიან უფროს ცეთა ნათლისათა წათესაჲსა მათსა შოკრის.

(9) და მე გეტყვ თქუენ: ისხენთ თავისა თქუენისა მეგობარნი მამონაჲსა მისგან სიცრუვისა, რაჲთა, რაჲამს მრაკლდეთ თქუენ ამიერ სოფლით, შეგოწყნარ-ნენ თქუენ საუკუნეთა მათ საყოფელთა. (10) სარწმუნოა იგი მკირესა ზედა მრავალსა ზედაცა სარწმუნო არს; და რომელი მკირესა ზედა ცრუ არს, მრავალ-საცა ზედა ცრუ არს. (11) უკუეთუ სიცრუვისასა ამას მამონასა სარწმუნო არა იქმნეთ, ჳეშმარიტი იგი ვინ გარწმუნოს თქუენ? (12) და უკუეთუ სხვასა მას სარწმუნო არა იქმნეთ, თქუენი იგი ვინ მოგცეს? (13) არავის მონასა ჳელ-ეწი-ფების ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი სძულდეს და ერთი შეიყუაროს, ანუ ერთისაჲ თავს-იდვას და ერთი შეურაცხ-ყოს. ვერ ჳელ-ეწიფების ღმრთისა მო-ნებად და მამონასა.

(14) ესმოდა ესე ყოველი ფარისევლთაცა, რამეთუ ვეცხლის-მოყუარებ: იყე-ნეს და შეურაცხ-ჰყოფდეს მას, (15) და ეტყოდა მათ: თქუენ ხართ, რომელნი განიმართლებთ თავთა თუსთა წინაშე კაცთა, ხოლო ღმერთმან იცნის გულნი თქუენნი, რამეთუ კაცთა შოკრის მაღალი საძაგელ არს წინაშე ღმრთისა. (16) შჯული და წინაწარმეტყუელნი ვიდრე იოჰანშსამდე: მიერითგან სასუფეველი ღმრთისაჲ ეხარებდის, და ყოველი ვინვე მისა მიმართ იძილუების. (17) უადვილშს არს ცისა და ქუეყანისა წარსლავა, ვიდრეღა შჯულისაგანი ერთი მოხატული დაერდომად. (18) ყოველმან რომელმან განუტეოს ცოლი თჳსი და შეირთოს სსუაჲ, მან იმრუშა; და რომელმან განტევებული ქმრისაგან შეირთოს, მანცა იმრუშა.

(19) კაცი ვინმე იყო მდიდარი და იმოსებოდა იგი ძოწუელითა და ბჳსონითა და იხარებდა დღითი-დღედ ბრწყინვალედ. (20) გლახაკი ვინმე იყო, სახელით ლაზარე, დაერდომილ იყო წინაშე ბჳეთა მისთა და ქუე ძურებოდა. (21) და გუ-ლი ეტყოდა განძებად ბიჭისა მისგან, გარდამოკუვენებულისა ტაბლისაგან მის მდიდრისა. არამედ ძაღლისცა მოვიდოდეს და ჰლოშნიდეს წყულულსა მას მისსა.

(22) იყო სიკუდილი გლახაკისაჲ მის და მიიყვანა იგი ანგელოზთაგან წიაღთა აბრაჰამისთა. მოკუდა მდიდარიცა იგი და დაეფლა. (23) და ჯოჯოხეთს შიდა აღიხილნა თულანი თჳსნი, იყო რა იგი ტანჯვასა შიდა, და იხილა აბრაჰამი შოვ-რით და ლაზარე წიაღთა მისთა. (24) და მან ჳმა-ყო და თქუა: მამაო აბრაჰამ. შემიწყალე მე და მოავლინე ლაზარე¹, რაჲთა დააწოს მწუერველო თითისა მი-ისისა წყალსა და განმიგრილოს ენაჲ ჩემი, რამეთუ ვიტანჯებდი მე ალითა ამით ცეცხლისაჲთა. (25) ხოლო აბრაჰამ პრქუა მას: შეილო, მოიჳსენე, რამეთუ მიიღე კეთილი შენი ცხოვრებასა შენსა, და ლაზარე ეგრევე მსგავსად ბოროტი. და აჲ ცხერა ესე აჲა ნუგეშინის-ცემულ არს, ხოლო შენ იტანჯები. (26) და ამას ყო-ველსა თანა შოკრის ჩუენსა და შენსა დანახეთქი დიდი დამტკიცებულ არს, რაჲ-თა რომელთა უნდეს წიაღსლვად ამიერ ოკუენდა, ვერ ჳელ-ეწიფების, არცა ნაგერ ჩუენდა წიაღმოსლვად. (27) ხოლო მან თქუა: გლოცავ შენ, მამაო, მიაჲ-

¹ ლაზარე B.

ლინე ეგე სახლსა მამისა ჩემისასა, (28) რამეთუ მისხენ ხუთნი ძმანი, რაათ: აუწყოს მათ, და არა მოვიდენ ივინიცა აღვილსა ამას სატანჯველისასა. (29) ჰრქუა მას აბრაჰამ: ჰქონან მოსე და წინაწარმეტყუელნი, ისმინედ მათი. (30) ხოლო მან თქუა: არა, მამოა აბრაჰამ, არამედ უკუეთუ ვინმე მკუდრეთით მივიდეს მათა, შეინანონ. (31) ჰრქუა მას აბრაჰამ: უკუეთუ მოსცხი და წინაწარმეტყუელთა არა ისმინეს, არცაღა, მკუდრეთით თუ ვინმე აღდგეს, ჰრწმენეს მათ.

17

(1) ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა: შეუგვანებელ არს საცთურისა არა მოსლავა, ხოლო ვაჲ, ვისგან მოვიდეს. (2) უადვილეს არს მისა, უკუეთუმცა ლოდი ფეკილისაჲ ზედა ეღვა ქედსა და შთაერდომილ იყო ზღუასა, ვიდრე არა დაპკოლებასა ერთსა ამას მცირეთაგანსა. (3) არამედ ეკრძაღნიით თაეთა იქუენთა: უკუეთუ შეგკოდოს შენ ძმამან შენმან, შეპარისხენ მას; და უკუეთუ შეინანოს, მიუტევე მას. (4) დაღათუ შუღ-გზის ღღესა შინა შეგკოდოს შენ და შუღ-გზის მოაქციოს და გრქუას შენ: შევინანე, მიუტევე მას.

(5) ჰრქუეს მოციქულთა უფალსა: შემძინე ჩუენ სარწმუნოებაჲ! (6) ჰრქუა მათ იესუ: უკუეთუ გაქუეს სარწმუნოებაჲ, ვითარცა მარცუალი მღოგვსაჲ, არქუთმცა ლელუსულელსა ამას: აღიფხუერ და დაენერგე ზღუასა შინა, და ისმინამცა თქუენი.

(7) ვის-მე თქუენგანსა¹ ესუას მონაჲ მქველი, გინა მწყემსი, რომელიმცა მოვიდა ველით, და შეესულად ჰრქუას მას: წარმოქედ და დაჯდე! (8) არამედ ჰრქუას მას: შუა-მიყავ, რაათა ვისერო, და მოირტყენ და მმსახურე, ვიდრემდე ვჰამო და ესუა, და ამისა შემდგომად ჰამე და სუ შენცა. (9) ნუუკუე მადლ-იყარას მონისაჲ მის, რამეთუ ყო ბრძანებაჲ მისი? არა ეპკონებ. (10) ეგრეცა თქუენ, ოდეს ჰყოთ ბრძანებული თქუენდა, თქუთ, ვითარმედ: მონანი უქმარნი ვართ; რომელი თანა-გუედვა ყოფად, კყავთ.

(11) და იყო მისლევასა მას მისსა იერუსალმშედ და თაეადი განვიდოდა შოერის სამარიასა და გალილეასა. (12) და შე-რა-ვიდა იგი დაბასა რომელსამე, მოეგებვოდეს მას ათნი კეთროვანნი კაცნი, რომელნი დაღდგეს შოერის (13) და აღიმადღეს ჰმად მათი და იტყოდეს: იესუ მოძღუარ, შემიწყალენ ჩუენი! (14) და თაეადმან ვითარცა იხილნა ივინი, ჰრქუა მათ: წარედით და უჩრუენით თაენი თქუენნი მოდელთა. და იყო ვითარ წარ-ოდენ-ვიდეს ივინი მისგან, განწმინდეს კეთროვანებისა მისგან. (15) ხოლო ერთმან მათგანმან² იხილნა რაჲ, რამეთუ განიკურნა, მოიქცა და ჰმითა დიდითა აღიდებდა ღმერთსა. (16) და დაეარდა წინაშე ფერქთა მისთა და ჰმადლობდა მას. და ესე იყო სამარიტელი. (17) მიუგო იესუ და ჰრქუა მას³: არა ათნივე განიკურნესა? და ცხრანი იგი სადა არიან? (18) ვერ იპოვენს ეგოდენ, რაათამცა მოიქცეს და მისცეს დიდებაჲ ღმერთსა, გარნა უცხო-თესლი ხოლო ესე? (19) და ჰრქუა მას: აღდევ და წარედ! სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ.

(20) ჰკითხეს მას ფარისეველთა: ოდეს-მე მოიწიოს სასუფეველი ღმრთისაჲ? მიუგო მათ იესუ და ჰრქუა: არა მოვიდეს სასუფეველი ღმრთისაჲ ზმნით; (21) არცა თქუან: აჰა აჰა, ანუ იქი. აჰა ეგერა სასუფეველი ღმრთისაჲ შოერის თქუენ-

¹ თქუენსა (თქნსა) B. ² მანგან B. ³ მათ B.

სა არს. (22) და პრქუა მოწაფეთა თჳსთა: მოვლენან ღღენი, ოდეს გული გითქუ-
მიდეს თქუენ ღღეთათჳს ძისა კაცისათა ხილვად და არა იხილოთ. (23) და
გრქუან თქუენ: აჰა აჰა არს, და: აჰა იქი არს, ნუ განხუალთ. (24) რამეთუ ვითარ-
ცა ელვაჲ რაჲ გამოჩნდის კიდითგან ცისაჲთ და ბრწყინავენ ვიდრე კიდემდე მისა.
ესრმთ იყოს ძმ კაცისაჲ ღღეთა მისთა. (25) ხოლო პირველად ჟერ-არს მისა
ფრიად ვნებად და შეურაცხ-ყოფად ნათესაისა ამის.

(26) და ვითარცა-იგი იყო ღღეთა ნოშთა, ეგრმთ იყოს ღღეთა მათ ძისა
კაცისათა: (27) ჰამდეს და სუმიდეს, იქორწინებოდეს და განჰქორწინებდეს ვიდ-
რე ღღედმდე შესვლად ნოშსა კიდობნად. და მოიწია წყლით-არღუნაჲ იგი და
წარწყმიდნა ყოველნი. (28) და ეგრევე ვითარცა-იგი იყო ღღეთა ლოტისთა: ჰამ-
დეს და სუმიდეს, იყიდდეს და განჰყიდდეს, ნერგსა ასხმიდეს და აშენებდეს:
(29) და რომელსა ღღესა განვიდა ლოტ სოლომით, აწჳმა ცეცხლი და წუნწუბი
ზეით და წარწყმიდნა ყოველნი. (30) ესრმთვე იყოს ღღე იგი, ოდეს ძმ კაცი-
საჲ გამოჩნდეს.

(31) მას ღღესა შინა რომელი იყოს ერდოსა ზედა, და კურჰერი მისი სახლ-
სა შინა, ნუ გარდამოვალნ აღღებად მისა; და რომელი იყოს ველსა გარე, ნუ
მოიქცევიან კუალად. (32) მოიქსენეთ ცოლისაჲ მის ლოტისი. (33) რომელსა
უნდეს თავისა თჳსისა განრინებაჲ, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმი-
დოს, მან აცხოველოს იგი. (34) გეტყვ თქუენ: მას ღამესა ორნი იყვიენ ცხელარსა
ერთსა: ერთი იგი წარიტაცოს, და ერთი იგი დაეტევოს; (35) ორნი ფჳვიდენ ერ-
თად: ერთი იგი წარიტაცოს, და ერთი იგი დაშთეს. (37) ¹ და მიუგეს და პრქუეს:
ვიდრე, უფალო? ხოლო თავადმან პრქუა მათ: სადაცა ჟორცნი, მუნცა ორბებჲ
შეკრბეს.

18

(1) ეტყოდა მათ იგავსაცა, ვითარ-იგი ჟერ-არს მათა მარადის ლოცვაჲ და
რაჲთა არა ეწყინებოდის ლოცვასა შინა. (2) და იტყოდა: მსაჭული ვინმე იყო
ქალაქსა შინა, ღმრთისი არა ეშინოდა და კაცთაგან არა პრცხუენოდა. (3) და ქუ-
რივი იყო მასევე ქალაქსა. და მოვიდის მისა და ეტყვის: მისაჟე მე წინამოსაჭული-
საგან-ჩემისა. (4) და არა ისმინის მისი, ვიდრე რომლად ეჲმადმდე. ამისა შემდგო-
მად თქუა გულსა თჳსსა: დაღათუ ღმრთისა არა მეშინის და არცა კაცთაგან
პრცხუენის, (5) ამისთჳს, რამეთუ შრომას მახუედრებს მე მარადის ქურივი ესე,
უსაჟო მას, რაჲთა არა მარადის მოვიდოდის და მაწყინებდეს მე. (6) და პრქუა
მათ უფალმან: ისმინეთ აწ, რასა-იგი მსაჭული სიცრუეისაჲ იტყვს. (7) ხოლო
ღმერთმან. არა-მე ყოსა შურის-გებაჲ რჩეულთა მისთაჲ, რომელნი დაღადებენ
მისა ღღე და ღამე, და სულგრძელ არს მათ ზედა? (8) გეტყვ თქუენ: ყოს შუ-
რის-გებაჲ მათთჳს ადრე. ხოლო მო-რა-ვიდეს ძმ კაცისაჲ, პოვოს-მეა საჩჳშუ-
ნობეჲჲ ქუეყანასა ზედა? (9) თქუა ვიეთამე მიმართ იგავი ესე; რომელნი ესევენ
თაეთა თჳსთა, ვითარმედ მართალ არიან და შეურაცხ-ჰყოფდეს სხუათა, (10) ვი-
წარმედ: ორნი კაცნი აღვიდოდეს ტაძარსა მას ლოცვად: ერთი ფარისეველი და
ერთი მეზუერმ. (11) ფარისეველი იგი წარდგა და ამას ილოცვიდა თჳსაგან:
ღმერთო, გმადლობ შენ, რამეთუ არა ვარ, ვითარცა სხუანი კაცნი, მტაცებელ,

ქრუ. მეგრულში, გინა ვითარცა ესე მეზუერტ, (12) ვიძარხავ ორ-გზის შაბათსა ზინა და ათეულსა შეესწირავ ყოვლისაგან მონაგებისა ჩემისა. (13) ხოლო მეზუერტ იგი შორს დგა და ვერ იკადრებდა თუალთაცა ზეცად აღხილვად, არამედ იცემდა მკერდსა და იტყოდა: უფალო, მილხინე მე, ცოდვილსა ამას. (14) გეტყვ თქუენ: გარდამოვიდა ესე განმართლებული, ვიდრე ფარისეველი იგი, რამეთუ რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, აღმაღლდეს.

(15) მოპკურიდეს მას ყრმებსაცა, რაათა მიეახლნენ მას. და ვითარცა იხილეს მოწაფეთა, აყენებდეს მათ. (16) ხოლო იესუ მოუწოდა მათ და ჰრქუა: აცადეთ ყრმათა მგაბთ მოსლვად ჩემდა და ნუ აყენებთ მგაბთ, რამეთუ ეგევითართა არს სასუფეველი ღმრთისაჲ. (17) ამენ გეტყვ თქუენ: რომელმან არა შეიწყინაროს სასუფეველი ღმრთისაჲ, ვითარცა ყრმაჲ, ვერ შევიდეს მას.

(18) და ჰკითხა ვინმე მას მთავარმან და ჰრქუა: მოძღუარო სახიერო, რაჲ საქმე ექმნე, რაათა ცხოვრებამ საუკუნოჲ დაემკვიდრო? (19) ჰრქუა მას იესუ: რაჲსა მეტყვ მე სახიერით? არავინ არს სახიერ, გარნა მხოლოჲ ღმერთი. (20) მტნებანი იცინ: ნუ იმრუშებ, ნუ კაც-ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ცილსა სწამებ, ჰატრე-ეც მამასა შენსა და ღელასა შენსა. (21) ხოლო მან თქუა: ეგე ყოველი დამიმარხავს სიყრბით ჩემითგან. (22) ესმა რა ესე იესუს, ჰრქუა მას: ერთიღა გაკლს შენ: ყოველი, რაჲცა გაქუს, განყიდე და მიეც გლახაკთა, და გაქუნდეს საუნჯეჲ ცათა შინა, და მოედ და შემომიდეგ მე. (23) და ვითარცა ესმა ესე მას, მწუხარე იქმნა, რამეთუ იყო იგი მდიდარ ფრიად. (24) ვითარცა იხილა იგი იესუ, თქუა, ვითარმედ: ძნიად შევიდენ სასუფეველსა ღმრთისასა, რომელთა აქუნდეს საფასჲ. (25) უადვილეს არს მანქანის საბელი ქურელსა ნემსისასა განსლვად, ვიდრე მდიდარი სასუფეველსა ღმრთისასა შესლვად.

(26) ხოლო რომელთა-იგი ესმა, ჰრქუეს: და ვის-მე ჴელ-ეწიფების ცხოვრებად? (27) მიუგო იესუ და ჰრქუა: შეუძლებელი კაცთაგან შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ. (28) ჰრქუა მას პეტრე: აჲ ესერა ჩუენ დაუტევეთ ყოველივე თვისი და შეგიდევით შენ. (29) ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ამენ გეტყვ თქუენ, რამეთუ არავინ არს, რომელმან დაუტევა სახლი, გინა მამა-დედანი, გინა ძმანი, ანუ ცოლი, ანუ შეილნი სასუფეველისათვის ღმრთისასა, (30) რომელმამ არა მიიღოს მრავალი წილი ჟამსა ამას და საუკუნესა მას მომავალსა ცხოვრებამ საუკუნოჲ დამკვიდროს.

(31) და წარიყვანა ათორმეტნი იგი და ჰრქუა მათ: აჲ ესერა ადვალთ იერუსალმად, და აღესრულნენ ყოველნი დაწერილნი წინაწარმეტყუელთანი ძესა ჴელა კაცისასა, (32) რამეთუ: მიეცეს ჴელთა წარმართასა, და ეციცხედდენ მას და იგინოს, და ჰნერწყუვიდენ (33) და სტანჯვიდენ და მოკლან იგი, და შესამებსა დღესა აღდგეს. (34) და მათ არა გულისხმა-ყვეს ესე, არამედ იყო სიტყუამ იგი დაფარულ მათგან, და არა იცოდეს თქუმული იგი.

(35) და იყო ვითარცა მიეახლნეს იერიქოდ, ბრმამ ვინმე ჴდა გზასა ჴელა მთხოველად. (36) ვითარცა ესმა, რამეთუ ერი წარმოვალს, ჰკითხვიდა, ვითარმედ: რა-მე არს ესე? (37) და უთარეს მას, ვითარმედ: იესუ ნაზარეველი წარმოვალს. (38) და მან ღაღად-ყო და თქუა: იესუ, ძეო დავითისო, შემიწყალე მე! (39) ხოლო რომელნი წინა-უძღოდეს, ჰრისხვიდეს მას, რაათა დადუმნეს. ხოლო იგი უფროს ღაღადებდა და იტყოდა: იესუ, ძეო დავითისო, შემიწყალე მე!

(40) დადგა იესუ და ბრძანა მოწოდებამ მისი. და ვითარცა შეიხალა იგი, ჰკითხა მას: (41) რაა გნებავს, და გიყო შენ? ხოლო მან ჰრქუა: უფალო, რაათა აღმეხილნენ თუალნი. (42) ხოლო იესუ ჰრქუა მას: აღიხილენი სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. (43) და მეყსეულად აღიხილნა და მისდევდა მას და აღიღებდა ღმერთსა. და ყოველმან ერმან იხილა და აქებდეს ღმერთსა.

(1) და შევიდა და განვიდოდა იერიქოთ. (2) და აჰა ესერა კაცი ვინმე, და სახელი მისი ზაქეე. და იყო იგი მთავარი მეზუერეთაჲ, და ესე იყო მდიდარ ფრიად. (3) და უნდა ხილვად იესუსისი, ვინ-ძი არს, და ვერ ეძლო ხილვად ერისა მისგან, რამეთუ ჰასაკითა იყო მცირე¹. (4) და წარბიოდა წინა და აღჲდა ლელჲ სულელსა, რაათა იხილოს იგი, რამეთუ მიერ წარსლვად იყო. (5) და მოვიდა ადგილსა მას, მიხედა იესუ და ჰრქუა მას: ზაქეე, იწრაფე და გარდამოქედ, რამეთუ დღეს სახლსა შინა შენსა ჯერ-არს ჩემი ყოფაჲ. (6) და იწრაფა და გარდამოქდა და შეიყვანა იგი სიხარულით.

(7) და იხილეს რა ყოველთა, დრტყნიდეს და იტყოდეს, ვითარმედ: ცოდვილისა კაცისა თანა შევიდა დადგრომად. (8) აღდგა ზაქეე და ჰრქუა უფალსა: აჰა, უფალო, ზოგი ნაყოფთა ჩემთაჲ მივსცე გლახაკთა; და უკუეთუ ვისმე ცილადავსდევ, მივაგო ოთხი წილი. (9) ჰრქუა მას იესუ: დღეს იქმნა ცხოვრებამ სახლისაჲ ამის, რამეთუ ესეცა ნაშობი აბრაჰამისი არს. (10) რამეთუ მოვიდა ძმ კაცისაჲ მოძიებად და ცხოვრებად წარწყმედულისა.

(11) და ვითარცა ესმოდა ესე ერსა მას, შესძინა და თქუა იგავი ამისთვის, რამეთუ მოახლებულ იყო იგი იერუსალჲმსა, და ჰგონებდეს იგინი, ვითარმედ მეყსეულად გამოჩნდეს სასუფეველი ღმერთისაჲ. (12) და ჰრქუა მათ: კაცი ვინმე აზნაური წარვიდა შოერსა სოფელსა მოღებად თავისა თვისისა მეუფებისა და მოქცევად. (13) და მოუწოდა ათთა მონათა მისთა და მისცა მათ ათი სასწორი და ჰრქუა მათ: ვაჭრობლით ამას, ვდღერმდე მოვიდე. (14) ხოლო მოქალაქეთა მისთა სძულდა იგი და მიავლინეს მოციქული შემდგომად მისსა და ჰრქუეს მას: არა გუნებავს მაგისი მეფობაჲ ჩუენ ზედა.

(15) და იყო მოქცევას მას მისსა მოაქუნდა მეუფებამ მისი და ბრძანა მოწოდებამ მონათაჲ მათ, რომელთა მისცა ვეცხლი იგი, რაათა უწყოდის, რაა-იგი ივაჭრეს. (16) და მოვიდა პირველი იგი და თქუა: უფალო, შენმან მან ვეცხლმან ათი სხუაჲ შეიძინა სასწორი. (17) ჰრქუა მას: კეთილ, სახიერო მონაო, რამეთუ მცირესა ზედა სარწმუნო იქმენ, იყავ შენ ჰკლმწიფე² ათთა ზედა ქალაქთა. (18) და მოვიდა მეორე იგი და თქუა: უფალო, ვეცხლმან მან შენმან ხუთილა სხუაჲ სასწორი ყო. (19) ჰრქუა მასცა: და შენცა იყავ ზედა ხუთთა ქალაქთა. (20) და მოვიდა მესამე იგი და თქუა: უფალო, აჰა ვეცხლი შენი, რომელი მაქუნდა დაკრძალული სულარსა, (21) რამეთუ მეშინოდა, ვითარმედ კაცი ხარ სასტიკი: მოილი, რომელი არა დასდვი, და მოიმკი, რომელი არა დაძთესი. (22) ჰრქუა მას: პირისა შენისაგან გსაჯო შენ, მონაო ურწმუნოო; იცოდე, რამეთუ მე კაცი ვარ სასტიკი: მოვილი, რომელი არა დაეძვი, და მოვიმკი, რომელი არა დავსთესი. (23) და რაასათვის არა დასდევ ვეცხლი ჩემი სავაჭროსა, და მო-მცა-ვედ და აღ-

ნადგინებთურთ ვქმენ იგი? (24) და წინაშე მდგომელთა მათ ჰრქუა: მიუღეთ¹ და მიეცით, რომელსა აქუს ათი სასწორი ვეცხლი. (25) და მათ თქუეს: უფალო, აქუს ათი სასწორი. (26) ხოლო გეტყვ თქუენ: რომელსა აქუნდეს. მიეცეს და პიემატოს; ხოლო რომელსა არა აქუნდეს და რომელსა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ელის მისგან. (27) ხოლო მტერნი იგი ჩემნი, რომელთა არა უნდა მეუფებამ ჩემი მათ ზედა. მომგუარენით მე აქა და მოწყვდენით წინაშე ჩემსა.

(28) და ესე ვითარცა წართქუა, ვიდოდა წინაშე მათსა და აღვიდოდა იერუსალმად. (29) და იყო ვითარცა მიეახლა ბეთთაგად და ბეთანიად, მთასა თანა, რომელსა ჰრქვან ზეთისხილთაჲ, წარავლინნა ორნი მოწაფეთა მისთაგანნი (30) და ჰრქუა მათ: წარედით წინაშე დაბასა მაგას, რომელსა შეხვდეთ, და ჰპოეოთ კიცვ დაბმული, რომელსა არაეინ დაჯდომილ არს; აღჰქსენით და მომგუარეთ მე. (31) და უკუეთუ ვინმე გკითხვიდეს: რამსათჳს აღჰქსენით? ესრე თქუთ, ვითარმედ: უფალსა უქმს ეგე. (32) და ვითარცა წარვიდეს, რომელნი-იგი მიავლინნა, პოვეს ეგრე, ვითარცა-იგი ჰრქუა მათ. (33) და აღჰქსნიდეს იგინი კიცუსა მას. ჰრქუეს მათ უფალთა მათთა: რამსათჳს აღჰქსენით კიცუსა მაგას? (34) ხოლო მათ თქუეს, ვითარმედ: უფალსა უქმს ეგე. (35) და მოჰგუარეს იგი იესუს და დაასხეს სამოსელი კიცუსა მას, და დაჯდა მას ზედა იესუ. (36) და ვითარ შევიდოდა იგი, დაუფენდეს სამოსელსა მათსა გზასა ზედა.

(37) და ვითარცა მიიწია იგი შთასავალსა მას მთისა ზეთისხილთაჲსა, იწყო უოველმან მან სიმარკელემან მოწაფეთამან სიხარულით ქებად ღმრთისა ჳმითა დიდითა უოველთა მათთჳს, რომელნი იხილნეს ძალნი. (38) და იტყოდეს: კურთხეულ არს მომავალი მეუფმ სახელითა უფლისაჲთა! მშუდობაჲ ცათა ზედა და დიდებაჲ მალალთა შინა! (39) და ფარისეველნი ვინმე ერისა მისგანნი ეტყოდეს მას: მოძღუარ, შეჰარისხენ მოწაფეთა შენთა, რაჲთა ღუმენენ. (40) ხოლო იესუ ჰრქუა მათ: გეტყვ თქუენ: დაღათუ ესენი ღუმენენ, ჳეანი დაღადებდენე. (41) და ვითარცა მიეახლა, იხილა ქალაქი იგი და ტროდა მას ზედა (42) და იტყოდა ვითარმედ: უკუეთუმცა გეცნა შენ დღესა ამას მშუდობად შენდა! ხოლო აწ დაეფარა თუალთაგან შენთა. (43) რამეთუ მოვლენან დღენი შენ ზედა, და მოგადგან შენ მტერთა შენთა ლაშქარი და გარე-მოვადგენ შენ და შეგკრიბონ შენ უოვლით კერძო (44) და დაგარღვონ შენ, და შეილნი შენნი მოვრის შენსა დაეცნენ, და არ დაშთეს-ქება ქეასა ზედა შენ შოვრის ამისთჳს, რამეთუ არა გულისხმა-ჰყავ ეამი მოხედვისა შენისაჲ.

(45) და ვითარცა შევიდა ტაძარსა მას, იწყო გამოსხმად, რომელნი ჰყიდდეს ტრედეშა, (46) და ჰრქუა მათ: წერილ არს: იყოს სახლი ჩემი სახლ სალოკველ, ხოლო თქუენ ჰყავთ იგი ქუბადლ ავაზაკთა. (47) და იყო მუნ და ასწავებდა დღითი-დღედ ტაძარსა მას შინა. ხოლო მღღელთ-მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი და მთავარნი ერისანი ეძიებდეს მას წარწყმედად (48) და ვერარას ჰპოვებდეს, რაჲ უყონ, რამეთუ ყოველი ერი დამორჩილებულ იყო სმენად მისგან.

(1) და იყო მათ დღეთა ოდენ ასწავებდა ერსა მას და ახარებდა ტაძარსა მას შინა. ზედამიქვდეს მღღელთ-მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი მოხუცებულნი-

¹ მიიღეთ B (მდრ. ლ. 19,24 CL).

თურთ, (2) ეტყოდეს მას და პრქუეს: მითხარ ჩუენ, რომლითა ჳელმწიფებოთა იქმ შენ ამას, ანუ ვინ მოგცა შენ ჳელმწიფებაჲ ესე? (3) მიუგო იესუ და პრქუა მათ: გკითხო თქუენ სიტყუაჲ, და მითხართ მე: (4) ნათლის-ცემჲა იოჲანშის ჳეცით იყო, ანუ კაცთაგან? (5) ხოლო იგინი შეიზრახნეს ურთიერთას და იტყოდეს: უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ: ჳეცით იყო, გურქუას ჩუენ: რახათჳს არა გრწმენა მისი? (6) და უკუეთუ ვპრქუათ: კაცთაგან, ყოველმან გრმან ქება დამკრიბოს ჩუენ, რამეთუ სარწმუნო არს იოჲანე წინაწარმეტყუელად. (7) და მიუგეს და პრქუეს: არა ვიცით, ვინაჲ იყო. (8) და იესუ პრქუა მათ: არცა მე გითხრა თქუენ, რომლითა ჳელმწიფებოთა ამას ვიქმ.

(9) და იწყო იგავით სიტყუად მათა: კაცმან ვინმე დაასხა ვენაჳი და მისცა იგე მოქმედთა და წარეიდა მრავალთა ეამთა. (10) და ეამსა თჳსსა მიაველინა მოქმედთა მათ მონაჲ, რახათა ნაყოფისა მისგან მოსცენ მას. ხოლო მოქმედთა მათ სცეს და ტანჭეს და წარავლინეს იგი ცალიერი. (11) და შესძინა მიველინებად სხუაჲ მონაჲ. ხოლო მათ იგიცა გუემეს და წარავლინეს ცუდი. (12) მერმე კუალად მიაველინა¹ მესამშ. ხოლო მათ შეიპყრეს და დასდვეს მას წყლულებჲა და გამოაძეს იგი. (13) და თქუა უფალმან მის ეენაჳისამან: რაჲ ვყო? მიველინო მშ ჩემი საყუარელი, ვინ იცის, შეიციდომონ. (14) ხოლო მათ ქუეყანის-მოქმედთა ვითარცა იხილეს იგი, ზრახვა-ყვეს ურთიერთას და თქუეს: ესე არს მკვდარი, მოვედით და მოვკლათ იგი, რახათა ჩუენდა იყოს სამკვდრებელი. (15) და განიყვანეს იგი გარეშე სავენაჳისა მას და მოკლეს. აჲ რაჲ უყოს უფალმან მან სავენაჳისამან? (16) მოვიდეს და წარწყმიდნეს ქუეყანის-მოქმედნი იგი და მისცეს ვენაჳი იგი სხუათა. ხოლო მათ ესმა ესე და თქუეს: ნუ იყოფინ!

(17) ხოლო თავადმან მიხედა მათ და პრქუა: ვითარ არს წერილი ესე: ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, იგი იქმნა თავე საკიდურისა? (18) ყოველი, რომელი დაეცეს ლოდსა მას ჳედა, შეიმუსროს; და რომელსა ჳედა დაეცეს, განაქრიოს იგი.

(19) და უნდა მღღელთ-მოძღუართა მათ და მწიგნობართა დასხმად ჳელთა მათთა მას ეამსა შინა და ეშინოდა ერისა მის, რამეთუ გულისხმა-ყვეს, ვითარმედ მათთჳს თქუა იგავი ესე. (20) და მზირ-უყვეს მას და მიაველინეს მზირნი ორგულნი, რომელნი მართლად იტყოდეს თავთა თჳსთა, რახათა პოვეს რამე სიტყუაჲ მის თანა და მისცენ იგი მთავრობასა და ჳელმწიფებასა მთავრისასა. (21) და ჰკითხეს მას და ეტყოდეს: მოძღუარ. ვიცით, რამეთუ მართლისა იტყვ და ასწავებ და არავის თუალთ-აღებ, არამე ვეშმარიტად გზასა ღმრთისასა ასწავებ. (22) ჳერ-არსა კეისარსა ხარკისა მიცემად ანუ არა? (23) და ვითარცა გულისხმა-ყო ჳაკულებჲა იგი მათი, პრქუა მათ: რახსა გამომკლით მე? (24) მიჩუენეთ მე დრაჳკანი! ვისი არს ხატი და ჳედაწერილი? ხოლო მათ პრქუეს: კშსრისაჲ. (25) და იესუ პრქუა მათ: აჲ უკუე მიეცით კშსრისაჲ კშსარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა. (26) და ვერაჲ უპოვეს სიტყვს-გებად წინაშე ერისა მის. და უკვრდა სიტყვს-გებაჲ იგი მისი და დაღუმნეს.

(27) მო-ვინმე-უტდეს მას მას ეამსა შინა საღუეველნი, რომელნი აცილობენ, ვითარმედ: აღდგომაჲ არა არს, და ჰკითხეს მას და ეტყოდეს: (28) მოძღუარ, მისე ესრე დამიწერა ჩუენ: უკუეთუ ვისიმე ძმაჲ მოკუდეს და ესუას მას ცო-

¹ მიაველინა B.

ლი და იგი უშვილოა იყოს, რაათა შეირთოს ცოლი იგი მისი ძმამან მისმან და აღუდგინოს თესლი ძმასა თჳსსა. (29) შუდნი ძმანი იყენეს ჩუენ შოვრის. და პირველმან მან შეირთო ცოლი და მოკუდა უშვილოა. (30) და მეორემან და მესამემან, (31) და მოწყდეს უშვილონი. და ეგრევე შუდთა მათ, და არა დაშთა შეილი. (32) და შემდგომად მათსა მოკუდა დედაიაცოცა იგი. (33) აწ უკუე აღდგომასა მას მკუდართასა ვისა მათგანისა იყოს ცოლ, რამეთუ შუდთავე მათ ესუა იგი 'ცოლად? (34) მიუგო იესუ და ჰრქუა: ნაშობნი ამის სოფლისანი იქორწინებთან და განჰქორწინებენ; (35) ხოლო რომელნი-იგი ღირს იქმნენ საუკუნესა მას მიმთხუევად და აღდგომასა მას მკუდრითით, არცა იქორწინებთან, არცა განჰქორწინებენ, (36) არცალა მერმე სიკუდილ ქელ-ეწიფების, რამეთუ სწორ ანგელოზთა არიან და ძენი ღმრთისანი და აღდგომისანი არიან.

(37) ხოლო რამეთუ აღდგენ მკუდარნი, მოსეცა¹ აუწყა მაყულოვანსა მას ზედა, ვითარცა-იგი იტყვს² უფალსა ღმერთსა აბრაჰამისსა და ღმერთსა ისაკისსა და ღმერთსა იაკობისსა. (38) რამეთუ ღმერთი არა არს მკუდართაჲ, არამედ ცხოველთაჲ, რამეთუ ყოველნი ცხოველ არიან მის წინაშე. (39) მი-ვიეთმე-უგვის მწიგნობართა და ჰრქუეს: მოძღუარ, კეთილად სთქუე.

(40) და ვერლარა იკადრეს კითხვად მისა მიერთგან. და ჰრქუა მათ უფალმან: (41) ვითარ უკუე იტყვან თქუენგანნი ვინმე ქრისტესა ძედ დაეითისა? (42) რამეთუ იგი თვთ დაეით იტყვს წიგნსა ფსალმუნთასა: ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჲედ მარჯუენით ჩემსა, (43) ვიდრემედ დაესხნე მტერნი შენი ქუემე ფერქთა შენთა. (44) თვთ იგი დაეით უფლით ხადის, და ვითარ ძმ მისი არს?

(45) და ვითარცა ესმოდა ესე ყოველსა მას ერსა, ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: (46) ეკრძაღენით მწიგნობართაგან, რომელთა პნებაეს სამოსლითა სლგაჲ და რომელთა უყუარს უბანთა ზედა მოკითხვაჲ და პირველადღრომაჲ კრებულსა შოვრის და ზემოქლომაჲ. პურსა ზედა, (47) რომელნი შეჰჰამენ სახლებსა ქუროვთასა და მიზეზით განგრძობილად ილოცუედ. ამათ მიიღონ უმეტესი სასჯელი.

21

(1) და მიხეუა და იხილა. რომელნი-იგი დასდებდეს შესაწირავსა ფასისსა-ცავსა მას მდიდარნი. (2) და იხილა ვინმე ქურციე გლახაკი, რომელმან დადვა ორი მწულილი. (3) და თქუა: ჰეშმარტიად გეტყვ თქუენ, რამეთუ ქურივმან ამან გლახაკმან უმეტეს ყოველთაჲა შეწირა, (4) რამეთუ ამათ ყოველთა ნამეტავისა-გან მათისა შეწირეს დასადებელსა ამას, ხოლო ამან ნაკლულევანებისაგან თჳსისა ყოველი, რაჲცა აქუნდა საცხოვრებელი, შეწირა.

(5) და რომელნიმე იტყოდეს ტაძრისათჳს, ვითარმედ: ქეთა კეთილითა და ჰატოისნითა შშნებულ არს; და თქუა იესუ: (6) ჰხედავთ იმას? არამედ მოვლენან ილერი. რომელთა შინა არადამთეს ქვაჲ ქვასა ზედა. რომელი არა დაირლუეს. (7) ჰკითხეს მას მოწაფეთა: მოძღუარ, ოდეს იყოს ესე, და რაჲ არს სასწაული. რაჲამს ესე ყოფად არს? (8) ხოლო თავადმან ჰრქუა: იხილეთ, ნუუკუე სტეთთ, რამეთუ მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა და იტყოდიან, ვითარმედ: მე ვარ. ხოლო ეამი მოწყენულ არს. ნუ მიხუალთ შედგომად მათსა. (9) ოდეს გეს-

¹ მოსტსა B. (მდრ. L). ² ასეა B (მდრ. L).

მოდიან ბრძოლანი და შფოთნი, ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჭერ არს ესე პირველად ყოფად და არღა მეყსეულად იყოს აღსასრული.

(10) მაშინ ეტყოდა მათ: აღდგეს ნათესაჲი ნათესავსა ზედა და მეუფებჲა მეუფებჲასა ზედა; (11) და იყენენ ძრვანი ღიდ-ღიდნი აღგიდ-აღგიდ. სიყმილნი და სრვანი, საშინელებანი ზეცით, და სასწაულნი ღიდ-ღიდნი იყენენ. (12) ხოლო ამით ყოველთა წინა დაგასხნენ თქუენ ზედა ჯელნი მათნი და გდევნილენ და მიგცნენ შესაკრებელთა და საპყრობილესა და მეფეთა და მთავართა მიგიყვანენ სახელისა ჩემისათჳს. (13) და გექმნეს თქუენ ესე საწამებელ.

(14) დაისხენით ესე გულთა თქუენთა, რათა არა წინაასწარ იწურთიდეთ, რაჲ სიტყუაჲ მიუგოთ. (15) რამეთუ მე მოგცე თქუენ პირი და სიბრძნე, რომელსა ვერ უძლონ წინააღდგომად და სიტყუს გებად ყოველთა წინააღმდგომთა თქუენთა. (16) რამეთუ მიეცნეთ თქუენ მამა-ღელდათაგან და¹ ძმათა და მეგობართა და ნათესაეთა, და მოჰკლეოდენ თქუენგანთა; (17) და იყენეთ თქუენ მოძულე-ბულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათჳს. (18) და თმაჲ თაჲისა თქუენისაჲ არა წარწყმდეს. (19) მოთმინებითა თქუენითა მოიპოვენთ სულნი თქუენნი.

(20) რაჲამს იხილოთ იერუსალმჲსა გარე-მოდგომილი ერი. მაშინ გულისხმა-ყავთ, რამეთუ მოახლებულ არს მოჰკრებჲა მისი. (21) მაშინ რომელნი იყენენ ჰურიასტანს, იელტოდედ მთად; და რომელნი იყენენ შოვრის მისსა, განიელტოდედ; და რომელნი ველსა იყენენ, ნუ შევლევხედ მუნ. (22) რამეთუ ღღენა შურის-გებისა მისისანი ესე არიან, რათა აღესრულნენ ყოველნი წერილნი. (23) ხოლო ვაჲ მიდგომილთა და რომელნი აწოებდენ მათ ღღეთა შინა. რამეთუ იყოს მაშინ ქირი ღიდი ქუეყანასა ზედა და არსხვაჲ ერსა ამას ზედა. (24) და დაცნენ პირითა მახზლისაჲთა და წარიტყუენენ ყოველთა მიერ წარმართთა: და იერუსალმში დათარგუნვილ იყოს წარმართთაგან. ეიღრემდე აღესრულნენ ეამნი წარმართთანი. (25) და იყოს სასწაული მზესა და მთოვარესა და ვარსკეულათა, და ქუეყანასა ზედა შეკრებჲა თესლებისაჲ განკვრებითა ოხრისაჲთა, ვითარცა ზღუსაგან და ძრვისა; (26) სულთა კაცთაჲთა შიშისაგან და მოლოდებისა მომავალსა ზედა სოფელსა ამას, რამეთუ ძალნი ცათანი შეიძრნენ. (27) და მაშინ იხილონ ძმ კაცისაჲ, მომავალი ღრუბლითა ძალითა და დიდებითა მრავლითა. (28) და ვითარცა იწყოს ამან ყოველმან ყოფად. აღიხილნთ თუაღნი და აღიპყრნთ თაჲნი თქუენნი, რამეთუ მოწყენულ არს გამოქსნაჲ თქუენი.

(29) და ეტყოდა მათ იგავსა: იხილეთ ლელჳ და ყოველნი ხენი. (30) რაჲამს გამოვალნ ღურკელი. თჳთ უწყოდით, რამეთუ ახლოს არს ზაფხული. (31) ეგრეცა თქუენ, რაჲამს იხილოთ ესე ყოველი ყოფილი. უწყოდეთ. რამეთუ ასლოს არს სასუფეველი ღმრთისაჲ. (32) ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ არა წარჰდეს ნათესაჲი ესე, ეიღრემდე ესე ყოველი იყოს. (33) ცანი და ქუეყანაჲ წარჰდენ. ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარჰდენ.

(34) ეკრძაღენით თაჲთა თქუენთა, ნუუტუე დამძიმდენ გულნი თქუენნი შუებითა და მთრვალობითა და ზრუნვითა ამის სოფლისაჲთა, და მეყსეულად მოიწიოს თქუენ ზედა დღმ იგი, (35) რამეთუ ვითარცა საფრჳჲ მოუჰდეს მსხდომართა ზედა პირსა ყოველისა ქუეყანისასა. (36) იღჳძებდით უტუე ყოველსა ეამსა

და ევედრებოდეთ, რაათა ღირს იქმნნეთ განრიგებად ამის ყოვლისაგან. რომელი ყოფად არს, და დადგრომად წინაშე ძისა კაცისა.

(37) და იყოფოდა თავადი ტაძარსა მას შინა დღისი და ასწავებდა; ხოლო ღამე განვიდის და იქცევის მთასა მას, რომელსა ჰქვან ზეთისხილთა. (38) და ყოველმან ერმან აღიმსთვის მისა ტაძარსა მას შინა სმენად სიტყუათა მისთა.

22

(1) და მოახლებულ იყო დღესასწაული იგი უცომოებისაჲ, რომელსა ჰქვან პასქაჲ. (2) და ეძიებდეს მას მღვდელთ მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი, ვითარმცა შოკლეს იგი, ხოლო ეშინოდა ერისა მის. (3) და შეუქდა ეშმაკი იუდას, რომელსა ერქუა სკარიოტელ. და იყო იგი რიცხვსაგან ათორმეტთაჲ. (4) და მივიდა. ეზარაზა მღვდელთმოძღუართა და მწიგნობართა და ერისა წინამძღუართა, ვითარმცა იგი მისცა მათ. (5) ხოლო მათ განიხარეს და აღუთქუეს მას ვეცხლი მიცემად. (6) და აღუარა მათ და ეძიებდა ეამსა მარჯუესა, რაათა მისცეს იგი მათ თვნიერ ერისა. (7) მოიწინეს¹ დღენი იგი უცომოებისანი. ოდეს ღირდა პასქაჲ იგი დაეკლვად. (8) და წარავლინა პეტრე და იოვანე და ჰქუა მათ: წარედით და მომიზადეთ ჩუენ პასქაჲ, რაათა ეკამოთ. (9) ხოლო მათ თქუეს: სადა გნებავს, და მოგიზადოთ? (10) ხოლო თავადმან ჰქუა მათ: ამა ეგერა შესილვასა ოდენ თქუენსა ჭალაქად შეგემოხვოს თქუენ კაცი, რომელსა ლავჯნი წყლითა ზე ედგას: შეუდეგით მას. ვიდრეცა შევიდეს. (11) და არქუთ უფალსა მას სახლისასა: გეტყვს შენ მოძღუარი: სადა არს საიანშ. რომელსა პასქაჲ ესე მოწაფეთა თანა ჩემთა ეკამო? (12) და მან გიჩუენოს აქუენ ქორი დაგებული დიდი: მუნ შხამიყავთ ჩუენ. (13) და წარვიდეს და პოვეს ეგრე, ვითარცა-იგი ჰქუა მათ. და მომზადეს პასქაჲ იგი.

(14) და ოდეს იყო ეამი, დაჭდა, და ათორმეტნი მოციქულნი მის თანა. (15) და ჰქუა მათ: გულისსიტყვთ გული-მოითქუმიდა პასექსა ამას ჰამად თქუენ თანა ვიდრე ვნებადმდე ჩემდა. (16) ხოლო გეტყვ თქუენ: არღარა ეკამო ამისგან. ვიდრემდე აღესრულოს სასუფეველსა შინა ღმრთისასა. (17) და მოილო სასუმელი და ჰმადლობდა და თქუა: მიიღეთ ესე და განიყავთ თავისა თქუენისა (18) ხოლო გეტყვ თქუენ: ამიერიტგან არღარა ესუა ნაყოფისაგან ეენაქისა, ვიდრემდე სასუფეველი ღმრთისაჲ მოვიდეს. (19) და მოილო პური, ჰმადლობდა, განტეხა და მისცა მათ და თქუა: ესე არს ჳორცი ჩემი თქუენთვის მიცემული, ამას ჳყოფდით მოსაქსენებლად ჩემდა. (20) ეგრევე სასუმელი იგი შემდგომად სერობისა და თქუა: ესე სასუმელი — ახალი შჭული სისხლისა ჩემისაჲ თქუენთვის დათხეული. (21) ხოლო ამა ჳელი განმცემელისა ჩემისაჲ ჩემ თანა ტაბლასა ზედა. (22) ძმ საშე კაცისაჲ, მსგავსად განჩინებულისა მისისა, წარვალს, ხოლო ეა არს კაცისა მის, რომლისა მიერ მიეცემის იგი!

(23) და მათ იწყეს გამოძიებად² ურთიერთას: ვინ-მე არს მათგანი, რომელსა ეგულებდის ესე ყოფად? (24) და იყო ცილობაჲცა მათ შოვრის, ვითარმედ ვინ-მე იყოს დიდ მათ შოვრის? (25) ხოლო თავადმან ჰქუა მათ: მეფენი წარმართთანი უფლებედ მათ ზედა. და რომელთა ეკლმწიფებაჲ აქუს მათ ზედა, ქველის-მოქმედ ჰქვან. (26) ხოლო თქუენ არა ეგრძთ იყვნეთ. არამედ უდი-

¹ მოიწინეს B. ² გამოძიებად¹ქწუხარებად B.

დღსი იგი თქვენ შოერის იყენ მწემ, და წინამძღუარი იგი — ვითარცა მსახური. (27) ვინ არს უფროს: რომელი ინაჯით-ზის, ანუ რომელი მსახურებს? ანუ არა რომელი-იგი ინაჯით-ზის? ხოლო მე ვარ შოერის თქუენსა ვითარცა მსახური. (28) და თქუენ ხართ, რომელნი დაადგერით ჩემ თანა განსაცდელთა შინა ჩემთა. (29) და მე აღგიტუამ თქუენ, ვითარცა მე აღმიტუა მამამან ჩემმან სასუფეველი, (30) რაათა კჳამდეთ და ჰსუმიდეთ ტაბლასა ზედა ჩემსა სასუფეველსა შინა ჩემსა და დასხდეთ ათორმეტთა საყდართა და ჰსყიდეთ ათორმეტთა ტომთა ისრა-ელისათა. (31) სიმონ, სიმონ, აჲა ესერა ეშმაკმან გამოგითხოვნა თქუენ აღცრად, ვითარცა იფქლი. (32) ხოლო მე ეევედრე მამასა ჩემსა შენთჳს, რაათა არა მო-გაკლდეს სარწმუნოებაჲ შენი, და შენ ოდესმე მიიქეც და განამტყიცენ ძმანი შენი. (33) ხოლო მან ჰრქუა: უფალო, მე შენ თანა მზა ვარ საპყრობილედ და სიკუდილ მისლევად. (34) ხოლო თავადმან ჰრქუა: გეტყვ, შენ, პეტრე: არღა უყივ-ნოს ქათამსა დღეს, ვიდრემდე ხამ-გზის უყარ-ყო მე, ვითარმედ არა მიცი მე.

(35) და ჰრქუა მათ: ოდეს-იგი წარგელინენ თქუენ თჳნიერ ბალანტისა და ეაშჳარანისა და ფერკთ—შესასხმელთა, ნუ გაკლდა რაჲ თქუენ? ხოლო მათ ჰრქუეს: არარაჲ გუაკლდა. (36) და მერმე ჰრქუა: არამედ აწ რომელსა აქუნდეს საქუფთჳ, აღიღენ; ეგრევე მსგავსად ეაშჳარანიცა: და რომელსა არა აქუნდეს. განყიდენ სამოსელი თჳსი და იყიდენ მახვლი. (37) გეტყვ თქუენ: ესე ხოლოღა წერილი ჳერ-არს ჩემ ზედა აღსრულებად, ვითარმედ: უშჳულოთა თანა შეირა-ცხა, და რამეთუ ჩემთჳს აღსასრული იყოს. (38) ხოლო მათ ჰრქუეს: უფალო, აჲა ესერა არიან აჲა ორ დანაჲ. ხოლო თავადმან ჰრქუა: კჳა არს.

(39) და გამოვიდა მიერ და წარვიღოდა, ვითარცა ჩუეულებაჲ აქუნდა, მთასა მას ზეთისხილთასა, და მისდევდეს მას მოწაფენი მისნი. (40) და მი-რამ-ვიდა აღვიღსა მას, ჰრქუა მათ: ილოცევიდით, რაათა არა შეხვდეთ განსაცდელსა.

(41) და თავადი განეშოვრა მათგან ვითარ ქვის-სატყორცებელ ოდენ, დაიდ-გნა მუქლნი, ილოციდა (42) და იტყოდა: მამაო, უკუეთუ გნებავს თანა-წარს-ლევად სასუმელი ეს ჩემგან, ხოლო ნუ ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ შენი იყავნი (45) ¹ და აღდგა მიერ ლოცვით და მოვიდა მოწაფეთა თჳსთა, პოვნა იგინი მძი-ნარენი მწუხარებისა მისგან (46) და ჰრქუა მათ: რაჲსა გძინავს? აღდევით და ილოცევიდით, რაათა არა შეხვდეთ განსაცდელსა. (47) და ვიდრე იგი მას იტყო-და, აჲა ვერ და რომელსა ერქუა იუდა ისკარიოტელი, წინა-უძღოდა მათ და მიე-ახლა იესუს ამბორის-ყოფად ² მისა, რამეთუ ესე სასწაული მიეცა მათ და ჰრქუა: რომელსა მე ამბორს-უყო, იგი არს. (48) ხოლო იესუ ჰრქუა მას: იუდა, ამბო-რის-ყოფითა მისცემა ძესა კაცისასა? (49) იხილეს რაჲ მისთანათა მათ საქმჳს ესე, ჰრქუეს მას: უფალო, უკუეთუ გნებავს, მოვსრნეთ ესენი მახვლითა.

(50) და ჰსცა ვინმე ერთმან მათგანმან მონასა მღდელთ-მოდღურისასა და წარჰკუეთა ყური მარჯუენდჳ. (51) მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: აცადეთ აჲამომ-დღე! ³ და შეახო ყურსა მისსა და განკურნა იგი. (52) ჰრქუა იესუ მოსრულთა მათ მის ზედა მღდელთ მოძღუართა და ერისთავთა ტაძრისათა და ზუცესთა: ვითარცა აგვახავსა ზედა გამოსრულ ხართ მახვლითა და წათებიითა. (53) დლითი-დღედ ვი-ყავ მე თქუენ თანა ტაძარსა შინა, და არა განჰყავთ ჳელი ჩემ ზედა; არამედ ესე არს ესე თქუენი და ჳელმწიფებაჲ ბნელისაჲ.

¹ მუხლები 43 და 44 აკლია B-ს. ² ჳერ „ამბორის-ყოფითა“ დაწერია, მაგრამ შემდეგ „ით“ ამოუფხვრა და ბილოს „ღ“ დაუმატებია. ³ აჲამოდღე B.

(54) და ვითარცა შეიპყრეს იგი, წარიყვანეს და შეიყვანეს იგი სახლსა მღღელთ-მოძღურისასა. ხოლო პეტრე მისდევდა შოვრით. (55) და ალაგზნენ ცეცხლი შოვრის ეზოსა და გარემო სხდეს იგინი; დაჟდა პეტრეცა შოვრის მათსა. (56) და იხილა იგი მჭევალმან ვინმე მჭდომარშ ნათელსა მას შინა და თქუა: ესეცა მის თანა იყო. (57) ხოლო მან უვარ-ყო და თქუა: ღედაკაცო, არა ვიცი იგი. (58) და მცირედრე შემდგომად იხილა იგი სხუამან და თქუა: შენცა მათთანა ხარ; ხოლო პეტრე თქუა: კაცო, არა ვარ მათთანა. (59) და ვითარცა წარკლდა ეამი ერთი, სხუა ვინმე დაამტკიცებდა და იტყოდა: ქეშმარიტად ესეცა მის თანა იყო, და რამეთუ გალილეველ არს. (60) ხოლო პეტრე ჰრქუა მას. კაცო, არა ვიცი. რასა იტყვ. და მექსეულად¹, ვიდრე იტყოდალა იგი ამას, ქათამი ყოვა.

(61) და მოიქცა უფალი და მიჰხედა პეტრეს. და მოეკსენა პეტრეს სიტყუა იგი უფლისაჲ, რომელი ჰრქუა მას, ვითარმედ: ვიდრე ქათმისა ჳმობადმდე სამგზის უვარ-ყო მე, ვითარმედ არა მიცი მე. (62) და განვიდა გარე და ტიროდა მწარედ. (63) ხოლო კაცთა მათ რომელთა შეიპყრეს იესუ, ეკიცხევდეს მას და ჰსცემდეს (64) და დაჰბურეს თავესა და ჰგუემდეს მას, ჰკითხვიდეს და ეტყოდეს: წინაწარმეტყუელებდ, ვინ არს, რომელმან გცა შენ? (65) და სხუასა მრავალსა გმობასა ჰგმობდეს მას და ეტყოდეს.

(66) და ვითარცა განთენა ღღშ, შეკრბეს მოხუცებულნი ერისანი და მღღელთ-მოძღუარნი და მწიგნობარნი და აღიყვანეს იგი საკრებულოსა მას მათსა (67) და ეტყოდეს: უკუეთუ შენ ხარ, ჰრისტე², მითხარ ჩუენ. ჰრქუა მათ იესუ: უკუეთუ ვითხრა, არავე გრწმენეს; (68) და უკუეთუ გკითხონ თქუენ, ვერ-რაჲ მომიგოთ, ვინა განმიტყოთ. (69) ამიერთგან იყოს ძმ კაცისაჲ მჭდომარშ ზარკუნით ძლიერებასა ღმრთისასა. (70) და ჰრქუეს მას ყოველთა: შენ უკუე ხარა ძმ ღმრთისაჲ? და ჰრქუა მათ იესუ: თქუენ იტყვთ, ვითარმედ მე ვარ. (71) და მათ თქუეს: რასა გვჳმს წამებაჲ? ჩუენ თვთ გუენსმის პირისაგან მისისა.

23.

(1) და აღდგა ყოველი იგი სიმრავლშ მათი და მოიყვანეს იგი პილატშსა. (2) და იწყეს შესმენად მისა და იტყოდეს: ესე ეპოვეთ, რამეთუ გარდააქცეულა ნათესავესა ჩუენსა და აყენებს ხარკისა მიცემად კეისარსა და იტყოდა თავსა თვისსა ჰრისტედ³ და მეუფე ყოფად⁴. (3) და ჰკითხვიდა მას პილატე⁵ და ჰრქუა: შენ ხარა მეუფეშ ჰურიათაჲ? ხოლო თავადმან ჰრქუა მას: შენ იტყვ. (4) ხოლო პილატე⁶ ჰრქუა მღღელთ-მოძღუართა და ერსა მას: არასა ბრალსა ეჳპოვებ კაცისა ამის თანა. (5) ხოლო იგინი უფროას⁷ განძლიერდებოდეს და იტყოდეს, ვითარმედ: აღაშფოთებს ერსა და ასწავებს ყოველსა ჰურიასტანსა, უწყიეს გალილეაჲთ ვიდრე აქამომდე. (6) ხოლო პილატეს რაჲ ესმა გალილეაჲ, ჰკითხა მათ: უკუეთუ გალილეაჲთ არს? (7) და გულისხმა-ყო, რამეთუ ჳელმწიფებისაგან ჰეროდესნი არს; მიუძღუნა იგი ჰეროდეს, რამეთუ იყო იგიცა მაშინ იერუსალშშს ამათ ღღეთა შინა. (8) ხოლო ჰეროდე ვითარცა იხილა იესუ, განიხარა ფრიად, რამეთუ უნდა მისი ხილვაჲ მრავლით ეამითგან ამისთვის; რამეთუ ესმოდეს⁸

¹ ასეა B. ² ქ-შ B. ³ ქ-შდ B. ⁴ მეუფე ყოფად B. ⁵ პილატე B. ⁶ უფრ-ს B.
⁷ და იტყოდეს — B. ⁸ ასეა B.

მისთვის და მსწადლოდა ხილვად რაღასამე სასწაულისა ყოფასა მისგან. (9) და ჰკითხვიდა მას სიტყვთა მრავლითა, ხოლო თავადმან არაჲა მიუგო მას.

(10) დღეს მღვდელთ მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი და განკრძალულად შეასმენდეს მას. (11) ხოლო ჰეროდე შეურაცხ-ყო იგი და ერმან მისმან, და განკიცხეს იგი და მიუძღუნეს იგი პილატეს. (12) და იქმნნეს შეგობარ პილატე¹ და ჰეროდე² ურთიერთს, რამეთუ პირველ მტერ იყვნეს იგინი. (13) ხოლო პილატე¹ მოუწოდა მღვდელთ-მოძღუართა მათ და მწიგნობართა და ერსა მას (14) და ჰრქუა: მომგუარეთ მე კაცი ესე, ვითარცა გარდამაქცეველი ერისაჲ, და მე წინაშე თქვენსა განვიკითხე და არაჲს ვჰპოვებ კაცისა ამის თანა, რასა-იგი შეასმენთ მას. (15) და არცა ჰკეროდე, რამეთუ მიუძღუნე მას, და არაჲა ღირსი სიკუდილისა საქმე არს მის თანა. (16) ესწავლო იგი და განუტეო. (17) რამეთუ უნებვლად ედებოდა განტევებად დღესასწაულსა მას ერთი ჰყრობილი. (18) დალ-ყვეს ყოველმან სიმრავლემან³ და იტყოდეს: აღილე ეგე და მოგვტევე ჩუენ ბარაბა⁴, (19) რომელი შფოთისა ყოფასა ქალაქსა შინა და კაცის-კლეისათჳს შეგდებულ იყო საყრობილესა⁵. (20) კულად პილატე¹ მოუწოდა მათ, რამეთუ უნდა განტევებაჲ იესუსი. (21) ხოლო იგინი⁶ დალადებდეს და იტყოდეს: ჟუარს-აჲუ ეგე! (22) ხოლო მან შესამედ ჰრქუა მათ: რაჲ ბოროტი უქმნიეს ამას? არა-რაჲ ბრალი სიკუდილისაჲ ვპოვე ამის თანა. ესწავლო და განუტეო ეგე. (23) ხოლო იგინი ზედა დაესხმოდეს კმითა დიდითა და გამოითხოვედეს მას ჟუარ-ცუმად. და განძლიერდებოდეს კმანი მათნი და მღვდელთ მოძღუართანი.

(24) მაშინ პილატე საჯა თხოვისაებრ მათისა. (25) და მიუტევა მათ ბარაბა. რომელი შფოთისათჳს და კაცის-კლეისა შეგდებულ იყო საყრობილესა, ხოლო იესუ მიჰსცა ნებასა მათსა.

(26) და ვითარცა წარიყვანეს იგი ჟუარ-ცუმად, შეიპყრეს სიმონ ვინმე კვრინელი, მომავალი ველით, და დასდევს მას ჟუარი იგი, და მიაქუნდა შემდგომად იესუსა. (27) და შეუდგა მას სიმრავლემ³ ერისაჲ და დედათაჲ, რომელნი ეტყებდეს და ჰგოდებდეს მას. (28) მიექცა მათ იესუ და ეტყოდა: ასულნო იერუსალმისანო, ნუ ჰსტირთ ჩემ ზედა, არამედ თავთა თქუენთა ჰსტიროდეთ და შეილოთ თქუენთა, (29) რამეთუ მოვლენან დღენი, რომელთა შინა თქუენ: ნეტარ არიან ბერწნი და მუცელნი, რომელთა არა შენეს, და ძუძენი, რომელთა არა განზარდნეს.

(30) მაშინ იწყონ სიტყუად მათათა: დამეცენით ჩუენი და ბორცუთა: დამფარენით ჩუენი (31) უკუეთუ ნედლსა ხესა⁷ ესრეთ უყოფენ, კმელსა მას რაჲ-მე ეყოს?

(32) მოჰყვანდეს სხუანიცა ორნი ძვრის-მოქმედნი მოკლვად მის თანა.

(33) და ვითარცა მოვიდეს ადგილსა მას, რომელსა ჰრქვან თხემისა ადგილი, მუნ ჟუარს-აჲუეს იგი და ძვრის-მოქმედნი იგი, რომელიმე მარჯუენით მისსა და რომელიმე მარცხენით მისსა ჟუარს-აჲუნეს. (34) ხოლო იესუ იტყოდა: მიუტევენ ამით, მამაო, რამეთუ არა იციან, რასა იქმან. ხოლო განიყვეს სამოსელი მისი და განიგდეს წილი.

(35) და დგა ერი იგი და ჰხედვიდა. შეურაცხ-ჰყოფდეს მთავარნიცა იგი მათ

1 პილატე B. 2 ჰეროდე B. 3 სიმრავლემან B. 4 ბარაბა B. 5 საყრობილესა — B.
6 იგი B. 7 ხმსა B.

თანა და იტყოდეს: სხუანი აცხოვნა, იცხოვენ თავი თვისი, უკუეთუ ეგე არს ქრისტე¹, რჩეული ღმრთისაჲ. (36) ემღერდეს მას ერისა-კაცნიცა იგი, მოუტადიან მას და ძმარი მიუპყრიან (37) და ეტყუენ მას: შენ თუ ხარ მეუფე² ჰურათაჲ, იჴსენ თავი შენი.

(38) ხოლო იყო დაწერილიცა, რომელი წერილ იყო მას ზედა წიგნითა ბერძულთა და პროფეტთა და ებრაელებრითა, ვითარმედ: მეუფე³ ჰურათაჲ არს ესე. (39) ხოლო ერთი დამოკიდებულთაგანი ძვრის მოქმედთაჲ ჰგომბდა მას და ეტყოდა: შენ თუ ხარ ქრისტე¹, იჴსენ თავი შენი და ჩუენცა. (40) მიუგო ერთმან მოყუასმან, შეჰრისხნა მას და ეტყოდა: არცაღა გეშინის შენ ღმრთისა, რამეთუ მასვე საშველსა შინა ხარ. (41) რამეთუ ჩუენ სამართლად ღირსი, რომელი ვჴმენით, მოგუეგების, ამან უშველოვებაჲ არარაჲ ქმნა. (42) და ეტყოდა იესუს: მომიჴსენე მე, უფალო, ოდეს მოხვდე³ სუფევითა შენითა. (43) ხოლო იესუ ჰრქუა მას: ამენ გეტყუ შენ: დღეს ჩემ თანა იყო სამოთხეს.

(44) და იყო ეამი მეექუესმე, და ბნელი იყო ყოველსა ქუეყანასა ვიდრე მეცხრედ ეამადმდე². (45) დაბნელდა მზმ, და განიპო კრეტსაბმელიცა იგი ტაძრისაჲ მის შოერის. (46) და ქმა-ყო ჳმითა ღიღითა იესუ და თქუა: მამაო, ჳელთა შენთა შევჴედრებ სულსა ჩემსა. და განუტევა სული.

(47) და ვითარცა იხილა ასისთავმან მან საქმე ესე, აღიღებდა ღმერთსა და იტყოდა: ჳეშმარიტად კაცი ესე მართალი იყო. (48) და ყოველნი მათ თანა მოსრულნი და რომელთა იხილეს ხილვაჲ ესე და საქმე ესე, იცემდეს მკერდსა მათსა და წარვიდოდეს. (49) და დგეს ყოველნი მეცნიერნი მისნი შორით⁴, და დედანი, რომელნი მოჰსდევდეს გალილეათ, ჰხედვიდეს ამას.

(50) და აჰა ესერა კაცი, სახელით იოსეფ, მზრახვალი, იყო კაცი სახიერი და მართალი. (51) ესე არა თანა-შერთულ იყო ზრახვასა მათსა და საქმესა. და იყო იგი არიმათიათი, ქალაქისაგან ჰურიათასა, რომელ იგიცა მოელოდა სასუფეველსა ღმრთისასა. (52) ესე მოუქდა პილატეს და გამოითხოა გუამი იესუსაჲ (53) და გარდამოჰქნას იგი და შეჰქმოსა მას არდაგი და დადვა იგი საფლავსა გამოკოდილსა, სადა არაეინ დადებულ იყო. (54) და დღმ იგი იყო პარასკევი, შაბათად განთენებოდა.

(55) შეუდგეს მას დედანიცა, რომელნი მის თანა მოსრულ იყვნეს გალილეათ, და იხილეს საფლავი იგი და ვითარ დაჰსდებდეს გუამსა მისსა. (56) და წარვიდეს და მოჰმზადეს სულნელი და ნელსაცხებელი და შაბათი და-ლა-იღუ-მეს მცნებისა მისთვის.

24

(1) ხოლო ერთსა მას შაბათსა, ცისკარს მსთუად მოვიდეს საფლავსა მას და მოაქუნდა, რაჲ-იგი მოემზადა-სულნელები, და სხუანი ვინმე მათ თანა. (2) და პოვეს ლოდი იგი გარდაგორებული საფლავისა მისგან. (3) შე-რაჲ ვიდეს შინა, არა პოვეს გუამი იგი უფლისა იესუსისი. (4) და იყო განზრახვასა მას მათსა ამისთვის, და აჰა ესერა ორ კაც ზედა მოადგეს მათ სამოსლითა ელვარითა. (5) და ვითარ შეშინებულ იყვნეს იგინი და დაედრიკნეს პირნი მათნი ქუეყანად, ჰრქუეს მათ: რაჲსა ეძიებთ ცხოველსა მას მკუდართა თანა? (6) არა არს აჴა, არამედ

¹ ქ მ მ. ² მოჰხედე B. ³ ეამადმდე B. ⁴ ასეა (უქარაგმოდ) B.

აღდგა¹. მოიქნენთ, ვითარ-იგი გეტყოდა თქვენ, ვიდრე იყოლა იგი გალი-
ელას, (7) და თქუა, რამეთუ: ჭერ-არს ძისა კაცისა მიცემად ჳელთა კაცთა ცოდ-
ვილთასა ჭუარ-ცუმად და მესამესა აღდგამად. (8) და მათ მოეჴსენნეს
სიტყუანი ესე. (9) და მიიქცეს და უთხრნეს სიტყუანი ესე ათერთმეტთა მათ და
სხუათა ყოველთა.

(10) ხოლო იყენეს მაგდალენელი მარიამ და იოჴანა და მარიამ იაკობისი
და სხუანი მათ თანა, უთხრობდეს მოციქულთა ამას. (11) და უჩნდეს სიტყუანი
მათნი, ვითარცა სიჩქურისანი, მათ წინაშე და არა ჰრწმენა მათი. (12) ხოლო პეტრე
აღდგა და მირბიოდა საფლავად და შთაჴხედა და იხილნა ტილონი იგი ხოლო
მდებარენი და წარვიდა თვსაგან და დაუკვრდა საქმე ესე.

(13) და აჴა ორნი მათგანნი მივიდოდეს მასვე დღესა შინა დაბასა, რომელი
ჴშორავს იერუსალმსა ას სამეოც უტევან, რომლისაჲ სახელი ევმაოს. (14) და
ესენი ზრახვიდეს ურთიერთას ყოველისავეთვს, რომელი იჴმნა. (15) და იყო ზრახ-
ვასა მას მათსა და გამოძიებასა, და თავადი იესუ მიეახლა მათ და თანა-უვიდო-
და. (16) ხოლო თუალნი მათნი შეჴყრობილ იყენეს, რამთა ვერ იცნან იგი. (17)
და ჰრქუა მათ: რაჲ არიან სიტყუანი ეგე, რომელსა იცილობთ ურთიერთას
სლვასა შინა და ხართ თქუენ მწუხარე? (18) მიუგო ერთმან, რომლისაჲ სახელი
კლეოპა, და ჰრქუა მას: შენ ხოლო მწირ ხარ იერუსალმს და არა უწყვი, რაჲ-ესე
იჴმნა მას შინა ამით დღეთა? (19) და მან ჰრქუა: რომელი? ხოლო მათ ჰრქუეს:
იესუსათვს ნაზარეველისა, რომელი იყო კაცი წინაწარმეტყუელ, ძლიერ საქმითა
და სიტყვთა მისითა წინაშე ღმრთისა და ყოველისა ერისა. (20) ვითარ-იგი მისცეს
მდღელთ-მოძღუართა და მთავართა ჩუენთა საშქელსა სიკუდილისასა და ჭუარს-
-აცუეს იგი. (21) ხოლო ჩუენ ვესაეთ, ვითარმედ იგი არს, რომელმან იჴსნეს
ისრაელს; და ამას ყოველსა თანა ესე მესამე დღე მოვალს, ვინაჲთგან ესე იჴმნა.
(22) არამედ დედათაჲ ვიეთმე ჩუენგანთა დამაკვრევს ჩუენ, ვითარ მივიდეს
იგინი ცისკარს საფლავსა მას (23) და არა პოვეს გუამი იგი მისი. მოვიდეს და
თქუეს, ვითარმედ გამოჩინებჴდაჲ ანგელოზთაჲ იხილეს, რომელთა ჰრქუეს მათ,
ვითარმედ: ცხოველ არს იგი.

(24) და მი-ვიწმე-ვიდეს ჩუენგანნი საფლავად და პოვეს ეგრე, ვითარცა
დედათა მათ თქუეს, ხოლო იგი თავადი ვერ იხილეს. (25) ხოლო მან ჰრქუა მათ:
ჴ უცნობელნი გულითა სარწმუნოებებისათვს ყოველსა ზედა, რომელსა იტყო-
დეს წინაწარმეტყუელნი (26) ანუ არა ესრეთ ჭერ-იყოა ვნებად ჴრისტესა და
შესლვად დიდებასა თვსსა? (27) და იწყო მოსმითგან და წინაწარმეტყუელთა
და გამოუთარგმანებდა მათ ყოველთა წიგნთა მისთვს.

(28) და მიეახლნეს დაბასა მას, ვიდრე მივიდოდეს. ხოლო თავადმან მიზე-
-ყო უშორსადრე წარსლვად. (29) და იგინი იძიებდნენ მას და ეტყოდეს:
დაადგერ, რამეთუ მწუხარ არს და მიდრევილ არს დღე. და შევიდა დადგრომად
მათ თანა. (30) და იყო ინაჴით-ჴდომასა მას მისსა მათ თანა მოილო პურს² აკურ-
-თხა და განტეხა და მისცემდა მათ. (31) ხოლო მათ თუალნი მათნი განებხუნეს და
იცნეს იგი. და თავადი მიეფარა მათგან. (32) და იგინი იტყოდეს ურთიერთას:
ანუ არა გული ჩუენი განჴურვებულ იყო ჩუენ შოვრის, ვითარ-იგი მეტყოდა
ჩუენ გზასა ზედა და გამოამითარგმანებდა ჩუენ წიგნთა?

¹ არა არს აჴა, არამედ აღდგა — B. ² მწუხარ B.

(33) და აღდგეს მასვე დღესა შინა და მოიქცეს იერუსალმად და პოვნეს კრებულად ათერთმეტნი იგი და სხუანი მათთანანი, (34) და ეტყოდეს, ვითარმედ: ნანდვლვე აღდგა უფალი და ეჩუენა სიმონს. (35) და იგინი უთხრობდეს გზისასა მას და ვითარ-იგი გამოეცხადა მათ განტეხასა მას ჰოერისასა. (36) და ვითარ-იგი ამას იტყოდეს ოდენ, და თავადი იესუ დადგა ჰოერის მათსა და ჰრქუა მათ: მშვდობაჲ თქუენ თანა! მე ვარ, ნუ გეშინინი (37) ხოლო იგინი შეძრწუნდეს და შეშინებულ იქმნნეს, ეგონა, ვითარმედ საუცარ რაჲმე იხილეს. (38) და თავადმან ჰრქუა მათ: რაჲსა შეძრწუნებულ ხართ, და რაჲსათჳს გულის-ღიტყუანი მრავალნი მოვლენან გულთა თქუენთა? (39) იხილენით ჳელნი ჩემნი და ფერკნი, რამეთუ თავადი მე ვარ; ჳელი შემახეთ მე და იხილეთ, რამეთუ სულსა ჳორც და ძუალ არა ასხენ, ვითარცა მე მხედავთ, რამეთუ მასხენ. (40) და ესე რაჲ თქუა, უჩუენნა ჳელნი და ფერკნი მისნი.

(41) და ვიდრე არღა ჰრწმენა მათ სიხარულისა მისგან და საკვრველებისა, ჰრქუა მათ იესუ: გაქუს რაჲ აქა ჳამადი? (42) ხოლო მათ მიუპყრეს მას თეგზისა მწურისა ნახევარი და თაფლისა გოლი. (43) და ჳამა წინაშე მათსა და ' მოილო ნეშტი იგი და მისცა მათ (44) და ჰრქუა მათ: ესე იგი სიტყუანი არიან, რომელთა გეტყოდე თქუენ, ვიდრე-იგი ეიყავ თქუენ თანა, ვითარმედ: ჳერ-არს 'აღსრულენად ყოველივე წერილი შჯულსა მოსშსსა და წინაწარმეტყუელთა და ფსალმუნთასა? ჩემთვის. (45) მაშინ განუხუნა გონებანი მათნი გულისხმის-ყოფად წიგნთა (46) და ჰრქუა მათ. რამეთუ: ესრჳთ ჳერ-იყო ვნებად ჳრისტშსა და აღდგომად მკუდრეთით მესამესა დღესა (47) და ჳადაგებად სახელითა მისითა სინანული და პორტეებაჲ ცოდვათაჲ ყოველთა მამართ წარმართთა, იწყეთ იერუსალმით, (48) რამეთუ თქუენ ხართ მოწამე³ ამის ყოვლისა. (49) და აჰა ესერა მე მოგივლინო თქუენ აღთქუმაჲ იგი მამისა ჩემისაჲ. ხოლო თქუენ დასხედით ჳალაქსა ამას შინა იერუსალმშსა, ვიდრემდე შეიმოსოთ ძალი მადლით გამო.

(50) და განიყვანნა იგინი ვიდრე ბეთანიადმდე⁴ და აღიპყრნა ჳელნი თჳსნი და აკურთხნა იგინი. (51) და იყო კურთხევასა მას იესუსსა⁵ მათა მიმართ. განე-შოერა მათგან და აღვიდოდა ზეცად. (52) და იგინი მოიქცეს იერუსალმად სიხარულითა დიდითა. (53) და იყოფოდეს ტაძარსა მას შინა მარადის და აკურთხევედეს ღმერთსა.

ნაწყვიტი დაბადებიდან

37

(28) და წარვიდეს კაცნი იგი ვაჳარნი მადიანიტელნი და აღმოიყვანეს იოსებ ჳურდმულისა მისგან და მიჳიციდეს იოსებ ისმაიტელთა მათ ოც დრაჳნის და შთაიყვანეს იგი ეგვპტედ. (29) მოიქცა რუბენ და არა პოვა იოსებ ჳურდმულსა მას შინა და დაიპო სამოსელი თჳსი. (30) და მიიქცა ძმათა თჳსთა და ჰრქუა: ყრმაჲ იგი არა არს ' აქა და მე ვიდრე-მე ვიდე? (31) ხოლო მათ მოილეს სამოსელი იგი იოსებისი და დაკლეს თიკანი თხათაჲ და შებღალეს სამოსელი იგი სისხლითა (32) და მიუძღუანეს სამოსელი იგი ჳრელი და შეართუეს მამასა მისსა და ჰრქუეს: ესე ვპოვეთ. იცან, უკუეთუ სამოსელი ძისა შენისაჲ არს, ანუ არა. (33) და იცნა

1 და|და B. 2 ფსალმონთასა B. 3 მოწამე B. 4 ბეთანიადმდე B. 5 იესუსა B.

გი და თქუა: საშოსელი ძისა ჩემისაჲ არს ესე. მკეცმან ბოროტმან შეკაბა იგი, მკეცმან ბოროტმან მიმტაცა იოსებ. (34) და დაიპო იაკობ საშოსელი და შეიშოსა ძაძაჲ წელთა მისთა და ეგლოვდა ძესა თვსსა დღეთა მრავალთა. (35) შეკრბეს ყოველნი ძენი მისნი და ასულნი მისნი და მოვიდეს ნუგეშინის-ცემად მისა. და მას არა უნდა ნუგეშინის-ცემის და თქუა, ვითარმედ: შთავიდე მე ძისა ჩემისა თანა გლოვით ჭოჯოხეთა. და სტიროდა მას მწარედ. (36) ხოლო ისმაიტელთა მათ ეპართა მიჰვიდეს იოსებ ეგვპტეს პეტეფრეს, საქურისსა მატაკარანსა.

39

(1) ხოლო იოსებ შთაიყვანეს ეგვპტედ და მიიყადა იგი პეტეფრე, საქურის-მან ფარაოჲსმან, მზარაულთ მთავარმან, კაცმან მეეგვპტელმან, ჭელთაგან ისმაიტელთაჲსა, რომელთაცა შთაიყვანეს იგი მუნ. (2) და იყო უფალი იოსების თანა. და იყო კაცი მაგებელ, და იყო სახლსა შინა კაცისა მის ეგვპტელისა წინაშე. (3) ხოლო იცოდა უფალმან მისმან, რამეთუ უფალი იყო მის თანა, და რავდენსა რას იქმს, წარუმართებს მას. (4) და პოვა იოსებ მადლი წინაშე მისსა და სათონ-ეყო იგი მას. და დაადგინა იგი სახლსა ზედა თვსსა და ყოველივე, რაჲცა იყო მისი, მისცა ჭელთა იოსებისთა.

(5) და იყო შემდგომად დადგინებისა მისისა სახლსა ზედა მისსა და ყოველ-სავე ზედა, რაჲცა იყო მისი, აკურთხა უფალმან სახლი ეგვპტელისაჲ მის იოსე-ბისთვს. და იყო კურთხევაჲ უფლისაჲ ყოველთა ზედა მონაგებთა მისთა სახლსა შინა და აგარაკსა. (6) და მისცა ყოველივე, რაჲცა იყო მისი, ჭელთა იოსებისთა და არარაჲ იცოდა, რასა იქმოდა იოსებ, გარნა პური, რომელი ჭამის მან. და იყო იოსებ შუენიერ ქმნულობითა და კეთილ პირითა ფრიალ...

(19) და იყო ვითარცა ესმნეს უფალსა მას მისსა სიტყუანი ესე ცოლისაგან თვსისა, რაჲ-იგი უთხრა მას, და თქუა: ესე მიყო მეა მონამან ჩემმან? განრისხნა გულის წყრომით. (20) და მოიყვანა უფალმან მისმან იოსებ და შესუა იგი სა-პყრობილესა, ადგილსა მას, სადაცა-იგი პყრობილნი მეფისანი იყენეს საპყრო-ბილესა შინა. (21) და იყო უფალი იოსების თანა და მოსცემდა მას წყალობასა და პოვა მადლი წინაშე მესაპყრობილეთ მოძღურისა მის. (22) და მისცა მესა-პყრობილეთ მოძღუარმან მან საპყრობილმ ჭელთა იოსებისთა და ყოველნი იგი პყრობილნი, რავდენნი იყენეს საპყრობილესა შინა. (23) არარაჲ იცოდა თვით თვსით საპყრობილის მთავარმან მან არცა ერთ რაჲ, რამეთუ ყოველი ჭელთა იოსებისთა იყო, ამისთვს რამეთუ უფალი იყო მის თანა. და რავდენსა რას იქმო-და, უფალი წარუმართებდა ჭელთა შინა მისთა.

40

(1) და იყო შემდგომად სიტყუათა ამათ შესცოდა მთავარმან ღვინის მნემან მეფესა ეგვპტელთასა და მეპურეთ მოძღუარმან. (2) და განურისხნა მეფემ ფა-რაო ორთავე მათ საქურისთა, ღვინის მნესა მას და მეპურეთ მოძღუარსა, (3) და მისცნა იგინი საპყრობილესა მზარეულთ მოძღურისა მის, ადგილსა, სადა-იგი იოსებ პყრობილ იყო. (4) და შეჰვედრნა იგინი მესაპყრობილეთ მთავარმან იოსებს და დადგა იგი წინაშე მათსა და იყენეს იგინი საპყრობილესა მას შინა მრავალ დღე. (5) და იხილეს ჩუენებაჲ ორთავე მათ, კაცად-კაცადმან ღამესა

ერთსა, ხილვად იგი ჩუენებისა მათისაჲ, ღვინის მნემან და მეპურეთ მოძღუარმან ფარაო მეფისამან იხილეს საპყრობილესა მას შინა.

(6) შევიდა მათა იოსებ განთიად და იხილნა იგინი, და იყენეს იგინი შეწუხებულ. (7) ჰკითხვიდა საჭურისთა მათ ფარაოსთა, რომელი იყენეს საპყრობილესა შინა უფლისა თვისისასა, და ჰრქუა: რაჲსათჳს პირნი თქუენნი შეწუხებულ არიან დღეს? (8) ხოლო მათ ჰრქუეს მას: ჩუენებაჲ ვიხილეთ და გამომეტყუელ არავინ არს მისა. ჰრქუა მათ იოსებ: ანუ არა ღმრთისა მიერ არსა გამოთქუმაჲ იგა მათი? მითხართ იგი მე. (9) და უთხრა ღვინის მნემან მან ჩუენებაჲ იგი თჳსი იოსებს და ჰრქუა: ძილსა შინა ჩემსა ვხედვედ და იყო ვენაჲ წინაშე ჩემსა, (10) და ვენაჲსა მას სამნი ძირნი. და იგი აღმოსცენდა და აღმოორძნდა მორჩი და მწიფე იყენეს ტევანნი იგი ყურძნისანი. (11) და სასუმელი ფარაოსი ჳელსა ჩემსა და მოვილე ყურძენი იგი ჳელსა ჩემსა და გამოეწურე სასუმელსა შინა ფარაოსსა. (12) ჰრქუა მას იოსებ: ესე არს გამოთარგმანებაჲ მაგისი: სამნი იგი ძირნი სამნი დღენი არიან. (13) სამნილა დღენი წარქდენ და მოექსნოს ფარაოს სამთავროჲ იგი შენი და კუალად დაგადგინოს შენ ღვინის მნეობასა შენსა და მისცე სასუმელი ჳელსა ფარაოსსა პირველისებერ მთავრობისა შენისა, ვითარცა იყავ პირის მწდი. (14) არამედ მომიკსენე მე თავით შენით, რაჲამს კეთილი გეყოს შენ, და ყავ ჩემთჳს წყალობაჲ და მოიკსენე ჩემთჳს წინაშე ფარაოსსა და განმრყენოს მე საპყრობილისა ამისგან. (15) რამეთუ პარეით წარმომიპარეს მე ქუეყანით ებრაელთაჲ და აჲაცა არარა ვქმენ ბოროტი და შემომავდეს მე სახლსა ამას ჳურღნულისასა.

(16) ვითარცა იხილა მეპურეთ მოძღუარმან მან, რამეთუ მართლ გამოუთარგმნა, ჰრქუა იოსებს: მეცა ვიხილე ჩუენებაჲ: მეგონა მე, ვითარმედ სამნი ლანკლანი სამინდოაჲა მქონდეს თავსა ზედა ჩემსა. (17) ხოლო ლანკლასა მას ზედაკერძოსა იყო ყოვლისაგან სანოვაგისა, რომელსა ჳამნ მეფე ფარაო, ქმნული მეპურეთ მოძღურისაჲ, და მფრინველნი ცისანი შეშჳამდეს მას ლანკლისა მისგან, რომელი იყო თავსა ჩემსა. (18) მიუგო იოსებ და ჰრქუა: ესე არს შეტყუებაჲ მაგისი: სამნი ესე ლანკლანი სამნი დღენი არიან. (19) სამნილა დღენი წარქდენ და მოკუუეთოს ფარაო თავი შენი შენგან და დამოგვიდოს შენ ძელსა. და შექამენ მფრინველთა ცისათა ჳორცნი შენნი.

(20) და იყო დღე შობისა ფარაოსი დღესა მესამესა და იყო სუმაჲ დიდი ყოველთა მონათა მისთაჲ. და მოექსენა პატრივი ღვინის მნისაჲ მის და პატრივი მეპურეთ მოძღურისაჲ მის შოკრის მონათა მისთა. (21) და კუალად დაადგინა ღვინის მნე იგი მთავრობასავე თჳსსა და მისცა სასუმელი ჳელსა ფარაოსსა. (22) ხოლო მეპურეთ მოძღუარი იგი დამოჳკიდა ძელსა, ვითარცა-იგი გამოუთარგმანა მას იოსებ. (23) ხოლო ღვინის მნესა მას არა მოექსენა იოსებ, არამედ დაავიწყდა.

(1) და იყო შემდგომად ორისა წლისა მათ დღეთაჲსა ფარაო იხილა ჩუენებაჲ: ეგონა, ვითარმედ დგა იგი მდინარესა ზედა. (2) და აჲა ესერა ვითარმცა მდინარისაგან გამოვიდოდეს შვდნი ზროხანი, შუენიერნი პირითა და მსუქანენნი ჳორცითა, და ძოვდეს მდინარისა მის კილესა. (3) და სხუანი შვდნი ზროხანი აღმოვლოდეს შემდგომად მათსა მიერეჲ მდინარით, საძაგელნი ხილეთა და მკლენი ჳორცითა, და ძოვდეს ზროხათავე მათ თანა მდინარის კილესა მას. (4) და

შეკამნეს შვდთა მათ ზროხათა, საძაგელთა ხილვითა და მკლეთა ჯორცითა, შვდნი იგი ზროხანი, კეთილნი ხილვითა და რჩეულნი ჯორცითა. განიღჳდა ფარაო.

(5) და მეორედ ჩუენებასა იხილვიდა: და აჲა ესერა შვდნი თავნი ჭუვილი-სანი აღმოვიდოდეს ძირსა ზედა ერთსა, რჩეულნი და კეთილნი. (6) და აჲა კუ-ლად მერმე შვდნი თავნი აღმოსცენდეს მათ თანა, წულილნი და ხორშაკეულნი. (7) და შეკამნეს შვდთა მათ თავთა, წულილთა და ხორშაკეულთა, შვდნი იგი თავნი, რჩეულნი, საესენი და კეთილნი. განიღჳდა ფარაო და აჲა ესერა იყო იგი ჩუენებაჲ.

(8) და ვითარ განთენა, შეძრწუნებულ იყო სული მისი მის თანა. მიავლინა და მოუწოდა ყოველთავე მათ გამომეტყუელთა ეგჳპტისათა და ყოველთა ბრძენ-თა მისთა და უთხრა მათ ფარაო ჩუენებაჲ იგი. და არაჲინ იყო მათგანი, რომელ-მანმცა უთხრა ფარაოს ჩუენებაჲ იგი. (9) და ეტყოდა ღვინი მნმ იგი ფარაოს და ჰრქუა: ცოდვაჲ ჩემი მოვიქსენო დღეს. (10) ფარაო პრისხვიდა მონათა თჳსთა და შემსხნა ჩუენ საპყრობილესა, სახლსა მას მზარაულთ მოძღურისასა, მე და მე-პურეთ მოძღურაი.

(11) და ვიხილეთ ჩუენებაჲ ღამესა ერთსა მე და მან, კაცად-კაცადმინ ჩუენ-მან მსგავსად თჳსისაებრ ჩუენებისა ვიხილეთ. (12) და იყო მუნ ჩუენ თანა ჳაბუ-კი ერთი ებრაელი, მონაჲ მზარაულთ მოძღურისაჲ, და უთხართ მას ჩუენებაჲ იგი და მან განგჳმარტა ჩუენ. (13) და ვითარცა-იგი მან განგჳმარტა, ეგრეცა იყო და შეგჳუმთხვა ჩუენ: მე კუალად მოვედ ჩემსავე ამას პატივისა, ხოლო იგი და-მოვიკიდა ძელსა და მოკუდა. (14) მიუვლინა ფარაო და მოუწოდა იოსებს და გამოიყვანა იგი საპყრობილისა მისგან. დაუკუეცეს მას თმაჲ და შეუკვალეს სა-მოსელი და მოვიდა წინაშე ფარაოსსა. (15) ჰრქუა ფარაო იოსებს: ჩუენებაჲ ვიხილეთ და არაჲინ არს, ვინმცა განმმარტა იგი. ხოლო მე მასმეის შენთჳს: ვითარ თჳჲან ჩუენებაჲ, განმმარტი იგი. (16) მიუგო იოსებ და ჰრქუა ფარაოს: თვნიერ ღმრთისა ვერ მიეგოს სიტყუაჲ მაცხოვარებასა ფარაოსსა.

(17) ეტყოდა ფარაო იოსებს და ჰრქუა: ძილსა შინა ჩემსა მეგონა, ვითარმედ ეღვჳ კიდესა მდინარისასა, (18) და ვითარმცა მიერ მდინარით გამოვიდოდეს შვდნი ზროხანი, რჩეულნი ჯორცითა და შუენიერნი ხილვითა, და ძოედეს კიდესა ზედა. (19) და მერმე კულად შვდნი სხუანი ზროხანი აღმოვიდოდეს შემდგო-მად მათსა მიერევე მდინარით, ხენეშნი და საძაგელნი ხილვითა და მკლენი ჯორ-ცითა, რომელ არასადა მეხილნეს ეგვიითარნი საძაგელნი ყოველსა ეგჳპტისა. (20) და შეკამნეს შვდთა მათ ზროხათა, მკლეთა და საძაგელთა, შვდნი იგი ზრო-ხანი, კეთილნი და რჩეულნი. (21) შევიდეს მუკელთა მათთა და არარაჲ გამოჩნ-და, ვითარ შევიდეს მუკელთა მათთა. და პირნი მათნი ეგრევე საძაგელ იყენეს, ვითარცა-იგი პირველ. განვიღჳძე და კუალად დავიძინე. (22) და ვიხილევდ მერმე ჩუენებასა: და ვითარმცა შვდნი თავნი ჭუვილისანი აღმოვიდოდეს ადგილსა ერთსა, საესენი და კეთილნი. (23) და მერმე კუალად შვდნი თავნი წულილნი და ხორშაკეულნი აღმოსცენდებოდეს მათ თანავე. (24) და შთანთქნეს შვდთა მათ თავთა, წულილთა და ხორშაკეულთა, შვდნი იგი თავნი, საესენი და კეთილნი. უთხარ ესე გამომეტყუელთა ამათ და არაჲინ არს, რომელმანმცა მითხრა მე.

(25) ჰრქუა იოსებ ფარაოს: ჩუენებაჲ ფარაოსი ერთ არს: რავდენი ეგუ-ლების ღმერთსა ყოფად, უჩუენა ფარაოს (26) შვდნი იგი ზროხანი კეთილნი შვდნი წელინი არიან და შვდნი თავნი ჭუვილისანი შვდნი წელინი არიან. ჩუენე-

ზა ფარაოასი ორივე იგი ერთ არს. (27) და შუდნი იგი ზროხანი, რომელნი აღმოვიდოდეს შემდგომად მათსა მკლენი, შუდნი წელი არიან; და შუდნი თავნი ჭუვილისანი, წულილი და ხორშაკეული — იყოს შუდი წელი სიყმილი. (28) ხოლო სიტყუა იგი რომელ ვარქუ ფარაოს, რადენი ეგულებს ღმერთსა, უჩუენა ფარაოს. (29) აჰა შუდნი წელი მოელენ ნაყოფიერებისანი დიდნი ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა. (30) და მოიწინენ შუდნი წელი სიყმილისანი შემდგომად მისა. დააიწყოს ნაყოფიერება იგი მაძღრობისა ქუეყანასა ეგვპტისასა და აღჭოცოს სიყმილმან ქუეყანაჲ. (31) და არლარა საცნაურ იყოს ნაყოფიერება ქუეყანასა ზედა სიყმილისაგან; რომელი იყოს შემდგომად მისა, რამეთუ სასტიკ იყოს ფრიად. (32) ხოლო მეორედ დაქცევისა მისთვის ჩუენებისა ფარაოასისა ორ გზის, რათა კეშმარიტ იყოს სიტყუა იგი ღმერთისა მიერი და ისწრაფოს ღმერთმან ყოფად ესე. (33) აწ უკუე იხილე კაცი ბრძენი და მეცნიერი და დაადგინე იგი ყოველსა ზედა ქუეყანასა ეგვპტისასა. (34) და ყავნ ესრეთ ფარაო და დაადგინენ ადგილთა მთავარნი ქუეყანასა ზედა და ხუთეული აღილედ ყოვლისაგან ქუეყანისა ეგვპტისაჲსა შუდთა მათ წელთა ნაყოფიერებისათა (35) და შეკრიბედ ყოველივე საზრდელი შუდთა მათ წელთაჲ მომავალთა კეთილთაჲ და შეკრიბედ იფქლი ჰელსა ქუეშე ფარაოასსა. საზრდელი ქალაქთა შინა დამარხულ იყავნ. (36) და იყავნ საზრდელი დამარხულ ქუეყანისათვს შუდთა მათ წელთა სიყმილისათა, რომელნი ყოფად არიან ქუეყანასა ზედა ეგვპტისასა, და არა მოისრას ქუეყანაჲ სიყმილითა.

(37) ხოლო სათნო-უჩნდეს სიტყუანი ესე წინაშე ფარაოასსა და წინაშე ყოველთა მონათა მისთა. (38) და ჰრქუა ფარაო ყოველთა მონათა თვთა: ვინაჲ ეპოთ ჩუენ კაცი სხუა ესევეითარი, რომლისა თანა არს სული ღმერთისაჲ? (39) ჰრქუა ფარაო იოსებს, რამეთუ: გიჩუენა შენ ღმერთმან ესე ყოველი, არავინ არს კაცი უბრძენს შენსა და უგულისხმისყოფელეს შენსა. (40) შენ იყავ სახლსა ზედა ჩემსა და პირსა შენსა ვრჩდეს ერი ჩემი, გარნაჲსადრითა ხოლო გმარდ მე შენ. (41) და აჰა ესერა ღამიდგინებზე მე შენ დღესით დღითგან ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა. (42) და წარიჰადა ფარაო ბეჰედი ჰელისაგან თვისსა და შეაეცუა ჰელსა იოსებისსა და შეჰმოსა სამოსელი ბისონი და გარდაეცუეს მანიაკი ოქროსაჲ ყელსა მისსა. (43) და აღსუა იგი ეტლსა შემდგომსა მისსა და ჰმოხდა წინაშე მისსა ქადაგი და დაადგინა იგი ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა. (44) ჰრქუა ფარაო იოსებს: მე, ფარაო, გეტყვ: თვნიერ შენსა არავინ აღყოს ჰელი ქუეყანასა ეგვპტისასა. (45) და უწოდა ფარაო სახელი იოსებს ფონთოფარნექ და მისცა მას ასენექ, ასული პეტერფრესი, მღდელისა მის შვის ქალაქისაჲ, მისა ცოლად.

(46) იოსებ იყო ოც და ათის წლის, რაჲმს წარდგა წინაშე ფარაოასსა, მეფისა ეგვპტელთაჲსა. განვიდა იოსებ პირისაგან ფარაოასისა და მოელო ყოველ ეგვპტე. (47) და ყო ქუეყანამან შუდთა მათ წელთა ნაყოფიერებისათა ნაყოფი. (48) და შეკრიბა შუდთა მათ წელთა ნაყოფიერებისათა საზრდელი, რომელი იგი იყო ნაყოფი ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა, და დადვა საზრდელი ქალაქთა შინა, საზრდელი ველთაჲ ქალაქისა მის გარემოასთაჲ და დადვა მას შინა. (49) და შეკრიბა იოსებ იფქლი ვითარცა ჰქშაჲ ზღვსაჲ დიდად ფრიად, ვიდრემდე ვერლარა ეძლო აღრაცხად, რამეთუ არა იყო რიცხვ.

(50) ხოლო იოსებს ესხნეს ორ ძე ვიდრე მოწუნადმდე შუდთა მათ წელთა

სიყმილისათა, რომელნი უშენა ასენექ, ასულმან პეტეფრესმან, მღღელისა შვის ქალაქისამან. (51) და უწოდა იოსებ ბირმოსა მისსა მანასე და თქუა: დამავიწყა მე ღმერთმან ყოველი საღმრთბა ჩემი და ყოველივე მამისა ჩემისაჲ. (52) და მერ-რესა მას უწოდა ეფრემ და თქუა: რამეთუ აღმაორძინა ღმერთმან სიმდაბლესა შინა ჩემსა. (53) წარქდეს შუდნი იგი წელნი ნაყოფიერებისანი, რომელნი იყვნეს ქუეყანასა მას ეგვიპტისასა, (54) და იწყეს შუდთა მათ წელთა სიყმილისათა მოს-ლავად. და იყო სიყმილი ყოველსა ქუეყანასა, ხოლო ქუეყანასა ეგვიპტისასა არა იყო პური. (55) და შეეშია ყოველსა ქუეყანასა ეგვიპტისასა და ლალად-ყო ყო-ველმან ერმან პურისათუს წინაშე ფარაოჲსსა. პრქუა ფარაო მეეგვიპტელთა: მი-ვედით იოსებისა და, რაჲ გრქუეს მან, იგიცა ყავთ. (56) და სიყმილი იყო პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა. განახუნა იოსებ ყოველნი საუნჯენი იფქლისანი და ჰყიდდა ყოველთა ეგვიპტელთა. (57) და ყოველი სოფლები მოვიდოდა ეგვიპტელ...

42

... ფარაოჲსსა, ვითარმედ მსტოვარნი ხართ. (17) და შესხნა იგინი საპყრობი-ლესა სამ ღღე. (18) და პრქუა მათ მესამესა ღღესა: ესე ყავთ და სცხონდეთ, რამეთუ მე ღმერთისა მეშინის. (19) უკუეთუ ხართ თქუენ მშუდობისანი, ძმაჲ ერთი თქუენი დაიციენო-საპყრობილესა შინა, ხოლო თქუენ წარვივით და წარი-დეთ სყიდული იგე იფქლი თქუენი. (20) და ძმაჲ იგი თქუენი მოიყვანეთ აქა ჩემდა, და მაშინლა თუ სარწმუნო იყვნენ სიტყუანი თქუენნი; უკუეთუ არა, მოსწყდეთ. და მათ ყვეს ეგრშთ. (21) პრქუა კაცად-კაცადმან ძმასა თუსსა: ჰე, ცოდვასა შინა ვართ ძმისა ჩუენისათუს, რამეთუ უგულებელს-ყავთ ჰირი სული-სა მისისაჲ, ოდეს გუევედრებოდა ჩუენ და არა ვისმინეთ მისი. ამისთუსცა მოიწია ყოველი ესე ჰირი ჩუენ ზედა. (22) მიუგო რუბენ და პრქუა მათ: არა გეტყოდეთ თქუენ და გარქუ: ნუ ავენებთ-შმასა მაგას ჩუენსა? და არა ისმინეთ ჩემი და აწ ესერა იძიების სისხლი მისი. (23) ხოლო მათ არა იცოდეს, ვითარმედ ესმის ყო-ველი იგი იოსებს, რამეთუ თარგმანი დგა მათ შოკრის.

(24) და მიიქცა გარე იოსებ მათგან და ტიროდა. მერმე მოუქდა და პრქუა მათ ეგრევე. და შეიპყრა სუმეონ და შეკრა მათ წინაშე. (25) და უბრძანა იოსებ აღესებად ჰურჰურნი მათნი იფქლითა და მიცემად კაცად-კაცადსა ვეცხლი ძაძა-სა თუსსა და მიცემად საგზალი გზასა ზედა. და უყვეს მათ ეგრშთ. (26) და აჰკი-დეს იფქლი ვირთა მათთა და წარვიდეს შიერ. (27) განჰქსნა ერთმან ტვრთსა, რაათამცა სცა საზრდელი ვირთა სადგურსა ზედა, და იხილა შეკრული იგი ვეცხლი თუსი, რამეთუ იდგა ზედა კერძო ძაძასა მისსა. (28) პრქუა ძმთა თუსთა: კუალად მომეცა მე ვეცხლი ჩემი და აჰა იგი ვაშკარანსა ჩემსა არს. განჰკრთა გუ-ლი მათი და შეშფოთნეს ურთიერთას და იტყოდეს: რაჲ ესე მიყო ჩუენ უფალმან?

(29) და მოვიდეს იაკობისა, მამისა მათისა, ქუეყანად ქანანისა და უთხრეს მას ყოველი, რომელი შეემთხვა მათ, და იტყოდეს: (30) მეტყოდა ჩუენ კაცი იგი, უფალი მის ქუეყანისაჲ, ფიცხლად და შემსხნა ჩუენ საპყრობილესა, ვითარ-ცა მსტუარნი ქუეყანისანი. (31) ხოლო ჩუენ ვარქუთ მას: მშუდობისანი ვართ და არა მსტოვარნი. (32) ათორმეტ ვიყვენით ჩუენ ძენი ერთისა მამისანი და ერთი იგი არა შოკრის ჩუენსა არს, ხოლო ერთი იგი მამისა ჩუენისა თანა არს

ქუეყანასა ქანაანისასა. (33) მრქუა ჩუენ კაცმან მან, უფალმან მის ქუეყანისამან: ამით ვცნა, უკუეთუ მშვდობისანი ხართ: ძმა თქუენი ერთი ჩემ თანა დაუტევეთ და სყიდული, რომელ მიგიღებოც, მიაართოთ ვანსა თქუენსა და წარვედით (34) და ძმა იგი თქუენი უმრწემსი მოიყვანეთ ჩემდა და ვცნა, რამეთუ არა მსტუარნი ხართ, არამედ მშვდობისანი, და ძმა ესე თქუენი მიგცე თქუენ და ქუეყანასა ამას იქცეოდეთ და ვაქრობდით.

(35) იყო ვითარცა წარმოცალიერებდეს ძაძათა მათთა, იპოვა კაცად-კაცად-ღისა ვეცხლი შეკრული ძაძათა მათთა. ვითარცა იხილეს შეკრულები იგი ვეცხლინათ და მამამან მათმან, შეშინდეს. (36) და თქუა იაკობ, მამამან მათმან: მე უშუალო მქმენით, იოსებ არა არს... და ბენიამენდა მიმიღოთ. ჩემ ზედა იქმნა ესე ყოველი! (37) მიუგო რუბენ მამასა თვსსა და პრქუა: ორნი ესე ძენი ჩემნი მოწყდენ, უკუეთუ არა მოვიყვანო ეგე შენდა. მომეც ეგე ჰელთა ჩემთა და მე აღმოგვუარო ეგე შენ. (38) პრქუა მას იაკობ: არა შთავიდეს ძმ ჩემი თქუენ თანა, რამეთუ ძმა მაგისი მოკულდა და ეგე მარტოა დაშთომილ არს... და შთავლინოთ სიბერძ ჩემი მწუხარებით ჯოჯობეთა.

43

(1) ხოლო სიყმილი განძლიერდებოდა ქუეყანასა ზედა. (2) და იყო რაჟამს შეასრულეს იფქლი იგი ჰამად, რომელი მოიღეს ეგვიპტით, პრქუა მათ მამამან მათმან: კულად წარვედით და მიყიდეთ ჩუენ მცირედ საზრდელი. (3) პრქუა მას ირუდა: წამებით მიწამებდა ჩუენ კაცი იგი და თქუა: ვერ იხილოთ პირი ჩემი, უკუეთუ არა ძმა იგი თქუენი უმრწემსი იყოს თქუენ თანა. (4) უკუეთუ მოავლინებ ძმასა ჩუენსა ჩუენ თანა, შთავიდეთ და გიყიდოთ შენ საზრდელი. (5) უკუეთუ არა მოავლინებ ძმასა ჩუენსა ჩუენ თანა, არა შთავიდეთ, რამეთუ კაცი იგი გუეტყოდა და გურქუა ჩუენ: არა იხილოთ პირი ჩემი, უკუეთუ არა ძმა თქუენი უმრწემსი იყოს თქუენ თანა. (6) პრქუა მათ ისრაელ: რაჟ ესე ბოროტი მიყავთ მე? რაჟათვს უთხაროთ კაცსა მას, ვითარმედ: გვვის ჩუენ ძმა? (7) ხოლო მათ პრქუეს: კითხვით მკითხვიდა ჩუენ კაცი იგი ნათესავსა ჩუენსა და თქუა: უკუეთუ მამა თქუენი ცოცხალ არს, ანუ გივის ძმა? და ჩუენ უთხაროთ კითხვის-ს მისისაებრ. ჩუენ რაჟ უწყოდეთ, თუ მრქუას ჩუენ: მოიყვანეთ ძმა თქუენი? (8) პრქუა მას ირუდა: მოავლინე ყრმაჟ ეგე ჩემ თანა და აღვდგეთ და წარვიდეთ. რაჟაჟა ვცხობდეთ და არა მოვსწყდეთ ჩუენსა და შენსა და ვანიცა ჩუენი. (9) მე თავს-ვიღვა ეგე და ჰელთაგან ჩემთა იძიე ეგე. უკუეთუ არა მოვიყვანო ეგე და დავადგინო შენ წინაშე, შეცოდებულ ვიყო შენდა ყოველთა დღეთა! (10) უკუეთუ არა დაგუეყვნა, აწმცა მოქცეულ ვართ სამ გზის. (11) პრქუა მათ ისრაელ, მამამან მათმან: ვინაჟთგან ეგრძთ არს, ესე ყავთ: მიიღეთ ნაყოფისაგან ამის ქუეყანისა ჰურჰერთა თქუენთა და შთაართოთ კაცსა მას ძლუენი: რეტინი და თაფლი, საკუმეველი და შტახსი, ბელეკონი და ნიგოზი. (12) და ვეცხლი ორი წილი მიიღეთ ჰელთა თქუენთა და ვეცხლი ოგი, რომელ მოიქცა ჰურჰერთა თქუენთა თანა, მიიღეთ თქუენ თანა, ნუუკუე უმეცრება რაჟმე არს. (13) და ძმა თქუენი წარიყვანეთ, აღდგით და წარვედით მის კაცისა. (14) და ღმერთმან ჩემ-ნან მოგეცინ თქუენ მაღლი წინაშე მის კაცისა და მოავლინენ ძმა იგი თქუენი ერთი და ბენიამენ, რამეთუ მე ერთეე უშვილო ვიქმენ. (15) მიიღეს კაცთა მათ

ძღუენი იგი და ვეცხლი, ორი წილი მიიღეს მათ თანა და ბენიამენ, და აღდგეს და შთაეოდეს ეგვიპტელ და წარდგეს წინაშე იოსებისა.

(16) ვითარცა იხილნა იგინი იოსებ და ბენიამენ, ძმაჲ იგი თჳსი ერთისა დედისაჲ, ჰრქუა ეზოას მოძღუარსა მას თჳსსა: შეიყვანენ კაცნი ესე სახილ და დაკალთ საკლევლები და შზა-ყავთ, რაჲთა ჰქამონ პური ჩემ თანა კაცთა მგათ სამხრის. (17) და ყო ეგრძეთ კაცმან მან, ვითარცა უბრძანა მას იოსებ, და შეიყვანნა კაცნი იგი ვანად იოსებისა. (18) და მათ ვითარცა იხილეს, რამეთუ შეიყვანნა სახლსა იოსებისსა, თქუეს: ვეცხლისა მისთჳს, რომელი იპოვა ჰურქერთა ჩუენთა პირველად, მისთჳს შეეპყავთ ჩუენ შეწამებად ცილისა, დაღებად ბრალისა და მიყვანებად მონად და კარაულთა ჩუენთა. (19) მოვიდეს კაცისა მის, რომელი-იგი იყო სახლსა ზედა იოსებისსა ბქეთა ზედა სახლისათა, (20) და ჰრქუეს მას: გვედრებით, უფალო, მოვედით პირველად სყიდად საზრდელისა. (21) და იყო ვითარცა მივედით სადგურსა და აღვალეთ ძაძათა ჩუენთა, კაცად-კაცადისა ვეცხლი იპოვა ძაძათა ჩუენთა. ვეცხლი ჩუენი სასწორითა მოგვლებიეს აწ ჴელთა ჩუენთა. (22) და ვეცხლი სხუაჲ მოგვლებიეს სყიდად საზრდელისა და არა ვიცით, ვინ შთადეა ვეცხლი იგი ძაძათა ჩუენთა. (23) ხოლო მან ჰრქუა მათ: შენდობა იყავნ თქუენდა, ნუ გეშინინ, ღმერთმან თქუენმან და ღმერთმან მამათა თქუენთამან მოგცა საფასჲ ჰურქერთა თქუენთა. ხოლო მე ვეცხლი თქუენი გამოცდილი მომიღებიეს. და გამოჰგუარა მათ სუემონ. (24) და მოართუა წყალი დაბანადი ფერჭთა მათთა და მისცა საჴმელი ვირთა მათთა.

(25) ხოლო მათ შომზადეს ძღუენი მოსულად იოსებისა სამხრად, რამეთუ ესმა, ვითარმედ, ისადილებს მუნ. (26) შევიდა იოსებ სახილ თჳსა და შეართუეს მას ძღუენი, რომელი აქუნდა ჴელთა მათთა, და თაყუანის-სცეს მას თავით ჴუეყანასა ზედა. (27) ჰკითხა იოსებ და ჰრქუა მათ: ცოცხლებით არსა მამაჲ იგი თქუენი მოხუცებული, ცოცხალ არსა? (28) ხოლო მათ ჰრქუეს: ცოცხლებით არს მონაჲ იგი შენი, მამაჲ ჩუენი, ცოცხალ არს. თქუა იოსებ: კურთხეულ არს კაცი იგი ღმრთისა მიერ! და იგინი მოდრკეს და თაყუანის-სცეს მას. (29) აღიხილნა თულანი თჳსნი იოსებ და იხილა ბენიამენ, ნაშობი დედისა მისისაჲ, და თქუა: ესე არსა ძმაჲ იგი თქუენი მრწემი, რომლისაჲ სთჴუთ ჩემდა მოყვანებაჲ? და ჰრქუეს: ესე არს. (30) შეძრწუნდა იოსებ, რამეთუ შეიწუებოდეს ნაწლენი მისნი ძმისა მისსა ზედა და ეგულვა ტირილდ. შევიდა საუნჯედ და ტიროდა მუნ. (31) და დაიბანა პირი თჳსი და დაითმინა ტი. .ლი და უბრძანა დაგებაჲ პურისაჲ. (32) და დაუგეს მას მარტოსა და მათ თჳსა და შეეგვიპტელთა მათ, რომელნი პურსა ერთნეს, თჳსაგან, რამეთუ ვერ ჴელ-ეწიფების შეეგვიპტელთა მათ პურისა ჴამაჲ ებრაელთა თანა; რამეთუ საძაგელეზა არს შეეგვიპტელთა მათ. (33) და დასხდეს წინაშე მისსა უხუცესი უხუცესად და უმრწემსი უმრწემსად. განუკვრდებოდა კაცთა მათ ძმისა მიმართ თჳსისა. (34) მიიღებდეს ბოძსა კაცად-კაცად მისგან თავისა თჳსისა, ხოლო დიდად განდიდნა ბოძი ბენიამენისი უფროას მათსა. და სუენს ღვინო და დაითრენეს მის თანა.

(1) და უბრძანა იოსებ ეზოას მოძღუარსა თჳსსა და ჰრქუა: აღავსენით ძაძათ-ნი მგათ კაცთანი საზრდელითა, რადენ ძალ-ველვას წარლებად, და შთაუღვეით ვეცხლი კაცად-კაცადისაჲ პირსა ზედა ძაძისა თჳსისასა, (2) და ბარძიმი იგი

ვეცხლისა შთაუდგთ ძაძასა მას უმრწემისისასა და სასყიდელიცა იფქლისა მისისაჲ. ხოლო მათ ყვეს სიტყუსა მისებრ იოსებისა, ვითარცა-იგი უბრძანა მათ (3) და ვითარ განთენა ღამე იგი, წარგზავნეს კაცნი იგი და კარაულნი მათნი.

(4) და ვითარ განვლეს ქალაქი და არღა განშორებულ იყვნეს შორად, ჰრქუა იოსებ ეზოას მოძღუარსა თუსსა: აღდგე, დევნა-უყავ კაცთა მათ, ეწიე და არქუ: რახსათუს მომაგეთ მე ბოროტი კეთილისა წილ? რახსათუს მიმპარეთ ბარძიმი ჩემი ვეცხლისაჲ? (5) ანუ არა ესე არსა, რომლითა სუამს უფალი ჩემი და იგი ზმნით იზმნინ მაგით? ბოროტი აღასრულეთ, რომელ-ესე ჰყავთ. (6) ხოლო იგი ეწია და ჰრქუა სიტყუსა მისებრ. (7) მათ მიუგეს და ჰრქუეს: რად იტყვ უფალი ჩუენი სიტყუსა მაგას? ნუ იყოფინ სიტყუსა მაგისებრ მონათა შენთა! (8) უკუეთუ ვეცხლი იგი, რომელ ვპოვეთ მონათა შენთა ჰურჭერთა ჩუენთა, მოვიღეთ შენდა ქუეყანით ქანანისაჲთ, ვითარცა ვიპარეთ სახლისაგან უფლისა შენისა ოქროჲ ანუ ვეცხლი? (9) რომლისა თანაცა იპოოს მონათა შენთაგანისა ბარძიმი იგი, მოკუედინ და ჩუენმცა ვართ უფლისა შენისა მონა! (10)... ხოლო თქუენ უბრალო იყენეთ. (11) იწრაფეს და გარდაჰქადეს კაცად-კაცადმან ტვრთი თუსა და განჰქსნა თითოეულმან ძაძაჲ თუსი. (12) იწყო და აღიხილვიდა უხუცესითგან ვიდრე უმრწემისისა და იპოვა ბარძიმი იგი ტვრთსა შინა ბენიამენისსა. (13) ხოლო მათ დაიბეს სამოსელი მათი და აჰკიდეს კაცად-კაცადმან ტვრთი თუსი კარაულსა და მიიქცეს ქალაქად.

(14) და შევიდა იუდა და ძმანი მისნი იოსებისა, ვიდრე სახლსაღა შინა თუსსა იყო იოსებ, და დაეცვეს წინაშე მისსა ქუეყანასა ზედა. (15) ჰრქუა მათ იოსებ: რაჲ საქმე ჰქმენით ესე? არა იცითა, რამეთუ ზმნით იზმნინ კაცი ჩემ ვი-ჩარი? (16) ჰრქუა მას იუდა: რაჲ-მე სიტყუაჲ მიგიგოთ უფალსა ჩუენსა, ანუ რასა ვიტყოდით, ანუ რასა ვმართლობდეთ, რამეთუ ღმერთმან პოვნა მონან-თუსნი ცოდვასა შინა. აჲ ესერა ვართ ჩუენ მონანი უფლისა ჩუენისანი, ჩუენცა და რომლისა თანა იპოვა ბარძიმი იგი. (17) ჰრქუა მათ იოსებ: ნუ იყოფინ ჩემდა სიტყუსაებრ მაგის; რომლისა თანა იპოვა ბარძიმი იგი, იგიცა იყოს მონა ჩემდა, ხოლო თქუენ აღვედით ცოცხლებით მამისა თქუენისა. (18) მი-რე-ეახლა მას იუდა და ჰრქუა: გვედრები, უფალო, იტყოდის მონაჲ შენი წინაშე შენსა და ნუ განჰრისხნები მონისა შენისათუს, რამეთუ შენ ხარ შემდგომ ფარაოჲსსა. (19) უფალო, შენ ჰკითხვ მონათა შენთა და სთქუ: უკუეთუ გივის მამაჲ ანუ ძმაჲ? (20) და გარქუთ უფალსა ჩუენსა, ვითარმედ: გვიის ჩუენ მამაჲ მოხუცებული და ძმ სიბერისა მისისაჲ, ძმაჲ ჩუენი. ხოლო ძმაჲ მისი მოკუელა და იგი დაშთა დედა-სა მისსა მარტოჲ და მამამან შეიყუარა იგი. (21) ხოლო შენ არქუ მონათა შენთა: მოიყვანეთ იგი ჩემდა და მე ვილუაწო იგი. (22) და ჩუენ გარქუთ უფალსა ჩუენსა: ვერ ჰელ-ეწიფების ყრმასა მაგას დატყევაჲ მამისა: უკუეთუ დავტეოს მამაჲ. მოკუედეს იგი. (23) ხოლო შენ არქუ მონათა შენთა: უკუეთუ არა მოვიდეს ძმაჲ იგი თქუენი უმრწემისი, არღარა შესძინოთ ხილვად პირი ჩემი. (24) იყო ვითარცა აღვედით მონისა შენისა, მამისა ჩუენისა, უთხართ მას სიტყუაჲ უფლისა ჩუენისაჲ. (25) და მრქუა ჩუენ მონამან შენმან, მამამან ჩუენმან: წარვედით და მიყიდეთ ჩუენ მცირედ საზრდელი. (26) ხოლო ჩუენ ვარქუთ: ვერ ჰელ-გუეწი-ფების შთასლვად, არამედ ძმაჲ თუ ჩუენი უმრწემისი შთამოავლინო ჩუენ თანა, შთავიდეთ, რამეთუ ვერ ჰელ-გუეწიფების ხილვად პირი კაცისაჲ მის, უკუეთუ ძმაჲ ჩუენი უმრწემისი არა იყოს ჩუენ თანა. (27) მრქუა ჩუენ მამამან ჩუენმან,

მონამან შენმან: თქუენ უწყით, რამეთუ ორნი შენა ივინი ცოლმან ჩემმან; (28) და ერთი იგი წარწყმდა, გან-რაჲ-ვიდა ჩემგან, და სთქუთ, ვითარმედ: მკეც-მან შეკეპა იგი, და არღარა ვიხილე იგი. (29) აწ ესელა თუ წარიყვანოთ პირისა-გან ჩემისა და შეხუდეს მაგას სნეულებჲა ზნასა ზედა და შთაველინოთ სიბერჲ ჩემი მწუხარებით ჯოჯოხეთა. (30) და აწ უკუეთუ აღვიდეთ მონისა შენისა, მ-მისა ჩუენისა, და ყრმაჲ ეგე არა იყოს ჩუენ თანა, რამეთუ სულნი მისნი გამოა-ბან სულსა მაგისსა, (31) და იყოს რაჟამს იხილოს, ვითარმედ ყრმაჲ იგი არა არს ჩუენ თანა, მოკუდეს და შთაველინოთ მონათა შენთა სიბერჲ მონისა შენისა, მამისა ჩუენისაჲ, მწუხარებით ჯოჯოხეთა. (32) რამეთუ მონასა შენსა თავს-მი-დებიეს ყრმაჲ ეგე მამისაგან და ვარქუ: უკუეთუ არა მოვიყვანო და დავადგინო ეგე შენ წინაშე, შეცოდებულ ვიყო მამისა ყოველთა დღეთა (33) აწ ვდგე მე-მონად შენდა ყრმისა ამის წილ კირთად უფლისა ჩემისა, ხოლო ყრმაჲ ეგე აღვი-დეს მამათა თანა მამისა: (34) არა თუ იყოს ძმაჲ ჩუენი უმრწემესი ჩუენ თანა, ვერცა მე აღვიდე მამისა და რაჲთა არა ვიხილო ძერი, რომელი პოოს მამამან ჩემმან.

45

(1) და ვერღარა ეძლო იოსებს დათმენად ყოველთა წინაშე მდგომელთა მის-თა და თქუა: განავლინეთ ყოველი კაცი ჩემგანს და არავენი დგა წინაშე იოსებისსა არცა ერთ, რაჟამს გამოეცხადებოდა იოსებ ძმათა თუსთა. (2) აღიძალდა კმაჲ ტირილით და ესმა ყოველთა ეგვპტელთა და მიესმა სახლსა ფარაოჲსსა. (3) ჰრქუა იოსებ ძმათა თუსთა: მე ვარ იოსებ. ცოცხალა არსა მამაჲ ჩემი? და ვერ მიუგეს სიტყუაჲ ძმათა მისთა, რამეთუ ეშინოდა, და შეძრწუნდეს ფრიად. (4) ჰრქუა იოსებ ძმათა თუსთა: მომეახლენით მე. და ივინი მიეახლნეს. და ჰრქუა მათ: მე ვარ იოსებ, რომელი მომყიდეთ ეგვპტედ. (5) ხოლო აწ ნუ სძრწით, ნუცა ფიცხელ გიჩს თქუენ, რამეთუ მომყიდეთ მე აქა, რამეთუ ცხოვრებისა თქუენისათუს მომავლინა მე ღმერთმან წინაშე დქუენსა. (6) რამეთუ ესე შეო-რელა წელი არს სიყმილი ქუეყანასა ზედა და მერმე ხუთნი წელნი სხუანიდა ყოფად არიან, რომელთა არა იყოს ჳნვა, არცა ლეწვა. (7) და მომავლინა მე ღმერთმან თქუენსა წინა, რაჲთა დაშთეს ნეშტი თქუენი ქუეყანასა ზედა გამოზრ-დად ქუეყანასა ნეშტად დიდად. (8) ხოლო აწ არა თქუენ მომავლინეთ აქა, არა-მედ ღმერთმან, და მყო მე ვითარცა მამაჲ ფარაოჲსი და უფალ ყოველსა სახლსა მისსა და მთავარ ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა. (9) აწ იწრაფეთ მამისა ჩემისა და არქუთ მას: ამას იტყუს იოსებ, ძმ შენი: მყო მე ღმერთმან უფალ ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა. შთამოვედ ჩემდა და ნუ ჰყოენი (10) და დაემკვდრე ქუე-ყანასა გესემისასა, რომელ არს არაბიჲსაჲ, და იყავ მახლობელად ჩემდა, შენ და ძენი შენნი და ძენი ძეთა შენთანი, ცხოვარი და ზროხაჲ შენი და რაოდენი-რაჲ არს შენი, (11) და მე გამოგზარდო შენ მუნ. ხოლო ხუთ წელდა სიყმილი ყოფად არს, რაჲთა არა მოსწყდეთ შენ და ძენი შენნი და ყოველი მონაგები შენი. (12) აჲა ესერა თუალნი თქუენნი ჰხედვიდენ და თუალნი ბენიამენისნი, ძმისა ჩემისა-ნი, რამეთუ პირი ჩემი გეტყუს თქუენ. (13) უთხაროთ მამასა ჩემსა ყოველი დი-დებჲა ჩემი ეგვპტეს შინა და რავდენი-ესე იხილით. და აღრე ყავთ და მოიყვანეთ მამაჲ ჩემი აქა.

(14) და მოეხვა ქედსა ბენიამენისსა, ძმისა თუსისასა, და ტიროდა მას ზედა

და ბენიაშენ ტირიდა ქედსა ზედა იოსებისა. (15) ამბორს-უყოფდა ყოველთა ძმათა თჳსთა და ტირიდა მათ თანა. ამისა შემდგომად ეტყოდეს ძმანი მისნი. (16) და მიიწია სიტყუაჲ ესე ყურთა ფარაოხსთა და უთხრეს, ვითარმედ: მოსარულ არიან ძმანი იოსებისნი. განიხარა ფარაო და ყოველთა მსახურთა მისთა.

(17) ჰრქუა ფარაო იოსებს: არქუ ძმათა შენთა, რაათა ესე ყონ: აღაესენით ძმათანი თქუენნი იფქლითა და წარვედით ქუეყანად ქანაანისა (18) და წარმოიყვანეთ მამა თქუენი და ყოველი მონაგები თქუენი და მოვედით ჩემდა. და მიგე თქუენ კეთილი ეგვპტისაჲ და შუამდეთ თქუენ ტჳნსა ქუეყანისასა. (19) ხოლო შენ ამცენ ძმათა შენთა ესრეთ, რაათა მიიღონ ურმები ქუეყანით ეგვპტით ყრმათა თქუენთათჳს და ცოლთა, და წარმოიყვანეთ მამა თქუენი და მოვედით. (20) და ნუ ჰრიდებნ თუალი თქუენი ჰურჳერსა თქუენსა, რამეთუ ყოველივე კეთილი ეგვპტისაჲ თქუენდა იყოს.

(21) და ყვეს ეგრეთ ძეთა ისრაჴლისათა. და მისცა მათ იოსებ ურმები ბრძანებისაებრ მეფისა ფარაოხსა და აუგო მათ საზრდელი გზასა ზედა. (22) და ყოველთა მათ მისცა მრჩობლი სამოსელი, ხოლო ბენიაშენს მისცა ორასი დრაჳკანი და ხუთი წყვილი თითოფერი სამოსელი. (23) და მამასა მიუძღუანა ეგრევე სახედ და ათი ვირი, რომელსა ეკიდა ყოვლისაგან კეთილისა ეგვპტისა, და ათი ჳორი, რომელსა აქუნდა პური საგზლად მამისა თჳსისა. (24) და წარგზავნა ძმანი თჳსნი და ჰრქუა მათ: ნუ გულს-იწყებთ გზასა ზედა. (25) და აღმოვიდეს ეგვპტით ქუეყანად ქანაანისა იაკობისა, მამისა მათისა, (26) და უთხრეს, ვითარმედ: ცოცხალ არს ძმ შენი იოსებ და იგი უფლებს ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა. განკჳრდა გონებასა თჳსსა და არა ჰრწმენა მათი. (27) უთხრობდეს ყოველთა სიტყუათა იოსებისთა, რომელთა-იგი ეტყოდა მათ. და ვითარ იხილა ურმები იგი, რომელ მოუძღუანა იოსებ, რაათა წარიყვანოს იგი, განცხოველდა სული იაკობისი, მამისა მათისაჲ, (28) და თქუა ისრაჴლ: დიდ არს ესე ჩემდა, უკუეთუ ძმ ჩემი იოსებ ცოცხალ არს. მივიდე და ვიხილო ვიდრე სიკუდილმდე ჩემდა.

წინაწარმეტყულებაჲ იონაშისი

1

(1) და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ იონაშსა მიმართ, ძისა ამათისა, და ჰრქუა: (2) აღდეგ და წარვედ შენ ნინევედ, ქალაქსა მას დიდსა, და ქალაგებდი მას შინა, რამეთუ აღმალდა ღალადებაჲ უკეთურებისა მათისაჲ წინაშე ჩემსა. (3) და აღდგა იონა და წარვიდა მივეტროლით თარშით პირისაგან უფლისა და შთავიდა იოანედ და ჰოვა ნავი, მიმავალი თარშით. და მისცა სანავტ თჳსი და შევიდა მას წარსლვად მათ თანა თარშით პირისაგან უფლისა. (4) ხოლო უფალმან აღადგინა ქარი ზღუასა ზედა, და იყო დილევა დიდი ზღუასა მას შინა, და ნავი იგი მიიწია შემუსრვად. (5) და შეეშინა მენავეთა მათ და ღალადებდა კაცად-კაცადი ღმრთისა მიმართ თჳსისა. და გარდასდებდეს ჰურჳელსა მათსა ზღუად, რაათა აღუმცირონ ნავსა მას. ხ¹ იონა შთავიდა უბესა მის ნავისასა და ეძინა და ხურიწვიდა. (6) და მოუქდა მას მენავეჲ¹ იგი და ჰრქუა: რაასა სძე და ხურიწვა? აღდეგ და ხადორდე ღმერთსა შენსა, რაათა განმარინნეს ჩუენ და არა² მოვწყდეთ. (7) და

პრქუა კაცად-კაცადმან მოყუასა თუსსა: მოვედით და განვიგდოთ წილი და ცენათ, ვისთვის-ძი არს ბოროტი ესე ჩუენ ზედა? და განვიგდეს წილი და გამოუქდა წილი იგი იონას. (8) და პრქუეს მას: მითხარ ჩუენ, რაჲ არს საქმე შენი და ვინაჲ მოხუალ შენ, ანუ რომლისა სოფლისაჲ ხარ შენ, ანუ რომლისა ერისაჲ? (9) ხოლო მან პრქუა მათ: მონაჲ უფლისაჲ ვარი მე და უფალსა ღმერთსა ცათსა ემსახურებ, რომელმან ქმნა ზღუაჲ და ჳმელე. (10) და შეეშინა კაცთა მათ შიშითა დიდითა ფრიად, რამეთუ გულისხმა-ყვეს, ვითარმედ პირისაგან უფლისა იელტო-და იგი, რამეთუ უთხრა მათ. (11) და პრქუეს მას: რაჲ გიყოთ შენ, და დასცხრეს ზღუაჲ ესე ჩუენგან? რამეთუ ზღუაჲ იგი ვიდოდა და უფროჲს აღდგებოდა და აღიძრეოდეს ღელვანი. (12) და პრქუა მათ იონა: აღმიღეთ მე და შთამაგდეთ ზღუასა და დასცხრეს ზღუაჲ ესე თქუენგან, რამეთუ მე უწყი, ვითარმედ ჩემთვის არს ღელვაჲ ესე დიდი თქუენ ზედა. (13) და აღიძულებდეს მენავენი იგი ნავსა მას მოქცევად ქუეყანად და ვერ უძლეს, რამეთუ ზღუაჲ იგი ვიდოდა და უფროჲს აღდგებოდა. (14) და ღალადებდეს უფლისა მიმართ და თქუეს: ნუსადა, ო, ნუმუა წარეწყმდებით ჩუენ სულისათჳს ამის კაცისა, და ნუ მომჭდი ჩუენ ზედა სისხლსა მართლსა, რამეთუ შენ, უფალო, რაჲცა გინდა, იგიცა ჳქმენ. (15) და აღიქუეს იონა და შთააგდეს იგი ზღუასა, და დასცხრა ზღუაჲ იგი აღიძრისა მის-გან. (16) და შეეშინა კაცთა მათ შიშითა დიდითა უფლისა. და შეწირეს ღმერთისა მსხუერაბლი და აღუთქუეს აღთქუმაჲ.

2

(1) და უბრძანა ღმერთმან ვეშაჳსა მას დიდსა შთანთქმაჲ იონამსი. და იყო იონა მუცელსა ვეშაჳისასა სამ ღლე¹ და სამ ღამე. (2) და ილოცვიდა იონა მუცელსა შინა ვეშაჳისასა უფლისა მიმართ ღმერთისა თუსისა (3) და თქუა: ღალად-ვეყად ჳირსა ჩემსა უფლისა მიმართ და ღმერთისა ჩემისა და ისმინა ჩემი მუცლით გამო, ჳოჯობეთისა ღალადებისა² ჩემისაჲთ გესმა ჳმა ჩემი, (4) რამეთუ შთამაგდეს მე სიღრმესა, გულსა ზღუასა, და მდინარენი გარე-მომადგეს მე, ყოველნი განსაცხრომელნი შენნი და ღელვანი შენნი მე ზედა გარდამქდეს. (5) და ვთქუ: გან-მე-გდებულ ვარა პირისაგან თუალთა შენთასა, ანუ შე-ლა-მე-ვსძირო აჳ მიხედვად ტაძარსა წმიდასა შენსა? (6) გარდამეცნეს წყალნი ვიდრე სულად ჩემდამდე და უფესკრულთა მომიცვეს მე, შთაჳდა თავი ჩემი ნაპარალსა მთათსა, (7) შთავეჭდი მე ქუეყანად, რომლისა მოქლონი მისნი ვითარცა კლიტენი საუკუნენი, აღმოვედინ განხრწნისაგან ცხოვრებაჲ ჩემი შენდამი, უფალო ღმერთო ჩემო. (8) მოკლებასა ჩემგან სულისა ჩემისასა უფალი მოვიტყენე და შევედინ შენ წინაშე ლოცვაჲ ჩემი ტაძრად წმიდად შენდა, უფალო. (9) რამეთუ მცველთა მათ, ამოთა და ცრუეთა მათ, წყალობაჲ მათი დაუტყვეს. (10) ხოლო მე ჳმითა ჳებისაჲთა და აღსაარებისაჲთა მსხუერაბლი შევეწირო შენდა და რავდენი აღვთქუ, მიგვე შენ საცხოვრებლად შენდა, უფლისა. (11) და უბრძანა უფალმან ვეშაჳსა მას დიდსა და გამოაგდო იონა ჳმელად.

¹ ღე ხ. ² ღღ-ღბს ხ.

3

(1) და იყო სიტყუა უფლისაჲ იონაჲს მიმართ მეორედ და ჰრქუა: (2) აღდგე და წარვედ შენ ნინევედ, ქალაქსა მას დიდსა, და ქადაგებდ მას შინა ქადაგებისა მისებრ, ვითარცა გეტყოდე შენ პირველ.(3) და აღდგა იონა და წარვიდა ვითარცა-იგი ეტყოდა მას უფალი; ხოლო ნინევე იყო ქალაქი ღმრთისაჲ დიდი, ვითარ სავალი იყო იგი სამისა დღისა გზა. (4) და შევიდა იონა ქალაქსა მას ვითარ დღის ერთის ოდენ და ქადაგებდა და იტყოდა: აჲ სამ დღელა, და ნინევე დაქცევალ არს. (5) და ჰრწმენა კაცთა მათ ნინევისათა და ქადაგეს მარხვამ მცირითგან ვიდრე დიღამდე მათდა და შეიმოსეს ძაძამ. (6) და მიეთხრა მეფესაცა და აღდგა იგი საყდრისაგან თვისისა და განიძარცუა სამკაული თვისი და შეიმოსა ძაძამ და დაჯდა იგი ნაცარსა ზედა. (7) და იქადაგა ნინევეს შინა და ითქუა მეფისა მიერ და მთავართა მისთაგან, ვითარმედ: კაცი და საცხოვარნი და ზროხაჲ და ცხოვარი ნურას გემოსა იხილვენ, ნუცა წყალსა სუშენ. (8) და ძაძამ შეიმოსედ ყოველთა კაცთა. და ლალატ-ყვეს ღმრთისა მიმართ ერთბამად და მოაქცია კაცად-კაცადმან გზისაგან თვისისა სიკრუვისა და ქელთა მათთა ამოაჲსაგან, რამეთუ ითქუს: (9) ვინ უწყის, შეინანოს ღმერთმან და მოაქციოს რისხვისაგან გულის წყრომისა მისისა, რაჲთა არა¹ წარწყმდეთ. (10) და იხილნა ღმერთმან საქმენი მათნი, რამეთუ მოიქცეს ბოროტისაგან და შეინანა ღმერთმან ბოროტის ყოფნასათს მათისა, რომელსა იტყოდა ყოფად მათდა, და არა უყო მათ ბოროტი.

4

(1) და შეწუხნა იონა მწუხარებითა დიდითა და იურვოდა. (2) და ილოცვიდა უფლისა მიმართ და იტყოდა: ზ უფალო, არა ესე სიტყუანი არიან ჩემნი, ვიდრე ვიყავდა ქუეყანასა ჩემსა, ამისთვის ვისწრაფე სივეტოლად თარშით, რამეთუ ვიცი, ვითარმედ შენ მოწყალე ხარ და შემწყალებელ, სულგრძელ და დიდად მოწყალე და შეინანე ბოროტის ყოფამ. (3) და აწ, უფალო, მიმიღე სული ჩემი ჩემგან, რამეთუ უმჯობეს არს სიკუდილი ჩემი ვიდრე ცხორებასა. (4) და ჰრქუა უფალმან იონას: უკუეთუ ფრიად შეწუხებულ ხარა შენ? და თქუა იონა: ფრიად შეწუხებულ ვარ მე ვიდრე სიკუდილმდე. (5) და განვიდა იონა ქალაქით და დაჯდა იგი წინაშე ქალაქსა მას და იქმნა მუნ თავისა თვისისა კარავი და დაჯდა მუნ ქუე-შე არჩდილსა მას, ვიდრემდე იხილოს, რაჲ-ძი უყოს ქალაქსა? (6) და უბრძანა უფალმან აყიროსა და აღმოუქდა თავით კერძო იონაჲსა, რაჲთა იყოს საგრიოდ თავისა მისისა სიციხისა მისგან. და განიხარა იონა აყიროსა მას ზედა სიხარულითა დიდითა ფრიად. (7) და უბრძანა ღმერთმან ქიასა განთიად ზეალისაგან და დასცა აყიროსა მას და განჰმა. (8) და იყო აღმოსლვასა მზისასა და უბრძანა უფალმან ქარსა ცხელსა და შემწუხეღსა და დააცხო იონას მზემან თავსა მისსა, და სულმოკლე იქმნა და აღმოვიდოდა სული მისი და იტყოდა: უმჯობეს არს ჩემდა სიკუდილი ვიდრე ცხორებასა ჩემსა. (9) და ჰრქუა უფალმან იონას: უკუეთუ ფრიად შეწუხებულ ხარა შენ აყიროსა მადგისთვის? და თქუა იონა: ფრიად შეწუხებულ ვარ მე ვიდრე სიკუდილმდე. (10) და ჰრქუა უფალმან იონას: შენ ერიდები აყიროსა და სწყალობ, რომლისათს არა¹ დამუერ და არცა განჰხარდე იგი

¹ არაჲ ბ.

რომელი აღმოქდა ღამე და ღამეცა წარქდა იგი. (11) მე არა ვერიდოა ნინევსა, ქალაქსა მას დიდსა, რომელსა შინა დამკვდრებულ არიან უმრავლეს ათორმეტისა ბევრისა კაცნი, რომელთა არა¹ იციან მარჯუენეა მათი და მარცხენა², და საცხოვარი ფრიადი.

ფსალმუნნი დავითისნი

50

(3) მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, და მრავლითა მოწყალებითა შენითა ავოცე უსჯულოებამ ჩემი. (4) უფროსს განმბანე ურჩულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმიდე მე. (5) რამეთუ ურჩულოებამ ჩემი მე უწყვი, და ცოდვამ ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის. (6) შენ მხოლოსა შეგცოდე, უფალო, და ბოროტი შენ წინაშე ვყავ. ვითარ მართალ ხარ სიტყვთა შენითა და სძლევ სჯასა შენსა. (7) ესერა უსჯულოებასა მიუღდა და ცოდვასა შინა მშვა მე დედამან ჩემმან. (8) უფალო, ჭეშმარიტებამ შეიყუარე, გამოუჩინებელი და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომიცხადენ მე.

(9) მასხურე მე საპყრებელითა შენითა, და განვწმიდნე, განმბანე მე, და უფროსს თოვლისა განესპეტაკნე. (10) მასმინე მე გალობამ და სიხარული, და იხარებდენ ძუალნი მდაბალნი. (11) გარე-მოიქციე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან და ყოველნი უსჯულოებანი ჩემნი ავოცენ. (12) გული წმიდამ დაჰბადე ჩემ თანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიხალე გუამსა ჩემსა. (13) ნუ განმავდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან. (14) მომეც მე სიხარული მაცხოვარებისა შენისამ და სულითა წმიდითა დამამტკიცე მე.

(15) ვასწავლნე უსჯულოთა გზანი შენნი, და უღმრთონი შენდა მოიქცენ. (16) მიქსენ მე სისხლთაგან, ღმერთო, ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო; გიგალობს ენამ ჩემი სიმართლესა შენსა. (17) უფალო, ბაგენი ჩემნი აღახუნენ, და პირი ჩემი რტყოდის ქებულებასა შენსა. (18) უკეთუშმცა გენება მსხუერპლი, შევეწირეთ შენდა; საკუერთხი არა გონდა შენ. (19) მსხუერპლი ღმრთისამ არს სული მდაბალი. გული წმიდამ და სული მდაბალი ღმერთმან არა შეურაცხ-ყოს. (20) კეთილი უყავ, უფალო, ნებითა შენითა სიონსა, და აღეშენენ ზღუდენი იერუსალმისანი. (21) მაშინ გონდეს მსხუერპლი სიმართლისამ, შესაწირავი და საკუერთხი. მაშინ შეიწირენ საკუერთხეველსა შენსა ზედა ზუარაკნი.

51

(3) რად-მე აჟადინ უკეთურებითა ძლიერი ურჩულოებასა მარადნე? (4) სიცრუესა ზრახავს ენამ მისი; ვითარცა მახვლი, აღლესა მან ზაკუეამ. (5) შეიყუარა მან უსჯულოებამ უფროსს სახიერებისა და სიცრუე — უფროსს სიმართლისა სიტყვსა. (6) შეიყუარა მან ყოველი სიტყუამ დაქცევისამ და ენამ მზაკუეარი. (7) ამისთვის დაამჟუას იგი ღმერთმან სრულიად, აჰხურას³ და განჯადოს იგი საყოფელთაგან თვსთა, და ძირნი მჩსნა ქუეყანით ცხოველთათ. (8) იხილონ მართალთა და⁴ და შეეშინოს, ეცინოლიან მას და თქუან: (9) აჰა ესერა კაცი, რომელმან არა იყო ღმერთი მწე მისა, არამედ ესვიდა. იგი მრავალსა სიმდიდრესა თვსსა⁵

¹ არა]—ბ. ² ასეა ბ. ³ და] — ბ. ⁴ თვსა ბ.

და განძლიერდებოდა იგი მრავლითა უკეთურებითა თვსითა. (10) ხოლო მე, ვითარცა ზეთისხილი მსხმოა სახლსა ღმრთისასა, ვესავე მე წყალობასა ღმრთისასა უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე¹. (11) აღგიარო შენ უკუნისამდე, რამეთუ ჰყავ და² დაუთმე სახელსა შენსა, რამეთუ ტკბილ ხარ წინაშე წმიდათა შენთა.

57

(2) ქეშმარიტად თუმცა სიმართლესა იტყოდეთ და მართალსა სჯილით, ძენო კაცთანო. (3) ა³ლ აწ უფროჲს გულითა თქუენითა უსჯულოებასა იქმთ ქუეყანასა ზედა, სიცრუესა ჳელნი თქუენნი ნიეთებენ. (4) უცხო იქმნეს ცოდვილნი დედისაგან, სცთებოდეს საშოგთგან და იტყოდეს სიცრუესა. (5) გულის წყრომა მათი მსგავს არს გუელისა ვითარცა ასპიტისა და იქედნისა ყრუისა, რომლისანი დაყოფილ არიედ ყურნი მისნი. (6) რამეთუ არა ესმინ მას ჳმად მსახრავალისა კელოვნისაჲ, არცა მიილის მან წამალი წამლის⁴ მცემელისაგან ბრძნისა. (7) ღმერთმან შემუსრუნეს⁵ კბილნი მათნი პირსა შინა მათსა, და შუანი ღომთანი შეფქვენეს უფალმან. (8) შეურაცხ იქმნენ იგინი, ვითარცა წყალი დათხეული, და გარდაცუმაჲს მშუილდისა მათისასა მოუძღურდენ.

(9) ე⁶ა ცკლი რაჲ დადნის, ეგრე მოესრულენ; დაეცა მათ ზედა ცეცხლი და არა იხილეს მზე. (10) ვიდრემდის არღა თანა-ყყოს ეკალი მათი. და ე⁷ა ძემუჲმან რისხვით ცხოველნი შეწუნეს იგინი. (11) იხარებდეს მართალი, რაჲმას ხელვიდეს შურის-გებასა; ჳელნი თვსნი დაიბანეს სისხლითა ცოდვილისაჲთა. (12) თქუას კაცმან, რამეთუ ქეშმარიტად არს ნაყოფი მართლისაჲ. და არს ღმერთ, რომელმან საჩნეს იგინი ქუეყანასა ზედა.

58

(2) მიჳსენ მე მტერთა ჩემთაგან, ღმერთო, და მათგან, რ¹ნი აღდგომილ არიან ჩემ ზედა, განმარინე მე. (3) მიჳსენ მე მოქმედთაგან უსჯულოებისათა და კაცთა მოსისხლეთაგან მაცხოვრე მე. (4) რ² ესერა მონადირეს სული ჩემი, და მეწინეს ზე ძლიერნი. არა უსჯულოებაჲ ჩემი, არცა ცოდვაჲ ჩემი. (5) უცოდველად ვბრბოდე და წარმემართა. განილუიძე წ³ე ჩემსა და იხილე. (6) და შენ, უფალო ღმერთო ძალთაო, ღმერთო ისრაშლისაო, იხილე და ილუაწე ყ⁴ლთა წარმართთაჲ და ნუ შეიწყნარებ ყ⁵ლთა მოქმედთა უსჯულოებისათა. (7) მიიქცენ მწუხრი, დაყმებოდიან ე⁶ა ძალდნი და მოადგენ ქალაქსა. (8) იგინი იტყ⁷დინ პირითა მათითა. და მახული ბაგეთა მათთა! ესე ვის ესმა? (9) ხ⁸ შენ, უფალი, ეცინოდი მათ და შეურაცხ-ჳყვენე ყ⁹ლნი წარმართნი.

(10) ძალი ჩემი შენდამი ვიმარხო, რ¹ ღმერთი მწე ჩემდა ხარ. (11) ღმერთი ჩემი, რ² წყალობამან მისმან იმსთო ჩემდამო. ღმერთმან ჩემმან მიჩუენოს მე მტერთა ჩემთაჲ. (12) ნუ მოსწყუედ³ მათ, რ⁴ა არა დაივიწყონ შჭული შენი. განაბნიენ იგინი ძალითა შენითა და დაამჳუნენ იგინი, რ⁵ შენ ხარ მფარველი ჩემი. ო⁶. (13) ცოდვაჲ პირისა მათისაჲ და სიტყუანი ბაგეთა მათთანი; დაინთჳნენ იგინი ამპარტავანებითა მათითა, რ⁷ წყევასა და სიცრუესა უთხრობენ. (14) აღსასრულსა რისხვით მოისრუნენ, ნულარა იპოებიან. გულისჳმა-ყონ⁸, რ⁹ ღმერთი უფლებს იაკობსა ზედა და ყ¹⁰ლთა კიდეთა ქუეყანისათა. (15) მიიქცენ მწუხრი,

¹ უკუნისამდე] — ბ. ² და] — ბ. ³ წალის ბ. ⁴ მოსწყედი ბ. ⁵ გულისჳმა-ყენ ბ.

დაყმებოდინ ვა ძალნი და მოადგენ ქალაქსა. (16) ივინი განიბნიენ ჰამად; უკუეთუ ვერ განძლენ, ღრტვნიდენცა. (17) ხ¹ მე ვაქებლე ძალსა შენსა და ვიხარებდე მე განთიად წყალობითა შენითა, რ² მეყავ მე მფარველ და შესავედრებელ დღესა ჰირისა ჩემისასა. (18) მწეო ჩემო, შენ გიგალობდე, ღმერთო, მფარველო ჩემო, ღმერთო ცხორებისა ჩემისაო.

59

(3) ღმერთო, განმთხიენ ჩ³ნ და აღმაოჭრენ, შემრისხენ და აწ შემიწყალენ ჩ³ნ. (4) შეარყიე ქ⁴ნ და შეაძრწუნე იგი, განაკურნე შემუსრვილებად მისი, რ⁵ შეიძრა. (5) უჩუენე ერსა შენსა სიფიტხლე შენი, მასუ ჩუენ ღვნოა მწუხარებისა. (6) მოგიცემიეს მოშიშთა შენთა სს⁶წლი, რ⁷ა განერნენ პირსა მშვლდისასა. (7) რ⁸ა იჰსნე მოყუარენი შენნი¹, მაცხოვნე მე მარჯუენითა შენითა, შეგესემინ ჩემი. (8) ღმერთი იტყოდა წ²ით გამო მისით: განვიხარო და ავმალდე. განვეყო სიქიმე და ღლეუ იგი საყოფელთა განვზომო. (9) ჩემი არს ვალადი, ჩემი არს მანასე, ეფრემ, დამამტკიცებელი თავისა ჩემისა, იუდა³, მეუფე ჩემი; (10) მოაბ, ავაზანი სასოებისა ჩემისა, იღუმეად⁴ წარვიმართო სღვა ჩემი და მე უცხო-თესლი დამემორჩილნეს. (11) ვინ მიმიყვანოს მე ქალაქსა მას ძნელსა? ანუ ვინ მიმიძლუეს მე იღუმეამდე, (12) არა თუ შენ, ღმერთი, რ⁵ნცა განმთხიენ ჩ³ნ და არა გამოხუედ ღმერთი ძალად ჩ³ნდა? (13) მომეც ჩ³ნ შეწევნა პირსა, რ⁶ ცუდ არს ცხორებაჲ კაცისა. (14) ღმრთისა მიერ ვყოთ ძალი, და მან შეურაცხ-ყენეს ყ⁷ლნი მჭ⁸რებელნი სულისა ჩემისანი.

60

(2) შეგესემინ ღმერთსა ჩემი ლოცვაჲ, მომხედენ, ღმერთო, ჩემსა ლოცვასა. (3) კილითგან ქუეყანისაჲთ შენდამი ღალად-ყავ ვ¹ე დაშრომ²დმდე გულისა ჩემისა, კლდესა ზედა აღმამალლე მე, მიძლოდე მე. (4) და იყავ ჩემდა სასო, გოდოლო მტკიცე წ³ე პირსა მტერისასა. (5) დავემკვდრო⁴ მე საყოფელთა შენთა უკუნისამდე, დაეფთარო მე საფარველსა ფრთეთა შენთასა. (6) ხ⁵ შენ, ღმერთმან, აღმინე ლოცვისა ჩემისა და ეც მკვდრობაჲ მოშიშთა სახელისა შენისათა. (7) დლითი-ღლედ შესძინე მეუფესა წელიწადნი მისნი მიდღემდე ნათესავითი ნათესავად. (8) დაადგრების წ⁶ე ღმრთისა უკუნისამდე; წყალობაჲ და ჰეშმართებაჲ ვინ ითხოოს მისგან? (9) ესრეთ უგალობდე სახელსა შენსა უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე, და მიგცნე შენ ლოცვანი ჩემნი დლითი-ღლედ.

61

(2) გარნა ღმერთსა დაემორჩილე, სულო ჩემო, რ¹ მის მიერ არს ცხორებაჲ ჩემი. (3) რ² იგი არს ღმერთი, მაცხოვარი ჩემი, შესავედრებელი ჩემი, და მე არა შევირყიო უფროს. (4) ვღ³ს შეადგეთ კაცთა და მოკლვიდეთ მათ ყ⁴ლნი, ვ⁵ა კედელსა მიდრეკილსა და ზღუდესა განშორებულსა? (5) ხ⁶ პატივისა ჩემისა იზრახეს განშორებაჲ და რბიოდეს წყურილსა მათსა, პირითა მათითა აკურთხევდეს და გულითა მათითა სწყევდეს. (6) ხ⁷ შენ ღმერთსავე დაემორ-

1 შენი ხ. 2 აუღა ხ. 3 იღუმეად ხ. 4 დავემკვდრო ხ.

ჩილე, სულო ჩემო, რ¹ მის მიერ არს თმენაჲ ჩემი. (7) რ² ღმრთისა მიერ არს ცხოვრებაჲ ჩემი და ღ³ბა ჩემი. (8) ღმერთი შეწვევისა ჩემისაჲ და სასოებაჲ ჩემო მისა მიმართ.

(9) ესევლით მას ყოველი კრებული ერისაჲ, განჰფინენით მის წ⁴ე გ⁵ლნი თქ⁶ნი, რ⁷ ღმერთი მწე ჩ⁸ნდა არს. (10) ხ⁹ ამო არიან ძენი კაცთანი, ცრუ არიან ძენი კაცთანი სასწორსა მას ზ¹⁰ა სიკ¹¹რისსა, და იგინივე ამოებით არიან ურთიერთას¹². (11) ნუ ესავთ სიკრუესა და ტაცებად ნუ გული ვითქუამან; სიმ¹³ლდრე თუ გარდავერეოდის, ნუ შეაპყრობთ გულთა თქ¹⁴ნთა. (12) ერთჟერ თქუა ღ¹⁵ნ და ორი ესე გუესმა, რ¹⁶ ღმრთისაჲ არს სიმტკიცე. (13) და შენ მიერ არს, ო¹⁷ო, წყალობაჲ და შენ მიაგო კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ.

62

(2) ღ¹ო, ღ²ო ჩემო, შენდამი აღვიმსთუე³, სურინ სულსა ჩემსა შენდამი, რაოდენჯერ⁴ არს ჯორცი⁵ესე ჩემი, ე⁶ა ქყ⁷ნსა ზ⁸ა უღაბნოსა, უგზოსა და ურწყულსა. (3) ესრეთ წ⁹სა შ¹⁰ნა გეჩუენო შენ, რ¹¹ა ვიხილო მე ძალი და ღ¹²ბა შენი. (4) რ¹³ უმჯობეს არს ჩემდა წყალობაჲ შენი უფროას სცხრ¹⁴ბლთსა, და ბაგენი ჩემნი გაქებდენ შენ. (5) ესრეთ გიგალობდე შენ, ცხოვრებო ჩემო, და სახელითა შენითა აღვიპყრნე შენდამი¹⁵ კელნი ჩემნი. (6) ე¹⁶ა ცმელითა სიპოხისაჲთა¹⁷ განძღეს სული ჩემი და ბაგითა გალობისაჲთა გაქებდეს შენ პირი ჩემი. (7) უკუეთუმცა მოგვისენე შენ საჩეველთა ჩემთა ზ¹⁸ა, ცისკარსამცა აღვიმსთუე¹⁹. და გევედრებოდე შენ. (8) რ²⁰ შენ შემწე მეყავ მე და საფარველსა ფრთეთა შენთასა ვიხარებდე. (9) მიგდედა შენ სული ჩემი, და მე შემიწყნარა მარჯუენემან შენმან. (10) ხ²¹ მათ ცუედად იძიეს სული ჩემი, შთაჲდე იგინი ქუესკელთა თანა ქუეყანისათა. (11) მიეცნენ იგინი ჴელთა მახუილისათა, ნაწილად მელთა იყვნენ იგინი. (12) ხ²² მეუფე იხარებდეს ღმრთისა მიმართ და იქნენ ყ²³ლნი, რ²⁴ლნი ფუტეენ მისა, რ²⁵ დაიყო პირი, რ²⁶ლი იტყ²⁷და სიკრუესა.

63

(2) შეგესემინ, ღ¹ო, ლოცვისა ჩემისაჲ, ვილოცვიდე რაჲ მე შენდამი; შიში-საგან მტერისა იწმენ სული ჩემი. (3) დამიფარე მე კრებულისაგან უკეთურთაჲსა და მრავალთაგან მოქმედთა უშჯულოებისათა, (4) რ²ლთა აღილენსეს, ე³ა მახვლნი⁴; ენანი მათნი, გარდააცუეს მშუილდსა მათსა საქმითა სიმწარისაჲთა. (5) რ⁵ამცა სტყორცეს ბნელსა შინა ფარულად გ⁶ლითა წრთელთა; მყის სისრა-უყო მათ და არა შეშ⁷ნეს.

(6) განიმტკიცეს თავისა მათისა სიტყუაჲ უკეთური, ზრახეს დარწყ⁸მა მახისაჲ და თქ⁹ეს: ვინ გვზილნეს ჩ¹⁰ნ? (7) გამოიძინეს უსჯულოებანი მათნი, განიზრახეს გამოძიებაჲ გამოსაძიებელთა მათთაჲ¹¹, წარდგეს კაცი სიღრმითა გულისა თვისისაჲთა. (8) და ამალდეს ღმერთი, ისარ ჩჩვლთა იქმნეს წყლულებანი მათნი. (9) მოუძღურდეს ენანი მათნი მათ თანა, შეძრწუნდეს ყ¹²ნი, რ¹³ნი ხედვიდეს მათ. (10) და შეეშინა ყ¹⁴ლსა კაცსა. უთხრნეს მათ საქმენი ღმრთისანი და დაბ¹⁵დე-

¹ ურთიერთას ბ. ² აღვიმსთუე ბ. ³ რაოდენჯერ ბ. ⁴ შენდამი ბ. ⁵ სიპოხისა ბ. ⁶ აღვიმსთუე ბ. ⁷ მახვლნი ბ. ⁸ მათთა ბ.

ბულნი მისნი გულსკმა-ყენეს. (11) იხარებდით მართალნი ო-ისა მიმართ, ესევე-
დით მას და მისგან იქადოდეთ ყ-ლნი წრფელნი გულითა.

64

(2) შენდა გშენის გლ-ბა, ღ-ო, სიონს, და შენ მიგვეცეს ლოცვა იმ-შს.
(3) შეგესემინ ლოცვისა ჩემისა. ყ-ი ვრი მოვიდეს შენდა. (4) სიტყუანი ურჩუ-
ლოთანი განძლიერდეს ჩემ ზ-ა და ცოდვათა ჩემთაგან შენ მილხინე. (5) ნეტარ
არს, რ-ლი გამოირჩიე და¹ შეიწყნარე. დაემკვდროს ეზოთა შენთა. აღვიცენით
ჩ-ნ კეთილითა სახლისა შენისათა; წმიდა არს ტაძარი შენი. (6) საკვრველ²
სიმართლითა, შეგესემინ ჩემი ღმერთსა, მაცხოვარსა ჩ-ნსა, სასოსა ყოველთა კი-
დეთა ქე-ნისათა, რომელნი არიან ზღუასა შინა შორს.

(7) რ-ნ განმზადნა³ მთანი ძლიერებითა თუსითა და შთააცუა მათ ძალი.
(8) რ-ნ შეაძრწუნის სიმღიდრე ზღუასა და ოხრად ღელვათა მისთა დააცხრვის.
შეძრწუნდეს წარმართნი. (9) და ეშინოდის⁴ მკვდრთა ქე-ნისათა სასწაულთა
შენთაგან, ო-ო. გამოსლვასა ცისკრისასა⁵ და მწუხრისასა მზიარულ იყვნენ.
(10) მოჰხედ⁶ ქე-ნსა, დაათრვე იგი, განამრავლე განმღიდრებამ მისი. მდინარე
ღმრთისა აღვიგო წყლითა. განუმზადე საზრდელი⁷ მათი, რ-ნ ესე არს განმზა-
დებამ. (11) ურნატნი მისნი დაათრვენ, განამრავლე ნაყოფი მისი ცუბრითა შენი-
თა, მზიარულ იყოს ჟეჭლი მისი. (12) აყურთხო შენ გვრგვინი წელიწადისა სიტყ-
ბოებითა შენითა, და ველნი შენნი⁸ აღვიხნენ⁹ სიპოხითა. (13) განპოხნეს შუე-
ნიერებამ უდაბნოასა, და სიხარული ბორცუთა შეიმოსონ. (14) შეიმოსნენ
ვერძნი ცხოვართანი, ღელეთა განამრავლონ იფქლი, დაღადებდენ და გალობდენ.

65

(1) დაღადებდით ღმრთისა ყოველი ქე-ნა. (2) უგალობდით სახელსა მისსა.
მიეციტ ღ-ბა ქებულებასა მისსა¹⁰. (3) არქუთ ღ-თსა: რაბამად საშინელ არიან
საქმენი შენნი¹¹; მრავლითა ძალითა შენითა გეტრუენეს შენ მტერნი შენნი¹².
(4) კოველი ქე-ნა თე-ნის-გცემდინ შენ და გიგალობდინ შენ და უგალობდინ
სახელსა შენსა. (5) მოვედით და იხილენით საქმენი ღმრთისანი, ვ-რ საშინელ არს
იგი ზრახვითა უფროას ძეთა¹¹ კაცთასა.

(6) რ-ნ გარდააქცია ზღუამ ქმელად და მდინარესა წიაღქდა¹² ფრკით, მუნ
ეიხარებდეთ ჩ-ნ მისა მიმართ, (7) რ-ლი-იგი უფლებს ძალითა თუსითა უქუნი-
სამდე. თულნი მისნი წარმართთა ხედვენ, რ-ლთა განამწარეს იგი, ნუ ამადლ-
დებიან თავით თუსით. (8) აყურთხედით წარმართნი ღ-თსა ჩ-ნსა და სასმენელ
ყავთ ქ-ა ქებისა მისისა. (9) რ-ნ დაღვა სული ჩ-ნი ცხოვრებად და არა სცა ძრეა
ფერქთა ჩ-ნთა. (10) განმცადენ ჩ-ნ, ღ-ო, და გამომაქურვენ ჩ-ნ, ვ-ა გამოიჭურ-
ვის ვეცხლი. (11) შემოიყვანენ ჩ-ნ საბრკესა, დაჰკრიბებ პირი ბეჭთა ჩ-ნთა. (12)
და ავლინე კაცი თავსა ზ-ა ჩ-ნსა. განვლეთ ჩ-ნ ცეცხლი და წყალი, და გამო-
მიყვანენ ჩ-ნ განსასუენებელად შენდა.

(13) შევიდე სახლსა შენსა მსხურბლითა და მიგცნე შენ აღნათქუემნი ჩემნი,

¹ და] — ხ. ² ასეა ხ. ³ კ მერგა ჩამატებული. ⁴ ეშინოდენ ხ. ⁵ ცისკრისასა ხ. ⁶ კ მერ-
გა ჩამატებული. ⁷ საზდელი ხ. ⁸ შენი ხ. ⁹ აღვიხნენ ხ. ¹⁰ მისა ხ. ¹¹ ძეთა ხ.
¹² წიაღქდა ხ.

(14) რ^ლ ალექუეს ბაგეთა ჩემთა, რ^ლ ვიტყოდე პირითა ჩემითა ჳირსა შინა ჩემსა. (15) საკუერთბი ტუინოანი შევწირო შენდა ვერძებითურთ და საკუმეველით, შევწირო შენდა ზუარაყები და ვაცები. (16) მოველით და ისმინეთ ჩემი და გითხრა თქ^ნ ყ^ლთა მოშიშთა ღმრთისათა, რაა-ესე უყო სულსა ჩემსა. (17) რ^ლ მისა მიმართ ღ^ლ-დ-ყო^ა პირითა ჩემითა და ავამაღლო იგი ენითა ჩემითა. (18) ცოდვად თუ ეიხილო გულსა ჩემსა, ნუ ისმენ, ო^{ნი}. (19) ამისთვის შეისმინა ჩემი ო^{ნი} და მომხედნა კმასა ლოცვისა ჩემისასა. (20) კურობეულ არს ო^{ნი}, რ^ნ არა განიშორა ლოცვად ჩემი, არცა წყალობად მისი ჩემგან.

66

(2) ღ^ო, მიწყალენ ჩ^ნ და მაკურთხენ ჩ^ნ, გამოაჩინე პირი შენი ჩ^ნ ზ^ა და მიწყალენ ჩ^ნ. (3) ცნობად ქ^ნ-სა ზ^ა გზად შენი და ყოველსა თესლებსა შ^ს მაცხოვარებად შენი. (4) აღგიარებენ შენ ერნი, ღ^ო, აღგიარებენ შენ ერნი ყ^ლნი. (5) მხიარულ იყოს და იხარებდეს თესლები, რ^ლ შენ განსაჯო ერი სი-მართლით, თესლებსა ქ^ნ-სა ზ^ა უძლოდი. (6) აღგიარებენ შენ ერნი, ღ^ო, აღგიარებენ შენ ერნი ყ^ლნი. (7) ქ^ნ-მან გამოსცა ნაყოფი თვისი; მაკურთხენინ ჩ^ნ ღ^ნ, ღ^ნ ჩ^ნმან. (8) მაკურთხენინ ჩ^ნ ღ^ნ, და ეშინოდენ მისგან ყ^ლთა კი-დეთა ქ^ნ ნისათა.

67

(2) აღდეგინ ღ^{თი} და განიბნინედ^ა ყ^{ნი} მტერნი მისნი, ივლტოდეთ მოძუ-ლენი მისნი პირისა მისისაგან. (3) ვ^ა მოაკლდის კუამლსა, მოაკლდენ, და ვ^ა ცკლი რაა დადნის წ^ე ცეცხლსა, ეგრეთ წარწყმდენ ცოდვილნი პირისაგან ღ^{თისა}. (4) და მართალნი იხარებდენ, მხიარულ იყვენენ წ^ე ღ^{თისა} და განს-ცხრებოდინ სიხარულით. (5) აკურთხევედით ღ^ა და უგალობდით სახელსა მისსა^ა, გზა-ეცით მას, რ^{ლი}-იგი ზის დასავალით. უფალ არს სახელი მისი და იხარებდით მის წ^ე.

(6) შეძრწუნდით პირისა მისისაგან, რ^{ლი}-იგი მამად არს ობოლთად და მსა-ჩული ქურიეთად, ღ^{თი} ადგილსა წმიდასა მისსა^ა. (7) ღ^ნ დაამკვდრნის ერთ-სა-ბენი სახელსა, გამოიყენის კრ^ლნი სიძენითა თვისითა, ეგრეცა განმამწარე-ბელნი მისნი, რ^{ნი} დაძინებულ არიან სამარებასა. (8) ღ^ო, გამოსლვასა შენსა წ^ე ერისა შენისა და წიაღსლვასა შენსა უდაბნოდ (9) ქ^ნ-მ შეიძრა და^ა ც^ა ინიცა წოდდეს პირისაგან ღ^{თისა} სინაჲსა წ^ე პირსა ღ^{თისა} ისრაჲლისა.

(10) წუმიად ნუფსითი განუშადე, ღ^ო, სამკვდრებელსა შენსა. მო-ღათუ-უძღურდეს, ხ^ე შენ და-ვე-ამტკიცო იგი. (11) და ცხოველნიცა შენნი^ა მკუილრ არიან მას შინა. განუშადე სიტკბოებითა შენითა გლახაკსა, ღ^ო. (12) ო^{ნი} სცეს სიტყუა, რ^{ნი} ახარებენ ძალითა მრავლითა. (13) მეუფე ძალთად საყუარელი-საჲ, სიკეთე სახლისა შენისაჲ განყოფად ნატყუენავისა. (14) უკუეთუ გეძინოს შენ შ^ს ნაწილებსა, ფრთენი ტრედისანი ვეცხლით მოსილნი და ბეჭმამუჲალი მისი ფერითა ოქროსაჲსათა.

(15) რ^{ეს} განაჩინებდა ცათა მყოფი იგი მეუფებასა მას ზ^ა, განითოვენ^ს.

¹ ღ^ლ-დ-ყო ხ. ² განიბნინედ ხ ³ მისა ხ. ⁴ ღ^{და} ხ. ⁵ შენი ხ.

იგინი სელმონს. (16) მთაჲ ლ^ათისაჲ, მთაჲ პოხილი, მთაჲ შეყოფილი და მთაჲ ზოხილი. (17) არასა-შე ჰკონებთ თქ^ნ, მთანო შეყოფილნო? მთაჲ ესე, რ^ალ სთნდა ლ^ა დამკუიდრებად მას ზ^ა, რ^ა ო^ნცა დაიმკვდროს იგი ს^ლ. (18) ეტლნი ლ^ათისანი ბევრ-წილ არიან და ათასეულნი წარკმართებენ მათ. უფალო: მას შინა სინასა წ^სა მისსა[!]. (19) აღქდა მაღალსა, წარმოტყუენა ტყუე, მოიღო და განუყო იგი ნიჰად კაცთა, რ^ა ურწმუნოთაცა სამკვდრებელად იყოს...

68

(2) მაცხოვნე მე, ღმერთო, რამეთუ შევიდეს წყალნი სულსა ჩემსა. (3) და-ეინთქ მე სიღრმესა უფსკრულთასა, სადა არა იყო განსუენებაჲ; მოვედ მე სიღრმესა ზღვსასა, და მოქცევიამან დამთქა მე. (4) დაეშუერი მე ღაღადებითა ჩემითა, და დამქდა ჳმაჲ ჩემი, მოაკლდა თუალთა ჩემთა სასოებითა უფლისა მიმართ, ღმრთისა ჩემისა. (5) განმიმრავლდეს მე უფროს თმათა თავისა ჩემისათა მოჰლენი ჩემნი ცულად, განძლიერდეს მდევიარნი ჩემნი და მტერნი ჩემნი სი-ცრუეით; რაჲ-იგი არა მეტაცა, მაშინ მიუზღვედ. (6) ღმერთო, შენ უწყი უგუ-ხურებაჲ ჩემი და შეცოდებანი ჩემნი შენგან არა დაფარანეს.

(7) ნუ ჰრცხუენები ჩემ გამო, რომელთა დავითმონ შენ, უფალო, უფალო ძალთაო; ნუცა ჰკდემებინ ჩემ ძლით, რომელნი გვიებდენ შენ, ღმერთო ისრა-ელისაო. (8) რამეთუ შენთვის დავითმინე ყუედრებაჲ. დაფარა სირცხულმან პირი ჩემი. (9) უცხო ვექმენ ძმთა ჩემთა და სტუმარ ძეთა ღებისა ჩემისათა. (10) რა-მეთუ შურმან სახლისა შენისამან შემჳამა მე, და ყუედრებანი მაყუედრებელთა შენთანი დამეცნეს ჩემ ზედა. (11) დავიმდაბლე მარხვითა სული ჩემი და იქმნა იგი ჩემდა საყუედრელ. (12) ეყავ სამოსლად ჩემდა ძაძა და ვექმენი მე მათ იგავ. (13) ჩემთვის ზრახვიდეს, რომელნი სხდეს ბქეთა და ჩემდამო გალობდეს, რომელნი სუმიდეს ღვნოსა.

(14) ხოლო მე ვილოცევედ შენდამი, ეამსა შეწყწარებისასა, ღმერთო, მრავ-ლითა მოწყალებითა შენითა შეგვესმინ ჩემი ჳეშმარიტებითა მაცხოვარებისა შე-ნისაჲთა. (15) მიჰსენ მე თიქისაგან, რაჲთა არა დავინთქა, განვერი მე მოძულეთა ჩემთაგან და სიღრმეთაგან წყალთა მრავალთაჲსა. (16) ნუ დამთქამნ მე მორვეი წყალთაჲ, და ნუცა დამფარანე მე სიღრმე უფსკრულთაჲ, ნუცჳ შეიყოფნ ჩემ ზედა ჳურღმელთა პირსა მისსა[!]. (17) ისმინე ჩემი, უფალო, რამეთუ ტკბილ არს წყალობაჲ შენი; ღმერთო, მრავლითა მოწყალებითა შენითა მოიხილე ჩემ ზედა. (18) ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა მონისა შენისაგან, რამეთუ მქირს მე, მწრაფლ ისმინე ჩემი. (19) მოხედენ სულსა ჩემსა, განარინე ესე და მტერთა ჩემთაგან მიჰსენ მე. (20) რამეთუ შენ უწყი ყუედრებაჲ ჩემი, სირცხული და კდემაჲ ჩემი, შენ წინაშე არიან ყოველნი მაჳირებელნი სულისა ჩემისანი.

(21) ყუედრებაჲ დაითმინა სულმან ჩემმან და გლაზაკებაჲ, ველოდე მე თა-ნა-მჳუნასა, არავინ იყო ნუგეშინის-მცემელ ჩემდა, და მე არა ვპოვე. (22) და მცეს მე საჳმოდ ჩემდა ნავეელი და წყურილსა ჩემსა მასუეს მე ძმარი. (23) ეყავნ ტაბლაჲ მათი მათ წინაშე საბრქე, მისაგებელ და საცთურ. (24) დაუბნელ-დენ თუალნი მათნი, ოჲთა არა ხედვიდენ, და ზურგი მათი მარადლე შედრიკე. (25) მიჰფინე მათ ზედა რისხვაჲ შენი და გულის წყრომაჲ რისხვისა შენისაჲ

ეწიენ მათ. (26) იყავნ სამკვდრებელი მათი ოჭერ, და საყოფელსა მათსა ნუ იყოფინ მკვდრი. (27) რომელთა შენ სცხე, მათ დევნეს იგი და საღმობასა წყლულთა შენთასა შესძინეს. (28) შესძინე ურჩულოებზა ურჩულოებზას მათსა ზედა, და ნუ შეველენიდ იგინი სიმართლეთა შენთა.

(29) აიკოცენ იგინი წიგნისა მისგან ცხოველთაჲსა და მართალთა თანა ნუ ღაიწერებიან. (30) ხოლო მე გლახაკ და დავრდომილ ვარი მე, ღმერთო, მაცხოვარებამან შენმან მარადლე შემიწყნარა მე. (31) ვაჭებდე სახელსა უფლისა ღმრთისა ჩემისასა გალობითა და აღვამაღლო იგი ქებითა. (32) სათნო-ვეყო მე ღმერთსა უფროჲს ჳბოჲსა მის ჩჩვლისა, რომელსა გამოჳქონდეს რჭანი და ჳლაყნი. (33) იხილონ გლახაკთა, იხარებდენ, გამოიძიონ ღმერთი და ცხონდენ სულნი მათნი. (34) ესმა დავრდომილთაჲ უფალსა და პყრობილნი მისნი არა შეურაცხუენის. (35) აჭებდით მას, ცაჲ და ქუეყანაჲ, ზღულა და ყოველი, რაჲ არს მას შინა. (36) რამეთუ უფალმან იწსნეს სიონი და აღაშენოს ჳალაჭები ჳურიასტანისა, დაეშენნენ მუნ, დაიმკვდრონ იგი. (37) და ნათესაემან მონათამან დაიმკვდროს მუნ; და რომელთა უყუარს სახელი შენი, დაეშენნენ მას ზედა.

წამება და წმინდა ზუზანიისი ღვთისმშობლისად

და აწ დამტკიცებულად გითხრა თქვენ აღსასრული წმინდისა და სანატრელისა ზუზანიისი.

I. იყო მერვესა წელსა (მრ|||) სპარსთა მეფისასა კარად სამეფოდ წარემართა ვარსკენ პიტიახში, ძმ არშუშაასი. რამეთუ პირველ იგიცა იყო ქრისტიანე, ნაშობი მამისა და დედისა ქრისტიანეთა. და ცოლად მისა იყო ასული ვარდანი- 5 სი, სომეხთა სპაჰეტისაჲ, რომლისათჳს ესე მიეწერე თქვენდა, მამისაგან სახელით ვარდან და სიყუარულით სახელი მისი ზუზანიკი, მოშიში ღმრთისაჲ, ვითარცა-იგი ვთქუთ, სიყუარითგან თჳსით. და უკეთურებისა მის სახისა ქმრისა მისი- 10 საჲსა მარადის გულს ეტყუნ და ევედრებინ უოველთავე ლოცვის-ყოფად მისთჳს, რაათამცა ცეცალა იგი ღმერთმან სახისა მისგან უგუნურებისა და იქმნამცა გონიერებასა ქრისტესსა.

ხოლო ამის უბადრუკისა და სამ გზის საწყალობელისა ვარსკენისი ვითარ-მე ვინ თქუას ყოვლად განწირულისაჲ, ვითარ-იგი განავდო სანატრელი სასოებჲა 15 ქრისტესიი ანუ ვინ არა სტიროდის მას, რომელსააჲრცა ჰირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახვლი, არცა პყრობილებაჲ ქრისტესთჳს!

რამეთუ რაჲამს წარდგა იგი წინაშე სპარსთა მეფისა, არა თუ პატივისა მოღებვისათჳს, არამედ ძლუნად თავისა თჳსსა შესწირვიდა მეფისა მის მიმართ უვარის-ყოფითა ჰეშმარიტისა ღმრთისაჲთა და თავუანის-სცემდა ცეცხლსა, რა- 20 მეთუ ყოვლით კერძოვე თავი თჳსი ქრისტესგან განავდო. ხოლო საწყალობელი ესე ცოლსა ითხოვდა სპარსთა მეფისაგან, რაათამცა სათნო-ეყო მეფესა, და ესრეთ ეტყოდა, ვითარმედ: «რომელი-იგი ბუნებითი ცოლი არს და შვილნი, იგინიცა ესრევე მოვაქცინე შენსა შჭულსა, ვითარცა-ესე მე». ამას უქადებდა, რომელ-იგი არა აქუნდა ჰელთა ზუზანიისგან. მაშინ განიხარა მეფემან და ბრძანა 25 ცოლად მისა ასული მეფისაჲ.

II. და იქმნა მეფისაგან სპარსთაჲსა პიტიახშმან. და ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ჰუეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა-ყო, რაათა აუწყოს და წინა-მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი, რაათა მათ გამო ვითარცა ერთგული სოფლად შევიდეს. და წარმოჰმართა საღიასპანოთა 30 ცხენითა მონაჲ თჳსი, ვითარმცა მოვიდა დაბასა, რომელსა სახელი ჰრქვან ცურტაჲ.

და ვითარცა მოიწია და შევიდა წინაშე ზუზანიისისა, დედოფლისა ჩუენისა, და კითხვაჲ ჰრქუა. ხოლო სანატრელმან ზუზანიკი ვითარცა წინარმეტყუელმან ჰრქუა: «უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა. 35 უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვაჲ ეგე შენი შენდავე მოიქცინა». ხოლო კაცმან მან ვერ იყარა სიტყუად მისა. ხოლო წმიდა ზუზანიკი აფუცებდა

და ჰკითხვიდა დამტკიცებულად. ხოლო კაცმან უთხრა მართალი და ჰრქუა, ვითარმედ: «ვარსკენ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი».

15 ვითარცა ესმა ნეტარსა შუშანიკს, დევიარდა იგი ქუეყანასა ზედა და თასა დამართ სცემდა და ცრემლითა მწართა იტყოდა: «საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსკენ, რამეთუ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა არტოშანი და შეერთო იგი უღმერთთა».

10 და აღდა და დუტევა ტაძარი თვისი და ღმრთის მოშიშებით ეკლესიად შევიდა და თანა მიიყვანნა საზნი იგი ძენი მისნი და ერთი ასული და წარადგინნა იგინი წინაშე საკურთხეველსა და ესრეთ ილოცვიდა და იტყოდა: «უფალო ღმერთო, შენნი მოცემულნი არიან და შენ დაიცივენ ესენი, განათლებულნი წმიდისაგან მებაზისა მადლითა სულისა წმიდისაგან, ყოფად ერთ სამწყსო ერთისა მწყემსისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა».

15 და ვითარცა მწუხრისა ჯამი აღასრულეს, სახლაცი ერთი მცირე პოვა მახლობელად ეკლესიასა და შევიდა მუნ შინა სიმწართა საესმე და მიეყრნა ყურესა ერთსა და მწართა ცრემლითა ტიროდა.

20 III. ხოლო ეპისკოპოსი იგი სახლისაჲ მის პიტიახშისაჲ, რომელსა სახელი ერქუა თეოცი, არა მუნ იყო, არამედ კაცისა ვისამე წმიდისა ვანად მისრულ იყო ეთხვად რაჲსმე სიტყვსა. და მეცა, ხუტესი დედოფლისა შუშანიკისი, თანა ეპყვანდი ეპისკოპოსსა მას. და მყის მოიწია ჩუენდა დიაკონი შინათ და გვთხრა ჩუენ ესე ყოველი: მოსლვაჲ პიტიახშისაჲ და საქმენი დედოფლისანი. ხოლო ჩუენ აღვიკესნით მწუხარებთია და დიდითა ტირილითა ვტიროდეთ, განმწარებულნი ცოდვათა ჩუენთა წარმოჩინებისათჳს.

25 ხოლო მე ვიკმენ აღრე და მივიწიე დაბასა მას, რომელსაცა იყო ნეტარი შუშანიკი. და ვითარცა ვიხილე იგი განმწარებული, მეცა ვტიროდე მის თანავე. და ვარქუ ნეტარსა შუშანიკს: «ლუაწლსა დიდსა შესლვად ხარ, დედოფალო, ვერძალე სარწმუნოებასა ქრისტესსა, ნუკუე მტერმან ვითარცა სრსულმან საძოვარი პოსს შენ თანა». ხოლო წმიდამან შუშანიკი მრქუა მე: «ხუტეს, და მეცა დიდსა ღუაწლსა განმზადებულ ვარ». და მე ვარქუ მას: «ეგრეთ არს, მკენ იყავ, მოთმინე და სულგრძელ». ხოლო მან მრქუა მე: «ჩემდა მარტოასა არიან ჰირნი ესე».

30 ხოლო მე ვარქუ მას: «ჰირი შენი ჰირი ჩუენი არს და სიხარული შენი სიხარული ჩუენი არს. ჩუენი არა ხოლო თუ დედოფალი ოდენ იყავ, არამედ ჩუენ ყოველთა ვითარცა შვილთა გუხედვედა».

35 და ვარქუ მე სანატრელსა მას ხუაშიადად-რე: «ვითარ გეგულების, მითხარე, რაათა უწყოდი, და აღწერო შრომაჲ შენი». ხოლო მან მრქუა მე: «რაასა მკითხავ ამას?» და მე მიუგე და ვარქუ მას: «მტკიცედ სდგა?» და მან მრქუა მე: «ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა ვეზიარე საქმეთა და ცოდვათა ვარსკენისთა. მე მიუგე და ვარქუ მას: «მწარე გონება აქუს მას, გუემასა და ტანჯვასა დიდსა შეგადლოს შენი. ხოლო მან მრქუა მე: «უმჯობეს არს ჩემდა ჯელთა მისთაგან სიკუდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრება და წარწყმედა სულისა ჩემისა; რამეთუ მას მიეს მე პავლეს მოციქულისაგან: «არა დამონებულ არს ძმა, გინა დაჲ, არამედ განეყენენ». და მე ვთქუ: «ეგრეთ არს».

40 IV. და ვიდრე ჩუენ ამას სიტყუასა შინა ვიყვენით, კაცი ერთი სპარსი მოვიდა და შევიდა იგი წინაშე ნეტარისა შუშანიკისა და ტირილით იტყოდა: «ესე ვითარი სახლი მშვდობისაჲ ეწარსაწყალობელ იქმნა და სიხარული მწუხარებდალ

ვარდაიქცაი» ხოლო ზრახვითა იყო იგი ვარსკენისითა და ზაყუვით იტყოდა ამას და უნდა მონადირებმა ნეტარისაჲ მის. ხოლო წმიდამან მან ცნა ზაყუვითი იგი ზრახვამ მისი და მოიზღულა თავი მისი მტკიცედ.

და შედგომად სამისა ღლისა მოვიდა ვარსკენ პიტიახში. და უთხრა სპარს-
მან მან ფარულად და ჰრქუა: «მე ვითარ მიცნობიეს; ცოლი შენი განდგომილ არს 5
შენგან. და მე გეტყვ შენ: ნურას ფიცებელსა სიტყუასა ეტყვ მას, რამეთუ დედა-
თა ბუნებამ იწრო არს».

და ხეალისა ღლე ვითარ აღდგა პიტიახში, გვწოდა ჩუენ ხუცესთა და მივე-
ლით. და სიხარულით შეგვმთხვნა და გურქუა ჩუენ: «აწ ნურას მერიდებით მე და
ნუცალა გძაგ». და ჩუენ მიუგეთ და ვარქუთ: «წარსწყმიდე თავი შენი და ჩუენ- 10
ცა წარგუწყმიდენ». მაშინდა იწყო სიტყუად და თქუა: «რამსა ჳელ-იწიფა ჩემ
ზედა ცოლმან ჩემმან ესევეითარისა საქმედ? აწ მიველით და არქუთ, ვითარმედ:
«შენ ჩემი ხატი დაამქუ და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ და შენი ადგილი
დაგიტევებიეს და სხუად წარსრულ ხარ».

ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა: «არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა 15
დავამქუ. ხოლო მამამან შენმან აღჰმართნა სამარტკლენი და ეკლესიანი აღა-
შმენა, და შენ მამისა შენისა საქმენი განპრყუნენ და სხუად გარდააქციენ კე-
თილნი მისნი; მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახილ თვსა, ხოლო შენ ღვენი
შემოიხუენ; მან ღმერთი ცათა და ქუეყანისაჲ აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ
ღმერთი ჳეშმარიტი უვარ-ჰყავ და ცეცხლსა თაყუანის-ეც. და ვითარცა შენ შე- 20
მოქმედი შენი უვარ-ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ-გყავ. და თუ მრავალი
ტანჯება მოაწიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა»: ხოლო ჩუენ ესე
ყოველი მიუთხარათ პიტიახშსა. ხოლო მან განიწყო გული და იბრღლუენდა
მისთვის.

V. მერმე მიავლინა ჭოჭიკ, ძმაჲ თვისი, და ცოლი ჭოჭიკისი, ძმის ცოლი თვისი, 25
და ეპისკოპოსი სახლისა თვისისაჲ და ჰრქუა მათ: «ესრეთ არქუთ: აღდგ და მო-
ვედ ადგილსა თვისსა და ნუ ეგვევითარი გონებამ გიპყრიეს უკუეთუ არა, თრე-
ვით მოგითარიო».

და ვითარ მიიწინეს და შევიდეს წინაშე კელოფლისა და მრავალსა დასაჯე-
რებელსა სიტყუასა ეტყოდეს მას, მაშინ წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მათ: «კაცო 30
ბრძენო, თქუენ კეთილად იტყუთ, გარნა ნუ დაგიჭერებიეს, თუმცა მე მისა ცო-
ლადლა ვიყავ. მეგონა მე, ვითარმედ იგი ჩემდა მოვაჯიო და ღმერთი ჳეშმარი-
ტი აღიაროს, და აწ მე მაიძულეთ ამას ყოფ: ? ნუ იყოფ, ნ ესე ჩემდა! და შენ,
ჭოჭიკ, არღარა ჩემი მალნი ხარ, და არცაღა მე შენი ძმის ცოლი, არცა ცოლი
შენი დაჲ ჩემი არს, რომელნი მის კეძმო და მისთა საქმეთა ზიარ ხართ». ჰრქუა 35
მას ჭოჭიკ: «უწყი მე, აწ მოავლინენს მსახურნი და თრევით წარგიყვანოს შენ».
ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა: «უკუეთუ შემკრას და მითრიოს, მიხარის, რამე-
თუ მით სახითა იყოს განჩინებამ ჩემი მისგან».

და ვითარცა ესმა ესე მისგან, ცრემლოდეს ყოველნი. და ჭოჭიკ აღდგა
და ცრემლით გარე განვიდა. ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა ეპისკოპოსსა: «ვი- 40
თარ მეტყვ მე დაჭერებად ჩემდა, რამეთუ მან ღმერთი უვარ-ყო!» ხოლო ჭო-
ჭიკ ევერებოდა და ეტყოდა: «დაჲ ჩუენი ზარ შენ, ნუ წარსწყმედ სახლსა ამას
სადედოფლოსა». ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ: «უწყი, ვითარმედ დაჲ ვარ და

ერთგან განზრდილი, ხოლო მაგას ვერ ვპყოფ, ვითარცა მოსისხლეობა იქმნა. და თქუნე ყოველი თანა-მღებ იქმნენითა.

და ვითარცა ფრიალ აღურებდეს მას, აღდგა წმიდა და ნეტარი შუშანიკ და ფანა წარიტანა ევანგელმ თვის და ტირილით ესრეთ იტყოდა: «უფალო ღმერთო, შენ უწყი, ვითარმედ მე გულითად სიკუდილდ მივილა.»

ესე თქუა და წარვიდა მათ თანა და თანა წარიტანნა ევანგელმ თვის და წმიდანი იგი წიგნი მოწამეთანი. და რაჟამს შევიდა იგი ტაძარსა მას, არა დაჟდა იგი თვისსა მას გალიაკსა, არამედ სენაკსა შინა მცირესა. და აღიპყრნა ჳელნი თვისნი ზეცად წმიდამან შუშანიკ და თქუა: «უფალო ღმერთო, არცა მღღელთა-განი ვინ იპოვა მოწყალმ, არცა ერისა კაცი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამას, არამედ ყოველთა მე სიკუდილად მიმოთუალეს მტერსა ღმრთისასა ვარსქენსა.»

VI. და შემდგომად ორისა ღღისა მოვიდა მგელი იგი ტაძრად და ჰრქუა მსახურთა თვისთა: «ღღეს მე და ჭოჭიკ და ცოლმან მისმან ერთად პური ევაპოთ, ხოლო სხუასა ნუვის უფლიედ ჩუენ თანა შემოსლვად». და რაჟამს შემწუხრდა, მოუწოდეს ცოლსა ჭოჭიკისსა და ინებეს ერთად პურისა ჳამად, რაჟამცა მოიყვანეს წმიდა შუშანიკცა. და ვითარცა მოიწია ჟამი პურისაჲ, შევიდეს ჭოჭიკ და ცოლი მისი წინაჲმ წმიდისა შუშანიკისა, რაჟამცა მასცა აჳამეს პური, რამეთუ ყოველი იგი ღღენი უზმასა გარდაევენეს და ვითარცა მეტად აიძულეს და ძლით წარიყვანეს ტაძრად, ხოლო გემოა არარასაჲ იხილა. ხოლო ცოლმან ჭოჭიკისმან მიართუა ღვწოა ჳიქითა და აიძულებდა მას, რაჟამცა იგი ხოლო შესლუა. ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ რისხვით: «ღღეს ყოფილ არს ჳამომღდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჳამა პური?!» და განყარა ჳელი და ჳიქა იგი ჳირსა შეაღწუა და ღვწოა იგი დაითხია.

მაშინ იყო უჯეროსა გინებად ვარსქენ და ფერჯითა თვისთა დასთრგუნვიდა წას. და აღილო ასტამი და უხეტქნა მას თავსა და ჩაჰფლა და თუალი ერთი დაუბუშტა; და მჭილითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრევიდა; ვითარცა მჳეცი მჳენვარმ ყოფდა და იზახდა ვითარცა ცოფი. მაშინ შუეღად აღდგა ჭოჭიკ, მჳაჲ მისი, და იბრძოდეს, ვიდრემდის გუემა იგიცა, და კუბასტიცა თავსა მისსა მოხეტქა და ჳირით, ვითარცა კრავი მგელსა, გამოულო ჳელთა მისთა. და ვითარცა მკუღარი იღვა წმიდა შუშანიკ ჳუეყანასა ზედა. და ავინებდა ვარსქენ თესლ-ტომსა მისსა და სახლისა მაოჯრებულად სახელ-სდებდა მას. და უბრძანა შეკრვაჲ მისი და ბორკილთა შესხმად ფერჯთა მისთა.

და ვითარცა მცირედ და-რე-სცხრა გულის წყრომისაგან, მოვიდა სპარსი იგი და მჳურვალედ ევედრებოდა მას, რაჟამცა საკრველთა მათგან განეტეჳა წმიდა შუშანიკ. და ვითარ ფრიალ ევედრებოდა, ბრძანა განტეეეებაჲ მისი და სენაკსა ერთსა შეყვანებაჲ და კრძალულად დაცვაჲ მისი ერთითა მსახურითა და რაჟათა სხუა არავინ შევიდეს ხილვად მისა, — არცა მამაკაცი, არცა დედაკაცი.

VII. და ვითარცა ცისკარ ოდენ იყო, იკითხა და თქუა მსახურისა მიმართ მისისა, ვითარმედ: «წყულულებისა მისგან ვითარ არს?» ხოლო მან ჰრქუა მას: «ვერ განსარინებელ არს იგი». მაშინ თვთ შევიდა და იხილა იგი და დაუჯრდა დიდძალი იგი სიმსივნემ მისი. და ამცნო მსახურსა მას და ჰრქუა: «ნუმცა ვინ შევალს ხილვად მისა. და თვთ ნადირობად წარვიდა.»

ხოლო მე აღვდგ და მივედ და ვარქუ მცველსა მას: «მე ხოლო მარტოა შემიტეეე, და ვიხილო წყულუებაჲ იგი მისი». ხოლო მან მრქუა მე: «ნულუეუე ცნას.

და მომკლას მე». და მე ვარქუე მას: «უბადრუკო, არა მისი განზრდილი ხარა? და თუცა მოკლას შენ მისთვის, რაა არს?!» მაშინ შემიტევია მე ფარულად. და ვითარ შევედ შინა, ვიხილე ხატი მისი დაბძარული და განსიეებული და აღუტევე კმა და ვტிரოდე. ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: «ნუ სტირ ჩემთვის, რამეთუ დასაბამ სიხარულისა იქნა ჩემდა ღამე ესე». და მე ვარქუე წმიდასა შუშანიკს: «მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირისა შენსა და ნაცარი, რომელი თულათა შენთა შთაცუეულ არს, და სალბუნი და წამალი დაგდვა, რაათა, ჰე, ღამე თუ განიკურნო!» ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: «ხუცეს, მაგას ნუ იტყვ, რამეთუ სისხლი ესე განმწმედელი არს ცოდვათა ჩემთაჲს».

5.

ხოლო მე მკირედ ვაიძულე მიღებად კამადი, რომელი მოექლუნა სამოელ ეპისკოპოსსა და იოვანეს, რამეთუ ფარულად ილუწიდეს და ნუგეშინის-სცემდეს. მაშინ მრქუა მე წმიდამან შუშანიკ: «ხუცეს, ვერ ძალ-მიც გემოჲს ხილვად. რამეთუ ყბანი და ზოგნი კბილნი შთამუსრვილ არიან». მაშინ მივილე მკირედ ღვინო და პური დავაღებ და მკირედ გემოჲ იხილა.

10.

და მე ვისწრაფდი გამოსლვად. მაშინ მრქუა მე წმიდამან შუშანიკ: «ხუცეს. მიუძღუნაო სამკაული ესე მისი? ნუუკუე ითხოვდეს, რამეთუ მე ამას ცხორებასა არღარად შეკმარების». ხოლო მე ვარქუე: «ნურას ისწრაფი, იყოს შენ თანა».

15

და ჩუენლა ამას განვიზრახვედით, მოვიდა ყრმაჲ ერთი და თქუა: «იაკობ მანდა არსა?» და მე ვარქუე, ვითარმედ: «რაა გინებს?» და მან მრქუა: «უწესს პიტიახში». და მე დამიკვრდა, თუ რაასა-მე მიწესს ამას ეამსა? და მივსწრაფე და მივედ. და მან მრქუა მე: «უწყია, ხუცეს, მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა. და ჩემი სამკაული მას არა დაუტეო, ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს. — იპოოს ვინმე, რომელმან განკაფოს იგი. მივედ და მომართუ იგი ყოველივე, რააცა რაა არს». ხოლო მე მივედ და უთხარ წმიდასა შუშანიკს. ხოლო მან განიხარა ფრიად და მადლი მისცა ღმერთსა და ყოველივე მომიძღუნა, და მივართუ პიტიახშსა. და მან მიღო ჩემგან, აღიხილა და იპოვა ყოველი გებულად. და კუალად თქუა: «მერმეცა იპოოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს».

20

25

VIII. და ვითარცა მოიწინეს ღიღნი იგი მარხვანი, მივიდა ნეტარი იგი შუშანიკ მახლობელად წმიდასა ეკლესიასა და იძია მკირმ სენაკი და მუნ დაეყუდა. და იყო სენაკა მას მკირმ სარკუმელი და დაყო იგი. და იყო იგი ბნელსა მას შინა მარხვით და ლოცვით და ტირილით.

30

და ჰრქუა ვინმე პიტიახშსა საკუთარმან მისმან, ვითარმედ: «ამათ წმიდათა მარხვათა ნურას ეტყვ მას».

და ვითარ მოიწია აღვებების ორშაბათი და მოვიდა პიტიახში ბრძოლისა მისგან პონთასა, ეშწია თხრიდა გულსა მისსა. და აღდგა და მივიდა ეკლესიად და ეტყოდა ეპისკოპოსსა მას აფუცას: «გამომეც ცოლი ჩემი, რად განმაშორებ ჩემგან?» და იწყო გინებად და გმობად ღმრთისა სასტიკად. ხოლო ხუცესმან ერთმან ჰრქუა მას: «უფალო, რაასა ეგრე იქმ და იტყვ ეგრეთ ბოროტსა და აგინებ ეპისკოპოსსა და წმიდასა შუშანიკს რისხვით ეტყვ?» ხოლო მან უხეტქნა კუერთხითა ხუცესსა მას ზურგსა და მან ევრღარა იკადრა სიტყუად.

35

40

და ეგრეთ წმიდაჲ შუშანიკ თრევით მოითრია თიჯათა შიგან და ეკალთა ზედა ეკლესიით ვიდრე ტამრადმდე, ვითარცა მკუღარი მიეთრია. და ადგილდადგილდ ქუე ძეძვ დაეფინა. და თვთ ფერჯნი დაიდგნის ძეძუსა მას ზედა, და კუბასტნი შუშანიკისნი და ჯორცნი წულილ-წულილად დაებძარნეს ძეძუსა მას.

და ეგრეთ მოიყვანეს იგი ტაძრად. და უბრძანა შეკრავა მისი და ცემაჲ, ბოროტებდა და იტყოდა: «აჲა ეგერა არა გერგო შენ ეკლესიაჲ შენი და არცა ზურგნი ეგე შენი ქრისტიანნი და უფალი იგი მათი». და ვითარცა სცეს კურთხილა სამას ოდენ, არარაჲ აღმოქდა პირსა მისსა ვაებაჲ, არცა კუნესაჲ. მაშინღა 5 ჰრქუა წმიდამან შუშანიკ ურჩულოსა ვარსკენს: «უბადლო, შენდა თავი თვისი არა შეიწყალე და განსდგე ღმრთისაგან, შენ მეშვეა შემიწყალე?»

და ვითარცა იხილა დიდძალი იგი სისხლი, რომელ დაშოსდიოდა ჩჩვლთა მათ ჯორცთა მისთა, მაშინ უბრძანა დადებად ჭაჭვ ქედსა მისსა. და უბრძანა 10 სენაკაჲანსა ერთსა, რაჲთა წარიყვანონ წმიდაჲ შუშანიკ ციხედ და საპყრობილესა ზნელსა შეაყენონ იგი და მოკუდეს.

IX. დიაკონი ვინმე ერთი მის ეპისკოპოსისაჲ დგა წმიდისა შუშანიკის თანა მას ეამსა, რომელსა გამოკყვანდა იგი ტაძრით, და უნდა, რაჲთამცა ჰრქუა, თუ: «მტკიცედ დეგ!» და თუალი ჰკიდა პიტიაზშმან, სხუაჲ ვერღარაჲ სცალდა სიტ- 15 უჟად, ესთენ ოდენ ჰრქუა: «მტკი...» და დადუმნა ხოლო და სივლტოლად იწყო სწრაფით.

მაშინ წარმოიყვანეს და მოკყვანდა წმიდაჲ შუშანიკ უქამური და თმა-გარ- 20 დატევებული ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანი. და ვერვინ იკადრა თავსა მისსა დაბურვად, რამეთუ პიტიაზში იგი მკედრ შეუდგა უკუნა კუალსა მისსა და აგინებდა მას მრავლითა გინებითა.

და მივიდოდა წმიდისა მის თანა ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისაჲ, სიმრავლშ ურიცხვ, რამეთუ უკუნა შეუდგეს, ჳმაჲ აღემალლა და ტიროდეს და 25 რქადეს დაწუთა მათთა და საწყალობელად დასთხვედეს ცრემლთა მათთა წმი- დისა შუშანიკისთვის. ხოლო წმიდამან შუშანიკ უქმობხედნა ერსა მას და ჰრქუა მათ: «ხუ სტირთ, ძმანო ჩემნო და დანო ჩემნო და შვილნო ჩემნო, არამედ 30 ლოცვასა მომიტსენეთ. და ჳწმულმცა ვარ მე თქუენგან ამიერთგან, რამეთუ არღარა მიხილოთ ცოცხალი გამოსრული ციხით». და ვითარცა იხილა პატიაზშ- მან ამბოხი იგი და ტირილი მამათაჲ და დედათაჲ, მოხუცებულთა და ყრმათა, მკედრ მიმოდასდევნი და მეოტ ჰყოფნ მათ ყოველთა. და ვითარცა მიიწინეს ჳილსა მას ციხისასა, ჰრქუა პიტიაზშმან წმიდასა შუშანიკს: «შენდა ეგდენ ყოფად 30 არს ფერკითა შენითა სლვაჲ, რამეთუ ცოცხალი არღარა გამოსლვად ხარ, გარნა თუ ოთხთა გამოგიღონ».

და ვითარცა შევიდეს ციხედ, პოვეს სახლაკი ერთი ჩრდილოთჲ კერძო მცი- 35 რ. და ბნელი და მუნ შეაყენეს წმიდაჲ იგი. და ჳაჭვ იგი, რომელ ეღვა ქედსა მისსა ზედა, ეგრეთვე ეღვა, და დაჰბეკდა ურჩულომან ვარსკენ ბეჳდითა თვისითა. ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა: «მე ამას მხიარულ ვარ, რაჲთა აჳა ვიტანჯო და 35 მუნ განვისუენო». ხოლო პიტიაზშმან ჰრქუა მას: «ჳე, ჳე, განისუენე!»

მაშინ დაადგინნა მცველნი მის ზედა და ამცნო მათ, რაჲთა სიყმილითა მო- 40 კლან იგი. და ესრეთ ეტყოდა მათ: «გეტყვ თქუენ: უკუეთუ ვინმე შევიდეს მისა მამაკაცი, გინა დედაკაცი, იხილენით თავნი თქუენნი და ცოლნი და შვილნი და სახლნი თქუენნი, უბრალომცა ვარ, რაჲ გიყო თქუენ».

X. მაშინ გამოვიდა ციხით. და მესამესა კვრიაკესა მოუწოდა მცველსა ერთ- 45 სა, ჳკითხა მას და ჰრქუა: «აჳამომდე ცოცხალდა არსა საწყალობელი იგი?» ხო- ლო მან ჰრქუა: «უფალო, სიკუდილდ კერძო უფრო საგონებელ არს ვიდრე სი-

ეოცხლით, რამეთუ შიმშილითა უფროჲს ხოლო მოკუდების, რამეთუ არარას მიიღებს საზრდელსა». ხოლო მან ჰრქუა: «ნურარაჲ გგლიან, უტე, — მოკუდეს»

ხოლო მე მრავლითა ვედრებითა ვარქუ მცველსა მას და უქადე ჰურკერი ერთი სამისოჲ. და ძნიად თავს-იღვა შეტევებაჲ ჩემი და მრქუა მე: «რაჲჲს და-
ლაძდეს, მოვედ შენ ხოლო მარტოჲ». და ვითარ შემოიყვანა მცველმან მან და ვი- 5
ხილე ტარიგი იგი ქრისტესი შუენიერად, ვითარცა სძალი შემკული საყრველთა მათგან, და მე ვითარ ვერ დამითმო გულმან, ვტიროდე ფრიად. ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: «კეთილისა ამისთვის სტირა, ხუცეს?» ხოლო მცველმან მან მქრუა მე: «ესეღა თუმცა მეცნა, არამცა შემოგიტევე შენ». ხოლო მე ვიწყე სიტყუად და განმტიციებად მისა, რადენი ღმერთმან მომცა მე სიტ- 10
ყუად. და ვიქმენ მისგან და წარვედ სწრაფით ვანად ჩემდა.

ხოლო პიტიახში ჩორდ წარემართა. და ჯოჯიკ, ძმაჲ მისი, არა დახუდა, ოდეს საქმე ესე იქმნა წმიდისა შუშანიკის ზედა. და ვითარ მოიწია ჯოჯიკ, უქუნანა სდევდა პიტიახშსა. და მიეწია მას საზღვართა ჰერეთისათა და ვეედრებოდა მას ფრიად, რათამცა ბრძანა საყრველთა მათგან განტევებაჲ მისი. და ვითარ ფრიად 15
აწყინა, ბრძანა განტევებაჲ საყრველთაგან ოდენ. და ვითარ მოვიდა ჯოჯიკ, აღ-
ჰქადა ჯაქვ იგი ქედსა მისსა, ხოლო ბორკილთაჲ არა თავს-იღვა წმიდამან შუშანიკ ვიდრე აღსასრულამდე მითურთ.

რამეთუ ექუსი წელი ციხესა მას შინა აღასრულა და წესიერებითა საღმრ-
თოთაჲ ყუაოდა: მარხვითა, მარადის მღუძარებითა, ზე-დგომითა, თაყუანის-ცე- 20
მითა უწყინოდ და კითხვითა წიგნთაჲთა მოუწყინებულად. განაბრწყინა და განა-
შუენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მით ქნარითა.

XI. და მიერითგან განითქუა ყოველსა ქართლსა საქმე მისი. და მოვიდოდეს მამახი და დედანი აღნათქუემთა შეწირვად და, რაჲ ვის უქმდა, მიემადლებოდა წმიდითა ლოცვითა ნეტარისა შუშანიკისითა, რომელსა მოსცემდა მას კაცთ-მო- 25
ყუარე ღმერთი: უშვილოთა შვილი, სნეულთა კურნებაჲ, ბრმათა თუალთა ახილვაჲ.

იყო ვინმე დედაკაცო ერთი სპარსი მოგვ, რომელსა განბორებისა საღმობაჲ აქუნდა. და მოვიდა იგი წმიდისა შუშანიკისა. ხოლო იგი ასწავებდა მას, რათამ-
ცა დაუტევა მოგობაჲ იგი და იქმნა იგი ქრისტიანე. ხოლო დედაკაცმან მან თავს- 30
-იღვა ადრე-ადრე. და იგი ასწავებდა დედაკაცსა მას და ეტყოდა, ვითარმედ: «მივედ იერუსალმედ და განსწმიდენ განბორებისა მაგისგან შენისა». და მან გულს-მოდგინედ შეიწყინარა და წარემართა გზასა მას სახელითა ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა და განიკურნა იგი საღმობისა მისგან. და ვითარ გარე- 35
-მოიქცა იგი სიხარულითა დიდითა და მოიწია მუნვე, მოვიდა იგი წმიდისა შუშანიკისა მადლისა გარდაკდად და წარვიდა სახიდ თვსა სიხარულით განმრთე-
ლებული.

XII. ხოლო წმიდამან შუშანიკ ნაცვალად კიქნაუხტისა საქმისა დილითა გულს-მოდგინებითა ქელთა აღიხუნა დავითნი და მცირედთა დღეთა შემდგომად ასერგასისნი იგი ფსალმუნნი დაისწავლნა, რომლითა-იგი დღე და ღამე ჰესცენე- 40
ლისა მის მეუფისა მიმართ სათნოსა მას გალობასა შესწირვიდა ცრემლით.

და უთხრეს ნეტარსა შუშანიკს, ვითარმედ: «შვილნი იგი შენნი მიაქცინა მოგობასაჲ. მაშინ იწყო თაყუანის-ცემად ღმრთისა მიმართ ტირილითა დილითა და თავსა თვსსა ქუე დამართ სცემდა. სულთ-ითქუნა და თქუა: «გმადლობ შენ,

უფალო ღმერთო ჩემო, რამეთუ იყვნესვე არა ჩემნი, არამედ შენნი მოცემულნი იყვნეს. ვითარცა გნებავს, იყავნ ნება შენი, უფალო, და მე დამიციე საქმეთაგან მტერისათა».

5 და მე მივედ და ვიხილე წმიდაა შუშანიკ დამწრშალი და დაბუშებული ტირილითა. და რამეთუ მოედლუნა წმიდასა მას ეპისკოპოსსა საზრდელი და ვითარ ფრიად ვაძულე, მცირედ ოდენ გემოა იხილა და ვჰმადლობდით ღმერთსა. და ვიდრე მუნ ეამადმდე მოვიდიან შეილნი იგი მისნი ხილვად დედისა თჳსისა: ხოლო რაჟამს მიაქცინეს და უქარ-ყვეს ღმერთი, ვერღარა იკადრეს ხილვად მისსა, არამედ სახელიცა მათი სძაგდა სმენად.

10 XIII. და მერმე მოციქულნი მოავლინნა პიტიახშმან და ჰრქუა: «ანუ ნება ჩემი ყავ და მოვედ ტაძრად; უკუეთუ არა მოხვდე შინა, ჩორდ წარგვე შენ, ანუ კარად კარაულითა». ხოლო წმიდამან შუშანიკ მიჰრქუა ესრეთ: «უბადლო და და უგულსქმოო, ხოლო მე თუ კარად, ანუ ჩორდ წარმე, ვინ უწყის, თუ მუნ კეთილსა რასმე შევემთხვო და ბოროტსა ამას განვერე». და გულსა ეტყოდა პიტიახში იგი სიტყუათა მათთვის, ვითარ-იგი ჰრქუა მას, ვითარმედ: «ვინ უწყის, თუ კეთილსა რასმე მივემთხვო», ვითარმედ: «ნუუკუე მთავართაგანსა ვისმე ეცოლოს». და მიერითგან არღარავინ მიავლინა მისა. ხოლო წმიდაა შუშანიკ ბოროტთა მათ გუემათა დათმენათათს იტყოდა, რაათამცა სათნო-ეყო ღმერთსა.

20 ხოლო პიტიახშმან გამოარჩია ძეძუას-მტმ მისი საკუთარი, რაათა მოიყვა: ნოს იგი ტაძრად. და ვითარცა ჰრქუა კაცმან მან: «ისმინე ჩემი და ჩამოვედ ტაძრად და ნუ აოჯრებ სახლსა მას თქუენსა», ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ: «არქუ მას უღმრთოსა, ვითარმედ: «შენ მომკალ და მარქუ მე: ცოცხალითა ფერჯითა არა გამოხვდე შენ მაგიერ ციხით. ხოლო აწ უკუეთუ შემძლებელ ხარ მკუღარსა აღდგინებად, პირველად დედაა შენი აღადგინე, რომელი ურდს დამარხულ არს, გარნა თუ მისა ეერ შემძლებელ ხარ აღდგინებად, ვერცა ჩემდა შემძლებელ ხარ განყვანებად, გარნა თრევით გამოთრიო». და ვითარცა მიუთხრეს პიტიახშსა სიტყუა იგი, და მან თქუა: «ნანდვლვე ვთქუ ეგე».

და მეორესა დღესა შემო- ვინმე- ვიდა და ჰრქუა წმიდასა შუშანიკს: «კეთილად მიუგე მას სიტყუა იგი, რამეთუ მაგით სახით ეგულებოდა შეტყუილი შენი და მას სხუაა ზრახვაა გულსა მოეკადა სიბოროტისაა შენთვის». წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მას: «და შენ ღმერთი ძილსა შინა ნუ გგონიეს, რომელმან განუშაღდნის სიტყუანი პირსა კაცისასა, რამეთუ იტყვს თვთ უფალი: «მე მიუგო სიტყუა თქუენ წილ».

35 XIV. და ვითარცა აღივსებოდა მეექუსმ იგი წელი საპყრობილესა მას შინა. ჯეკმა დამაშურალობითა შრომათა მათ შინა სიმჴნისა მისისაათა სენი სნუღლები-საა მოიწია მის ზედა, რომელსა-იგი წინაასწარ უღალადებდი და ვეტყოდე, ვითარმედ: «ნუ ჯეკმა, რამეთუ დაუშძიმებ ჭორცთა მაგათ ზედა, რამეთუ ვერ დავითმონ და მერმე ვერღარას შემძლებელ იყო ყოფად რაასმე საქმედ კეთილსა ეგოდენითა მაგით ფიცხლად მარხვითა და მარადის ზე-დგომითა და დამე ყოველ დაშურაობითა, ფსალმუნებითა და გალობითა». და არცადა მცირედ სადა სცა ჭორცთა მისთა განსუენება და შეიქმნა და დადნა ვითარცა ავლი.

ხოლო დიდთა მათ მარხვათა აღვსებისათა ერგასისთა მათ დღეთა ექუსთა წელთა შინა არცა დღისი, არცა დამე არა დაქდის ქუე, არცა დაიძინის, არცა

საქმელი რაა მიიღის, გარნა დღესა ხოლო კვრიაყესა ეზიარის ჯორცსა და სისხლ-
სა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა; და მცირედ ოდენ წუენი მხალისა შექმნული —
იგიცა მცირედ — მიიღის, ხოლო პურისა გემოა არა იხილის ვიდრე აღვსებადმდე.

და მცირე დღითგან, ვინაათგან პურობილ-ყვეს იგი ციხესა მას შინა, სასთა-
ულსა ზედა თავი არა მიღვის, გარნა ალიზი ერთი დაიდვის სასთუნალ. და ქუე-
საგებელად იყო გირჩაი ერთი ძუელი და კაცთა თუალსა სასთაული ერთი ხა-
ლენისა უცნ სასთუნლით კერძო. და თაყუანის-საცემელად კილიცი ერთი მცირე
ქუე წარუგდებიედ, და გრწყილი და ტილი მოუგონებელი ადგილსა მას დასხმულ
იყო. ეამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი მჭურვალეზაა მზისაჲ, ქარ-
ნე ხორშავნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა მკვდრნიცა მის ადგილისანი
სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვრლებულნი, დაწერტილი და
დამქნარნი და დამღიერებულნი, ჩარადოვანნი, პირ-მსივანნი და დღე-მოკლე
ცხორებულნი; და მოხუცებული არავინ არს მათ ქუეყანათა. და ესეთსა მას ცი-
ხესა შინა ექუს წელ პურობილ იყო და მძიმეთა მათ საკრველთა შინა აღიდებდა
ღმერთსა.

XV. და ვითარცა მეშუდმ წელი დადგებოდა, მოიწია წმიდისა და სამ გზის
სანატრელისა შუშანიკის ზედა წყლულებაჲცა ჯორცთა მისთაჲ. და დაუცხრო-
შელად შრომათა მათ გამო დაუსივდეს ფერჯნი მისნი და თხრამლი აღმოსდიოდა
ადგილ-ადგილად. და წყლულებანი დიდ-დიდნი იყვნეს, და მატლიცა დასხმულ
იყო წყლულთა მათ, რომელ-იგი აღილო ჳელითა თვისითა და მიჩუენებდა მე და
მამალობდა ღმერთსა და თქუა: «ხუცეს, ნუ მძიმე-გაინ ესე, რამეთუ მუნ იგი
მატლი უდიდეს არს და არა მოკულებიას». და მე ვითარცა ვიხილე მატლი იგი,
მოუგონებელად დიდად მწუხარე ვიყავ და ეტროდე ფრიალ. მრქუა მე რისხვით:
«ხუცეს, რად მწუხარე ხარ? ვიდრე უკუდავთა მათ მატლთა შექმასა უმჯობეს
იყავნ ამათ მოკუდავთა შექმა აქავე ამას ცხორებასა». და მე მიუგე და ვარქუე:
«ძაძისა სამოსელი მცირედლა შეგერაცხა საგუემელად? და აწ მატლთა მა-
გათთვს მზიარულ ხარ!» და შან მრქუა მე ქენებით: «ნუ ვის თანა იტყვ ძაძისა
სამოსლისათვს ცხორებასა ჩემსა, რამეთუ აღრე ყოფად არს დატევეზა უბად-
რუეთა ამათ ჯორცთა ჩემთაჲ». რამეთუ შინაგან ძაძა ემოსა და არავინ იცოდა
ჩემსა გარეშე, ხოლო გარეგან კაცთა თუალსა ანტიოქიისა პალეკარტი ემოსა.

XVI. და ვითარცა ესმა ჭოჩიკს, ვითარმედ მიახლებულ არს ნეტარი დედო-
ფალი წმიდაჲ შუშანიკ სიკუდილად, წარვიდა და თანა წარიყვანნა ცოლი და
შვილნი და მონა-მკვევალნი მისნი. და მივიდა ციხედ ხილვად სანატრელისა შუ-
შანიკ მარტვლისა. და ვითარცა მიიწია, მძლავრ შე- ხოლო -ვიდა და თაყუანის-
-სცა პატროსანსა ჭუარსა და მოიკითხა წმიდაჲ შუშანიკ, თანა-დაუქდა და ჰკი-
-თბიდა სალომბათა მეთთჳს. ხოლო წმიდამან მან ჰრქუა: «ეთილი ვარ, ვითარ
ღმერთსა უნებს, არამედ ყოველთა წარსავალსა მას გზასა მეცა წარვალა».

ხოლო ჭოჩიკ მსწრაფლ აღდგა ზე, პირველთა მათ უწესოთა საქმეთა აღუა-
რებდა და ევედრებოდა წმიდასა შუშანიკს და ეტყოდა: «სძალო და მკვევალო
ქრისტესო, ითხოვე ღმრთისაგან, რაათა მომრეტევენს მე მრავალნი შეცოდებანი
ჩემნი». ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მას: «თუ შენ სხუად სახედ ყრმებრ
აზარაჲ ჰქმენ, ღმერთმან მოგიტევენს შენ». და ჭოჩიკ ჰრქუა: «მაგის სახისათვს
მოვედ მე შენდა, რაათა, რომელი-იგი არა რამე სათნო იყოს ღმრთისა, არა
ეკმენე». წმიდამან შუშანიკ ჰრქუა: «უკუეთუ ეგე ვგრეთ ჰყო შენ, უკუდავ მექმნე
შე მაგით სიტყვთა და ღმერთმან შესძინენ დღეთა ცხორებისა შენისათა».

- და მერმე, ვითარ შეატყუა ჯოჯიკ, ვითარმედ მას დღესა განეღალ წმიდა
რგი ჯორცთა ამათგან, ჰრქუა: «მაკურთხე მე და ცოლი ჩემი, მკვეალი შენი, და
შვილი ჩემნი და მონა-მკვეალნი ჩემნი და, თუ რამე შეგცოდეთ ვითარცა კაცთა
საწუთროსათა და სოფლის მოყუარეთა, მოგვტევენ და ნუ მოიქნებენ მდგრო-
ბათა ჩემთა». ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა ჯოჯიკს და ცოლსა მისსა: «ჰყავ-
5 წარმდებად საქმე ესე ჩემი, რამეთუ არავინ იპოვა კაცთაგანი, რომელსამცა
აქუნდა წყალობად და ტკივილი ჩემთვის, რომელმანცა შეაჩერა უღმრთოსა მას
საწუთროსა მეუღლესა». ხოლო მათ ჰრქუეს: «ჩუენ თვნიერ შენსა ფრიალ დაე-
შუერით, გარნა არა იყო სმენად, არცა სიტყუად». მაშინ ჰრქუა წმიდამან შუშანიკ:
10 «განვისაჩნეთ მე და ვარსკენ პიტიახში მუნ, სადა-იგი არა არს თულ-ღებად.
წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთასა და მეუფისა მის მეუფეთასა, სადა არა არს
ჩჩევა მამაკაცისა და დედაკაცისა, სადა მე და მან სწორი სიტყუა ვთქუათ
წინაშე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა. მიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უე-
მოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემ-
15 დაპრო, შუენიერებად სიკეთისა ჩემისა დააბნელა და დიდებად ჩემი დაამდაბლა.
და ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემ შორის. ხოლო მე აწ ამას ვკმადლობ
ღმერთსა, რამეთუ ტანჯვითა მისითა მე ლხინებად ეპრო და გუემათა და თრევთა
მისთათს მე განსუენებასა მივემთხვო და უგულისმობებისა და უწყალოებისა
მისისათს მე წყალობასა მოველი იესუ ქრისტეს მიერ, უფლისა ჩემისა».
- 20 ხოლო იგინი ამას ყოველსა სიტყუასა მისსა ზედა ტიროდეს მწარედ და
ჰრქუეს: «მოგვტევენ ბრალნი ჩუენნი და გუაყურთხენ, წმიდაო მოწამეო და
მარტვლო სანატრელო ქრისტეს ღმრთისაო». ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა:
«ღმერთმან მიგიტევენინ, რომელ რად-იგი ჰყავეთ. მაშინდა აკურთხნა ჯოჯიკ
და ცოლი და შვილი მისნი და მონა-მკვეალნი მისნი და ყოველი ეზრა და პალ-
25 ტი მისი. და ამცნებდა სლვად გზასა ღმრთისათა და ეტყოდა, ვითარმედ: «ესე
ყოველი ცხორებად ვითარცა ყუავილი ველთაა წარმავალ არს და დაუღგრომელ
და ვინ სთესა — მოიკო და ვინ განაბნია გლახაკთათს — შეიკრება, და რომელ-
მან წარჩევიდოს თავი თვისი, მან პოოს იგი, რომელმან აღიდა იგი». და უცმნა
და გამოგზავნნა იგინი მშულობით.
- 30 XVII. მერმე, შემდგომად ჯოჯიკისა, მოიწია თავი იგო ეპისკოპოსთაა სა-
მოელ და იოვანე ეპისკოპოსი, მისივე მოყუასი, რომელ-იგი იყენეს განმამტკი-
ცებელ და დიდად დამაშურალ, სახლუულითურთ თანა-ყოფით იყენეს მონა, და
მონაწილე იყენეს და თანაზიარ შრომათა მისთა; მადლობით წარგზავნიდეს ნავთ-
სადგურისა მის მიმართ ქრისტესისა. მსგავსად მისევე სახისა აზნაურნი დიდ-დიდ-
35 ნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს.
ეგრეთვე რომელნი-იგი გულს-მოდგინებით მონაწილე ყოფილ იყენეს შრომათა.
მათ მისთა სანატრელობით, ვითარცა ახოვანსა მკნესა მიჰვედრიდეს ქრისტესსა.
- და თხოვასა ერთსა ითხოვდეს მისგან ყოველნი იგი ეპისკოპოსნი და აზნა-
ურნი ერთბამად, რათა ბორკილი იგი ფერქთად ბრძანოს საცოდ და ნაყურთხე-
40 ვად ყოველთათს, რომლისათსცა ჰრქუა წმიდამან შუშანიკ, ვითარმედ: «მე რად
ვარ, არადირსი ესე? ხოლო ღმრთის მოყუარებისა თქუენისათს ხუცესმან
აღავსენ წადილი თქუენი მაგის სახისათს. ხოლო მე რად-მე რად შემძლებელ
ვარ, არამედ ყოველად საეხემან ქრისტემან აღგავსენინ თქუენ ყოველითა კეთი-
ლითა, რომელნი-ესე ჩემთვის მოშუერით და ეზიარენით ვნებათა ამათ ჩემთა

და ჰირთა და ტანჯვათა. ხოლო მე, საყუარელნო, აჰა ესერა წინა-განმზადებულსა მას გზასა წარვალ საუკუნესა. ჰირისა ამის წილ ჩემისა ქრისტემან მომმადლოს მე სიხარული, სატანჯველთა ამთ წილ — განსუენებაჲ, გუემათა ამთ ჩემთა და თრევათა და შეურაცხებათა — მიეემთხვო მე დიდებასა და პატივსა ცათა შინა დაუსრულებელსა». და იგინი, ჯმულნი, ცრემლითა საყსენი ძლევისა მისთჳს დიდებასა ღმრთისა მიმართ შესწირვიდეს და გამოვიდეს ციხით და წარვიდეს. 5

XVIII. და მოიწია ღღმ იგი წოდებისა მისისაჲ. და მოუწოდა ეპისკოპოსსა მისისა სახლისასა აფოცს და მადლსა მისცემდა მისა მიმართ მოწლოებისა მისისათჳს ვითარცა მამასა და მამა-მძუძესა. შემვედრა მე, კაცი ცოდვილი და გლახაკი ესე. და შეჰვედრებდა ნეშტთა მათ ძულათა მისთასა და უბრძანებდა დასხმად აღვილსა მას, ვინაჲცა-იგი პირველად გამოითრიეს, და ეტყოდა: «უკუეთუ ღირს რაჲმე ვარ უკუანაჲსკენელი ესე მეათერთმეტს მოქმედი ვენაჲსიაჲ, იყვენით ყოველნი კურთხეულ უკუნისამდე ეამთა». 10

და ჰმადლობდა ღმერთსა და თქვა: «კურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩემი, რამეთუ მშჯდობით მას ზედა დაეწეე და დაეიძინე». და შეჰვედრა სული თჳსი უფალსა, ყოველთა შემწყნაძებელსა. 15

XIX. და მაშინღა მსწრაფლ მოიღო სანატრელმან მან ეპისკოპოსმან იოვანე შესაგრაგნელად სულარი წმიდაჲ წმიდათა მათ და პატიოსანთა ნაწილთა მისთაჲ, და ეგრეთ სხუათა მათ აღვილეთ გუამი იგი ფრიად დამაშურალი და დაჰმული მატლთა და განებანეთ იგი მატლისა მისგან მიწოვანისა და თხრამლისაგან და შეეჰმოსეთ მჩურითა მით. და მაშინღა ეპისკოპოსთა მათ ორთავე, იოვანე და აფოც, ვითარცა ჰართა მგნეთა დაუღლვილთა ზესკნელისა მის ფასისათა, ყოვლით კრებულითურთ ფსალმუნითა სულიერითა და კეროვნითა აღნთებულითა და საკუმეველითა სულნელითა აღვიხუენით პატიოსანნი ძულანი და გამოვიხუენით წმიდასა მას ეკლესიასა. და დავჰკრძალენით წმიდანი იგი და დიდებულნი და პატივ-ცემულნი ნაწილნი წმიდისა შუშანიკისნი განმზადებულსა მას აღვილსა. და მას ღამესა ანგელოზთა სახედ ღამს იგი განეათიეთ და დავითის ქნართა მით ჯოვლად ძლიერსა ღმერთსა და ძესა მისსა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა ვადიდებდით, რომელი ყოვლითა ყოველთა მიმართ შემძლებელ არს და განამჴნის მამანიცა და დედანიცა და თჳსთა მათ თჳსი იგი ძლიერებისა ძლევაჲ მიჰმადლის ჯოვლთა, რომელნი ეძიებენ მას ერთითა გულითა. 20 25 30

XX. და არს დასაბამი ტანჯვათა მათ წმიდისა შუშანიკისთაჲ თთუესა აპნისისასა, მერეესა თთჳსასა და ღღესა ოთხშაბათსა. და მეორედ გუემაჲ მისი შემდგომად აღვსებისა ზატისა, ღღესა ორშაბათსა. და კულად ტანჯვაჲ ვარდობისა თთუესა ბიცხრამეტსა. და აღსრულებაჲ მისი თთუესა ოკრონბერსა ათჩდმეტსა, საჴსენებელსა წმიდათა მათ და სანატრელთა მოწამეთა კოზმან და დამიანსთა. და ღღმ ხუთშაბათი იყო, რომელსა განეაწესეთ საჴსენებელი წმიდისა შუშანიკისი სადიდებელად და საჴებელად ღმრთისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, რომლისა შუენის დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამჴნ. 35

**მარტვლოგამ და მოთმინებაჲ ვშიდისა ევსტათი
მცხეთელისაჲ**

1 I. წელსა მეთესა ხუასრო მეფისასა და არეანდ გუშნასპისა¹ მარზაპნობა-
სა ქართლისასა მოვიდა კაცი ერთი სპარსეთით, სოფლისა არშაქეთისაჲ, ძმ
5 მოგვსაჲ. და წარმართ იყო იგი. და სახელი ერქუა მას გვრობანდაჲ, და დლითა
ყრმა იყო იგი ვითარ ოც და ათ წლის.

და მოვიდა იგი ქალაქად მცხეთად და ისწავლებოდა² კელსა მექამლობისასა
და ხედვიდა იგი რჩულსა ქრისტეანეთასა³ და მსახურებასა ქრისტესსა⁴ და
წმიდისა ჭუარისა ძალისა ჩინებასა. შეიყუარა მან რჩული ქრისტეანობისაჲ და
10 ჰრწმენა ქრისტე. და ვითარ ისწავა მექამლობაჲ, ითხოვა მან ცოლი ქრისტეა-
ნს⁵ და თუთ ქრისტეანე იქმნა და ნათელი მოილო. ხოლო ნათლის-ცემასა მისსა
უწოდეს სახელი ევსტათი. და ცხონდებოდა წმიდაჲ ევსტათი ქრისტეანობასა
შინა და სათნოებასა ქრისტესსა⁶.

11. მას ეამსა შეკრებს სპარსნი, რომელნი მცხეთად იყენეს, მექადაგენი და
15 ნეკამლენი. ტოზიკობდეს და მიავილენეს ნეტარისა ევსტათისა და ჰრქუეს: მო-
ვედ და გუერთ⁷ შეუებასა ამას ჩუენსა. ხოლო ნეტარმან ევსტათი განიცინნა
და ჰრქუა მათ: თქუენი ტოზიკიცა ბნელ არს, და თქუენ, მეტოზიკენიცა, ბნელ
ხართ. ხოლო მე ქრისტეს ბეჰედი მომიღებიეს და ქრისტეს ტოზიკსა ეტოზი-
კობ, რამეთუ ქრისტეს ბეჰედიტა აღბეჰდულ ვარ და ბნელსა მავას განშორე-
20 ბულ ვარ.

და ვითარ ტოზიკი იგი გარდაიქადეს, შეკრებს ოგინივე მექადაგენი და მე-
ქამლენი და ზრახვა-ყვეს წინაშე უსტამისსა, მცხეთელ ციხისთავისა⁸, და თქუეს:
აჲ კაცი ერთი არს ჩუენისა რჩულისაგანი და ჩუენ თანა ტოზიკსა არა მოვიდის
და ცეცხლი არა გამოსცის და ჩუენსა რჩულსაცა კგმობს და ჩუენ გუაგინებს და
25 რტყვს, ვითარმედ მე ქრისტეანე ვარო. ხოლო აწ შენ მოუწოდე და ჰკითხე.
რამეთუ ამას ქალაქსა შინა ჯელმწიფე ხარ.

და უსტამ, ციხისთავმან მცხეთისამან, ისმინა მათი ევსტათისთჳს და მიავილი-
ნა ერთი მჰედართაგანი მოწოდებულ ნეტარისა ევსტათისა და მრისხანედ ჰრქუა:
გიწეს⁹ შენ ციხისთავი.

30 ხოლო წმიდაჲ ევსტათი მცირედ შებრკოლდა და უნდა მორიდებჲა და მერმე
განზრახა და თქუა: ესე მოუყანსი ჩემნი არიან, ამათგანლა შევიშინო, მერმე
დილთა მთავართა წინაშე ვითარ წარვდგე, არამედ მივიღე მისა და ცხადად აღვიარ-
რო¹⁰ ქრისტე. რამეთუ მასმიეს წმიდისა ევანგელესაგან, ვითარ-იგი თქუა:
რომელმან აღმოაროს მე წინაშე კაცთა, აღვიარო მეცა იგი წინაშე მამისა ჩემისა
35 ზეცათასა; და რომელმან უვარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უვარ-ყუო იგი მეცა წი-
ნაშე მამისა ჩემისა, რომელ არს ცათა შინა. და დაიწერა ჭუარი შუბლსა და გულ-
სა და თქუა: უფალო ჩემ თანა.

და მოვიდა იგი ნეტარი ევსტათი და წარმოლდა წინაშე უსტამ ციხისთავისა
მცხეთელისა, და მწოდებულმან მან ჰრქუა უსტამს: ესე არს ჩუენისა რჩულისა

¹ გუშნასპისა ხ. ² ასეა ხ. ³ ტექსტში ეს სიტყვა ეველგან მ-თია წარმოდგენილი (ქრის-
ტმანე...), ამიტომ ქვეით არ ეთქვენებთ. ⁴ ქსა ხ. ⁵ ქრისტმანე ხ. ⁶ გუეთე ხ. ⁷ მცხე-
თელ ციხისთავისასა ხ. ⁸ გიწეს ხ. ⁹ ავიარო ხ.

მომავინებელი. და მიხედა ციხისთავმან მან ნეტარსა¹ ევსტათის და ჰრქუა²:
შენ გეტყვ, კაცო, მითხარ მე, რომლისა სოფლისაა ხარ, ანუ რომლისა ქალაქისაა,
ანუ რომელი რჩული გიპყრიეს?

ხოლო წმიდამან ევსტათი ჰრქუა მას: მე სოფლისა სპარსეთისაა ვიყავ,
ჭევისა არშავეთისაა, ქალაქისა განძაკისაა ვიყავ. მამა ჩემი მოგვ იყო და მეცა
მოგულებასა მასწავებდა, და მე მოგუებამ არა თავს-ვიდევ, რამეთუ განძაკს ქა-
ლაქსა ქრისტეანენი უფროჲს არიან და ებისკოპოსი და მღვდელნი, და მათგანდა
ყოველსა ზედა მივიწიე, რამეთუ უფროს არს ყოველსა რჩულსა ქრისტეანობაჲ
ვიდრე უღმრთოებაჲ. და აწ მე ქრისტჲ მრწამს და ქრისტჲს³ მსახურებასა ში-
ნა ვარ.

10

ხოლო უსტამ ციხისთავმან ჰრქუა მას: არავინ გიტეოს ქრისტჲს³ მსახურ
ყოფად და, თუ მშუღობით არა განუტეო სიცოფე ეგე, ტანჯვაჲ დიდი მოიწიოს
შენ ზედა. ხოლო წმიდამან ევსტათი ჰრქუა: არა ხოლო თუ ტანჯვად განმზადე-
ბულ ვარ ქრისტჲს⁴ სიყუარულისათჳს, არამედ სიკუდილცა თავი ჩემი არა მე-
წყალის⁵.

15

ვითარ იხილა უსტამ გულს-მოღვინედ დამტკიცებაჲ ნეტარისა ევსტათისი,
განიზრახა და თქუა: ამის კაცისა პატრიუ მე არარაჲ ჯელ-მეწიფების, არცა
აღბმად ძელსა, არცა პყრობილებად, არამედ წარუძღუანო ეგე ტფილისს ქალაქ-
სა არვანდ გუშნასს⁶, ქართლისა მარზაპანსა და, რაჲ-იგი შეჰკვანდეს, მან
უყოლ, რამეთუ ყოვლისა კაცისა ქართლისა მას ჯელ-მეწიფების სიკუდილი და
ცხორებაჲ.

20

და უბრძანა უსტამ, ციხისთავმან მცხეთისამან⁷, ორთა მკვდართა წარყვა-
ნებაჲ ნეტარისა ევსტათისი ტფილისს⁷. და შეკრბეს იგივე მეჭადაგენი⁸ და
მეჭამლენი და მოვიდეს უსტამისა და ჰრქუეს: არიან აქა სხუანიცა ჩუენისა
რჩულისანი და იგინიცა ქრისტეანე არიან და მათიცა ბრძანე მოწოდებაჲ და
ტფილისს⁷ მათიცა წარყვანებაჲ.

25

ხოლო უსტამ ჰრქუა მათ: ვინ არიან იგინი? და მათ უთხრეს სახელები მათი
და ჰრქუეს: ერთსა გუშნაკ ჰრქვან და ერთსა ბახლიად, ერთსა ბორზო⁹, ერთსა
პანაგუშნასს¹⁰, ერთსა პეროზაკ, ერთსა ზარმილ, ერთსა სტეფანე.

და უბრძანა უსტამ მოწოდებაჲ მათი, ხოლო განკითხებაჲ მათი არარაჲ
ყო, გარნა¹¹ ამით რვათამდე შეკრვაჲ ბრძანა და წარცემაჲ ტფილისს⁷ არვანდ
გუშნასს, მარზაპანსა ქართლისასა, და ესრეთ მოჰრქუა: ესე კაცი ჩუენისა
რჩულისანი იყვნეს და აწ ქრისტეანეთა რჩული უპყრიეს. ხოლო მე შევიყ-
რენ და შენ, უფალსა, მიგიძღუენენ, რამეთუ შენ ჯელ-მეწიფების მაგათი გან-
კითხეა.

35

III. და წარუდგინნეს ესე რვანივე წინაშე მარზაპანსა, ხოლო მან ჰრქუა
მათ: ვინანი ხართ, ანუ რომელი რჩული გიპყრიეს? და მათ უთხრეს კაცად-კა-
ცადმან სოფელი თჳსი და დაბაჲ თითოეულისაჲ და ჰრქუეს ყოველთა: მამულ-
საჲ ზედა რჩულსა ვიყვენით, სპარსთა რჩული ვიცოდეთ, ხოლო რაჲამს ქართ-

¹ ნეტარმან ხ. ² ჰრქუა — ხ. ³ ქს ხ. ⁴ მეწყალს ხ. ⁵ გუშნას ხ. ⁶ მცხეთისამან
ხ. ⁷ ტფილის ხ. ⁸ მერაქიგენი ხ. ⁹ ბურზო ხ. ¹⁰ პანაგუშნასს ხ. ¹¹ გნსა ხ.

ლად შემოვედით და ქრისტეანეთა რჩული ვიხილეთ, ქრისტეანე ვიქმნენით და აწ ქრისტეანე ვართ, რამეთუ ქრისტეანეთა რჩული წმიდა და სურნელ არნ და ფრთად კეთილ და შეუნიერ არს, ხოლო სხუა რჩული ვერ ესწორების რჩულსა ქრისტეანეთასა.

5 ხოლო სიტყვს მიმგებელ იყო მათ შორის მსაჭულისა მიმართ ნეტარი ევსტათი. და ვითარ ესმენს¹ ესევეითარნი სიტყუანი მათგან, გული განუწყრა და უბრძანა მსახურთა თუსთა პირსა ცემა ნეტართა მათ და გარე განყავებამა მათ ყოველთა და უბრძანა: დაყვნით მავათ თავი და წუერი და განუტუროტენით მავათ ცხვრნი და ჭაჭვ დასდევით ქედსა მავათსა და ბორკილი შეუსხენით ფერქთა და შესხენით ეგენი საპყრობილუსა და, თუ ვინმე აღიაროს მავათ განმან მამული რჩული, განუტრევით და ჩემდა მოაწიეთ და მე განვამიღრო იგი ბოძითა დიდითა, ხოლო რომელმან მამული რჩული არა აღიაროს, იგი საპყრობილუსა შინა მოკუედინ.

15 და ვითარ ესმა მარზაპნისა სიტყუა იგი: რომელმან აღიაროს, იგი ვაცხოვნო, და რომელმან არა აღიაროს მამული რჩული, საპყრობილუსა შინა მოკუედინო, მას ეამსა ეშმაკი შეუქდა გულსა ბახლიადისსა და პანაგუშნასპისსა და უყარ-ყვეს² ქრისტმ და უღმრთობამა აღიარეს. ხოლო მათ ნაწილი ჭუარის-მკუმელთა თანა მიიღეს, ხოლო ნეტარი ევსტათი და გუშნაკ და ბორხო³ და პეროზაკ და ზარმილ და სტეფანე გულს-მოდგიენელ და მტყიკელ დგეს საჩქმუნობესა ზედა ქრისტმსა⁴. და ვითარ უთხრეს მარზაპანსა მას, ვითარმედ ორთა მთავანთა აღიარეს მამული რჩული, განიბარა მარზაპანმან და ბრძანა შეყვანებდა მათი და ინაქით-დაისხნა⁵ იგინი და უქადებდა მათ საფასესა დიდსა და კეთილად პყრობასა. ხოლო ნეტარისა ევსტათისი და სხუთა მოყულთა მისთა ბრძანა თავისა და წუერისა დაყუნამა და ჭაჭვსა⁶ ქედსა დადებამა და ბორკილითა საპყრობილუს შესხმამა მათი. ხოლო მსახურთა მათ აღასრულეს ბრძანებამა მარზაპანისა⁷ მის და დაყვნეს იგინი თმითა და წუერითა, და ჭაჭვთ დაბორკილინი⁸ საპყრობილედ შეყარნეს. ხოლო ბახლიადს⁹ და პანაგუშნასპს¹⁰ ნუგეშინის-სცა და განუტრევნა იგინი, ხოლო საფასესა და კეთილსა რომელსა უქადებდა მათ, არცა ფსირთი ერთი მისცა მათ.

30 ხოლო წმიდა ევსტათი და სხუანი იგი მოყუანნი მისნი პყრობილ ყვნეს ვითარ ექუს თუე ოდენ¹¹. და შემდგომად ექუსისა თუსა შწოდებელი სპარსთა მეფისა მოიწია არენად გუშნასპისა¹². და ვითარ წარემართებოდა მარზაპანი¹³ იგი მეფისა მის, შეკრბეს ქართლისა მთავარნი, მარზაპანისა¹⁴ მის ყმნად მოვიდეს.

რაცამს ამქედრდებოდა მარზაპანი იგი, აღდგეს მთავარნი ქართლისანი და სამოელ ქართლისა კათალიკოზი და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არშუშა ქართლისა პიტიაზში და სხუანი სეფე-წულნი და მარზაპანსა ჰრქუეს: ვევედრებით შენსა მავას უფლებასა, სათხოველსა ერთსა ვთხოვთ. ხოლო მან პრქუა მათ: თქუთ, რამცა გნებავს. რამცა იყო, რომელი თქუენ არა შიგნადლე? ხოლო მათ ყოველთა პრქუეს: გევედრებით შენ, ჭერ-გიჩნდინ შენ, უფალო. განტრეე-
40 ბა კაცთამა მათ, რომელნი-იგი მცხეთელნი ქრისტეანობისათუს საპყრობილედ

¹ ევენს ხ. ² უყარ-ყონ ხ. ³ ბორხო ხ. ⁴ ქსსა ხ. ⁵ ინაქით-დაისხნა ხ. ⁶ ჭაჭვსა ხ. ⁷ მარზაპანისა ხ. ⁸ დაბორკილი და ხ. ⁹ ბახლიადს ხ. ¹⁰ პანაგუშნასპის ხ. ¹¹ უდენ ხ. ¹² გუშნასპისა ხ. ¹³ მარზაპანი ხ. ¹⁴ მარზაპანისა ხ.

მიცემულ არიან. ჰრქუა მათ მარზაპანმან მან: იგი კაცი მოსაკლავად შეჰკვანდეს, ხოლო თქუენითა ოხითა განუტევენ ეგენი. ხოლო მათ მადლი მისცეს მას. და უბრძანა განტევენმა მათი და გამოიყვანნეს იგინი მიერ საპყრობილით და მოვიდეს იგინი ვანად თჳსა ქრისტეანებით და სათნოდ ღმრთისა ცხონდებოდეს ნეტარნი იგი. და რომელმანმე მათგანმან ნებითა ღმრთისაათა შეისუენა ეამად-ეამად და რომელნიმე ცოცხალ არიან.

ხოლო რომელთა-იგი უვარ-ყვეს ქრისტე, ბახდიად ეშმაკეულ იქმნა' და ძნელად მოკუდა, ხოლო უბადრუქმან' პანაგუშნასპ' გლახაკობითა აგნა დღენი, რომელსა პური საქმლად არა აქუნდა და ჳორკთა საფარველი სამოსლად არა ჳქონდა, და ვიდრე-იგი ცოცხალ იყო, ურვით და ჳირით იყენეს დღენი მისნი.

IV. და შემდგომად სამისა წლისა შემოვიდა ვეჲან ბუზმირ* ქართლისა მარზაპანად. და წარვიდეს სპარსნი მცხეთით, შემასმენელნი ნეტარისა ევსტათისნი¹, ტფილისა, და წარდგეს წინაშე ვეჲან ბუზმირ მარზაპანისა და ჰრქუეს: კაცი არიან მცხეთას ჩუენისა რჩულისანი და განდგომილ არიან იგინი ჩუენგან და ქრისტეანობენ, აჲ განკითხვაჲ მათი თქუენ ჳელ-გეწიფებოს. და უბრძანა ვეჲან ბუზმირ ორთა მკედართა წარსლვაჲ და მოწოდებაჲ წმიდისა ევსტათისი და სტეფანესი. და ვითარცა მივიდეს მკედარნი იგი, ჰრქუეს ევსტათის და სტეფანეს: გიწყეს² თქუენ მარზაპანი. და ჰრქუეს: მოვალთ თქუენ თანა, არას ვოურვით; არცა გუეშინს.

და ვითარ წარემართებოდეს ევსტათი და სტეფანე ტფილისს³, ჰრქუა ევსტათი სიდღერსა თჳსსა და ცოლსა და შვილთა თჳსთა და მონა-ჰკეველთა თჳსთა: ჳმნულმცა ვარ მე თქუენგან, რამეთუ მე აჲა არღარა მოკცევედ ვარ და ქრისტე მე არა უვარ-ყყო და მათ მე არღარა განმიტონ ცოცხლებით, ხოლო სიკუდილი ჩემი ტფილისს⁴ ყოფად არს საპყრობილესა და თავი მოკუეთად არს ჩემდა, ხოლო გუჲამი ჩემი მოიწიოს აჲავე. ნებითა ღმრთისაათა.

და ვითარცა ესე ჰრქუა, იჳმნა ყოველთაგან. და მათ ყოველთა დაიწერეს ჳუარბი და წარემართნეს ტფილისს⁵, იგი და სტეფანე მკედართა მათ თანა. ხოლო სახლეულნი, ნათესაენი და თჳსნი მოსტიროდეს უკუანა. და ვითარ წიაღჳდეს ველად და მიიწინეს წინაშე ჳუარსა მცხეთისასა, აღიპყრნა ჳელნი წმიდამან ევსტათი და თქუა: უფალო ღმერთო იესუ ქრისტე⁶, უკუეთუ ღირს მყო მე სიკუდილისა სახელისა შენისათჳს ქრისტეანებით, ჳორკთა ჩემთაჲ ნუ ჳერ-გინს ვანგდებამა გარე⁷ და შეკმამ ძაღლთა და მფრინველთა ცისათაჲ, არამედ ჳორკთა ჩემთაჲ ბრძანე აჲავე მოკცევაჲ და დამარხვაჲ მცხეთას, სადაცა ნათელ-მიღებვის.

ვითარცა ესე სიტყუაჲ თქუა ნეტარმან ევსტათი, ჳუარსა თაყუანის-სცა და იჳმნა კრებულისა მისგან, და წარემართნეს ტფილისს⁸. და ვითარცა მივიდეს მკედარნი იგი, წარუდგინეს ევსტათი და სტეფანე წინაშე ვეჲან ბუზმირ მარზაპანისა⁹ და თქუეს: ესე არიან ახალ-ქრისტეანენი იგი მცხეთელნი. ხოლო ვეჲან ბუზმირ ჰრქუა ევსტათის და სტეფანეს: ვიწანი ხართ, ანუ რომელი რჩული

¹ უბადრუკი ხ. ² პანაგუშნასპ ხ. ³ ვეჲან ბუზმილ ხ. ⁴ ევსტათისნი ხ. ⁵ გიწყეს ხ. ⁶ ტფილის ხ. ⁷ კმ ხ. ⁸ გარმ ხ. ⁹ მარზაპანისა ხ.

გაპყრის? და აღდგეს ასურნი მთაყარნი კაცნი სტეფანესოჲს და ჰრქუეს: ესე
კაცი ჩუენ ვიციით, ჩუენი მღაბური არს, მამა და დედა და ძმანი და დანი მა-
გისნი ქრისტეანე! არიან და ეგვცა ქრისტეანე არს. ხოლო სტეფანე მათითა მით
სიტყუთა განუტყუევს, ხოლო წმინდა ევსტათის ჰრქუე: შენ ვინაა ხარ, ნუ

5 რომლითა რჩულითა სცხონდები?

წმიდამან ევსტათი თქუა: უკუეთუ მკითხავ, ისმინე გულს-მოღვინედ და
გითხრა შენ ყოველი: მე ვიყავ ქუეყანისა სპარსეთისაჲ, ჳევისა არშაკეთისაჲ,
ქალაქისა განძაკისაჲ. და მამა ჩემი მოგვ იყო და ძმანი ჩემნი მოგუნი იყვნეს.
და მეცა მამა მოგუებასა მასწავებდა. ხოლო მე მამული რჩული არა მიყუარდა
10 და ვთქუ გონებასა: ესე რჩული არა მიყუარს, აჲ ჰურიათაჲცა ვისმინო და
ქრისტეანეთაჲცა, და რომელი უკეთეს იყოს, იგი რჩული შევიყუარო. და
დღისი მამა ჩემი მოგუებასა მასწავებდნ და ღამეჲა ქრისტეანეთა დაბრეკან,
ეკლესიად მივიღი და ვისმენდი ჟამობასა მას მათსა და ვხედდევდი მსახურებასა
მას ქრისტეანეთასა, რომელსა ჳყოფდეს ღმრთისათჳს. და ჰურიათა თანაცა
15 ბაგინად შევიღი და მათსაცა მას მსახურებასა ვხედდევდი. ხოლო ქრისტეანეთა
ლოცუასა ჳმად მათი, ვითარცა ჳმად ანგელოზისაჲ, მესმინ და ფრიად სურნელ
არს და ჳამო ჟამობად მათი. ხოლო ბაგიდან ღამე შევიღი ჰურიათასა, ვერაჲ
ვცნი, რასა იტყუედ. და მერმე კუალად შევედ და მომეახლა მე სამოელ არქედია-
კონი¹ და რჩულის მეცნიერი. და მრქუა მე: რამსა შემოხუედი შენ ეკლესიად
20 ესე გულს-მოღვინედ? ხოლო მე ვარქუ მას: უფალო, შენცა მიცი, ვინ ვარ მე,
არამედ არა მიყუარს მე რჩული ესე მამული ჩემი და მინებს, ვინმეცა მანო
რჩული ჰურიათაჲცა და ქრისტეანეთაჲცა, და რომელიმეცა რჩული უწმიდე იყო.
იგიმეცა შევიყუარე.

მანინ სამოელ არქედიაკონმან მრქუა მე: უკუეთუ გინებს ჳეშმარიტად
25 ცნობად, ორივე რჩული მე გითხრა შენ კეთილად. ხოლო გამოირჩევაჲ არა შენი
არს, არამედ ვითარცა უფალმან გიბრძანოს. ხოლო მე ფრიად ვევედრე და
ვარქუ მას: რომლითა ღმრთისა სათნო-ვიყო, იგი მინებს რჩული პურობად და
იგიცა მიბრძანე. ხოლო სამოელ არქედიაკონმან იწყო თხრობად და მრქუა მე:
30 გულს-მოღვინედ ისმინე, ძმავო! წინაჲთ სპარსთა რჩული იყო, ვითარცა შენ
თვთ იცი, ხოლო ღმერთსა სძავდა რჩული იგი სპარსთა და არა სთნდა. და მერ-
მე ჰურიანი გამოირჩინა ღმერთმან და სათნო-იყენა და მისცა მათ რჩული და
მცნებაჲ დამარხვად. მაშინდა ქრისტეანენი სათნო-იყენა ღმერთმან უფროჲს
ჰურიათასა. და მერმე ვევედრე სამოელს არქედიაკონსა და ვარქუ: უფალო. ნუ
გეწყინებინ და კეთილად მაცნობე. და მერმე ვჳკითხე: უფალო, ჰურიანი ვიეთ-
35 ნი იყვნეს, ვინაჲ მოვიდეს და შეიყუარნა იგინი ღმერთმან? მანინ მრქუა მე
სამოელ არქედიაკონმან: თხრობად ეგე ჰურიათაჲ დიდ არს, ძმავო, ხოლო თუ
განჳმარტნე სასმენელნი შენნი და გულს-მოღვინედ ისმენდე, მეცა უწყინოლ
ყოველი გითხრა და გაცნობო შენ.

V. კაცი ერთი იყო უბიწოჲ და ღმრთის მოყუარე სოფელსა სპარსთასა და
40 ქალაქსა ბაბილონელთასა² და სახელი ერქუა მას აბრაჳამ. და ერჩუნა მას ღმერ-
თი ჩუენებასა ღამისასა და ჰრქუჲ აბრაჳამს: გამოვედ შენ მაგიერ ქუეყანიო და

¹ ქრისტეანე]ქმ ხ. ² არქედიაკონი ხ. ³ ბაბილონელთას ხ.

წარგიყვანო შენ სხუად ქუეყანად და განგამრავლო შენ და აღგაორძინო შენ ღიდად ფრიად და გყო შენ მამად ნათესაეთა მრავალთა და ერთა ურიცხეთა. ხოლო აბრაჰამს პრწმენა სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ და თქუა აბრაჰამ: იყავნ. უფალო, ჩემ ზედა სიტყუაჲ ეგე შენი! და გამოვიდა აბრაჰამ ქუეყანისა მისგან ¹ ქალდეველთაჲსა და მოვიდა ქუეყანად შუეა მდინარედ, ქალაქად ქარანდ ², მახლობელად ეფთრატსა. მოვიდა იგი წინამძღურებითა ³ ანგელოზისაჲთა და დაეშენა იგი ქარანს ⁴ შინა, და მერმე ცუალა იგი მუნიო და მოიყვანა იგი ქუეყანად ქანანისად და დაეშენა იგი ქებრონს შინა. და ესუა აბრაჰამს ისაკი და ისაკს იაკობი. და იკობს ესხნეს ათორმეტნი ძენი. და უბრძანა ღმერთმან აბრაჰამს და პრქუა: წინადასცუთე ისაკს და იაკობს და ყოველთა ძეთა იაკობისთა, და იყავნ იგი თქუენდა რჩულად საუეუნიოდ.

და აბრაჰამ ყო ეგრეთ, ვითარცა უბრძანა მას ღმერთმან. და აღორძინდეს და განმრავლდეს ნათესაენი აბრაჰამისნი ღიდად ფრიად. ესე არიან ჰურიანი. და უყუარდეს ღმერთსა ჰურიანი ღიდად ფრიად, ვითარცა უყუარნ მამასა საყუარელი ⁵ შვილი. და უწოდა ჰურიათა სახელი ისრაჰლ, ხოლო, ისრაჰლი გა-მოითარებდნენ: ერი ღმრთისაჲ. და განდიდნა და განერცნა ერი იგი ღმრთისაჲ ისრაჰლი. და გარდამოჭდა ღმერთი ზეცით ქუეყანად და მოვიდა თხემსა ზედა მთისა სინაჲსასა, და დაწერნა ღმერთმან ჰელითა თვისითა ფიცართა ქვისათა რჩული და მცენებაჲ ესრეთ:

პირველი მცენებაჲ ესრეთ: შეიყუაროთ უფალი ღმერთი თქუენი ყოველითა გულითა თქუენითა და ყოველითა სულითა თქუენითა და ყოველითა გონებითა თქუენითა. და მერმე ესე: ნუ კაც-კელაჲ, ნუ იპარაჲ, ნუ ისიძაჲ, ნუ გული გითუქუამს ცოლსა მოუყისისა შენისასა, ნუ ცილსა ჰფუცავ ⁶, ნუ ცილსა სწამებ, ნუ ორსა სიტყუასა იტყუჲ, თავ-უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა, შეიყუარე მოუყასი შენი ვითარცა თავი თვისი. შაბათნი ჩემნი დაიმარხნეთ, დღესასწაულნი და შესაწირაენი და უქმნელეზანი აღასრულნეთ. ესე რჩული და მცენებაჲ დაწერა ღმერთმან და მოსცა მოსეს, მონასა თვისსა. და მოსე მოიხუნა ფიცარნი იგი და აღმოუკითხნა ყოველსა ისრაჰლსა. და განიხარა ყოველმან ისრაჰლმან და თქუა: ყოველი, რაჲცა გვბრძანა უფალმან, ვყოთ და აღვასრულოთ, გარნა უფალი იყავნ ჩუენ თანა. და ამაღლდა უფალი ზეცად. და ვითარცა ესე რჩული ისინენს ჰურიათა, შესწირვიდეს შესაწირავთა და საყუმბეველსა და მსხუერპლსა და შაბათთა იმარხვიდეს, და ღმერთი იყო მათ თანა. და მას ეამსა უცხო-თესლნი შეკრბეს და ზედა-მოუჭდეს ისრაჰლსა. ხოლო ღმერთმან ჰელითა ერთისა კაცისაჲთა წარდევნა იგინი. რომელიმე მოკლეს და რომელიმე ტყუედ უქმოყვანეს და რომელიმე მეოტად წარიქციეს და ესრეთ მტერთაგან უშიშ იქმნენს. რამეთუ ღმერთი იყო მათ თანა.

და მერმე რავდენთამე ეამთა მეფე ითხოეს ყოველმან ისრაჰლმან ღმრთისაგან, რაათა პბრძოდის იგი მტერთა მათთა, და უბრძანა მათ ღმერთმან მეფეს და განავო ღმერთმან წესი შარავანდელობისაჲ ⁷. და შემდგომად რავდენთამე დღეთა მოიკლა მეფე იგი ლუაწლსა შინა, რამეთუ აღელო თავი თვისი და ესეცა და იგი ძალსა თვისსა ⁸ და არა ღმერთსა მისსა.

¹ შინ ს. ² ქანანდ ს. ³ წინამძღურებითა ს. ⁴ ქანანს ს. ⁵ საყუარელ ს. ⁶ ჰფოცავ ს.
⁷ შარავანდელობისაჲ ს. ⁸ თვისა ს.

შემდგომად დავით მეფობდა, ხოლო დავით იყოვე საყუარელი ღმრთისაჲ და ღმერთი დავითს უყუარდა და დავით აღასრულნა საყუარებნი და შესაწირავი და მსხუერპლნი და დღესასწაულნი და შაბათნი¹ კეთილად აღასრულნა. შემდგომად მისა ძე მისი სოლომონ მეფობდა და განდგა იგი ღმრთისაგან, და განდგა 5 ვა ერთი იგი და განდრკა ღმრთისაგან და ქმსახურებდეს კერათა ყრუთა, ჭელით-ქმნულთა, და ქვათა უსულოთა, ხეთა და მალალთა სერტყთა² და მწუერვალთა ხეთასა და ღმერთი უყარ-ყვეს. და წინაწარმეტყუელნი ლაღებდეს და ეტყოდეს: არა ჭერ-არს ღმრთისა ცხოველისა დატევებაჲ და ქვათა, გინა სხუთა რათმე მსახურებაჲ. აწ ესრე მოავლინოს ღმერთმან თქუენ ზედა სიკუდილი და 10 სიყმილი და მახული³ და ტყუეობაჲ და ეგრეთ აღგოცნეს თქუენ. და მათ არა უნდა სძენად კმაჲ იგი წინაწარმეტყუელთაჲ მათ, რამეთუ განბორცებულ იყო ერთი იგი ისრაჴლისაჲ. და ბრძანეს მოწყუელაჲ მათ წინაწარმეტყუელთაჲ, რომელნიმე მახულითა, რომელნიმე⁴ ცეცხლითა, რომელნიმე ხერხითა განხერხნეს, რომელნიმე მკეტთა მისცნეს და რომელნიმე მღვმესა შთააგდეს, რომელნიმე 15 ქეთა განტვნეს.

VI. ხოლო ღმერთი ტკბილ არს და კაცთ-მოყუარე, არა უნდა წარწყმედაჲ ისრაჴლისაჲ და უნდა მოქცევაჲ მათი. მოავლინა ღმერთმან ძე თჳსი ქრისტს სოფლად და შევიდა მუცელსა წმიდისა ქალწულისასა და ჳორცი შეიხსნა და განკაცნა წმიდისა მართამისგან და საშობასაგან წმიდისა გამოვიდა და ღმრთე- 20 ებაჲ კორცითა დაიფარა. უკუეთუმცა ღმრთეებაჲ კორცითა არა დაეფარა, კაციცა ვერ მიეახლა ღმერთსა, რამეთუ შზე ქმნული ღმრთისაჲ არს და თუაღნი ვერვირ შეუდგინს და სიმრგულე მზისაჲ ვერვირ განიცადის. ღმრთებე-სამცა კაცი ვერ მიეახლა, ამისთვის კორცის ხსნა, რათათჳს ისრაჴლი მო- 25 ვითარ -აქცია ღმრთისა ცხოველისა. და განკაცებასა მისსა⁵ ნათელი-ილო იორდანესა მდინარესა კელითა იოვანესითა. და ვითარ აღმოვიდოდა მიერ წყლით, აჲ ცანი განეხუნეს და სული წმიდაჲ, ვითარცა ტრედი, გარდამოქდა სპეტაკი და დაადგრა მას ზედა, და კმაჲ იყო ზეით გარდამო და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყუე, მაგისი ისმინეთ და სცხონდეთ.

და ვითარ შევიდა იერუსალჴმდ, იწყო სასწაულთა საქმედ და ნიშები და 30 კურნებანი. ოც და ათურამეტისა წლისა სნეული იდგა ცხედარსა ზედა, იბილა და სიტყუთ უბრძანა: აღდეგ და აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდეი და მუნთქუესეჲ აღდეგ და ვიდოდა ცოცხალი და აღიღებდა ღმერთსა.

მერმე შობითგანი ბრძაჲ პოეა და თიჯაჲ შექმნა ნერწყუთა და თუალთა მისთა დაქოზა და უბრძანა მას მობანაჲ წყლითა, და აღეხუნეს თუაღნი ბრძა- 35 სა მას. და მკუდარნი აღადგინნა და მკელობელნი აელინნა და კეთროანნი გაწმუნდნა და მრავალნი კურნებანი ყვნა ქრისტემან მათ შორის, რათათჳსა ჳრწმენა ჳურიათა და მოიქცეს ღმრთისა ცხოველისა და უნდა, რათათჳსა არა განითხინეს ღმრთისაგან.

ხოლო ჳურანი იგი უფროას ხოლო აღბორცდეს და შური დიდი აღოღეს 40 ქრისტსთვის და უნდა მოკლავა მისი. ხოლო ქრისტემან მოპირდა მათ და ვარე სოფლებსა და დაბნებსა იქცეოდა მურ. და რომელთა ჳრწმენა ქრისტსსი, უკუ-

¹ შაბათნი ხ. ² სერტყთა ხ. ³ მახული ხ. ⁴ რ-ნი ხ. ⁵ მისა ხ.

ნაშეუდგეს მას. და განვიდოდა დაბასა ერთსა, და გამოაქუნდა მკუდარი. ამავე-
რი, ძე ქურთივისაჲ. და ვითარცა იხილა იგი, უბრძანა და დადგეს ცხედარი
იგი. და უპყრა ქელი ყრმასა მას და მისცა ღელასა თვისსა ცოცხალი.

მერმე განვიდოდა დაბასა ერთსა, შეუდგა მას ერი მრავალი და სიმრავლი-
თა მით ერისაათა წინა-უკუნ ვერ შეუძლეს მიღებად განარღუეულსა, და სარ- 5
თული საზღოსაჲ აღმარკუეს და მიერ ცხედრითა შთაუტევეს. და აღადგინა იგი
და თვისთა ფერჭითა წარვიდა სახიდ თვსა და ერი მრავალი შეუდგა მას და
ადიდებდეს ღმერთსა. ხოლო ერისა მისგანნი ათორმეტნი გამოირჩინა კაცნი და
უწროდა მათ მოწაფე, და, რასაცა უბრძანებდა მათ, მასცა იქმოდეს.

და შევიდა დაბასა ერთსა. იყო მუნ ქორწილი. და შევიდა იესუ საქორწი-
ნესა მას, და ღვინოჲ არა იყო მუნ, რამეთუ მოღუეულ იყო, და ტაკუკნი ცარიფლ- 10
ნი ღდეს მუნ. მაშინ უბრძანა იესუ მოწაფეთა მათ წყალი მოღებად, და ტაკუკ-
ნი აღაუასნეს წყლითა და აკურთხა წყალი იგი ქრისტემან და იქმნა ღვინო უპამოე-
ნეს პირველისა მის ღვინისა, და მრავალთა უკვარა¹, პრწმენა მისი და შეუდ- 15
გეს მას.

და მერმე დედაკაცი ათორმეტ წელ წოდოვნებასა შინა იყო და მოვიდა
იღუმალ ზურგით კერძო იესუმსა და უპყრა ფესუსა სამოსლისა მისისასა და
განწმიდნა იგი.

და მერმე მოვიდოდა ქრისტჳ ადგილსა ერთსა, და იყო მუნ ველი შუენიე-
რი, და მოხედა ერსა მას, რომელი-იგი უკუანა შეუდგა მას, და პრქუა მოწაფე- 20
თა მათ: ერი ესე, ესოდენი ღღე არს, ვინაჲთგან უზმა არიან, და მეწყალის;
წარვედით ქალაქად და იყიდეთ პური და ეცით კრასა მას. ხოლო ქრისტემან
პრქუა მოწაფეთა: თქუენგანსა არავის გაქუს პური აქა? და პრქუა ერთმან მო-
წაფეთაგანმან: მე მაქუს ხუთი პური და ორი² თევზი. პრქუა ქრისტემან: მო- 25
მართვთ იგი აქა. და ვითარცა მოართუნეს ხუთნი იგი პურნი და ორნი თევზ-
ნი, უბრძანა ქრისტემან ერისა მის დასხმად ქუეყანასა ზედა და აღიპყრნა ზე-
ცად ხუთნი იგი პურნი. და ორნი თევზნი, აკურთხნა და განტეხნა და მისცემ-
და მოწაფეთა თვისთა, და მოწაფენი იგი მისცემდეს ერსა მას. და ერთმან მან კამა
და განძლა, და ათორმეტი გოდორი საესე აღიდეს ნემტი. ხოლო ერი იგი, რაე-
დენთა ჰამეს, იყენეს ვითარ ხუთ ათას, გარნა ყრმებოსა და დედებოსა. 30

მაშინ უბრძანა ქრისტემან ერსა მას კმელთა ქუეყანით მოსლუჲა. ხოლო
ქრისტჳ და მოწაფენი მისნი განვიდოდეს ზღუასა მას, ვითარცა კმელსა, და
ფერკნი მათნი არა დაილტვენეს³ და ვითარ⁴ განქვლეს კმელად, და მოემთხვა
კაცი ერთი, რომლისა თანა იყო ლეგეონი ეშმაკი, დაღატ-ყო და თქუა: ქრისტე⁵,
შეამწყე მე, რამეთუ ბოროტად ვიგუეებები. ხოლო ქრისტემან შეპრისხნა ლეგე- 35
ონსა მას ეშმაკსა და განვიდა მისგან და აღიდებდა ღმერთსა, ხოლო ეშმაკი იგი
ლაღადებდა და თქუა: ქრისტე⁶, გიცი შენ, ვინ ხარ, წმიდაჲ ეგე ღმრთისაჲ,
ჩემბდა ხოლო მოხუედ წარწყმედად. ხოლო ქრისტემან უბრძანა ქუეყანასა და
განელო და დანთქა ეშმაკი იგი და შთაქდა ჭოჭოხეთა ქუესკენულად.

და მერმე მოვიდა დაბასა მას, რომელსა სახელი ერქუა ბეთანიჲა, სადა 40

¹ უკადა ხ. ² ორი]ხუთი ხ. ³ დაილტვენეს ხ. ⁴ ქ-მ ხ.

ლაზარე¹ მომკუდარ იყო ოთხით დღით წინა მისა, და იღვა იგი სამარესა შინა. და მივიდა ქრისტე² კარსა მის სამარისასა, კმა-ყო და თქუა: ლაზარე, გამოვუღლე! და ერთითა მით ვმითა ქრისტესითა იგი სამარისაგან გამოვიდა მხიარულ. და უკურდა³ ერსა მას და უფროჲს განმრავლდა ერი იგი სარწმუნოებითა დი-
 5 ლითა.

ამისა შემდგომად აღვიდა ქრისტე იერუსალმელ და შევიდა ტაძარსა ღმრ-
 თისასა და იხილა მუნ შინა სავაჰროჲ დაგებული და ჰყიდდეს. და აღიღო ქრის-
 ტემან შოლტი და გამოასხა კაცები იგი და გამოუბნია სავაჰროჲ იგი და დაამკუა
 10 ტაბლები იგი და თქუა: ესრე წერილ არს: სახლსა შამისა ჩემისასა სახლ სალო-
 ცველ ეწოდოს, ხოლო თქუენ ვითარცა ქუაბი ავაზაკთაჲ გიყოფიეს. და მერმე
 თქუა: დავარღუო ტაძარი ესე და მესამესა დღესა აღვაშენო ეგე: და ვითარცა
 ესმა ესე ჰურიათა მათ, განრისხნეს ფრიალ და თქუეს: ჩუენ ვიციით მამამ მისი
 იოსებ და დედაჲ მისი მარიამ, და ძმანიცა უსხენ, ხოლო თავსა თუქსა ძედ
 ღმრთისად გამოაჩინებს და ტაძარსა ღმრთისასა მამულად ჩემებს. და მერმე
 15 თქუეს: სოლომონ ორმეოცსა წელსა აღაშენა და იგი იტყუეს დარღუევად და
 მესამესა დღესა აღშენებად. ამისა სიტყუსათჳს გული განიწყეს ჰურიათა მათ
 და შური გულსა დაიდევს და იზრახეს შეპყრობაჲ მისი და მოკლვაჲ.

და შეიპყრეს ქრისტე და მოიყვანეს წინაშე მღდელთ მოძღუართა მათ და
 მოხუცებულთა. და ქრისტეს ჰრქუეს მღდელთ მოძღუართა მათ და მოხუცებულ-
 20 თა: შენ ვითარ თავსა შენსა ძედ ღმრთისად გამოაჩინებ, ძე ღმრთისაჲ ხა-
 რა შენ? ხოლო ქრისტემან ჰრქუა მათ: ეგე თქუენ სთქუთ.

და მერმე ჰრქუეს ქრისტესა: სოლომონმან ორმეოც⁴ წელ აღაშენა ტა-
 ძარი ესე და შენ სთქუ: დავარღუო და სამსა დღესა⁵ აღვაშენო ეგეო: მაშინ
 ქრისტემან ჰრქუა: მე ჰელ-მეწიფების დარღუევად და მესამესა დღესა აღშენე-
 25 ბად. მაშინლა განრისხნეს ჰურიანი იგი და აღტებეს და აღაშფოთეს ერი იგი
 ჰურიათაჲ და თქუეს: ზუსაკლავად შეჰგავს კაცი ესე. და მოუტდეს ქრისტესა
 ზედა და იწყეს ცემად და კიცხევად მისა, და რომელიმე სცემდა ჰურიითა⁶
 თავსა მისსა და რომელიმე ლერწმითა სცემდა თავსა მისსა წმიდასა და რომე-
 30 ლიმე სცემდა ყურიშალსა და რომელიმეჲ კნერწყუვიდეს ჰირსა მისსა ნათელსა.
 და აღმართეს ძელი და ჟუარს-აცუეს ქრისტე და ძმარი და ნაველელი შეზავე-
 ბული ასუეს ჟუარსა ზედა.

მაშინ თუალნი აღხალნა ზეცად მამისა მიმართ და თქუა: მამაო ჩემო,
 ყოველივე აღვასრულე და ისრაჴლმან არა ისმინა ჩემი და ესევითარი ტანჯვაჲ
 მოაწიეს ჩემ ზედა. და მიიდრიკა თავი და აღმოუტევა სული. და მწრათლ⁷ გარ-
 35 დამოიღეს მიერ ჟუარით. ხოლო კაცი ერთი იყო ჰელმწიფე და მოწაფე ყოფილ
 იყო ქრისტესა. მან აღიღო გუამი ქრისტესი და დაღვა ახალსა სამარესა და ლო-
 დი დიდი⁸ მიაგორვა კარსა ზედა სამარისასა. და მესამესა დღესა მსთუად ცის-
 კარსა ოდენ ანგელოზი გარდამოჴდა ზეცით და გარდააგორვა ლოდი იგი მის
 საფლავისაგან. და ქრისტე აღდგა და გამოვიდა მიერ სამარით და ეჩუენა ორ-
 40 თა მოწაფეთა და მარიამს⁹ მავდანელსა და სხვეთა დედათა. და ჰრქუა მათ
 ქრისტემან: არქუთ მოწაფეთა ჩემთა: წარვედით გალილუას¹⁰ თაბორდ და მუნ

¹ ლაზარე ბ. ² უკურდა ბ. ³ ორმეოცსა ბ. ⁴ წელსა ბ. ⁵ ზურდითა ბ. ⁶ მწლდრ ბ.
⁷ ლოდი დიდი ლოდი ბ. ⁸ მარიამს+და ბ. ⁹ გალილას ბ.

მიხილოთ მე. და ათორმეტი იგი მოწაფენი წარვიდეს სიხარულითა დღითა მთასა თაბორსა და იხილეს ქრისტს და თაყუანის-სცეს და ამბორს-უყვეს ფერ-კვა მისთა წმიდათა. ხოლო ქრისტემან ჰქუა მოწაფეთა თუსთა: აწ არღარა ვერქუას თქუენ მოწაფე, არამედ მოციქულ გერქუას თქუენ. ხოლო მე აწ აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა. ხოლო მოციქულთა მათ შთაჰბერა სული ცხოელი და ჰქუა მათ მიიღეთ თქუენ სული ცხოვრებისა და წარვედით თქუენ ქალაქება და სოფლებსა და დაბნებსა კიდითგან ვიდრე კიდემდე, ქუეყანისა და ჰყოფდით ნიშება და სასწაულებსა და კურნებასა¹ და მოაქცევდით წარმართთა და ნათელ-სცემდით სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა და ასწაულებდით მათ ყოველივე. რადენი გამცენ თქუენ, და მე ესერა თქუენ თანა ვარ ყოველსა დღეთა ცხოვრებისა თქუენისათა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა. უსას-ყიდლოდ მიგიღებთ და უსასყიდლოდა მისცემდით მათ. და ქრისტს ამაღ-ლდა ზეცად ანგელოზთა თანა, ხოლო ათორმეტი იგი მოციქულნი წარვიდეს და მიმოელეს გარემო სოფლებსა და ქალაქებსა და დაბნებსა და ახარებდეს და ქალაქებდეს ქრისტესა, ადგომისა მკუდრეთით, და ჰყოფდეს ნიშებსა და სას-წაულებსა და კურნებათა და მოიქცეოდეს და ნათელ-იღებდეს სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა.

და ესრეთ განმრავლდა და განეფინა ქრისტეანობა და განერცნა კდით ქუეყანისაჲთ ვიდრე კიდემდე ქუეყანისა. და ებისკოპოსნი და მღვდელნი განა-ჩინეს და ეკლესიანი აღაშენეს. და მას შინა ჭურაი აღემაართა, და ყოველსა სოფელსა ჰრწმენა ქრისტს. და აღიესო ყოველი სოფელი ქრისტეანებითა, და ყოველსა ქუეყანასა იქადაგა ქრისტს. ჰურიათა მათ ვითარცა წინაწარმეტყუელ-ნი იგი უთხრობდეს, ეგრეთცა მოიწია მათ ზედა: რომელნიმე მახულითა². რომელნიმე სიყმილითა, რომელნიმე სიკუდილითა მოსწყდეს და განიღინეს და სხუანი ტყუეობითა განიზნინეს, რამეთუ არა დაიძარბეს რჩული ღმრთისა ცხო-ველისაჲ. ხოლო აწ ქრისტეანეთა უწოდა ისრაჲლ, რამეთუ ისრაჲლი ითარგმან-ების: ვრ ღმრთისა და მონა ქრისტსსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნიითი უკუ-ნისამდე. ამენ³.

VII. მაშინ ვითარცა გულისკმა-ეყავ და ვცან ყოველი სამოელ არქედიაკო-ნისაგან⁴ დასაბამითგანი ყოველი ვიდრე აქამომდე და მივიწიე ყოველსა ზედა რჩულსა ჰურიათასა და ქრისტეანეთასა, მრწმენა მე ღმერთი დაუსაბამო და ძე მისი იესუ ქრისტს და სული წმიდაჲ მისი. და ამით ნათელ-მღვდობეს და ვერვინ განმავოროს მე ქრისტსსგან ვიდრე სულისა ჩემისა აღმოსლვამდე, ხო-ლო მამულისა ჩემისა რჩულისათჳს სიტყუადვე ზარ-მაც და მრცხუნენისცა, რა-მეთუ ღმერთმან რომელმან ქმნა ცაჲ და ქუეყანაჲ, მზე და მთოვარს და ვარ-სკულავნი, ზღუაჲ და ქმელა, მდინარენი და შესაკრებელნი წყალთანი, მთანი და ბორცუნი, ველნი და ტყენი, შეშაჲ და ცეცხლი, ოთხფერკნი პირუტყუნი და მჭეცნი, ქუეფარმავალნი და მფრინველნი ცისანი და მერმე კაცნი შექმნა ღმერთ-მან და მას ყოველსა ზედა უფალ ყო იგი და ყოველი ესე დაამორჩილა კაცსა მას, და ჩუენ ამის ყოველსა შემოქმედი ღმერთი დაუტყოთ და ამას ღმრთისა და-

¹ კურნებას ბ. ² მახულითა ბ. ³ უკთი უკთ ან ბ. ⁴ არქედიაკონისაგან ბ.

ბადებულსა ღმრთად ეხადოდითა? ნუ იყოფინ ესე! მზე და მთოვარე და ვასკულაენი არა ღმერთ არიან, არამედ ღმერთმან მზესა განათლებად დღისაჲ უბრძანა და მთოვარესა და ვასკულაეთა განათლებად ღამისაჲ უბრძანა, ხოლო ღმერთ არა არიან. ღმერთმანლა ღრუბელსა უბრძანის და მოეფინის [და]

5 ბრწყინვალეობაჲ მზისაჲ და მთოვარისაჲ დააბნელის, მზე და მთოვარე ამისთვის არა ღმერთ არიან. მერმე კულად ცეცხლი არა ღმერთ არს ამით, რამეთუ ცეცხლი კაცმან აღაგზნის და კაცმანვე დაშრიტის, რამეთუ კაცი უფალ არს ცეცხლისა, ამისთვის არა ღმერთ არს ცეცხლი. თუ ვისმე განერის და წარვიდის, რასაცა მიჰმართის, გინა ტყესა, გინა ველსა, გინა სახლსა, თუ კაცი დახუდის, და-ვე-
10 -წვს. ხოლო ცეცხლსაღა წყალი მიეახლის, ეგოდენი იგი ძალი ცეცხლისაჲ დაშრიტის და უჩინო იქმნის ცეცხლი იგი, ამით არა ღმერთ არს, ხოლო ჩუენ ღმრთად გურწამს.

ხოლო ჩუენ ღმერთმან ცეცხლი სამსახურებელად მოგუცა¹, ყინელისა: განსატფობელად და ყოვლისა სანოვაგისა საქმარად, და, ოდეს გვწებნ, აღვაგზ-
15 ნით, და, ოდეს გვწებნ, დაეშრიტით. ესრეთ არა ღმერთ არს ცეცხლი იგი.

მერმე ღმრთისა შექმნულნი კაცნი საცხოვართა პირუტყუთა მსგავს ვიყვენით. და ესრე სახედ, ვითარცა პირუტყუთა მამლობასა და დედლობასა არა იცოან მშობელი, არცა შობილი მათგანი და ეგრეთ აღრეულად გარდაიჰადიან მამლობად და დედლობად მათი, და ეგრეცა ჩუენ კაცნი პირმეტყუელნი მათ
20 პირუტყუთა მსგავს ვიყვენით, რომელთა არა ვიცოდეთ მშობელი თვისი, გრან შობილი, და აღრეულად გარდაიჰადით ბუნებაჲ იგი ჩუენი. ხოლო აწ შადლითა ღმრთისაჲთა, ვინაჲთგან იქმნა ნათლის-ღებად და რჩული ქრისტეანობისაჲ იციედ კაცთა, მიერითგან დაიქსნა და განჰარდა უწესოჲ იგი საქმე². ხოლო ამას გვედრებდი, უფალო ჩუენო იესუ ქრისტე³, რამათა გუამი ჩემი დაემარ-
25 ხოს მცხეთას, სადაცა-იგი ნათელი მოვიდე სამოელ კათალიკოზისა ჭელითა და ღირს ვიქმენ რჩულსა ქრისტეანეთასა. ამიერთგან ვერეინ განმამოროს მე სიყუარულსა შენსა და საჩუქუნოებასა და სურვილსა, ვითარცა წერილ არს: არცა ტანჯვათა, არცა გუემათა, არცა სიყმილმან საპყრობილესა შინა, არცა მახვლმან, არცა სიკუდილმან ამთ ჭორცთა ჩემთამან შემძილოს მე განყენებად შენდა,
30 უფალო იესუ ქრისტე.

მამინ პრქუა მას ბუზმირ მარზაპანმან: შვილო ჩემო ეესტათი, ისმინე ჩემი და ნუ დაიმცირებ დღეთა ცხოვრებისა შენისათა ქრისტეანებისათვის და ნუ ჭურეუ სუამ ცოლსა შენსა და ობოლ შვილთა შენთა და ნუ მოსწყდები მოყუასათა შენთა ამას ცხოვრებასა.

35 პრქუა მას წმინდამან ეესტათი: უწინარეს შენსა სხუათა კელმწიფეთა მტანჯეს მე ფრიად და მგუემებს და არა დავემორჩილე მათ. აწ შენი ვორწუმონო? ნუ იყოფინ ეგე ჩემდა!

VIII. მამინ ვითარცა ცნა ბუზმირ მარზაპანმან⁴ დამტკიცებული და შეუძრველი, გული და გონებაჲ წეტარისა ეესტათისი და ვერ შინებთა და ტანჯვითა და ვერცა კეთილისა ქადებითა აჩუქუნა მამული რჩული პყრობად, უბრძანა მსახურთა: წარიყვანეთ ეგე საპყრობილედ და იღუმალ ღამით თავი წარაქუე-

¹ მოგუცა[ა] ხ. ² მიერთგან დაიქსნა და განჰარდა უწესოჲ იგი საქმე[ა]—ხ. ³ ქ-მ ხ. ⁴ მარზაპანმან[ა] ეარზა[ქ]მ-ნ ხ.

თეთ, რაათა არაინ ჭრისტეანეთა ცნან და პატიე-სკუნ გუამსა მისსა, და წარი-
ხუნთო ჭორცნი მისნი ქალაქსა გარე, განაბნიერთ შესაკმელად მკეთათა და
მფრინველთა.

ხოლო მსახურთა მათ წარიყვანეს ნეტარი ევსტათი საყრობილედ, რაა-
თამცა აღასრულეს ბრძანებული იგი მარზაპნისაჲ მის.

5

პრქუა მათ წმიდამან ევსტათი: მცირედ მგებლით მე, ძმანო ჩემო, რა-
მეთუ ჭელთა შინა თქუენთა ვარ, რაათა ვილოცო მე ღმრთისა ჩემისა მიმართ.
ხოლო მათ მცირედ დაითმინეს და აცალეს და პრქუეს: ეგრე ვყოთ. მაშინ მოიღ-
რიცნა მუქლნი თჳსნი და აღიხილნა თულნი თჳსნი ზეცად და თქუა: უფალო
ღმერთო, ყოველისა მპყრობელო, რომელსა ყოველთა კაცთაჲ გნებაეს ცხორე-
ბაჲ, რომელნი ესვენ საარწმუნოებით სახელსა წმიდსაჲ შენსა, რომელმან ისმი-
ნი ლოცეაჲ პირველთა მათ მოწამეთაჲ, რომელნი პირითა მახლისაჲათა მოს-
წყედეს, რომელნიმე ტბასა შინა ყინელითა, რომელნიმე ზღუასა შინა შთაყრითა
მოსწყედეს, რომელნიმე ცეცხლითა და რომელნიმე მკეცთა მიერ შეიკამნეს სა-
ნელისა შენისათჳს და მოიღეს შენ მიერი იგი აღთქმული, რომელი თულმან

10

15

არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუქდა, რომელი-თგი
განუშზადე წმიდათა მათ მოწამეთა შენთა, მეცა, უფალო, ღირს მყავ მონაწილე
მათ თანა და სამკვდრებულსა მათ თანა, სიხარულსა მათ თანა, უბიჭუნოსა შეუ-
ბასა მათ თანა, მიუკუანასთა ეამთა ნარჩევი¹ მოწამეთაჲ, ვითარცა იტყუს
პავლე მოციქული — მე ვარო ნარჩევი მოციქულთაჲ, — შენ იცი, უფალო ჩე-
მი იესო ქრისტე², რამეთუ არაინ ვირჩიე შენსა, არცა მამაჲ, არცა დედაჲ,
არცა ძმანი, არცა ნათესავნი, გარანა შენ მხოლოა უფალო შეგიყურე
და სახელისა შენისათჳს ესერა თავი წამეკუეთების დღეს. და ამას
ვილოცავ და გვედრები და ვითხოვ შენ სახიერისაგან, რაათა არა დაე-
ტეოს გლამი ჩემი აქა ტფილისს³ შინა, არამედ რაათა დაემარხოს იგი მცხეთას
წმიდასა, სადა-იგი შენ გამოიმჩინდი, და რაათა აქუნდეს მადლი და კურნებაჲ
ბულთა ჩემთა, ვითარცა-იგი პირველთა მათ.

20

25

და ესმა კმაჲ; რომელი ეტყოდა ევსტათის და პრქუა: არა უნაყოლეს⁴
იყო შენ პირველთა მათ მადლითა კურნებისაჲათა, რომელთა ეპრწმენე მე. ხო-
ლო გუამისა შენისათჳს ნუ ჰბრუნავ, ეგრე იყოს, ვითარცა შენ სთქუ⁵ ყოფილ.
და განმზიარულდა ნეტარი ევსტათი და ჰმადლობდა ღმერთსა. ხოლო წმიდსა
ევსტათის პირველვე ემცნო ნეტარისა სტეფანესდა, რაათა რაჲამს გეუწყოს
სიკუდილი ჩემი, მწრათლ⁶ წარიღეთ გუამი ჩემი მცხეთას⁷ და მუნ დაემარხეთ,
სადა ნათელ-ვიღე.

30

და ვითარცა დაასრულა ლოცეაჲ და⁸ ედრებაჲ და თხოვაჲ უფლისა მი-
მართ, პრქუა მსახურთა მათ მარზაპნისაჲათა: აწ აღასრულეთ განჩინებული იგი
ბრძანებაჲ ჩემ ზედა. ხოლო მათ არა უნდა მოკლვის. ხოლო ერთმან მათგანმან
პრქუა: ჩუენ მოვსწყედებით, უკუეთუ ეგვს ეგოს ცოცხალი. მაშინ მიყენეს
ქელნი მათნი მის ზედა და სცეს მახვლითა პატიოსანსა ქედსა მისსა და წარჰყუე-
თეს თავი მისი. და შეჰკედრნა სულნი თჳსნი ქრისტესა გეუფესა.

35

40

ხოლო გუამი მისი დამე განიღეს გარეშე და დააგდეს მუნ. ხოლო ცნეს ვით-

1 ნარჩევი ხ. 2 ქც ხ. 3 ტფილის ხ. 4 უნაყოლეს ხ 5 სთქო ხ. 6 მწრათრ ხ. 7
მცხედან ხ. 8 ლოცეაჲ დაილო ხ

მე ქრისტეანეთა და წარიღეს იგი მცხეთას, რამეთუ სტეფანეს ემცნო მუნ მყოფ-
 თა ქრისტეანეთადა. ვითარცა მიიწინეს მცხეთას, უთხრეს სტეფანეს, და სტე-
 ფანე აუწყა სამოელს კათალიკოზსა. ხოლო მან ¹ ფრიად განიხარა და დაჰმარხა
 იგი დიდითა დიდებითა და პატივითა წმიდასა ეკლესიასა მცხეთისასა და ვიდრე
 5 აქამოდის იქმნებოდა კურნებანი სრულეთანი მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ
 ქრისტესითა, რომლისადა არს სუფევება და ძლიერება, პატივი და სიმტკიცე
 და დიდება მოუკლებელი სულით წმიდითურთ აჲ და მარადის და უკუნით:
 უკუნისამდე. ამენ ².

იოვანი საბანიძე

10 **წამებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბრომსი**

რომელი იწაჲ ქართლს შინა, ქალაქსა ტფილისს ³, კელითა
 სარკინოზთაჲთა, გამოთქმული იოვანე ძისა საბანიძის, ბრძანებითა
 ქრისტეს მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოზისაჲთა

მე, სამოელ ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზი, იოვანეს საბანიძის ძესა,
 15 სულიერად შეიღსა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისასა და საყუარელსა ჩუენსა.
 ლოცვით უფლისა მიერ გიკითხავ; მშუღობა იყავნ შენ ზედა და ყოველთა სახ-
 ლისა შენისა კრებულთა ქრისტეს მიერ!

ჩუენ თვთ უწყით წადიერება შენი ღმრთის მსახურებისათჳს და ღმრთივ
 მიმადლებული შენი მეცნიერება საღმრთოთა წიგნთაჲ და გულს-მოდგინებაჲ
 20 შენი, კეთილთა საქმეთა მოღუაწებაჲ შენი. შენ თვთ უწყი სანატრელისა ამის
 ახლისა მოწამისა ჰაბრომსი, რომელი დღეთა ამათ ჩუენთა იმარტვლა ⁴ მეოხად
 ქრისტეს მიმართ ყოელისა ამის საფელისა ჩუენისა ქართლისათჳს.

მნებაეს, რამთა დაიწეროს სანატრელისა ამისცა მარტვლობაჲ, ვითარცა
 პირველთაჲ მათ ქრისტეს მოწამეთაჲ, და დაიდვას იგიცა წმიდასა კათოლიკე
 25 ეკლესიასა შინა მოსაქსენებელად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩუენსა.
 ამისთვისცა მოვალონე წიგნი ესე ჩემი ჳელითა ხსართან მღღელისა ჩემისაჲთა.

აჲ მიიღე წიგნი ესე ჩემი და ლოცვაჲ ჩუენი და ჳარისა დაწერაჲ ჳელითა
 ჩემითა და შეწევნითა ღმრთისა, მამისა და ⁵ ძისა და სულისა წმიდისაჲთა, მეო-
 ხებითა წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲთა და წმიდათა მოციქულთაჲთა და მოწა-
 30 მეთაჲთა ჳელ-ყავ გამოთქმულად სრულიად ჳეშმარტიად, ვითარ-იგი იყო და ვი-
 თარცა შენ თვთ უწყი, და აღწერე მარტვლობაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბრომსი.
 და აღწეროი ჩუენ მოგვძღუნან, რამთა უმეტესად ლოცვა-ვეყოთ შენთჳს. მად-
 ლო უფლისაჲ იყავნ შენ ზედა! ამჳნ.

ახსუბი წიგნისა იოვანეს მიერ

35 მარადის საწადელი და თაყუანის-საცემელი ბრძანებაჲ ღმრთივ პატრონისი-
 სა მამფელისაჲ და უფლისა ჩემისაჲ მოვიღე ⁶ ჳელითა სიწმიდის მოუჳარისა

¹ მან მან ხ. ² ოკ-მ ან ხ. ³ ტფილის ხ. ⁴ იმარტვლა ხ. ⁵ და — ხ. ⁶ მოვიღე] — ხ.

ხსართან¹ მღდელისადათა, რომლისათვისცა აპყრობითა ჳელთა ჩემთადათა მადლი
 შუწირა უღირსებაჲმან ჩემმან ყოვლად ძლიერისა და ჳეველის მოჳმედლისა ჳრის-
 ტშს ღმრთისა ჩუენისა, რომელმან არა დაეწყებულ ყო სიმდაბლშ ესე ჩემი
 ღმრთის შუწყნარებულთა წმიდათა ლოცვათა შენთა, რომელსა-ესე ღირს ვიჳ-
 მენ მიმთხუევად. და უფროსდა ვაჳებ და ვაჳურთხეგ მოწყალეებასა ღმრთისა-
 5
 სა, რომელმან დაჳნერგა გულსა მამფლისასა ესევითარისა ამისთვის ბრძანებულ,
 რომელი სარგებელ და ნაყოფ სულისა და სიჳადულ და სიხარულ ჳორცთა შეჳმ-
 ნების საუჳუნოდ მიმართ და სოფელსაჳა ამას.

აჳ რაჳ მოვაჳსენო უფლებასა თჳუენსა? მძიმე არს ჩემდა ორჳკრძოვე:
 უჳეთუ ურჩ ვეჳმნე ბრძანებასა თჳუენსა, წერილ არს: „შეილი ურჩი წარსა-
 10
 წყმედელსა მიეცესო“; და თუ ვისწრაფო მორჩილებულ, მისთვისცა იტყვს:
 „უღარშსსა შენსა ნუ გამოეძიებო და უძლიერშსსა შენსა ნუ განიკითხავო“. ამისთვის შიშმან და ჳრუნვამან შემიჳყრა მე და შეშფოთნა გონებაჳ ჩემი და
 დავეცი და მოვაჳლდი მეცნიერებისაჳან. არამედ უმჳობშსად შეეჳრაცხე მორ-
 ჩილ ყოფად თავი ჩემი ბრძანებასა უფლისა ჩემისაჳა, რომლითა კუალად განე-
 15
 ძლიერდი და აღვემართე ღმრთისა სათნოდათა წმიდითა ლოცვითა თჳუენითა და
 მართლის ძღუნის მიმჳყრობელისა ღმრთისა მარჳუენისა თჳუენისა ჳურისა წე-
 რითა ჩემ უღირსსა ჳედ და რამეთუ ვისწყავეცა ბრძენთ მთავრისა მის სოლო-
 მონის მიერ თჳუმული, ვითარმედ: «ჳბაძევედ ჳინჳველსა, მეღდარო, და იჳმენ
 20
 მუშაჳ მსგავს მისა», ვითარცა-იგი მან თვსსა უღიდშსსა მარცუალსა მას იფჳლი-
 სსაა შებშა-უყვის გულს-მოდგინედ, ვიდრემდის აღიღის და წარიღის საზრდე-
 ლად თვსა.

მეცა გულს-მოდგინე ვიჳმენ² უძლიერესსა ჩემსა აღებად და წადიერებაჳ³
 გულისა⁴ ჩემისაჳა აღავსო უფალმან, და აღეწერე უღირსისა გონებისა ჩემისა
 25
 „ვეკრებული მარტულობაჳ ჳეშმარიტი და უტყუეველი წმიდისა მოწამისაჳა მად-
 ლითა და მეოხებითა ნეტარისა ჳაბოჳსითჳ და მიგიძღუანე უფალსა ჩემსა, რომ-
 ლისათვის კუალად ვითხოვ ვედრებით: სათნო-ყავნ უფალმან გულსა თჳუენსა
 და გულსა ყოვლისა ჳრისტშს მოყუარისა ერისა მორწმუნისასა, რომელნი აღ-
 მოიკითხვიდენ, რაჳთა ჳიარ ლოცვათა თჳუენთა იჳმენს კუალად და მერმეცა
 30
 უღირსებაჳ ჩემი.

საჳითხავნი წმიდისა ჳაბოჳსნი, თავი დ

- ა თ ა ვ ი : ღმრთის მსახურთა და მარტულთ მოყუარეთა კრებულისათვის
 თხრობაჳ და მოძღურებაჳ და აწლისა ამის მოწამისა ჳსენებაჳ.
- ბ თ ა ვ ი : ჳართლად შემოსლვაჳ და ნათლის-ღებაჳ ნეტარისა ჳაბოჳსი.
- გ თ ა ვ ი : მარტულობაჳ წმიდისა ჳაბოჳსი. 35
- დ თ ა ვ ი : ჳებაჳ სანატრელისა წმიდისა ჳაბოჳსი.

¹ სანთან ხ. ² ვიჳმნე ხ. ³ წადიებაჳ ხ. ⁴ გულისაჳ ხ.

პირველი თავი

ღმრთის მსახურებისათვის შეიკრებულთა მათ უწყებამ და მარტვლთ მოყვარეთა¹ მათ სწავლამ და ახლისა ამის მოწამისა მოქსენებამ წმიდისა ბაბოასი

- 5 მნებაეს თქუენდა, საყუარელნო მამისანო და მეგობარნო და მონანო ქრისტეს, ძისა ღმრთისანო და სამკვდრებელნო სულისა წმიდისანო. გხედავ თქუენ, ე-ა ღმრთივ ცნობილთა და ღმრთისა მცნობელთა. ამისთვისცა გარჩუ თქუენ მონად და მეგობრად ქრისტესსა: მონად ამის გამო, რამეთუ პატიოსნითა სისხლითა-მისითა სყიდულ ხართ თქუენ; ხოლო მეგობრად ამისთვის, რამეთუ მისსა
- 10 შექმნულნი ვართ და დაბადებულნი და სიყუარულითა მისითა ნათელ-გვლდებივ. აჲ გლოცავ თქუენ ქრისტესს მიმართ სურვიელითა² გულითა: მომიპყრენით საჩინონი ეგე სასმელნი თქუენნი და უფროასლა საცნობელნი ეგე ყურნი გულსა თქუენისა და გონებათა თქუენთანი განჰმარტენით სმენად და მასპინძელ ექმნენით სიტყუათა ამათ ჩემთა, რამეთუ ქრისტესსთვის არიან და სანატრელთა
- 15 მისთა მოწამეთათვის, შეიწყნარეთ კარავსა გუამისა თქუენისასა და სავანს განჰმზადეთ. რამეთუ უფალსა პნებაეს დამკვდრებად ასოთა შინა თქუენთა, ვითარცა თქუა წმიდამან მოციქულმან პავლე, მოძღუარმან ეკლესიათამან, ვითარმედ: „დაძარნი ხართ ღმრთისანი და სული წმიდა და მკვდრებულ არს თქუენ შორის“. და უფალი იტყვს წინაწარმეტყუელისა მიერ: „მე მოვიდევ და
- 20 დავიმკვდრო თქუენ შორის“, და წმიდასა შინა სახარებასა იტყვს, ვითარმედ: „სასუფეველი ღმრთისა გულთა შინა თქუენთა არს“.
- ამისთვის, საყუარელნო, ნუ გეწყინებინ სმენად სიტყუათა ამათ, რამთა არა ცუდად დაეშურეთ: მე სიტყუათა და თქუენ სმენითა, რ-ა ერთობით მოგუტეც ჩ-ნ უფალმან³ სასყიდელი შრომათა ჩ-ნთა.
- 25 და არა თუ ჩემდა ხოლო მარტოასა საძიებელ არს სმენად საწადელი ესე მარტვლობა წმიდისა ამის მოწამისა, არამედ ყოველთაჲ ჭერ-არს თქუენდაცა დაცრეებად ჩემ თანა, რომელნი-ესე შემოკლებულსა ამას ეამსა მეშვდესა დარისა ზედა ვდგათ, რომლისა ეამისათვისცა უფალი იტყვს, ვითარმედ: „მრავალნი სტეზბოლიან და მრავალთა აცთუნებდენ“; და მოციქული პავლე მისწერს ტიმოთესსა, ვითარმედ: „მოვალს ეამი, ოდეს სიცოცხლისა ამის მოძღუარებასა არა თავს-იღებდენ, არამედ გულს თქუმისაებრ თვისსა თავით თვისით შეიკრებდენ მოძღუარებასა ჭავილითა ყურთადათა და კეშმარტივებისაგან სასმენელნი გარე-მიიქციენ და ზღაპრებსა მიექცენ“, რომელიცა-ესე აჲ ეამსა ამას აღესრულებს ჩუენ შორის.
- 35 რამეთუ რომელ-ესე ვართ ყურეთა ამას ქუეყანისასა, სასტიკებისაგან და სიყვარვისა, მანქანებითა მით საცთურებისადა, ზედამდგომელთა ამათ ჩუენთა, მფლობელთა ამის ეამისათა, ზაყულებითა მოძღუარებისა თვთ თავით თვისით შჯულის-ღებისადა, განდგომილთა ქრისტესსგან, მრავალნი შეაცთუნეს და გარდაღრივნეს გზისაგან სიმართლისა და კეშმარტივებასა ქრისტესს სახარებისასა შე-
- 40 ეცოდნეს, რომელნი ხუთას წლისა ეამთა და უწინარესდა რჩულ-დებულ ყო-

¹ ეს სათაური დედანში არ მოიპოვება. ² მოყვარეთა ზ. ³ სურვილითა ზ. ⁴ უფალ-მაჲ] — ბ.

ფილ არიან¹ წმიდითა მადლითა ნათლის-ღებისაჲთა. მიერთგან და ვიღრე აქამომდე ნაშობნი ქრისტიანეთანი გარდაგულარძნენს: რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუებით, რომელნიმე სიყრმეთა შინა უმეტრებით, რომელნიმე მზაუჯარებით; და სხუანი, რომელ-ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა ქუეშე დამონებულ და ნაკულუევანებითა და სიგლახაჲითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯინილი, ძკრ-ძკრად ზღვეულნი, შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართავან ძლიერთა, არამედ ქრისტეს სიყუარულითა და შიშითა, ჩუეულებისაებრ მამულისა სკლისა, კირთა მოთმინებითა არა განეშორებიან მხოლოდ-შობილსა ძესა ღმრთისასა.

5
10

ესევეითარსა ეჲსა შინა გამოჩნდა ახოვნად წმიდაჲ ესე მოწამე; არა თუ პირველითგანვე ჩუენგანი იყო, არამედ უმეტარი სარწმუნოებისაგან ჩუენისა უცხობა უცხობათა შექულითა მოვიდა და ქრისტესა, ღმერთსა ჩუენსა, შეეგმენა, რომლისათვისცა დღეს ეკლალად ახალმან ამან დღესასწაულმან და კრებულმან წმიდისა და ახლისა მოწამისამან გვკრკუნოსან ყო ეკლესიაჲ, და ყოველი კრებული ქრისტიანეთაჲ ერთბამად განანათლა, და ყოველივე პირნი ღირს იქმნენ ამან დღესა გარდამატებულისა მადლისა შეწირვად ქრისტესს მიმართ, ქეშ-მარტიცა ღმრთისა ჩუენისა.

15

რამეთუ მარჩობლ იქმნა დღესასწაული ესე ღმრთის გამოცხადებისაჲ და მადლმან ღმრთისა მამისამან გამოჩინებითა მით ჩუენდა საყუარელისა ძისა მისისაჲთა და გარდამოსლეთა სულისა წმიდისა მისისაჲთა სარწმუნოებითა შეთხზული იგი გვკრკვნი მარტვლთა თვისთაჲ დაადგა თავსა ზედა ეკლესიასასა, რომლისაგანცა სიმრავლჲ იგი დღესასწაულთაჲ, ვითარცა გვკრკვნი, გარე-მოადგს და ღმრთის მოყუარეთა მათ ჩუეულებაჲ აქუს მარადის შემოკრებად მას შინა საღმრთოჲსათვის დიდებისა.

25

რამეთუ ერთად შეკრებითა მით მათითა მრავალი ღმრთის მსახურებაჲ აჩუენიან, არა თუ ცუდთა განცხრომათა და ჭამადთა ნაყროვნებისა უძღებებაჲ შორის მათსა იბოვის, არამედ ყოველთა წილ საკმელთა გემოვნათა ძალი იგი საღმრთოთა სიტყუათა ტკბილად გამოვალნ პირსა მათსა, რამეთუ სიტყუაჲ იგი წინაწარმეტყუელისაჲ ოხრის შორის მათსა, რამეთუ: „ტკბილ არიან სასანსა ჩემსა სიტყუანი შენნი, უფალო, უფროჲს თათლისა პირსა ჩემსა“. რამეთუ შეკრებასა მას ჭამადთასა განძღებებაჲცა აქუს; ხოლო ღმრთისა სიტყუათა მოქცენებასა არა არს განძღება ღმრთის მოყუარეთა სულთა.

30

და ეკლალად: „წმიდათა მათ მარტვლთა კსენებითა ვინ-მემცა განძლა მარტვლთ მოყუარტჲ?“ და რამეთუ ერთგულებაცა აქუს უფლისა² მიმართ, რამეთუ ეტყვს უფალი წმიდათა მისთა: რომელმან თქუენ ნეგაჲყნარენს, მე შემიწყნარა; ამისთვის უფროჲსდა გულს-მოდგინედ საღმრთოთა მათთვის არნ შეკრებაჲ იგი მათი; მუნ შუეა წარმოიხუნიან სიტყუანი იგი ცხოვრებისანი, მუნ სამებისა წმიდისა იგი სარწმუნოებაჲ აღორძნდებინ, მუნ სწავლანი იგი სიტვბოებისანი, მუნ მოძღვრებანი იგი მადლისანი, მამათ-მთავართა³ შეუნიერებაჲ,

40

¹ რჩელ-ღებულ ყოფილ არიან | რჩელ ყოფილ ხ. ² უფლისა | სულისა ხ. ³ მამად-მთავართა ხ.

წინაწარმეტყუელთა იგი დიდებანი, მოციქულთა ქადაგებანი, მოწამეთა მათ მოლუაწებთა იგი, ქრისტესი იგი თავს-დებამ, ჩუენთვის ვნებამ.

1 რამეთუ სიმტკიცე¹ და სიხარულ ექმნის ჰაბუკუთა მითხრობითა მით სიმტკიცე იგი ქრისტეს მოლუაწეთაჲ, და სიქალღულ და მოლუაწება მხოვეცებულთა ჭყენება იგი ლუაწლისაჲ მის მარტულთაჲსაჲ, და საწაღელ და სასურველ მღვდლთა და ყრმათა მათ მოწაფეთა და შვილთა ეკლესიაჲსათა კრებამ იგი დღესასწაულისა მის წმიდათაჲსაჲ.

2 და ემსგავსებინა შორის ეკლესიასა ჯმანი იგი მათნი ანგელოზთა მათ გლოზის შემსხმელთა და სული წმიდაჲ იხარებნ შორის მათსა თაყუანის-ცემული, და 10 მამამ იდიდებინ და კაცთ-მოყუარებამ იგი და ქველის მოქმედებამ ძისაჲ იქადაგებინ. რამეთუ ყოვლისა მპყრობელმან ღმერთმან და დიდად უხუმან უფალმან, რომელმან არა უგულუბელს-ყო ურუამ კაცთაჲ და სიყუარულისათჳს კაცთაჲსაჲ ქალწულისაგან წმიდისა ჳორცნი შეიმოსნა და წმიდითა მით ჳორცითა მისითა სამოთხით² გარდამოვრდომილსა მას კაცსა ზეცად აღუწოდა და მიუწოდომელსა მას საიდუმლოსა ღირს ყო, რომელ-იგი არა იყო, და დაადგრა, რომელ-იგი იყო, დიდებამ მაცხოვრისა ჩუენისაჲ, იესუ ქრისტესსა მას დამდაბლებასა ჩუენთვის.

3 რამეთუ დამდაბლდა და მიჴსნა ჩუენ, ამაღლდა ზეცად, ვინამცა გარდამოვდა. და მიწისაგანი ესე კაცებამ თანა-აღოყვანა და მარჯუენით მამისა მქდომარე 20 არს, რომელი-იგი საკვრველმად განგებულუბით შეიერთა ღმრთუებამან, რომელცა-იგი ორთავე მით სახელითა, — ერთი ძმ ღმრთად და კაცად, თჳნიერ განყოფისა, — იქადაგებინ, იგივე „სახელით ენმანუელ — ჩუენ თანა ღმერთი“ და კაცი, „რამათ სახელისა მიმართ მისისა ყოველი მუქლი მოდრკეს, ჳეცისანი და ქუეყანისათანი და ქუესენლთანი, და ყოველმან ენამან აღუვიროს“ სახელსა მისსა. 25

რამეთუ საშინელ და წმიდა არს და ყოვლად ძლიერ და საკვრველ და უფალ და ყოვლისა მპყრობელ არს სახელი მისი; ვერ შემძლებელ ვართ ჩუენ მწმდომად სიმდიდრესა მას სახელისა მისისაჲსა, არამედ უძლურებისაგებ ჩემისა და გულს-მოდგინებისა თქუენისა ვიწყო თხრობად თქუენდა, საყუარელნი: 30 კარ, გზა, ტარიგ, მწყემს⁴ ლოდ, მარგალიტ, ყუაილ, ანგელოზ, კაც, ღმერთ, ნათელ, ქუეყანა, მარილ, მატლ, მარცულ მდოგჳს, მზე⁵ სიმართლის, ძე⁶ მამის უკუდავის და ერთ ღმერთ გარდაუქცეველ და განუქარეველ და უცვალებელ.

რამეთუ უქცეველ და განუქარეველ არს შემდგომად ჳორცთა შესხმისა და შეერთებისა ღმრთუებისა იგი ბუნებამ, რომლისათჳს, უკუეთუ შემძლებელ 35 ვიქმნეთ-ათოთუელისა ამის სახელებისათჳს ჳეშმართად უწყებად თქუენდა. გარნა მადლითავე მისითა გოწყო თქუენ, ქრისტეს მოყუარეთა.

კარ ეწოდა, რამეთუ თქუა: „მე ვარ კარი ცხოვართაჲ“, რამეთუ ჳეშმართად მორწმუნენი მისნი მის გამო ვითარცა კარსა მას სასაფუეველისასა შევალთ.

40 გზა. ეწოდა, რამეთუ თქუა: „მე ვარ გზამ და ჳეშმართებამ და ცხორებამ“, რამეთუ ჳეცად აღმაველთა გუექმნების ჩუენ გზა.

1 სიმტკიცე ბ. 2 წათასა ბ. 3 სამით ბ. 4 მწყემს]—ბ. 5 მზე ბ. 6 ძე ბ. 7 ცხოვართა] ცხოვრებისა ბ.

ტარიკ ეწოდა, „რამეთუ ჩუენთჳს დაიკლა“ და მარადის ცხოველ არს და ჳორკთა და სისხლთა მისთა ჩუენდა განყოფითა ცხორებჳსა საუკუნენსა მოგუანიკებჳს.

მწყემს ეწოდა, რამეთუ თქუა: „მე ვარ მწყემსი¹ კეთილი“. ჳეშმარიტად ცხოვარნი შეტომობილი მოგუაქცინა და მტერი იგი ჩუენი ლობი არგნითა 5
ჯუარისაჲთა მოკლა და მისგან დაქსნილი იგი გუამი პირველ შექმნულისაჲ მის ძალითა ღმრთეებისაჲთა კულად განაცოცხლა და ნაკებნი იგი გესლეანისა² მის მგელისაჲ წყლულეებითა თჳსითა განჯურნა და გესლი იგი მომაკუდონებელი წამლითა მით ღმრთეებისა თჳსისაჲთა განაქარეა და აღასრულა სიტყუაჲ წინაწარმეტყუელისა თქუმული, ვითარმედ: „იწყლა იგი ცოდვითა ჩუენთათჳს და 10
წყლულეებითა მისითა ჩუენ განვიკურნენით“.

ლოდსაკიდურ ეწოდა წინაწარმეტყუელისა მიერ, რამეთუ ესე არს, რომელი-იგი³ შეუტარაც და განგდებულ იქმნა მღღელთ მომღუართა მათგან ჳურითაჲსა და მწიგნობართა იერუსალჳსს, არამედ ესე თაჲ ყოველთა ცის კიდეთა იქმნა. 15

მარგალიტ ეწოდა, რამეთუ იგი, ვითარცა მარგალიტი, შორის ორთა ამათ ფიცართა, სულისა და ჳორკთასა, ღმრთეებით გამობრწყინდების, რომელსა ღმრთის მოყუარენი იგი ვაქარნი სასუფეველისანი, ვითარცა ღმერთსა არა შიშუელსა, და კაცსა არა ლიტონსა, არამედ ვითარცა ღმერთსა და კაცსა, სარწმუნოებით ეძიებენ და მოიყიდიან მხოლოსა მას მრავალსაწყიდლოსასა ყოველისა სოფლისა წარკებითა და სისხლთა თჳსთაცა დათხევითა. 20

მარილ ეწოდა, რამეთუ ცოდვითა განრყუნილთა ამათ ჳორკთა ჩუენთა მოგუეხლად და სიმყარალჳ იგი კერპთ-მსახურებისაჲ განგუელშორა და სულნი ჩუენნი სარწმუნოებითა ღმრთის მსახურებისაჲთა სულნელად შეზავნა.

ყუავილ ეწოდა, რამეთუ ძირისაგან იესჳსისა ყუავილად აღმოსცმნდა 25
ეკლესიასა წმიდისა ქალწულისა მარიაჲსგან ჳორკიელად, ხოლო სულნელეებითა მით ღმრთეებისაჲთა სული იგი მადლისაჲ მოჳფინა ჩუენ ჳედა.

ანგელოზ ეწოდა, რამეთუ ერქუმის მას წინაწარმეტყუელისა მიერ „ღიღისა ჳრახვისა ანგელოზი საკვრველი“, რომელი მამისა მიერ ჩუენდა მქსნელად მოვიდა. 30

კაცი ეწოდა, რამეთუ თქუა წინაწარმეტყუელმან: „კაცი არს და ვინ იცნას იგი“; ჳეშმარიტად სრული კაცებაჲ შეიმოსა თჳნიერ ცოდვისა და ღმრთეებაჲ თჳსი ჩუენ გამოგვცხადა.

ღმერთ ეწოდა, ვითარცა თქუა ნეტარმან იოვანე მახარებელმან, ვითარმედ: „ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი და ყოველივე მის მიერ შეიქმნა, რომელი-რაჲ იქმნა“. 35

ნათელ ეწოდა მის მიერე, რამეთუ თქუა: „იყო ნათელი ჳეშმარიტი, რომელი განანათლებჳს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად“.

ქუეყანა ეწოდა, ვითარცა თქუა დავით: „ქუეყანამან გამოსცა ნაყოფი თჳსი, მაკურთხენინ ჩუენ, ღმერთო, ღმერთო ჩუენო!“ ჳეშმარიტად ქუეყანისა 40
დამბადებელი იგი ქუეყანად მოვიდა და ქუეყანით მიწისაგან შექმნულთა მათგან მიწისა ბუნებისა იგი ჳორცნი, ვითარცა შუენიერი ჩქელი, აღმოსცმნდა

¹ მყემსი ხ. ² გესლეანისა ხ. ³ რ-ლა-იგი ხ.

ქუეყანით და ნაყოფად გამოიხუნა წმიდანი თჳსნი მოციქულნი და მოწამენი და მართალნი და დაწყებული იგი ქუეყანაჲ ნაყოფითა კურთხევისაჲთა აღავსო.

მარტულ მღვდელს ეწოდა, რამეთუ დაიკინებეს თავსა თჳსსა და მოგუემსგავსების ჰასაკსა ჩუენსა, რაჲთა ურნატსა სულსა ჩუენისასა დაენერგოს¹ და ღრმად ძირნი დაიბნეს და რტოთა მათ ზედა ჭუარისა მისისათა შეგუქრიბნეს და აღმადლდეს და ჩუენ აღგუამადლნეს მის თანა.

მატლ ეწოდა, რამეთუ თქუა: „მატლ ვარ და არა კაც“. გამობრწყინებოთა ღმრთეებისაჲთა, ვითარცა სამქადური მატლსა შინა, ეგრესთ ვორცთა შინა თჳსთა დაფარა ღმრთეებაჲ იგი თჳსი და უფსკრულთა ამის სოფლისათა შთაავლო და აღმოქუა, ვითარცა კეთალმან მეთევზურმან, რომლისათჳსცა იტყჳს: „შეიპყრა ვეშაჲ იგი სამქადურითა, და განილო დანდალი ყბასა მისსა და ხარტუკი ცხვრსა მისსა“. ესე იგი არს ეშმაკი, რომელი შეიპყრა და შემუსრნა მანქანებანი მისნი, რომლისათჳს წამებს მეფსალმუნს² ღავით: „შენ შემუსრე თავები ვეშაჲსაჲ მის“.

მზე³ სიმართლის ეწოდა, რამეთუ თქუა წინაწარმეტყუელმან: „და გამოვიბრწყინდეს თქუენ, მოშიშთა სახელისა მისისათა, მზს იგი სიმართლისაჲ, რომელსა აქუს კურნებაჲ ქუეშე⁴ ფრთეთა მისთა“; და რამეთუ იგი არს, რომელი ჰფარავს და განატფობს და არარაჲ არს, რომელი დაეფაროს სიცხესა მისსა.

ხოლო ესე არა თუ რამე თავით თჳსით განვიმარტე თქუენ, ქრისტეს მოყუარებო და სწავლის მოღუაწენო, არამედ წამებითა წიგნთაგან საწინაწარმეტყუელთა და მოციქულთა ქადაგებისაჲბრ, და წმიდათა სახარებათა წერილნი და ნეტართა მამათა მოძღუართა მიერ განსაზღვრებული სარწმუნოებება. რამეთუ უეჭუელი სარწმუნოებება საუნჯე⁵ დიდ არს მორწმუნეთათჳს, ესე, მამათ ზეცათო. ღმერთო და უფალო ცხორების მომცემელო, შენ მიერ მოღუებითა მადლისაჲთა, რამეთუ ქრისტიანეთა სარწმუნოებება დიდ მოძღურება არს. ამით მადლითა თაყუანის-გუემენ შენ მართალნი, გაკურთხევეენ შენ წმიდათ⁶, აგიარებენ შენ მარტულნი და შენთჳს დევნულებად ღირს იქმნებიან, რომელმან ივენე ჩუენთჳს, ქრისტე ღმერთო, მოწამე არიან შენდა და შენ შეგვედრებთან და ცთომასა მას ეშმაკისასა და მსახურთა მისთა მძლავრებასა შეურაცხყოფენ.

რამეთუ არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებება ესე ღმრთისა მიერ მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამით მკვდართა, ვითარცა წამებს უფალი და იტყჳს: „მოვიდოდინ აღმოსავალით და დასავალით და ინაჲ-იდგმიდენ წიალთა აბრაჰანისთა, ისაქისთა და იაკობისთა“.

აჲ ესერა ქართლისაჲ მკვდრთა აქუს სარწმუნოებება და წოდებულ არს დედად წმიდათა, რომელთამე თჳთ აჲ მკვდრთა და რომელთამე უცხოთა, სხვთ მოსრულთა ჩუენ შორის ეამად-ეამად მოწამედ გამოჩინებოთა ქრისტე იესუსა მიერ, უფლისა⁷ ჩუენისა, რომლისაჲ არს ღიღებება უკუნიითი უკუნისამდე. ამჲნ.

¹ დაენერგოს ს. = ვერგოს. ² და ქუეშე ს. ³ საუნჯე ს. ⁴ ოთხ ს.

მეორე თავი

ქართლად შემოსლვაა წმიდისა ჰაზოასი

რამეთუ იყო ეამი, ოდეს ერისმთავარი იგი ქართლისაჲ სახელით ნერსე, ძმ აღრნესე კერაპალატისა და ერისმთავრისაჲ, მიწოდებულ იქმნა ქუეყანად ბაზილიონისა მფლობელისა მისგან ეამსა საჩიროზთასა ამირა მუმნისა აბდი- 5
ლაჲსგან, რომელთ იყო ქალაქსა მას დიდსა ბაღდადს, რომელიცა-იგი მან აღა-
მენა.

ხოლო შესმენითა ბოროტთა კაცთაჲთა შთაავდო საპყრობილესა მან ნერსე, ერისთავი ქუეყანისა ამის ქართლისაჲ, და პყრობილ იყო იგი მუნ ეამადმდე სა- 10
მისა წლისა, ვიდრემდის ბრძანებითა ღმრთისაჲთა მოკულდა აბდილა ამირა მუმ-
ნი და დაჯდა მის წილ ძმ მისი მჰადო. ხოლო ქველის მოქმედმან ღმერთმან არ-
წმუნა გულსა მჰადო ამირა მუმნისასა განტევებაჲ ნერსესი და გამოიყვანა იგი
მწარისა მისგან საპყრობილისა და განუტევა იგი კულად ერისმთავრობით აქა,
ქუეყანადვე თჳსა.

მნებავეს აწ, ქრისტეს მოყუარუნო, ამიერითგან წმიდისა და სანატრელისა 15
მოწამისა ამის ჰაზოასთჳს, რაჲთა გაუწყო, ვითარ, ანუ რაჲმ იყო, ანუ ვინაჲ
მოიწია აქა.

ესე ნაშობი იყო აბრამენი, ძეთაგან ისმეელისთა, ტომისაგან საჩიროზ-
თაჲსა, და არა * თუ უცხოჲსაგან თესლისა, არცა ხარკისაგან შობილი, არამედ
ყოვლადვე არაბიელთა თესლი, მამულად და დედულად, რომლისაჲ მამა მისი 20
და დედა მისი და ძმანი და დანი მისნი იყვნეს მუნვე, ქალაქსა მას შინა ბაღ-
დადს ბაბილონისასა. და ესე იყო ყრმა, ჳაბუქ ვითარ ათრევამეტის წლის, გრნა
უკნინსჳს — აჩუდმეტის წლის. ამან ინება წარმოსლვაჲ თჳსი აქა ერისმთავრისა
მის ნერსეს თანა და შეეყო იგი მსახურად მისა. და იყო იგი ქელოვან, კეთილად
შემზავებელ სულნელთა მათ საცხებელთა, და სწავლულ იყო მწიგნობრებითა 25
საჩიროზთაჲთა, ძეთა ისმეელისთა, ძეთა * აბრაჰამისთა, ნაშობთა აგარისთა.

ხოლო ამიერ ჩუენდა სოფლად გამოსულაჲ იგი არა თუ თვთ თავით თჳსით
განიზრახა, არამედ ვითარცა-იგი უფალმან ჰრქუა ნეტარსა მას აბრაჰამს მასვე
ქუეყანასა შინა ქალდეველთასა, ვითარმედ: * გამოვედ ქუეყანისაგან შენისა და
ნათესავისაგან შენისა და სახლისაგან მამისა შენისა და მოვედ ქუეყანასა მას, 30
რომელი თუ გიჩუენო შენ“. ეგრსთვე ესე კულად ნაშობი აბრაჰამისი არა
თმითი გონებით, არამედ წამის-ყოფითა ღმრთისა მიერითა იწჳა ესეცა და დაუ-
ტევა მამაჲ და დედაჲ და ძმანი და დანი და ნათესავნი და აგარა-
კები, ვითარცა-იგი იტყჳს წმიდასა სახარებასა შინა, და წარმოვიდა აქა ნერსეს
თანა მგზავრ ქრისტეს სიყუარულისათჳს. 35

და რაჲმს მოვიდა იგი ქართლდ, ცხონდებოდა იგი ნერსე ერისთვისა თა-
ნა და თჳსითა სათნოებითა იქმნა იგი საყუარელ ყოვლისა ერისა და შესძინა
სწავლად ქართულისა მწიგნობრებისა და ზრახვისა ქსნილად. მაშინ იწყო ზედა-
-მიწვევანდ და სწავლად წმიდათა საღმრთოთა წიგნთა ძუელისა და ახლისა მჭუ-
ლისათა რამეთუ უფალი მეცნიერ-პყოფდა მას. და მოვიდის იგი წმიდად ეკლუ: 40

* მე 2 თავი ბ. * არაა ბ. * ძისა ბ.

სიად და მარადის ისმენ წმიდათა სახარებათაგან და საკითხავთა მათ საწინაწარმეტყუელოთა და მოციქულთა და მრავალთაგან შულის მეცნიერთა იკითხვენ და ისწავებენ. ხოლო რომელთამე რეცა თუ ცილობით წინა აღუდგებიან, არამედ მიზეზ სწავლის ექმნებიან მას. და ესრეს სრულ იქმნა იგი ყოველითა მოძღუ-

3 რებითა, რომელი აქუს წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა ქრისტესს მიერ.

მაშინ უღებ-ყო შუელი იგი მაჰმედისი და წესი იგი მამულისა მის ლოცვისაჲ დაუტევა და შეიყუარა ქრისტე¹ ყოვლითა გულითა და გამოირჩია იგი სიტყვთა ამით, ვითარმედ: „მითხრეს მე უშულოთა ზრახვაჲ, ხოლო არა ეგრე იყო, ვითარ შუელი შენი“. არამედ ვერ განიცხადებდა თავსა თვსსა სრულიად²

10 ქრისტიანედ, ხოლო ფარულად იმარხავნ და ილოცავნ ქრისტესს მიმართ და ეძიებდა ადგილსა კრძალულსა, სადამცა მოიღო ნათელი ქრისტესსი, რამეთუ ეშინოდა სოფლის მკაცრობელთა ამათ ზედამდგომელთა ჩუენთა საჩივრობთაგან.

და იყო დღეთა მათ შინა კუალად იყო განრისხებდა ჭელმწიფეთა მათ სარკინოზთაჲ ნერსე ერისთავსა ზედა, და იელტოდა იგი, რამეთუ სასტიკად ჰბრძოდეს მას საჩივროზთა ერი. და უფალმან დაიკცა იგი ჭელთაგან მათთა, და განვლო მან კარ³ იგი ოვსეთისაჲ, რომელსა დარი-ალან ერქუმის. და რაჲამს განვიოდა, იყო მის თანა ერისაგან მისისაჲ ვითარ სამას ოდენ შამაკაც. მათ თანავე იყო სანატრელიცა ესე მონაჲ ქრისტესსი ჰაბო⁴.

ხოლო ნერსე, ვლტოლილი ჭუეყანით თვისით, შევიდა ჭუეყანასა მას 20 ჩრდილოასსა, სადა-იგი არს სადგური და საბანაკ⁵ ძეთა მაგოგისთაჲ, რომელ არიან ზაზარნი. კაც ველურ, საშინელ პირითა, მკეცის ბუნება, სისხლის მკამელ, რომელთა შუელი არა აქუს, გარნა ღმერთი ხოლო შემოქმედი იციან. ხოლო რაჲამს მივიდა ნერსე ერისთავი მეფისა მის ზაზართაჲსა, შეიწყინარა იგი უცხოებისათჳს და ვლტოლისათჳს მტერთა მისთაჲსა და სცა მას და ყოველსა ერსა 25 მისსა საზრდელ და სამოსელ.

მაშინ ვითარცა იხილა ნეტარმან ჰაბო⁶, რამეთუ განშორებულ არს შიშისაგან მძლავრებისა საჩივრობთაჲსა, ისწრაფა მან მიახლებად ქრისტესსა და ნათელილო სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა ჭელითა პატიოსანთა მდღელთაჲთა. რამეთუ მადლოთა სულია წმიდისაჲთა მრავალ არს 30 ჭალაქები და სოფლები ჭუეყანასა მას ჩრდილოასსა, რომელინი სარწმუნოებითა ქრისტესსითა ცხონლებიან უზრუნველად. მიერთიგან უფროსად საესს მადლითა ქრისტესსითა ნეტარი ჰაბო⁷ შეეყო მარხვასა და ლოცვასა დაუბრკოლებლად.

მაშინ, შემდგომად რავედნისამე ჟამისა, ევედრა ნერსე მეფესა მას ჩრდილოასსა, რაჲთა განუტევოს იგი მიერ ჭუეყანად აღზაზეთისა, რამეთუ პირველადეე წარეგზავნენს მას დედა და ცოლი და შეილნი და მონაგები და ყოველნი სახლისა მისისანი, რამეთუ კრძალულ იყო ჭუეყანაჲ იგი შიშისაგან საჩივრობთაჲსა. ხოლო ღმერთმან მოამჰვდა პირი მეფისა მის ჩრდილოასაჲ და განუტევა ნერსე მრავლითა ნიჭითა. და წარემართნეს იგინი სიხარულითა და მადლითა 40 ღმერთსაჲთა და განვლეს ჭუეყანაჲ იგი წარმართთაჲ, რომელთა ყოვლადეე არა იციან ღმერთი. უშიშად ვიდოდეს დღე⁸ და ღამე⁹ სამ თთჳსა გზასა.

ხოლო ნეტარი ჰაბო ეგოდენთა ამათ დღეთა მგზავრ ილოცვიდა და იმარხ-

¹ქ-მ ბ. ²სრულიანდ ბ. ³ჰაბო ბ. ⁴დღ ბ. ⁵ღამ ბ.

ვიდა და არა დასცხრებოდა იგი ფსალმუნებითა. და ვითარცა მიიწინეა იგინი ქუეყანად აფხაზეთისა; მთავარმან მან მის ქუეყანისამან შეიწყნარა ნერსე ყოვლით ერთ მისითურთ. ვითარცა იხილა ნერსე დედოფალი, დედაა თჳსი, და ცოლი და ძენი თჳსნი, სიხარულით ყოველნივე აკურთხევედს ღმერთსა ცოცხლებით და მშვეობით შეკრებისა მათისათჳს.

5

მაშინ ვითარცა ეუწყა მთავარსა მას აფხაზეთისასა ნეტარისა ჰაბომსთჳს. რამეთუ ახალ ნათელ-ლებულ არს. განიხარა ფრიად ყოვლით ერთ მისითურთ. და მოუწოდეს მას მთავარმან მან და ეპისკოპოსთა და მღვდელთა და აკურთხევედეს და ნუგეშინის-სცემდეს და უთხრობდეს¹ მას სიტყუათა ცხოვრებისათა და ახარებდეს ქრისტესთჳს და საუკუნოჲსა მის ცხოვრებისათჳს. ხოლო იგი თა-
10 ვით თჳსით მიუგებდა მათ მაღლობით სიტყუათა მათ ჰეშმარტისა სარწმუნოებისათა, ვიდრემდის უკრდაცა მათ და აღიდებდეს ღმერთსა.

10

და ნეტარი ჰაბო უფრომდა ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ იხილა მან ქუეყანაჲ იგი საესტ ქრისტეს სარწმუნოებითა და არაჲინ ურწმუნოთაგანო მკვდრ იპოების საზღვართა მათთა. რამეთუ საზღვარ მათა არს ზღუაჲ იგ
15 პონტრამსაჲ, სამკვდრებელი ყოვლადე ქრისტიანეთაჲ, მისაზღვარამდე ქალდიამსა, ტრაპეზუნტიამ მუნ არს, საყოფელი იგი აფსარეამსაჲ და ნაფსამს ნავთ-სადგური. და არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძანებელად ქრისტეს მსახურისა² იონთა მეფისა³, რომელი მოსაყდრე არს დიდსა მას ქალაქსა კოსტანტინეპოლისასა.

15

ხოლო წმიდამან და ნეტარმან ჰაბო⁴ ვითარცა იხილა კაცთა მათ მის-ადგილისათა⁵ გარდამატებული ღმრთის მოყურებუაჲ და ლოცუაჲ ყოვლისა მის ერისაჲ დაუცადებელი, შური საღმრთოჲ აიღო, რამეთუ მოჰქსენა მან სიტყუაჲ იგი წმიდისა მოციქულისაჲ, ვითარმელ: „კეთილ არს ბაქიაჲ კეთილიათჳს მარადის“. იწყო მანცა დღეთა მათ ზამთრისათა, თთჳსა მის იანვარისასა, აჩვდმეტსა
25 მის თთჳსასა, ჰსენებასა წმიდისა მამისა ანტონისსა, აიღო მანცა ფიცხელი იგ⁶ შრომაჲ და შორის ქალაქსა, ვითარცა უდაბნოჲა ზედა, ეწყვებოდა მტერსა მან ეშმაქსა; და დღმილითა და მარხვითა მოაუძღურებდა იგი ქორცთა მათ სიკვამლისა თჳსისათა, „რამთა შეუძლოს ყოველთა მათ ისართა ეშმაქსათა განჭურვებულთა დაშრეტად“. მოიქსენა მან მაცხოვრ-სა ჩუენსაჲ. ვითარ-იგი შემდგომად წმიდისა მის ნათლის-ლებსა უდაბნოდ განარულმან. მზაჟუარსა მას გან-
30 მცდელსა სძლო, ეშმაქსა, ლოცვითა მით და მარხვითა წმიდითა ორმოც დღე⁷.

25

ეგრესთვე ნეტარი ესე ჰაბო⁸ არცაღა ერთსა რას სიტყუასა იტყოდა⁹ კაცთა შორის, გარნა ღმერთსა ხოლო ზრახვენ წმიდასა შინა ლოცუასა თჳსსა. ეგრესთ განვლო სამ თთუე და დაადგრა მარხვით და დღმილით. ხოლო წმიდათა მათ
35 დღეთა დიდისა მის მარხვისათა, შვდთა მათ შვდელუთა კვრიაქესა და დღესა შაბათსა ხოლო მი-რამ-ილის წმიდაჲ იგი საიდუმლოჲ, კორცი და სისხლი ქრისტესი, მაშინდა ნაკულად მიიღის საზრდელი, ვიდრემდის მიიწია იგი წმიდასა მას დღესა, დიდსა დღესანაწუელსა აღვსებასა, აღდგომასა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა; მაშინდა დააცადა ფიცხელი იგი მარხვაჲ და განჰქსნა ენაჲცა თჳსი
40 უტყუებისაგან და აღიდებდა ღმერთსა.

40

ხოლო იყო შემდგომად სიელტოლისა მის ნერსესისა ქართლით, წარმოავ-

¹ და უთხრობდეს] — ბ. ² მსახურისა ბ. ³ იონთა მეფისა ბ. ⁴ ჰაბო ბ. ⁵ ადგილისათა ბ. ⁶ დღე ბ. ⁷ იტყოდა] -- ბ.

ლინა მაკლი¹ ამირა მუჰმან ბრძანებითა ღმრთისადათა სტეფანოზ, ძჲ გურგენი-
 სი, დისწული ნერსსი, ნაცვალად დედის ძმისა თვისისა ნერსსისა, ერისმთავრად
 ქუეყანასა ამას ქართლდ. მაშინ მზიარულ იქმნა ნერსე, რამეთუ უფლებად იგი
 სახლისა მისისაგან არა განაშორა ღმერთმან. ესეცა წადიერ იქმნა უფრომსლა

5 ეულს-მოდგინედ და² წარმოავლინნა მოციქულნი და ითხოვა კელმწიფეთაგან
 ამირათა ამის ქუეყანისათა, რამათა უშიშ ყონ იგი ბოროტისაგან და გამოვიდეს
 ესნილად ყოვლით ერთ მისით.

და ვითარცა წარმოემართნეს იგინი ქუეყანით აფხაზეთით, მაშინ ნეტარსა
 ჰაბოს³ მიუწოდა მთავარმან მან აფხაზეთისამან და ჰრქუა: „ნუ განხუალ შენ
 10 ამიერ ქუეყანით, რამეთუ ქუეყანად იგი ქართლისაჲ საარკინოზთა უპყრიეს და
 შენ ხარ ბუნებით საარკინოზ, და არა გიტეონ შენ ქრისტიანებით მათ შორის:
 და მეშინის მე შენთვის, ნუუკუე კუალად განგდრიკონ შენ საწმინდოებისაგან
 ქრისტსისა ნეტოსით, გინა უნებლებით, და ესოდენი შრომად შენი წარწყმდილო“.
 ხოლო ნეტარმან ჰაბო⁴ ჰრქუა: „სადალა შემიწყნარა მე ქრისტემან და განმშო-
 15 რა ჩემგან ბნელი იგი პირველისა მის უმეტრებისა ჩემისაჲ და ღირს მყო მე
 ნათელსა მას მისსა. არასადა უვარ-ვეო მე სახელი მისი, და ღათუ ბევრეული
 ოქრომსა და ვეცხლისაჲ მომეცნ მე, გინა თუ ტანჯეთა და გუემითა განმიცი-
 თხოზ მე, ვერ განმშორონ მე სიყუარულსა უფლისა ჩემისასა. და აწ შენ ნუ
 დამაყენებ მე, ღმრთის მსახურო, რამეთუ რაჲ მადლ არს ყოფად ჩემი აქა, სა-
 20 და არა არს შიში, არცა სიკუდილი ქრისტსსთვს? აწ გვევდრებთ, განმბიტევე მთ,
 რამათა ეუწყოს განცხადებულად ქრისტიანებაჲ ჩემი ქრისტსს მძიძღლეთა მათ,
 რამეთუ სესმა წმიდისა სახარებისაგან თქუმული იგი მაცხოვრისა ჩუენისა მიერ.
 ვითარმედ: „არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქუეშე კვირისა, არამედ
 25 ზედა სასანთლესა გადგიან, რამათა ენთებოდის ყოველთა. ეგრე ბრწყინევიდნი
 ნათელი თქუენი წინაშე კაცთაო“ და აწ მე რამსათვს დაეფარო ქეშმარიტი
 ესე⁵ ნათელი, რომლითა განმანათლა მე ქრისტემან? არასადა დავემლო მე ში-
 შისაგან სიკუდილისა, რამეთუ ვისწავე მე წმიდისა მისგან მოციქულისა. ვი-
 თარმედ: „არცა ჩუკენთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკვდრონ. ამისთვის არა
 მეშინის მე სიკუდილისაგან, რამეთუ მე სასუფეველსა ვეძიებ ქრისტსსგან“.⁶ და
 30 ესრტა არწმუნა მთავარსა მას, და განუტევა.

და გამოვიდა იგი ნერსსს თანა ქუეყანად ქართლდ და შემოვიდა ქალაქსა
 ტფილისს⁷ და იქეოდა იგი განცხადებულად ქრისტიანედ. და ვითარცა იხი-
 ლეს იგი ქრისტიანედ მუნ მყოფთა მათ საარკინოზთა⁸, რომელთა იცოდეს იგი
 პირველად, რომელნიმე ჰყუედრიდეს, რომელნიმე აგინებდეს, რომელნიმე აში-
 35 ნებდეს, რომელნიმე სდევნიდეს, რომელნიმე მშვდობისა სიტყუთა შეაყვრებ-
 დეს.

ხოლო იგი განმტკიცებულ იყო ქრისტსს მიმართ და არავისგან შეძრწუნ-
 დებოდა, არამედ სამისა წლისა ეამთა იქეოდა ქალაქსა მას შინა და გარემოზს
 ყოველსა მოსულესა განცხადებულად ქრისტიანედ, არამედ „ვერჳინ მიყვნა
 40 კელნი მის ზედა ბოროტებით, რამეთუ არაღა მოწევენულ იყო ეამი მისი“. ხოლო
 კაცთა ღმრთის მოყუარეთა რომელთა იცოდეს ღმრთის სათნოებაჲ მისი, ილუ-
 წიდეს საზრდელთა და სამოსლითა.

¹ მაკედ ხ. ² და—ხ. ³ ჰაბოს ხ. ⁴ ჰაბო ხ. ⁵ ქეშმარიტი ესე ესე ხ. ⁶ ტფი-
 ლის ხ. ⁷ სარკინოზ ხ.

წამება წმიდისა ჰაბოასი

რომელნი ზართ ქრისტეს მოყუარენი და მარტვლთ მოყუარენი, მიიღეთ ჩემგან სანატრელი სმენაა წმიდისა მოწამისა და ქრისტეს მოღუაწისა, რომლითა სიძნითა და დიდებითა გვარგვოსან იქმნა ქრისტეს მიმართ.

5

სუფევასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, წელიწადსა ენებითგან და მკურნებით¹ აღდგომით, მეფობასა კონსტანტინეპოლის² ქალაქსა მას დიდსა ქრისტიანეთა ზედა კონსტანტინესსა, ძისა ლეონისსა, სარკინოზთა შორის მეფობასა მოსე ამირა მუმნისასა, ძისა მაქდისსა³, ქართლს შინა კათალიკოზობასა სამოელისსა, ერისმთავრობასა სტეფანოზისსა, ძისა გურგენისსა, დასაბამით გარდასრულთა ექუს ათას ოთხას ოც და მეოთხესა⁴ წელსა, თთუესა იანვარიასა ექუსსა, დღესა პარასკევსა, განცხადებასა, შევისწავეთ მარტვლობაა წმიდისა და ნეტარისა ამის მოწამისა და კეთილად მოღუაწისა ჰაბოასი ქალაქსა ტფილესს. ხოლო იყო ესრე სახედ:

10

რამეთუ მცირედ⁵ უწინარესს-რე დღეთა ამათ შეიპყრეს ნეტარი ესე მოწამე ქრისტესი და მიიყვანეს იგი მსაჯულისა მის, რომელი იყო ქალაქსა ტფილისს, და ქრისტეს აღსარებისათჳს შეაყენეს იგი საპყრობილესა, ხოლო შემდგომად რავედენთამე დღეთა გამოითხოვა იგი სტეფანოზ, ერისთავმან ქართლისმან, და გამოიყვანა საპყრობილით და განუტევა.

15

ხოლო შემდგომად მცირედთა დღეთა კულად აღიძრნეს შემასმენელნი წმიდისა ამის მოწამისანი, განრისხებულნი და აღბორგებულნი, საესენი შუართთა ქრისტიანეთათა შეიზრახნეს შეთქუმით წმიდასა მას ზედა, შევიდეს წინაშე მსაჯულისა მის, რამეთუ სხუა მსაჯული ამირაა შემოსრულ იყო ქალაქსა ტფილისს⁶, და ჰრქუეს მას: «არს ქალაქსა ამას შინა ქაბუცი ერთი, რომელი იყო ბუნებით სარკინოზ და განზრდილ და ცხორებულ შჯულითა მით, რომელი მომცა ჩუენ მაჰმედ, მოციქულმან ჩუენმან; და აწ დაუტევებიეს შჯული ესე ჩუენი და იტყვის თავსა თჳსსა ქრისტიანედ და უშიშად ვაღს ქალაქსა შინა და მრავალთა ასწავებს ჩუენგანთა ქრისტიანედ ყოფად. აწ ბრძანე შეპყრობაა მისა და შეაგდე იგი სატანჯველსა და გუემასა, ვიდრემდის არა აღიაროს შჯული მაჰმედ მოციქულისა ჩუენისა; უკუეთუ არა, მოკუედონ იგი, რათა არა მობაძვე იქმნენ მისა მრავალნი სიტყვთა მისითა».

20

25

30

ამას რაა შესამენდეს, ესმა ვიეთმე ქრისტიანეთა კაცთა და მივიდეს შწრაფლ და უთხრეს ნეტარსა ჰაბოს⁷, კითარმედ: «ესერა გეძიებენ შენ შეპყრობად, ტანჯად და გუემად». და შეაჩერებდეს მას, რათამცა მიპრიდა და დეემალა. ხოლო მან ჰრქუა მათ: «მე არა ხოლო ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტესსთვის, არამედ სიკუდილსა». და გამოვიდა იგი სიხარულით და იქცეოდა შორის უბანთა განცხადებულად. მაშინ მოვიდეს მსახურნი იგი მსაჯულისანი და შეიპყრეს ნეტარი ჰაბო⁸ და შეიყვანეს წინაშე მსაჯულისა მის.

35

და ჰრქუა მას მსაჯულმან მან: «რაა არს, რომელი-ესე მესმის შენთვის,

¹ მკურნებით ხ. ² კონსტანტინეპოლის ხ. ³ მაქდის ხ. ⁴ ოც და მეოთხესა ხ. ⁵ მკურნად ხ. ⁶ ტფილის ხ. ⁷ ჰაბოას ხ. ⁸ ჰაბოას ხ.

რამეთუ ხარ შენ ნათესავით და ტომით სარკინოზ და დაგიტევებიეს მამულ-
 შქული და ქრისტიანეთა თანა შეტომილ ხარ? აწ განეშადე და ილოცე შქუ-
 ლითა მით, რომლითა განგზარდეს შშობელთა შენთა!» ხოლო ნეტარი ჰაბო¹
 განძლიერდა ქრისტეს მიმართ და აღივსო სულითა სარწმუნოებდასათა და ჰრქუა
 5 მსაქულსა მას ამირასა: «ეგე კეთილად სთქუ, რამეთუ ვარ მე ბუნებით სარკინ-
 ნოზ, შობილვე მას შინა მამულად და დედულად; განსწავლულ ვიყავ შქულოთა
 მით მაჰმედისითა და ვცხონდებოდე მას შინა, ვიდრე უმეტრებასა შინა ვიყავ.
 ხოლო ოდეს სათნო-ყო ღმერთმან, რომელმან გამოშირაჰა მე ძმათა და ნათესავ-
 თა შორის ჩემთა და მიკსნა მე იესუ ქრისტეს მიერ, ძისა მისისა და ღმრთისა
 10 ჩემისა, და გულისხმა-ბიყო მე უმჯობესი იგი კეთილი, მაშინ დაუტევე მე პირ-
 ველი იგი კაცთა ჯელოვნებითა შეთხზული შქული² და ზღაპრობის სიბრძნითა
 ღონისძიებული რწმუნება და აწ შეუდგე ჰეშმარიტსა ქრისტეს მიერ მომად-
 ლებულსა სარწმუნოებასა სამებისა წმიდისასა მამისა და ძისა და სულისა წმი-
 დისასა, და ამით ნათეს-მღებოებს და ამასცა თაყუანის-ვსცემ, რამეთუ ესე არს
 15 ღმერთი ჰეშმარითი, და აწ ქრისტიანე ვარ თვნიერ ყოვლისა ცილობისა».

ჰრქუა მას მსაქულმან: «დაუტევე სიცოფისა ეგე განზრახვამა. და უკუეთუ
 ნაკლულევანებისა შენისათჳს შედგომილ ხარ ქრისტიანეთა, მე უფრომდლა
 ნიჭი და პატივი აწვე მიცე შენსა. ჰრქუა მას ჰაბო: ¹ «ოქრო და ვეცხლი შენი
 შენ თანავე იყავ წარსაწემედელად თავისა შენისა; მე პატივსა კაცთაგან არა
 20 ვეძიებ, რამეთუ მაქუს მე ნიჭი ქრისტეს მიერ, გვრგვინი ცხოვრებისა და უზრწენ-
 ლებისა და პატივი საუქუნოა ცათა შინა».

მაშინ უბრძანა ჰელთა და ფერჯითურთ შეკრევა მისი ბოკილითა რკინი-
 საათა, და ეგრძთ შთაადღეს იგი საპყრობილესა. ხოლო ნეტარსა მას უხაროდა
 და ჰმადლობდა უფალსა და იტყოდა: «გმადლობ შენ, უფალო და მაცხოვარო
 25 და ღმერთო ჩუენო, იესუ ქრისტე, რამეთუ ღირს მყავ მე განკითხვასა და
 პყრობილებასა სახელისა შენისათჳს წმიდისა».

და იყო ესე თთუესა დეკენბერსა ოც და შუდსა, დღესა სამშაბათსა, ქსენე-
 ბასა ქრისტეს მოციქულისა, პირველ-ღიაკონისა და პირველ-მოწამისა და ერის-
 მთავრისა მის ყოველთა³ მოწამეთამსა წმიდისა სტეფანესსა. წესებ და შეუენიერ
 30 ესრტთ იყო, რამათა ილწილეს მისთჳს ერისთავი იგი ყოველთა მარტულთა და⁴
 მისთანათა მათ⁵ ყოველთა მოწამეთამ⁶, რამათა არა დაჰპროკოდეს უკუანამსკ-
 ნელიცა იგი მოწამე ქრისტესი თანა-შერაცხად ახონებასა მათსა.

და იყოფოდა ნეტარი ჰაბო¹ საპყრობილესა შინა მარხვითა და ლოცვითა
 და ფსალმუნებითა დამე² და დღე³ განუსუენებელად და ჰყოფდა იგი ჰველის
 საქმესა. რამეთუ განვიდა მან ყოველი, რამცა აქუნდა მას, და ზრდიდა იგი მშვი-
 35 რთა და ნაკლულევანთა მის თანა პყრობილთა მათ. ხოლო ცრუ-მოძღუარნი იგი
 და შემასმენელნი⁴ შევიდიან მისა და ეტყვედ რომელნიმე რეცა სიტყვთა ლიქ-
 ნისათა: «შვილო, ნუ განიწირავ თავსა. შენსა, ნუცა სიჭაბუკესა შენსა განჰვაქ-
 40 შვიობხო ძვირ თავსა შენსა და შეგუაწუნე ჩუენ ყოველნი». და რომელნი-

¹ ჰაბო ბ. ² ჯელოვნებითა შეთხზული იგი შქული ბ. ³ ყოველთამსა ბ. ⁴ დაქ — ბ.
⁵ მათ+თანა ბ. ⁶ მოწამეთამსა ბ. ⁷ ღამე ბ. ⁸ დღე ბ. ⁹ შემასმენელნი ბ. ¹⁰ ქრის-
 ტიანდ ბ.

მე მათგანნი აშინებელ მას და ეტყუევდ: «რამ სარგებელ გეყოს ქრისტე¹ იგი შე-
ნი, ანუ ვინ გიჰსნეს შენ ჳელთაგან ჩუენთა, რამეთუ ცეცხლო და სატანჯველუ
აწვეუ განგვშაიდებეს შენთვის, არა თუ მოიქცე ჩუენდავე».

ხოლო ნეტარი იგი არა ისმენნ მათსა, არამედ ილოცავნ და უღარდილოდ
ფსალმუნებნ გონებითა თვისითა. და შემდგომად მრავლისა სიტყუსა მათისა 5
ჰრქუა: «ჩემდამო ნურას იტყოდეთ², რამეთუ მე, ვითარცა ყრუსა, არა მესმო-
და და ვითარცა უტყუმან რამ არა აღალის პირი თუსი, ვიყავ მე, ვითარცა კაცო
უსმი, რომლისა თანა არა არს პირსა მისსა სიტყუაჲ, რამეთუ მე უფალსა ეესავ-
განმეშორენით მე, უკეთურნო, და გამოვიძინე მე ჳცნებანი ღმრთისა ჩემისანი!»
და ვითარცა ვერ შეძრეს მართალი იგი, გამოვიდეს მიერ სიტყუელუნი. 10

და იყო ნეტარი იგი საპყრობილესა შინა ცხრა დღე³, და დღე ყოველ იმარ-
ხაჲნ და ღამის თევით დაადგრის განთიადმდე. ხოლო დღესა მას მეცხრესა ჰრქუა
ყოველთა მათ მის თანა პყრობილთა ქრისტიანეთა, ვითარმედ: «ხეალე განს-
ლვაჲ არს ჩემი და მისლვაჲ უფლოსა ჩემისა და ღმრთისა იესუ ქრისტესს თანა»,
რამეთუ ესე უფალმან გამოუცხადა თუსსა მას მოწამესა. და შაშინ განიძარცუა 15
მან სამოსელი თუსი და განსცა იგი სავაჰროდ, რამათა უყიდონ მას სანთელად
კერიონები და საკუმეველო, და წარსცა ყოველთა მათ ეკლესიათა ქალაქისათა,
რამათა აღანთონ. და მიაელნსა ყოველთა მდღელთა ვედრებით, რამათა ლოცვა-
ყონ მისთვის, რომლითა არა დაბრკოლდეს სარწმუნოებისაგან ქრისტესისა და
ღორს იქმნეს მოლუაწებასა მას ქრისტესს მოწამეთასა. 20

ხოლო მან ღამესა მას წმიდისა მის დღესასწაულისას⁴, ღამის თევასა მიიხუ-
ნა ორნი სანთელი დიდნი ჳელთა თუსთა და დადგა იგი შორის საპყრობილესა
და დაადგრა მდგომარს ზედა ფერქთა თუსთა ვიდრე განთიადმდე ყოველადვე
დაუქდომელად, ვიდრემდე აღასრულნა ფსალმუნნი, და სანთელნი იგი დაიწუნეს
ჳელთა შინა მისთა, რკინითა შეჳედილთა ზედა ქედსა მისსა; რამეთუ იტყოდა 25
მდგომარს იგი შეუძრველად, ვითარმედ: „წინაჲსწარ ვხედვედ უფალსა, წინაჲჲ
ჩემსა არს მარადის, რამეთუ მარჯულ ჩემსა არს, რამათა არა შევიძრა“, და შემ-
დგომნი იგი სიტყუანნი.

და რაჲამს განთენა მათს იგი დღს დღესასწაულისა მის მაცხოვრისა ნათ-
ლის-ღებაჲ, რომელი არს თთუესა იანეარსა ექუსსა⁵, იყო დღს იგი პარასკევი: 30
და თქუა ნეტარმან მან: «დიდ არს ჩემდა დღს ესე, რამეთუ ვხედავ ორკერძოვე
ძღვევასა უფლისა ჩემისა იესუ ქრისტესსსა, რამეთუ დღესასწაულსა ამას
შთაჲდა მდინარესა მას იორდანისასა განშიშულებული⁶ ნათლის-ღებად და
სიღრმეთა მათ შინა წყალთასა⁷ დამალულისა მის ვეშაპისა თავები ძალითა
ღმრთეებისაჲთა შემუსრა. ჳერ-არს ჩემდაცა დღესა ამას, რამათა განვიძარცო 35
შიში ვორცთა ამათ ჩემთაჲ, რომელი სამოსელ არიან სულისა ჩემისა, და შთავ-
ჳდე, ვითარცა სიღრმესა ზღვსასა, შორის ქალაქსა ამას და ნათელ-ვილო სისხ-
ლითა ჩემითა და ცეცხლითა. და სულითა, ვითარცა ქადაგა წინამორბედმან
იოვანე, და მერმე კუალად შთავჳდე წყალთა და კუალად განვნათლდე, რამეთუ
დღეს გარადამოსლვაჲ არს სულისა წმიდისაჲ ყოველთა ზედა წყალთა, რომ- 40
ლითა ნათელ-იღებენ ქრისტესს მოწამუნენნი სახედ იორდანისათა მათ მდინარე-

¹ ქმ ბ. ² იტყოდეთა ბ. ³ დღს ბ. ⁴ დღესასწაულისა ბ. ⁵ ექუსსა ბ. ⁶ განშიშულე-
ბული ბ. ⁷ წყალთასა ბ.

თა, და განზიჴულებითა ჴორცთა ჩემთაათა მტერისა მის მანქანასა შხაკუყარე-
ბანი, რომელ იზრახნა ჩემთვის, განებასრნე და დაეტყვენენ¹ ფერკითა ჩემითა შო-
რის ქალაქსა ამას.

და კუალად დღესა ამას პარასკევსა ვნებითა თვისითა უფალმან ჩემმან იესუ
5 ქრისტემან ჴუარსა მას განპყრობითა ჴელთა თვისთაათა განაქიქა და თითისა სა-
ჩუენებელ ყო ყოველთა კიდეთა ჴუეყანისათა მტერი იგი ყოვლისა სოფლისაჲ.
აწ მეცა თანა-მაც, რაათა განუქდე ბრძოლად² მტერისა მას ქრისტიანეთასა და
ქრისტესთვის დათხევითა სისხლთა ჩემთაათა საცინელ და საკიცხელ ვყო იგი
ყოველთა ქრისტიანეთა, რამეთუ ჰგონებდა იგი, ვითარმცა შიშითა სიყუდილი-
10 საათა განმაშორა სიყუარულსა უფლისა ჩემისა იესუ ქრისტესსა. ხოლო მე
საყუედრელ ვყო განზრახვა იგი მისი და ესძლო მას ქრისტეს მიერთა შეწვე-
ნითა და ორკერძობათვე იგი თანა-ნადები უფლისა ჩემისაჲ გარდავიკადლო.

მაშინ მოითხოვა წყალი და დაიბანა პირი თვისი და იცხო ზეთი თავსა
თვისსა და თქუა: «მაშინ სადამე ვიყავ თვთ მენელსაცხებელ³, კეთილად შემშზა-
15 დებელ სულნელთა მათ საცხებელთა, ხოლო ესე საცხებელი დღედ დაფულისა
ჩემისა არს, ამიერთვან არღარა ვიცხო განქარევებადი ესე მწირობისა ჩემისა
ზეთი, არამედ, ვითარცა «ქებასა შინა ქებათასა» ბრძენმან სოლომონ მასწავა
მე: «სულნელებასა ნელსაცხებელთა შენთასა ვრბიოდი», ქრისტე, რომელმან
აღმავსე მე განუქარევებელთა სარწმუნოებითა სიყუარულისა შენისაათა. იცი
20 შენ, უფალი, რამეთუ შეგყუარე შენ უფროას თავისა ჩემისა». და ესე რამ
თქუა, წარაღონა წმიდად ეკლესიად და მოჰკუარეს მას წმიდაჲ იგი საიდუმლოჲ,
ქორცი და სისხლი ქრისტესსა.

იყო ეამი იგი მესამე დღისა მის დიდისა დღესასწაულისაჲ. და ვითარცა
მოილო მან ჴეშმარიტი იგი განმაცხოველებელი საიდუმლოჲ, და თქუა: «გმად-
25 ლობ შენ, უფალი ჩემო და დემართო იესუ ქრისტე, რომელმან მომეც მე საგზ-
ულად ჩემდა ცხოვრების მომანიჴებელი კორცი შენი და სიხარულად და განმამ-
ტიციებულად ჩემდა პატიოსანი სისხლი შენი. აწ უწყე, რამეთუ არა დამიტევე
მე, არამედ ჩემ თანა დადგრომილ ხარ და მე შენ თანა. ამიერთვან არღარა
მოვილო სხუაჲ საზარდელი, რომლითა კუალად შმოიღის, და არცა სხუაჲ სასუ-
30 მელო, რომლითა კუალად მწყუროდის. არამედ კმა არს ჩემდა ცხოვრებად საუ-
კუნოდ: აწ დაღათუ ვიდოდი მე შორის აჩრდილთა სიკუდილისათა, არა შემეშო-
ნოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ, უფალი, ჩემ თანა ხარ».

და ესე ვითარცა თქუა, მყის მოიწინეს მსახურნი იგი მსაქულისანი, და
იჴნნა ყოველთა მათგან პყრობილთა ქრისტიანეთა და ჰრქუა: «ლოცვასა მომიჴ-
35 ტენეთ მე, რამეთუ არღარა მიზილოთ მე საწუთროსა ამას სოფელსა!» და გ-
მოიყვანეს ეგრესთვე ბორკილითა ფერქთა და ჴელთაათა და მიჴყვანდა იგი შო-
რის ქალაქსა. და რამელნი ჰხედვიდეს მას ქრისტიანენი და მეცნიერნი მისნი,
ერემლოოდეს მისთვის. ხოლო წმიდამან პაბო⁴ ჰრქუა მათ: «ნუ სტირთ ჩემ
40 გზავნეთ და მშუდობამან უფლისამან დაგიცვენინ თქუენს!».

ხოლო მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკუდარსა, ეგრე ჰხედვი-
და თვისსა მას გუამსა. და სულითა თვისითა მოგზაურ ქმნული თვთ იტყოდა

¹ დაეტყვენო ბ. ² ბრძოლად ბ. ³ მენელსაცხებლ ბ. ⁴ პაბო ბ.

ჟსალმუნსა ამას ას და ნეთარეამეტესა: «ნეტარ არიან უბორონი გზასა». და სა-
გალობელად მუქლისა მის თქვს შემდგომად სიტყუაჲ იგი ნეტარისა¹ მის ავაზა-
კისაჲ; «მომიქსენე მე, უფალო, ოდეს მოხვდე სუფევითა შენითა!»

და ესრჳთ მიიწია იგი კარსა მას მსაჭულისა მის ამირისასა. და რაჲმს მი-
იწია, კადნიერად დაჲწერა ჭუარი კარსა მას და თვთცა დაიბეჭდა ჭუარი. და წა-
რადგინეს იგი წინაშე მსაჭულისა მის. და ჰრქუა მას მსაჭულმან: «რამ არს,
ჰაბუკო, რამ განიზრახე თავისა შენისაჲ?» ხოლო წმიდაჲ მოწამე აღიესო
სულითა წმიდითა და ჰრქუა: «მე განვიზრახე და ქრისტისანი² ვარ!»

ჰრქუა მას მსაჭულმან მან: «არა დაგიტევებიეს სიცოფს და უგუნურებაჲ
შენი?» ჰრქუა მას ნეტარმან ჰაბო³: «უკუეთუშქა უმეცრებასა და უვეუნურება-
სა შინა ვიყავ, არამცა ღირს ვიქმენ შედგომად ქრისტესსა!» ჰრქუა მას მსაჭულ-
მან მან: «არა გიცნობიეს, რამეთუ სიტყუანი ეგე შენნი მომატყუებელ სიყუდი-
ლისა გექმნებთან შენ?» ჰრქუა მას წმიდამან ჰაბო⁴: «უკუეთუ მოგვუდე, მრწამს
მე, რამეთუ ქრისტესს თანა ვცხონდე. ხოლო შენ რამსა განაგრძობ? რამ გეგუ-
ლებდს ჩემ ზედა, იქმოდე, რამეთუ მე, ვითარცა კედელსა მავას, რომელსა მი-
ყრდნობილ ზარ, ეგრე არა მესმიან ცუდნი ეგე სიტყუანი შენნი, რამეთუ გონე-
ბაჲ ჩემი ქრისტესს თანა არს ზეცას».

ჰრქუა მას მსაჭულმან მან: «რამ ეგოდენი სიტკბოებაჲ გაქუს ქრისტესს
შენისაგან, რომლითა სიყუდილცა არა გეწყალოს თავი შენი?» ჰრქუა მას წმი-
დამან ჰაბო⁵: «უკუეთუ გნებავს ცნობად სიტკბოებაჲ მისი, შენცა გრწმენინ
ქრისტეს⁶ და ნათელ-იღე მისა მიმართ და მაშინლა ღირს იქმენ ცნობად სიტკ-
ბოებისა მისისა».

მაშინ განრისხნა ამირაჲ იგი და უბრძანა განყვანებაჲ მისი გარე და მოკუე-
თაჲ თავისა მისისაჲ. ხოლო მსახურთა მათ გამოიყვანეს გარეშე⁷ კართა, ეზოსა
მას ტაძრისასა, და განჰსნეს იგი ჴელით და ფერჴით საყრველთა მათგან რცი-
ნისათა. ხოლო ნეტარმან მან თავით თვისით განხეტჳა სამოსელი იგი, რომელ
ემოსა და განშიშულებულმან დაიბეჭდა ჭუარითა პირი და გუამი თვისი და
თქუა: «გმადლობ და გაკურთხევე შენ, სამებაო წმიდაო, რამეთუ ღირს მყავ მე
მომთხუედა ლუაწლსა მას წმიდათა მოწამეთა შენთასა!» და ესე რამ თქუა, უკუ-
ნისხნა ზე ჴელით თვისნი ჭუარის სახედ ზედა ზურგსა თვისსა და მხიარულითა პი-
რითა და კადნიერითა სულითა დაღად-ყო ქრისტესს მიმართ და მოუღრია ქე-
ლი თვისი მახვლსა.

და ვითარცა სცეს მას მახვლითა სამ გზის, რამეთუ ჰგონებდეს, ვითარმედ
შიშითა სიყუდილისაჲთა განაშორონ იგი ქრისტესს⁸, ხოლო წმიდაჲ იგი მარტ-
ული ღუმლით მჴნედ მიითუღვიდა მახვლსა, ვიდრემდის შეჰვედრა სული
თვისი უფალსა.

და ვითარცა იხილეს ქრისტესს მბრძოლთა მათ შემასმენელთა წმიდისა მო-
წამისათა, რამეთუ სრულ იქმნა ნეტარი იგი ქრისტესს მიმართ და ლუაწლი კე-
თილი მოილუაწა და სარწმუნოებითა და მოთმინებითა სძლო მათსა მას სიბო-
როტესა, უფროასლა აღივსნეს შურითა და შევიდეს წინაშე მძლავრისა მის და

¹ ნეტარისა ბ. ² ქრისტეს ბ. ³ ჰაბო ბ. ⁴ აბო. ⁵ ქმ ბ. ⁶ გარეშე—ბ. ⁷ ქმსსა ბ.

პრქუეს: «ჩუენ ვიცით, რამეთუ ჩუეულებამ არს ქრისტიანეთამ ესრე სახედ¹:
თუ ვინმე თავი მოიკლას ქრისტეს მათისათჳს, მოიპაროან გუამი მისი და პატივ-
-სიან მას დაფლვითა და ტყუელით რეცა თუ სასწაულსა და კურნებასა² რას-
5 მე განსთქუმედ ერსა შორის და სამოსელსა და თმასა თავისა მისისასა და ძუალ-
სა მისსა განიყოფედ, რეცა საცოდ სნეულათჳს, და მით სახითა შრავალნი
უტებნი შეიტყუენიან. აჲ ბრახანე გუამი მისი მოცემად ჩუენდა, რამთა განვი-
ლოთ და დავწუათ იგი ცეცხლითა და განვაქრიოთ იგი და აღვკოკოთ საცთუ-
რი ქრისტიანეთამ, რამთა იხილონ ყოველთა და შეეშინოს და რომელნიმე მათ-
განნი მოიქვენ ჩუენდა და ჩუენგანთა ეშინოდის და არღარა შეუდგენ სწავლასა
10 ქრისტიანეთასა». და ამას დაღათუ ქრისტიანეთა შურისათჳს იტყოდეს, არამედ
ქეშმარიტსა და მართალსა წამებდეს, ვითარცა-იგი არიან ქრისტეს მოწამენი³
მეურნალ და მეფს ყოველთათჳს, რომელი მიებალნენ მათ ქრისტეს მიერთთა
სიყუარულითა და საწმუნოებითა. ხოლო პრქეუა მათ მსაჭულმან: «წარიღეთ,
ვიდრეცა ვნებავს, და ყავთ, ვითარცა თვთ იეთი»
15 მაშინ გამოვიდეს და აღიღეს ქუეყანი პატიოსანი იგი გუამი ქრისტესს მო-
წამისა და შთადევს იგი გუალაგსა მას აღსაკიდებელსა სამოსლით მისითურთ
და სისხლი იგი დათხეული მართლისამ მის აღმოთხარეს ქუეყანით და რამთურ-
თით არარამ დაუტყვევს ქუეყანასა და იგიცა შთადევს ქურჭელსა შიდა. და
დადევს წმიდას იგი ურემსა ზედა, მსგავსად მქნეთა მათ წმიდათა ორმოცთა,
20 რამეთუ სადა-იგი მოქუეთენს თავი წმიდასა მას მოწამესა, კართა ზედა წმიდის-
სა ეკესისისათა, რომელი სახელად წმიდათა ორმოცთა დაფუძნებულ იყო,
წესეე იყო, რამთა ემსგავსოს იგი ახოვანთა მათ წმიდათა მოწამეთა ორმოცთა⁴.
და ვითარცა გამოიღეს წმიდას იგი გუამი წმიდისა მის გარეშე ქალაქსა და
აღიღეს ადგილსა, რომელსა საგოდებელ ეწოდების (რამეთუ მუნ არს საფლა-
25 ვები კაცთა მის ქალაქისათამ), და გარდამოიღეს იგი ურმისა მისგან და დადევს
იგი ქუეყანასა. და შიორღეს შეშამ და თიგვამ და ნაფთი და დაასხეს გუამსა მას
ზედა წმიდასა და დააგზენს ცეცხლი, ვიდრემდის დაწუნეს ქორცინი იგი წმი-
დისა მოწამისანი ადგილსა მას, რომელ არს აღმოსავალით ციხესა მას ქალაქი-
სასა, რომელსა პრქვან სადილეგო, პირსა ზედა კლდისასა, რომელ არს კბოღმ.
30 კლმ მდინარისა მის დიდისა, რომელი განჭელის აღმოსავალით ქალაქსა. ესე
არს სახელით მტკუარი. ხოლო ადგილსა მას არავის აუფლეს მისლად ქრისტი-
ანეთაგანსა, ვიდრემდის აღასრულეს დაწუეამ იგი ქორცთა მათ წმიდისა მოწამი-
სათამ.

ხოლო ძუალთა მათ წმიდისა მოწამისათა რომელთა ვერღარა უძლეს და-
35 წუევამ, შთაკრიბნეს ტყავსა ცხოვრისასა და შეეკრნეს მტკიცედ და მიიხუნეს
და შთაყარნეს დიდსა მას მდინარესა, ქუეშე ჳილთა მათ ქალაქისათა, რომელსა
ზედა აღმართებულ იყო პატიოსანი ჳუარი ჳილისა და იქმან წყალი იგი მდინა-
რისამ მის წმიდათა მათ ძუალთა სამოსელ გარე-შეხვევითა მით და სიღრმე
იგი წყალთამ საფლავ წმიდისა მის მარტვლისა, რამთა არავინ უღებად მიეხოს
40 მათ. ქრისტეს მბრძოლთა მათ ესრე ყვეს და ესრმთ ღუაწლი კეთილი მოიღუა-
წა ნეტარმან მან.

მაშინ იწყო სიმრავლემან ქალაქისამან ქრისტიანეთაგან და განაგდეს შიში

¹ სახედ ხ. ² კურნებას ხ. ³ მოწამენი მწყემსნი ხ. ⁴ [რამ]ეერთი ხ.

მძლავრთაჲ მათ და განვიდოდეს ყოველნივე ადგილსა მას, სადაცა დაწუნეს
 კორცნი იგი წმიდისა მოწამისანი: მოხუცებულნი მირბოდეს კუერთხებითა
 თვისითა, მკელობელნი ხლდომით, ვითარცა ირემნი, კბაუენი სრბით, ყრმანი
 5 კლდომით ურთიერთას, დედანი მსგავს იყვნეს წმიდათა მათ მენეღსაცხებულთა.
 რომელთა სრბით მიაქუნდა სულნელები იგი წმიდასა მას ქრისტეს ღმრთოსა
 ჩუენისა საფლავსა¹. ნარდვლვე იყვნეს ესეცა მსგავს მათა, რამეთუ რბოდეს
 ცრემლითა და მიაქუნდა მათ თანა სანთლები და საკუმეველი ჯელითა თვისითა.
 ყოველნივე სიხარულითა და მადლობითა ქრისტესითა მივიდოდეს და აღიღებ-
 10 დეს მიწასაცა მის ადგილისასა და მრავალნი სენთაგან შეყრობილნი მიჰყვან-
 დეს, და მასვე დღესა შინა განიკურნებოდეს. ხოლო ყოვლად ძლიერმან ღმერ-
 10 თმან უფროას გამოაჩინა ძალი თვისი და პატივ-სცა თვისსა მას მარტულსა და
 აჩუენა სასწაული საკვრეელი, რაჲთა უწყოდინა ყოველთა, რამეთუ ქრისტეს
 მოწამს არს.

ვითარცა შემწუხრდა დღმ იგი და იყო ეამი პირველი ღამისაჲ მის, გარდა-
 15 მრავლინა უფლმან ადგილსა მას ზედა ვარსკულავი მოტყინარს, ვითარცა ლამ-
 პარი ცეცხლისაჲ რომელი მყოვარ ეამ დგა ადგილსა მას, სადაცა დაწუნეს ნე-
 ტარი იგი მოწამს ქრისტესი. და დგა იგი ზე ჰაერთა, ვიდრე სამ ეამადმდე,
 გინა უმეტეს, ღამისა მის, რომელი გამოუტევებდა ბრწყინეალებჲსა არა თუ
 ვითარცა ცეცხლი ესე ქუეყანისაჲ, არამედ ვითარცა საშინელებჲჲ² ელისაჲ,
 20 რომელსა ჰხედვიდეს ყოველნი მოქალაქენი, მსაქულიცა იგი და ყოველი
 ერი და მკვდრნი იგი ქრისტიანეთანი და ყოველნი სარკინოზნი და შწირნი,
 სხუთ მოსარულნი; მყოვარ ეამ ჰხედვიდეს გუგაჲთა თულასაჲთა, ვიდრემოდის
 25 ჰქედმებოდცა მძლავრთა მათ. მი- ვინმე- ვიდეს ხილვად ადგილსა მას მსახურ-
 თაგანნი მსაქულოსა მის ამირისანი, რამეთუ ჰგონებდეს, ნუქუე ქრისტიანეთა
 ადანთეს სანთელი ადგილსა მას. და ვითარცა მიეახლებოდეს ადგილსა მას,
 25 იხილეს, რამეთუ აღმადლებოდა ვარსკულავი იგი ზე ჰაერთა, და ვერ მიეახლ-
 ნეს ადგილსა მას, რამეთუ შეიპყრნა იგინი შიშმან საღმრთომან.

ხოლო კუალად მეორესა ღამესა უმეტესლა წყალთა გამოსცეს განსაკვრე-
 ბელი ნათელი; რომელთა-იგი საუცარ ეგონა ქუეყანასა ზედა³ და ჰაერსა ქუე-
 30 შე ცეცხლი იგი ზეცისაჲ, და უნდა დაფარედ საკვრელებათა მათ, კუალად
 7ვალთა ვერვე დააყენეს და ვერცა დაშრიტეს ფიცხელთა მათ მფოფინარეთა
 ღელვათა, სადა-იგი შთაყარნეს ღმრთიე პატივ-ცემულნი იგი ძუალნი სანატრე-
 ლისა მის მოწამისანი, ჳიდთა მათ ქუეშე, აღმოზარწყონდეს ნათელნი სუეტის
 მსგავსად, ვითარცა ელვანი, რომელნი კუალად მყოვარ ეამ დგეს, და განათლუ-
 35 ბულ იყო გარემოას კიდეთა მის მდინარისათა ებოდს იგი და ჳიდნი ზსთგან
 ვიდრე ქუედმდე, რომელსა ევრევე ყოველი სიმრავლმ ქალაქისაჲ ჰხედვიდა,
 რაჲთა ყოველთა ჰრწმენეს⁴, რამეთუ ქეშმარიტად იესუ ქრისტეს, ძისა
 ღმრთოსა, მარტული არს, და გულისხმა-ყონ ყოველთა ქრისტეს ზოარწმუნეთა
 და ურწმუნოთა, რამეთუ ქეშმარიტ არს სიტყუაჲ იგი, რომელ თქუა, ვითარმედ:
 40 «მე თუ ვინმე⁵ მსახურებდეს, პატივ-სცეს მას მამამან ჩემმან, რომელ არს ცა-
 თა შინა».

¹ ჩწისისასაფლავსა ხ. ² საშინელებჲჲ ხ. ³ ზედა — ხ. ⁴ ჰრწმენეს ხ. ⁵ ვინმე — ხ.

უკუეთუ ქორცთა მათ განკრწნაღთა ! ესოდენი პატივი აწვეე აჩუენა, რავდენ უფროას უხრწნელად ¹ აღდგომასა მას მართალთასა დიდებითა და პატივითა გვრგვინოსანი იხილონ შორის ანგელოზთა და პრცხუენოდის უგუნურად სიბორ- გილისა მათისათუს, რომელთა ქრისტე უვარ-ყვეს და წმიდათა მისთა ჰკუემდეს

5 და სღეენიდეს და მოსრვიდეს, ხოლო უფალი შეიწყნარებდა ცათა შინა!

ხოლო აწ, საყუარელნო, ჳერ-არს ჩუენდაცა ამიერითგან უმეტესადლა შეწყნარებად პირველთა მათ სანატრელთა მოწამეთა, რამთა ხილულისა ამის- გან ახლისა მოწამისა პირველთადაცა მათი გურწმენეს ² და ვთქუათ სიტყუაჲ იგ- ნეტარისა დავითისი: „პატიოსან არს წინაშე უფლისა ჰიკუდილი წმიდათა მის- თაჲ“. და მისა შუენის დიდებაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამღე- ამჟნ!

მ ი ო თ ხ მ თ ა ვ ი

ქებამ წმიდისა მოწამისა ჰახოზისი

აწ მოვედით, ქრისტტს მორწმუნენო, და ვდღესასწაულობდეთ ჳენებასა- ახლისა ამის წმიდისა მოწამისასა, რომელი ყოველსა ამას სოფელსა ჩუენსა ჳარ- თლასასა მეზხად ჩუენდა ქრისტემან მოგუანიჳა, და სიხარულითა მრავლითა განვებუნეთ საუნჯენი გულთა და გონებთა ჩუენთანი და მხიარულითა პირითა და განმარტებულისა ენითა ვაქებდეთ კეთილად მოღუაწებასა მისსა და ვიტ- უოდით:

20 გიხაროდენ, სანატრელო მოწამეო, უფლისა მიერ, რამეთუ შენ, უკუანამსკ- ნელი ესე მუშაკი მაცხოვრისა ჩუენისაჲ, მეთერთმეტისა ⁴ ეამისაჲ მღღეერთა ⁵ მათ თანა აღმსოთბილთა მიეწიფე და მათ თანა სასყიდელსა არა ⁶ დააკლი!

გიხაროდენ, მოწამეო, უფლისა მიერი შენ მიემსგავსე უკუანამსკენელსა მას მოციქულსა პავლეს მამულთა მათ შჭულთა და მოძღურებთა განგდებითა და

25 ქრისტტს, ძისა ღმრთისა, აღსარებითა; მსგავსადვე მისა თავი მოგეკუეთა.

აწ ვინ-მე ღირსად გაქებდეს შენ ჳეშმარიტად საქებელსა? მნებავს ქებად შენდა, ყოვლად ქებულო ქრისტტს მოწამეო, არამედ ვერ ვიკადრებ, რამეთუ უფროას გონებისა ჩემისა აღმაღლდა ქებამ სათნობებთა შენთაჲ. და კუალად მეშინის მე დადუმებად, რამეთუ სანატრელითა მით ქრისტტს მიერითა სიყუ- არულითა შემიყუარე მე, ვიდრე იყავდა სოფელსა ამას შინა ჩუენსა. აწ სუ- უკუე ⁷ დაყენებითა ენისა ჩემისაჲთა ქებასა შენსა დაეყენოს ჩემთუსცა მოღუა- წებამ მეოხებისა შენისაჲ ქრისტტს მიმართი აწ შენ მიერვე მოღებითა მადლისა მის ქრისტტსისაჲთა, მსგავსად ძალისა ჩემისა, გაქებდე შენ, შუენიერიებითა შემ- კულო უფლისა მიერი!

35 გიხაროდენ, სანატრელო მოწამეო, უფლისა მიერი რამეთუ შენ თუალით მხილველთა და ჳელით მახურთა წმიდათა მოციქულთა ქრისტტსთა უხილავად სარწმუნოებითა და სიმჳნითა და ⁸ აღსარებითა ნეტარებამ მოიგე.

რამეთუ შენ მამამან ზეცათამან მხოლოდ-წობილისა ძისა თუსისა მიერ გვრგვინოსან გყო და სულისა წმიდისა მადლითა აღვავსო!

¹ ასეა ხ. (ჳარიო). ² ასეა ხ. (ხანით). ³ გურწმენის ხ. ⁴ ასეა ხ. ⁵ მღღეერთა ხ. ⁶ არაა ხ. ⁷ სუკუე ხ. ⁸ და! — ხ.

შენ ძემან მამისა მიერ შეგოწყნარა და სულმან წმიდამან გადიდა!

შენ სულმან წმიდამან შეგიყუარა და მამისა და ძისა თანა ერთობითა თვისთა პატივ-გვა და ლეაწლისა მძლედ გამოგაჩინა!

შენ ზედა განუყვარდა ანგელოზთა წესსა, რამეთუ ვითარცა უქორცომა დათმონე სიკუდილი ქრისტესსათვის!

5

შენ ზედა მამათ-მთავარნი¹ იხარებენ, რამეთუ ნეტარმან აბრაჰამ თვისთა ნაშობთაგან შეგიწყნარა წიაღთა თვისთა ქრისტესსთვის, რომელ-იგი კარავსა თვისსა შეიწყნარა და მისგან მრავალთა ნათესაეთა² გამოჩნდა მამად³.

შენ ქრისტესს მოწამეთა მათ ნაყოფ ექმენ და მოციქულთა მოწათე!

შენ მოწამეთა მათ შორის ზეცისა მეუფისასა მას მატიაანსა სახელით დაიწე-
რე და მარტულთა თანა გვრგვინოან იქმენ!

10

შენ აღმსარებელთა მათ თანა განეწესე და მართალთა თანა დიდებულ ხარი!

შენთვის ფრიად დამიკვრდების ჩუენ, წმიდაო მოწამეო, რამეთუ ეამსა ამას ოდენ მეფობისა ისმაიტელთა დიდებასა შენ ნეფსით სიმდაბლმ ქრისტესსთვის აღიჩიე და მახვლითა პყრობილი იგი შჭული განაგდე და ქეშმარიტი იგი აღიარე და ჭუარ-კუმულსა მას თაყუანისა-ეც უფლად და ღმრთად!

15

ვინაჲ, ანუ ვისგან ისწავე ქრისტესსთვის ესოდენი ცნობაჲ? რომელმან საკვრეულებმან აღგიყვანა შენ დიდებასა სასუფეველსისასა?

შენ ქეშმარიტად მარჯუენითსა⁴ მას ავაზაკსა ემსგავსე, რამეთუ გაქენდა შენცა ერთი შენ თანა პყრობილთაგანი, ნაშობი ქრისტიანეთაჲ, რომელი განდრეული იყო ქრისტესსაგან და მიღევნებულ შჭულსა უცხოთა, ხოლო კულად ქრისტესს აღსარებისათვის შენ თანა განიკითხვოდა, არამედ საწყალობელსა მას კულადცა უბრკუმბა და დაეცა. რამეთუ შიშისაგან სიკუდილისა საწუთროჲ ესე შეიყუარა და საუკუნოჲ იგი წარწყმიდა მტერმან ბოროტმან აღიტაცა და

25

ცხოვარი იგი ქრისტესსი ნამგლუე იქმნა. რამეთუ მწყემსსა მას კეთილსა განეშორა და არგანი იგი ქრისტესს ძლიერებისაჲ განაგდო ქელთაგან თვისთა, ამისთვისცა იძლია და განეარდა სამწყსოჲსაგან პირმეტყუელთა ცხოვართაჲსა. ხოლო შენ, სანატრელო მოწამეო, კუერთხითა მით, ჭუარითა თვისთა, დაგიცვა მსგავსად ძლიერისა მის სარწმუნოებბისა შენისა მისა მიმართ.

30

შენ ავაზაკსა მას ესწორე სარწმუნოებითა და სამოთხეჲა განეწესე!

შენ კარი იგი სამოთხისაჲ განაღე ჭუარითა ქრისტესსითა და მცველთა მათ ქერობინთა ცეცხლოს მსგავსთა ვერ განგიკითხეს, ვითარმედ ვინ ხარი!

და რადღა-მე ვთქუა უფროჲს, რამეთუ უფლმან იენო ჩუენთვის, უბრალომან ბრალეულთათვის დასთხია სისხლი თვისი უბიწოჲ, ხოლო შენ გარდაიქანდე თანა-ნადებბი, რამეთუ შენცა დასთხიე სისხლი თვისი სიყუარულისა მისისათვის. ამისთვისცა ძლიერისა გვრგვინითა შეგამკო შენ და სასუფეველსა მისხა მკვდრად გამოგაჩინა!

35

შენ გამო, წმიდაო მოწამეო, სიყუარული⁵ იგი ქრისტესსი ჩუენდამო და სარწმუნოებბაჲ ჩუენი მისა მიმართ კულად განახლდა, რამეთუ აღვერეინით ერსა, უცხოთა შჭულთითა, განდგომილსა ქრისტესსგან, ნათესაესა საწუთროჲსა ამის მოყუარესა, თესლსა ურწმუნოსა ძისა ღმრთისასა, სარწმუნოებბისა ჩუენი-

40

¹ მამად-მთავარნი ხ. ² ნათეთა ხ. ³ მადლად ხ. ⁴ მარჯუენით ხ. ⁵ სიყული ხ.

სა მაგინებელთა, რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნი და ვპმონებდით გუ-
ლის თქუმასა გულთა ჩუენთასა მიბაძვებითა მათითა, ვითარცა უსასონი ქრის-
ტესგან და დამეიწყებელნი საუკუნოასა ცხოვრებისანი. ხოლო აწ შენ მიერ
მოგუეახლა ქრისტე¹ და ჩუენ გულისხმა-ეყავთ² კუალად შიში მისი და სიყუ-
რული მისი და მადლსა მისსა ღირს ეიქმენით და სიყუარულსა მისსა და წყა-
ლობასა დღითი-დღედ მრავალთა სასწაულთა და კურნებათა ჩუენ შორის გამო-
ჩინებითა!

შენ უგუნურთა მათ შემწირველთა შენთა მახვლითა და ცეცხლითა უმე-
ტეს ალისა ვანგაბრწყინეეს³. ვერ გულისხმა-ეყეს უგულისხმოთა მათ სიტყუაჲ
იგი უფლისაჲ ვითარმედ: „იყოს, ყოველმან რომელმან მოგწყვდნეს თქუენ,
3 პგონებდეს, ვითარმედ მსხუერპალი შეწირა ღმრთისა“. * უგუნურებაჲ და
უმეტეს უგუნურებაჲ იგი მათი, რამეთუ რომელ-იგი პირველ არავინ გიყოდა,
ვითარმედ ვინ ხარ, ანუ რომლისა ჩათესავისაგან, ანუ რომლისა ერისაგან, ანუ
რომლისა შევლითა სცხონდებოდე! აწ ესერა უნებლებით წარმოგაჩინეს საცნა-
ურად ქრისტეს აღმსარებელად და მარტვლად ყოველთა შეგისწავეს.

შენ ყოველთა დაბადებულთა პატივ-გცეს⁴, რამეთუ ცაჲ მოწამე არს სი-
მართლესა შენსა უცხოასა ცეცხლითა გარდამოვლინებითა ადგილსა მას ზედა
რომელსა, ვითარცა კრავი უმანყოჲ, შეიწირე, შემწუჯარი ცეცხლითა.

შენ ქუეყანამან მსხუერპლად წმიდად და სათნოდ მიგბიყრა⁵ ღმერთსა, მას
ზედა დაწუვითა პატიოსნისა გუამისა შენისაჲთა, რამეთუ გექმნა შენ, ვითარცა
20 საკურთხეველი იგი აბელისი, ენუქისი, აბრაჰამისი, ელიასი, რო-
პელნი-იგა მრგულიად დასაწუველთა მათ ტარიგთა შესწირვიდეს ღმრთისა,
და კულად ადგილი იგი სამსხუერპლოასა შენისაჲ ემსგავსა ბერვარსა⁶ აპრო-
ნისსა და ზაქარიაასა დიდელთაასა, და რამეთუ ნაკუერცხლასა მას ზედა ცეცხ-
25 ლისსა ადვილოდა, ვითარცა ბუღუნელებაჲ საკუმეველთაჲ ქორცთა მავათ
შენთაჲ წინაშე უფლისა, წმიდასა მას წმიდათაჲ, ზეცისა საკურთხეველსა!

შენ მდინარეთა მავათ შეგიწყნარეს, ვითარცა ქრისტეს მარტული, ხოლო
ქრისტემან ღმერთმან სიღრმეთა მათ სიბნელს ზეცისა ნათლითა განაბრწყინეა!
შენ ნათესავთა შენთა უცხო და განგდებულ გყვეს, ხოლო ქრისტემან ის-
მითელთა შორის, ვითარცა ვარდი ეკალთაგან, გამოგარჩია და მიგბიყრა
30 თუსსა მას ეკლესიასა!

შენ, ველური ეგე ზეთისხილი, მოგილო ქრისტემან და მტილსა მას შინა
თუსსა სამკვდრებელსა ნაყოფად კურთხევისად დაგნერგა და ნაყოფითა მით
სარწმუნოებისა შენისაჲთა ახარა ეკლესიასა, რომელსა შინა იშუებენ ქრისტეს
მორწმუნენი და პნატრიან შენსა მას დიდებულეებასა, შენსა მას მოლუაწებასა,
35 შენსა მას სიმწესსა. შენსა მას მარტვლობასა, შენსა მას გვრგვონსენებასა!

ვითარ-მე გაქებდე შენ, ლუაწლისა მძლეო წმიდაო მოწამეო, რამეთუ შენ,
ახალი ეგე ქრისტეს მორწმუნეს, მოძლუარ ჩუენდა იქმენ, სწავლულნი უფროას
გულისხმიერ ჰყვენ, შერყეულნი უფროას განამტკიცენ, განმტკიცებულნი განამ-
ხიარულენ, წარმართნი წაღიერ ჰყვენ ქრისტეს მონებად, საქსენებელი მარტვ-
40

¹ ქ-მ ბ. ² გულისხმა-ეყავთ ბ. ³ განგაბრწყინეეს|+შენ ბ. ⁴ პატივ-გცეს ბ. ⁵ მიგბიყრა ბ.
⁶ ბერვარსა ბ.

ლობისა შენისაა ჩუენ დაგვტევე, სახელსა შენისა . მითხრობად ყოველთა ქადაგ ვიქმნენით!

აწ ვევედრებით შენსა ქრისტეს მოუუარებასა, მეოხმცა ხარ წინაშე მაცხოვრისა ყოველთათჳს, რომელნი შენ მიერ ითხოვენ წყალობასა ქრისტეს ღმრთისაგან. რომლისაა არს დიდება და პატივი და ძლიერება თანა მამით და ყოველად წმიდით სულითურთ აწ და მარადის¹ და უკუნითი უკუნისამდე². ამენ³.

5

ამონიოს

ცხორებაჲ წმიდათა და ნებატთა მამათაჲ, რომელნი მოიხრნეს მთასა სინასა და ჩაითს ბარბაროსებაჲ

აღწერა წმიდამან ამონიოს

10

პოიჯდა ოდესმე გულსა, ძმანო ჩემო, დღესა ერთსა ვჯედ რაჲ სენაკსა ჩემსა, მახლობელად ალექსანდრიასა, ადგილსა, რომელსა პრჭჳან კანოპე, რაჲთა წარვიდე პალესტინედ, რამეთუ ვერ დაუთმობდი ხილვად ქრთა და განსაცდელთა. რომელნი შეემთხუროდეს მარადლ ძმათა ჩემთა ქრისტიანეთა ალექსანდრიას შინა უღმრთოთაგან კერპთ-მსახურთა.

15

და ნეტარი მამაჲ ჩუენი პეტრე, მამათ-მთავარი ალექსანდრიისაჲ, იელტოდა და იმალვოდა ადგილითი ადგილად და ვერ შემძლებელ იყო მწყსად სამწყსოსა მისსა განსუენებით, ვითარ-იგი მას უნდა. და კულად გულმან მითქუა-ლოცვად ადგილთა წმიდათა, რაჲთა თაყუანის-ცსცე საფლავსა და აღსადგომელსა ცხორების მომცემელსა და რაჲთა მოვიხილნე ადგილნი, რომელთა შინა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე იქმოდა საკვრეელთა დიდ-დიდთა, და ვითხოვე ღმრთისაგან შეწეენასა ამისთვის, და მომბაღლა მე ესე უფალმან ჩუენმან, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნისამდე.

20

და ვითარცა მივედ ელიად და მოვილოცენ წმიდანი ადგილნი და აღვისრულე ნებაჲ ჩემი, ვითარცა გული მითქუმიდა, მადლი მივეც ქრისტესა, უფალსა ჩემსა, რომელმან განმიმარჯუა ესე ყოფად წყალობითა მისითა. და მერმე კულად გულმან მითქუა ლოცვად მთასა სინასა და მომცნა მე ღმერთმან კეთილნი მოუყასნი კაცნი ქრისტიანენი.

25

და ვითარ გამოვედით ელიაჲთ, წარვედით გზასა უდაბნოასასა და მივიწიეთ მთასა ზინასა მუათრეჲმეტესა დღესა და მოვილოცეთ წმიდაჲ იგი ადგილი. 30 და დავეკენ მუნ მცირედნი დღენი, რაჲთამცა ვიკურთხე წმიდათა მამათაგან და სულიერთა და მოვიდე ლოცვისაგან მათისა. რამეთუ მივიდი მე სენაკებსა მათსა ყოველთა დღეთა, და სარგებელ მეყვის კეთილისაგან სწავლისა მათისა. ხოლო თავადსა კვრიაკესა სხენედ იგინი სენაკებსა მათსა, გარემო მთასა მას წმიდასა. და რაჲამს მოიწიის შაბათი მწუხრი, შეკრბიან ეკლესიად და ერთბამად 35 აღასრულიან ლოცვაჲ კვრიაკისა ღამისაჲ და განთიადისაჲ. და რაჲამს ეზიარნიან, მიიქცის თითოეული მათი სენაქადე თჳსა მთად.

და იყენეს იგინი ვითარცა ანგელოზნი ღმრთის მსახურებასა შინა. და პირ-

¹ ოა მს და მს ხ. ² ოქ-თი ოქ-ე ხ. ³ ასუა ხ. (ქარაგმა განხნილთა).

ნი მათნი ყუთელ იყენეს და ჭორცნი მათნი დამქნარ მარხვითა და ღამის თევითა, რეცა ვითარცა უჭორცონი, და არარას ზრუნვიდეს განსასუენებელსა ამის სოფლისასა—არცა ღვწოსა და არცა ზეთსა, არცა პურსა, არამედ მცირედ დანაკის-კუდსა და ხილსა განწმელსა საქმრად ჭორცთა. ხოლო მამასახლისსა უცნ მცირედ ჭური უცხოთათვს, ლოცვად მომავალთა.

5 და ვითარ გარდაქდეს მცირედნი ღღენი, მოკულდა მთავარი სარკინოზთაჲ, და დაგუესხნეს ზედა ერი მრავალი უგრძნულად სარკინოზთაჲ. და რომელნი პოენეს მთასა გარე მონაზონნი სენაკებსა შინა, მოწყუდნეს; და რომელნი კოშკსა მას შინა იყენეს მახლობელად ეკლესიასა, და ვითარ აგარძნეს, ივლტოდეს და შევიდეს კოშკსა მამასახლისსა თანა წმიდასა ამბა თევდოლოსს. კეშმარიტად მონაჲ იყო იგი ღმრთისაჲ, რამეთუ უმშუდეს იყო იგი ყოველთა კაცთა და უსულგარძელსა. ამისთვის უწოდეს მეორე მოსს.

10 ხოლო რომელნი იყენეს მონაზონთაგანნი სერგის წმიდას, ანუ ჭეთრეს, გინათუ ჭორებს. გინა სხუათა ადგილთა და ქვეთა, მოწყუდნეს და მოაწიეს ვიდრე კოშკადმდე. და მცირედლა და მო-მცა ვიდრემე-ვეკლენით ჩუენცა თვნიერ ყოვლადვე წინა-აღდგომისა, გინა სიტყუსაჲცა ერთისა მიგებია. არამედ მოწყალემან ღმერთმან, რომელმან არა უგულებელს-ყვის თხოვაჲ, რომელნი ითხოვედ მისგან ყოვლითა გულითა, აჩუენა თავსა ზედა მის მთისასა ცეცხლი ფრიად დიდი, რამეთუ ყოველი იგი მთაჲ კუმოდა, და ცეცხლი იგი აღიწყოდა ვიდრე ცადმდე.

25 ხოლო ვითარ ესე ვიხილეთ, შიშმან და ძწოლამან დიდმან შემოიპყრნა ჩუენ, და დავცვენით პირთა თვისთა ზედა თაყუანის-ცემად უფლისა და ვევედრებოდეთ, რათა გვქსნეს ქირისა მისგან, რომელსა შინა ვიყვენით.

30 და ვითარცა იხილეს სარკინოზთა მათ ცეცხლი იგი, შეეშინა შიშითა დიდითა და ივლტოდეს და ზოგი აქლემებისა. მათისაჲ და საჭურველისა მათისაჲ დაყარეს შიშისაგან. და ჩუენ მაღლი შევწირეთ უფლისა და გარდამოვედით მიერ კოშკით და ვიწყეთ სლვად მთასა მას გარემო სენაკებსა მონაზონთასა და ვეძიებდით, ვინ-ძი მათგანი მოუკლავს. და ვპოვეთ ოც და ათრვაამეტი კაცი მოკლული. და იყო ჭორცთა მათთა მრავალი წყლულებაჲ, და არაეინ ვპოვეთ, რომელმანმცა გვთხრა, თუ ვითარ სახით მოწყუდნეს ივინი, რამეთუ არაეინ და-

35 ხულა მათ. და ამათ ოც და ათრვაამეტათგან ვპოვენით ჭეთრეს ათორმეტნი. და კულად ვპოვენით ორნი სხუანი ცოცხალნი, არამედ ივინიცა წყლულ იყენეს. სახელი ერთისაჲ მის ამბა ესაია და მეორისაჲ მის ამბა საბა. და დავფლენით წმინდანი იგი და ვიწყეთ კურნებად წყლულთა მათ წუხილითა დიდითა და ტირილითა მწართა.

40 ვინმცა იყო გულ-ფიცხელი, გინა უწყალოჲ და არამცა ტირილდა და წუხდა, ხედვიდა რაჲ კაცთა მათ მოხუცებულთა და ღმრთის მსახურებდაჲ შინა დაბერებულთა მარხვითა და ლოცვითა და მრავლითა მღვდარებითა და ვედრებითა დღე და ღამე, ხედვიდა რაჲ მღვდარეთა მოკლულთა! რომელსამე თავი მისი ტყავითა ოდენ ეკიდა ქელდა მისსა; და სხუაჲ ყოვლადვე ორად განუუთილო იდვა: და რომელსამე წყლულებათა სიმრავლითა თუალნი წამოკვენებულ იყენეს: და სხუაჲ ქელით და ფერკით დაჭრილი იდვა ვითარცა ქუნდი. და რაჲსაღა განუაგრძობდე სიტყუასა, მძანო ჩემნო საყუარელნო? ვერვინ შემძლებელ არა მითხრობად, რომელი იხილეს თუალთა ჩემთა, რაჲამს განვიხილევდით ჭორცთა წინდათა მათ მოწამეთასა.

ხოლო ამბა საბა საკონელ იყო, თუ განერეს, რამეთუ წყლული მისი არა ეგოდენ ფიცხელ იყო, და ქმადლობდა ღმერთსა შემთხუევასა მას ზედა და მუუხარე იყო არა სიკუდილისათვის მოყუასთა მისთა თანა და ტიროდა და იგლოვდა და იტყოდა: ვაჰ მე, ცოდვილსა ამას, რომელი არა ღირს ვიქმენ შერაცხად მამათა ჩემთა თანა, რომელნი მოწყდეს სიყუარულისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტისა, არამედ ვიპოვე მე მეთერთმეტისა ეამისათა თანა; ვაჰ მე, რომელმან ვიხილე ნავთ-სადგური მუუფისა და ვერ შევედ მას შინა.

და ესრეთ ილაოცვიდა და იტყოდა: უფალო, ყოვლისა მპყრობელო შენ. რომელმან ვითარცა ინებე, მოავლინე ძმ შენი მხოლოდ-შობილი ქსნისათუჲა შეილთა ადამისთა, შენ მხოლოო მოწყალეო და მაცხოვარო, ნუ განმამორებ მამათა ჩემთაგან წმიდათა, რომელნი მოწყდეს სახელისა შენისათვის, არამედ აღასრულე რიცხვ წმიდათა შენთა ორმოცთაჲ ჩემ ცოდვილსაგან წყალობთა შენითა, ქრისტე, ღმერთო ჩემო, რამეთუ შენ შეგიდევ და შეგიყუარე სიყრბით ჩემითგან. ესრეთ იტყოდა ყოვლითა გულითა თქსითა.

და შეისმინა მისი ღმერთმან და შეიწყნარა კეთილი გულს-მოდგინებაჲ მისი და შეივდრა სული მისი ღლესა მეოთხესა, შემდგომად მოწყუედისა მათ წმიდათაჲსა. და აღასრულა ღმერთმან მის მიერ რიცხვ მათი რიცხუსაებრ წმიდათა ორმოცთაჲსა. და იყო მოწყუედაჲ მათი ოც და რვაჲსა დეკენბერისასა, შემდგომად ქრისტეობისა სამითა დღითა.

და ჳიდრე ჩუენ ამასლა შინა ვიყვერით და მუუხარებაჲ სულთა ჩუენთაჲ და ცრემლი თუალთა ჩუენთაჲ წმიდათა მათთვის, და აჲა ესერა მოიწია ჩუენდა კაცი, იმბელისი შეილთაგანი და გვთხრა ჩუენ, ვითარმედ: ჰაბაშნი გამოვიდეს ზღუჲა მუწამულსა და მოყვას ყოველი, ვინცა იყო მონაზონთაგანი რაითს.

და შორის რაითსა და შორის მთასა სინასა არს ორის დღის საეანე პირისა ზღუსა მუწამულისასა, სადა-იგი არს ათორმეტი წყაროჲ და სამეოც და ათი დანაკისკული, ვითარცა წიგნი იტყვს,—ხოლო დღეს დანაკისკული მრავალ არს, — და ვჰკითხებთ კაცსა მას: ვითარ სახით მოწყვდნეს? ანუ რავდენი მოყლეს? და რაეჲს მოიკლნეს? და მან თქუა: არა ვიცი, არამედ მესმა, ვითარმედ: მონაზონნი, რომელნი იყვნეს რაითს, მოისრნეს. და სხუანი მოვიდნეს ორნი და კუალად ესრევე გვთხრეს.

და შემდგომად-მცირეთა დღეთა მოგვქდა მონაზონნი, რაითისა მონაზონთაგანი, რადათამცა იყოფოდა მთასა სინასა, რამეთუ რაითი მოოჭრდა, და მონაზონნი მოისრნეს. და ვითარ ესმა მისთვის ამბა თევდოლის, მამასახლისისა სინისასა, და შეიწყნარა იგი სიხარულით. და ჩუენ ვევედრენით მონაზონსა მას რაითით მოსრულსა, რადათამცა გვთხრა, ვითარ მოისრნეს მამანი, ანუ ოდეს მოისრნეს, გინა თუ რავდენი მოისრა მათგანი, გინა იგი ვითარ განერა მტერთა მათგან.

ხოლო მან იწყო სიტყუად ჩუენდამო და იტყოდა: რამეთუ: ჩემი არა მრავალი ეამი არს, ვინაჲთგან დავემკვდრე რაითს, გარნა ოცი ოდენ წელიწადი. არამედ სხუანი არიან მუნ მრავლით ეამითგან: რომელთაჲმე ორმოცი წელი არს და რომელთაჲმე მცირედ უმცრო, და ადგილი იგი უდაბნოჲ არს ჰამოჲ და ეაკჲ, მარცხენით კერძო გრძელი არს, ხოლო სივრცჲ მისი არს ვითარ ათორმეტი მილიონი, და აღმოსავალით მისა მთაჲ მოსდგამს, ვითარცა კედელი, და რომელმან არა იცინ, ჰგონიედ, ვითარმედ უდაბნოჲ არს ყოვლად მიუვალი; და დასავალით მისა არს ზღუჲა მუწამული ვიდრე დასასრულადმდე ქუეყანისა. ვი-

თარ იტყვან, ამის ზღვსა მეწამულისაგან გამოვალს ათორმეტი წყარო და მოპრწყავს იგი ფრიადსა ფინიკოვანსა. და მახლობელად მისა არს ჭურღმული, რომელი მოპრწყავს სხუასა ფინიკოვანსა და ზღუადღე შთავალს იგი.

და მას ფინიკოვანსა შინა იყოფოდეს უმრავლესნი მონაზონნი, ვითარცა

- 5 იტყვს პავლე მოციქული, ქუაბთა და მათა და ნაპრაღთა ქუეყანისათა. და ეკლესიაჲ მათი, რომელსა შინა შეკრბიან დღესა კვრიაყესა, იყო მთისა მის ძირსა. და იყვნეს იგინი ქეშმარიტ, ზეცისა კაცნი და ქუეყანისა ანგელოზნი: შეურაცხ-ყვნეს ჭორცნი მათნი, ვითარცა არა მათნი, და არა ერთი სახლ იყო ღმრთის მსახურებჲა იგი მათი, არამედ მრავალსაზე. იმარხვიდეს იგინი მცნებათა ღმრთისათა, რომელი ამცნო მათ, რომელი ყურსა არა ესმის და ენაჲ ვერ შემძღებელ არს მითხრობად მას, რომელსა-იგი შინა იყვნეს ღმრთის მსახურებასა. ხოლო მე გაუწყო მტკრედო ერთისა, გინა ორისა მათგანთაჲა, რამათა ესრეტ უწყოდით უფარესნი იგი, რომელსა ზედა იყვნეს.

იყო მუნ მონაზონი, რომელსა ერქუა ამაჲ მოსე ფარანელი, მისვე ქუეყანისაჲ.

- 15 და მონაზონ ქმნულ იყო იგი სიყრბით მისითგან და დაეყო სამეოც და ათცამეტი წელი ქუაბსა შინა მთასა მას, მახლობელად ეკლესიასა. და ქეშმარიტად იყო იგი მეორს ელია. ყოველსა, რასაცა ითხოვდა, მოსცემდა მას ღმერთი. და მრავალნი კურნებანი იყვნეს ღმერთსა ჳელითა მისითა. და მიეცა ჳელმწიფებჲა სულთა ზედა არაწმიდათა. და კელითა მისითა ქრისტიანე იქმნეს მრავალნი ფარანელნი, რომელნი მას ქუეყანასა დამკვდრებულ იყვნეს, რამეთუ ზედვიდეს საკვარველთა, რომელი ღმერთი იქმნდა ჳელითა მისითა. და განუკრდებინ და ჰრწმენა უფალი ჩუენი იესუ ქრისტს, და მოვიდოდეს კათოლიკე ეკლესიაღ და ნათელ-იღებდეს. და მრავალნი მათგანნი განკურნნა ღმერთმან ჳელითა ამაჲ მოსესითა ეშმაკეულნი.

- 25 და ვინაჲთგან მარტო ქმნულ იყო იგი ქუაბსა მას შინა, არა ეჭამა პური და საჭმლად მისა იყო მტკრედ დანაკისკული, სასუმლად მისა წყალი საწყაულით და სამოსლად მისა იყო ზებენისაჲ, რომელ არს ფინიკისა რტოთა ძირსა ბადის სახლს. ხოლო უფროჲს ყოველთასა უყუარდა დაუღებჲა. და ძილი მისი იყო შემდგომად ცისკრისა გალობისა. ხოლო მარხვათა ყოველადეე არავის ზრახავენ, არცა განადრს კარი ქუაბისაჲ ვიდრე დიდად ხუთშაბათადმდე. და დღეთა მარხვისათა შეიტანის მის თანა დანაკისკული, რიცხუთ ოცი, და ქსესტი ერთი წყალი. და მრავალ გზის ყოველადეე არა იხილის გემოჲცა მისგან ვიდრე კარისა განღებამდე, ვითარ-ესე გვთხრა მოწაფემან მისმან.

და დღეთა მარხვისათა მოჰგუარეს მას კაცი ეშმაკეული ფარანით, — და

- 35 სახელი მისი ობდიანოზ, მთავარი იყო იგი ყოვლისა ერისა მისისაჲ, — რამათჲცა ულოცა მას და განიკურნა. და ვითარ მიიწინნეს მახლობელად ქუაბისა მისისა, შეიპყრა იგი ეშმაკმან და შეამთობდა მას. და იწყო დაღადებად ჳმითა მადლითა და იტყოდა: ვაჲ ჩემდა ბერისა ამისგან მედგრისა, რამეთუ ვერ შეუძლე ეამასა ც ერთსა მოცთუნებად მისა ლოცვისაგან. და ვითარ ესე თქუა, განვიდა: 40 მისგან ეშმაკი იგი, და მყის განიკურნა ობედიანოზ და ჰრწმენა უფალი ჩუენი იესუ ქრისტს. და ყოველნი, რომელნი იყვნეს მის თანა პირველ ნათლის-ღებისა, და წარვიდეს სახიდ თჳსა და ჰმადლობდეს ღმერთსა და მონასა მისსა ამაჲ მოსეს. ხოლო ესე იქმნა თჳნიერ ხილვისა მისისა, გინა სიტყუსაცა მიგებისა, რამეთუ არავინ იხილის მან დღეთა მათ მარხვისათა.

და სხუათაცა მრავალთა სასწაულთა იტყვედ მისთვის, რომელთა აწ ვერ შემძლებელ ვარ სათხოვრად სიმრავლითა მათითა.

და ესუა მას მოწაფელს, რომელი იყოფოდა მის თანა ორმოც და ექუს წელ და ზინ იგი მახლობელად სენაკსა ბერისასა და სახელი მისი იყო ეცხებიოს მერისელი. და იგიცა შეუდგა გზათა მოძღურისა თვისისათა. და იგი იყო ერთი მოკლულთა მათგანი. 5

და კულად მონაზონი იყო; სახელი ერქუა ამბა იოსებ ჰაღლეო. და მასვე მთასა იყოფოდა იგი, შორს წყლისაგან ორსა მილიონსა. და ბრძენ იყო იგი და სწავლულ ყოვლითა საქმითა, და ღმერთი იყო მის თანა. და დაყო უღაბნოსა მას ოც და ათი წელი. და აქუნდა მას მოწაფელს მახლობელად მისა. და მოუქდა მას ერთი მონაზონთაგანი კითხვად რაჲსმე მისგან და სწავლად. და ვითარ დაჰრქეა კარსა მისსა, არაჲ მიუგო მას ბერმან. ხოლო მან შეხედნა მას განაგებულსაგან კარისა და თხილა იგი ყოვლადვე თავითგან ვიდრე ფერჯადმდე ვითარცა ცეცხლი მოტყინარს, დგა რაჲ იგი ლოცვასა შინა თვისსა. და შეეშინა მას და დაეცა ვითარცა მკუდარი და იღვა მას ადგილსა მრავალ ეამ. ხოლო წმიდაჲ იგი უცალო იყო ლოცვასა თვისსა და ზრახვასა უფლისა თვისისასა და ვერაჲ აგრძნა. 10 15

და შემდგომად მრავლისა ეამისა მოიქცა წმიდაჲ იგი პირველისაებრვე სახისა, და კულად ჰრქეა მონაზონმან მან. და განულო მას ამბა იოსებ ჰაღლეომან და ჰკითხა მას: ოდეს მოხუდდ აქა? ჰრქუა მას მამამან მან: უწინარსს ხუთ ეამისა, არამედ რაჲთა არა შეგაწყინო, არა ეჰრქეე კარსა შენსა, გარნა აწლა ოდენ. 20

მაშინ გულისხმა-ყო ბერმან, ვითარმედ ღმერთმან გამოუცხადა მასა მას საქმეს მისი, და არარაჲ უთხრა მისგანი, არამედ ყოველი, რაჲცა ჰკითხა მას, გინა ითხოვა მისგან, არარაჲ დააყენა წმიდამან მან და განუტრნა სული მისი გულის სიტყუათა მათგან, რომელნი უთხრნა მას, და წარავლინა იგი მშუდობით.

და ამისა შემდგომად შეეშინა წმიდასა მას: ნუუკუე იწყინებდენ მას კაცნი. და ილოცა ღმერთისა მიმართ, რაჲთა დაფაროს საქმეს მისი, და არღარავინ ეჩუენებოდა იგი მიერ დღითგან. 25

და მივიდა ძიებად მისა ამბა გელასი, მოწაფელს მისი, ყოველთა ადგილთა და არა ჰოვა იგი. და დაქდა იგი სენაკსა მისსა და მწუხარე იყო იგი განშორებისათვის მოძღურისა თვისისა. და შემდგომად ექუსისა წლისა მეცხრესა ოდენ ეამსა დღისასა ჰრქეა კაცმან ვინმე კარსა სენაკისა მისისასა. და განვიდა ამბა გელასი და ჰოვა მოძღუარი იგი თვისი მდგომარს კარსა ზედა, და დაუკვრდა ფრთად და ჰგონებდა: ნუუკუე ეშმაკი ეჩუენა მას ხატითა მოძღურისა თვისისათა. და ჰრქუა: ვყოთ ლოცვაჲ. მაშინ ყო ლოცვაჲ ბერმან; და შეიწყნარა იგი მოწაფემან თვისმან სიხარულით, და შეიტყვნეს იგინი და ამბორს-უყვეს ურთიერთას მშუდობით და სიწმიდით. 30 35

მაშინ ჰრქუა ბერმან მოწაფესა თვისსა: კეთილად ჰყავ; შეილო ჩემო, რამეთუ ყოვლისა პირველად ლოცვაჲ ითხოვე, რამეთუ საფრტენი ეშმაკისანი მრავალ არიან. ჰრქუა მას მოწაფემან მისმან: რაჲსათვის, მამო, განეშორე მათაგან შენთა და დაუტრევე შეილი შენი ობლად მწუხარებასა შინა შენთვის? მიუგო მას ბერმან: მე თქუენგანნი არავინ მხედვიდა, ვითარცა-იგი ღმერთმან იცის, ხოლო მე არა ვიდრე მისრულ ვარ ადგილისა ამისგან და არცა კიდე ქმნულ ვარ ზიარებისაგან მამათა თანა ეკლესიას ჳორცსა და სისხლსა უფლისა ჩუენისა იესუ 40

ქრისტესსა. მაშინ დაუკვრდა მოწაფესა მისსა, ვითარ-იგი შევიდოდა და გამოვიდოდა, და არავინ მამათაგანი ხედიდა მას.

5 უკუღად ჰქექა მოწაფემან: და აწ რამათჳს მოხუედ მონისა შენისა? მუგო ბერმან და ჰქექა მას: დღეს მივიცეალები ჳორცთა ამათგან უბადრუცთა უფლისა ჩემისა და ვინებე, რამთამეა შენ დაჰმარბენ იგონი, ვითარცა გინდეს, და მისცნე ქუეყანასა მისნიე იგი. და ფრიად ამცნებდა მოწაფესა თჳსსა და ეტყოდა სარგებელისათჳს სულისა და მოლოდენისათჳს კეთილისა მერმისა საუკუნოჲსა. და განძრთხა თავით თჳსით აღმოსავალით კერძო და დაიწყენა ქელნი და ფერჳნი თჳსნი და შეისუენა და სული თჳსი შეჰვედრა ჳელთა დაჰმადებელისა თჳსისათა.

10 მაშინ სრბით გამოვიდა მოწაფე მისი და უთხრა მამათა. ხოლო იგინი მწრაფლ მოვიდეს ერთბამად ეამობითა. და ჳელთა მათთა აქუნდა რტოები ბაჰაჰსაჲ, და წაროდეს გუჲში მისი ეკლესიად და პირი მისი ბრწყინვიდა ვითარცა მზღ. და ვითარცა ყოველნი ერთბამად იუერთხნეს მისგან, დაჰფლეს იგი მამათა თანა.

15 და სხუადცა ეგვეითარი არს ჩემ თანა, რომლოჲა მინდა უწყებად თქუნდა მუნ მყოფთა მათთჳს მონაზონთა და რომელთა-იგი საკვრეულთა იქმოდა ღმერთი ჳელთა მათითა, არამედ გხედუე თქუნენ, რამეთუ გნებავს სმენად, ვითარ-იგი მოოსრნეს მამანი და ვითარ მოიწინეს ბტერნი მათ ზედა, და მე წარმოგიტხრა თქუნენ ყოველიეჲ.

20 რამეთუ ესრჳთ სრულ იყენეს წმიდანი იგი ყოველსა შინა საქმესა მათსა და გლახუე ღმრთისათჳს, არარას მოიგებდეს ამის საწუთროჲსა საქმეთაგანსა. და იყენეს კაცნი მის ქუეყანისანი, რომელნი მოაართუმიდეს მათ იფქლსა ეგჳპტით და წარიღებდეს ჳელთ-საქმარსა მათსა ნაცეალად მისა. არამედ უფროჲსლა საქმარ მათა იყო ლოცუვა და მარბეაჲ, და ყოველი სასოებაჲ მათი იყო ქრისტესსა. და იყენეს იგინი რიცხუთ ორმეოც და სამ. თითოეული მათი მარტოჲ სენაჲსა იყოფვირ, და არავინ უწყინ, რასა-იგი იქმნ, გარნა უფალმან დაჰმადებელმან მისმან, რომელმან უწყინს დაფარულნი.

25 და ვითარ-იგი ჩუენ ესრჳთ ვიყოფოდეთ, მოგჳჳდეს ჩუენ ორნი კაცნი ჳალკისა ერთისაგან, რომელი არს ზოლუსა შინა. პაბაშთა კერძო, მცირეთა ძელთა ზედა და გჳთხრეს, ვითარმედ: კრებული ღიღი პაბაშთაჲ მოიწია პირსა ზღჳსასა და პოვეს ნავი ნავებისაგან ჰაღლელთაჲსა და შეიძარეს იგი და ეგჳულბოდა აღსლუვა მას შინა და წარსლუვა კულოზმად. და გურჳჳეს ჩუენ: მოგჳჳყანენით კულოზმად და არავინ თქუნებანი მოკლათ. ხოლო ჩუენ უჳადეთ მათ, რამთამცა განვერთით მათგან, და გჳგონებდით ჩუენ მოსლუვასა ქარისასა და წარვიდოდეთ მათ თანა.

30 არამედ ინება ღმერთმან ჳსნაჲ ჩუენი: ვივლტოდეთ ღამით ამით ძელთა და მოვედით თქუნდა და დაუტრევენით იგინი ნავისა მის უფალთა თანა ზოლუსა შინა. ხოლო ჩუენ გეტყუთ თქუნენ: ეკრძალენით მცირედთა დღეთა, ნუუჳჳე მღვიღდენ და მოჳქარნენ თქუნენ, რამეთუ კაცნი მეღგარნი არიან იგინი. ხოლო არს რიცხუ მათი ვითარ სამას კაც.

35 და ჩუენ ეყავთ ეგრჳთ და მსტუარი დავადგინეთ კიდესა ზღჳსასა, რამთა, ოდეს ოხილსა ნავი მომავალი, გჳთხრას ჩუენ. და ვილოცვედით ღმრთისა მიმართ, რამთა უმწობესი გამოგჳრჩიოს და ნებაჲ მისი იყოს ჩუენ ზედა.

და ვითარ იყო ხელისაგან მიმწუხრი, ვიხილეთ ნავი მომავალი ჩუენ კერძო. და რომელნი იყვნეს ჩუენ თანა ერთა კაცნი ფარანელნი, განმზადნეს ბრძოლად დედა-წულისა მათისათჳს და ხუასთაგისა მათისათჳს, ხოლო ჩუენ, მონახონნი, მოვივლტოდეთ ეკლსიად. და იყვნეს ფარანელნი იგი ორას ოდენ კაცი, და შეკრებულ იყვნეს იგინი მთასა მას ზედა ბრძოლად.

5

ხოლო ეკლსიაჲ შეზღუდვლი იყო. და იყო სიმაღლჳ ზღუდისაჲ მის ვითარ ორ კაცი ოდენ. და დაეკმენით ჩუენ კარნი წინაშე ჩუენსა.

და ვითარ მოიწინნეს იგინი ჳმელად, დადგეს; და მენავენი იგი წინა-უძლოდეს. და დაყვეს ღამჳ იგი ძირსა მის მთისასა, მახლობელად წყაროებისა. და ვითარ განთენა, შეკრნეს მენავენი იგი და დაუტევენეს იგი მას ადგილსა. და ერთი მენავეთა მათგანი დაუტევეს მკველად ნავისა მის, რამეთუ მარტოჲ ვერ აეღრნებდა ნავსა. ხოლო ერთი ჰაბაშთა მათგანი დაუტევეს მის თანა და მერჳ მოიმართეს წყაროებად. და ემთხვნეს მათ ფარანელნი იგი ბრძოლად.

10

და იყო ბრძოლაჲ მახლობელად წყაროებისა, გუერდით კერძო გარსა. და ესროდეს იგინი ურთოდეთას ისრითა. და ისარი იგი კვლიდა ორკერძოდთვე კაცებსა. ხოლო უღმრთონი იგი რამეთუ უმრავლჳს იყვნეს და ჩუეულ ბრძოლასა, სძლეს ფარანელთა მათ და მოწყვდეს მათგანი ას ორმოც და შვიდი კაცი. და ახუანი ივლტოდეს მთით კერძო, ვითარცა ვინ შემძლებელ იყო განჩინებად თავისა თჳსისა. ხოლო უღმრთოთა მათ წარტყუნეს ყრმები და დედები მათა.

15

და ამისა შემდგომად მოგვქდეს ჩუენ შეზღუდვილსა მას, ვითარცა მჳცენი მძვინვარენი, რბოდეს და ჳმობდეს ჳმითა მძლიოთა და უშუერთთა და ჳგონებდეს, ვითარმედ პოონ ჩუენ თანა საფასჳ დაბალული. და ვითარ მოიციეს კარი იგი, იწყეს ქადებად ჩუენდა მომართ. ხოლო ჩუენ ვითარ გუესმა ჳმაჲ მათი, დამეცა ჩუენ ზედა შიში დიდი, არა უწყოდეთ, რამეცა-იგი ვყავთ, გარნა ღმრთისა მივივლტოდეთ ლოცვითა და ცრებლითა და გულითა მწუხარითა. და რომელნიმე ჩუენგანნი კაღნიერ იყვნეს სიკუდილსა ზედა მხიარულითა გულითა, და ზოგნი — მწუხარე და შემუსრვილ გულითა, და ზოგნი ილოცვიდეს და ჳმადლობდეს ღმერთსა, და ზოგნი ერთი-ერთსა წუეგშინის-სცემდეს.

20

25

მაშინ აღდგა მამაჲ და წინამძღუარი ჩუენი წმიდაჲ პავლე შორის ეკლსიასა და თჳუა: ისმინეთ, ძმანო ჩემნო და მამანო, ჩემ შეურაცხისაგან და ცოდვილსა. თჳუენ უწყით ყოველთა, რამეთუ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსთჳს შეკრებულ ვიყვენით ყოველნი ამას ადგილსა და მოგუეცალა საწუთაროჲსა ამისგან საცთურისა. და მოსრულ ვიყვენით უქმსა ამას უღაბნოსა და საშინელსა, რამათჲცა აღვიდეთ უღელი ქრისტჳსი ქედთა ჩუენთა ცოდვილთა ამათ შიმშილითა და წყურილითა და სიგლახაკითა ფიცხლითა და მწუხარებითა სოფელსა ამას და შეურაცხ-ვყავთ ყოველი, რაჲ არს მას შინა, რამათა სასუფეველი ცათჳ შევიძინით, რომელი აღუთჳუა ღმერთმან მოყუარეთა თჳსთა და აჳ არარაჲ იყოფის თჳნიერ ბრძანებისა მისისა და არარაჲ მოიწვევის ჩუენ ზედა საქმჳ სოფელსა და არცა ეამსა ამას, გარნა რომელი მის. უნდეს, შეგუეწოთ ჩუენ მცირესა ეამსა ცხოვრებისა ამის ამოაგსასა და მის თანა მიგვყვანნეს ჩუენ.

30

35

40

და აჳ ჳერ-არს ჩუენდა, რამათა გჳზაროდის და მხიარულ ვიყვენთ მისა მიმართ და ეჳმადლობდეთ და არა სულმოკლე ვიქმნეთ. რაჲ უტკბილჳს არს ხილვისა პირისა მისისასა და თაყუანის-ცემად დიდებასა მისსი არა გაჳსოსა, მმანო

- ჩემო საყუარელნო, რაჟამს-იგი ვსხდით ერთობით და ვიკითხვიდით წამებასა წმინდათასა და გვკვარ მოთმინებაა იგი მათი და ვიტყვით ურთიერთას: ნეტარ არიან, რომელნი-იგი ქრისტესსთვის იწამნეს და დასთხინნეს სისხლი მათნი და გული გვთქუამს, თუმაც ვიყვენით ვითარცა იგინი. და აწ ესერა ეამი
- 5 მოწვეულ არს, შეიღონო, და გულის თქუმაა იგი მოახლებულ არს, რაათა ვიყვენით ვითარცა იგინი თანაზიარ მათა, რომელსა-იგო შინა არიან კეთილსა წარუვალსა და შეუცალებელსა. და აწ ნუ ჰყივით და ნუცა გეშინის და ნუცა რას იქმთ შეუმსგავსებელსა თქუენსა, არამედ ყოველითა ძალითა ჩუენითა შევიმოსოთ ძალი ქრისტესი და დაუთმოთ სიკუდილსა შეწვენითა მისითა, რაათა
- 10 შეგვწყენარნეს სასუფეველსა მისსა.
და მათ ყოველთა მიუგეს ერთბამად და თქუეს: ვითარცა სთქუ, ეგრეცა ვყოთ. რაჟსა ვივლტოდით ყოვლისაფეთქს? რომელი მომა უფალმან სასუფეველი ცხარებოსა, მოვიდოთ და სახელსა უფლისასა ეხადოთ, ვითარცა საღმუნნი დავითისი იტყვს.
- 15 და ვითარ ესა ესე მათგან, მოიქცა საყურთხველად აღმოსავლით კერძო და განიპყრნა კელნი თჳსნი ზეცად და თქუა: ღმერთო და უფალო ჩუენო იესუ ქრისტე, მეუფეო ყოველთაო და ღმერთო ყოველთაო, შენ ხარ სასოა ჩუენი და შემწე ჩუენი და ნუ დაიფიყებ მონათა შენთა, არამედ მოიჭსენე შრომაა ჩუენი და მოგუეც ძალი ეამსა ამას ჳირიასა და შეიწირენ სულნი ჩუენნი, ვითარცა მსხუერალნი, წინაშე შენსა, რამეთუ შენდა შუენის დიდებაა და პატივი თანა მამით და სულით წმიდილთრთ უეენითი უეუნისამდე. მიუგეს ყოველთა ერთობით და თქუეს: ამენ.
- და ვითარცა მათ თქუეს ამენი, მოიწია ჳამა ზეცით საყურთხვევლით გამო, რომელი იტყოდა: მოვედით ჩემდა ყოველნი, გამოჩეულნო და შეწირულნო,
- 25 და მე განგისუენო თქუენ შრომათაგან ამის სოფლისათა სასუფეველსა ჩემსა. და ვითარ ესე ჳამა გუესმა, ყოველთა შეგუეშინა და ძწოლამან დიდმან შეგვპყრნა, რამეთუ სული, ვითარცა თქუა ქრისტემან საბარებასა შინა, გულს-მოღვინე არს, ხოლო ჳორცი — უძღურ, და მერამე ერთობით აღვიმალღეთ ჳამა ჩუენი ღმრთისა მიმართ და წარვიწირენით თავნი ჩუენნი ცხოვრებისაგან.
- 30 ხოლო უღმრთოთა მათ მოიღეს ძელი გრძელოვანი და შემოაყრდნეს კედელსა და მიერ აღმოქდეს და განუღეს კარი მყოყასათა თჳსთა. და არაიენ ჩუენგანი წინა-აღუდგა. ხოლო იგინი შემოვიდეს ვითარცა მვეცნი ბოროტნი და აღმოეჭადა მახვლები მათი, და შეიპყრეს პირველად, რომელი მოხუდა, სახელით იერემია, მჯდომარეჲ კარსა ზედა ეკლესიისასა, და ჳრქუეს: გვჩუენე ჩუენ მამასახლისი და თანა ჳყვანდა მათ ერთი მენავეთა მათგანი, რომელი უთარგმნებდა სიტყუასა მათსა. და ჳრქუა მათ იერემია: არა გიჩუენო იგი თქუენ და არცა მეშინის თქუენგან, მტერნო ღმრთისანო ურჩულონო. და კანდიერ იყო მათ ზედა და არა შეეშინა, რაჟამს იხილა პირები იგი მათი და რკმლენი ჳიღილები, არამედ სიტყუა-უგებდა მათ გულითა მწუხარითა და ჳრქუა: არა
- 40 გიჩუენო თქუენ მამასახლისი ჩუენი. ხოლო მამასახლისი უდგა გუერდით მისა. და უკვარდა უღმრთოთა მათ სიმკმე იგი მისი და სიმაგრეჲ გულისა მისისა, ვითარ-იგი არა შეეშინა მათგან.
- და შეიპყრეს იგი და შეუქრნეს კელნი და ფერკნი მისნი და დაადგინეს იგი შიშუელი და ესროდეს მას ისრითა, ვიდრემდის აღივსნეს ჳორცი მისნი,

და არა შეიძრა იგი ადგილისა მისგან, არამედ შეიწყნარა იგი სიხარულითა და მადლობითა ღმრთისა მიმართ და შუენიერითა მოთმინებითა, ვიდრემდის შეკვედრა სული თჳსი თჳსსავე დამბადებულსა. და იგი არს პირველი მოწამეთა მათ, რომელი გვრგვინსან იქმნა და სძლო ეშმაკსა, ვიდრემდის მოკუდა იგი მოწამლ და კეთილის დანწყება ექმნა მოყუასთა თჳსთა.

5

და ვითარცა იხილა ესე წმიდამან მამამან ჩუენმან პავლე, განდგა შორის მოყუასთა თჳსთაგან და პრქუა მათ: ამა ესერა ვარ მე, რომელსა შეძიებთ. და უჩუენებდა ქელითა თავსა თჳსსა და მისცა თავი თჳსი ქელთა მტერთასა და არად შეპრაცხა სატანჯველი მათი, რომელი უყვეს პირველ სიკუდილისა. და ვითარ შეიპყრეს, პრქუეს მას: გვჩუენე ჩუენ საფასლ, რომელი არს შენ თანა დამალული. ხოლო მან პრქუა მათ მდაბლითა სახითა და სიტყუთა ლბილითა ჩუენულებისაებრ თჳსისა: გრწმენინ ჩემი, რამეთუ არარაჲ არს ქელწიფებასა ჩემსა ქუეშე ამის სოფლისაჲ, გარნა ესე სამოსელი ძუელი, რომელ არს ჩემ ზედა ძაძისაჲ.

10

ხოლო მათ აღიღეს ქვაჲ და სცემდეს ქვითა მით გუერდთა მისთა და ესროდეს ქორცთა მისთა ისრითა და პირსა მისსა და ეტყოდეს: მოიღე, რაჲ-იგი არს შენ თანა. და ვითარ ტანჯეს იგი მრავალ ჟამ და არარაჲ პოვეს მის თანა, რომელსა-იგი ეძიებდეს, სცა ერთმან მათგანმან მახვლითა შუა ოდენ თავსა მისსა და განაპო წმიდაჲ იგი თავი მისი ორად. და დაჭრნეს ჳორცი მისინი მახვლითა. და დუეცა იგი მკუდარი შემდგომად დიდისა ტანჯვისა. ამან მეორედ სძლო ეშმაკსა და არა შეშინდა სიკუდილისაგან, და არცა მოუძღურდა გულს-მოდგინებამ მისი.

15

20

და რაჲმს ვიხილე მე, ჩუენმან ამან, ფიცხლად სიკუდილი იგი და ვიხილე სისხლი იგი წმიდათაჲ მდინარლ და ჳორცი მათნი მღებარენი, ვეძიებდ აღგილსა, სადამცა დავიმაღე, რაჲთამცა განვერი ქელთაგან მათთა. და ვიხილე ყურესა ერთსა სენაკისასა ბაჲაჲ ფრიადი, შეყრდნობილი კედელსა, და მას შინა დავიმაღე, ვიდრე-იგი უღმრთონი უცალოდა იუენეს წმიდათა მათ მოსრვასა, და ვიტყოდე გულსა ჩემსა: უკუეთუ მპოონ, მომკლან მეცა, და, უკუეთუ განვერე მათგან მე, დაეპმარხნე ჳორცი ესე წმიდათანი.

25

და რაჲმს მოიკალეს მოწყუედისაგან მათ წმიდათაჲსა, ერთობით შევიდეს ეკლესიაჲ, ჳმობდეს ქვითა მაღლითა და იწყეს ცემაღ მათა მახვლითა, ვითარცა ვის უნდა: რომელსამღ თავი წარაკუეთეს და რომელიმე ორად განკუეთეს და რომელსამღ მახვლითა ნაწლეენი გამოუსხნიან გარე და რომელსამღ ჳქარსა ეხეთქნა და ორად განქეპო ვიდრე მკრდაღმდე, ვიდრემდის ესრლთ მოწაჯუნდნეს წმიდანი იგი მამანი.

35

ხოლო რაჲმს მონაზონი იგი ამას გუთხრობდა, ვერ შემძლებელ იყო დაქირვად თავისა თჳსისა მწარისაგან ტრილისა, ვიდრემდის ჩუენ ყოველნი ვტიროდეთ მის თანავე და ვერღარა შემძლებელ ვიყვენით სიტყუად. და გუეტყუნ იგი: რაჲ ვითრხა თქუენ, ძმანო-ჩემნო, რომელი-იგი იხილეს თუალთა ჩემთა?

და იყო მუნ სხუაჲ მონაზონი, სახელი ერქუა ამა სოლომონ. და ჳქონდა მის თანა ყრმაჲ თჳსი, მისი ნაზობი იყო იგი, ათხუთმეტისა წლისაჲ და მონაზონად ეკურთხა იგი წმიდასა მას და მას განეზარდა იგი სიყრბით მისთგან და ესწავა მისდა პატრიარანი მონაზონებაჲ და ბრძოლად ეშმაკთა მიმართ. და ვითარ იხილეს იგი კაბუჯად შუენიერად მტერთა მათ ღმრთისათა, შეუყუარდა იგი, და

40

უნდა დამარხვამ მისი და თანა-წარყვანებამ მისი. ხოლო ვითარ-ესე იხილა ყრბამან მან, რამეთუ არა მოკლევნ მას მოყუასთავე თუსთა თანა და ეგულუ-ბის წარყვანებამ მისი მათ თანა, შეზრუნდა ამისთჳს ფრიად და იწყო ტი-რიოდ და ღლაღებდა. და ვითარ: იხილა, რამეთუ არარას სარგებელ ეყოფვს
 5 ტირილი იგი, აღიძრა სულითა თუსითა და განაგდო მისგან შიში და კანდიერ იქმნა და აღიღო მახჭლი ერთისა მათგანისაჲ და უხეთქნა მქარასა ოდენ ჰაბა-შისასა, რამათა გული განაწყოს და მოკლას იგი.

ვითარცა იქმნა, ყოველი განრისხნეს მის ზედა და დაქრეს იგი მახჭლითა. და იგი ღლაღებდა და იტყოდა: კურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩემი, რომელ-
 10 მან არა მიმცა ჴელთა ცოდვილთასა. ესრჳთ იტყოდა, ვიდრე სიკუდილმდგე და ესრჳთ მჴენ იქმნა და შეემთხვა ქრისტესა კაცი იგი ღმერთისაჲ ამაჲ სერჯი.

და რაჲმს ვიხილე ესე ყოველი, ვიწყე ვედრებად უფლოსა ჩემისა და ღმერთისა მოწყალისა, რამათა მიჴსნეს მე მათგან და დაუბრმნეს¹ თულნი მათნი ჩემგან, რამათა ნუუკუე მე ზოლო განვეერე და დავჴმარხნე გუამნი იგი წმიდა-
 15 თანი.

და ესრჳთ მოისრნეს იგინი სიხარულით და ჰმადლობდეს ღმერთსა ყოვე-ლისავეთჳს შემთხუევისა. და რამეთუ იყენეს იგინი ქუეყანასა ზედა შრომით. და იყენეს იგინი საღვთარ სულითა წმიდისა და დაუტევეს ყოველივე სოფლისაჲ ამის და მას შეუღგეს და მასცა ეძიებდეს და მისა შემდგომად პირითა მახჭო-
 20 საჲდა მოისრნეს, რომლისათჳს ღმერთსა მიესცეთ ღიღებამ მას ზედა.

და ვითარ მოიკალეს მოკლვისა მათისაგან უღმერთთა მათ, იწყეს ჴყურ-ვად ეკლესიასა და სენაკებსა შინა და ეძიებდეს, უღუეუე პოონ საფასჳ და მალე-ლი, და არა უწყოდეს უბადრუეთა, ვითარმედ არარაჲ აქუნდა წმიდათა მათ ქუეყანასა ზედა, არამედ ცათა შინა აქუს საფასჳ და სიხარული წარუვალი
 25 ქრისტჳს მიერ, უფლოსა ჩუენისა. და ვითარცა ვიხილენ, ჴყურევიდეს რაჲ იგინი, წარვიდა სისხლი ჩემი, დო მოკედეს ჴორცინი ჩემნი შიშისაგან და ვთქუ, ვითარ-მედ: გამონახვად უც აღვილიცა იგი, სადა მე დამალულ ვიყავ, და მპოონ და მომკლან. და ვხედვედ დანაკისულისა მის რტოჲსა გამომართ. ოდეს-ძი მოვი-
 30 დელ, და ვხედვიდ სიკუდილსა წინაშე თულათა ჩემთა. და მას ყოველსა თანა ეკლესიან მათთა. და ვითარ იხილეს რტოები იგი, შეურაცხ-ყვეს და წარვიდეს მიერ, რამეთუ ღმერთმან დამიცვა მათგან და დაუბრმნა თულნი მათნი ჩემდა-
 მო.

ხოლო დუტვენეს წმიდანი იგი მწყუდარნი, მდებარენი ერთიერთსა ზედა,
 35 და არარაჲ პოვეს, რამცა წაროდეს მათ თანა. და მიიქცეს წყაროებადვე, რამ-თამცა წარვიდეს კულზმად ნავითა მით. და პოვეს ნავი იგი, რამეთუ განტუხილ იყო, რამეთუ კაცი იგი მენავჳ, რომელი დაეტევა მხედვარად ნავისა მის, შემ-ძლებელ იქმნა მოკლად ჰაბაშითა მის, რომელი დაეტევა მათ თანა. და რამე-
 40 თუ მოკლა იგი და შეჴყუენთა საბელნი კეთა ნავისათანი და განვიდა იგი ცურ-ვით ჴმელად და ივლტოდა იგი მითთ კერძო, და ღმერთმან განარინა იგი. მჴონ წარეყუეთა სასოებამ ჰაბაშითა მათ, და განლიგნეს და არა უწყოდეს, რამათა ცა-
 იგი ყვეს, გინა ვითარ მიიქცენ ქუეყანად თუსა. და მძჴვარებისა მისგან და გუ-ლის წყრომისა მოკლეს ყოველი დედაკაცი და ყრბამ, რომელი წარუტყუენა

¹ დაუბრმნეს ხ.

ფრანგულთაგანი. და ალაგზნეს ცეცხლი დიდძალი და მოწუეს სიბრავლს იგი ფინიკისაჲ.

და ვიდრე-იგი უცალოდა იყენეს ამას შინა და შეურეებულ, რამეთუ ვერ ეძლო წარსლვაჲ ქუეყანად თჳსა, და აჰა მოიწია მათ ზედა ფარანით ექუსასი მბრძოლი ძეთაგან ისმაელისთაჲ, რამეთუ სმენილ იყო მათაჲ ჰაბბაჲი იგი. და ვითარ აგრძენეს შავთა მათ, განიშხადნეს თავნი ბრძოლად და ზღვთ კერძო მიიყარნეს. და იქმნა მათ შორის ბრძოლაჲ ფიცხელი.

და იყო ბრძოლაჲ იგი მზის აღმოსლვასა ოდენ ადგილსა ვაკესა. და იბრძოდეს იგინი ისრითა. და რამეთუ ფარანელნი იგი უმრავლესს იყენეს ჰაბაშთასა, და აჭობეს. ხოლო შავთა მათ წარეკუეთა სასოებაჲ მიქცევისაჲ ქუეყანად თჳსა და სასოებაჲ ცხოვრებისაჲცა, და ამისთვის მკნედ დაუდგეს ძლიერსა მას ბრძოლსა კიდესა ზღვსასა. და იყო ესე მზის აღმოსლვითგან ვიდრე მეცხრედ ეჰამადმდე დღისა. და მოისრნეს ფარანელთაგანი მას დღესა შინა ოთხმეოც და ოთხი კაცი და მოიწყლნეს მარავალნი, ხოლო მტერნი იგი ღმრთისანი ჰაბაშნი — პირველითგან ვიდრე დასასრულადმდე, ვიდრემდის არა დაშთა მათგანი არცა ერთი ერთსა ადგილსა.

და რაჲმს ვიხილენ იგინი უცალო ბრძოლისა მისგან, გამოვედნენ დანაყისკულისა მის ფურცლისაგან, რომელსა შინა ვიყავ, და ვიწყე გარდახილულ წმიდათა მათ გუამებისა და ეპოვენი იგინი ყოველნი, რამეთუ აღსრულებულ იყვნეს, გარდა სამთა ხოლო: დომნოს და ანდრეა და არიონისა. ხოლო დომნოს წყლულ იყო გუერდსა მისსა ფიცხლითა წყლულებითა და ქირსა დიდსა შინა იყო; ხოლო ანდრეა წყლულ იყო მრავალგან, არამედ არა ეგოდენ, და ცხონდა; და არიონ, ყოვლადვე არა იყო მის თანა წყლულებაჲ, არამედ სამოსელი ოდენ განეკუეთა მახვლსა, რამეთუ ჰგონებდა, რომელმან-იგი უხეთქნა, ვითარმედ მოუკლავს, რაჲმს-იგი იხილა მოკლულთა მათ შორის დაცემული. ხოლო იყო იგიცა ჩემ თანა, და ორთვე გარდავიხილენით გუამები იგი მოწყამეთაჲ.

და რაჲმს მოიკალეს ფარანელთა მათ მოწყუედისა მისგან მტერთაჲსა, დაუარნეს ქორცნი მათნი კიდესა ზღვსასა შესაკმელად მფრინველთა და მჭეტლთა და იწყეს დაფლვად მოყუასთა თჳსთა და დაჰმარხნეს იგინი მთისა მის ძირსა ქუაბებსა, მახლობელად წყაროებსა მას.

და მერმე წარმოემართნეს ჩუენ კერძო და თანა ჰყვანდა მთავარი იგი თჳსი ობედიაწოს. და რაჲმს იხილნეს ქორცნი იგი წმიდათანი მღებარენი და სამწყსონი ქრისტესნი მომწყულარნი, შეწუნნეს წუხილითა დიდითა და იწყეს ტირილდ და იცემდეს მკერდთა მათთა, რამეთუ სამწყსოთა მათ ქრისტესთა ქორცნი ესრტთ განერყუნეს მგელთა მათ უწყალოთა. და მონათა მათ ქრისტესთა და მოწყამეთა მისთა შეიწყნარეს იგი სიბრულოთ, რამეთუ იცოდეს, რომელ-იგი წინა-წარედღესანა მათ კეთილი და რომელსა-იგი მოელოდეს მოსაგებელსა მიუთხრობელსა, რამეთუ იყვნეს იგინი სოფელსა ამას შინა, ხოლო საქმენი მათნი — საუკუნისათჳს. და ამისთვის სრულ ყვნა ღმერთმან საქმენი მათნი დაღირს ყვნა იგინი წამებასა მას.

და ვითარ შეკვირბენით გუამნი იგი მათნი ერთსა ადგილსა, მოვიდა ობედიაწოს, ქრისტესს მოყუარს, და მის თანა სტუანიცა წარჩინებულნი ფარანისანი, და მოიღეს სამოსელი წმიდაჲ და წარჰკრავნეს ქორცნი იგი წმიდათანი. და

რიცხვ მოწამეთა მათ ოც და აცხრამეტ. და შეკრბეს ყოველნი, რომელნი იყვნეს მას ქუეყანასა. და აქუნდა რტოები ბაიახსაჲ ჳელთა მათთა. და აღვიხუენით ჳიარცნი იგი წმიდათა მოწამეთანი გამობითა და ლოცვითა სიხარულით და კჳმადლობდით უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა და დაჳჳმარხენით აღმოსავალით

5 კერძოსა მას კარისასა.

და ვითარ იყო მიმწუხრო, შესიუენა დომნოსცა. ხოლო დაჳჳმარხეთ იგი თჳსაგან სხუასა ადგილსა, გუერდით წმიდათა მათ, რამეთუ არა ვინებეთ გარლებად საფლავი მათი.

და იყო მოწყუედაჲ წმიდათაჲ მათ მოწამეთაჲ ოც და რეასა ღეკენბერისასა, შემდგომად ქრისტეს შობასა მესამესა ღღესა, მეცხრესა ოღენ ეამსა ღღისასა. ხოლო ანღრეა და არიონ დაუტევენ ორგულუბასა შინა, რამეთუ არა იცოდეს, თუ ყოფად არიან მუნ, თუ არა. და მე წარმოვედ თხრობად თქუენდა, რამეთუ ვერ შეუძლე ხედვად მოოჳრებასა მის ადგილისასა. დაღაცათუ ობედიანოს გუევედრებოდა ჩუენ, რამთამცა დავადგერით ჩუენ მუნ, და აღვკჳქუმიდა ყოველსა

10 კეთილსა მოცემად ჩუენდა საჳმარი ჩუენი და რამთა იგი იყოს მზრუნველი ყოველსა საჳმესა ამის სოფლისასა, და არა ვისმინეთ მისი.

და სხუადა მრავალი მკჳეს თხრობად თქუენდა, რაჳმს მოიწიოს ეამი მისი, არამედ მე გუევედრები თქუენ, რამთა მოთხრათ, რამ იყო, ანუ ვითარ მოსრჩეს მამანი მთისა ამისნი, და არარაჲ დამიფაროთ, ვითარცა მე ყოველი წარმოვითხარ.

20

ხოლო ჩუენ წარმოუთხართ ყოველი, ვითარ იყო, და ერთობით დაგვკვრდა განგებაჲ ღმრთისაჲ და ბრძანებაჲ და განჩინებაჲ, ვითარ-იგი ერთსა შინა ღღესა იყო სიკუდილი მათი, რომელნი იყვნეს რაითს და მთასა სინასა, და ერთსა შინა ეამსა. და რიცხვ მათი სწორ იყო. და იყო სიტყუაჲ იგი დაწყება ტირილისა

25 და განახლება მჳუხარებისა და საღიდებელ ღმრთისა.

მაშინ აღდგა მამაჲ ჩუენი ამა თევედლოლჳ შოერის ჩუენსა და თქუა: ამისთვის, საყუარელო ჩემო, რამეთუ მონანი იყვნეს იგი ღმრთისანი, კეთილნი და რჩეულნი, და ღირს ყუნა იგინი ღმერთმან სიხარულსა სასუფეველისა მისისასა და მაიგო საჳქმეთა მათთაებრ და გვარგვროსან ყუნა იგინი წმიდათა თანა. და არიან იგინი პატრიუსა შინა და ღიდებაჲა მიუწოდებელსა. და აწ ჳერ-არს ჩუენდა, რამთა ვზრუნვიდეთ სულთა ჩუენთათჳს და ვჳმონებდეთ ღმერთსა ჩუენსა კეთილთა მონებთა და ვევედრნეთ წმიდათა მათ, რამთა ითხოგონ ჩუენთჳს შეჳეენაჲ საჳმედ, ნებაჲ მისი ნეშტთა ამათ ღღეთა ჩუენთა. და ვითარ-ესე თქუა წმიდამან მან, განაფრთხენა სულნი ჩუენნი ნუგეშინის-ცემითა და სიტყუთა

30 სულიერითა. და ერთობით ჳადლი შეეწირეთ ღმრთისა, რომლისა ჳელთა მისთა არს ცხოვრებაჲ და სიკუდილი.

ხოლო მე, ცოდვილმან ამონიოს, დავიწერე ცხოვრებაჲ ესე მათი ქარტასა. და უჳუნვიქჳც ეგვპტიღვე, რამთა ყოველთა ღღეთა ვიკითხვიდე და მიკვრდეს და კჳმადლობდე ღმერთსა სიხარულით, რომელმან გამოირჩინა მონანი თჳსნი და შეიწყარანა სასუფეველსა თჳსსა, და მათ მიერ ვადიდებდეთ მამასა და ძესა და სულსა წმიდასა, ერთსა ღმერთსა, რამეთუ მისი არს ღიდებაჲ და პატრივი უჳუნისამდე და უჳუნითი უჳუნისამდე. ამენ.

40

ბასილი ზარზმელი

**ცხორებაჲ და მოძალაძოვაჲ ღმერთ-შემოსილისა
ნებარისა მამისა ჩუენისა ხარაპიონისი**

(2) ესე ნეტარი და ყოვლად ქებული სერაპიონ აღმოსცენდა ქენსა კლარ-
 ყეთისასა მშობელთაგან ღირსთა და პატიოსნებით და ლიტონად ცხორებულთა,
 რომელნი შრომით და ქუეყანის მოქმედებით იზარდებოდეს და ნაშრომისაგან
 მათისა მდიდრად ზრდიდეს გლახაკთა და ძალისაებრსა მისცემდეს უღონოთა
 ჴელის აპყრობასა და სიმშვიდით და სიმაბლთ იყოფევოდეს მსგავსად საწინა-
 წარმეტყუელომასა სიტყუსა: „ვის მივხედნე, გარნა მშვდსა და მდაბალსა“
 და შემდგომი. ხოლო მამასა ამის ნეტარისასა ეწოდებოდა კ ვ კ რ ი ა ნ ე,
 ხოლო სახელსა დედისა მისისასა უმეცარ ვართ არა თუ სახე-ბოროტებისა რაჲ-
 სათვსმე, არამედ ეამთაგან დაფარვისათუს...

5
10

ესრეთ დედაჲ ამისი ნეტარიჲჲ სახელ-მოუქსენებულად დაიფარა სოფ-
 ლით. რამეთუ ნათლად რაჲ გამოიყვანა წმიდაჲ ესე ნაშობი ორთა თანა ძმათა
 ინთა. რომელი ერთი იგი უხუტქს იყო და ერთი უმრწემქს, რომლისა ჴსენე-
 ბაჲ მრავალ გზის ეგულეების სიტყუსა; რამეთუ შენა რაჲ საზნი ესე ნაშობნი
 და განიხარა შვილთ-სხმისაგან, ვითარცა მეფსალჴუნქ დასწერს: „დედაჲ შვილ-
 თა ზედა სახარულეენი“, ნათლად გამოიყვანებელი მათი ნათლად წარუვალად
 მიიცივალა.

15

ხოლო უმრწემქსი ძქ იოვანე დაშთა ყოვლად უსრული და ენაბრგუნელი:
 იგი უქუე აღზარდა მამამან მისმან კვპრიანე, ვითარცა შეჴგავს მამასა შვილთ
 მოყუარესა. არამედ შემდგომად არამრავალთა წელთა აღესრულა მამაჲცა ამით
 ნეტართაჲ და წინაშე ღმრთისა მიიცივალა სიბერითა კეთილითა განაზიხებული.
 და დაშთეს საზნივე იგი ყრმანი, მსგავსად ბაბილოენისა ყრმათა, აღსა მას ში-
 ნა სიგლახაკისასა შეთხელნი. ხოლო აქა ეგულეების სიტყუსაჲ მცირედ წიადს-
 ლეჲჲ სხუად მიმართ...

20
25

(3) ამის ნეტარისა მიქელის მიმართ წარემართა. ელ ბრძენი სერაპიონ,
 რომელსა თანა-ჴყვა ძმაჲ მცირქ ჰასაკითა, რამეთუ დიდსა მიქელს, ვითარცა მამასა
 სულთასა და მზრდელსა ობოლთასა, შეჴვედრა თავი თვისი. ხოლო ნეტარსა
 მას სხუანიცა მრავალნი აქუნდეს მოწაფენი, სრულნი და ბრწყინვალენი სათ-
 ნოებითა. ვითარცა დიდსა ანტონის ილარიონ და მაკარი, ეგრეთვე მიქელს ბა-
 სილო და მარკელაოზ.

30

და მათ თანა შეჴვედრა ნეტარი სერაპიონ თანა ძმითურთ და თანა-აღრაც-
 ხილ ყენა დასა მოწაფეთასა. ხოლო უხუტქსი იგი ძმაჲ წესითა მსოფლიოჲთა
 დამპყრობელ იქმნა მამულსა სამკვდრებელსა და იგივე შეიტკბო ტალანტი,
 მოლუაწებჲჲ უცხოთა და გლახაკთაჲ.

35

ამისა შემდგომად მო-რაჲ-იწია ეამი, წმიდაჲ მამაჲ ჩუენი, ვითარცა ღირ-
 სი, ბრძანებითა მიქელისითა პატივითა მღღელმობისაჲთა სრულ იქმნა და ღირ-
 სებით მსახურ სამღრთომასა საკურთხეველისა. და ამან ყოვლად განთქმულმან
 და დიდთა ნიშთა მოქმედმან მიქელ აღზარდნა და სრულებად სათნოებისა აღი-
 ყვანნა იგინი, ვინაჲცა ჰედვიდეს საღმრთოსა მას მოქალაქობასა მისსა და მდი-
 ნარეთა უმდიდრქსთა სწავლათა და ნიშთა და სასწაულთა დიდთა, მის მიერ

40

აღსრულებულა, რომელი შემდგომად სიკუდილისა მისისა აღწერნეს მოწა-
ფეთა მისთა.

5 ამას რაჲ ყოველსა ჰხედვიდეს წმიდანი იგი, ვითარცა მაგალითთა კეთილ-
თა შთახედვიდეს მსგავსად ჯელოვანთა მხატვართა, და მის მიერთა მადლთა მო-
ლებითა აშშენდეს საფუძველსა ზედა სწავლათა მისთასა არა თივასა და ლერ-
წამსა, არამედ ოქროსა, ვეცხლსა და თუალთა ანთრაკთა; ხოლო მის მიერ შე-
ყუარებულ იყვნეს, ვითარცა კეთილად მიმღებელი სწავლათა მისთანი. ამით
ესევეითართა საქმითა აღასრულეს ეამი მრავალი წინაშე მისისა და ყოველ-
თურთ მობაძვე მისსა იქმნენს...

10 (ბ) მოიწინეს მთასა მას, ე-ა სიმადლესა ცისასა აღძრულნი, და დადგეს
ადგილსა მას, რომელსა ბერას ჯუარი ეწოდებინ. ხოლო წმიდამან მან
თითითა უჩუენა მათ ადგილი იგი; სადა ეგულებოდა აღშენებად მონასტრისა-
საჲ. და ვითარცა შთამოვიდეს დასასრულსა მას ჰევისასა, რომელ არს უტყ-
15 სა, მოვიდეს ადგილსა რასმე ძინძედ სახელ-დებულსა, განიხტურეს რაჲ-
მე და განიცადეს და იხილეს, რამეთუ უდაბნო იყო და შეცეულ ტყეთა და ჰე-
თა, და შეიყუარეს იგი ძმათა მათ. ხოლო წმიდა იგი ეტყოდა, ვითარმედ: «არა
არინ სასწაულნი იგი ადგილსა ამას, რომელი გვბრძანა წარმოგზავნელმან
მოძღუარმან ჩუენმან». ხოლო ეგრეთცა ჯელ-ყვეს და იწყეს შშენებად მცირე
20 ტალავარი და ადგილი რაჲმე მონასტრისაჲ და დაყენეს მუნ არა მცირედნი
დენნი.

ხოლო ეუწყა რაჲ უფალთა მის დაბისათა, ვითარმედ უცხოთა ვიეთმე მო-
ნაზონთა ჰნებაეს ადგილსა მას აღშენებად მონასტერი, მათ არა ინებეს, რამეთუ
იყვნეს ყოვლითურთ მკეცებრივ, უწირავ და ბოროტ; რამეთუ არა ინებეს კურ-
თხევაჲ წმიდათა მათგან. ამისთვის ზედა-მიეტევენეს მათ და, ვითარცა-იგი წე-
25 რილ არს კაცთა მათთვის ნაზარეველთა, ვითარმედ: „მოიყვანეს ქრისტე წუე-
რადმდე მის მთისა, რომელსა ზედა ქალაქი მათი დაშშენებულ იყო“, ეგრეთ-
ვე წმიდანი ესე მოიყვანეს პირადმდე მის მდინარისა, რომელ არს აღმოსავა-
ლით ადგილსა მას.

30 და წიადმოველეს რაჲ მდინარე იგი, მოვიდეს დასავალით მისსა ვითარ ორ
მილიონ ადგილთა ყოველად ტყეთა და უფალთა კაცთა მიერ. მიმო-რაჲ-ვიდოდეს-
ქირით და შრომით ადგილთა მათ ოროთა, პოვეს ნიშები და სასწაულები,
უწყებული დიდისა მისგან მოძღურისა, და განიხარეს დიდითა სიხარულითა.
და გულ-საესებით მეცნიერ იქმნეს, ვითარმედ არა ცუდ და ამო არს გზაჲ იგი
საკიროებით სღვისა მათსაჲ. და იხილეს რაჲმე ბორცვ მცირე, უმაღლესი
35 სხუათა მათ ადგილთაჲ, და აღმოსავალით ბორცუსა მას წყალი აღმომცენარე,
მდინარი და შეენიერი, რომელი-იგი გულ-საესე-ჰყოფდა წადილსა მას მგზავრო-
ბისასა. ხოლო მიმოგანიხტურეს და იხილეს, და არა იპოვა ადგილი ველოანი
და ჟაროვებით: შემწყნარებელი მათი. და უბრძანა წმიდამან მან, რაჲთა საშუალ
წყაროსა მას და ბორცუსა მოიქმნას ადგილი და აღეშენოს მცირე ტალავარი,
40 რომელი ექმნა მათ შემწყნარებელ უცხოებისა მათისა, და რაჲთა ცხოველი
იგი ხატი მას შინა თაყუანის-იციმებოდის მათ მიერ....

(გ) იყო ვინმე მთავარი დიდი და წარჩინებული ქენსა ამას, რომელი ყო-
ველთა მკატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და ავარაკთაჲთა, რომელ-
თა სიერეს საზღვართ-ვრცელ და მრავალ იყო; და არა თუ ქუეყანიერთა და ქუე-

მეთრევთავან მდიდროდა, არამედ ღმრთის მსახურებით ცხორებულთაცა კო-
უვლთა ეროდა და, ვითარცა იობისთვის წერილ არს, „ქეშმარიტ, მართალ და
უბრალო“. ესე ვითარა ესე კაცი იყოფოდა და მრავალთა ტაძართა და კარავთა
იქცეოდა, რომელსა სახელი ეწოდა გიორგი, მეორედ ჩორჩანელი, რომლისა ტა-
ძარნი შშნ იყენეს სანახებსა ჩორჩანისა და ზანავისასა.

5

ხოლო უმრავლესთა ეამთა ინადირობნ იგი ადგილთა მათ ცხროკა
წოდებულთა. რამეთუ იყო მუნ სიმრაველ თხათა და სხუთა ნადირთა ველურ-
თაა, და არეთა მათ ეშშნა სახლი, რომელ, უკუეთუ ოდენმე ეწიის ღამე, სად-
გურ-ყვიან მას შინა სიბნელისათჳს ღამისა და უვალობისა და სიჭშოხსა
ტყეთაჲსა.

10

და იყო რაჲმს დაიბანაკეს წმიდათა მათ ადგილსა მას ზემოქსენებულსა.
ქმნეს ტალავარი მახლობელად ბორცუსა მას და აღაგზნეს ცეცხლი, და აქდა
კუამლი დიდძალი. ხოლო ვითარცა იხილა გიორგი მორწმუნემან, იყო რაჲ
მღევარ ნადირთა, განკვრდა ფრიად და ჰრქუა წინაშე მღგომელთა: „ეინაჲ არს
ადგილსა იმას სიჭშოხ კუამლისაჲ, ანუ თუ ვის რად უქმს ცეცხლი? უკუეთუ
ვინმე ეძიებს ნადირთა, რად კანდიერ და ურცხვრო ქმნილ არს? და ღათუ სხუაჲ
საჭირო რაჲ ვის უქმს, ჩუენ ვითარ არა მეცნიერ ვართ?“ არამედ ვერვინ მისცა
პასუხი. ვინაჲცა მყის უბრძანა ერთსა ვისმე მონათავანსა და ჰრქუა: „წარვედ
შწრაფელ და ზედა-მიწვეენით ცან ძალი საქმისაჲ ამის და მაუწყე ჩუენ. თუ რაჲმე
არს სახილავი ესე“.

15

20

ხოლო წარვიდა მყის ყრმაჲ და ჳირით და შრომით მიჰყვა კუამლსა მის
ცეცხლისასა. ხოლო ვითარცა მიიწია მუნ, იხილა ტალავარი იგი და კაცნი შე-
მოსილნი ხალენებითა უცხოაჲთა მეუღაბნოეთაჲთა. განჰკრთა უკუე კაცი იგი,
ხოლო იგინიცა განკვრდეს. და მივლინებული იგი ჰკითხვიდა ვინაობასა, ანუ
რაჲ-მე არიან საქმენი მათნი, რომელნი ესე ვითარითა სიგლაბაკითა იხილვებიან
და ესე ვითარსა ამას უღუაფსა ადგილსა იხილვებიან? ხოლო მათცა მიუგეს და
ჰრქუეს: „და, საუუარელო, შენ უკუე ვინ ხარ, ანუ რად გიქმს ზედა-მიწვეენით
ცნობაჲ ჩუენისა ვითარებისაჲ?“ და კაცი იგი ეტყოდა: „მთავრისი ვარ მე დი-
დისა, რომლისა სახელი გიორგი, რომლისა მიერ მოვივლინე მე, რამეთუ დაუ-
კვრდა ესე ვითარსა ამას ადგილსა კუამლი ცეცხლისაჲ და ყოველად ყოფაჲ კა-
ცისაჲ.“

25

30

ხოლო წმიდასა მას ვითარცა ესმა, რამეთუ მთავარ არს და უფალ ადგილ-
თა მათ, გამოიკითხა გამოწულილვით ყოველი საქმშ მისი. და ვითარცა ცნა
ზედა-მიწვეენით, ვითარმედ უფალ არს მათ ადგილთა და მპყრობელ ყოველთა
მათ სანახებთა, მეყსეულად იწყო წმიდამან სერაპიონ და მყის წარმოუთხრა
პირველთგან ვიდრე მეუ წამადმდე, თუ რომლისა მიზეზისათჳს მოიწინეს ად-
გილსა მას და ვითარ ეტყულების აღშშნებაჲ მონასტრისაჲ, და ესეცა შესძინა,
ვითარმედ: „ბრძანებაჲ არს საღმრთოა, და მოწაფენი ვართ ნაშთა და სასწაულ-
თა მიერ განბრწყინებულისა მიქელ პარეხელისანი“.

35

და ვითარცა ესმა ესე ყოველი კაცსა მას და რაჲ-იგი იხილა, ყოველი
მიუთხრა დიდსა მას მთავარსა და ყოველთა წინაშე მღგომელთა, ხოლო იგინი
მთავრითურთ შიშმან და განკვრებამან შეიპყრნა და საოცარ რაჲმე ჰგონეს
საქმშ იგი. ხოლო კაცი იგი ეტყოდა მათ, ვითარმედ: „კაცნი მინახვან ყოველდ
ჳორკითა მყოფნი, ხატითა და სახითა მონაზონთაჲთა და არა საოცრად, არამედ

40

ცხადად. ხოლო განთენა რაჲ, კულად უბრძანა მთავარმან ორთა საკუთართა თვსთა და გონებითაცა ფრთხილთა, რაჲთა ზედამიწევნით ცნან ყოველივე.

- ხოლო წარმოვიდეს კაცნი იგი და ვითარცა მოიწინეს წინაშე წმიდისა მის მამისა, და იხილნა იგანი და გულისხმა-ყო, რამეთუ მთავარნი არიან და საკუთარნი ღიღისა მის მთავრისანი, მიეგება და მოწოდებდა მოიკითხნა წმიდამან მან და წინაშე ხატსა წარავლინნა. და თაყუანის-სცეს რაჲ და იკურთხნეს და განიხარეს ღიღად ფრიად, მაშინ პრქუეს მთავართა მათ წმიდასა სერაპიონს და სხუათა მათ ძმათა: «ვჰმადლობთ ღმერთსა, წმიდანო მეუფენო, რომელმან ეამთა ამათ მოხედვა-ყო ჩუენ და ქუეყანასა ზედა გვჩუენნა კაცნი ზეცისანი, 5 ხოლო აწ გულ-საევ გუყვებით ჩუენ, თუ რომლისათვს ჟერ-იჩინა სიწმიდემან თქუენმან მოსლვაჲ ულუაფთა ამათ და უვალთა ადგილთა?» მაშინ წმიდამან მამამან სერაპიონ სახტ პატიოსნისა ჟუარისაჲ გამოსახა და სულთ-ითქუნა სიღრმით სულისაჲთ და ესრეთ პრქუა მათ: «ჩუენ, ზ საყუარელნო, დადაცათუ ცოდვილ ვართ, კაცნი ვართ ქრისტეანენი და გურწამს ქრისტე ღმერთი, ჩუენისა 15 ცხორებისათვს განკაცებული, და მოველით აღდგომასა ყოველთასა და წმიდათათვს განმზადებულსა ნეტარებასა, რომელ არას ვიტყუთ გარეგან ჰეშმარიტებისა, რამეთუ მოწაფენი ვართ ღიღისა მის და განთქმულისა მიქელ პარებელიანსანი და ბრძანებითა საღმრთოჲთა მის მიერ წარმოვლენილნი, რაჲთა ადგილსა ამას აღვაშწნოთ შესაკრებელი ცხოვართა პირ-მეტყუელთაჲ, და ყოველივე 20 წარმოუთხრა შემდგომითი-შემდგომად.

ხოლო მათ ვითარცა გულისხმა-ყვეს, რამეთუ ჰეშმარიტ არიან სიტყუანი მათნი, სახელი ღიღისა მის მოძღურისაჲ ესმა, თაყუანის-სცეს ხატსა მას ცხოველსა და წმიდანი იგი მოიკითხნეს და წარემართნეს და მიიწინეს, რაჲთა წინაშე გიორგი ღმრთის მსახურისა ყოველივე. ხილული და სმენილი წარმოუთხრან. ხოლო მას ესმა რაჲ, ვითარმედ მოწაფენი მიქელისნი არიან, ირწმუნა ჰეშმარიტებაჲ სიტყუათა მათთაჲ და განიხარა და წარვიდა სახიდ თვსა და სურვიელ იყო ხილვასა მათსა.

- (?) ხოლო შემდგომად სამისა ღიღისა უბრძანა, რა მზა-ყვენ გზანი, მიყვანებელნი ადგილსა მას, რომელსაცა იყენეს წმიდანი იგი. და აღეკაზმა და 30 აღიღო მცირედი რაჲმე ევლოგიაჲ, რომელი შეეტყუებოდა კაცთა მათ მეუღაბნოეთა, და მის თანა წირაყვანა ხუცესნიცა საცეცხურ-საკუთმეველებითა და წარავლინა წინაშე მკვრცლ-მავალნი, რაჲთა განმზადებდენ გზათა.

- და მიიწინეს ადგილსა მას, რომელსა წმიდანი იგი იყენეს. ხოლო ცნეს რაჲ წმიდათა მათ, მყის წინა-მიეგებნეს მთავარსა და, საღ-იგი წყაროჲ არს, განვიდეს ადგილსა მას, ვინაჲცა გარდაქდა საქედარსა და შეუვირდა ხატსა მას ცხოველსა, და ეგრეთვე წმიდანი იგი მოიკითხნა და იკურთხა მათ მიერ. მაშინ მიუჯო მთავარმან მამათა მათ ნეტართა და მღუღარითა სულითა ეტყოდა: «და 35 ვჰმადლობ ღმერთსა და მეუფესა, ზ წმიდანო, რომელმან არა უგუღლებელს-ყო უღირსებაჲ ჩუენი და დღეთა შინა ჩემთა ყო ჩემ თანა სასწაული, რომელმან აწ ღირს მყო ყოველად არა ღირსი ესე პირველად თაყუანის-ცემად ცხოველსა 40 ხატსა მისსა და მერმე წმიდათა პირთა თქუენთა».

ხოლო სანატრელი სერაპიონ აღივისო სულითა წმიდითა და მსგავსად მდიანარისა აღმოადინებდა თაფლ-მწოთლოვარითა მით ენითა სწავლთა საღმრთოთა და ვითარცა მღინარტ ეღემისაჲ, აღმოუწყაროდა ოქრო-ნაკედულით პირით

მისით, რომლისათვისცა განკვრდა მთავარი იგი და ყოველნი წინაშე მდგომნი, რომელნი შეუვრდეს ფერკთა მისთა და ეტყოდეს: «ვითარცა ერთი მოციქულთაგანი, ქრისტემან მოგავლინა, აწ უკუე ჭერისაებრსა ყოფად გვბრძანებდი, მამაო». და წმიდათა მათ ძალისაებრ ჰქუეს: «არა ყოენებად საღმრთოსა ბრძანებასა, ვინაჲცა ჭერ-არს ადგილსა ამას აღშენებად მონასტერი შესაკრებელად სულთა ღმრთის მოყუარეთა».

ხოლო მთავარი იგი შეუვრდა მათ და ეტყოდა: «გვედრებე, ჰ წმიდანო, ნუ დაამძიმებთ ჩემ ზედა სათხოველსა, რამეთუ აჰა ესერა ჰხედავთ, ვითარ ყოვლითურთ უქმ და ულუაწ არს ადგილი ესე და ყოვლად უღონოდ გხედავთქუნ, მსგავსად მოციქულთა. ხოლო ვინაჲთგან ღმერთსა მოღუაწედ ჩემდა მოუვლინებთ, საქმენი ესე, რომელთა იტყვთ, თვნიერ ჩემსა არა წარემართებთან. აწ უკუე არს ადგილი, რომელი მარჯუე არს და მოშხვეებელ ამათ საქმეთა, ვინაჲცა ბრძანენ სიწმიდემან თქუენმან, რაჲთა მუნ აღუაშენოთ მონასტერი, რამეთუ აჲა შეუძლებელ არს ყოვლად რაჲსაცა ეგვეითარისა საქმედ».

ხოლო წმიდაჲ იგი ეტყოდა მას: «ღმერთმან რომელმან უბრძანა მოსეს კუერთხითა განკებაჲ ზღვსაჲ და კუალად უღაბნოს კლდისაგან უღაღისა აღმოკენებად წყალი, და მოღებასა საზრდელისასა უწყმა მანანაჲ ესა, ვინაჲ იგივე არს აჲცა, რომელმან ძნელოვანნი ადვილ ყვნეს, ჭერ-ჩინებითა შენითა და შეწვევითა საღმრთოჲთა ჰელ-ყვით შსნებად. ხოლო შეუძლებელ არს, რაჲთამცა ბრძანებასა საღმრთოსა წინა-განეწყვენით და ადგილი ესე სხუად ეკვალეთ, რამეთუ ნიშნი და უწყებანი ადგილსა ამას უწამებენ».

ხოლო მთავარმან ჰქუა: «ეგებისა ესე, მამაო, რაჲთა კაცმან ნუესით თავი ჭირთა მისცეს და უკუანაჲსკენელ მოკიცხულ და მაშურალ იპოოს ცუდად?»

ხოლო წმიდაჲ იგი ეტყოდა: «გონიერად ისმინე, მთავარო, იგავი ესე, რამეთუ მარგალიტნი და თუალნი პატროსანნი მიმოგანბნეულ არა იყენე თანა-აღრვეით მიწასა, არა ესრეთ ბრწყინენ წინაშე თულაებსა ხილის მოყუარეთასა, ვითარ-იგი რაჲამს გამოიჭურვენ და განწმდენ და ოქრო-თბზულებით შეიწყენენ კეთილთა მიერ მკედელთა, მაშინდა გამოჩნდეს ბრწყინეალებჲ მათი და იქოს ზუსაკი და შუენიერებაჲ მათი; ეგრეთვე ადგილი ესე: რაჲამს ჰელ-ყონ ჰელოვანთა მუსაკთა, მაშინ იხილოს თულამან მხიველთამან შუენიერებაჲ ადგილისაჲ ამის. ვინაჲცა ნუ გუარჯულებ დატეეებად ადგილსა ამას და სხუად ცვალებად, რამეთუ ესე ეერ გეგბის ჩუენ მიერ».

ესე რაჲ ესმა მთავარსა, თავი მოიდრიკა და დადუმნა. ამისა შემდგომად აღღგა, ილოცა და ჰქუა მათ: «ლოცვა-ყავთ ჩუენთვის, წმიდანო, რამეთუ მე არა მშურს ადგილი ესე, ხოლო სხუად თანა-ღობობაჲ და შეწვენაჲ ყოვლად შეუძლებელ არს». და მოჰკუარეს მას საჭედარი და წარვიდა და ეტყოდა და ჰქუა წმიდათა მათ: «არა თურე ღირს ვიყავ ლოცვასა თქუენსა!» და წარვიდა მწუხარე.

და ვითარცა მივიდა მდინარესა მას, წინაშე მათსა მყოფსა, და იხილა მცირე რაჲმე კლდმ და გარდაჭდა მას ზედა და დაჭდა და მოუწოდა ერთსა ყრმათაგანსა და ჰქუა მას: «მიედე, ძმაო, და არქუ წმიდათა მათ, რაჲთა მოვიდენ ადგილსა ამას». ხოლო ვითარცა წარგზავნა იგი, ჰქუა თვსთა საკუთართა: «ვინაჲთგან არა ნებეს წმიდათა მათ ადგილთა მათ ზანაისათა, რაჲთამცა მუნ გუეშმნა უღაბნოჲ დიდი და მაღალი, აწ უკუე რაჲ ჭერ-არს ყოფად?» ხოლო მათ ჰქუეს: «რაჲთა არა დაეაბრკოლოთ გულს-მოდგინებაჲ მათი!»

- ხოლო მთავარმან პრეტუა: «საღმრთოასა ძალისა განუგებელად არა არს საქმე ესე კაცთაგან. ამისთვისცა ჭერ-არს, რაათა ძალისაებრი ვაჩუენოთ შეწყვე-
ნაჲ. და ვითარცა მოიწინეს წმიდანი იგი ადგილსა მას, და კუალადცა ეტყოდა
მათ მთავარი იგი: «გვედრებნი, წმიდანო ღმრთისანო, რაათა ერთი მომშადლო
5 მე: რამეთუ არიან ადგილნი შრავალნი და კეთილნი და ნაშენებითა ღონიერნი და
იხილენით იგინი და უკუეთუ დიდად მოაშუნდეს სულსა თქუენსა, აჲ ადგილნი
და შესავალნი და ყოველნი საქმარნი უხუებით!» ხოლო ნეტარმან სერაპიონ კუა-
ლადცა პრეტუა: «მსგავსად მოციქულისა ვიტყოდი: უკუეთუმცა ანგელოზი მახა-
რებდა გარემე მისსა, რომელი გუეხარა, არა გურწამს».
- 10 მაშინ გიორგი მოუწოდა ვისმე კაბუქსა ჰასაკითა, რომელ არს ძალითა, და
პრეტუა: «შვილო საყუარელო, გზა-ჰყვე წმიდათა ამათ და ხვალე ვანთილითგან.
ვიდრე მწუხრადმდე რაოდენი შემოწერით შემოვლონ, მიმიცემიეს მათდა, ვი-
ნათგან ადგილსა ამას წადიერ არიან; და უკუეთუ ვინმე იპოოს დამახრწვეელი
მათდა უცხოებისათჳს, ყოველთავე აუწყე, ვითარმედ თავისუფლებით და ნები-
15 საებრ აშშნებენ მონასტერსა საბრძანებელსა შინა ჩუენსა». ხოლო წმიდათა მათ
მამათა ეტყოდა: «გულ-მყრობილ იყვენით, ვითარმედ ყოელითა ძალითა თანა-
-შემწე თქუენდა ვარ მე და მზრუნველ, და არავინ წინააღმდეგომ ჩუენდა არს
ადგილთა ამათ, რომელთა გეგულების დაპყრობად, ხოლო შემდგომად სამისა
დღისა კუალად გიხილნე, უფალსა თუ ენებოს». ვინაჲ წმიდათა მათ განიხარეს
20 ფრიად და მადლობაჲ აღუყარეს. და მთავართა მათ ღამშ იგი კლდესა მას ზედა
განათიეს. და ესეცა სიტყუაჲ კეშმარიტ არს, მოწვეული რუენდა, ვითარმედ
ბილვაჲ ანგელოზისაჲ იხილა ღამესა ამას, რომელი განაძლიერებდა მას და გულს-
-მოდგინებით შრომად უბრძანებდა. რომლისათჳსცა შემდგომად ორისა დღისა
შექმნა ორნი ჭუარნი წმიდამან მან ჳელითა თჳსითა და კლდესა მას ზედა აღ-
25 მართნა სახელსა ზედა წმიდათა მთავარანგელოზთასა. ხოლო უკუანასკნელ
წიორშ ეგუტერიცა აღეშენა, რამეთუ ნიშნი და კურნებანი სნეულთანი იქმნებო-
დეს საღმრთოასაგან მადლისა წმიდათა მათ მთავარანგელოზთასა.
- (8) ხ^ა ჩუენ კუალად აღვიდეთ პირველსავე სიტყუასა და ძალისაებრ ვიპყ-
რათ წესი თხრობისაჲ რამეთუ გან-რაჲ-ათიეს ღამშ იგი და მშშ აღმობრწყინ-
30 დებოდა, აღდგა წმიდაჲ იგი და მძაჲ მისი იოვანე და ერთი მძათა მათგანი, რო-
მელთა რიცხჳ ექუს იყო, და წარემართნეს კაბუქისა მის თანა სამნი იგი და სამნი
დაეტევენეს ადგილსა მას. ხოლო იწყეს სლვად პირსა მის მდინარისასა დასაეალით
კერძო. და ვითარ ვლეს, მიიწინეს შესაკრებელსა ორთა მათ წყალთასა.
- ხოლო იყო მუნ წისკულ, სახლი რამე, შესაკრებელსა მას შუა წყალთასა,
35 რომელსა ს ა ძ მ ო ეწოდებოდა. და ამას შინა იყვნეს კაცი რამე უკეთურნი,
ყოლად მწეცებრივნი, ვითარცა ადგილისა უკაცოასა და უცხოასანი. და ვითარ-
ცა მივიწინით ადგილსა მას, მაშინ კაბუქი იგი, მოძლუარი ჩუენი, გუეტყოდა:
«წმიდანო ღმრთისანო, საათ გნებავს სლვაჲ?» ხოლო ჩუენ გუენებდა, რაათა გარე-
-შეწერით შემოვლოთ საპგრკულშ მათ ადგილთაჲ, ვინაჲ პირი სამხრით ვიქციეთ
40 თანა-აღყოლად ერთისა მის მდინარისა. ხოლო გვხილნეს რაჲ კაცთა მის და-
ბა-წისკულისათა იწყეს ყენებად ჩუენდა და, ვითარცა ცოფნი, წინა-რბიოდეს.
ხოლო კაბუქი იგი აყენებდა მათ და რისხვით უთჳუმიდა...

აღუყუევით პირსა მის მდინარისასა და მივიწინით ჳევესა რასმე ღრმსა და
უღაღსა, რომელსა გ ო ღ ე რ ძ ი ს ა ეწოდების, და ფრიად ძლით შეედით მას

შინა, ვინაცა სიჭმომასა მისგან მყოვარ ეამ ვერღარა ვიხილეთ ცაჲ, ანუ შხისა
ზარავანდელი, რომლისათუსცა ჭირით და შრომით დაყოვნებულნი, ვითარცა
სიზრქით აღმურისათ, ანუ სიღრმით უყისათ აღმოშობილნი, აღვდით თავსა
ნის ქვეისასა და ვიხილეთ მცირენი რამეჲ ყანობირნი და მცირჲ დაბაჲ. და მცის
ნეირ მოგუეგებაჲ კაცი ვინმე კეთილი, მკცოვანი და მოწოდელ მოციხთხვიდა წმი- 5
დასა მას და აწუეედა, რაათა მცირედ განისუენოს შრომისა მისგან. რამეთუ გან-
სმენილ იყო მოსლვაჲ ჩუენი ყოველთა მათ სანახებთა და გუკითხვიდა კაცი იგი,
თუ რად გვქმს უგზოთა და უვალთა ადგილთა სლვაჲ. ხოლო ჳაბუქმან მან იცნა
იგი და ყოველიეჲ საქმჲ ჩუენი ზედა-მიწეენით მიუთხრა. და ვითარცა მრავალ-
გზის გუევედრებოდა კაცი იგი, რაათა ღამესა მას სავანე-ყყოთ, სახლსა მისსა. 10
წმიდამან მან მაღლობით მითთულა კეთილი იგი გონებაჲ მისი და ჳკითხა სახელი
და ჳრქუჲ, ვითარმედ: «შეუძლებელ არს არა მისლვაჲ ჩუენი ადგილსა მას
ღ რ ო ს ა». და კაცი იგი ეტყოდა: «სახელი ჩემი ია, ხოლო დაყოვნებულ
იჳუენდა არს ადგილსა მას მისლვაჲ, რომელსა იტყუთ». ვინაჲ წმიდაჲ იგი
ეტყოდა: «საყუარელო ძმარ ია, შრომაჲ თავს-იდეჲ ღმრთისათუს და მცირედ 15
თანა-მოგზაურ მექმენ ჩუენ». ხოლო მოიღეს მცირედ ჳური და მარილი და ყველა
ია, რომელთა ენება, ჳამეს, ხოლო წმიდასა მას ყოვლად არაჩამასა გემოჲ უხე-
ლავს.

ხოლო კაცი იგი ია თანა-მოგზაურ გუექმენა ჩუენ და წარვემართენით აღმო-
სავალით კერძო და ვიღოდეთ ჳედთა რამეჲ მაღალთა, ტყიანთა და ლოდონთა. 20
და ვითარცა აღვედით უმაღლესთა ადგილთა, და ჳკითხა მას კაცსა წმიდამან მან:
«საყუარელო ია, რაჲ ეწოდების ადგილსა ამას?» ხოლო იგი ეტყოდა, რამეთუ:
«არს ესე შესაკრებელი ნადირთა ეელისათაჲ, ბ ა კ თ ა ეწოდების». ხოლო წმი-
დამან მან აღიღო ჳელითა თუსითა ორთოჯი რკინისაჲ და გამოქანდაკენა ჳუარნი
ლოდთა რათმე ზედა დიდ-დიდთა, რომელნი-იგი იხილევებიან ვიღრე დღენდელად 25
ღღელმდე.

კულად მიიხილა წმიდამან და იხილა აღმოსავალით კერძო ჳედსა მას ზედა
ტბაჲ, აღრეული ჳალითა, რომელი-იგი სახედ მწკრისა იხილევებოდა. და გვკვრდა
ჩუენ ფრიად და ვჳკითხეთ კაცსა მას: «რაჲ არს ადგილი ესე უცხოასა ამის წყლი-
საჲ?» ხოლო ია მომიგო ჩუენ: «ესე არს ტბაჲ მრღვე ყოვლადეჲ, რომელსა ეწო- 30
დების ს ა თ ა ჳ უ ე, და არს ამას შინა სიმრაველჲ თავუთაჲ და სხუთა ნადირ-
თაჲ და არს დედა შფოთთა და ბრძოლათა. რამეთუ ეამსა ამას აჳა იხილევებიან
მღვეარნი ნადირთანი, შეკრებულნი თუთოეულთა სანახებთანი და ურთიერთას
მღვეარნი საქმეთა უჳეროთანი, რომელნი კლვადცა მზა არიან თუთოეულისა».

და ვითარცა წარვემართენით ტბისა მის მიმართ, კაცი იგი ია შეუერდა წმი- 35
დასა და ღმერთსა მაღლობასა აღუარებდა ხილვისათუს ჩუენისა და ესრეთ გუეტ-
ყოდა, რაათა ყოვლადეჲ უბრძანებდეთ, უჳუეთუ რაჲ გუენებოს მის მიერ. ხოლო
წმიდამან ჳრქუჲ მას: «ნუ წარხუალ ჳერეთ. ძმარ, რამეთუ ჳაბუქი ესეცა უმეცარ
არს ადგილთა ამათ». და ია ეტყოდა: «ქრისტემან მომბადლოს, რაათა მარადის
ეიყოფვიდი სიწმიდისა თჳუენისა თანა, მამარ». 40

და ვითარცა შთავედით პირსა მის ტბისასა, ვჳკითხეთ კაცსა მას ეამი დღი-
საჲ. ხოლო მან მომიგო: «მწუხრ არს და მიღრეკილ დღჲ». ხოლო წმიდამან მან
მიუგო: «რაჲ არს იმიერით ჳედთა ამათ ტყიანთა, ანუ სიმაღლჲ დიდისა ამის
მთისაჲ, რომელ არს ზემოთ ჩუენსა?» და მან მიუგო: «მთაჲ ესე მაღალი არს

თავი ყოველთა ამათ ქედთაჲ, რომელსა ჰრქვან თ ა ვ ი შ ე შ ა თ ა ჲ, რამეთუ თავი არს ყოველთა ამათ მადნართაჲ, ამისთვის შ ე შ ი ს თ ა ვ ე წ ო ლ დ ბ ის და უვალ არს კაცთა და პირუტყუთა სიმაღლისათვის მისისა. ხოლო წინაჲთ ჩუენსა არიან ადგილნი მცირედ კაცრიელნი, და აწ ვინაჲთგან მოსწრაფე ხართ, რაჲთა ადგილსა მას დ რ ო ს ს ა მიხვდეთ, არა ჯერ-არს ყოენებად, რაჲთა არა უქამოდ გეწიოს ღამშჲ.

ვინაჲცა ენება წმიდასა მას, რაჲთა ტბაჲ იგი მარჯუენით წარვლოთ და წარვიდეთ დელეთა მიერ, რომელნი იყვნეს წინაშე ჩუენსა. და ვითარცა ვიდოდეთ, აჲ ესერა მოვიდეს ვინმე კაცნი უკეთურნი, რომელნი გუეტყოდეს, რაჲთა დაუცადოთ სლვაჲ კერძოთა მათ, რომელთა მიგუემართა, რამეთუ ეამი არსო ნადირთაჲ, რომელნი მოვლენ ტბასა ამას, რამეთუ მზა არიან მონადირენი ადგილთა ამათ, რაჲთა არა იქმნეს ცთომალ მათი თქუენ მიერ. და არა გვტვენეს რაჲთურთით წარსლვად კერძოთა მათ. და ჰაბუკი იგი, მოძღუარი ჩუენი, ძლიერად წინა-აღუდგებოდა მათ, და არა იყო მათ თანა სმენაჲ, არამედ გარე-უქუემოგუაქცონეს და პირი იგი ზღვსაჲ მის დასავალით წიაღვლეთ, მოველით თავსა შთასაულისა მის ქედისასა, რომელ არა იყო ყოვლად კუალი მგზავრობისაჲ და არცა გზაჲ. ხოლო კაცი იგი ია გვჩუენებდა მცირესა რასმე დაბასა და სახელ-სდებდა კაცსა სახელთანსა და კეთილსა, რომელსა ეწოდა გ ა რ ბ ა ნ ე ლ ი, და გუეტყოდა: «მოველით ადგილსა იმას ამის იწროჲსა მიერ გზისა და კაცმან მან ადვილად მიგეყვანნეს ადგილსა მას, სადაჲთ იქმნა წიაღსლვაჲ თქუენი განთიად»...

(8) და ვ ა მოველით ადგილსა მას, რომელსა ბ ა ბ გ ე ნ უ წ ო ლ ი ა ნ, და ეხილეთ მცირეჲ ველი ადგილსა მას ბ ო ბ ხ ა წ ო ლ დ ე ლ ს ა, და გვთხრა ჩუენ ია ყოველივე კაცისა მისთვის გარბანელისა. მაშინ ია შეუვრდა წმიდასა და მოწოდებ მოიკითხა. ხოლო წმიდამან მან ქუარი დასწერა და ეტყოდა მას: «ღმერთმან მოგავოს ნაცვალნი მგზავრობისა შენისაჲ, მშაო! ხოლო გეტყვ შენ, რამეთუ აღრე იხილო მისაგებელი კაცთა მათ ბოროტთა და შფოთის მოყუარეთაჲ».

ხოლო ვითარცა იგი განგუემორა და წარმოვიდა, ჩუენ შთამოველით შთასაქანელსა მას წყალთასა. და ვითარ მოველით დაბასა მას, აჲ ესერა კაცი იგი ზემო-ქსენებულნი მივიდოდა სახიდ თჳსა ორთა თანა ძეთა მისთა. და ვითარცა გვხილნა ჩუენ ესეთითარითა რაჲთმე სახითა, განჰკრთა და მოწოდებ განგვკითხვიდა და განგვხილვიდა ჩუენ. და ვითარცა ცნა, ვითარმედ იგინი არიან, რომელნი მოსრულ არიან ადგილთა ამათ აღმშენებად მონასტრისა, და იხილა რაჲ, ვითარ-იგი არღარა იყო ჩუენ თანა სახეჲ სამოსელთა ჩუენთაჲ და ყოველითურთ დაძმარულ იყვნეს ასონი ჩუენნი, მაშინ ცრემლით მოეხვა და ამბორს-უყოფდა ფერქთა მის წმიდისათა.

და ესრეთ იხილა რაჲ წმიდამან მან კაცი იგი, ეტყოდა: «საყუარელო და ქრისტეს მიერ მშაო გარბანელო, აწ აჲ ესერა მცირედ თანა-ლომობით შეეწიე მგზავრობასა ჩუენსა და რაჲთა წარგვძლეთ ვიდრე მდინარემდეთ, რომელ არს ჩრდილოჲთ ჩუენსა». ხოლო იგი გულს-მოდგინედ და ცრემლით ეტყოდა, ვითარმედ: «არა ეგების ეგე, წმიდაო ღმრთისაო, რამეთუ ესერა დასლვასა მზისასა ღმერთმან მოგეყვანნა ცოდვილისა მონისა თქუენისა, და ეხედეთ წყალულებსა ფერქთა თქუენთასა და გევედრები, რაჲთა მცირედ განისუენოთ მაშურალობისაგან მგზავრობისა თქუენისა და რაჲთა ზედ-მიწვევით ვცნა, უკუეთუ რაჲ არს ესოდენი ესე მდულარებეჲ სულისა თქუენისა, რომელ ესრეთ გაიძულა დადებად

სული უღალთა ამათ და უვალთა გზათა სლვად». წმიდამან ჰრქუა მას: «შეუძლე-
 ზელ არს ჩემგან, რაათმცა არა მივედით ადგილსა მას განჩინებულსა». ხოლო
 შერბიოლა შინა კაცი იგი და კულად გამოვიდა თანა მუელლითურთ; მსგავსად
 სარეფთელისა და სომანიტელისა შეუერდეს ფერქთა წმიდისათა და, ვითარ
 ეგრ არწმუნეს, მამინ ჰბაბუკი იგი, მოძღუარი ჩუენი, შეუერდა მძასა მისსა იოვან-
 ნეს და ეტყოდა: «აჲა ესერა არა დაშოთმილ არს სული ჩუენ თანა, დავემორჩილ-
 ნეთ კაცსა ამას, რამეთუ არლარა არს ეამი სლვისაჲ»...

მამინ წარმოუძღლა კაცი იგი და, წარმო-რაჲე-მართნეს, ჰბაბუკმან მან ჰრქუა
 წმიდათა მათ: «ლოცვა-ყავთ ჩემთუს, წმიდანო. რამეთუ ხვალე, ინებოს თუ
 ღმერთმან, შეევეთხვო წმიდათა ფერქთა თქუენთაჲ, ვინაჲცა-ესე განგებულეებით
 იქმნა, რაჲთა თანა-ეწამოს იგი დიდებულსა მას სასწაულსა, რომლისა შემდგო-
 მად მცირედისა ეგულეების სიტყუასა წარმოთქუმაჲ.

და ვითარცა წარმოვედით, იბოვა წინაშე ჩუენსა გზაჲ რამე იწროა და
 ძნიად საჭირველი, ხოლო გარბანელმან უბრძანა ძესა თუსსა, რაჲთა თანა-გზა-
 -მყევს ვიდრე პირადმდე მდინარისა, რომელსა შთავედით რაჲ და აღმავლენ-
 კულად გვხილნეს ძმათა მათ, მოგუეგებნეს. ხოლო შენ, საყუარელო, განიხი-
 ლელა საკვრველი ესე, რამეთუ რაჲამს კაცისა მისგან წარმოვედით და ვიდრე
 მოსლვადმდე ჩუენდა კულად ეგო ადგილსა მას სიტყუასებრ წმიდისა, რომე-
 ლი-ესე გვკვრდა, და ვადიდებდით ღმერთსა, მადიდებელსა მისსა.

ხოლო გვხილნეს რაჲ ძმათა მუნ მყოფთა, ცრემლოოდეს ჩუენ ზედა, რამე-
 თუ სამოსელი ჩუენი ყოვლად არლარა იყო და ფერქნი ჩუენნი დაჭეჭილ და
 დაბძარულ იყვნენ და მცირედ რაჲმე ნუგეშინის-ვიცით საზრდელი, რომელი
 იბოვა მათ თანა.

ხოლო განთენა რაჲ. შეეწირებით ლოცვანი. და მოილო წმიდამან მან ქელითა
 თუსითა შეშაჲ და, ვითარცა პირველ ვთქუთ, შექმნნა ჭუარნი და აღმართნა სა-
 ხელსა ზედა წმიდათა მთავარანგელოზთასა. და ვითარცა იყო ეამი სამეშისაჲ.
 ვილოცვედით რაჲ ადგილსა მას, აჲა ესერა კაცი იგი გარბანელი და ჰბაბუკი იგი.
 მოძღუარი ჩუენი, და ორნი კაცნი უცხონი მოიწინეს სწრაფით ჩუენდა. ხოლო
 ჩუენ ვიხილენით რაჲ, განვიხარეთ. და იგინი იყვნეს შეპყრობილ შიშითა რაჲთმე
 დიდითა და კაცნი იგი უცხონი — ვითარცა მკუდარნი ხილვითა. ხოლო ჩუენ ვი-
 კითხვედით მიზნუსა, თუ რაჲსათუს სულ-თქუმით და ექვთ მოიწინეს იგინი, ანუ
 ეინ არიან კაცნი იგი, რომელნი სახედ მკუდართა უქმო და უსიტყუ არიან?...

მიერითგან ეწოდა სახელი შემსგავსებული საქმეთაჲ ადგილსა მას: რამეთუ
 ეწოდა ზ ა რ ზ მ ა ერთა მათგან. რომელნი ზარითა და შიშითა მიუთხრობელი-
 თა შეპყრობილ იყვნეს. ხოლო ლოცვით და გალობით განათიეს ღამმ იგი და გან-
 თიად მოიკითხნეს წმიდანი იგი და სიხარულით წარვიდეს სახიდ თუსა.

(10) ბ ღმრთის მსახური გიორგი დაშთა მათ თანა და უბრძანა, რა მოი-
 ძინონ ადგილი, სადა ჰნებავს აღშენებად ეკლესიაჲ, და მისცნა საქმარნი უხუებით
 და, წარვიდოდა რაჲ, უბრძანა კულადცა მოსლვაჲ.

მიერითგან იწყეს ძიებად ადგილსა, სადა უშვნონ ღმერთსა სადიდებელად
 ეკლესიაჲ. ბ წმიდასა მას ენება, რა[მცა] ბორცუსა მას ზედა უმაღლესსა ალა-
 -წმნა ეკლესიაჲ. და ძმაჲ ზისი იოვან და სხუანი ძმანი ეტყოდეს: «ნუ, წმიდაო
 მანაო, ადგილსა ამას. რამეთუ მაღალ და ცოე არს და ძმანი ესე შიშუელ და
 კლხაჲ». რომლ-სათუსცა იქმნა ცილობაჲ შორის მათსა და, ვითარცა-იგი გედგონ

საწუმისი დაღვა გამოცდად საქმეთა, და კუალად დიდმან თევდოსი ნაჭშირთა
ნიერ მოიძია ადგილი სადა აღაშმნოს მონასტერი, ეგრეთვე ამათ ნეტართა ყვეს.
რამეთუ აღავსნეს ორნი კანდელი სწორითა ზეთითა და დაღვენეს ადგილთა მათ
ცხოვრობისათა. რამეთუ იყო მცირე დღე სამხრით ადგილს მას უმაღლესსა, და
5 ანდელი იოვანესი დაღვა მუნ თვთ იოვანე, ხოლო ბორცუსა მას ზედა — წმი-
დამან სერაპიონ. და ორნივე დაღვენეს ლოცვად. ხოლო ვითარცა განთენა, იხილვა
დავსებულად კანდელი იგი სერაპიონისი, ხოლო კანდელი იგი იოვანესის ბრწყინ-
ვიდა ვიდრე შუა სამხრადმდე. რამეთუ ესე განგებულებაჲ იყო საღმრთოჲ, რაჲთა
არა სწრაფით, არამედ ფრიად შუენიერად ეამსა თვსსა აღეშმნოს საყდარი მა-
10 ლალსა მას ადგილსა.

ესე რაჲ იხილეს, ყოველთა დაამტკიცეს, რაჲთა მუნ იწყონ შმნებად ეკლე-
სიისა. ხოლო წმიდამან მან პრქუა ძმასა თვსსა თაღუ-მწთოლვარითა მით ენითა:
-ძმაო იოვანე, ღმერთმან გაჩუნა საკვრელი ესე დიდებული, რამეთუ იხილნა
ნაკულუევანებაჲ გონებისა შენისაჲ, ხოლო ესე უწყოდე, ვითარმედ შემდგომად
15 მცირედისა ადგილსა ამას აღეშმნოს საყდარი ფრიად შუენიერიჲ.

და შეკაზმეს ადგილი იგი, და შეემატებოდა რიცხუსა ძმათსა, რამეთუ
ნოიზიდვიდა სახელ-განთქუმულეებაჲ კაცისა მის ღმრთისაჲ და სახედ მდინარისა
რწყევებოდეს ტბილთა მათ სიტყუათა მისთაგან. რამეთუ კაცი იგი პირველ-ქსე-
ნებულთა გარბანელი და ორნი იგი ძმანი, რომელნი დანთქმასა ტბისასა განერნეს,
20 რეურთხვნეს მონაზონად ქელითა მის წმიდისაჲთა...

იწყეს შმნებად ეკლესიისა და დაღვენეს საფუძველი ადგილსა მას, რომელი
იოვანე გამოარჩია. ხოლო საჭირო იქმნა შმნებაჲ მისი, რამეთუ ქვანი მათ ადგილ-
იანი ტყეთაგან დაფარულ იყვნეს, ვინაჲცა წყლისაგან რასმე ღონიერობდეს და
უშერსა რასმე ქვასა მუნით გამოიღებდეს. ხოლო იყვნეს ხუროთ-მოძღუარ და
25 ზედამდგომელ საქმისა მის გარბანელი და ორნი იგი ძმანი. ხოლო განთქუა
ოჲ, ვითარმედ ესე ვითარნი ესე კაცი ესრეთ აღაშმნებენ ეკლესიასა, იწყეს სა-
ხედ მდინარისა მოსლვად საქმესა მას ეკლესიისასა, და არა იბოვა რაჲთურთით
ქვაჲ და ქირით და შრომით მდინარისა მისგან მოიღებდეს. ვინაჲცა კუალად
მოვიდა მუნ ღმრთის მსახური იგი გიორგი და განიცადა ყოველი საქმე მათი და

რეუროდა, რაჲთამაჲ კეთილად აღეშმნა ეკლესიაჲ იგი. და მოუჭდა გულსა და
30 პრქუა წმიდათა მათ: «ქრისტეს მიერ განბრძნობილნი მამანო, უკუეთუ სთნავს
სიწმიდესა თქუნსა, არს ადგილი ერთი, სადა ეკლესიაჲ მისი. დაცემულ არს
ძრვისაგან. აჲ უკუეთუ პბრძანოთ, ადვილ არს, რაჲთა იგი მოვიდოთ».

ხოლო ცნეს რაჲ წმიდათა მათ, რამეთუ უკმრად მღებარე არს ეკლესიაჲ იგი,
35 პრძანეს, რაჲთა სწრაფით ქელ-ყონ საქმესა მას. და იწყეს მოღებად მეყსეულად,
რადენი ეკმარებოდა ეკლესიისა მისთვს. და იცნობებიან ქვანი იგი ზოგნი რაჲმე
კუთხთა მიერ და კამარათა. ხოლო არს სახელი ადგილისაჲ მის უ მ წ ა, რომელ:
შორავს ათორმეტ მილიონ.

ხოლო შემდგომად სამისა წლისა სრულ იქმნა ეკლესიაჲ და შეიგო ყოველი-
40 თა განგებითა, რომელი შეკვანდა ეამსა მას, და აღმართეს მას შინა ცხოველს-
მყოფელი ხატი ფერის-ცვალებისაჲ. და ამისა შემდგომად სენაკებიცა იშმნეს
ძმათა...

ხოლო ღმრთის მსახურმან გიორგი მისცნა ყოველნი საქმარნი: ჭორები და
კარაულები და რადენი უკმდა სიმრავლესა ძმათსა. ხოლო წმიდამან მან განა-

ჩინა წესნი და კანონნი საეკლესიონი, რომლისა მიერ ირწყევბოდეს საღმრ-
თოთა მადლითა. ვინაჲცა სოფელნიცა მისცნა კაცმან მან ღმრთისამან გიორგი,
ვიღრემდის მოსწრაფე იყო, რაათა ყოველივე ადგილისა მისთვის წარავსს.

ხოლო მრავალთა იწყეს მიბაძვად მისსა და, ვითარცა პირველ კარავსა მო-
სტესსა თუალთა და მარგალიტთა და სხუათაცა მათ ნიეთთა აღშენებისათჳს კარ-
ვისა, ეგრეთვე სახედ ძალისაებრ აჩუენებდეს შესაწირავსა ახლისა ამის კარვისა,
რომელ. არს ეკლესიაჲ ქრისტესნი...

5

(18) და ე ა ესე სასწაულნი იქმნეს წმიდისა მის მიერ ადგილთა მათ, რო-
მელთა აღზრდილთა იყო, და წინაშე მოძღურისა, რომელი იყო თავ და წარმარ-
იება ყოველთა საქმეთა მისთა, და ძმაჲცა იგი მათი უხუცესი, რომელი პირველ
ვაჟსენეთ, იხილეს და სურვილით მოიკითხეს, და თანა-ეჲცეოდა იგი ყოველსა მას
მუნ ყოფასა შინა მათსა, იქმნეს წმიდათა მათ უღაბოასა მისგან და მოიკითხნეს
წმიდანი იგი მამანი და წარვიდეს. და ვითარცა გარდაეღეს მათა იგი, ა რ ს ი ა ნ
წოდებული, და მივიდეს ჳევსა ყ ე ე ლ ი ს ა ს ა, იქმნა რაამე მუნცა ნაკულლე-
ვანებისა სრულ ყოფაჲ განგებულებით, რამეთუ აჲ ესერა მოეგებნეს კაცნი ვინმე
მონაზონნი და ჰრქუეს: «ყეთილად მოხუედით, საღმრთონო მუჰაენო ქრისტეს
ვენაჳისანო, რამეთუ ბრძანებულ არს, რაათა ადგილთა ამათ თქუენ მიერ აღეშ-
ნოს მონასტერი, რომელსა ჩუენცა ვიჭირვით და მოგვლით თქუენ, ვითარცა
უწყებულნი, რამეთუ აჲცა თქუენვე ხართ წინამძღუარ და მასწავლელ საქმეთა
მათ». და უჩუენეს ადგილი, რომელსა ზედა იხილენეს ნიშნი იგი ბრძანებისაებრ
დიდისა მიქელისა. და უბრძანა წმიდამან სერაპიონ ძმასა თჳსსა, რაათა გულს-
მოდგინდ იწყოს და აღაშქოს მონასტერი ბრძანებისაებრ წ დისა მის. რ ლ ი-
სათჳსცა საქმე ესე ფრიად შეუძნდა იოვანეს, გარნა ვერ მკადრე იქმნა წინა-გან-
წყობად ორთავე მათ ბრძანებასა, არამედ ესე ხოლო ჰრქუა სერაპიონს: «უკუე-
თუ ჳერ-არს, რაათა ეამითი ეამად ვიხილვიდე საღმრთოსა პირსა თქნსა, მზა ვარ
მე აღსრულებად ბრძანებათა შენთაჲ. ხოლო წმიდამან უბრძანა ყოველადვე ხილ-
ვად ურთიერთას და აღაშქნა მონასტერი იგი ბრძანებისაებრ დიდისა მის მოძღუ-
რისა და შეამკო ყოველითა სამკაულითა, ვითარცა შეჰგვანდა, და უწოდა სახელი
სეხნაჲ თჳსი, რამეთუ ი ო ვ ა ნ ე-წ მ ი დ ა ჲ ეწოდების ადგილსა მას. მოვიდოდა
ეამითი ეამად ძმისა თჳსისა თანა და ისწაეებნ ყოველსავე განგებასა მონასტრი-
სასა. არამედ აჲ ნეშტი სიტყუსაჲ წინაუკმოვცეალეთ, რამეთუ შეეზავა სიტყუაჲ
სიტყუსა და ვერღარა განყავთ აღშენებაჲ იგი მონასტრისაჲ, რომელი სახელად
იოვანესა აღეშენა. და ვითარცა წარვიდა მიერ წმიდა სერაპიონ და მოვიდა
თჳსთა მათ თანა კრებულთა, და ყოველნი მიეგებნეს სიხარულით და მოიკითხეს
სურვილით. და მოიხილნა იგინი და რაოდენი-რაჲ ეშქნა ახალსა მას ხუროთ-
მოდღუარასა და ვითარ სიმრაველჲ ძმთაჲ სიმრავლედ დიდად აღწვიულად, ესე
ყოველი რაჲ იხილა, განმხიარულებულნი ჰმადლად ღმერთსა..

10

15

20

25

30

35

(14) ხოლო აჲ ეგულუების სიტყუსაჲ კუალად ქცევაჲ სხუად მიმართ. რ-
მიუთხრეს ღმერთ-შემოსილსა მამასა სერაპიონს სიკუდილი დიდისა მის მთავრი-
სა გიორგისი, რომელი იყო აღმავშენებელი ადგილისაჲ მის. ესე რაჲ ესმა, ვითარ-
ცა შეჰგვანდა, დიდად იგლოვა, ცრემლოოდა, ვითარცა მქსნელი ლაზარეს ზედა,
და უმეტეს, რომელ არა თანა-დახუდა სიკუდილსა მისსა. ვინაჲცა ჰრქუა იყო-
ნომოსსა და ხუცესთა და ძმთა ყოველთა, რაათა ხვალის დღე მივიდენ საფლავ-
ად მისა ადგილსა მას ზანაეისასა, სადა-იგი მონასტერი შეუენიერი შენ არს,

40

რომლისა-იგი იყენეს პირველნი აღმამწებელნი ამასპო და ქურდია. ხოლო აწ
კულად და გიორგისი, რომელი იყო ცოლი დიდისა მთავრისა შირაანისი, ძისა
ბეშქენ ბაპლანდისაჲ, ძისა იოვანსი. ხოლო გიორგი შვილთაგან ოჯერ და უქმ
იყო, რამეთუ ორნი შვილნი სიჩოვებასავე შინა წარსრულ იყენეს და შემდგომად
5 ჯათსა დედაცა, ნათლად გამოჰყვანებელი მათი, მიიკვალა .და სხვსა მეუღლსა
ვეერთებამ არღარდეს თავს-იდვა.

და, ვითარცა ვთქუთ, გარდა-რამ-იცვალა ყოვლად კურთხეული იგი გიორგი,
უოველივე, რამცა აქუნდა, და მამული და ყოველნი ეკლესიანი და მონაგებნი
მისი დასა მისსა შეჰვედრა და შვილთა მისთა საკუთრებით განუთვსა. რომელთა
10 ეწოდა სულა, ბეშქენ და ლაკლაკი. ხოლო, ვითარცა ვთქუთ, მივიდა წმიდა იგი
საფლავსა ზედა მისსა, მოწულად და თანა-ლმობით იტარა და, ვითარცა ჭერ-იყო,
მოიკითხა და ნუგეშინის-სცა დასა მისსა ლ ა ტ ა ვ რ ი ს , რომელსა უკუანახს-
ქებლ თ ე კ ლ ა ეწოდა. და კურთხევითა საღმრთოთა აკურთხნა სამნივე იგი
უჩრბანი, მსგავსად სამთა ყრმათა აბრაჰიანთა. მერმე მოიღო ანდერძი დიდისა მის
15 მთავრისა გიორგისი და წარიკითხა აღსავსემან ცრემლითა და ილცა მისთჳ
და აკურთხა კურთხეული იგი კაცი. რამეთუ მდიდრად მიეცა ყოველივე უხუე-
ბით: აგარაკნი თავისუფლებით და საქონელი მრავალფერი და სიმრავლმ საქე-
დართა და მროწეულთაჲ და სასოებით შეჰვედრა სული წმიდისა მის კაცისაჲ.
და ამას შინა გარდაქდეს წელინი და აორძნდებოდა და წარემატებოდა ადგლი
20 იგი ფრიალ...

იყო დიდსა დაწყნარებასა და მშუდობასა შინა ადგილი იგი შემდგომად გარ-
დაცვალებისა დიდისა მთავრისა გიორგისა და კეთილად წარემატებოდა ყოველ
საბრძანებელი მისი, რომელი დაეტევა დისა მისისა თეკლასა და შვილთა მისთა-
და. და ვინაჲ ბიერებითა ეშმაკისათა იქმნა უწყსოჲ ამბოხი, რამეთუ მოკლა ლაყ-
25 ლაკმან დისიძე თვისი, რამეთუ მძლავრებით ეტყოდა, ვითარმელ: «ნაწილ უც
მამულსა თანა თქუენსა დასა ამას თქუენსა, ვინაათგან თქუენცა დედისა მიერ
გაქუს», რომლისათვისცა განმრავლდეს სიტყუსა გებანი ურთიერთას, და ესრეთ
მოკლა დისიძე თვისი. და ესე რამ ესრეთ იქმნა, განგრძელდა საქმე ესე სამ წელ.
ხოლო წელსა მეოთხესა ამათ საქმეთასა განაბრწყინვა ღმერთმან დიდი იგი
30 მღვდელთ მოძღუარი გიორგი შუარტყლელი, რომელმან დაიპყრა საყდარი აწყუ-
რისაჲ, რამეთუ არა ჭერ-იყო ცხედარსა ქუეშე დაფარეჲ საწთლისაჲ. და ჭელთ-
-იდვა რამ განგებამ სამცხისაჲ, დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თვისი, ვითარცა
წეს-იყო, და დაიპყრა ყოველი მამული და ეკლესიანი პირველთა მათ მეშფოთე-
-ანი. ხოლო ადგილი იგი, ზარზმად წოდებული, ეგო უძრავად ყოველადვე შეწვე-
35 ნითა ღმერთისათა და მადლთა სასწაულთა მიერ ნიშნებ-შემოსილისა მამისა სე-
რაპიონისითა.

და ვითარცა გარდაქდა წელიწადი შუდად აღთუალული, დასცხრეს და და-
დუნეს ყოველნივე შფოთნი და უწყსობანი წმიდისა ამის მღვდელთ მოძღურისა
გიორგის მიერ. ხოლო ყოველთა ამათ საქმეთა სიმრავლისათა მეტყუელი პირი და
40 ვინაჲ დიდსავე თანა გიორგის მანყუერელსა იყო ნეტარიცა მამაჲ სერაპიონ. ვი-
ნაჲცა ყოველნი ესე სასწაულნი და საქმენი, რომელნი-იგი პირველ ეპისკოპოსო-
ბისა და უკუანახსენელ ეხილვნეს, მომითხრნეს, პირმან მან უტყუველმან. გი-
ორგის ვიტყვ მაწყუერელსა... რამეთუ ყოველთავე თვთ-მხილველ ქმნილ იყო.

(15) ხ აწ კულად აღვედინ სიტყუჲა ჩუენი პირველ-დაწყებულთა სიტყუა-

თა შემდგომითი-შემდგომად. ვითარცა იქმნა დაწუნარებაჲ შფოთთაჲ მათ, დღითი-დღე შეეძინებოდა წარმატებაჲ მონასტერსა მას, და ძმაჲცა მისი იოვანე ზე-
 დახს-ზედა მოვალე და იკურთხევიენ მის მიერ და ისწავლიენ ყოველსა, რაჲცა აკლ-
 და მის მიერ უშენებულსა მას მონასტერსა. ხოლო ესე წესი დაუდევს თავთა
 თვსთა ნეტართა მათ, რამეთუ ლოცვასა ღამისასა ჳელ-განჯვრობით დღეის დასსა 5
 თანა მგალობელთასა; ხოლო მოეახლის რაჲ ცისკარი, განეშორიან ვითარ ქვის
 სატყორცელ ოდენ და მყუდროებით და ცრემლით შესწირვიდიან ევდრებათა,
 რაჲთა ამითცა ემსგავსნენ თვსსა მუფუფესა. და ესრეთ დღითი-დღე შესძინებდეს
 ტლანტსა, რაჲთა მიართუან აღნადგინებითურთ განმყოფელსა მას მადლთასა.
 ესრეთ რაჲ შუა წარჳდა სიმრავლმ წელთაჲ, სიბერითა კეთილითა განზობნეს და 10
 ფუფუნებულ და ჩჩვლ იქმნეს საღმრთოთა ცნობითა. და იყო ამისა შემდგომად
 გარდაიკვალა ახალა იგი გიორგისი თეკლა და დაშთეს საშნივე იგი ძენი
 მისნი და წარემართა უფლებჲჲ მათი და იკურთხა თესლი მათი ვითარცა აბრაჰა-
 მისი და იაკობისი...

(18) მახლობელ რაჲ იქმნა სოფლით წარსლებისა და მწწრბსენ სიხარულად 15
 მისილვისა, მოუწოდა კრებულსა მას ძმათსა და ჰრქუა: «ძმანო და მამანო, მსურის
 მე, რაჲთა მოციქულისაებრ ვიტყოდი: «სრბჲა აღსრულებულ არს და სარწმუნ-
 ნობჲა დამიმარხავს...» ილოცეთ ჩემთვის, ძმანო, და ცხონდით, რამეთუ ამიერი-
 თან არღარა მიხილოთ მე სოფელსა ამას». და წარვიდა და მიიწია ცხედრად ეამსა
 შექქუსსა და მეცობრსა ეამსა შეკვედრა სული თვისი ჳელი ღმრთისათა, რომ- 20
 მლისა სურვიელ იყო მარადის. ხოლო არა მცირედ იგლოვეს მამათა. ლავრისათა
 ჳირისაებრ და ცრემლით... და ჳეროენითა გალობითა და სანთელთა სიმრავლითა
 და საკუმეველთა სულნელებითა შემურეს და დადევს საფლავსა, რომელი-იგი
 ოვთ შეეშხადა მას აღმოსავალით საკურთხეველისა, რაჲთა დღითი-დღე ხილვითა
 მისითა ივსენებდეს სიკუდილსა, რომელი-იგი სამარადისოდ წინაშე თულათა 25
 აქუნდა. და ესრეთ სრულ ყვეს წესი იგი სამკუდროჲ...

(17) ხოლო ამიერიითგან მოვიკსენოთ, თუ ვრსა მადლსა ღირს ქმნულ იყო
 წინაწარმეტყუელებისასა. რამეთუ აჲ ესერა ეგულების სიტყუასა მოჳსენე-
 ნად სიტყუაჲ იგი, რაჲამს ჰრქუა ძმასა თვსსა იოვანეს, ვითარმედ: «ეამსა თვსსა
 ბორცუსა ამას ზედა აღეშწროს ეკლესიაჲ ფრიად შუენიერი». რამეთუ აჲ 30
 ეამი იგი წინაწარმეტყუელებისაჲ მოიწია! რამეთუ ვიდრეღა-იგი ცოცხალ
 იყო წმიდაჲ ესე, ყოველთა მიერ საყუარელ და ყოველთა მეგობარ იყო და
 მოძღუარ, რომლისათვსცა დაემოწაჲა წმიდასა ამას კაცი ვინმე ყოვლად უც-
 ნაური, და იყო კაცი იგი ადგილისაგან მცირისა, რომელსა ძარღუას
 სოფელ ეწოდების. და დღითი-დღე მოვიდის კაცი იგი და ეტყოდის წმიდა- 35
 მას, ვთარმედ: «მაკურთხე, მამაო, წმიდითა ჳელითა შენითა და შემრთე წმი-
 დასა კრებულსა შენსა». ხოლო იგი აყენებდა ეამად, რაჲთა უფროსს გამოჩნდეს
 საკურველი მისითა მით ერისკაცად მიმყოფრებითა. ხოლო იგი ეტყოდა: «მაკურ-
 თხე, მამაო, და მიიღე მცირმ ეელოგიჲ და წარაჲე საშწნებულად მონასტერსა». 40
 ხოლო იგი კუალადცა უბრძანებდა, რაჲთა ღრო-ყოს და თვთ მოვალს ეამი, რო-
 მელსა იქმნეს მონაზონ, და ეელოგიჲ, რომელ განგიშხადებდეს, ფრიად რამე
 ეკმაროს.

ხოლო ვითარცა მოიწია ეამი და მიიკვალა წმიდაჲ იგი, მოიწია მესამმ დღმ
 მიცვალებისა მისისაჲ და დაიდუა წმიდაჲ იგი პირველ ჳსენებულსა მას საფლავსა,

რომელი თვთ ეშენა აღმოსავალით საკურთხეველსა, დაპართებით საკუშუმელსა. და მოვიდა კაცი იგი, ვითარცა ვთქუთ, დღესა მესამესა მიცვალებისა მისისასა და იტირა ფრიად და წმიდასა მას ეშჯოდა, ვითარცა ცხოველსა, არა ჭელითა მისითა აღკუეციანთს მისისა, რომლისათვისცა იტყოდა, ვითარმედ: «არა განეშოროს

5 საფლავსა, ვიდრემდის არა მონაზონ იქმნეს და ევლოგიაჲცა იგი დადვას ადგილსა მას სამარხოსა მისისასა».

და ვითარცა ესრეთ მდულარე იყო კაცი იგი, მაშინ უბრძანა მამასახლისმან მნეთა ეკლესიისათა, რაათა მიიღონ სამჯარი და კუნკული და აღკუეციონ კაცი იგი. ხოლო მათ მსწრაფლ შეუდგინეს საქმე სიტყუასა და აღკუეციეს კაცი იგი და აღ-

10 სრულეს მას ზედა ყოველი წესი მონაზონთაჲ.

და ვითარცა წარვიდა კაცი იგი სოფლად თვსა, იცნეს იგი კაცთა და მეგობართა და განჯკრთეს, იხილეს რაჲ უცხოათა სამოსლითა შემოსილი. და ენება კუალად ერისაგან ყოფაჲ და, ვითარცა ვერ შეუძლეს მორჩილებაჲ მისი, უთბრეს ესე უფილსა მისსა, რამეთუ იყო კაცი იგი სავმარ და მსრბოლ გზათა შორათა. ხო-

15 ლო კაცმან მან ვითარცა აგრძნა, ვითარმედ არა უტევებენ ნებისაებრ მისისა, მაშინ აღიღო ევლოგიაჲ იგი და, რაოდენი-რაჲ ეძლო, სახლით თვისით სივლტოლაჲ იქუშია, ვინაჲცა დევნა-უყვეს უკუანა მისსა და შეწევნითა მის წმიდისაათა ვერ ეწინეს.

და ვითარცა შევიდა კაცი იგი მონასტრად და მღევარნიცა იგი უკუანა მისსა,

20 და ვითარცა ენება, რაათა შეიპყრან და წარულონ, რაჲ-იგი აქუნდა, მიიწია კაცი იგი დაპართებით საკუშუმელსა ეკლესიისასა და შეაგლო, რაჲ-იგი აქუნდა ჭელთ-საჯოცელსა შინა გამოკრულ.

და ესრეთ უღონო რაჲ იქმნეს მღევარნი იგი, ევედრნეს წინამძღუარსა გიორგის, რაათა განეხუნენ კარნი ეკლესიისანი და რაათა წმიდასა მას თაყუანის-სცენ და მათა იხილონ, რაჲ-იგი შეეწირა ევლოგიაჲ კაცსა მას. ეჲა განგებულებაჲ საღმრთოჲ და რაათა ცნან ყოველთა, ვითარმედ მიცვალებისაცა [შემდგომად] ძალ-უც წმიდასა მას ქმნად, რაჲცა ენებოსი და ვითარცა განეხუნეს კარნი და შევიდეს წმიდად ეკლესიად და ადვიდეს საკურთხეველად და იძიეს, რაჲ-იგი ცხადად შევრდომილ იყო სახილველად ყოველთა და არღარა იპოვა მათ მიერ,

30 შიშმან და განკვრებამან შეიპყრა ყოველნი და აღიდებდეს ღმერთსა...

(18) ხ- ჩუენ შემდგომად ამისა სხუაჲცა მოვიცენოთ და ეგრეთ დავიბეჭდოთ სიტყუაჲ რამეთუ თვთ დასწერს ბასილი, რომელმან ცხორებაჲ ესე წმიდისაჲ აღწერა, და იტყვს, ვითარმედ: «მე, ბასილი, ძმისწული წმიდისა სერაპიონისი, უნარჩევძი ყოველთა მოწესეთა, შემდგომად ჟამთა მიცვალებისა მისისათა მო-

35 ვიწიე ზედა წმიდასა სამარხოსა მისსა და ვიხილე ყოველად ბრწყინვალედ და კეთილად ყოველივე ნამუშავეი მათი და განვიშუ და განვიხარეუ...

ხოლო განვაწესეთ საკსენებელი წმიდისაჲ ამის გლობითა და შესხმითა სულიერითა და ღამის თევითა, დღესასწაულობითა ოკდონბერსა ოც და ცხრასა.

20080801 08:14:24

შრომამ და მოღვაწეობამ ღირსად ცხოვრებისა და წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გრიგოლისი

არქიმანდრიტიხა, ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებლისა და მის თანა ქსენეხა მრავალთა მამათა ნეტართა

(მე-3 თავი). ესე იყო შვილი წარჩინებულთა დიდებულთა და მართლ-მორ- 5
 წმუნეთა მამა-დედათა, და სახლსა შინა სამეუფოსა დიდისა ნერსე¹ ერისთვი-
 სასა აღზრდილ იყო კელითა კეთილად მსახურისა დედოფლისა ნერსეს ცლი-
 საათა, რომელსაცა ეშვილა, რამეთუ იყოცა ძმისწული მისი. და საშოთგანვე
 დედასაათ შეწირულ იყო ღმრთისა დედისაგან თვისსა, ვითარცა სამოელ წინა- 10
 წარმეტყუელი. და მარბევასა შინა იზარდებოდა მსგავსად წინამორბედისა, რამეთუ
 სიჩრთოთგანვე ღვწოდა და ჯორცი არა შექდა პირსა მისსა², ვინაათგან ქრისტესსა
 განეკუთნა სული თვისი სამკვდრებელად. და ხატიცა ზონაზონებისა ემოსა, რა-
 ნეთუ თავისუფალ იყო იგი სიმღერისაგან ყრმათასა და ყოვლისაგან აღრევისა
 კაცთასა და შარტოდ იყოფეინ თვისსა მას საღვურსა, რომელსა განწესებულ
 იყო. ამისთვისცა დაუყდებულ უწოდიან მას სახელი. 15

ხოლო გულისქმეირობაჲ სწავლისა განსაკვრებელი იყო ფრიად, რამეთუ
 მსწრაფლ ხოლო დაისწავლა დაეითი და ჯმითა სასწავლელი სწავლა საეკლე-
 სიოა, სამოძღუროა ქართლსა ენასა შინა ყოველი დანისწავლა და მწიგნობრო- 20
 ბაცა ისწავა მრავალთა ენათაჲ და საღმრთონი წიგნი ზეპირით მოიწუართნა.
 სოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთა ისწავა კეთილად. და რო-
 ძელი პოვის სიტყუაჲ კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჩერკუალი განაგდის. და
 განითქუა სისრულე იგი მისი სახელოვნად ყოველთა შორის. ხოლო გარეშესა
 მას სიბრძნესა სოფლისასა კბასრობნ სიტყვსაებრ მოციქულისა, ვითარმედ:
 „გან-რაჲ-მე-აცოფა ღმერთმან სიბრძნმ იგი ამის სოფლისაჲ.“

სიტყუაჲ მისი იყო შეზავებულ მარილითა მადლისაათა. რაჲამს იტყუნ, 25
 ბრძნად აღადის პირი თვისი და წესი განუჩინის ენასა თვისსა. და ჰასაკისა ზრდასა
 თანა სათნოებაცა კეთილი იზარდებოდა, რამეთუ არა იყო, ვითარცა კაბუკი,
 მზუარობარ და ჭამადთა გულის სათქუმელთა მოყუარე³, არამედ თავით თვისით
 დანიელ წინაწარმეტყუელისა სიტყუასა იტყუნ, ვითარმედ: „პური გულის სათქუ- 30
 ბელი არა ვჰამო“.

და ესრეთ მიიღის საზრდელი საგლაბაცოა ჯორციათსთა განსამტკიცებე-
 ლად ნეტარმან გრიგოლ, მდაბალმან გულითა და გლაბაცმან სულითა, მყუდრომან
 ქცევითა და მოწყალემან გონებითა, რამეთუ ძირი სიწმიდისაჲ მარადის გულსა
 მისსა დანერგულ იყო, აღმომცენარმ ჩეჭლსა ღმრთის მსახურებისასა და ნერ-
 სე კემარიტისა სარწმუნოებისაჲ აღორძნდა სულსა მისსა და ნაყოფი ღმრთისა 35
 სიუარულისაჲ გარდაემეტა მის შორის. და ესევითართა მრავალფერითა კეთი-
 ლად განგებითა ცხოვრდებოდა კაბუკი ესე⁴ სამღდელოა სათნოდ უფლისა.

ხოლო იყო ხილვითა დიდ, ჯორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოვლად კე-
 თილ სრულიად, გუამითა მრთელ და სულითა უბიწო.

1 ნერსე ბ. 2 მისა ბ. 3 მოყუარე ბ. 4 ესე ბ.

(მე-8 თავი) მაშინ კელმწიფეთა მათ, აღმზრდელთა მისთა, და სანატრელმა: ღელამან მისმან და ერისა სიმრავლემან ინებეს ხუცად კურთხევამ ამის ნეტარ-საჲ და ჰრქუეს მთავართა მათ და მშობელმან მისმან: «შვილო, ყოვლად კეთილო და სარწმუნოო ქრისტეს მონაო, აჲა მოიწია ჟამი წინაწარმეტყუელისა დაეთოს 5 თქუმელისაჲ, რომელსა იტყვს: „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილისა წმიდასა მისსა, არამედ უბრალოჲ ჯელითა და წმიდაჲ გულითა“. და აჲ შენ გპოვა ქრისტემან უბრალოჲ ჯელითა და წმიდაჲ გულითა. და რაათა შენ აღხვდე ¹ მთასა უფლისასა და დასდგე ადგილისა წმიდასა მისსა შემწირველად წმიდასა და უსისხლოსა მსხუერპლსა ² მისსა ღირსებისა შენისათვის და სასიღ სულთა და კორცთა ჩუენთა».

ხოლო ამას ნეტარსა დადაცათუ აქუნდა სიყუარული მღღელობისაჲ, შეზრუნდა სიტყუესა მათსა ზედა და შიში დაეცა სიახლისათვის ჰასაკისა მისისა და ჰრქუა მათ: «თქუენ იცით ძალი საღმრთოთა წიგნთაჲ. გულისკმა-გიყოფია წმი-დათა მოციქულთა და ნეტართა მღღელთ მოძღუართა განსაზღვრებული კანონი 15 წმიდისა კათოლიკე ³ ეკლესიისაჲ, თუ ვითარნი კრძალვანი უქმან მღღელობასა და ყოვლად უბრალოებამა არა ხოლო საქმით, არამედ გონებითაცა და სიტყუთა. ხოლო დადაცათუ სულგრძელებასა ღმრთისასა თავს-უღებებს დათმენამ უწყსო-თა კაცთა მღღელობამა, უმჯობეს არს მათა, უკუეთუმცა ყოვლადვე რიცხუსა კაც-თასა არა შერთულ იყვნეს, ვიდრე საუკუენოდ პატრეთა დაუსრულებულთა. ხოლო 20 სარწმუნოთა მღღელთათვის ესე ⁴ უწყოდეთ თქუენ, ვითარმედ უფროჲს არს ყოველთა დიდებათა სულიერთა და ქორციელთა, რამეთუ ქრისტმს ნაცვალ-ობამ არს კემშარტისა ღმრთისაჲ, რომელმანცა ჰრქუა მოწაფეთთა თვისთა, ვითარ-მედ: „ნეტარ ხართ თქუენ, რამეთუ მრავალთა წინაწარმეტყუელთა და მართლთა სწადოდა ბილად და სმენად, რომელსა ხელავთ თქუენ და გესმის, და ვერ მიეჩ-თხუნეს», რომელსა ღირს იქმნენით თქუენ ⁵. და თვისისა მის მღღელობისა ნაცვა-ლად უფალმან მოციქულნი დაადგინნა მღღელად. და შემდგომითი-შემდგომად ყოველნი სარწმუნონი მღღელნი და მათ მიერ ცხორებისა სასიებამა ქრისტეანე-ობამ მღღელობასა შეჰვედრა და სასწაულთა ყოველთა და წინაწარმეტყუელთა 25 ხუენებასა და ღმრთის მხილველთა კაცთა გამოცხადებასა მღღელობითა დაჰ-ბუქდა და აჲ არავინამ ⁶ არს კაცთა ცხორებამ, თვნიერ მღღელობისა, რომლი-სათვის პავლე ⁷ იტყვს, ვითარმედ: „ქრისტეს მონა სახარებისაგან მე გშვენ თქუენ“. და უფალი ბრძანებს: „უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ და არა მიიღოს წმიდაჲ საიდუმლოჲ, ვერ შევიდეს სასუფეველსა ცათასა“. და აჲ 30 პატრესა ვხედავ და პატრისაგან მეშინის».

შაშინ მიუგეს ბრძენთა მათ მთავართა და ჰრქუეს: «შვილო, გამორჩეულო ქრისტესო! შიში ღმრთისაჲ თავი არს სათნოებათაჲ, ვითარცა მოსე ⁸ იტყვს: „რასა ითხოვს ღმერთი შენგან, ში ისრამლ, არამედ რაათა გეშინოდის მისა. რა-მეთუ შიშმან უფლისამან შესძინის დღეთა“, ვითარცა იტყვს სოლომონ, რამეთუ სიბერისა პატროსნებამა არა მრავალი ჟამი არს და არცა რიცხვ დღეთაჲ აღრა-ცხილ. ხოლო მკცოვანებამა არს გონიერებამა კაცისაჲ და ჰასაკ სიბერის ცხორე-ბამ უბიწოა“. და კულად იობ იტყვს: „არა თუ მრავლისა ჟამისანი არიან ბრძენ, 40

1 აღხვდმ ხ. 2 მსხუერპლსა ხ. 3 კათოლიკე ხ. 4 ეს ხ. 5 თქუენ ხ. 6 არა ვინ: ხ. 7 პავლე ხ. 8 მოსე ხ.

არცა ბრძენთა იციან სამართალი, არამედ სული ვიდრემე და სული იგი ყოვლი-
სა მპყრობელისაჲ, რომელმან ასწავის სიბრძნე⁴. და შენ მოგვცა ქრისტემან კე-
თილი მოხუცებულებჲა გონებისაჲ. და აწ ნულარა ურჩ იქმნები, არამედ მორჩილ
იქმენ ბრძანებასა ქრისტესსა და ჰმონე მას მღლელობითა, რომელმან ივნო
ჩუენთჳს, მღელმან მან საუყუნემან, და ჩუენ ყოველი გუაცხოვანა⁵.

5

ხოლო ნეტარი გრიგოლ დაემორჩილა მათ და ნებითა ღმრთისაჲთა იკურთხა
ხუცად ევლრებისაებრ ვედრებელთა მისთაჲსა, რომელ შუენოდაეუ კრძალულე-
ნით საღმრთოჲთა კანონითა ქცევასა მისსა და მარადის წმიდისა სამებისა მართლ-
-ნადიდებლობასა. და ესრეთ მხიარულ იქმნა სიმრაველ⁶ იგი ერისაჲ, რაჲამს
წმიდითა ჳელითა მისითა ღირს იქმნენს მიღებად ჳორცსა და სისხლსა ქრის-
ტესსა.

10

მაშინ მთავარი იგი განიზრახვიდეს ებისკოპოსობასა მისსა, რამეთუ ვითარ-
ცა ანგელოზი ღმრთისაჲ, აქუნდა ყოველთა ჳეშმარტებისა მასწავლელად⁷,
ვითარცა წერილ არს: „მაგეთა მღელისაჲთა დაიკვან სამართალი და შჳული
პირისა მისისაგან გამოიძიონ, რამეთუ ანგელოზი უფლისა ყოვლისა მპყრობე-
ლისაჲ არს იგი“.

15

(4) ხოლო ნეტარმან გრიგოლ ვითარცა იხილა თავი თჳსი ჳორციელად დი-
დებასა შინა, ფრიად წუხდა გული მისი და განიზრახა ფარულად სივლტოლად
თჳსით ქუეყანით საღმრთოჲთა წოდებითა, რომელიცა უძლოდა მას მამათ-მთავ-
რისა აბრაჰამის სახედ, და ვითარცა ისრაელნი უღაბნოდ. არამედ აბრაჰამ ქუე-
ყანისა მისგან ურწმუნოთა ნათესაეთაჲსა განაშორა ღმერთმან, ხოლო ესე⁸
მორწმუნისა და კეთილად მსახურისა ქუეყანისაგან გამოიყვანა ამის მიზეზი-
სათჳს, რაჲთა უქმთა მათ უღაბნოთა შინა გამობრწყინდეს სანთული ესე დაუესე-
ბელი, ბრწყინვალ⁹ ზედა სასანთლესა მას მაღალსა, ზეთითა მით განუპარველითა,
რაჲთა ჳმასა მას და ოხრასა საყურისასა აღეტყინოს და განბრწყინდეს სულითა
ძლიერთა და მიუძღუეს¹⁰ საქორწინესა მას კრებულსა თანა მოწაფეთა მისთა
წმიდათასა. და რამეთუ მაღლითა მით ღმრთის მხილველითა, გონიერთა და
უბიწოთა, გულისკმა-ეყო შეუცვალებელი იგი სუფევება, ზეცისა მთავრობაჲ,
და მათ თანა მოღასობისა წადიერებითა დაუტევა შეცვალებადი პატივი ქუე-
ყანისა მოკუდაეთა კაცთა სუფევისაჲ და მოჰრიდა ეამიერთა და ნიეთიერთა ბუ-
ნებათა, რაჲთა უქამოჲ იგი ნათელი უძლოდის უნიეთოსა მას სამკვლრებელსა და
უცვალებელსა დიდებასა სასუფეველსა ცათასა.

20

25

30

(5) და ესევითარსა კეთილსა განზრახვასა და გზავნასა მისსა პოვნა მოყუას-
ნი კეთილნი შეწვენითა ქრისტეს მაღლისაჲთა საბა, რომელსა ეწოდა საბან,
დელის დისწული მისი, იშხნისა მეორედ მაშენებელი და ებისკოპოსი მისი, და
იუედორე, ნეტქსა მაშენებელი და მამაჲ, და ქრისტეფორე, კჳრკეთისა მაშენე-
ბელი და მამაჲ. ესე ოთხნი შეანაწყერნა სარწმუნოებამან და საღმრთომან სიყუა-
რულმან შეამტყინა ერთ ზრახვად შეკრებულნი, ვითარცა სული ერთი ოთხთა
გუამთა შინა დამტყიცებულნი...

35

ხოლო მამასა გრიგოლს სწადოდა მარტოდ დაუღებჲა, რამეთუ ესმოდა
ანგელოზებრივი ცხორებჲა მარტოდ მყოფთაჲ მათ სიკრცესა მას შინა უღაბნო-
სასა, რომელნი-იგი იზარდებოდეს მძოვართა სახედ მწუანვილითა და ხილითა,

40

1 მასწავლელად ხ. 2 ესე ხ. 3 მიუძღმს ხ.

- ბოლო რომელნიმე მცირედითა პურიითა, და რომელთაჲმე ესმოდა სახელი და რი-
ნელნიმე ფარულად იყენეს. ყოველთა მათ ნეტართა მოიხილავნ წმიდაჲ გრიგოლ
და კეთილთა ქცევათა მათთა ისწავებნ: რომელთაგანმე ლოცვისა და მარხვისა,
რომელთაგანმე სიმდაბლესა და სიყუარულსა, რომელთაგანმე სიმშუდესა და გა-
5 ნურისხველობასა, რომელთაგანმე უპოვარებასა და ქუეყანასა ზედა წოლასა.
ვინა თუ ზეჯდომით ძილსა, რომელთაგანმე უპრულებასა¹ და კელთ-საქმარსა
დღუმილით და მსგავსთა ამათთა სათნოებათა. და ესრეთ სწავლათაგან სულიერთა
აღსავსებამან მიაქციის საყოფლადვე თვისსა, რამეთუ ესმინ წმიდათა მათგან,
ვითარმედ ჰრცხუენისმცა² სოფელსა ქცევათაგან ჩუენთა კეთილთა.
- 10 (8) მას ეამსა იყო ვინმე ბერი ხანცთას მარტოდ მყოფი, კაცი მართალი და
წმიდაჲ, რომლისა სახელი ქუელიოს. ამან ნეტარმან ჩუენებჲა³ იხილა არა თუ
ძილსა შინა, არამედ ცხადად. რამეთუ ხედვიდა ადგილსა მას წმიდასა, სადა აწ
ხანცთას წმიდაჲ ეკლესიაჲ შენ არს, ვითარმცა სახედ ეკლესიისა⁴ ნათლისა
ღრუბელი გამოხატული დგა მყოვარ ეამ, და სულნელებჲა დიდძალი გამოვი-
15 ლოდა მიერ ღრუბლით. და ესმა ქმაჲ ნეტარსა მას ბერსა, ვითარმედ: აღუშენოს
წმიდაჲ ეკლესიაჲ ადგილსა ამას ჭელითა გრიგოლ მღღელისა, კაცისა ღმრთო-
საათა. და სულნელებჲა ლოცვათა მისთაჲ და მოწაფეთა მისთაჲ, ვითარცა კე-
თილი საკუმეველი, აღიწეოდის წინაშე ღმრთისა. და ესე ჩუენებჲა ვითარცა
იხილა, განიხარა დიდად ფრიად და მოულოდა უწყებულსა მას წმიდასა, რამეთუ
20 ჩუეულეებჲა აქუნდა ღმრთისა მიერისა ხილვისაჲ. ეგრეთვე აუწყა ქრისტემან
სანატრელსა მამასა გრიგოლს ბერისა მის ღირსებჲა და ადგილისა მის მოგე-
ბად მისა.
- მას ეამსა წინამძღურებითა სულისა წმიდისაათა მოიწია ხანცთად სათნოჲ
ღმრთისაჲ მამაჲ ჩუენი გრიგოლ წმიდისა მის ბერისა. და ვითარცა იხილეს ერთ-
25 მანერით, განიხარეს ფრიად და ყვეს ლოცვაჲ მაშინ ნეტარმან მან ბერმან ჰრქუა:
ემაკურთხე, წმიდაო მამაო გრიგოლ, რამეთუ მღღელი ხარ შენ. და აკურთხა
წმიდაჲ მამამან გრიგოლ. და ვითარცა მრავალთა ეამთა შეგობარნი საყუარელნი.
მოიკითხნეს ურთიერთას და სიხარულით დასხდეს და მიუთხრეს ჩუენებჲა ეგი
პირველი...
- 30 და განთიად მოახილვა ყოველი სანახები ხანცთისაჲ, და ფრიად შეუყუარა
წმიდასა გრიგოლს. მაშინ ჰრქუა ნეტარსა ბერსა: წყარვიდე ოპიზას და მსწრაფლ
ხოლო მოვიდე⁵ ძმათა ჩემთა თნა, რომელ დაუტრევენ მუნ, რაათა მოვიდენ ჩემ
თნა და იგინიცა იკურთხენ წმიდათაგან ლოცვათა შენთა. და ვითარცა მოიწია
35 ოპიზას, აბარა ძმათა თვსთა ხილვჲა წმიდისა მის ბერისაჲ და ადგილისაჲ მის ე-
თილისა საყოფლისა ღმრთიე მოცემულისაჲ. და მსწრაფლ ხოლო მივიდეს ამა
ვიორგისა, ოპიზისა წინამძღურისა, და მოიდეს ლოცვაჲ წმიდაჲ მისი და ძმათა
ყოველთაჲ, და სიხარულით მოიწინეს ხანცთად. ყვეს ლოცვაჲ და მოიკითხეს
წმიდაჲ იგი ბერი, ვითარცა ზეცისა ანგელოზი. ხოლო მან განიხარა ხილვჲა ნე-
ტართაჲ მათ და ჰრქუა მათ: თქუენ. ხართ სიწმიდისა ნაყოფნი, მცენარენი სულ-
40 ნელნი, ვარდნი შუენიერნი⁶, ფინიკნი კეთილნი და ზეთისხილნი ნაყოფ-სავსენი,
ზეითთა მით სიწმიდისაათა პოხილნი, რომელთა ხილვითა დღეს განიპოხა სიბერჲს
ჩემი და ამდლდა სიხარული ჩემი ვითარცა რქაჲ მარტორქისაჲ. ამიერთვან იხა-

1 უძღურებასა ხ. 2 ჰრცხუენისმცა ხ. 3 ჩუენებჲა ხ. 4 ეკლესიისა ხ. 5 მოვიდმ ხ.
6 შუენიერნი ხ.

რებდინ უდაბნოა ესე თქუენ, კრისტეს ნების მყოფელთა, ამას შორის დანერგეთ-
 თაჲ. ხოლო მათ ჰრქუეს: წმიდისა ანტონის მიმსგავსებულსო წმიდისო შამაჲ,
 სიტყუათა შენთა პატივი ჩუენთჳს ზეშთა ბუნებათა არს, არამედ დაამტკიცენ
 კრისტემან, ყოვლისა შემძლებელმან, ქებისა ბრძანებაჲ ეგე მადლიერი, და კმა
 არს ჩუენდა, და ინებენ უფლმან მოცემად ჩუენდა მადლო ესე ¹ რაათა ორხსად
 ეკმსახუროთ სიწმიდესა შენსა ვიდრე აღსასრულამდე ², ³ წმიდისო ღმრთისაო
 მაშინ ჰრქუა ბერმან: «დადაცათუ მხიარულ არს გული თქუენი მსახურებად მო-
 ხუცებულებასა ჩემსა, ხოლო ესე უწყოდეთ: ნებითა ღმრთისაჲთა ვიდრე სიკუ-
 დილამდე ⁴ თვთ ვკმსახურო თავსა ჩემსა, რამეთუ დავით იტყჳს: „აღუთქუთ
 და აღუსრულეთ უფალსა ღმერთსა თქუენსაო“. აჲ მე აღმითქუამს უფლისადა
 ვიდრე აღსასრულამდე ჩემდა მპროდ მყოფებაჲ, სულითა კელა თქუენ თანა
 ვარ და აჲ ჭერ-არს ჩემდა აღნათქუემისა საქმით აღსრულებაჲ.

ამისა შემდგომად ჰრქუა ნეტარსა გრიგოლს: «მიმსგავსებულსო ელიაშსო და
 იოვანესო, ნეტარო კაცთა შორის, არს მახლობელად ჩუენსა ქუაბი მცირე, წარ-
 მხეყანე მუნ შენ და ძმათა შენთა, რაათა ნეშტი დღეთა ჩემთაჲ მას შინა აღეს-
 რული; რამეთუ მცირედლა ყოფად არს ჩემი ჳორცთა შინა ყოფაჲ, ხოლო ესე
 აღმითქუთ, რომელ ჩემდა სიკუდილმდე ⁵ არა განჰმრავლდეთ ადგილსა ამას
 შინა». და ჳუარი დასწერა თჳსსა მას სამკვდრებელსა და სიტყუაჲ მისი განმ-
 ლიერდა. და მათ არღარა იკადრეს ცილობად, არამედ მივიდეს მის თანა ქუაბად
 და ყვეს ლოცუაჲ. ხოლო ბერმან თქუა: «ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნისა-
 მდე ⁶, ამას დაეგმვდრო, რამეთუ მთნავს ესე». მაშინ ამბორს-უყვეს ურთიერ-
 თას და მისცეს მშჳდობაჲ წმიდასა მას ნეტართა მათ და შთაშოვიდეს ადგილსა მას
 ღმრთისა მიერ ჩინებულსა სამონასტრედ...

(7) ამისა შემდგომად იწყო მან ხანციისა შენებაჲ და უბრძანა ძმათა მათ
 დავითის გალობისა მუქელთა ამათ წართქუმაჲ: „წყალობათა შენთა, უფალო,
 უკუნისამდე ⁷ უგალობდე, თესლითი თესლამდე ⁸ მიუთხრობდე ჳემამრტება-
 თა შენთა პირითა ჩემითა, რამეთუ სთქუ: „სოფელი წყალობით აღეშენოს“, „და
 ველნი შენნი აღივსნენ სიპოხითა. განჰპოხო შენ შეუნიერებაჲ ⁹ უდაბნოსაჲ და
 სიხარული ბორცუთა შეიშოსონ და ღლეეთა განამრავლონ იფქლი ღმრთის მსა-
 ხურებისაჲ დაღადებდენ და გალობდენ“ პირნი ჩუენნი ესრეთ: „მოგუხებდენ მო-
 ნათა შენთა, უფალო, და ქმნულსა ჳელთა შენთასაჲ წარუქედელ ძეთა მათთა!
 იყავნ ნათელი შენ, უფლისა ღმრთისა ჩუენისაჲ, ჩუენ ზედაჲ საქმეინი ჳელთა
 ჩუენთანი წარჰმართენ ჩუენ ზედა და ქმნული ჳელთა ჩუენთაჲ წარგვმართე“,
 „რამეთუ უდაბნოთა ამათ და მათთა აღვიხილენით თუაღნი ჩუენნი, ვინაჲ მო-
 ხუედ შეწევენად ჩუენდა“. „ჳემამრტად შეწევენა არს ჩუენდა სახელითა უფლი-
 სათა, რომელმან ქმნა ცანი და ქუეყანაჲ და ყოველნი დაბადებულნი».

და ერთობით ჳუარი დასწერეს ადგილსა მას და იწყეს საქმედ ¹⁰ სენაკები-
 სათჳს ქუეყანისა დაეკებად, რამეთუ კლდმ იგი ხანციისაჲ უფიცხლეს არს
 უფროჲს ყოველთა მათ კლარჭეთისა უდაბნოთა. და შრომითა დიდითა ქმნეს
 ადგილი იგი, რამეთუ არა აქუნდა მათ ცული და წერაჳჳ, არცა სხუაჲ ეგეეთა-
 რი ¹¹ საქმარი, არამედ ოპიზელთა მამათა მოსცეს ყოველი, რომელი ოპოვა ჳელ-
 სა მათთა, და თანა-შემწემ ¹² ეკმნეს ყოვლითა საქმრითა და ჳორცთა საღუ-წითა,
 რამეთუ მას ეამსა სხუაჲ მონასტერი არა შენ იყო მათ ქუეყანათა, თვნიერ ოპი-

¹ ესმ ბ. ² აღსასრულამდე ბ. ³ სიკუდილამდე ბ. ⁴ სიკუდილმდე ბ. ⁵ უკმ ბ. ⁶ თეს-
 ლამდე ბ. ⁷ შეუნიერებაჲ ბ. ⁸ საქმედ ბ. ⁹ ეგმეითარი ბ. ¹⁰ თანა-შემწემ ბ.

ზისა, და არცა მსოფლიონი ერისკაცნი ახლვიდეს ახლად შენებისათჳს შათ ქუე-
ყანათაჲსა, რამეთუ კლარქეთს და ტაოთა შინა და შავშეთს და ყოველთა მარ
მახლობელთა ქუეყანათა მცირედნი იპოვებოდეს დაშენებულ ტყეთა¹ შინა
ადგილ-ადგილ.

5 ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ პირველად აღაშენა ძელისა ეკლესიაჲ და
შემდგომად საყუდელი თჳსი და თითო სენაკები ძმათა მათთჳს მცირე და ერთ
სენაკი საოსტოგნედ დიდი. და დლითი-დღე² აღორძნდებოდეს ძმანი, რამეთუ
შეეძინებოდეს უფალსა მუშაკნი მეთერთმეტისა ეამისანი მოქმედად ჳეშპარტსა
მას ვენაჳსა და თანაზიარ იქმნებოდეს პირველთა მათ მართალთა და მონაწილე³
10 წმიდათა მოწამეთა, მკნდებოდეს რაჲ ლუაწლსა მას მონაზონებისასა მსგავსად
წმიდათა მოწამეთა და უფროჲს მათსა, რამეთუ მარტულნი ერთსა ხოლო შინს
ეამსა იწამნეს. ხოლო ესე⁴ ყოველსა ეამსა იწამებოდეს სახელისათჳს ქრის-
ტშისისა. ვითარცა დაეით იტყჳს: „შენთჳს მოვწყდებით ჩუენ მარადღე“⁵ და
აჲვლე⁶ იტყჳს: „მარადღე ქრისტშსთჳს მოვკუდებით“. უკუეთუშეცა არა იყო
15 დუეტხრომელი ბრძოლაჲ წმიდათაჲ, არამცა მოიჭსენეს ბრძოლაჲ იგი სიკუდი-
ლად მარადღე⁷...

(8) მას ეამსა ნეტარი იგი ბერი ჳუედიოს მობჳუცებულ იყო ფრიად და მიხ-
ლებულ კორცთაგან განსლვად. მაშინ მივიდა მამაჲ ჩუენი წმიდაჲ გრიგოლ და
ძმანიცა, რომელნი იყვნეს მის თანა, ხილვად ბერისა. და ვითარცა მოიკითხეს,
20 პრქუეს: „გუაკურთხენ, წმიდაო მამაო, რამეთუ აწ მიხულა უფლისაჲ. ხოლო
ინ პრქუე: „ღმერთი მშჳდობისა, სიყუარულისა და კაცთ-მოყუარებისაჲ იყავ
თქუენ თანა ყოვლადეე¹, არამედ ჩემთჳს ლოცვა-ყავთ, წმიდანო მამანო, რამე-
თუ მივალ დღეს ბანაკსა უცხოისა და ღმრთისა საყდართა საშინელთაჲსა ხოლო:
მათ პრქუეს: „არა ხარ უცხო ბანაკსა მას წმიდათა ანგელოზთასა, რომელთა თანა
25 სულითა მარადის იხარებ წინაშე ქრისტესა, არამედ ნუ დამივიწყებ ჩუენ, ად-
გილისა შენისა წმიდისა მკვდრთა და ნერგთა მადლისა შენისათაჲ. და მან პრქუე
მათ: „ჳელთა ღმრთისათა შევჳედრებ სულსა ჩემსა და ჳელთა თქუენთა ჳორცთა
ჩემთა. ხოლო ნებითა ღმრთისაჲთა ერთად იყოს სიხარული ჩუენი საუკუნოდ“.

და დაიძინა ნეტარმან ბერმან და ტყბილ ეყო მას ჳრული მისი. და ადგილა
30 იგი აღივის სულწლებითა და ანგელოზთა წმიდათა გლობითა, რომელთა წა-
რიყყანეს იგი სიხარულით წინაშე ქრისტესა. ხოლო მამამან გრიგოლ და ძმათა
წარმოიყყანეს ძლევით შემოსილი გუამი მისი და გლობითა წმიდითა დაძმარხეს
იგი საფლავსა შინა და მადლი მისცეს ქრისტესა ნების მყოფელთა მისთა ძლევე-
სა მომეტებლსა და გვარგვოსან მყოფელსა.

35 მაშინ ნებითა ღმრთისაჲთა განმარავდებოდეს ძმანი ქრისტეს მსახურნი.
ხოლო მამაჲ გრიგოლ არავის უღებთაგანსა შეიწყნარებდა, არამედ პირველად
განოცადის ყოველსა ზედა კეთილისა საქმესა, და უკუეთუ იპოვის გულითა
უმანკოჲ, უზაკუველი და უღრტკველად სიმდაბლით მორჩილი წადიერად ყო-
ველსა ზედა კეთილისა საქმესა, იგი შეიწყნარის სიხარულით. ამისთჳსცა ყო-
40 ველნი მოწაფენი მისინი კეთილ იყვნეს ფრიად და ღირსად შემწყნარებელ სათ-
ნოებათა მისთა წმიდათა. და ემსგავსებოდეს მოძღუარსა კეთილსა, ვითარცა

¹ ტყმთა ხ. ² დლითი-დღე ხ. ³ მონაწილე ხ. ⁴ ესე ხ. ⁵ მარადღე ხ. ⁶ აჲვლე ხ.
⁷ ეწლემ ხ.

მოდლუარი მათი ემსგავსებოდა ქრისტესა, რომელიცა იტყვის: „იმა არს მოწაფისა მისი, იყოს თუ ვითარცა მოძლუარი თვისი“. და ესრეთ კეთილად ცხონდებოდეს იგინი სულიერად, ხოლო ჯორციელად დიდსა იწროებასა იყვნენ.

(8) და მათ ეამთა მფლობელი იყო ამათ ქუეყანათა ღმრთის მსახური ჯელმ-წიფმ დიდი ბაგრატუნისანი აშორტ კურაპალატი, კეთილად მორწმუნმ, რომლისა გამო დაემტკიცა ქართველთა ზედა მთავრობაჲ მისი და შეიღთა მისთაჲ ვიდრე უკუნისამდე¹ ეამთა. და ჯელმწიფისა მის წინაშე და შეიღთა მისთა დიდებულთა მათ ჯელმწიფეთა წინაშე შეუსწავლელ იყო წმიდაჲ გრიგოლ.

ხოლო იყო ვინმე აზნაური დიდებული წინაშე აშორტ კურაპალატისა და ერ-ქუა მას სახელი გაბრიელ დაფანჩული, და აწ ნათესაეთა მისთა ჰრქვან დაფან-ჩულნი. ესე აზნაური შემკულ იყო ყოვლითა სისრულითა და სიმდიდრითა, სიბრძნითა, ჰასაკითა და ახოვნებითა, და ყოველსა ზედა საქმესა განმარჯუებითა და კეთილად მორწმუნებითა ჰებულ იყო.

ამას აქუნდეს ზოგნი სოფელნი მახლობელად ვანსა ნეტარისა გრიგოლისსა, რომელმანცა მოწაფეთა თვსთა უპოვარებაჲ იხილა რაჲ, მიიწია ნებითა ღმრთი-საჲთა სახლსა გაბრიელ დაფანჩულისასა. ხოლო იგი შინა არა დახუდა, არამედ ღმრთის მოყუარმ მეუღლმ მისი მარიამ სარწმუნოებით მოეგება მამასა ჩუენსა გრიგოლს და ჰეროვნად პატივ-სცა და მრავლითა კეთილითა განუტევა. და თანა კაცნი წარმოაყვანნა შესასწავლელად და ჰრქუა: აწმიდაო მამაო, ამათ კაცთა ასწავე გზაჲ მონასტრისა შენისაჲ და საღუაწი სულიერთა შეიღთა შენთაჲ უზრუნველ იყოს შენგან, რამეთუ არა დაგაკლდეს სახლისაგან ჩუენისა, არამედ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა ჰსენებულ გუყვენით უფალი ჩემი გაბრიელ და მე, მჰვევლი შენი, და შეილნი ჩუენნიჲ. და ესრეთ სიხარულით მივიდა მონასტრად თვსა მამაჲ გრიგოლ, და განიხარეს მამათა მათ ფრად, რამეთუ ღმერთმან პატივ-სცის მაღიდებელთა თვსთა.

ხოლო რაჲამს მოიწია სახედ თვსა გაბრიელ მთავარი, მაშინ აუწყა ღმრთის მოყუარემან მეუღლემან მისმან ნეტარისა მამისა გრიგოლის მოსლვაჲ და ვითარ-იგი მან სიხარულით განუტევა. და ვითარცა ესმა ესე დიდებულსა მას, მჰურვალმ მაღლი შეწირა ღმრთისა წმიდისა მის შესლვისათვს სახლსა თვსსა და აყურთნა მეუღლმ თვისი. და მსწრაფლ ხოლო დაწერა წიგნი ვედრებისაჲ და წარავლინნა კაცნი კეთილნი, რაჲთა კულადცა ბრძანოს სახლსა მისსა². ხოლო მამაჲ ჩუენი ნეტარი გრიგოლ მორჩილ იქმნა სიტყუათა მისთა და წარჰყვა კაცთა მათ მოვლინებულთა.

და ვითარცა ესმა მისლვაჲ ამის ნეტარისაჲ, აღდგა და მიეგება წინა გაბრიელ, აზნაური მეფისაჲ, და თაყუანის-სცა სიხარულით და ამბორს-უყოფდა წადიერად კელთა მისთა წმიდასა მას და წარიყვანა პატივით სახედ თვსა და მრავალთა დღეთა განუსლუნა³. და წარმოუდგინნა წინაშე მისსა ოთხნი იგი ძენი თვსნი, ყოვლად კეთილნი და ყოვლითავე მსგავსნი გაბრიელ მამისა მათისანი: პატრიკ, გუარამ, არშუშა და აბულასათ. და ჰრქუა ნეტარსა გრიგოლს: აწმიდაო ღმრთისაო, აყურთხენ ესენი წმიდათა ჰელთა შენთა დასხმითა. ვითარცა ისრამლ იოსების ძენი აყურთხნა, ეგრეთვე შენ ყოველნი შეილნი ჩუენნი აყურთხენ ჩუენ, მშობელთა მათთა, თანაჲ.

¹ უკ-ბ. ² მისა ბ. ³ განუსლუნა ბ.

და ვითარცა იხილა წმიდამან მან ფრიადი სარწმუნოებმა კაცთა მათ ზეულ-
ლოთა და შვილთა მათთა, მაშინ აღდგა სიხარულისა ცრემლითა საესქ და აღი-
პყრნა წმიდანი კელი თვისნი ცისა მიმართ და ჰრქუა: „უფალო! საუკუნითგანთა
წმიდათა შენთა მორწმუნენი შენნი, რომელნიცა იკურთხნისა, სიტყუა მათი სა:

5 ქმით აღასრული, აწცა, უფალო, მოხედე ლოცვასა ჩემსა, გლახაკისა მონისა
შენისასა, და ლოცვითა ყოველთა წმიდათა შენთათა აკურთხენ მშობელნი
ნეილითურთ და შვილნი მშობელთა თანა, კეთილად მორწმუნენი ესე და მადი-
დებელნი წმიდისა სახელისა შენისანი. ვითარცა აკურთხე სახლი ნოვე მართლი-
სა და აბრაჰამ მამათ-მთაერისა და ყოველთა ნების მყოფელთა შენთა, ღმერ-
10 თო დიდებისაო, იგივე კურთხევა საუკუნო დაამკვდრე ამათ შორის და უხუად
მიანიჰე კეთილი ქუეყანისა დაღვარებულთა შინა და კეთილი ზეცისა დაუს-
რულებელი, და ჩუენთვს წყალობა-ყავ. ამენა.

და ჭუარი დასწერა ყოველთა და დაქდა. მაშინ გაბრიელ ჰრქუა წმიდასა
მას: „ქრისტემან საქმით დაამტკიცენ სიტყუა ბაგეთა შენთა, ღირსო მამო, და
15 ჩუენ მოგუეცინ უფალმან გულს-მოდგინედ მსახურება სიწმიდისა შენისა,
რათა სიტყუად იგი მოციქულისა ჩუენ შორის აღესრულოს, ვითარმედ: „თქუე-
ნი ნამეტნავი მათისა ნაკლულეანებისა და მათი ნამეტნავი თქუენისა ნაკლულე-
ვანებისა“. აწ ჩუენ თანა არს ჳორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერი
კეთილი, და ესე შეგზავნეთ ურთიერთას. თქუენ მონაწილე¹ გუყუენით წმიდა-
20 თა ლოცვითა თქუენთა ცხორებასა ამას და შემდგომად სიკუდილისა და ძელნი
ჩუენნი ღირს ყუენით დასხმად წმიდათა თანა ძელთა თქუენთა და ლოცვა
ჩუენთვს უკუნისამდე² განაწესეთ მონასტერისა თქუენსა, და ჩუენ აღგიტომთ
ცხორებასა ჩუენსა და ცხორებასა შვილთა ჩუენთასა³, შვილითი შვილადმდე⁴
თანა-გუაჲ თქუენი ღუწად და მონასტერისა თქუენისა ეამთა უკუნისამდე⁵, არა-
25 მედ, წმიდაო მამო, სავანე კეთილი ადგილი დედათათვს სამკვდრებელად გამო-
ნახეთ, რათა ესე მცნებად იყოს ჩუენ შორის ნათესაებისა ჩემისა: უკუეთუ მო-
წესე მამაკაცი იყოს, სამკვდრებელად მისა ხანცთა იყოს, და უკუეთუ ერისა
ჩემისა მოწესე დედაკაცი იყოს, მუნ დაემკვდროს, რომელიცა შენ გამოაჩინო
ქუეყანასა ამას ადგილი შენ მიერ კურთხეული. და ვითარცა მიცვალბულთა
30 მამათათვს ხანცთა განმიწესებია, ეგრეთვე იყოს სამარხავი მიცვალბულთა
დედათა აწ შენებულსა მასა.

ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ ძიება-ყო გულს-მოდგინედ და ჰოვა
ადგილი კეთილი გუნათლეს მახლობელად. ჭუარი დასწერა და მუნ აღაშენეს
მონასტერი დედათა, რომელსა აწ ჰრქვან გუნათლის ვანი. და ეამის-მწირველი
35 მღღელი ვანისა მისთვს ხანცთით განაწესა ნეტარმან გრიგოლ ვედრებითა გაბ-
რიელისითა. ამისთვსცა მსგავსად აღთქუმისა ხანცთას შინა ელოცვების ყოველთა
დაფანჩულთა ვიდრე დღენდელად დღემდე⁶.

(10) ხოლო გაბრიელ, დიდებულმან აზნაურმან, ფრიადითა კეთილითა წარ-
მოგზავნა მამად გრიგოლ და მოსცნა კირით-ხურონი და ნიეთი ყოველი ქვიტიკ-
40 რისა ეკლესიისა საშენებელად. და ესრეთ მოვიდა მამად გრიგოლ თვისსა ვანსა.
და განიხარეს მოწაფეთა მისთა, მადლი მისცეს ქრისტესა და ულოცვიდეს მო-
ღუწეთა მათ. ხოლო ნეტარმან გრიგოლ ადგილი იგი საეკლესიო დაავაკა...

1 მონაწილმ ბ. 2 უ-შ ბ. 3 ჩნთასა ბ. 4 შვილადმ ბ. 5 დღმდელად დღმდე ბ.

და გუარი დასწერა ადგილსა წმიდისა ეკლესიისასა და იწყეს¹ შენებად. და ესრეთ კეთილად განსრულდა ძუელი² იგი ეკლესიაჲ ხანცთისაჲ შეწევნითა ქრისტესითა და მეოხებითა წმიდისა გიორგისითა და ლოცვითა ნეტარისა მამისა გრიგოლისითა, ხოლო ჭორაეულად მოღუაწებითა დიდებულისა გაბრიელ მთავრისაჲთა და ყოველთა მართლ-მორწმუნეთაჲთა. მას ეამსა ყოველთა მათ წმიდათა უდაბნოთა შინა იწყეს წმიდათა მამათა მონასტრებისა შენებად და წმიდათა ეკლესიათა. და ესრეთ განმრავლდეს მსახურნი წმიდისა სამებისანი და მარადის მადიდებელნი.

(11) ხოლო სანატრელი და სასწაულთა მიერ შემკული დედაჲ ფებრონია მოიწია სამცხით და დაემკვდრა მერეს შინა. და ღირსად ცხოვრებისა და სულიერად განგებვისა მისისა არა იყო საზღვარ. და საღმრთოთაჲთა სიყუარულითა წმიდითა ერთ ზრახვა და მეგობარ იყვნეს ფრიად ნეტარნი ესე³ ღმრთისა კაცნი: დედაჲ ფებრონია და მამაჲ გრიგოლ. და ხუცესი მერიკსა ხანცთით არნ.

ამისა შემდგომად ღმრთის მსახურსა მეფესა აშოტ კურაპალატსა აუწყა გაბრიელ ერისმთავარმან სანატრელისა მამისა გრიგოლის ღირსებაჲ და უცხოებაჲ და უქმსა უდაბნოსა მონასტრისა შენებაჲ და მოწაფეთა მისთა სათნოებაჲ და მოწაფეთაგანეჲ ცნობაჲ დიდებულებისაჲ წმიდისა⁴ მის მშობელთაჲ. ესე ყოველი ვითარცა გულისქვა-ყო კეთილად მსახურმან კურაპალატმან აშოტ, მსწრაფლ ხოლო დაწერა ებისტროლ⁵ ჭელითა თვისითა და კაცი ერთი კეთილი წინაშე მღვრამელთაგანი და ერთი გაბრიელის მსახურთაგანი მსწრაფლ წარმოავლინნა მამისა ერიგოლის წინაშე. და ვითარცა წარიკითხა წიგნი კურაპალატისაჲ, პატრიუთ მოწერილი წოდებისაჲ, ნეტარმან მამამან და კაცთა მთავანცა, ცნა ყოველი. მუნ-ოქუესევე წარვიდა ჯელმწიფისა მის წინაშე და, მი-რამ-იწია პალატად, მოეგებნეს სენი კურაპალატისანი.

და ვითარ მივიდა კარსა ტაძრისა მათისასა, მაშინ კურაპალატი ზე აღდგა და წინა-მოეგება ნეტარსა მამასა გრიგოლს.⁶ და დიდითა სიმდაბლითა მოაციოხეს ერთმანერთი და დასხდეს. ხოლო კურაპალატმან ჰრქუა: «ღმრთისა მიერი კურთხევაჲ პირითა შენითა იყვენ ჩუენ ყოველთა ზედა, წმიდაო». და მან თქუა: «გაკურთხენინ ყოველი პირმან ქრისტესმან და ყოველთა წმიდათამან, რამეთუ კეშმარიტად სამართალ არს სიტყუაჲ ესე⁷: „სადა არს პატრიუ მთავრობისაჲ, მუნ არს მსგავსებაჲ ღმრთეებისაჲ“, რამეთუ თქუენ, ჯელმწიფენი, უფალ გყენა ღმერთმან ქუეყანისა განგებასა, ვითარცა გულისქვა-ვჰყოფთ კეთილის ყოფასა ღმრთისასა ჩუენდა მომართ მეფობითა შენითა. და ვითარცა-იგი აბრაჰამისთვის უფალი იტყვს, ვითარმედ: „აბრაჰამსა სწადოდა ხილვაჲ ნათლისა ჩემისაჲ, იხილა და განიხარა“, მსგავსად აბრაჰამისა მეცა, გლახასა, მწადოდა ხილვაჲ და თაყუანის-ცემაჲ თქუენი და აწ სიხარულითა საესე ვარ და ძღუნად შევსწირავ ლოცვასა. ქრისტემან უმეტესად დიდებით დაიცევიან მეფობაჲ შენი დიდებასა შინა და სიხარულსა და საუკუნოჲ დიდებაჲ ზეცისა მთავრობათა თანა დაგიმკვდრენ კეთილთა თანა შვილთა».

მაშინ კურაპალატმან ჰრქუა მამასა გრიგოლს: «მეფეთა ისრამლისათა ჟამად-ჟამად წინაწარმეტყუელი აღუდგინის ღმერთმან სიქადლულად მათა და ზღუდედ შჯულისა და შესაწევნელად მორწმუნეთა და სამხილებელად ურწმუნოთა

¹ იწყეს ხ. ² ძუელი ხ. ³ ესე ხ. ⁴ წლისა ხ.

ეგრეთვე ეამთა ჩუენთა შენ გამოგაჩინა ღმერთმან ქრისტეანეთა სიქადულად, და რაათა მარადის ილუწიდე¹ ჩუენთუს წმიდითა ლოცვითა შენითა წინაშე ქრისტესა და წმიდათა მისთა». ხოლო მან პრქუა: «დავით წინაწარმეტყუელისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ჳელმწიფო, მეფობა და სათნობანიცა მისნი დაგიძკვრდე ქრისტემან ღმერთმან, რომლისათჳსცა ამას მოგაქსენებ: არა მოაკლდეს მთავრობაა შვილთა შენთა და ნათესაეთა მათთაჲ ქუეყანათა ამათ უკუნისამდე² ეამთა, არამედ იყვენ იგინი მტკიცედ უფროს კლდეთა მყართა და მათთა საუკუნეთა და დიდებულ იყვენ უკუნისამდე³».

ამისა შემდგომად კაცმან მან მოციქულმან წარმოთქუა ქებაჲ ხანციისაჲ,
 10 ვითარმედ: «კეთილ არს უდაბნოა იგი მზისა მცხინჯარებითა და პაერისა შეზავებითა ყოვლით კერძო. და აქუს მას წყაროა მდიდრად გამომდინარჲ, შუენიერი⁴, გრილი და ჰამოა, და მადნარათა სიმრავლჲ ურიცხჲ და მცირედი რამე სხუაჲცა ნუგეშინის-საცემელი ძალისაებრ მის უდაბნოასა, ხოლო სათესავეი ყანაჲ და სათიბელი ქუეყანაჲ რაათურით არა არს, არცა იქმნების ღირლოლოვანთა მათ
 15 ფიცებლთა მწუერვალთა⁵ მათ ღადოთაჲსა». ესე⁶ ვითარცა ესმა დიდებულსა კურაპალატსა, შეწირნა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანციისა. მაშინ სამთა მათ დიდებულთა ძეთა კურაპალატისათა — ადარნერსე⁷ და ბაგრატ და გუარამ — შეწირეს თითოეულად, რაჲცა საჳმარო მონასტერსა მისსა უქმდაჲ ყოველი უხუებით⁸.

20 და ვითარცა ადგილნი იგი მოითუალნა და კურთხევაჲ მიანიჭა კურაპალატსა და ძეთა მისთა ნეტარმან გრიგოლ, მაშინ მრავლისა კეთილისა ნაყოფითა საესჲ მოვიდა ხანციად, მონასტრად თჳსა, და ახარა ძმთა ყოველი იგი განმარჩუებაჲ⁹ მადლითა ქრისტესითა და ოხითა წმიდისა გიორგისითა. ხოლო მათ უხაროდა და ულოცვიდეს სარწმუნოებით შემომწირველთა და ჰმადლობდეს
 25 ქრისტესა კეთილის მყოფელსა.

(12) და ვიფარცა ჳორციელად შეემატებოდა, ეგრეთვე სულიერად შეეძინებოდა რიცხუსა მას წმიდათა კაცთასა, რამეთუ მას ეამსა მოვიდეს მამაჲ ებიფანე და მღვდელი მატრი ქართლით, და დიდი ჳენონ სამცხით, რამეთუ ებიფანე და მატრი პირველჲ მგვობარ იყვენეს ამის წმიდისა და სახელსა მისსა მოვიდეს
 30 ხანციად.

ხოლო ჳენონ შვილი იყო საჩინოასა ვისიმე კაცისაჲ სამცხეს და ღმრთის მსახურებით აღზრდილ იყო და სიწმიდით იქცეოდა, რამეთუ საღმრთოა შიში მკვდრ იყო მის შორის, და სწადოდა მონაზონებაჲ აღთქუმისაებრ აღთქუმისა მმარხველთაჲსა. და ვითარცა აღესრულნეს მშობელნი მისნი, მონაგები მათი
 35 დაუტევეს ჳენონს და დასა მისსა, რომელიცა იყო სახლსა შინა მის თანა. და ჳენონ გულს ეტყოდა, რაათამცა მამული და დედული მონაგები დასა თჳსსა დაუტევა ნებისაებრ მისსა და თჳთმცა იქმნა მონაზონ უტხოვბასა შინა. და ვითარ ამას განიზრახვიდა ჳენონ, დაჲ იგი მისი ეშმაკისა განმარჩუებითა შეაცოთუნა ვინმე უკეთურმან კაცმან და ღამე ყოველ წარვიდეს შავშეთს. ხოლო ჳენონ
 40 ვითარცა ცნა, შეიჭურა საჳურველითა მარტოდ და ამქედრდა ცხენსა და დევნა-უყო. და ვითარ დიდი ქუეყანაჲ ვლო, თქუა გულსა თჳსსა, ვითარმედ: «ეარ

¹ ილუწიდე ხ. ² უკმ ხ. ³ შეწინერი ხ. ⁴ მწუმრავალთა ხ. ⁵ ესმ ხ. ⁶ ადარნერსმ ხ. ⁷ უხუებით ხ. ⁸ განმარჩუებაჲ ხ.

მე ჰაბუკ სახელოვან და, რომელსა ვსდევ, ფრიად შეურაცხ არს. დალაცათუ ვე-
წიო და მოვკლა საბრკე არს სულისა. ჩემისაჲ. და უკუეთუ ცუდად უკუნეიქცე
სახედ ჩემდა, სირცხულ არს ჩემდა, არამედ აღთქუმაჲ მონაზონებისაჲ აწ აღუს-
რულო უფალსა“. და ახოვან იქმნა ნეტარი ესე, რამეთუ მონაგებთა დატევებჲჲ
სისხლთა დათხევასა ემსგავსების. და დაიწერა ჟუარი ჳორცთა თჳსთა და წარე- 5
მართა საღმრთოსა მას გზასა და მიიწია წინაშე ღედისა ფებრონიასა მერეს,
რამეთუ იყო იგი სახლისა მისისაჲ. და ნებითა ღმრთისაჲთა მუნ იყო მამაჲ გრი-
გოლ. და ღედამან ფებრონია შეაწყნარა წმიდასა მას უმანკოჲ იგი კრავი, მწყემს-
სა მას კეთილსა, რომელმანცა მოიყვანა ხანცთად, ადგილსა მას მწუხანვილსა
ღმრთისა მადლისასა დაამკვდრა და წყალთა ზედა განსასუენებელთა * სულისა 10
წმიდისათა გამოზარდა იგი.

ესე ნეტარი ზენონ მიიწია მოხუცებულეებასა და ვიღრე აღსასრულამდე †
არა განეშორა ხანცთასა ჳემშარიტად სულიერი შვილი, მსგავსი მამისაჲ, კეთილი
მოწაფე, ნაცვალი მოძღურისაჲ, ნეტარი, სათნოებთა საუნჯე, მონაზონებისა
წესი წმიდაჲ, კლარჯეთისა უდაბნოთა ზღუდჲ, სულთა უკეთურთა მათებელი, 15
რამეთუ ცხოვრებასა მისსა და ცხოვრებასა მოძღურისა მისისასა ვერ იკადრებდა
ეშმაკი დაცემად კაცთა წმიდათა ამათ შინა ადგილთა.

ესე ახოვანი შემდგომად მიცვალებისა მეოხი არს ჩუენი საუკუნოდ უფლი-
სა მიმართ მოყუასთა მისთა თანა, რომელნი იყვნეს მსგავსნი მისნი, მოწაფენი
მამისა გრიგოლისნი, ღიხსნი და სასწაულთა მოქმედნი, მოთმინებისა სუეტნი † 20
შეურყეველნი, ვითარცა განმტკიცებულნი დაუცემელად სუეტნი * ცათანი.

რამეთუ ვიღრე მოსლვადმდე † გრიგოლ მწყემსისა † მის კეთილისა მკეც-
თაგან უხილავთა ლტოლელნი მცირედნი იგი ცხოვარნი ქრისტესი განბეულ
იყვნეს თითოჲ, ანუ თუ ორ-ორი სივრცესა მას უდაბნოთასა, ხოლო მოსლვასა
წმიდისა გრიგოლისსა ცხოვარნი იგი განმქნდეს და მკეცნი იგი ეშმაკნი განიოტ- 25
ნეს და ყოველი წესი საღმრთოჲ განემართა.

ხოლო მამაჲ გრიგოლ გულს ეტყოდა, ვითარმედ: „ვითარცა მონასტრისა
ჩემისა * მამანი სათნოებითა უზეშთავს არიან ეამისა ამის მონაზონთა, ეგ-
რეთცა წეს-არს წესი საღმრთოჲ საეკლესიოჲ ეკლესიასა * შინა ჩემსა დაწესე-
ბად ბრძენთაგან განუკითხველი“. ამისთვის განიზრახა წარსლვაჲ ქრისტესსა სპურ- 30
ჭლედ, მეორედ იერუსალმად, რომელ არს კოსტანტინეპოლისი, და ყოველთა
საჩინოთა საბერძნეთისა წმიდათა ადგილთა მოხილვად და ლოცვად. მას ეამსა
იერუსალმჲს წარმავალი ვინმე პოვა მეგობარი თჳსი და მას დაჰვედრა საბა-წმი-
დისა წესისა დაწერაჲ და წარმოცემაჲ. და ძმათა თჳსთა კაცნი მოღუაწენი უჩინნა
და მშკდობაჲ დაუტევეა მათ და აღუთქუა კუალად აღრე მოსლვაჲ. და თანა წარი- 35
ყვანა საბა, ღედის დისწული თჳსი, და ერთი ვინმე სხუაჲ მოწაფე, და წარე-
მართა საბერძნეთად. და მიიწია კოსტანტინეპოლისსა და თაყუანის-სცა ძელსა
ცხოვრებისასა და წმიდათა ყოველთა ნაწილთა. და სიხარულით მოვილნა ყოველ-
ნი წმიდანი, ადგილნი სალოცელნი, რამეთუ მრავალთა ენათა წურთილ იყო იგი
და მრავალ-მოსწავლე † ყოფილ ჳელითა კეთილად მსახურებისაჲთა. და რომე- 40
ლიმე სახილავი მოძღუარ კეთილის ექმნის და რომელიმე განსაკრძალველ ბორო-

† უკუნეიქცე ბ. * გწნასუენებელსა ბ. * აღსასრულამდე ბ. † სუეტნი ბ. * ანუ ბ.
* მოსლვადმდე ბ. † მწყემსისა ბ. * ჩემსა ბ. * ეკლესიასა ბ. † მრავალ-მოსწავლე ბ.

ტისათვის; და ესრეთ აღმოვისო გული მისი სიმდიდრისაგან დაუბეჭდველისა ახლისა შჭულისა. და სულითა მადლისაათა განმზიარულებულნი წარმოემართნეს საყოფელად¹ თვისა.

(18) და ვითარცა მოიწინეს ტაოს, ესმა მუნ მყოფთაგან კაცთა, ვითარმედ
5 აშოტ კურაპალატი მოიკლა და მის წილ ჯელმწიფებენ ძენი მისნი. მაშინ ტკივი-
ლისა ცრემლითა აღივსნეს ღმრთის მსახურისა მის ჯელმწიფისა დაცემისათვის და
ტირილითა საესენი ულოცვიდეს მიცვალებულსა მას მეფესა. ხოლო ნეტარი
ჯრიგოლ ჰმადლობდა ღმერთსა და გლოით იტყოდა: „შ მეფეო ჩემო, ძლიერო
და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტიანეთაო, სადაათ-მე
10 მოგელოდი, აღმოსავალით-მე ანუ დასავალით, ჩრდილოათ-მე ანუ სამხრით?
რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ, რომელიცა წყობით ჯელ-
მწიფეთა დაიმორჩილებდ, საკვრველი ეგე დიდებული, ღმრთის მსახური ჯელმ-
წიფემ. აწ ვითარ-მე მიეცი ჯელსა შეურაცხთა, უშჭულოთა და უნდოთა კაცთასა,
რომელნი-იგი იუდაას მსგავსად შენ, უფლისა თვისისა, მკველ იქმნნეს მოსაკუ-
15 დინებელად ჩუენ გლახაკთა, მლოცველთა შენთა, უკუნისამდე?“ ამისსა შემ-
დგომად ულოცვიდეს შეილთა მისთა დიდებულთა ჯელმწიფეთა, რათა უფალმან
დაიცენეს² დიდებით და დღეგრძელებით კეთილსა შინა ღმრთის მსახურებასა.

(14) და ვითარცა მოიწინეს მახლობელად იშხანსა, გამოეცხადა ღმრთისა
მიერ ნეტარსა გრიგოლს და ღირსსა საბას იშხნისა პირველი დიდებულეზბაჲ და-
20 ბასა მისსა, — წმიდანი ეკლესიანი, და ეუწყა, ვითარმედ კულად განახლებად
რას პირველებრ ჯელთა საბანისითა. და ეცნობა გზაჲცა მისავალად, რამეთუ მის
ჯამისა კაცთაგან მიუყულა იყო ადგილი იგი. და მი-რახ-ვიდეს იშხანს, ფრიად უხა-
როდა პოვნაჲ დიდებულისა მის ადგილისაჲ.

რამეთუ იყო მას შინა ნუგეშინის-საკემელი სულიერი³ და ჯორციელი. და
25 საბას მუნთქუესვე გულს-ედვა დადგომაჲ, ხოლო ნეტარმან გრიგოლ ჰრქუა:
«ძმაო, პირველად ვიხილნეთ ძმანი ჩუენნი ხანცთას შინა მყოფნი და ნებითა
ღმრთისაათა და ლოცვითა მათითა კულად მოიწიო ადგილსა ამას წმიდასა».
და მიერ წარმოსლვასა მათსა მიიწინეს წინაშე ძეთა კურაპალატისათა და დაუ-
ლოცეს ნუგეშინის-ცემით სიკუდილისათვის მამისა მათისა.

(15) და ესრეთ მოვიდეს ხანცთად, მონასტრად თვისა, და მოიყვანნეს ნაწილ-
30 ნი წმიდათანი და ხატნი წმიდანი და სხუაჲ ეელოჯიჲა ფრიად, და პოვნეს ძმანი
ცოცხლებით და მშუდობით ყოველნი მზიარულნი შეუშფოთებლად საღმრთოათა
საყუარულითა საესენი და განიზარეს, რამეთუ კულად მაცხოვრისა მადლმან
წეკრიბნა ნების მყოფელნი თვისნი.

და შემდგომად მტირედთა დღეთა საბა განუტევა იშხანს და ორნი მოწაფენი
35 მისცნა მას და თვთ განაგებდა სულიერსა ცხოვრებასა ხანცთისასა ნებისაებრ
უფლისა.

(18) მაშინ იერუსალშმით მოიწია კაცი, რომელმან მოაჩუთა საბა-წმიდისა
განგებაჲ დაწერილი. ხოლო ნეტარმან გრიგოლ მას ეამსა განაწესა წესი თვისისა
40 ეკლესიისაჲ და მონასტრისაჲ, სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით გან-
ბრწყინებული და ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამოჩრევით შეკრებული,
ვითარცა საფას⁴ დაუღვენელთა კეთილთაჲ.

¹ საყფლად ხ. ² უაშ ხ. ³ დაიცენ ხ.

(17) ხოლო აწ წესთა მათგანი სულიერთა მცირედი რაამე გვპყრიეს, ვითარსა ზღვსაგან წუეთი ერთი წყალი ვინმე აღმოილო, რამეთუ ესრეთ იყო ცხორებაჲ ნეტართაჲ მათ: სიმართლესა შინა მათსა მარადის თავთა თვსთა ბრალობაჲ აქუნდა და სიყუარულისა ძირი, მტკიცე მოთმინებაჲ სიმდაბლით და სიმშვდით, მარხვაჲ ლოცვითა შეზღუდვილი, სარწმუნოებასა თანა მართალსა დამტკიცებულ სიწმიდჲ გულისაჲ და კეშმარტებაჲ ენისაჲ და უბორობით კრძალვას სრულიად ყოველსავე ზედა. ხოლო წმიდასა ეკლესიასა ლოცვასა მათსა არა აქუნდა უბნობაჲ ურთიერთს, არამედ შიშით დგანედ, ვითარცა ზეცას წინაშე ღმრთისა. და რაჟამს დავითსა იტყუედ, ვიდრე ალილომსა განსრულებამდე¹ მეძრეთა ვერ იკადრიან მუქლისა აღებაჲ² დაწყნარებულსა მას ლოცვასა მათსა, რამეთუ არა აქუნდა ჩუეულებაჲ³ სწრაფით თქუმიასა ყოველსავე ზედა საგალობელსა მათსა, არამედ მდაბლად და გვანად იყო ლოცვაჲ მათი. და კედელსა თვნიერ ბერთაჲსა არაიან მიეყრდნებოდა, ხოლო ძილსა და უკრძალველად ჭლომასა ყოვლადვე არა იკადრებდეს ეკლესიასა შინა. და ესევეითარი მრავალი სათნოებაჲ კეთილი სხუაჲცა დამკვდრებულ იყო შორის მათსა, რომლისათვის არა არს აწ თითოეულად ყოვლისათვის სიტყუაჲ, რამეთუ შემოკლებულ არს ეამი ესე და გონებაჲ ისწრაფის, რაჟთა არა იყოს ნამეტნავ სასმენელსა მსმენელთასა. ამისთვის განგებაჲ ყოველი ვერ დაიწერა წიგნსა ამას, არამედ თითოჲ სიტყუაჲ ყოვლისაგან, რომელი აქამდე წესი აქუნდა ხანცათასა და აწ რომელ აქუს ესრეთ.

ყოველთა ღამის თევათა შემწუხრებითგან განთენებამდე⁴ ლოცვაჲ, და ღამის თევათა წინაღლით დღისა ეამთა ყოველთა ლოცვაჲ და ეამის-წირვასა ეამსა ცხრა-ეამისასა⁵, და კუერეკსთა შემატებაჲ. ხოლო ეამის-წირვასა ყოველსა „წმიდაო ღმერთო“-სა წინა კუერეკსი ზეცით გარდამოა და კვრიაკეთა ეამის-წირვასა „წმიდაო ღმერთო“-ა ექუსი, და საკურთხეველისა მსახურებასა ფესუედითა სამოსლითა და ტყვიითა არა იკადრებოდა მსახურებაჲ.

ხოლო გარდაცვალებულთათვის ყოველთა გარდაიქდიან, გარდაცვალებითგან არასაცა დღესა მიხუდის, სამი დღჲ და შვიდი, ორბეოცი და წელიწადი. და მათ დღეთა ეამის-წირვას არა შეათუალიან ორასთა მათ დღეთა განწესებულთა ხანცათას დამარხულთათვის. და განყოფას პაქსიმაღისაჲ პირველითგანვე განწესებული არს, გიორგი-წმიდობისა თუმცა რაჲ დადგეს, მარხვაჲ წუელითა ვიდრე გიორგი-წმიდობამდე⁶, ეგრეთვე ქრისტეს შობისა მარხვანი და წმიდათა მოციქულთანი საეკლესიოდ დიდითა მოღუაწებითა და კეთილად კრძალულებითა აღასრულნიან.

ხოლო ნოემბერისა თვსა დადევითგან ყოველთა შაბათთა ცისკრად ვიდრე პირ-მარხვამდე⁷ კანონი ოთხი, და დიდთა მარხვათა ვიდრე ბზობამდე⁸ ყოველსა ცისკარსა კანონი ოთხი, ეგრეთვე წიგნის კითხვაჲ ოთხი და ვნებისა კვრიაკისა ფრიად განგებაჲ იყო. ხოლო აღვსებითგან ვიდრე ახალკვრიაკემდე⁹ ჭირისა კანონი არა თქვან, და სერობასა «ხადილსა ჩემსა» წართქვან და ადგომისა წარდგომანი და ცისკრად დაწესებულნი და თითო კანონი ახალკვრიაკემდე⁹ ხოლო სულთა ჭსენებასა შემდგომად აღვსებისა ცისკრად «ნეტარ არიან»-ნი და გალობანი წართქუნიან, ვითარცა ყოველი წერილ არს განგებასა ეკლესიისასა ამის ყოვლისა წესტი, ეგრეთ ჰყოფდიან ყოველსა მამანი ეამთა შინა ჩემთა.

¹ განსრულებამდე ბ. ² აღებაჲ ბ. ³ ჩუეულებაჲ ბ. ⁴ განთენებამდე ბ. ⁵ ცხრა-ეამისასა ბ. ⁶ გიორგი-წმიდობამდე ბ. ⁷ პირ-მარხვამდე ბ. ⁸ ბზობამდე ბ. ⁹ ახალკვრიაკემდე ბ.

(18) არამედ პირველთა მათ დღეთა ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისთა ფიცხელ იყო ფრიად კანონი მოწაფეთა მისთაჲ, რამეთუ სენაკთა მათთა შინა იყო მცირე საბუდეო და შეურაცხი საგებელი და თითოჲ სარწყული წყლისათჳს. ხოლო სხუაჲ ნუგეშინის-საცემელი ქორცთაჲ არა აქუნდა საკამადისაჲ და სასუშადისაჲ ყოვლადვე, არამედ რომელი ტრაპეზსა ზედა ერთბამად ჰქაიან. მით იყო ცხობრებაჲ მათი. და მრავალნი მათგანნი არა სუმიდეს ღვინოსა ყოვლადვე; და რომელნიცა მიიღებდეს, მცირედ იჭუმევედეს. და სენაკებსა მათსა საკუთამი არა აქუნდა, რამეთუ ცეცხლი არა აღეგზებოდა, და არცა ღამე სანთელი აღანთიან, არამედ ღამე იყო ფსალმუნებაჲ და დღისი წიგნის კითხვაჲ და ლოცვაჲ მარადის, ვითარცა იტყჳს დავით: „დღისი ამცნო უფულმან წყალობაჲ მისი და ღამე¹ გალობაჲ მისი“.

ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ თავადნი დიდნი მარხვანი გარდაღუნის მცირედითა კალნაბითა უმბგვრითა. ხოლო მარჩობლად საზრდელად მისა იყო ყოველთა დღეთა მისთა პური ნაკლულევიანებით დღესა შინა ერთ ჰამის და წყალი წონითვე მცირელი. ღვინოჲ კჳლა სიყრმითგანვე არა ესუა და უმრავლესნი სათნოებანი მისნი და მოწაფეთა მისთანი ღმერთმან მხოლომან უწყენის.

(19) ხოლო პირველითგან მოყუასთა მათ კეთილთა ნეტარისა გრიგოლისთა თევდორეს და ქრისტეფორეს² აქუნდა გულსა მათსა საღმრთოჲ შური მონასტარისა შენებისაჲ და არა³ გამოუცხადეს მამისა გრიგოლს განზრახვამათი, არამედ ფარულად წარვიდეს აფხაზეთს და თანა ძმანიცა ვინმე წარჰყვეს.

და ვითარ მოიწინეს სამცხეს, ბრძანებითა ღმრთისაჲთა ძმ დიდისა მირიან აზნაურისაჲ დაიმოწაფეს, სახელით არსენი, რომელსა ეწოდა ღირსად დიდი არსენი, ქართლისა კათალიკოზი და მცხეთისა საყდრისა გვარგვნი დაუქნობელი. ხოლო ყრმაჲ იგი მცირე იყო ეამითა, ვითარ ექუსისა წლისაჲ, და სახლსა შინა მამისა თვისისაჲ იზარდებოდა. არამედ კაცთა მათ ღმრთისაჲთა განზრახვითა მირიანისითა მოწესეთა სამოსლითა შემოსეს ყრმაჲ იგი და მარჯუნაჲ⁴ მისცეს ფიცისაჲ მირიანს და ჰრქუეს: „მოდლუარი ჩუენი გრიგოლ არს, მამაჲ ხანცთელი, და უფალსა თუ უნდეს, ესეცა მოწაფე იყოს მისი ჩუენ თანა, სადაცა ჩუენ ვიყენეთ“, და წარვიდეს აფხაზეთად. ხოლო მეფემან აფხაზეთამან დემეტრე⁵ დიდითა პატრივითა პატრივ-სცა და ადგილსა კეთილსა დაამკვდრნა.

(20) და რაჟამს ცნა ნეტარმან გრიგოლ წარსულაჲ თევდორესი და ქრისტეფორესი⁶, შეწუნა ფრიად და თანა წარიყვანა ოთხნი ძმანი და წარვიდა ძიებად კრავთა მათ რჩეულთა მწყემსი იგი კეთილი. და ვითარ მოიწია ქართლისა სანახებსა, ნებითა ღმრთისაჲთა ძიებასა მას მმათასა პოვა ეფრემ ყრმაჲ, ჰაბუი ღირსი და ღირსებასა შინა იხილვა მამაკაცებასა სრულსა მიწვეულსი სიწმიდით⁷... და სიწმიდესა შინა აწყურისა ეპისკოპოსი სასწაულთა მოქმედი. ხოლო ეპისკოპოსობასა შინა მიიწია მოხუცებულებასა კეთილსა და აღესრულა⁸ საკვრველებით, და ნაწილნი მისნი წმიდანი მიეცნეს ნათლად სამცხესა. ესე⁹ ეფრემ ღირსი ღმრთისაჲ დაიმოწაფა ნეტარმან გრიგოლ და უბრძანა ესრეთ: „რაჟამს მოვიქცე¹⁰ აფხაზეთით, თანა წარგიყვანო შენ ხანცთად“, და თუთ წარე-

¹ ღამე ბ. ² ქ-მფორეს ბ. ³ არა ბ. ⁴ მარჯუნა ბ. ⁵ დემეტრე ბ. ⁶ ქ-მფორესი ბ.
⁷ აქ ერთი სიტყვა არ იყოთხება. ⁸ აღსრულა ბ. ⁹ ესე ბ. ¹⁰ მოვიქცე ბ.

მართა აფხაზეთს. და მი-რამ-იწია წინაშე ჯელმწიფისა მის, ზე¹ აღდგა და წინა-
-მოეგება და სიმდაბლით მოიკოთხა, რამეთუ ზარი აჰქდა მადლთაგან სიწმიდეთა
მისთაჲსა და დიდებულებისაგან პირისა მისისა. რამეთუ ვითარცა პირი მოსე
წინაწარმეტყუელისაჲ, იყო დიდებულ ამის ნეტარისაჲცა ხატი მადლითა ღმრთი-
სათა.

5

და შემდგომად მოიკოთხვისა დასხდეს მეფე და ნეტარი გრიგოლ. ხოლო
წმიდამან განგრძობილად ულოცა და მრავალითა კურთხევიითა შეამკო. და მეფე-
მან მან თქუა: «კურთხეულ არს ღმერთი, რომელი მოგიძლუა აქა, წმიდაო მამაო,
არამედ ვინაჲ არის მიზეზი მოშრომისა შენისაჲ, მაუწყე მე».

და ნეტარმან გრიგოლ ჰრქუა: «მეფეო ღმრთის მსახურო და დიდებულო! 10
მოწევეულ არიან წმიდანი მამანი, ძმანი ჩემნი, წინაშე შენსა. და აწ არიან სამე-
უფლოსა ამას, და მათთვის არს მოსლუაჲ ჩემი აქა. არამედ ბრძანენ ჯელმწიფებამან
შენმან და მოვიდენ იგინი ჩუენდა». ხოლო მეფესა დაუძმძიდა ძიებდა მათი და
ჰრქუა: «არა მოსრულ არიან აქა ეგვეითარნი მონაზონნი, რომელთასაცა ბრძა-
ნებს სიწმიდე შენი». მაშინ ნეტარი მამა გრიგოლ სიტყუასა ზედა მეფისასა გან- 15
რისხნა და ჰრქუა: «მეფეო, ნუ შრომასა შემამოხუეე, მომკენ ძმანი ჩემნი, რო-
მელნიცა მოიწინეს შენდა». და ვითარ ღონძ სიტყუასა არღარა აქუნდა მეფესა
მართლ-მხილვისაგან მის წმიდისა, უბრძანა მოყვანებაჲ ძმათაჲ მათ. და ვითარ
იხილეს მამა გრიგოლ, შეუვრდეს ცრემლით. ხოლო წმიდამან მან აღადგინა და
შეიტკნა სიყუარულით და ჰმადლოდა ქრისტესა პოენისა მათისათვის. და რა-
მეთუ იყვნეს ბუნებით მომლოდებელ წმიდისა მის ძმანი იგი, მათცა უხაროდა
ურთიერთასი იგი შეკრებაჲ თუსი. და მეფემან მან ჰრქუა ნეტარსა გრიგოლსა:
«წმიდაო მამაო, აჰა იქმნა წადიერებაჲ ნებისა შენისაჲ, არამედ უფლმან ყაენ
ნებაჲცა გულისა ჩემისაჲ, რამეთუ მაქუს სულსა ჩემსა მონასტრისა ახლად შე-
ნებაჲ. აწ ბრძანე და მოვიხილნეთ მრავალნი ადგილნი აფხაზეთისანი და სადაცა 25
სიწმიდემან შენმან ინებოს, მონასტრად აღვაშენოთ ადგილი იგი».

და მოვლნეს ქუეყანანი, საგონებელნი სამონასტრედ, და არა სთნდეს წმი-
დასა მას. და ჰრქუა მეფესა მას: «არა არს მიწაჲ, არცა წყალი ქუეყანასა ამას,
სადაჲცა მონასტერი აღეშენა, რამეთუ ტალანტი მონაზონისაჲ მარხვად არს. და
ამას მიწასა ზედა ვერ ეგების მარხვად სულისაგან ხორშაკისა მკუდრინებულისა». 30
და შეწუნხა ფრიად მეფე იგი ამის მიზეზისათვის და ჰრქუა მათ: «არა სამართალ
არს კეთილთა თქუენთაგან უნაწილობაჲ ამის ქუეყანისაჲ».

(21) მაშინ მამამან გრიგოლ სარწმუნოებისაებრ მეფისა დაშენა მონასტერი
და უწოდა სახელი მისი უბე², და ილარიონ³ ვინმე, იერუსალმით მოსრული,
სარწმუნოჲ მოხუცებული, დაადგინა მამასახლისად, რამეთუ ხანძით⁴ წარ- 35
ყოლილ იყო იგი თევდორეს და ქრისტეფორეს⁵ თანა და აქუნდეს მას კეთილ-
ნი წიგნნი. და მამამანცა გრიგოლ თვსნი წიგნნი, რომელ აქუნდეს, და-ვე-უტევენა
მონასტერსა მას. ხოლო ჯელმწიფე იგი სიხარულითა აღივსო მონასტრისა მის
შენებისათვის და შეწირა საშენებელად მისსა ფრიად შესაწირავი და მიანიჭა მა-
მასა გრიგოლს და მოყუასთა მისთა ღრამაჲ ათი ათასი და ყოვლითა კეთილითა 40
აღაჲსნა.

(22) ხოლო ეამსა წარმოსლვისა მათისასა გამოჰკითხა მეფემან ღმირტი

1 ზე ბ. 2 უბე ბ. 3 ილარიონ ბ. 4 ასეა ბ. 5 ქრისტეფორეს ბ.

მამასა გრიგოლს გულს-მოდგინედ სახმ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ, რაათა აუწყოს მას ადგილთა მათ წმიდათა ნიშანი ყოველი. და მამამან გრიგოლ კრქუა მას: აღმართის მსახურთა მეფეთ, დაღაცათუ ფრიად განევმარავლო სიტყუაჲ, ვერვე მისწუთების გონებაჲ ჩემი ყოველსა მას უდაბნოთა მათ სიკეთესა უწყებად

5 შენდა, ვინაათჲან წესი მონაზონებისაჲ მათ შორის აღორძინებულ არს და უფროასად ყუაოდის და აღმართს მომავალთა ეამთა. არამედ ეთქუა მრავლისგან მცირედი ესრეთ, რამეთუ: „ბუნებით ერთგუამ არს ქუეყანაჲ უდაბნოთაჲ მათ და კეთილად შეზაებულ მზისაგან და ჰაერისა, რამეთუ არცა ფრიადი სიციშ შესწუავს მათ და არცა გარდარეული სიცივე შეაურეებს მყოფთა მისთა. არამედ

10 განწესებით დგას თვისსა საზღვარსა უნორიოჲ, უზორმაკოჲ, უმიწოჲ მზუარს. რამეთუ კაცთა ნახჷნი ფერჯთანი არაოდეს თიჯიან ექმნებიან სლვასა მათსა. ხოლო წყალთა კეთილ და შეშაჲ ნებისაებრ უნაკლულოდ აქუს აღმოცენებულ ქვშათა მათ შინა, ურიცხჷ მალნარი და სიმრავლე წყალთა ჰამოთაჲ, ბუნებით მზიარულებაჲ მიცემულ არს ღმრთისაგან. და არს იგი უგზო და მიუველ რაათურ-

15 თით სოფლისა წესითა მცხოვრებელთაგან, რამეთუ ღაღოთა მთათა შინა მალალთა არს მკვდრობაჲ მათი. და მორტყმულ არს ერთ კერძო მთაჲ იგი და ერთ კერძო შეეშეთისა დიდთა წყალთა შეკრებისა გარემოსლვაჲ გარე-მოადგს ზღუდის სხედ უძრავისა.

და ესრეთ ყოვლით კერძო შეზღუდვილ არიან მთათა მიერ და ჭეცნებისა და წყალთა მათგან, საშინელად ძნელოვანთა ადგილთა მავალთაჲსა. მონასტერთა მათ შინა არა არს სათიბელი ქუეყანაჲ, არცა ყანაჲ საჯნავი, არამედ დიდთა შრომითა როჷკიკისა მისლვაჲ აქუს კარაულისა ზურგითა. და მცირედ ვეწაწაჲ პირით და ურვით დაუნერგვან და ეგრეთვე მტილები. ხოლო მხალთა ველისათაჲ არს სიმრავლე ურიცხჷ. და ამას ყოველსა თანა უმიშ არს გული მათი უქრისტო-

25 თა მათ ურწმუნოთაგან შერყევისაგან და ყოველისა ძრვისა ეამსა ჭელმწიფეთა მტერობისასა. და ესრეთ მრავლითა მშუდობითა მყოფდროებით არიან ყოვლადვე და ქრისტესა აღიდებენ“...

(24) მას ეამსა ბაგრატ კურაპალატმან ნებითა ღმრთისაჲთა და ნებითა მშათა თვისთაჲთა და ბრძანებითა ბერძენთა მეფისაჲთა მოილო კურაპალატობაჲ ნაკვე-

30 ლად აშორ კურაპალატისა, მამისა თვისისა, რამეთუ მიეცა მას ფლობაჲ ჭელმწიფებისაჲ ზეგარდადო. და მმანი მისინი ყოველნი და დიდებულნი ჭელმწიფენი — ადარნერს უხუცესი და გუარამ მრწემი, — მშუვეაღესა მას მმასა მორჩილ ექმნენს საღმრთოჲსა მშობისა სიყუარულითა, რამეთუ ერთ-ზრახვა, ერთ-სულ და ერთ-ნება იყვნეს იგინი...

35 ხოლო ნეტარი მამაჲ გრიგოლ მიიწია წინაშე დიდებულისა ბაგრატ კურაპალატისა და ჭერისაებრ შესხმაჲ კურაპალატობისაჲ მიულოცა. ხოლო ჭებაჲ იგი შესხმისაჲ, ეამისა მის ბრძენთა მიერ შეუცავი, ფრიად სთნდა კეთილად მსახურსა კურაპალატსა...

(25) მაშინ სიხარულით უბრძანა ბაგრატ კურაპალატმან შენებაჲ მისი და

40 მისცა ყოველივე საქმარი საშენებელად. და რაეამს მივიდა ნეტარი მამაჲ გრიგოლ შატბერდს... ჭუარი დასწერა ადგილსა მას ჩინებულსა და იწყეს საქმედ ეკლესიისა და სენაკებსაჲცა. და ესრეთ დღითი-დღე აღორძინდებოდა იგი კეთილად. და იქმნა დედე გლოვის მტერთა მათ უხილავთა და ხილულთა, ხოლო ნათესადგურ ცხოვრების ქრისტეს საძმესოთა მეფეთა და მთავართა და ყოველისა

ერისა ქრისტიანეთა მართლ-მორწმუნეთაჲსა. მსგავსად ხანციოსა, ღმრთისა მიერ ზეგარდამო ჩინებულისა, ეგრეთვე შატბერდი აღეშენა საღმრთოათა შეწევნითა და ლოცვითა ნეტარისა მის კაცისათა, რომელმანცა შეაერთა ორნივე იგი უღაბნონი ერთად შენაწევრებულნი და შემტკიცებულნი ძმობრივსა ზედა სი-
ყუარულსა ვიდრე ეამთა აღსასრულამდე.

5

ამისა შემდგომად უწოდა კურაპალატმან წმიდასა მას. და ვითარცა მიიწია ნის წინაშე, ყოველი აუწყა კეთილად განმარჯუებამ მონასტრისაჲ მის ქრისტეს მიერ. მაშინ უბრძანა ადგილნი მარჯუენი აგარაკად შატბერდსა, და ყოველი, რაჲცა უქმდა, მისცა მისთვის სრულიად საშენებლად.

(20) მას ეამსა ნეტარსა გრიგოლს გულმან უთქუა ჭსენებამ საბან იშხნილი-
საჲ და აუწყა ყოველი პირველ ყოფილი ღმრთის მსახურსა კურაპალატსა. ხოლო მას ვითარცა ესმა, ფრიად განიხარა და მსწრაფლ დაწერა წიგნი და წარავლინნა კაცნი კეთილნი და პატივით უწოდა მას. ხოლო მივლინებულნი იგი მოვიდეს და აუწყეს კურაპალატსა, ვითარმედ: არა ჰნებავს კაცსა მას ღმრთისასა მოსლვამ აქა. მაშინ ბრძანა კურაპალატმან გზათა იშხნისათა საქმე, რამეთუ მახლობლად
15 იყო ეამსა მას, და ჰრქუა ნეტარსა მამასა გრიგოლს: „განუგებლად ექმენ, რამეთუ წიგნი არა მიწერად გეც. აწ, ვითარ წეს-არს, მიუწერე“. და თვთ კუალად დაწერა წიგნი სხუამ და წიგნიცა მამისა გრიგოლისი წარსცა. ხოლო ნეტარი სა-
ბან დაემორჩილა მეორედ ბრძანებასა კურაპალატისასა და უფროჲს ხოლო წიგნსა მამისასა.

10

15

20

და მივიდა მათდა სასურველი იგი კაცი ღმრთისაჲ მოსურნეთა მათ თანა. ხოლო კურაპალატი წინა-მიეგება და პატივით მოიკითხა, და მან კურთხევით ულოცა. და ვითარ დასხდეს, რქუა კურაპალატმან წმიდასა მას: „ჩერ-არს კელმ-
წიფეთა მორჩილებამ, რამათვის არა მოხუედ პირველსა წოდებასა, წმიდაო ნანაო?“ ხოლო მან პრქუა: „დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა ჭელმწიფე ხარ,
25 ხოლო ქრისტე ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთამ; შენ ნათესავთა ამთ მეფე ხარ, ხოლო ქრისტე¹ ყოველთა დაბადებულთამ; შენ წარმავალთა ამთ ეამთა მე-
ფე ხარ, ხოლო ქრისტე საუკუნომ მეუფე და სრული ჰგიეს, უცკალებელი, უე-
მოჲ, დაუსაბამომ, დაუსრულებელი მეუფე ანგელოზთა და კაცთამ. და უფ-
როჲს შენსა ჩერ-არს სმენამ სიტყუათა მისთამ, რომელმანცა ბრძანა, ვითარმედ:
30 „ეგრვის ქელ-ეწიფების მონებამ ორთა უფალთამ“ არამედ აწ სიტყუთა ძმისა და მოძღვრისა ჩუენისა გრიგოლისითა მოვედ წინამე შენსა“.

25

30

ხოლო კურაპალატმან პრქუა: „სამართალ არს სიტყუამ შენი, წმიდაო, არა-
ნედ უმჯობეს არს განათლებამ სულთა მრავალთამ სასანთლესა ზედა განბრწყინ-
ებითა შენ, ბრწყინვალისა სანთლისათა, ვითარცა პრქუა ქრისტემან მოწაფეთა
35 თვისთა, ვითარმედ: „ვითარცა მცხინვარებამ მზისა განანათლებს ცასა ქუეშე მყოფთა, ეგრეთ ბრწყინევედინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რამათ იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და აღიღებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა“.

35

ამისა შემდგომად კურაპალატი მივიდა იშხანს და ნეტარნი იგი კაცნი —
მაჲმ გრიგოლ და მაჲმ საბა — თანა. და ფრიად შეუყუარდნ კურაპალატსა
ადგილი იგი, არამედ რაჲსალა განეაგრძობ სიტყუათა? ნებითა ღმრთისათა
40 ექმნა საბა უპასიკობის იშხანსა ზედა, ნეტარისა ნერსე კათალიკოზისა აღშენე-

40

¹ ქო ხ.

ბულსა კათოლიკე ეკლესიასა და საყდარსა მისსა, რომელი წელიწადთა მრავალ-
თა დაქურობებულ იყო. აწ კულად იქმნა სულიერი ქორწილი და მეორედ აღე-
შენა ამის ნეტარისა მიერ, ხოლო ჭორციელად მოღუაწებითა ღმრთის მსახურთა
მათ მეფეთაათა.

5 და რაჟამს მამა გრიგოლ სტუმრად მიიწიის იშხანს, ეპისკოპოსმან საყდარ-
სა იგი დასუს და თუთ თანა დაჯდის, რამეთუ არა თავს-იღვის ურჩებამა ნეტარისა
გრიგოლისი, ვინაათგან მოძღუარ და უზეშთავს იგი იყო. და ესრეთ წარმებრთა
იშხანი კეთილად ვიდრე აქამომდე და უკუნისამდე.

(87) არამედ აწ კულად პირველსავე სიტყუასა მივიდეთ. რამეთუ ნეტარი
10 მამა ჩუენი გრიგოლ პატივ-ცემულ იყო ზეგარდამო ღმრთისა მიერ. და ეამთა
მისთა არავინ ურჩ იყო სიტყუათა მისთა, უფროჲს ხოლო ჳელმწიფენი მის ეამი-
სანი. ხოლო იყო ეამი, რომელსა ერთგან იყენეს ძმანი იგი დიდებულნი, და ნე-
ტარმან მან გულს-მოდგინედ მოაქსენა, რათამცა ბრძანეს და იხილნეს მისნი იგი
15 შენებულნი მონასტერნი და ყოველნი კლარჯეთისა უდაბნონი. ხოლო მათ ისმი-
ნეს მოქსენებამა წმიდისამ მის, რომელიცა წინა წარმოუძღუა მთავართა მათ. და
პირველად მიიყვანა შატბერდს, და ფრიად შეუუყარდა ადგილი იგი და შეწი-
რეს მრავალი შესაწირავი ჳელმწიფეთა და აზნაურთა და ყოველმან ერმან. მაშინ
მოღუაწედ შატბერდისა გამოჩნდეს დიდებულნი აზნაურნი. და რაჟამს წარმო-
ვიდეს შატბერდით ჳელმწიფენი იგი, და ნეტარი გრიგოლ წინა-უძღოდა მათ.
20 მაშინ მოვიდა ზაქარია ანჩელი ეპისკოპოსი, ღირსი და სასწაულთა მოქმედი, და
პატივით მოიკითხეს ჳელმწიფეთა მათ და თანა-წარმოიყვანეს, და მოიწინეს
ჯერეს და ბერთას წმიდისა. ღმრთის-მშობლისა ეკლესიათა, და დაბას წმიდისა
მოწამისა გიორგის ეკლესიასა. ხოლო დოლის-ყანამ მონასტრად უკუანაას იქმნა.
და მოილოცნეს წმიდანი ადგილნი და ფრიადი განუყვეს განსაყოფელი, რამეთუ
25 სამთა მათ ჳელმწიფეთა აქუნდეს დიდნი შესაწირავნი. და მიიღეს მადლი ლოც-
ვითა ამათ ნეტართა მამათაათა.

და მოიწინეს ოპიზანს და განმზიარულდეს მადლითა ნათლის-მცემელისაათა
და ლოცვითა ნეტართა მათ კაცთაათა და აჩუენეს მოღუაწებამა ძლიერი შესაწი-
რავთა მიცემითა და წარმებრთნეს ხანცთად. ხოლო ნეტარმან გრიგოლ წინა-
30 მძღუარნი იგი მონასტერთანი თანა-წარმოიყვანა მის თანა და მოვიდეს ხანცთად,
საყოფელსა დიდისა მოწამისა გიორგისსა. და უმეტეს განკურდა გონებამა ჳელმ-
წიფეთამა მათ, რაჟამს იხილნეს მოწაფენი ნეტარისა გრიგოლისნი უფიცხლებისა
მონაზონებისა კანონსა, რამეთუ იყენეს იგინი ვითარცა ზეცისა ანგელოზნი. და
პირველად მტერთა ძლიევისა საჭურველი მიიღეს ოხითა წმიდისა გიორგისითა
35 და შემდგომად ლოცვითა მათ სანატრელთაათა, ჳორცითა სულთა თანა განათლ-
დეს. რამეთუ იხილეს ადგილიცა იგი ნაყოფთაგან უღუაწი, უფროჲსი მინიქეს
კეთილთა მათგან შესაწირავი. და ეამსა მასეე მოიწია წინამძღუარი მიძნაძორო-
სამა დიდი მამა სანატრელი დავით, მაშენებელი მონასტერთამა, და მოწაფენი
მისნი, ნეტარნი: ილარიონ, მამამა და მაშენებელი წყაროხსთავისამა, რომელიცა
40 კათალიკოზ იქმნა მცხეთას, და მამამა ზაქარია, მაშენებელი ბარეთელთისამა, წინა-
მიიგებებამა ჳელმწიფეთა მათ. და ვითარცა იხილეს მფლობელთა მათ შეკრებამა
იგი წმიდათა მამათა, იყენეს რამ მსგავს წმიდათა უქორცილთა, განიხარეს. რამე-
თუ ესმოდეს მათგან მოძღურებანი საღმრთოჲსა მცნებისანი, რომლისათუსცა

1 ესმონუს ხ.

თქუეს დიდათ მათ კელმწიფეთა: «წმიდანო მამანო, ვინამთგან გიხილენით თქუენ, დაგუაიწყდა მებერ, თუ ქუეყანასა ზედა ვართ ჩუენ, არამედ ვკგონებთ, ვითარმედ ზეტას წმიდათა ბანაკსა დამკვდრებულ ვართ. რამეთუ თქუენ სულითა მარადის წინაშე ღმრთისა მღგომარე ხართ, და სადაცა არიან საყოფელნი თქუენნი, მუნცა არიან გულნი თქუენნი, არამედ იყავნ მეოხებაჲ თქუენი ჩუენ ზედა. აჲა და საუკუნესა!» 5

ხოლო წმიდათა მათ ფრიადითა ლოცვითა შეკურნეს და აკურთხნეს ჳელმწიფენი იგი და ჰრქუეს: «ღმრთის მსახურნო მეფენო, ჳეშმარითად გულნი თქუენნი ჳელთა შინა ღმრთისათა არიან, რომელმანცა ჩუენ, გლახაკთა, გულსა ნუგეშინის-სცა პირითა თქუენითა და კეთილთა თქუენთა უხუად მონიჳებითა. და თქუენ მოგცა უფალმან დანერგეჲ უკუდაცა ჳელმწიფეთა წმიდათა ეკლესიათა მოკუდავითა მეფობითა. და შეწევნაჲცა მათი უხილავად საჳურველ ყო თქუენდა უფროჲს ხილულთა საჳურველთა და უმრავლეს ბევრთა მკვდართა. და ესე უწყოდეთ, რამეთუ სულიერად განწყობილნი ლაშქარნი თქუენნი ესე წმიდანი, უდაბნოთა მამანი, არიან ჳორციელად განწყებულთა ლაშქართა თქუენთა სიმტკიცენი და საჳურველნი ყოველთა მორწმუნეთა მეფეთანი მწყობრთა შინა წყობისათა, ჳრქუენ უმეტესად ამისთჳს, რამეთუ მეფობისა სიმადლესა თანა ჳაჳუს თქუენ ჳრისტეს მიმსგავსებული სიმდაბლე და მოლუაწებაჲ წმიდათ: ეკლესიათა და ნუგეშინის-ცემჲა გლახაკთაჲ და ყოვლისა ერისა სიმართლით განკითხებაჲ...» 10 20

(29) არამედ აწ კულად ნეშტი იგი პირველი განვაახლოთ. რამეთუ რაჲჲამს-იგი განდიდნა სახელი ნეტარისა მამისა გრიგოლისი და მიიწია ჳართლად და ესმა სანატრელსა დედასა მისსა დიდებულებაჲ ძისა თჳსისაჲ, რამეთუ იყო რგი ცოცხალ და მიწვეულ მოხუცებულებასა, მას ეამსა განმხიარულდა სულითა და განძლიერდა ჳორციითა და მაღლი შეწირა ჳრისტესა, რომელმან კეთილი სახარებაჲ ასმინა ძისა მისისაჲ ყოვლად კეთილისაჲ, ჳორციელად სიჳადულისაჲ და სულისა მისისა გჳრგჳნოსან მყოფელისაჲ, რამეთუ იგი ხოლო მარტოჲ ესუა შვილად და თჳნიერ მისისა შობისა მამაკაცი არღარა იყოდა, არამედ სიწმიდით დაღვრომილ იყო ლოცჳსა შინა და მარხვასა და მარადის შიშსა ღმრთისასა. 25

ხოლო გული მისი იგლოვდა ძისა თჳსისა განშორებისათჳს, არამედ სიხარულისა ჳამან განამტკიცა და მიცვალებულთა მისთათჳს, რომელ გულის-კლებჲა აქუნდა, დაავიწყდა ამით ნუგეშინის-ცემითა, და მსწრაფლ ხოლო წარმოვიდა საჳედრითა. და თანა იყვენს მსახურნი მისნი, მამანი და დედანი. და მოიწია დედისა ფებროსიაჲსა¹ მერეს. ხოლო მან სხარულით შეიწყნარა და მსწრაფლ ხოლო აუწყა წიგნითა ნეტარსა გრიგოლს. ხოლო წმიდა იგი, ძმ უბიწოჲ, მაღიად მივიდა დედისა წინაშე მორწმუნისა და თაჳუანის-სცა მას და ჳრისტესმიერი კურთხევაჲ და მშჳდობჲა მისცა. ხოლო იგი სიხარულითა მოეგება ძესა თჳსსა, ამბორს-უყოფდა და ეტყოდა: «შვილო ჩემო ტჳბილო, გიხილე, რომლისათჳსცა მსუროდა, რამეთუ ხილვითა შენითა განმეშორნეს ყოველნი იგი პირველნი ტჳვილნი», და მრავალფერითა სიტჳჳთა განგრობილად იყო უბნობჲა მათი. 30 35 40

ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ ჰრქუა: «შენდობა იყავნ ჩემდა შენ მიერ,

¹ ფებრონიასსა ხ.

დღღაო ჩემო, არამედ არა ნებითა ჩემითა განგეშორე, გარნა ნებასა ღმრთისასა
ესრეთ სათნო-უნნდა, ვითარცა აწ იქმნა. ხოლო შენ ცხორებასა ამას წუთსა
აჩაა გაკლდა ჟორციელად და სულიერად, ვიდრე აქამომდე, არამედ აწ თანა-მაც
მოღუაწებაა შენი სულიერად და ჟორციელად მცნებისაებრ უფლისა, რომელსა
5 ბრძანებს პატივისათვის შრობელთათჳსა. და სიბრძნესა წერილ არს: „შვილო,
მიგაე შრობელთა შენთა, რაჲ-იგი მოგაგებს, რამეთუ თვნიერ მათსა შენმცა არა
იყავ“. და კუალად იტყვის: „საგმობელ არს, რომელმან შეურაცხ-ყოს მამა
თვისი, და წყეულ არს უფლისაგან, რომელმან განაწყოს გული დედასა“, რა-
მეთუ „კურთხევეამან მამისამან და დედისამან დაამტკიცინის სახლნი უკუნისამ-
10 დე, ხოლო წყევამან მათმან აღჴხუბურნის სრულიად“. და პავლე ესრეთვე მრ-
ვალ ჳზის ამცნებს შრობელთა პატივის-ცემასა ყოველთა. და აწ ესე სიტყუან-
და მსგავსნი ამათნი გუქსმიან ღმრთიე სულიერთაგან წიგნთა სასწავლეულად
მორწმუნეთა. ხოლო მე მადლითა ღმრთისაჲთა კურთხევაჲ შენი დაევიკვდრო.
ვითარცა შეიღმან შრობელისა მოყუარემან მორჩილებით მსგავსად ძალისა, ნებ-
15 საებრ გულისა ეწნისა...

მამინ ნეტარმან გრიგოლ ჳერისაებრ განაგო ცხორებაჲ დედისა თვისისაჲ და
მისთანათაჲ მათ. და მსახურსა ვისმე დედაკაცსა დედისა თვისისასა ქმარი უსუა.
და ბასილი, მამაჲ ხანცთელი, მისგან იშვა, რომელიცა ფრიალთა წელიწადთა წი-
ნამძღურობდა ხანცთას კეთილად ვიდრე სიკუდილმდე და მისლვად მისსა წინაშე
20 უფლისა. არამედ შემდგომად ეამთა მრავალთა სანატრელი შრობელი მამისა
გრიგოლისი გარდაიცვალა მერეს შინა და მივიდა უფლისა, რომლისაცა სუროდა.
ხოლო ნეტარმან გრიგოლი დაიღუაწა სული მისი და დიდებჲა შეწირა
ღმრთისა, რომელმანცა მოჰმადლა მას კეთილად მსახურებაჲ დედისა თვისისაჲ
და სრულიად კურთხევაჲ მისგან მიიღო...

25 (81) რაჲამს ხანცთაჲ იქმნა სახელოვან მადლითა და სახარულევან სული-
ერთა შვილთაგან, მას ეამსა მიძნაძოროჲთ ხანცთად მოვიდა დიდი მეუღაბნოე
მიქელ, მამაჲ, რომელიცა დაემკვდრა პარებთა, რამეთუ იყო იგი მეგობარ ნეტ-
არისა მამისა გრიგოლისა. და ეძიებდა მარტოდ მყოფებასა და პოვა თავისა თვისისა
სამკვდრებელი ბერთისა პარებთა და განზრახვითა ამის წმიდისაჲთა დაემკვდრა
30 მათ შინა და კეთილად წარემართა სათნოებათა მიმართ უფლისათა...

(82) ხოლო იყო ნეტარი მიქელ ქუეყანისა შვეფთისაჲ, სოფლისა ნორგიალი-
საჲ, და მიძნაძოროს მონაზონ იქმნა, ხოლო პარებთა შინა მრავალთა წელი-
წადთა ცხოვნდა და, აღ-რაჲ-ესრულა, მუნვე დაემარხა. და აწ საფლავ-
მისი და დიდებულისა მამისა ბასილისი, რომელიცა შემდგომად მისსა პარებთა
35 მკვდრ იყო, ერთგან არიან და კაცთა კურნებასა მიჰმადლებენ, რომელნი სარწმუნ-
ოებით მივლენან მათდა...

(83) ხოლო ეამთა ამის წმიდისათა ჳელმწიფემან აშოტ კურაპალატმან და-
იპყრსა მრავალნი ქუეყანინი და აღაშენა ციხე არტანუჯისაჲ საცხოვრებელად დე-
დუფლისა, მეუღლისა თვისისა. და მას შინა კეთილად ცხოვნდებოდა მრავალთა
40 წელიწადთა. ხოლო აცთუნა მტერმან ჳელმწიფე იგი და მოიყვანა მან დედაკაც-
სიძვისაჲ ციხესა მას შინა, რომლისა თანა იმრუშებდა, რამეთუ ეშმაკი ტრფია-
ლებისაჲ ფრიალ აზრზენდა, რომელსა პირველ არა აქუნდა ეგვეითარი ჩუეულე-
ბაჲ, არამედ ძლეულ იქმნა ბოროტითა მით ცოდვითა. და ვითარცა ესმა ნეტარსა
გრიგოლს საქმე იგი სულისა განმხრწნელი, შეწუხნა ფრიალ. და აუწყა წმ-
45 დასა გრიგოლს, დიდსა მას მოხუცებულსა, რომელი მკვდრ იყო ეკლესიათა,

რამეთუ იყო იგი სასწაულთა მოქმედ და პატივ-ცემულ ღმრთისა და კაცთაგან. და განზრახვითა მისითა ამხილა პირისპირ ველმწიფესა მას, ხოლო მან აღუთქუა ცოდვისა მის განტევებად და დედაკაცისა მის წარგზავნაჲ, ვინაჲცა მოეყვანა იგი. და ვერ დაამტკიცა თვის ბრძანებამ, რამეთუ დაემონა გულის თქუამსა.

ხოლო ნეტარმან გრიგოლ პოვა ჟამი მარჯუე, ოდესცა კურაპალატი შორს იყო არტანუჯსა, დღესა ერთსა შატბერდით წარვიდა და მიიწია მიმწუხრი ძირსა მის ციხისასა. და კაცი მიუვლინა დედაკაცსა მას კამადისა თხოვად და მუნ დადგომისა მიზეზი შეუთუალა. ხოლო მან სიხარულთა დიდითა განიხარა და მრავალფერი სანოვაგე წარსცა წმიდისა მისთვის და მოწაფეთა მისთა. და ვითარცა განთენა, კულად მიუვლინა კაცი, რაჲთა მივიდეს ხილვად მისსა. მაშინ უფროჲსად განმზიარულებულ მსწრაფლ მოვიდა წმიდისა მის ორთა თანა მკვევალთა თვსთა, რაჲთამცა ღირს იქმნა ჭუარსა ნეტარისა მის კაცისასა, ხოლო მან არა დასწერა ჭუარი, არამედ უბრძანა განშორებულად დაქდომამ. და მოწაფენი კიდერე განდგეს წამის-ყოფითა მოძღურისა თვისისაჲთა და ეგრეთვე მსახურნი იგი დედანი, რამეთუ წმიდისა მის შიში ყოველთა ზედა მიფენილ იყო. მაშინ ჰქქუა მას ნეტარმან გრიგოლ: «ჲ საწყალობელო! რაჲსათჳს შორის ცოლ-ქმართა შთაჰრილ ხარ წარსაწყმედელად შენდა საუკუნოდ ბოროტითა მით ცოდვითა, რომლითა დამონებულ ხარ ეშმაკისადა და ცუდითა რაჲთმე მიზეზითა საფრჳე ქმნულ ხარ დიდისა ველმწიფისადა?».

ხოლო მან ცარმლით ჰქქუა: «წმიდაო ღმრთისაო, მე თავსა ჩემსა ზედა ვერ თავისუფალ ვარ, ვინაჲთგან გარდაჩეული სიყუარული აქუს ჩემდა მომართ კურაპალატსა, და აწ არაჲ უწყვი, თუ რაჲ ვყო, რამეთუ ბრძანებამან სიტყუათა შენთამან შემადრწუნა ფრიად». ხოლო წმიდამან მან ჰქქუა: «შვილო, იქმენ სრულიად მორჩილ სიტყუათა ჩემ, გლახაკისათა, და მე თავს-მდებ გექმნე ქრისტეს მიმართ, რაჲთა მან თავადმან ყოველნი ბრალნი შენნი შეგინდუნეს». და მან ჰქქუა: «წმიდაო მამაო, ველთა შენთა ვარ, უმჯობესი სულისა ჩემისაჲ იზრუნე». მაშინდა ჭუარი დასწერა და აეურთხა ლოცვითა და შექურა მადლითა და მისცა თვსთა ჯამლთა საბელი, რაჲთა სარტყლად შეირტყას. და მან ყო ეგრეთ.

და წმიდამან მან ჰქქუა: «შვილო ჩემო, დღეს იქმნა ცხორებამ სულისა შენისაჲ, რამეთუ სანატრელისა დედისა ფებრონიას წინაშე მიგიყვანებ შენ». და მან განიხარა ფრიად. ხოლო ნეტარმან გრიგოლ უბრძანა მკვევალთა მათ მისთა წარსლვად ციხედვე და დედაკაცსა მას ჰქქუა: «შვილო ჩემო, წარემართე და ვიდოდე წინაშე ჩუენსა!» და ესრეთ მოიყვანა იგი მერეს, რამეთუ პირველვე განზრახვად ნეტარისა დედისაჲ თანა იყო. და შეჰვედრა იგი მას და ჰქქუა: «ილუაწე ესე, ჭერისაებრ ილუაწე, და რაჲამს ძიება-ყოს კურაპალატმან, რამეთუ ჰხედავ გულსა ამისსა შემუსრვილსა». ხოლო მან თქუა: «ქრისტემან კეთილად იზრუნოს მკვევალისა თვისისათჳს, რომელიცა პოვა შენ მიერ, ღირსო მამაო».

და მრავალ ჟამ მარტოდ უზნობდეს ნეტარნი ესე. და ესრეთ იყო ჩუეულე-ბაჲცა მის ჟამისა წინამძღუართა მამათაჲ, რამეთუ თვნიერ დედისა ფებრონიას განზრახვისა საქმე არაჲ ველ-ყვიან. ხოლო დათავანი ვინმე მახლობელად მათსა წარჰვილიდა და ესმა ერთი სიტყუაჲ, ხოლო სხუასა ვერღარა იკადრა სმენად, რამეთუ წმიდამან გრიგოლ ჰქქუა ნეტარსა ფებრონიას, ვითარმედ: «რაჲ გრქუა შენ ანგელოზმან?» რამეთუ ღმერთი იყო ყოველადვე მათ შორის.

ხოლო რაჲამს მიიწია კურაპალატი ციხედ, იკითხა ხოლო დედაკაცი იგი და

ვითარ არა ჰოვა, ფრიად შეიურვა, გულისკმა-ყო რაა ყოველი იგი ყოფილი საქ-
მე. და რამეთუ არა ღონითა რაათმე კაცობრივითა მახეთათა იყო ტრფიალ მისა
მიმართ ჴელმწიფე იგი, არამედ ეშმაკისა მანქანებითა ესოდენ ძლეულ იყო, რო-
მელ თავმოთნებობა დააიწყუნა და მსწრაფლ ხოლო მოვიდა მერეს. ხოლო ნე-

5 ტარმან ფებრონია დამალა დედაკაცი იგი.

და ვითარ ილოცა კურაპალატმან ეკლესიასა წმიდისა ღმრთის-წმობლისასა
და შილო ლოცვა დედისა ფებრონიასი, მაშინ იწყო სიტყუად: „უწყი-მეა,
დედაო, რაასათუს მოედ აწ?“ ხოლო მან ჰრქუა: „უფალმან იცის, რაასათუს
პბრძანე აქა“. და მან ჰრქუა: „ამის მიზეზისათუს იქმნა მოსლუვა ჩემი, რამეთუ
10 სახლისა ჩუენისა მეჭურქლე ქალი იყო და ყოველი მონაგები ჩუენი ქელთა მის-
თა იყო, და მამასა გრიგოლს აქა წარმოუყვანებია და ფრიადი დაგუაკლდა საფა-
სეთა ჩუენთაგანი. აწ უბრძანე, რომელ ერთხელ ციხედ მოვიდეს და ყოველი
წოგვთუალოს და კუალად თქუენდავე მოვიდეს, ვითარცა უნდეს“.

ხოლო ფებრონია ჰრქუა მას მკუეთარ: „მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა
15 კაცთა თანა, რომელნი იქმან უშუქლოვებასა“. ესე რაა ესმა კურაპალატსა, სირ-
ცხვლეულ იქმნა მართლ-მხილებისა მისგან კდემული და მყოვარ ეამ დადუმნა
ვითარცა ძლეული, რამეთუ კორციელად ძლიერსა კელმწიფესა სულითა ძლი-
ერთა კაცთა სძლეს, შეჭურვილთა მათ საღმრთოათა შურითა. ხოლო შეურგე-
ბულმან კურაპალატმან გულისა შეჭირვებისაგან თქუა: „ნეტარ მას კაცსა, ვინ
20 არღარა ცოცხალ არსო“. და მსწრაფლ ხოლო აღდგა და წარვიდოდა. მაშინ
ნეტარი ფებრონია დაწყნარებულითა სულითა აყენებდა, რაათამცა ისტუმრა იგი,
და არა დაემორჩილა, რამეთუ მამხილებელად აქუნდა თუსი გონებობა, და ნება
რაა ჴორცთ-მოყუარებისა ვანეშორა და აუგი თუსი გულისკმა-ყო. ხოლო სუ-
ლითა იხარებდა, სიბრძნემან რაა წარიოტა სულმოკლებობა იგი მანებელი და
25 აქებდა წმიდათა მათ მძლავრებასა, უფროს ხოლო ძლევისა მომეტელსა
ღმერთსა. და სიხარულით წარვიდა, რამეთუ გულითა წმიდითა აქუნდა ნეტართა
მათ პატივი, ვითარცა სულისა მისისა საუკუნოდ გვრჯუნოსან მყოფელთა...
(71) ხოლო ნეტარი ესე კაცი ღმრთისა მამაა გრიგოლ, ნებისა ქრისტესისა

სამკვდრებელი, სასწაულთა მოქმედი დიდებული, ფრიად გარდარეულად და-
30 ტერდა, რამეთუ ას და ორისა წლისა ეამთა მიიწია. ხოლო ფერი პირისა მისისა
არა იცვალა, არცა შეემთხვა თულთა მისთა მრუმედ მხედველობა და ჴორცითა
ძლიერ იყო და რაათურთით უძლეურება სიყუდილადმდე არა იბოვა მის თანა.
რამეთუ განძლიერებულ იყო იგი ძლითა ქრისტესისა და აქუნდა მას სიქადუ-
ლად სანთელი ქალწულებისა და ზეთი მოწყალებისა და სიყუარული ღმრთი-
35 სა და ძმათაა. ხოლო შრომაა დიდად უყუარდა არა ხოლო ლოცვისა და მარხვი-
სა ოდენ, არამედ დღე და ღამე ქელითა თუსითა იქმოდა, ვითარცა იტყვს პავლე:
„რომელი არა შურებოდის, ნუცალა ჴამნო“. და იყო იგი მხიარულად მესტუმრე
და გლახაკთ მოღუაწე. ხოლო უბრავლესთა დღეთა შატბერდს იყოფინ, რამეთუ
თუსთა მათ მონასტერთა მამასახლისნი დაედგინნეს და იგინი იღუწიდეს მათ, და
რომელი გარდამრე საქმე არნ, ამას აუწყიან მსგავსად სიბრძნისა მის ღმრთი
40 მოციმულისა, რომელი მკვდრ იყო მის თანა მარადის, ვიდრე აღსრულებადმდე
მისსა და მიწვენად ბრძენი ბრძენთა თანა საუკუნესა ცხორებასა და სუფევასა.

(72) ხოლო დღეთა მათ მოხუცებულებისა მისისათა, იყო რაა შატბერდს,
ზრუნვაა აქუნდა ძმათა მათ მკვდრთა ხანციტისათა, რამეთუ ესმა, ვითარმედ

ოხვანი ამის ცხობრებისა შატბერდს ეგულეების სულეირად მამასა მათსა. მაშინ. რომელთა სლვაჲ ძალ-ელეჲ, ერთობით მიიწინეს ყოველნი შატბერდს ძიებად წმიდისა მის. ხოლო ძმათა მათ შატბერდელთა განიხარეს მისლვაჲ ძმათა მათ თჳსთაჲ. და რაჲჲსა გულსქმ-აყვის მიზეზი მისლვისა მათისაჲ, სიხარული მწუხარებად გარდაეჭკა...

5

(76) მაშინ ნეტარი იგი მამაჲ გრიგოლ და ზენონ სიტყვთა მდაბლითა ფსალმუნებდეს. და მალღმან საღმრთომან განაბრწყინენა იგინი ნათლითა დიდებისაჲთა და სახლი იგი ბნელი ვითარცა მზისა მცხინვარებაჲმან განანათლა. და ვითარცა განელჳძა მამასა მაკარის, თქუა: «ვითარ საკვრეულად იხილევბიან წმიდანი ესე!» ჰრქუა მას მამაჲმან გრიგოლ: «ძმარ მაკარი, რაჲსა გიკვრს ხილვაჲ ესე? არა გასმეჲსა წერილისაჲ: „საკვრეულ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა?» და ესრეთ იხარებდეს სამწივე იგი სამებისა წმიდისა მალიდებელნი და წართქუნეს ცისკრისა საგალობელნი.

10

და ვითარცა განთენა მშჳდობისა საღგურთა მათ, ურთიერთას მშჳდობაჲ დაუტრევეს, და წარვიდა მამაჲ მაკარი ოპიზად, ხოლო მამაჲ გრიგოლ და ზენონ აღუდღეს თჳსად მონასტრადეჲ. და რამეთუ ესე ზენონ მიწევენულ იყო სათნობათა მოძღურისა თჳსისაჲთა, რომლისათჳსცა იტყოდეს კაცნი შემდგომად ნეტარისა გრიგოლის გარდაცვალებისა, ვითარმედ: «ზენონ არს ზღულე მტკიცე კლარყეთისა დიდებულთა უდაბნოთაჲ».

15

(77) ხოლო ნეტარსა მამასა ჩუენსა გრიგოლს გულმან უთქუა განსლვაჲ კორცთაგან და ღმრთისა მისლვაჲ. და აუწყა უფალმან აღსრულებაჲ ნებისა მისისა, ვითარცა თქუა დაეთუ, რამეთუ: „ნებაჲ მოწიშთა მისთაჲ ყოს უფალმან, ლოცვანი მათნი ისმინნეს და აცხოვნნეს იგინი“. მაშინ უბრძანა ძმათა თჳსთა შემსაქმე კერეონთა სანთელთაჲ შესაწირავად გარემო ყოველთა მათ მახლობელთა უდაბნოთა, რომელ არიან ოპიზაჲ და ფრთენი მისნი — ბერთაჲ და მახლობელნი მისნი მიძნაძროჲ და წყაროსთაჲ თანა-მკვდრით მათითურთ. ხოლო შატბერდი დაღაცათუ სხუათა მათ უდაბნოთა მკირედ შორავს, არამედ განუყოფელად თანა-მოძმე არს მათი ერისა მის ღმრთისა სიყვითთა და ყოველითაჲე საღმრთოჲსა მოძღურებისა წესითა და კანონითა მონაზონებისა შქჳლის-ღებისაჲთა, და ყოველითაჲე კეთილთა საქმითა სწორად პატივ-ცემულ არს ღმრთისა მიერ და კაცთაგან, რამეთუ არს იგი სიქადულ ყოველადე მახლობელთა მონასტერთა მათ. ყოველთა უდაბნოთა თანა-წარსცა კერეონები და შეუთულა ღღმ იგი, რომელსა აღანთნენ და ლოცვა-ყონ მისთჳს...

20

25

30

(88) ხოლო იყო გარდაცვალებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი რიცხუსა წელიწადთა მისთასა ას და მეორესა წელსა, ქონიკონსა ოთხმეოც და ერთსა. არამედ გარდაცვალებითგან მისით დაიწერა ცხობრებაჲ ესე მისი შემდგომად ოთხმეოც და ათისა წლისა, დასაბამითგან გარდასრულთა წელთა ექუსათას ხუთას ორმეოც და მეთოთხმეტესა წელსა, იერუსალმსჳს პატრიარქობასა აგათონისას, მცხეთას კათალიკოზობასა მიქელისსა, ქართველთა ზედა მთავრობასა აშოტ კურაპალატისასა, ძისა ადარნერსე ქართველთა მეფისასა, აფხაზთა ზედა მეფობასა გიორგისსა, ძისა კოსტანტი მეფისასა, ერისთავთა-ერისთვობასა სუმბატისსა, ძისა ადარნერსე მეფისასა, მაგისტროსობასა ადარნერსესსა, ძისა ბაგრატ მაგისტროსისასა, ერისთვობასა სუმბატისსა, ძისა დაჲით მამფლისასა. ჳრისტემან დიდებაჲ უოხვნოჲ მათ ყოველთა მინიჳენი!

35

40

ბოლო უამსავე მას იყო ანჩს ეპისკოპოსი მაკარი, და ნეტარისა მამისა გრი-
ვოლის შენებულთა მათ მონასტერთა იყენეს მამასახლისნი ნათესავით დიდთა
აწნაურთა შვილთა: ხანცთას — მამა თევდორე, დისწული მცხუელაძასა, და
შატბერდს — მამა გრიგოლ, ძე ლიპარიტასი, სახელითა დიდისა მამისა გრიგო-
ლისითა შემკობლი. ქრისტემან სრულიად შეამკვენ მადლითა მისითა და განა-
მართლენ წინაშე მისა საუკუნოდ!

5

ბოლო ხანცთისა წინამძღურისა და იოვანე, ძმისა მისისა და წიგნისა ამის
აღმწერელისა გიორგი მერჩულისა, — სამთავე ამათ ერთად გულს-მოდგინები-
თა დაიწერა ხანცთას შინა ნეტარისა გრიგოლის ცხორებაჲ ესე. ქრისტემან
წიგნსა მას ცხოველთასა დაწერენ იგინი და სრულიად წყალობა-ყავნ უოველთა
მორწმუნეთათჳს, რაჲთა გულისქმა-ყონ საღმრთოჲ ნიჭი ქუეყანისაჲცა ზეცისასა
თანა.

10

15

რამეთუ ეკლესიასა შინა ერთი წიგნის მკითხველი მცირეთა მსმენელთა და
მრავალთათჳს სწორად ემა არნ. და ეგრეთვე, უკუეთუ ერთი იკურთხევიან ანუ
მრავალნი, მაკურთხეველი იგი ერთი ემა არნ, რამეთუ მოუკლებელ არიან კე-
თილნი იგი ქრისტესნი ჩუენდა მომართ და მადლი წმიდათა მეოხებისაჲ...

გოდცევაჲ ძაბთლინსაჲ

20

პირველ, ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავენი იგი ლოთის შვილთანი წა-
რიქცინა და შექაღანა იგინი კეღარსა მას ქუეყანასა, იხილნა ნათესავენი სასტიკნი
ბუნთურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა, მიხუევეით ოთხ ქალაქად.
და დაბნები მათი: სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრაქე, და ციხენი მათნი:
ციხმ დიდი სარკინისა, უფლის ციხმ, კასპისა, ურბნისისა და ოძრაქისაჲ.

25

დაუჯრდა ალექსანდრეს და ცნა, რამეთუ იებოსელთა ნათესავენი იყვნეს.
უოველსა ქორციელსა ქალაქად, და სამარმ მათი არა იყო: მკუღარსა შეშვამდეს.
და ვერ ეძლო ბრძოლაჲ მათი მეფესა და წარვიდა.

30

მაშინ მოვიდეს ნათესავენი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი ჰონნი
და ითხოვეს ბუნთურქთა უფლისაგან ქუეყანაჲ ხარკითა. და დასხდეს იგინი ზა-
ნავს. და ეპყრა იგი, რომელ ხარკითა აქუნდა. ჰრქვან მას ხერკი.

35

და შემდგომად რაოდენისაჲმე უამისა მოვიდა ალექსანდრე¹, მეფმ უოველისა
ქუეყანისაჲ, და დალუწნა სამნი ესე ქალაქნი და ციხენი და ჰონთა დასცა მახვლი.
ბოლო სარკინესა ქალაქსა ებრძოლა ათერთმეტ თთუე² და დადგა სარკინესა
დასავალით კერძო. და დასცა ეენაკი და რუჲ³ გამოილო ქსნათ და დასხნა კაცნი
მერუეენი დასტაგითა რუმსაჲთა. და ჰრქვან ადგილსა მას ნასტაგისი. და მერმე
გამოილო სარკინე. თვთ დაყარეს და მეოტ იქმნეს.

40

და თანა ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოჲ, ძმ არიან ქართლისა მეფისაჲ,
და მას მიუბოძა მცხეთაჲ საჭლომად. და საზღვარი დაუდგა მას ჰერეთი და ეგრის-
წყალი და სომხითი და მთაჲ ცროლისაჲ და წარვიდა.

ბოლო ესე აზოჲ წარვიდა: არიან⁴ ქართლად მამისა თვისისა და წარმოიყვანა
რუჲ სახლი და ათნი სხლნი მამა-მძუძეთანი და დაქდა ძუელ-მცხეთას. და თანა
ჰყვანდეს კერპნი ღმრთად: ვაცი და გაიმ. და ესე იყო პირველი მეფმ მცხეთას
შინა: აზოჲ, ძმ არიან ქართველთა მეფისაჲ, და მოკუდა.

¹ ალექსანდრე ბ. ² თთუე ბ. ³ რუმ ბ. ⁴ არან ბ.

და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ. ამან აღმართა კერპი დიდი ცხვრსა¹ ზედა და დასდვა სახელი მისი არმაზი. და მოქმნა ზღუდე წყლით კერძო, და პრქვან არმაზ...

... და მისა შემდგომად მეფობდა დიდი ვახტანგ გოლგასარი, და მთავარ-
ეპისკოპოსი იყო იოველ. მაშინ წარიყვანეს ვახტანგ სპარსთა. და შემდგომად
რაოდენისამე უამისა მოიქცა, და მთავარეპისკოპოსი იყო მიქაელ. და მან
მიამთხვა ფერჯი პირსა მეფისასა ვახტანგს. ხოლო მეფემან წარავლინნა მოცი-
ქულნი საბერძნეთა და ითხოვა მეფისაგან და პატრეაქისაგან კათალიკოზი. ხოლო
მან მოსცა პეტრე² კათალიკოზი. და თანა ჰყვანდა მას სამოველ მონაზონი, წმი-
დაჲ და ღირსი. და აღაშენა ქუეშოჲ ეკლესიაჲ ვახტანგ მეფემან და დასუა პეტრე³
კათალიკოზი. და ესე იყო ქართლის მოქცევითგან რ⁴-მ წელსა; მეფენი გარდა-
ცვალებულ იყვნეს ათნი და მთავარეპისკოპოსნი ათცამეტნი, ხოლო პირველ⁵
კათალიკოზი იყო პეტრე⁶.

და ამისა შემდგომად მეფობდა დაჩი უქარმელი, და კათალიკოზი იყო სა-
მოველ. და მისა ზე ტფილისს კაცი დასხდებოდეს, და მარიამ-წმიდაჲ ეკლესიაჲ
აღაშენეს. და კათალიკოზი იყო პეტრე⁷. და ამისა შემდგომად მეფობდა ბაკურ.
ძმ დაჩისი, და კათალიკოზი იყო სამოველ. და მისა შემდგომად მეფობდა ფარს-
მან, და კათალიკოზი იყო თავფაჩაგ. და მისა ზევე ჩიმაგა ვ. და მისა ზევე სპარს-
თა მეფობაჲ მცხეთად მოვიდა და შეაშფოთა ქართლი და ქალაქნი და წარვიდა.
და მისა შემდგომად მეფობდა ფარსმან სხუაჲ, და კათალიკოზი იყო დასაბია.
მკვდრი მცხეთელი. და აქაითგან ორთა სახლთა აღიღეს კათალიკოზობაჲ: მცხე-
თელთა მკვდრთა. და მისევე მეფისა ზე⁸ კათალიკოზი იყო ევლალე⁹.

მაშინ მოვიდა ნეტარი იწე ზედაზადანელი შუეა-მდინარით ასურეთისაჲთ,
იგი და ათორმეტნი მოწაფენი მის თანა მოვიდეს. და მისა შემდგომად მეფობდა
ბაკურ, და კათალიკოზი იყო მაკარი. და მისა ზევე ვარსკენ პიტიაზში იყო და შუ-
შანიკ იწამა ცურტაეს. და ჰოსა შემდგომად კათალიკოზი იყო სამოველ და მერმე
სიმონ-პეტრე¹⁰. და მის ბაკურის ზევე დაესრულა მეფობაჲ ქართლისაჲ. მაშინ
მცხეთაჲ ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემციარდებოდეს და
კალაჲ განდიდნებოდა. სპარსნი უფლებდეს ქართლს და სომხითს და სივნიეთს და
გუასპურაგანს, და კათალიკოზი იყო სამოველ. და ნელად-რე¹¹ შეკრბა ქართლი
და განაჩინეს ერისთავად გუარამ და მერმე კურაპალატადცა. ამან დადვა საფუძ-
ველი პტს-ნისა ჭუარისაჲ, და ამისა ზევე იყო კათალიკოზი სამოველვე სხუაჲ.
და ტფილისისა მკვდრთა დიდსა ეკლესიასა დაიწყეს. ნახევარსა იქმოდა ყოველი
ერი და ნახევარსა — ერისთავნი. და კათალიკოზი იყო ბართლომე. და ამისა შემ-
დგომად ერისთავობდა სტეფანოზ, ძმ მისი, ძმაჲ დემეტრესი, და იქმოდა ეკლე-
სიასა ჭუარისასა.

მაშინ ჩამოვლო პერაკლე¹², მეფემან ბერძენთამან, და უქმო¹³ ციხისთავმან
კალაჲთ ტფილისისაჲთ მეფესა პერაკლეს ვაჟ-ბოტობით. ხოლო მან ფერჯი და-
აპურა და დანიელი მოიღო და მოიძია სიტყუაჲ ესე: მოვიდეს ვაცი იგი მზის და-
საეალისაჲ და შემუსრნეს რქანი ვერძისა მის მზის აღმოსავალისანი. და მეფემან
თქუა: უკუეთუ ჩემთვის ესრეთ იყოს სიტყუაჲ, მე მიგაგო მისაგებელი-შენი. და
დაუტევა ჭიბლო ერისთავი ბრძოლად და თვთ წარვიდა ბაღდადს ბრძოლად ხუას-

¹ სხვასა ხ. ² პეტრე ხ. ³ ზმ ხ. ⁴ ევლალე ხ. ⁵ სიმონ-პეტრე ხ. ⁶ ნელად-რე ხ.
⁷ პერაკლე ხ.

რო მეფისა. ხოლო ამან ჯიბლო მცირეთა დღეთა შემდგომად კალა გამოიღო და ციხისთავი იგი შეიპყრა და პირი ღრაჰქინთა აღუვსო და მერმე¹ მრთელსა ტყავი გაჰჭადა და მეფესა უკუანა მისწია გარდბანს ვარაზ გრიგოლისსა შინა.

- 5 წარვიდა ჰერაკლე² და შემუსრა ბაღდადი და შეიპყრა ხუასრო მეფე და მოღებად სცა ძელი ცხორებისაჲ. და იწყო ბრძანებით შმწნებად იერუსალმსა და მოღისტოს დასუა პატრეაქად და წარმოვიდა აქათვე მეშვდესა წელსა. და ვიდრე მოსლვადმდე³ მისა ტფილისს სიონი განუშორა მკვდრთა, ხოლო ჭუარისა ეკლესიასა აკლდა. ამან ჰერაკლე⁴ ტფილისს და მცხეთას და უქარმას განავლინა ქადაგნი, რაათა ყოველნი ქრისტეანენი⁵ ქალაქთა შინა, ეკლესიათა შინა შემოკრბენ და ყოველნი მოგუნი და ცეცხლისა მსახურნი ანუ მოინათლენ ანუ მოისრენ. ხოლო მათ ნათლის-ღებაჲ არა ინებეს, ზაყუეთთ თანა-აღვირინეა ქრისტეანეთა, ვიდრემდის ყოველთა ზედა წარჰმართა მახვო და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლისანი დლოდეს. ხოლო ჰერაკლე განწმიდა შჭული ქრისტესი და წარვიდა, და ერისთვობდა იგივე დიდი სტეფანოზ, და კათალიკოზი იყო ბართლომე მეორედ. და შემდგომად ერისთვობდა ადრნესე. და მისა ზე⁶ სამნი კათალიკოზნი იცვალნეს: იოვანე, ბაბილა, თაბორ. და მისა შემდგომად ერისთვობდა სტეფანოზ, ძმ მისი. და ამან განიშორა ჭუარისა ეკლესიაჲ და დადვა კრებაჲ ჭუარს ჭუარობასა ერთ თთუე, და ტფილისს დაჭდა სტეფანოზ, და კათალიკოზა იყო სამოველ, და მისა ზევე⁷ ევნონ.
- 20 და ჰამბავი მოქდა, ვითარმედ ბაღდადი აგარეანთა დაიპყრესო. და ამისთვის ბერძენთა ქუეყანაჲ ჯოსა აჰკიდეს და წარიდეს საბერძენეთა.

ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოისი

- ... მაშინ მოხედა უფალმან საბერძენეთსა და ჰრწმენა მეფესა კოსტანტინეს და ქრისტე აღიარა მან და დედამან მისმან და ყოველმან პალატმან მათმან დასაბამითგანთა წელთა ხუთ ათას ოთხას ორმეოც და ოთხსა, ხოლო ქრისტეს აღმალეობითგან სამას და ათერთმეტსა. და წარემართა ყოველი საბერძენეთი ქრისტეანობასაჲ. მეშვდესა წელსა იყო წმიდაჲ კრებაჲ ნიკეას. და მეჩვესა წელსა იყო სოვლტოლაჲ ჩუენი საბერძენეთით: ჩიფსიმე დედოფალი და გაიანე დედა-მამძმ და ორმეოც და ათი სული წარმოვემართენით თთუესა პირველსა ათხუთმეტსა. და გამოვედით არეთა სომხითისათა, სამოთხესა მას თრდატ მეფისასა. იგინი მოიკლნეს მუნ თთუესა პირველსა ოც და ათსა, დღესა პარასკევსა, ხოლო ზე დავშთი ეკალთა შინა ვარდისათა, რამეთუ ვარდი და ნუში ყუაეოდა მას ემსა. და ოდეს-იგი აღმოჰვიდოდეს სულნი წმიდათა მათ, ვიხილე ზეცით სამოსლის მსგავსად ჩამომავალი დიაკონი ოლარითა ნათლისაჲთა. და ჰელთა მისთა აქუნდა სასაყუმველმ, რომლისაგან გამოვიდოდა კუამლი სულწელებისა, რომელი ცათა დაჰფარვიდა, და მის თანა სიმრავლმ ცისათაჲ. და შევიერთნეს წმიდა-ი იგი სულნი ერთა მათ ზეცისათა და დიდებით აღმალდეს ცად.

- ხოლო მე ვლადალ-ყავ: უფალო, უფალო, რად დამიტევე მე შორის ასპიტთა და იქედნეთა? კმაჲ მესმა მე მუნით, რომელი მეტყოდა მე: ესრმთვე იყოს წარყუანებაჲ შენი, ოდეს-ევე ეკალი, რომელი შენსა გარემოჲს არს, ყოველივე
- 40

¹ ბერძ. ხ. ² ჰერაკლე ხ. ³ მოსლვადმდე ხ. ⁴ ქ-მანენი ხ. ⁵ ზმ ხ. ⁶ ზმ ხ.

იქმნეს ვარდ მეწამულ, სულნელ შენ მიერ. ხოლო შენ აღდეგ და კილოდე აღ-
მოსავლით, სადა-იგი არს სამკალ ფრიალ და მუშაენი ყოველდე არა არიან.

ხოლო მე წარმოვედ და მოვედ ულოპორეთა და დავიზამთრე¹ ჰკირთა შინა
დიდთა.

და თთუესა მეოთხესა წარვედ მათთა ზედა ჭავახეთისათა, რაათა ვცნა, თუ 5
სადაჲთ არს მცხეთაჲ. და მივემძხვე მთასა ზედა.

... და იყო დინებაჲ მისი დასავალით კერძო, და მიუღდეგ გზასა ძნელსა და
ფიცხელსა და ვიხილენ დიდნი ჰკირნი გზათაგან და შიშნი მჭექთაგან, ვიდრემდე
ზოვიწიე აქა, ვინაჲ-იგი წყალმან აღმოსავალით იწყო დინებად. მიერითგან იყო
ლხინებაჲ ჩემი. და ვპოვენ მოგზაურნი და მივიწიე სანახებსა ქართლისასა, ქალაქ- 10
სა ურბნისისასა, და ვიხილე ვრი უცხოჲ, უცხოდა ღმერთთა მსახური: ცეცხლსა
და ქვათა და ძელთა თაყუანის-სცემდეს. შეეურვა სულსა ჩემსა წარწყმედასა
მათსა ზედა და მოვედ ბავინსა ჰურიათასა ენისათჳს ებრაელებრისა და ვიყავ
მუნ ერთ თთუე² და განვიციდი ძალსა ამის ქუეყანისასა.

და იყო დღესა ერთსა აღიძრნეს ერნი ძლიერნი და ურიცხუნი სიმრავლითა 15
მით ქალაქით წარმავალნი დიდად ქალაქად მცხეთად, რომელი იყო საჭდომელი
დიდთა მეფეთა, ვაჭრობად და ლოცვად არმაზ ღმრთისა მათისა. ხოლო მე
წარვპყვე მათ თანა. და მივიწიენით ქალაქად მცხეთად წილით მოგუთას, კიდსა
ზედა დავდევით მუნ და ვხედვედით ცეცხლის მსახურსა მას ერსა, და მოგუე-
ბასა და ცთომასა მათსა ზედა ვტიროდე წარწყმედისა მათისათჳს და უცხოვებასა 20
ჩემსა ვეგლოვდი.

ზეალისაგან იყო ქმაჲ ოხრისაჲ და საყვრისაჲ და გამოვიდოდა ვრი ურიცხ
ვითარცა ყუაგილოსანნი, ზარნი და საშინელნი გამოვიდოდეს, ხოლო მეფემ არდა
სადა შეძრულ იყო.

და ვითარცა ქამ-სცა ქამმან, სივლტოლაჲ და მიდამომალგაჲ იყო ყოვლისა 25
კაცისაჲ და შეივლტოდა ყოველი კაცი საფარველსა ქუეშე³, რამეთუ გამო-სად-
მე-ვიდოდა ნანა დეუფალი⁴. და ვითარცა განელო ნანა დედოფალმან, მაშინდა
ნელიად-ნელიად გამოვიდოდა ყოველი ვრი. და შეამკვეს ფოლოცი ყოველი სა-
მოსლითა თითო-პირითა და ფურცლითა. და იწყო ყოველმან ერმან ქებად მეფი-
სა. და მაშინ გამოვიდა მირეან მეფემ თუალთ-შეუღდგამითა ხილეთა. 30

და ვპკითხე ჰურიასა დედაკაცსა, თუ რაჲ არს ესე. და მან მრქუა: ღმერთი
ღმერთთა მათთაჲ უწესს მას, არმაზ, რომელ არაჲ არს სხუაჲ, ვარეშე⁵ კერპი.
ხ⁶ მე წარვედ ხილვად არმაზისა. და აღივსნეს მთანი იგი დროშითა და ვრითა.
ვითარცა ყუაგილითა. ხოლო მე შეუსწრვე ციხედ არმაზდ და დავდეგ ახლოს
კერპისა მის ნაპარალსა ზღუდისასა, და ვხედვედი საკვრეველებათა და საშინელსა, 35
რომელი თქუმად ენითა ვერ ეგების, ვითარ-იგი იყო ზარის აღსაქდელი შიშით და
ჭროლით მეფეთაჲ მათ და ყოვლისა ერისაჲ. და საზარო დგომაჲ ვიხილე.

და ამა დგა კაცი ერთი სპილენძისაჲ. და ტანსა მისსა ეცუა ჭაქვ⁷ ოქ-
როასაჲ და ჩაფხტი ოქროასაჲ. და სამჯარნი ესხნეს ფრცხილი და ბივრიტი.
და ჯელსა მისსა აქუნდა ჳრმალი ლესული, რომელი ბრწყინვიდა და იქცეოდა 40
ჯელსა შინა, რეცა თუ რომელი შეეხებინ, თავი თჳსი სიკუდილ განიწირის, და
იტყუნ: ვაჲ თუ და-სადა-ვაკლო რაჲ დიდებასა დიდისა ღმრთისა არმაზისსა და

¹ დავიზამთრე ბ. ² თთუე ბ. ³ ქუეშე ბ. ⁴ ასეა ბ. ⁵ ვარეშე ბ. ⁶ ქაქვ ბ.

შე-რასმე-ვსტე სიტყუასა ებრაელთა თანა გინა მოგუთა სმენასა ოდენ, დახუ-
დომილ ვიყო მზის მსახურთა. და რომელნიმე იტყვან უტებნი დიდსა ვისმე
დმერთსა ცათასა, და ნუუტუე პოვოს რაჲმე ჩემ თანა ბიწი და მცეს მახვლი იგი
მისი, რომელისაგან ეშინის ყოველსა ქუეყანასა. და შიშით თაყუანის-სცემდეს

5 ჯოველნი.

და მარჯულ მისა დგა კერბი ოქროსაჲ და სახელი მისი გაცი, და მარცხლ
მისა კერბი ვეცხლისაჲ და სახელი მისი გა, რომელნი-იგი ღმრთად ჰქონდეს მამა-
თა თქუენთა არიან ქართლით.

მაშინ ვტიროდე და სულთ-ვითქუემდ ღმრთისა მიმართ ცთომათა მათვს
10 ქუეყანისა ჩრდილოასათა, დაფარვასა ნათლისასა და დაპყრობასა ბნელისასა.
უხედვედი მეფეთა მათ ძალ-დიდთა და ვოველთა მთავართა, რამეთუ ცოცხლოე
შთაინთქნეს ეშმაკსა ვითარცა მკულარნი ჯოჯობეთსა. და იტყოდეს დამბადებე-
ლად ქუათა და ძელთა და სპილენძსა, და რკინასა და რვალსა, გამობეგრეთ გან-
ქედლისა, ღმრთად თაყუანის-სცემდეს. ესენი იცოდეს ცინა და ქუეყანისა შე-
15 მოქმედად.

მაშინ მოვიკსენე სიტყუაჲ იგი, რომელი მამცნო იობენალ პატრეაქმან,
წმიდამან მამამან ჩემმან, ვითარმედ: ვითარცა მამაეაცსა სრულსა წარგველი-
ნებ. და მიწვენად ხარ ქუეყანასა უცხოსა, ნათესავთა დგველ, ზეფელ, ნარჯა-
ლოველ, რომელ არს: კაცნი ღმრთის მკლომნი, მბრძოლნი და წინა-აღმდგომნი.

მაშინ აღვიხილენ თუალნი ზეცად და ეთქუე: ო-ო, მრავლითა ძალითა შენითა გე-
20 ცრუენეს შენ მტერნი ესე. და არს დათმენაჲ ში დიდითა სულგრძელებითა შენ-
თა და იქმან, რასაცა იგონებენ მტურენი ესე და ნაცარნი ქუეყანისანი, არაჲმე ნუ
უგულბებელს-ჰყოფ, რამეთუ ხატი შენი არს კაცი, რომლისათვს ერთი სამებისა-
განი კაც იქმან და აცხოვნე ყოველი სოფელი. ამათა ნათესავთა მოხედენ და
25 შეპრისხენ სულთა ამათ უჩინოთა, სოფლის მპყრობელთა მთავართა ამის ბნელი-
სათა და მიჩუენე მე, ღმერთო მამისა და დედისა ჩემისათ, მჭევალსა ამას, ნაშობ-
სა მონისა შენისასა, რაჲთა იხილონ მაცხოვარებჲა შენი ყოველთა კიდეთა ქუე-
ყანისათა, და რაჲთა ჩრდილოჲ ბლუარსა თანა იხარებდეს, და ყოველმან ენამან
შენ მხოლოსა ღმერთსა თაყუანის-გცეს ქრისტე იესუსს მიერ, ღმრთისა-ჩუე-
30 ნისა, რომელსა შეუენის მადლობით დიდებისა შეწირეჲა: აჲ დი მარადის დი მერ-
მეთა მათ საუკუნეთა. ამენ.

და ვითარცა წამის-ყოფაჲ თუალისაჲ იყო, დასავალით. ჰაერნი და ქარნი
შეიძრნეს და ჯმა-სცეს ქუხილთა ჯმითა საზარელითა: და არნდა ღრუბელი მოწრა-
ფჲ ნიშან-საშინელი, და მოილო ნიემან მზის დასავალისამან. სული ჭერტუალი
35 სიმწარისაჲ და სიმყარლისაჲ. მაშინ ევლტოდა ყოველი კაცი სოფლად და ქალა-
ქად, და ეცა მათ დროჲ, რაჲთა შეიკრნენ კაცნი საყოფლად. და მეყს მოიწია რის-
ხვისა იგი ღრუბელი და მოილო სეტყუაჲ ლიტრისა სწორი: მას ადგილსჲ. ოდენ და
დალენსა კერპნი იგი და დაფქენა და დააწულოლნა: და დაარღუნა ზღუდენი იგი
ქარმან სასტიკმან და შთაყარა იგი კლდესა, რომელსა-იგი თქუენცა ჰხედდევითი:...

40 ... და ვითარცა დასცხრა რისხეაჲ იგი, გამოვედ კლდისა მისგან ნაბრალისა
და ეპოვე თუალი იგი ბივრიტი, აღვიდე და წარმოვედ წინა. კერძო დასასრულსა
მის კლდისასა, სადა ძუელ-ქალაქი ყოფილ იყო და მას ადგილსა ყოფილ არს

ციხმ და მუნ დგა ხმ შეუენიერი ბრინჯისაჲ, მაღალი და რტო-მრავალი, მოვედ ქუეშე¹ ხესა მას და გამოვინიშე² ნიში იგი ქრისტეს ჟუარისაჲ და ვილოცვედი მუნ ექუს ღღე³. ოდეს-იგი გამოხუედით სიმრავლმ ერისაჲ და ეძიებდით ღმერთთა მათ, რომელთა ვენებაჲ დაჰბადეს, და არა ჰპოვენით, მაშინ მე მუნ ვი-
 ვაჲ რამეთუ ღღმ იყო შეექუსმ თთვსაჲ მის, ოდეს-იგი ევმანუველ თაბარს მა-
 მსა სატი არუენა თათა მათ ცხოველთა და თათა მათ მიცვალებულთა.

მაშინ. მოვიდა დაჲ ესე ჩემი შრომანა, სეფე-ქალი⁴, მიხილა და მოიყვანა ბერძლ მეტყუელი დედაკაცი და მკითხა ყოველი გზაჲ ჩემი. მაშინ ვხედვედ მე თუალთა მისთა ცრემლთა ღინებასა უცხოვეებისა ჩემისათჳს. ოდეს ცნა ყოველი საქმმ ჩემი, მაიძულა წარყვანებაჲ ჩემი სეფედ. ხოლო მე არა ვინებე, და იგი წარვიდა. და მესამესა ღღესა ჩამოვედ ქალაქად მცხეთად და მივიმართე⁵ სამო-
 თხესა მას შეფისასა. და მი-რაჲ-ვედ კარსა ზედა სამოთხისასა, იყო სახლაცი მცი-
 რმ სამოთხის მცველისაჲ. და შე-რაჲ-ვედ შინა, ჯდა ესე დედაკაცი ანას-
 ტოს. და ვითარცა მიხილა, აღდგა და შემიტკბო მე, ვითარცა მეცნიერმან და მე-
 გობარმან. და დამბანა ფერკნი ჩემნი და მცხო ზეთი და დამიგო ტრაპეზი და
 დჯნობა და მაიძულა მე ჳამად და სუმაღ. და დაეყავ მის თანა ცხრაჲ თთმ.

ესე იყო უშვილოჲ და ზრუნვიდა ეგე და ქმარი მაგისი. ჩუენებით ვხედვედ: მოვიდა კაცი ნათლისა ფერი და მრქუა მე: სამოთხესა შევედ, ნაძლთა ქუეშე¹ ბაბილოთა ადგილი არს მცირმ საყუარელად შემზადებული, მიწაჲ ოლიფ ადგი-
 ლისა. მისგან და შევაჰამე⁶ კაცთა მაგათ და ესუას შვილი. ხოლო მე ვყავ ეგრმთ, 20
 და ესხნეს ძეებ და ასულებ მრავლად, რომელსა-ესე თთო ჰხედაეთ.

და მათვე ღღეთა შინა ორ გზის და სამ გზის ვიხილე⁷ ჩუენებასა შინა მცი-
 რელ მას მირულებასა ჩემსა მუკლთა ზედა: მოვიდიან მფრინველნი ცონას. შთავიდიან მღინარესა, დაიბანნიან და მოვიდიან სამოთხესა მას და ბაბილოსა მას მოისთულეზდიან და ყუავილსა მას ძოვდიან და მოწლედ ჩემდამო ღლაღებდელ.
 რეცა ჩემი არს სამოთხმ იგი. გარე⁸ მომადგიან ქლავილით და ქმობედ ჩემდა მომართ. მრავალფერად და შეუენიერად იყო ხილვაჲ იგი მათი. და მრავალ გზის იყო ესე. და უთხარ ესე დასა ჩემსა, ასულსა აბიათარისსა.

მომიგო და მრქუა მე მან... ჩუენებაჲ შენი არს ესე, რამეთუ: ადგილი ესე სამოთხისაჲ შენ მიერ იქმნეს სამოთხე⁹ საღიდებელად ღმრთისაჲ.. 30

სანატრელმან წმიდამან ნინო დაყო ექუსი წელი, ვითარ-იგი თთო იტყვს ყოფასა შინა მისსა. და ოდესმე შუდნი ღედანი დაგვმოფუნა წყლსა მისსა, რა-
 ნეთუ ჰყოფდა ფარულად კურნებათა მრავალთა, ვიდრემდის ნებსით იწყო კურ-
 ნებაჲ განგებითო ღმრთისაჲთა. ღედოფლისა ნ... ჰედა აჩუნა ღმერთმან პირ-
 ველად ძალი მისი მის მიერ, მაყულოვანსა მას შინა განკურნა ლოცვიითა მისითა
 სენისა მისგან მძიბისა, რომელსა ჳელოვენებამან კაცთამან ვერ შეუძლო განკურ-
 ნებაჲ მისი. და შემდგომად მისა მოგვ მთავარი სპარსი ზუარა სნეულ იყო, სუ-
 ლითა უკეთურითა ფიცხლად იგუემებოდა, სიკუდიდ მიწვენულ იყო. და იყო მთავარი იგი დედის ძმაჲ ნანასი, დედოფლისაჲ.

მაშინ ევედრნეს დედასა ჩემსა ნინოს, ნანი დედოფალი და მეფეცა იხილე- 40

¹ ქუეშე ბ. ² გამოვინიშე ბ. ³ ღღმ ბ. ⁴ სეფე-ქალი ბ. ⁵ მივიმართე ბ. ⁶ შევაჰამე ბ. ⁷ ვიხილმ ბ. ⁸ გარე ბ. ⁹ სამოთხე ბ.

და მცირე-მცირედ საქმესა მას და ორგულებით ეტყოდა ნინოს: რომლის: ღმრთისა ძალითა იქმ საქმესა ამას კურნებისასა, ანუ ხარ შენ ასული არამაზისა ანუ შეილი ზადენისი? უცხოვებით მოხუედ და შეურდი, ხოლო მას ზედა-აუ მოწყობება, და მიგანიჭეს ძალი კურნებისაჲ, რაჲთა მით სცხოვნდებოდი უცხო-სა ამას ქუეყანასა. და დიდებულმცა არიან უკუნისამდე. ხოლო შენ წინაშე ჩემ-სა იყუე მარადის, ვითარცა ერთი მაწონებელთაგანი, პატივ-ცემულ ქუეყანასა ამას შინა, არამედ უცხოსა მას სიტყუასა ნუ იტყუ, პრომთა მათ შეტომილთა შჭულსა, და ნუ გნებავნ ყოვლადეე აქა თქუემად, რამეთუ აჰა ესეგრა ღმერთნი დიდთა ნაყოფთა მომცემელნი და სოფლის მპყრობელნი, შხის მომფენელნი და 10 წყმისა მომცემელნი, ქუეყანისა ნაყოფთა განმზრდელნი ქართლისანი — არმაზ და ზადენ, ყოვლისა დაფარულისა გამომეძიებელნი და ძუელნი ღმერთნი მამთა ჩუენთანი — გაიც და გა, და თავი შენი იგი იყავნ და სარწმუნოვებად კაცთა მი-მართ. და აწ უკუეთუ განკურნო მთავარი ესე, განგამდიდრო და გყო მკვდრ მცხეთას შინა მსახურად არმაზისა. დაღაცათუ ჰაერისა სიფიცხოთა შეიმუსრა. 15 არამედ მისი აღგილი შეუძრავ არს. ეგე არმაზ და ქალდეველთა ღმერთი ითრუ-შანა ყოვლადეე მტერ არიან: ამან მის ზედა ზღუაჲ მოადგინის, და მან ამის ზედა ერთი ნუ რაჲმე მოაწიის, ვითარცა აქუს ჩუეულებჲა სოფლის მპყრობელთა, და კმა-გეყავნ ჩემგან ბრძანებად ესე.

მიუგო ნეტარმან ნინო მეფესა და ჰრქუა: ...მე ესე მთავარი განვეკურნო ძა-ლითა ქრისტე ჩემისაჲთა და ჟუარითა ენებისა მისისაჲთა, ვითარცა-იგი დედო-ფალი ნანა განკურნა ღმერთმან სენისა მისგან ფიცხლისა; და რაჲ-იგი ვაუწყუე მას, ჰყოფს მას იგი, რაჲთა სულიცა თჳსი განაბრწყინევს და ერიცა თჳსი მოიახ-ლოს ღმერთსა.

მაშინ მოჰგუარეს მთავარი იგი, და წარიყვანა წმიდამან ნინო; და მე და ნანა 25 დედოფალი სამოთხესა მას შინა ნაძუთა მათ ქუეშე¹, დაადგინა იგი აღმოსავა-ლით, აღპყრობად სცნა ჳელნი მისნი და ათქუმიდა სამ გზის: ვიჯმნი შენგან, ეშმა-კო, და შეუდგები ქრისტესა, ძესა ღმრთისასა. და ტიროდა სულ-ათქუმითა სულ-სა თჳსისაჲთა წმიდაჲ ნინო და ითხოვდა ღმრთისაგან შეწვენასა კაცსა მას ზედა, და ჩუენ მის თანა, ერთ დღე². და მწრატლ განვიდა სული იგი ბოროტი. და დაე- 30 მოწყავა წმიდასა ნინოს იგი და ყოველი სახლი მისი...

(ყოველი) იგი ქალაქი განვიდოდეს მიგებებად მეფისა, რამეთუ პირველ ესმინა წარწყმედაჲ და მერმე მოქცევაჲ მშუდობით და მიეგებოდეს ქინძარს და ღმრთს. და იყო სიხარული დიდი მშუდობით მოქცევისათჳს. ხოლო ნეტარი ნინო დადგრომილ იყო ლოცვასა მწუხრისასა ჩუეულებისაებრ მაყლოვანსა³ მას შინა. 35 და ჩუენ მის თანა ორმოც და ათი სული.

და იყო ვითარცა შემოვიდა მეფმ, იძრვოდა ყოველი იგი ქალაქი. და ჳმითა მადლითა დაღადებდა მეფმ და იტყოდა: სადა უკუე არს დედაკაცი იგი უცხოჲ, რომელ არს დედაჲ ჩემი, და ღმერთი იგი მისი მჳსნელი ჩემი? და ვითარცა ესმა, ვითარმედ აქა მაყოლოვანსა³ შინა არს და ილოცავს, მოდრკა მეფმ და ყოველი 40 იგი ლაშქარი, მოვიდა და გარდამოვარდა საქედრისაგან და ეტყოდა ნინოს: აწ ღირს ვარა ხადიდ სახელსა ღმრთისა შენისასა და მჳსნელისა ჩემისასა? ხოლო წმიდაჲ იგი ასწავებდა და აწუევდა მწრატლ თავყუანის-ცემასა აღმოსავალით:

¹ ქუეშ ხ. ² დღე ხ. ³ ასეა ხ.

ქრისტესა¹, ძესა ღმრთისასა. მაშინ იყო გრგვნება და ტირილი ყოვლისა მის ერისაჲ, რამეთუ ჰხედვიდეს მეფესა² და დედოფლისა ცრემლთა დინებასა სიხარულისა მისგან და საკვრველებისა დიდისა, რომელი იქმნა.

და ხვალისა დღე³ წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთა. ხოლო ნეტარი ნინო ასწავებდა დღე⁴ და ღამე⁵ ყოველსა კაცსა ჰეშმარტას მას გზასა სარწმუნოებისასა. ხოლო მეფე ეტყოდა ნინოს აღმენებისათჳს ეკლესიისა. ოდეს-იგი წარემართა მეფე⁶ და ყოველი ერი მოწარმებით ქრისტეანობასა⁷ ვიდრე მღღელთა-მთ მოსლადმდე⁸ საბერძნეთით. ჰრქუა მეფემან მორწმუნემან წმიდასა ნინოს: სადა უშენო სახლი ღმერთსა? ხოლო ნეტარმან მან ჰრქუა: სადაცა მეფეთა გონებაჲ მტკიცე არს. ხოლო მეფემან ჰრქუა: მიყუარან მაყუალნი ევე შენნი და მუნ მიწებს გონებითა, არამედ არა ესრჳთ, არამედ არა ეპრილო სამოთხესა მას სამეუფოსა და ნაძუთა სიმაღლესა და ბაბილოთა მათ ნაყოფიერებასა და ყუავილოთა მათ სულნელებასა, არამედ მას შინა აღვაშენო ტაძარი სალოცველად ჩემდა, რომელი ეგოს უაუწინსამდე.

და მეყსეულად მოიღეს ძელი და იწყეს შენებად. და მოჰკუეთეს ნაძვ იგი და შემზადეს სუეტად და ძირთა მისთა ზედა დადევს საფუძველი ეკლესიისაჲ. და იყო სუეტისა მის საშინელ ხილვაჲ, და საძირკუელი, რომელ ზემო წერილ არს. ხოლო ოდეს მოიწია ეამი აღმართებად სუეტი იგი პირველ მოქსენებულა, იწყეს ხუროთა მათ აღმართებად და ვერ უძლეს.

მაშინ შეკრბა სიმრავლჳ ურიცხვ, და მეფჳ მათ თანა. იწყეს ფერად-ფერად-თა ღონეთა და მანქანათა მზადებად: არა თუ აღმართებად ოდენ ვერ შეუძლეს, არამედ შეძრვადცა. და უქმ იქმნა ყოველი სიბრძნჳ და ღონისძიებაჲ კაცთაჲ, და რაათა სუეტისა მის აღმართებითა საკვრველად ღმერთი იდიდოს და კაცნი უმეტესად დაემტკიცენ სარწმუნოებებასა. და ვითარ ვერ შეუძლეს აღმართებად და უმარაჲ იქმნა საქმჳ იგი, წარვიდა მეფჳ და ყოველი ერი გულ-დაგებული⁷ ურვისაგან და მწუხარ⁸ იყვნეს ამას ზედა. ხოლო ნეტარი ნინო დაშთა ადგილსავე და ათორმეტნი დედანი სხუანი. ხოლო სანატრელი იგი გოდებდა და დაადენდა ცრემლთა სუეტსა მას ზედა. და ვითარცა შუვა-ღამჳ ოდენ იყო, წარმოიქცეოდეს ორნი ესე მთანი: არმაზ და ზადენ, რეცა თუ ესრჳთ ჩამოირღუეოდეს, და დააყენნეს ორთავე წყალნი იგი. და მტკუარმან გარდამოხეთქა და წარჰქონდა საშინელად ქალაქი და მიერ შეიქმნნეს ჳმანი საშინელნი და საზარელნი ტყეებისა და სიღატოლისანი. ეგრევე არაგვ გარდამოჳდა ციხესა ზემოთ, და იქმნებოდეს საშინელნი გრგვვნანი. და შეშინდეს დედანი იგი და იველიოდეს, და მეცა მათ თანავე. ხოლო ნეტარი წმიდა ნინო ღალადებდა: ნუ გეშინინ, დანო ჩემნო: მთანი იგი მუნვე ჰკიან, და წყალნი იგი მუნვე დიან, და ერსა ყოველსა სძინავს, ხოლო ესე, რომელ რეცა მთანი დაირღუეს, სამართლად გუაჩუენებს, რ⁹ ურწმუნოებებისა მთანი დაირღუეს ქართლს შინა და წყალნი, რომელ დაეყენნეს, დაეყენა სისხლი იგი ყრმათაჲ ეშმაკთა შეწირვისაჲ. ხოლო ჳმანი ესე ტყეებისანი არიან ეშმაკთა სიმრავლისანი, რამეთუ ეგლოვიან თავთა მათთა ოკრებასა, რამეთუ არიან იგინი მეორე ამით ადგილით. ძალითა მადლისაჲთა და ჳუა-

¹ ქმსა ხ. ² მეფესა ხ. ³ დღმ ხ. ⁴ ღამმ ხ. ⁵ ქმ-ანობასა ხ. ⁶ მოსლადმდე ხ. ⁷ გულ-დაგებული ხ. ⁸ მწუხარ ხ.

რითა ქრისტესთანა მოიქეცით და ილოცევით ღმრთისა მიმართ, შეილწო. და მეყსულოდ დასცხრეს ქმანი იგი და იყო არარაჲ.

და დადგა წმიდაჲ ნინო და განიპყრნა ჳელნი თჳსნი ცად მიმართ და თუალნი ღმრთისა მიმართ, ილოცვიდა და ევედრებოდა, რათა არა დააბრკოლოს საქმე 5 ესე სარწმუნოებებისაჲ მტერმან, რომელსა წადიერებით წარამართებულ არს მეფე და ყოველი ერი.

და ვიდრე არა ეყიენა ქათამსა, სამთავე კართა სცა ზარსა ლაშქარმან ძლი-
ერმან და დაღეწნეს კარნი ქალაქისანი. და აღივსო ქალაქი სპარსთა ლაშქრითა.
და მეყსულოდ შეიქმნნეს ზარის აღსაქდელნი ზრინენანი და ვივილი და კლეაჲ
10 ერისაჲ, ვითარცა სისხლი დიოდა, და აღივსო ყოველი ადგილი. და მოვიდა ჩუენ ჳედა ხიმრაელ¹ ჳახილთაჲ და მახვლთაჲ, და დადნეს ჳორცნი ჩუენნი და განი-
ლია ჳელი ჩუენი. ხოლო მე ეტროდე შამისათჳს და ნეთესავთა ჩემთაჲჳს. და
მწრაფელ მესმა, ჳომბდეს ძლიერად: ამას ბრძანებს მეფე სპარსთაჲ ჳუარა და მე-
ფეთაჲჳს ჳუარან ჳუარა: ყოველი ჳურიჲა განარჩეთ ჳირისაგან მახვლისა. ვი-
15 თარცა ესე მესმა, მოვეგე გონებასა: ჳეორგულდი მე და ათნი იგი ჩემ თანა. და
მოახლებულ იყენეს მახვლოსანი და ჩუენსა გარემოჲს სცემდეს და კლეიდეს.
და ისმა ქმაჲ ძლიერად, მირეან მეფე შეიპყრესო. და გარე მოიხილა მკნელ მო-
ლუაწემან მან და თქუა: კულად ყვესა? ვიცი, რამეთუ დიდად ჳვირს. და ჳმად-
ლობდა ღმერთსა, რამეთუ ესე ნიშანი მათისა წარწყმედისაჲ არს და ქართლისა
20 ცხოვრებისაჲ და ამის ადგილისა დიდებისაჲ. და ნუგეშინისა-გუცემდა ვითარცა
მოძღუარი ჳელოვანი, ნანდჳლეე ჳეშმართად მოძღუარი და მოციქული ქრისტე-
სი წმიდაჲ ნინო. და მოქცა ერსა მას მომავალსა ჩუენ ჳედა და ჳრქუა: სადა
არით მეფენი სპარსთანი ჳუარა და ჳუარან ჳუარა? ¹ საბასტანიტ გუშინ წარ-
მოხუედითა? მალე ² მოხუედით. დიდად სამე ³ არს ლაშქარი, უზომო ვიდრე მე
25 ხართ და ძლიერად დაჳლევით ქალაქი ესე, მახვლი დაეცით ქართა და ნიავთა.
წარედით ბნელთა ჩრდილოასათა მათთა მათ კედარისათა, აჳა მოვიდა იგი, რო-
მელსა თქუენ ევლტოდეთ, და განძრა მარჯუენე თჳსი და დასწერა ჳელითა სახმ
ქუარისაჲ.

და შეყსულოდ უჩინო იქმნა ყოველი იგი სიმრავლემ ერისაჲ. და იქმნა და-
30 ყუდება დიდ. და ჩუენ ვადიდებდით ღმერთსა. და ვჳნატრიდით წმიდასა და სანა-
ტრელსა ნინოს.

და ვითარცა ცისკარი აღედებოდა, მცირედ მიერულა. დათა მათ ჩემთა,
ხოლო მე მღჳძარე. ⁴ ვიყავ. და წმიდაჲ ნინო დგა ჳელ-ღმპყრობილ. და აჳა ესერა
ჳედა შოადგა ჳაბჳცი ერთი ყოვლადვე ნათლითო შემოსილო. და მოებლარდნა
35 ცეცხლის სახედ ჳეწარი. და ჳრქუნა სამნი რაჲმე სიტყუანი ნეტარსა ნინოს. ხო-
ლო იგი დიეცა ჳირსა ჳგდა თჳსსა. ხოლო ჳაბჳცემან მან მიყო ჳელი სუეტსა მას და
უჳყრა თავი და აღამაღლა და წარილო სიმაღლესა ცათასა, და მე განკვრეებული
ბოეახლე ⁵ და ვარქუ ნეტარსა დედოფალსა: რაჲ არს ესე? ხოლო მან მომობრი-
კა თავი ჩემი ქუეყანად, და მე ტირილდ ვიწყე. ჳარსა მას ჳედა. და მცირედისა
40 ეამისა შემდგომიდ აღდგა ნეტარი იგი და მეცა აღმადგინა და განეეშორენით მას,
ადგილსა მას.

¹ ხუან ხუარა ლ. ² მალე ბ. ³ სამე ბ. ⁴ მღჳძარე ბ. ⁵ მიეახლემ ბ.

ხოლო დედანი იგი იყვნესეუ კიდევ. და აჰა ვიხილე, სუეტი იგი ცეცხლის სა-
ხედ ჩამოვიდოდა და მოეახლა ხარისხსა თვისსა. და ვითარ დემართს და დად-
გა ზედა ხარისხსა მას ქუეყანით აღმორებულად ვითარ ათორმეტ წყრთა, და ნე-
ლიად ჩამოიცივალებოდა თვისსავე მას ზედა ნაყუეთსა, რამეთუ ხარისხად იყო
ძირი იგი მისი, რომლისაგან მოკუეთილ იყო სუეტი იგი ცხოველი.

5

და ვითარ რიუერაჲუ ოდენ იყო, აღდგომილ იყო მეფე გულ-გდებული ურ-
ჯათაგან. და მიხედა სამოთხესა მას დაწყებულსა მას მისსა ეკლესიასა, რამეთუ
მუნ მტკიცე იყო გონებაჲ მისი. და იხილა მუნ ნათელი ვითარცა ელვაჲ ზეცად-
მდე¹ აღწევეული სამოთხესა მას შინა. იწყო სრბად მკვრცხლ მთსლვად, და ყოვ-
ლისა ერისა სიმრავლჳ მის თანა. და ვითარცა მოვიდეს და იხილეს, საკვრეელი
იგი: ნათლითა მბრწყინვალჳ სუეტი იგი ჩამოვიდოდა აღგილად თვისა, რეცა თუ
დადგა ხარისხსა თვისსა ზედა და დაემყარა ქვლთ-შეუხებელად კაცთაგან.

10

ნეტარ მას ჟამსა, ჩაჲ-იგი იქმნებოდა! შიშითა და სიხარულითა აღივსო.
მცხეთაჲ ქალაქი, და დამოსდიოდეს მდინარენი ცრემლთანი შეფესა და მთავართა
და ყოველსა ერსა სულ-თქუმიითა სულისა მათისაჲთა, და აღიდებდეს ღმერთსა
და ჰნატრადეს ნეტარსა ნინოს, და იქმნებოდეს მას ღლესა შინა სასწაულნი მრავ-
ალნი...

15

და იყო. რაჲამს მოეკუეთა ხმ იგი პატრონისსა და ძლევის მყოფელისა პა-
ტიონისსა ჟუარისაჲ, და მოაქუნდა იგი ათსა ათეულსა კაცსა, ზე-ზე² რტოჲ-
თურთ და ფურცლით შემოაქუნდა-ქალაქად. და მისტყდებოდა ერი იგი მწუანის
ფერობასა მას და ფურცილიანობასა ღლეთა ზაფხულის პირისათა. ოდეს სხუჲ
ყოველი ხმ ვმელ იყო, ხოლო იგი ყოვლადვე ფურცელ-დაუცვენებელ და სულ-
-ჰამო და ზედვად შუენიერ იყო. მაშინ ძირსა ზედა აღჰმართეს კარსა ეკლესიისასა
სამხრითსა. და პბერვიდა წყალთაგან ნიავი და შალვიდა ფურცელსა ხისა მისგან
და აძრევდა რტოთა მისთა. და იყო ხილვაჲ მისი შუენიერ და სულ-ჰამო, ვითარ-
ცა სმენით ვიცით ხისა მისთვის ალვისა.

25

ბასილი ანსარიანი

გამითათეს სახისა სიტყუაჲ

1. არს. რომელი იწოდების მსუენი მზუარისაჲ³. ვითარცა სახის
მეტყუელჳან. თქუა: რაჲამს დაძმდენის და მოაკლდის ორთავე თუალთა მისთა
და დაბრმის და ვერ იხილის ნათელი მზის თუალისაჲ. ჩაჲმე. ზაკუევა იძმკვს.
რათამცა შუენიერ იქმნა თავი თვისი.

30

მივიდის ძიებად ზღუდისა, რომელი აღმოსავალსა ჰმართებნ. დი შეჭდის
ნაპარლასა შიხ ზღუდისასა, რომელი მზისა აღმოსავალსა ჰხედაგნ, და გამობრწყი-
ნებასა მზიხასა აღებუნიან თუალნი მისნი და განჰაუქენის.

35

2. ვიწყო ლომისათვის, რამეთუ შარავანდედ არს ყოველთა მჭეტთა
ზედა და ყოველთა პირტყუთთა. იაკობ რაჲამს აკურთხევდა იუდობ, პრქუა ეს-
რტო: ლეკუ ლომის, იუდა, მორჩად აღმოცენებულ, შვილო ჩემო. და სხუანი იგი
თითოეულად აკუთხნა.

¹ ზეცადმდე ხ. ² ზმ-ზე ხ. ³ მზარისა ხ.

სახის მეტყუელმან თქუა: სამი სახშ არს ლომისაჲ:

პირველი სახშ: რაჟამს ვალნ იგი, გინა თუ ზუაობნ, სული ეცის მონადირეთაჲ და კუდითა თსითა კუალსა მას შეპრყუნინ, ნულუეუ იკულევედენ მონადირენი და პოვონ იგი სადგურსა თუსსა და შეიპყრან იგი.

5 მეორაშ სახშ ლომისაჲ: რაჟამს სძინავნ, მღჳძარე¹ არიედ თუალნი მისნი, რამეთუ ზე² უხილვედ.

მესამშ სახშ ლომისაჲ: რაჟამს შენის ძუმან ლომმან ლეკუნი, მკუდარნი სხნის, და ზინ და სცაენ ლეკუთა მათ ვიდრე მოსლვადმდე³ მამისა მის ღღესა⁴ მესამესა, პხერის შუბლსა და აღადგინნის ლეკუნი იგი.

10 3. არს მჳეცი, რომელი იწოდების ა ვ თ ო ლ ო ფ ო ს. მძჳვარე⁵ და სასტოკ არს მჳეცი იგი, რამეთუ მონადირეთაჲ ვერ ეგების ჳელთ-ღებად იგი, რჳანი მისნი გრძელ არიან და ხერხის სახედ, რამეთუ ხენი ღიდნი და მალაღნი განხერხნის.

და რაჟამს სწყურინ, მივიდის ფისონდ მდინარედ და სჳს წყალი. და არიან
15 რამდე პრაცინი რტო-წულილნი, რომელნი იწოდებიან პრაცი-მალაღნი. და იწყის მღერად და პბრძაენ პრაკთა მათ და შეეკიდნიან რტონი მისნი პრაკთა მათ და რტოთა მისთა შეიპყრან და შეიმტკიცინ რტოთა მათ პრაკთასა და ყჳრიდ იწყის, რამეთუ განრინებაჲ პნებაენ და ვერ ჳელ-ეწიფებინ, რამეთუ შეხუეულ და შებრატნილ არიან, და ღგან. ისმინიან ყჳრილი მონადირეთა მათ, მოვიდიან
20 და მოკლიან იგი.

4. არიან ქჳანი ველთანი ღედალ-მამალნი, ვიდრე ეშოვრნიან ურთიერთას, არასადა აღედვის ცეცხლი, და თუ შეეხის მამალი ღედალსა მას, ცეცხლი აღატჳდის და შეწჳს არშ მრავალი და ველი.

5. არს მჳეცი ზღუასა შინა, რომელსა სახელი პრჳჳან ხ ე რ ხ. ფრთენი მისნი
25 გრძელ არიან. რაჟამს იხილნის ნავნი ეზო-ბმულნი, ემსგავსინ მათ და აღიპყრნის ფრთენი მისნი მსგავსად ეზოთა მათ ნავისათა და უჳდებინ ნავთა ვითარ უტჳეან ორმეოც, და ვითარცა დაშურის, დაიყენის ფრთენი და თჳსაეე შეიკრიბნის დაშურომისაჲგან, და ღელუათა აღილიან და მიილიან, თჳსსაეე მას ადგილსა წინანდელსა, სადაცა-იგი პირველად არს.

6. არს მფირნიველი, რომელსა სახელი პრჳჳან ქ ა ლ ა ნ დ რ ო ს, რომელი-
30 იგი მეორესა შჳულსა მოსლსსა იჳსენების. სახის მეტყუელმან თქუა, ვითარმედ მებრიად სჳეტაკ არს რამეთურით და სიშაეე არა არს მის თანა. და ნაკრტენი მუცლისა მისისაჲ პჳურნებს თუალთა დაღგომილთა, და შარაეანდელთა თანა და სამეუფოს იპოეებინ ქალანდრი იგი.

7. თუ სნეული ვინმე არს და სნეულებაჲ იგი მის კაცისაჲ სასიკუდინებელი
35 სენი არს, ვითარცა იხილის სნეულმან მან, მიიჳციის პირი მისგან ქალანდრმან მან⁷: იციან ყოველთა, თუ მაკუდინებელ არს. თუ მაცხოენებელ, სნეულმან მან შეჳკერტნის და ჰხედაენ ქალანდრსა მას. და ქალანდრმან მან შთანთქის სალმობაჲ სნეულისაჲ მის და დაუცხრის სალმობაჲ იგი და განერის კაცი იგი.

8. სახის მეტყუელმან თქუა ვ ა რ ხ ჳ ს ა მფირნიველისათჳს, ვითარმედ:
40 ჳეკმა მართჳს მოყუარშ არს. რაჟამს მართუენი გამოიჳანდის და კნინ აღორძნ-

¹ მღჳძარე ბ. ² ზე ბ. ³ მოსლვადმდე ბ. ⁴ ღღესა ბ. ⁵ მძჳვარე ბ. ⁶ ე რ ხ. ⁷ ქალანდრი იგი ბ.

დიან, დათრგუნნიან და მოკლნიან მართუენი თჳსნი და უკუნაანსკენელ სიყუა-
რულითა იგლოვდიან, მესამესა დღესა ინანიედ, თუ რაჲსა მოეწყუდენით მარ-
თუენი თჳსნი. დღესა მესამესა მოვიდის დედაჲ მათი, განუპნის გუერდნი იგი
მათნი და სისხლი იგი მათი, რომელი გარდამოსწუთინ ზედა მკუდარსა მას
კორცსა მართუეთა თჳსთასა, აღადგინნის იგინი მკუდრებით.

5

8. ბუ ვ ი ს ა თ ჳ ს თჳუა: ღამის მოყუარჳ არს ვიდრე დღისაჲ.

9. სახის მეტყუელმან თჳუა ო რ ბ ი ს ა თ ჳ ს: რაჲამს დამდენის და დაუ-
მიძიდიან ფრთენი მისნი და განუქმუნიან თუალნი, და ეძიებენ წყაროსა წყალთა-
სა, და აღფრინდის მიქცეულად მალალსა ქარსა მძაფრსა მზის თუალსა წყაროდ-
მი და განაჭურენის ფრთენი და თუალნი შეპიშუებულნი და შთაჭდის წყაროსა,
ღაიბანის სამჭერ და განკაპუენის.

10

10. არს მფრინველი რაჲმე პინდოჲ, სახელი ჰრქჳან მას ფ ი ნ ი ქ ს. მეხუ-
თასით წლით მოვიდის¹ ხეთა ღიბანისათა და აღიენის ფრთენი თჳსნი საყუ-
მეველითა და მოვიდის არეგდ ქალაქად თთუესა მიჰრაკინისასა გინა თუ ვარდო-
ზისასა და აუწყის ქურუმსა მას ბაგინისასა, და ქურუმმან მან ე-რ გულისხმა-
-კვის, შევიდის ბაგინად და აღავსნის ბაგინი იგი ნახსლევითა გინა თუ შეშითა.
და წარვიდის მფრინველი იგი არეგდ ქალაქად საეცჳ საყუმეველითა და შეჭდის
ბაგინად და თჳთ ცეცხლი აღანთის და თავი შეიწჳს. ხვალისაგან შევიდის ქუ-
რუმი იგი და ეძიებენ ბაგინსა მას ზედა და პოვის მატლი ერთი ნაცარსა მას ში-
ნა. და მეორესა დღესა ფრთენი შეიხსნის და იქმნის მართუე² მფრინველის და
იქმნის ვითარცა პირველი იგი, და იქმნის ქურუმისა მისგან, აღფრინდის და
წარვიდის და ძუელსავე ადგილსა მივიდის.

15

20

11. არს მფრინველი რაჲმე, რომელსა სახელი ეწოდებდის ო ფ ო ფ ი. სახის
მეტყუელმან თჳუა: რაჲამს იხლიან მართუეთა დედაჲ ანუ მამაჲ დამდებუ-
ლი და თუალთაგან მოკლებული, მართუეთა მათ დაჰკრტნიან ძუელნი ფრთე-
ნი და აღლოზნნიან თუალნი მათნი და განაღფნიან იგინი³ ფრთითა თჳსითა და
განაახლნიან და განაჰაპუენიან იგინი და ჰრქჳან მამა-დედათა თჳსთა: ვითარცა
თქუნენ ჩუენთჳს კუერცხისა დადებითა და მართჳსა გამოჭდითა დაშუერით და
განგუზარდენით, ეგრეცა ჩუენ მას სესხსა მიგაგებთ.

25

12. სახის მეტყუელმან თჳუა კ ა ნ ჯ რ ი ს ა თ ჳ ს: კატაბანი მერმაჲჳ⁴
არს. რაჲამს შვიან ხუადი კიცჳ, მამამან დაუცოხნის საურველნი და უქმ ქმნის,
რაჲათა არა თესლი და ნათესავეი მათი განმრავლდეს.

30

13. სახის მეტყუელმან თჳუა ა ს პ ი ტ ი ს ა მ: რაჲამს მამალი შეეხის დე-
დალსა, პირით მაკნდის. და დედალმან რაჲამს შთანთქმის თესლი იგი, საურველ-
ნი მოჰკეთენის მამალსა მას და განაშოვრნის. რაჲამს ჰგონიენ მამალსა მას, თუ
შეეხო დედალსა მას, მუნქუესევე მოკუდის მამალი იგი. სიკუდილის წინა მრ-
ეალჭერ მივიდის. მოვიდის დედლისა მის და რამეთუ ვერ დაუთმის, შეეხის
დედალსა მას და მოკუდის. ხოლო დედალსა მას რამეთუ არა ადგნ მუცელი,
რაჲათამცა მართუენი იტჳრთნა, რაჲამს აღორძლიან ლეკუნი იგი, განჭურიტ-
ნიან გუერდნი დედისა თჳსისანი და გამოჭდიან და მოკლიან დედაჲ იგი თჳსი.
და ესრჳთ მამა-დედისა მჰამელ არიან.

35

40

¹ მოვიდის ხ. ² მართუე ხ. ³ იგი ხ.

14. უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან თქუა სახარებასა შინა: იყვენოთქუნ მეწიერი, ვითარცა გუეღნი, და უცოდველ, ვითარცა ტრენდი.

სახის მეტყუელმან თქუა: სამი სახე არს გუეღნისაჲ:

5 პირველი სახე: რაჟამს დაბერდის და თუალთა მოაყლდის და ჰნებავნ¹ განკაპუკებაჲ, მარხვად ღვის და მუნდის და იმარხის გუელმან მან ორმოც ოღმ² და ორმოც ლამე³, ვიდრე ტყავი განეველტის და განუთხნის. იძიის ნაპრალი და პოვის კლდისაჲ იწროჲ და შეჭდის იწროდ და დაადის ტყავი იგი მისი ძუელი და განკაპუკენის.

მეორე სახე გუელისაჲ: რაჟამს მივიდის მდინარედ სუმაღ, არა მიიღის⁴ გესლი იგი მისი მის თანა, არამედ მუნ ქუაზსა ანუ წურელსა დადვის⁴.

მესამე სახე გუელისაჲ: რაჟამს იხილის შიშუელი, ეტრფიალის, და თუ იხილის შემოსილი, ზედა-მიუჭდის.

15. სოლომონი იტყვის იგავსა: მიგუალე⁵ ჟინკველისა და ჰბაძევეღ, მ⁶ მეღგარო.

15 სახის მეტყუელმან თქუა: სამი სახე არს ჟინკველისაჲ:

პირველი სახე: რაჟამს დასკუდვილად ვლენედ გზასა ურთიერთას, თითოვეულად თვისი მარტული მიაქუნ პირითა. და ცუდთა მათ, რომელთა არა აქუნ, არა ჰრქვან ტვრთოსანთა მათ, ვითარმედ: გუეციოთ ჩუენცა, არცალა ძლიო მოუხუნიან მათგან და არცალა ჰშურნ, ვითარმედ იგინი მალედ შეიკრებენ⁷ უნჯსა.

მეორე სახე ჟინკველისაჲ: რაჟამს შეიღის მარტული სადგურსა თვისსა, შუეა ოღენ განყუეთის, ნუტყუე ზამთარ იყოს ანუ ტფილ და აღმოჩეჯლდენ მარტულნის იგი, და სიყმილითა მოწყედენ.

მესამე სახე ჟინკველისაჲ: მრავალჯერ რაჟამს მივიდის ყანობირად და აღქდის თავსა კუვილისასა დამუსრვად მარტულისა, ვიდრე აღსლვადმდე⁸ მის თავისა ისუნებნ: იფქლისაჲ-ძი არს ანუ ქრთილისაჲ. თუ ქრთილისაჲ არს, ივლტინ მიერ და იფქლისასა მას მივიდის, რამეთუ ქრთილი იგი პირუტყუთა საქმელ არს.

16. ესაია წინაწარმეტყუელმან თქუა: მუნ ზღვს ქალნი და დევნი⁹ როკვიდენ და გრძობანი დაემკვდრენ. სახის მეტყუელმან თქუა ზღვს ქალთაჲ, ვითარმედ სიკუდილისა შემამთხუეველ ირიან კაცისა. ზღუასა შინა არიან და სახიობენ სახიობასა ჳმითა ტკბილითა და მენავენი რომელნი ადგილთა მათ ნაგითა თანა-წარჰკლენან, ვითარცა ისმინ ნოვაგი იგი სახიობისაჲ, ეგოდენ ესმინებინ და სთნავენ, ვიდრემდის შესულბიან და განსტოიან და მთაძკვიან¹⁰ ზღუასა და წარწყმდიან. და ხატი მათ ზღვს ქალთაჲ ვიდრე უბედმდე⁷ კაცისაჲ არს, ზოგი ხატი მათი — მფრინველთაჲ; ეგრეცა ვირკუროთაჲ: ეერძოჲ—ვირთაჲ, ეერძოჲ—კუროთაჲ.

17. არს რომელიმე იძრვისი, რომელი იწოდების გრძლაბი. მომრგულ¹¹ არს, ბირთვს სახე¹² ხატიოთ. ზურგი მისი შექუტვილ არს ეკლითა და ეკალი მისი ჰგავს ზღვსა გრძლაბსა.

სახის მეტყუელმან თქუა გრძლაბისათვის: რაჟამს აღქდის ვენაქსა, ტევან-

¹ ჰნებან ხ. ² ოღმ ხ. ³ ლამე ხ. ⁴ ღად ხ. ⁵ მიგუალმ ხ. ⁶ აღსლვადმდე ხ. ⁷ ებედმდე ხ. ⁸ მომრგულ ხ. ⁹ სახე ხ.

ნი დამომარცულნის და მოკუფხლნის და ქუე გარდამოაბნიის და გარდამოკდის. შუაოლტის ერთად და ინგორის მარცუალსა მას ზედა, და აღეკრის მარცუალ: იგი ეკალსა მას მისსა და მიართვს მართუეთა თვსთა და დაუტევის კერტი იგო ტევისსა მის ცულით.

18. მელისათვს თქუა სახის მერტუელმან: ყოვლად გუეც არს და ვერაგ პირტუცვ იგი. რაეამს კმშიინ¹ და არა პოვის ნადირი ჭამად, მივიდის. პოვის ტბური თიქოვანი, ანუ თუ სადა ბზქ ძენ, ინგორის, ანუ თუ უყსა და ბზე-სა ზედა ინგორის და ზე² უკუნწვის, ხოლო ისტუანანენ, სული ყმიდნის და გახ-სიკუნის ყოვლად. და ჰგონებედ მფრინველნი, თუ მომკულდარ არს, გარდამოკ-დიან ჭამად მისა. და ესრქთ ტყუელით მოიტაცენს ივინი და დაჰყარის ნაწლე-ვი მფრინველთაჲ მათ და ძკრ-ძკრად მოწყვდნის ივინი.

19. წინაწარმეტყუელი წინაწარმეტყუელებს: უფალო, თუ ვიყო ვითარცა ლომი სახლსა იუდაისსა და ვითარცა პანფილი სახლსა ეფრემისა. და ვიყო ვითარცა ზეაზნი.

სახის მერტუელმან თქუა ეგევითარი სახშ: ყოველთა პირტუყუთა საყუარელ არს მვეცი იგი, ხოლო მარტოდ გუელის მოძულე არს და ყოვლად ჰრელ, ვითარცა ყუთვილ-განრეული სამოსელი ირსეფისი, შუენიერად შემკულ, ვითარცა დედოფალი ბლუარისაჲ, რომელ-იგი თქუა დავითმან: დადგეს დედოფალი მარ-ჭუენით შენსა, სამოსლითა ფესუელითა შემკულ არს პირად-პირადად.

ავაზნი მშვდ არს ჭეკმა და ყულრო მვეცი იგი. რაეამს ჭამის საქმელი, განძლის და დაწვის სადგურსა თვსსა, შემდგომად სამისა დღისა აღდგის ძილი-საგან.

და ავაზნი იგი აღ-რაჲ-დღის ძილისაგან სადგურით თვსით მესამესა დღესა, ყვრილ-ყვის ჭმითა დალაღებისაჲთა და ყვრილსა მას მისსა გამოსცის სული სა-ცუმეველთაჲ პირსა მისსა, და რომელნი-იგი შორს მვეცნი იყენიან გინა თუ ახ-ლოს, მისდევდიან დალაღებასა მისსა, ვინაჲცა-იგი სული მოეცეს.

20. სახის მერტუელმან თქუა: არს მვეცი ზღუასა შინა, რომელი იწოდების ვაჰანაკრაჲ, კუვი ზღუასაჲ; ვეშაჰ-თევზის მსგავს არს და ფერთა — მქუშასა ჭალაკისასა. ჭმაჲ ბოროტ არს მვეცისაჲ მის და უცებით მენავენი შეიტ-ყუენის: მივიდიან ნაენი ვითარცა ჭალაკსა ზედა, დააბნინან, მანანი დაასნეიან და აღისნი შთაუტევიან და რაეამს ცეცხლი აღაგზნიან მას ზედა, რაჲთამცა განტ-ფეს, ადგილი იგი ქუე დაქდის ქუესსენლად და შთაინთქნიან ნაენი იგი, რომელ-ნი მუნ დაებნიან.

და უკუეთუ შენ სასოვებაჲ შენი დამოჰყოლო ეშმაკსა, დაგანთქას შენ გე-ჰენიასა ცეცხლისასა.

და სხუაჲ სამარადისოჲ სახშ აც: რაეამს კმშიინ, აღალის პირი თვსი და სული სულნელებისაჲ საკუმეველთაჲ გამოკდის პირისაგან მისისა, და ეცის სუ-ლი იგი ნელი თევზთა და მისდევედ და შთაიბნინიან პირსა ვეშაჰ-თევზისასა მის. და რაეამს აღიყვის პირი მისი, შაშინ შეიმტყიცნის ნიჰურნი თვსნი და შთანთქ-ნის წულილნი იგი თევზნი.

21. სახის მერტუელმან თქუა კაკბისაჲ, ვითარმედ: სხვსა კუერცხთა აცხოზნ და მართუენი გამოიქანდნის, რამეთუ უცხონი კუერცხნი მოიპარნის და

¹ კმშიინ ხ. ² ზო ხ.

თვსა ბუდედ მიიხუნის და შეაცხენის და მართუენი გამოიჯადნის. და ვერ დაუთ-
მიან მართუეთა მათ. და შეკრიბის ვითარცა ქარქუეტი რაჲ და დაუტევის განჯ-
მოზად და მით ქარქუეტითა დაითმინის ცხორებად. და რაჲამს აღორძინიას
მართუენი იგი, აღფრინდინან ურთიერთას თითოეულელად თვსა თესლად, მივი-
5 დიან თვსთა შრობელთა და იგი, ვითარცა უგუნური, დაუტევიან.

22. კეთილად თქუა უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან სახარებასა: ვაჲ,
რომელნი მიდგომილ იყვენენ და რომელთა აქუნდენ ყრმანი ჩჩვლნი ძუძუმს-
-მწოვარნი მათ დღეთა შინა. და ვითმან თქუა: აჲ ესერა უმწულოვებასა¹ მიუდ-
გა² და ცოდვასა შინა მშუა მე დედამან ჩემმან.

10 სახის მეტყუელმან თქუა ო რ ბ ი ს ა თ ვ ს, რამეთუ, მაღალთა ძნელთა
დაიმკვდრის კლდეთა და თავსა მათათასა. და რაჲამს იმამლის, მივიდის ჰინდოე-
თა და მოიღის ანთრაჲი იგი ნიგუზის სახშ, მრგული პატიოსანი. და რაჲამს
შეიძრის ანთრაჲი იგი, იმღერინ და ვითარცა ეუეთანი ოხრინ და ჯმობს. და სალ-
მობაჲ³ რა მოუქდის მას ორბსა, დაჯდის და შვის ქსნლად.

15 23. ელიფას თემანელმან თქუა: ლ ო მ-ჭ ი ნ ჯ ე ე ლ ი მოისპო, რამეთუ
არა იპოვა მისა საკმელი.

სახის მეტყუელმან თქუა ლომ-ჭინჭველისაჲ, რამეთუ: მამისაჲ მის პირი
ლომისაჲ არს და დედისაჲ — ჭინჭველისაჲ. მამაჲ იგი მძორის მკამელ არს და
დედაჲ — თივის მკამელ. რაჲამს ჭინჭველ-ლომმან გამოჯადის⁴ ორთაგანეე
20 მკვდრი, ზოგი ლომისაჲ არნ ხატი და ზოგი ჭინჭველისაჲ, ვერ მძორი ჭამის მა-
მისა მის მკვდრობისათვს, და ვერცა მარტუალი დედისათვს, და შოუდის, რა-
მეთუ საკმელი არა არნ მისა.

24. შჭულსა წერილ არს: ნუ შკამთ ვ რ ც ი ნ ს ა, ნუცა რაჲ-იგი მსგავ-
სი მისი არს.

25 სახის მეტყუელმან თქუა ვრცინისათვს, ვითარმედ: ეგვეითარი სახშ და წე-
სი არნ მისი: თესლი მამლისაჲ პირით მიიღის დედალმან მან, მიუდგის და უ-
რით შვის.

26. სახის მეტყუელმან თქუა მ ა რ ტ ო-რ ქ ი ს ა ჲ: ეგვეითარი მკვდრო-
ბაჲ და სახშ აქუს: მცირე⁵ არს და მსგავს არს თიენისა და დიდად სასტიკ არს
30 მკეცი იგი და რქაჲ ერთი ადგს თავსა მისსა ზედ. მონადირეთა ვერ შეიპყრინ
იგი. ქალწულსა წმიდაჲ მიიყვანიან და დაუსჯან მას, და იგი მივიდის და შთაუქ-
დის უბეთა მის ქალწულისათვს. ქალწულმან მან განატფის მკეცი იგი და განმზა-
დებულად მოიყვანის შესაკრებელსა შარავანდელისასა.

26. არს ნადირი კ ა ს ჰ ო რ ი ო ს, თაქვ კმელისაჲ; მდაბალ [და] უღ ყუდ-
35 რო არს ნადირი იგი⁶. და საურველნი მისნი საკურნებლად წამლად არნ. და
იპოვის სახლსა შარავანდელთასა. მონადირშ რაჲამს სდევნ კალაეთა, თაქუმან
მან მოიყუეთნის საურველნი იგი და მიუთხინის მონადირეთა მას. და სხუაჲ თუ
მონადირშ სდევნ, უჩუენის ადგილი იგი. და მონადირემან მან ოდეს იხილის,
თუ არა ჰქონედ საურველნი იგი, დაუტევის და წაყვიდის მისგან.

40 27. შჭულსა წერილ არს: ნუ შკამთ ა ფ თ რ ი ს ა ს ა და რომელი მსგავს
მისა არს.

სახის მეტყუელმან თქუა აფთრისაჲ, ვითარმედ: მამალ და დედალ არს;

¹ უმწულობას ხ. ² მიუგა ხ. ³ სალმობა ხ. ⁴ გამოქდის ხ. ⁵ მცირე ხ. ⁶ ამ
სიტყვის გასწვრივ აშაზე ტექსტის ხელითა და მელნით სწერია: კ ა ს ჰ ო რ ო .

სადამე მამალ იქმნის, სადამე დედალ. ბილწი მკეცი არს, რამეთუ იცეალეზის, რამეთუ იერემია წინაწარმეტყუელმან თქუა: ნუუკუე ქუაზნი აფთარათანი ჰყენე სამკვდრებელად ჩემდა?

28. არს სხუა მკეცი ნილოს მდინარესა, მწავის მსგავს არს და მტერ არს კორკოდინოს მძუნვარისა, რომელი-იგი ხატად მსუნენის მსგავს არს, რომელთა-მე თქვან **ხ ზ თ ქ ი ზ ღ ღ ს ა მ**. და რაჟამს დაიძინის კორკოდინოს ხუთქმან, პირი ზე¹ უმტემოდ და ვითარცა პოვის იგი მძინარჲ, წარვიდის იგი, მივიდის და შეისუარნის ვორკანი მისნი მწვრითა და ვითარცა შეიშრვის მწვრჲ იგი, შეუქდის პირსა მის კორკოდინოს მკეცისასა და ყოველი ნაწლვეი შეუქამის.

29. არს მკეცი, რომელსა სახელი ჰქვან **ი ქ ნ ა მ ო ნ**, რომელი ითარგმანების ვიკტოლ. და დიდად მტერ არს იგი. და თუ ჭეჟმა სასტიკ ეშმაპი პოვის. ვითარცა სახის მეტყუელმან თქუა, მივიდის, შეიგოზის თავი თუნი თიქითა და მიუქდის მარტოდ და ჰბრძანე ვეშაპსა მას და კუდითა ნიჩურთა იფარავენ.

30. არს რამე ნერგი, რომელსა სახელი ჰქვან **პ ი რ ი დ ე ქ ს ი ო ნ**, რომელი გამოითარგმანების **კ ვ შ ტ ო ბ ი ნ ი ხ შ**. და იპოვების იგი სოფელსა ჰინდოეთისასა. და ხილი მისი ტყბილ არს უფროას ყოველთა სიტკბოვებათა. და ტრედნი მივიდიან და დასხდიან ხესა მას ზედა ჰამად ხილისა მის. და ჰმტერავს ხესა² მას ზედა გუელი დიდი, რამეთუ აჩრდილსა მის ხისასა ივლტინ გუელი იგი. ვიდრე მას ხესა ზედა დამკვდრებულ არიედ ტრედნი იგი, ვერ შეეხის გუელი იგი ტრედთა მათ და ვერცაღა აჩრდილსა მისსა მივაზლის. და თუ შზის დასავალით კერძო არს აჩრდილი იგი, გუელი იგი შზის აღმოსავალად მიივლტინ. და თუ განეფინიან ტრედნი იგი ხესა მას, ანუ თუ აჩრდილსა მას ხისასა, მიემხვიის გუელი იგი, მოკლნის და შექამის იგინი.

31. კეთილად თქუა იერემია წინაწარმეტყუელმან: დაეჭედ მე ვითარცა ყორანნი მარტოა უდაბნოსა.

სახის მეტყუელმან თქუა ყორნისაჲ, ვითარმედ: ერთ ხოლო მამალი არს და თუ მოკუდის მამალი იგი, დედალი იგი სხუასა მამალსა არა შეეხის.

32. სახის მეტყუელმან თქუა **გ უ რ ი ტ ი ს ა მ**, ვითარმედ: განემარტის და წარვიდის მარტოა უდაბნოდ და დაემკვდრის. მარტოა ცხოვრებასა ჩუეულ არს და შორის მრავალთა მამალთა არა ჰნებავს ყოფაჲ.

33. ესაიასა წერილ არს ეზეკიასთვს, რამეთუ თქუა: ვითარცა მერცხალი ი ეგრე ვჭრინედ და ვითარცა ტრედი ეგრე ვლუმიწევდ. მერმე თქუა: გურიტმან და მერცხალმან და მართუეთა ველურთა იცნეს ეამი თუნი.

მერცხლისათვს თქუა სახის მეტყუელმან: პირველ ერთ შვის და სხუაჲ არღარა შვის.

34. დავითმან ლაღადებით თქუა: ვითარცა სურინ ი რ ე მ ს ა წყაროთა მმართ წყალთაჲსა, ეგრე სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო.

სახის მეტყუელმან თქუა ირემისაჲ, ვითარმედ: ჭეჟმა მტერ არს გუელისა. და რაჟამს იხილის, და ივლტინ გუელი და შთავდის ჭურელად, მივიდის ირემი იგი და აღივსნის ფერდნი თვსნი წყლითა წყაროასაჲთა და მივიდის ჭურელად, სადა-იგი გუელი დამალულ არს, და დაასხის წყალი იგი და აღავსის ქურელი იგი, ვიდრემდე გამოქდის გუელი იგი. და დათრგუნის ფერქითა და მოკლის.

¹ ზშ ხ. ² ხშსა ხ.

**სპაიტიხანი და წამიბამ წმიდისა იაკობ მცოცხლისა
იერუსალჴიმელ მკისკოკოსისა, მკისა უფლისა**

- და იყო რაჲამს ნებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა ცვალებდა ტაძარსა მას, რომელ იყო იერუსალჴმისაჲ, კათოლიკე ეკლესიად იაკობ, რომელ
- 5 წოდებულ იყო ძმად უფლისა და პირველ ეპისკოპოსისა იერუსალჴმს, და წოდებულ იყო ყოვლისაგან ერისა იაკობ მართალი, რამეთუ მრავალთა მოწაფეთა უფლისათა ერქუა იაკობ, ხოლო ესე იყო ძმაჲ უფლისაჲ. და საშოაფთჲან დედისა თვისიაჲთ წმიდა იყო, ღვწომ და თაფლუქი არა ესუა და მშუწვიერისაგანს არა ექამა, მახვლი არა აღსრულ იყო თავსა მისსა და ზეთი არა ეცხო და აბანოდ
- 10 არა შევიდის. და ესე მართლად შევიდოდა ტაძრად სიწმიდესა მას და არა შეიმოსის მან მატყლისა საშოსელი, არამედ კმოსიენ მას სელისა საშოსელი და ესრჴთ შევიდის ტაძრად. მარადის მუჴლ-დადგმით დგან და ილოცაენ ღმრთისა მიმართ მოტყეებისათჴს ყოვლისა ერისა, მარადის იმუჴლავენ ლოცვით, ვიდრემდის იქმნა ტყავი მუჴლთა მისთაჲ დაკანებულ ვითარცა მუჴლნი აქლეძისანი. და მარადის
- 15 სიმართლისაგან მისისა წოდებულ იყო ყოვლისაგან ერისა იაკობ მართალი. და ჰქრუეს ებრაელებრ ობე, რომელ არს: სიმტკიცჴ ურისაჲ და განმართლებამა. და რომელნიმე შუდისა მის წვალებისაგანნი ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს, ვითარმედ: რომელი არს კარი ღმრთისაჲ? და იგი მოასწავებდა მაცხოვრისასა.
- 20 და რომელთაჲმე მითგანთა მათგანთაჲ ჰრწმენა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე. ხოლო პირველთა მათ განდგომილთა მწვალებელთა არა ჰრწმენა აღდგომაჲ და არცაღა მოსლვისა მისისაჲ და მიგებად კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ, ხოლო იაკობის გამო ჰრწმენა მრავალთა მთავართაგანთაჲცა.
- და იყო შფოთი დიდი შორის მწიგნობართა მათ და ფარისეველთა და იტყოდეს, ვითარმედ: განგუადგების ჩუენგან ყოველი ესე ერი მოლოდებითა
- 25 იესუ ქრისტესითა. და ეტყოდეს შემოკრებულნი იგი იაკობს: გვეცდრებით შენ, დააყენე ერი ესე მოსრული დღესასწაულსა ამას ვნებისასა, რამეთუ ყოველნივე გერჩიან შენ, და ჩუენ მოწამჴ ვართ, რამეთუ მართალია კაცი ხარ და თუალთ-ხუმით არარას იქმ. აჴ დაარწმუნე ერსა ამას, რათაჲ არა სკეთებოდინან შედგომითა იესუ ქრისტესითა. და ყოველი ესე ერი და ჩუენ გერჩით სიტყუათა შენ-
- 30 თა. და აჴ აღჴედ გოდოლსა მას ტაძრისასა, რათაჲ უაღრჴს შინედ ყოველთასა. და ადვილად ისმინონ კმისა შენისაჲ სიმრავლემან ამან ერისამან, რომელნი აასექისა ამისთჴს მოსრულ არიან, ჰუერიანი და წარმართნი.
- და დაადგინეს წმიდაჲ იაკობ ფარისეველთა მათ და მწიგნობართა ზედა გოდოლსა მას ტაძრისასა და კმა-ყვეს ერთბამად და თქუეს: მართლიაჲ მავის
- 35 რომლისა ჩუენ ყოველნი მოწამე ვართ და დამორჩილებულ ვართ, ხოლო ერი ესე სკთების შედგომითა იესუ ქუარ-ტუმულისაჲთა, აჴ გვთხარ განცხადებულად იესუმსთჴს. და მან აღიმალა კმაჲ თჴსი და ეტყოდა მათ: რამასა მკითხავთ მე იესუმსთჴს, ძისა კაცისამასა, რამეთუ იგი თავადი არს იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაჲ და იგი ზის მარჯუენით მამისა და განმზადებულ არს
- 40 ღრუბლითა მოსლვად და მიგებად კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ. და მრა-

ვალნი მორწმუნენი ეწამებოდეს იაკობს, ლალადებდეს და იტყოდეს: ზსანა ძესა ღმრთისასა!

მაშინ მწიგნობართა მათ და ფარისეველთა თქუეს ურთიერთას: ბოროტად ვყავთ საქმე ესე, რომელ ვქმენით, რამეთუ ამან წამა იესუმსთჳს. არამედ აწ მოვედით და აღვქდეთ და გარდამოვავდოთ იგი, რამთა შეშინდეს ერი ესე და არა პრწმენეს მისი. ჳმა-ყუევს ჳმითა დიდითა და თქუეს: ჳ, ჳ მართალი ესე სცთა. და აღესრულა წერილი იგი ესაია წინაწარმეტყუელისაჲ, რომელ თქუა: მოვედით და მოვკლათ მართალი იგი, რამეთუ განმამძნელებელ ჳუნენდა არს, ამიერითგან ნაშრომსა მათსა ჳამდენ. მაშინ აღვქდეს და გარდამოვავდეს მართალი იგი გოდლისა მისგან და იტყოდეს: ჳვაჲ დაჳკრიბეთ იაკობს მართალსა. და ჳვასა დაჳკრებდეს მას. ხოლო იგი გარდამოვარდა სიმაღლისა მისგან და არა მოკუდა, არამედ დაიდგნა მუქლნი, ლალადებდა და იტყოდა: გვედრებდი შენ, უფალო მამაო, ყოელისა მჳკრობელო, მიუტრევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან. და ვიდრე იგინი ჳვასა დაჳკრებდეს მას, ერთი ეინმე მღღელთაგანი, რომელი იყო ძეთაგანი რეჳბისთა, ძისა რეჳბინისი, რომელი მოიჳსენა იერემია წინაწარმეტყუელმან, ჳმა-ყო ჳმითა დიდითა და თქუა: დასცხერით! რასა-ეგვე იქმთ? რამეთუ ილოცავს თქუენთჳს მართალი ესე. და აღდგა ერთი მათგანი, რომელი იყო სამოსლის მრცხელი, აღილო ძელი იგი, რომლითა განართხიან სამოსელი, და უხეტჳნა თავსა მის მართლისასა. და ესრცთ აღესრულა წამებითა ჳრისტცსითა. და დაჳფლეს იგი ადგილსა, მახლობელად ტამარისა მის¹. და არს ეგელი მას ჳედა დღენდელად დღედმდე მახლობელად ტამარისა მას¹. ამან წამა ჳეშმარიტად ჳურიათა მიმართ და წარმართთა იესუმსთჳს, რომელ არს ჳრისტე².

და მახლობელად მათ დღეთა შინა სპასიანოსი¹ ეინმე, განსაყვრებელი კაცი, მოვიდა და მოიციენა ჳურიანი. და ესრცთ გამოუცხადებდა სიმართლესა იაკობისსა. და ჳურიათაგანნიცა ბრძენნი აღიდებდეს მას და იტყოდეს: ამისთჳს მწრათლ მოიციე იერუსალცში ვესპასიონის¹ მიერ და არა თუ სხჳრ ვინაჲ იყო მათა შემთხუევაჲ იგი, არამედ მისთჳს, რამეთუ მიყენეს ჳელნი მათნი მართლისა მის ჳედა წარმდებებით. რომლისათჳს იოსებცა წადიერ იქმნა და დაწერა ესრცთ: ესევეითარიმცა შემთხუევაჲ შეემთხუევის ჳურიათა შურის საძიებელად იაკობისთჳს მართლისა, რომელი იყო ძმაჲ იესუმსი, რომელ არს ჳრისტე, რამეთუ მართალი იგი და მართლ-მადიდებელი მოკლეს ჳურიათა.

და ესევეითარი ესე შემთხუევაჲ შეემთხუა ნეტარისა მისთჳს და მართლისა იაკობისა ჳურიათა, რომელიცა უწინარცს კათოლიკეთა ებისტოლეთა დაიწერა. და ესე არს წამებაჲ იაკობისი, რომელი წინაჲთ იქმნა ეპისკოპოს და დაჳდა საყდარსა წმიდასა ჳალაჳსა იერუსალცშჳს, რომელი წოდებულ იყო ძმად უფლისა და მართალ საქმითა თჳსითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

¹ ასეა ხ. ² ჳქ მ. ხ.

კსენეზამ პირველ-ღიაკონისა და პირველ-მონაზონისა
სტიჟანისი, სპიითხავი, წამებაჲ მისი

დღეთა მათ პილატუსთა, მეოთხისა მის კელმწიფისათა, ანაჲსსა და კაია-
ფაჲსსა მღღელთ მოძღურებასა, წელსა მეთურამეტესა მასევე ეჲმსა, განკაცება-
5 აა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, მწრაფლ გამოძიებაჲ იყო ფარისეველთა
და სადუქეველთაჲ, რომელნი არიან ცასა ქუეშე¹. ზრახვა-ყვეს და თქუეს, ვი-
თარმედ: აღდგა დაფლული იგი და გუეჩუენნეს ჩუენცა მკუდარნი იგი, რომელ-
ნი ჩუენცა უწყოდეთ. ხოლო რომელნიმე იტყოდეს, ვითარმედ: ღმერთი არს, და
რომელნიმე იტყოდეს: მწვალებელი არს, რომელთამე თქუეს: გამოჩნდა მესია,
10 რომელსა ჰრქჳან ქრისტე, მათ ეჲმთა ვითარცა გამოსთარგმანებდეს წიგნნი
აღთქუმისანი და წინაწარმეტყუელთანი და შემდგომნი წიგნნი. ხოლო ვერვინ
თქუა მისთჳს, ვითარმედ დედაკაცისაგან იშვა იგი.

მას ეჲმსა აღ-ვინმე -დგა შორის ზრახვასა მას შჯულის მასწავლელი ვინმე,
რომელსა სახელი ერქუა სტეფანე, მოუწოდა ერსა მას და ჰრქუა: წინაწარმეტყ-
15 უელთა იკითხაეთ და არა გულისხმა-ჰყოფთ: პირველად ესაიო ღალად-ყო და თქუა.
რომელმან აღვლნა შუდნი ცანი, ვითარ-იგი უთხრობდა მისსა მას განკაცებასა
საყუარელისა მისთჳს, იგი წინაწარმეტყუელებდა და თქუა: აჲ ესერა ქალწული
მიუდგეს და შვეს ძმ და უწოდიან სახელი ენმანუელ, რომელ ითარგმანების
ძედ ღმრთისა. და მერმე ნათან წინაწარმეტყუელმან თქუა: ქალწულისაგან შო-
20 ბილისა განიხაროს ყოველმან ჯორციელმან და სიტყუაჲ ღმრთისაჲ მას შინა
დამტკიცნეს. და მერმე ისუ, ძმ ნავესი, იტყჳს: ვიხილე დასაბამი იგი ყრმაჲ
წიაღთა ქალწულისათა და შჯული, რომელ თქუენ გაქუს, მისთჳს იტყჳს ნა-
ყოფი იგი, რომელ იშვა ქალწულისა მისგან: განეშოროს ისრაჴლი შჯულისა
მისგან, და ნათესაენი, რომელ დაშთენ, დაემტკიცნენ. აწ გულისხმა-ყაეთ, მო-
25 ხუცებულნი ერისანი, რამეთუ მე ამიერითგან თქუენსა მაგას შჯულსა არღარა
ვიღოდი, ხოლო მადლსა მას დაფლულისა და აღდგომილისა იესუ ქრისტესსა
თაყუანის-ვისცე და უგალობდე სახელსა მისსა.

და ვითარცა ეს თქუა, განარისხნა ნეტარი სტეფანე და წარვიდა კრებულნი-
სა მისგან. მას ეჲმსა აღდგა კაიაფა მღღელთ მოძღუარი და უკუმოაქცია სტე-
30 ფანე მუნვე კრებულად. მერმე სირცხვლეულნი ვერღარა იტყოდეს განკაცებისა
მისთჳს ქრისტესისა, არამედ ესრე² თქუეს, ვითარმედ: მარიამს ღმრთის-მშობ-
ებლად უწოდე. აღადგინეს მწიგნობართა და მღღელთ მოძღუართა სტეფანე და
წარადგინეს წინაშე პილატე ბჳისა. ვითარცა იხილა-პილატე ბჳემან, ჰრქუა მათ:
რაჲ უქმნიეს³ კაცსა ამას, მღღელსა შუენიერსა, რამეთუ წარმოადგინეთ ჩემ
35 წინაშე ვითარცა ძვრის მოქმედი? მიუგო პილატე სტეფანეს და ჰრქუა: მოვედ.
დაჯდე მარჯუენით ჩემსა, სტეფანე, რომელი მარადის ჰყუავი, ვითარცა გჯრგვო,
ქუაო პატიოსანიო დიდისა სასყიდლისაო, სტეფანე, მწვემსო შემდგომთა მო-
წამეთაო, სტეფანე, მოძღუარო ღმრთის მსახურებისაო! და ვინ-მე იყოს მსგავს
შენდა საუკუნესა მას და მერმესა ცხორებასა და ამბორს-უყო პირსა სტეფან-
40 ესსა და ჰრქუა: გვედრებე შენ, მონაო ღმრთისაო, ილოცე ჩემთჳს უფლისა
მიმართ, რაჲთა მეცა რიცხუსა შევეერთო, რომელთა ჰრწამს ქრისტე.

¹ ქუეშე ბ. ² აღდგარე ბ. ³ უქმნის ბ.

და პრქუა პილატე მლდელთა მათ და ყოველსა ერსა: შემძლებელ ვარ და ჯელ-მეწიფეების განტევებამ სტეფანშსი სატანჯველისა მისგან, ხოლო არა დავაბრკოლო იგი გზისა მისგან სიმართლისა, არამედ წარიყვიანეთ ეგე ჩემგან, ვითარცა გნებავს.

მაშინ წარიყვიანეს ნეტარი სტეფანე მლდელთ მოძღუართა მათ და მწიგნობართა და წარადგინეს იგი წე ათასისთავისა მის კლავდიოსისა. და ვითარ-იგი მიუგებდა სტეფანე და ეტყოდა, მას ეამსა მოვიდა საელე¹ ფარისეველი ტარსონ კილიკიაჰსაჲთ, რომელსა აქუნდა ჯელმწიფეება შეკრვად და შესხმად საპყრობილესა ყოველთათჳს, რომელნი სახელ-სდებდეს ქრისტესა², და დაჯდა ათასისთავისა მის თანა და ჰკითხვიდა ნათესავსა სტეფანშსსა და სამკვდრებელსა, ვითარცა გულისხმა-ყო, ვითარმედ ქრისტესა³ სახელ-სდგბს. და ვითარცა ესმა, მწრათლ უბრძანა გუემაჲ მისი და შეკრვაჲ და პრქუა: თქუ, სტეფანე, ვარ ჯუარ-ცუმულსა აღიარებ ღმრთად, რომელ ჩუენ არა დაიჯიერებთ, უფრომსლა ესე, რამეთუ მარიაჲს ღმრთის-მშობლად ჰხადი. მიუგო სტეფანე და პრქუა, რამეთუ: ვითარ ორთა ძალთა სისხლის მკამელთა ეპბრძოდი, რომელთა ჰური იგი მიიღეს, ჯელნი მისნი შეუკრნეს და შეჰმსკუალნეს ძელსა. მიუგო სტეფანე და პრქუა ათასისთავსა მას: მკვდრო ჯოჯობეთისაო, რაჲ გნებავს, თქუ შენცა, ათასისთაო, დაბრმობილო თუალითა და დარღუეულო ჯორცითა და სულითა გარდაველარძნილო. რომელმან ხურომან შეუძლოს ხატად შენდა აღმართებად ვითარ სახედ ქრისტედ ჩუენისაჲ⁴, რომელი გამოუჩინებელ არს და ბრწყივა⁵ მზითა ბრწყინვალითა და მოოვარჲ, ვარსკულავები და ქუეყანაჲ ყოველი ყოველითა ნაყოფითა და ყუაილითა შეამკო, და ჰაერნი ყოველნი ყოველთა მფრინველთა მიერ შეამკვნა, და ზღუაჲ ფერად-ფერადითა ქუეყარმაველითა აღავსო. რომელმან ესე ყოველი ქმნა, რომელ არს ძმ ღმრთისაჲ ქრისტედ, ღმრთისაგან შობილი ძმ მამისაგან, ძალნი ძალთაგან, რაჲსათჳს ჯუარს-აცუთ, ჰ უგუნურნო⁶ ანუ ვითარ იტყვთ, ვითარმედ: ვითარ დედაკაცისაგან იშვა, რაჲთამცა⁷ ცთომამ იგი, რომელ იყო დედაკაცისა მისგან განხრწნილებისა, განწმიდა? ანუ ვითარ იტყვთ, ვითარმედ: ვითარ ჩჩულ იწოდა, რაჲთა ჩჩულნი იგი დაიცივნეს, სამარცტელად იწოდა, რაჲთა ყოველნი ნათესავნი მისა მოიქცინეს, ცთომილად იწოდა. რაჲთა შეცთომილნი მოაქცინეს⁸, აღდგა, რაჲთა ყოველნი აღგუადგინნეს? აწ ვითარ ჰგონებთ, ჰ უგუნურნო? დასცხერ, საელე⁹, მდევარო ღმრთის მახუარებისაო, შენცა წინა-აღვადგეს სასუმელი იგი სუმად ამას ღამესა და დაგადგეს ანგელოზი უფლისაჲ, რამეთუ მრქუა შენთვისცა.

მაშინ განრისხნა საელე და აღაზრზინა ათასისთავიცა იგი, რაჲთა თავი მოკუეთონ ღირსსა მას ღმრთისასა. და სცეს და არა იპოვა წყულუებაჲ ქედსა მისსა. მერმე მოიქცა საელე და უბრძანა ქვისა დაკრებაჲ ახოვანსა მას ღმრთისასა. და ვითარცა ქვასა დაჰკრებდეს წმიდასა სტეფანეს¹⁰, და ქვისა მისგანი ეცემოდა ათასისთავსა მას და მერმე ეცემოდა ერისაგანთა მათცა.

ხოლო სტეფანე ვითარცა იხილა გუემულუებაჲ ერისაჲ მის, შეეწყალა ერი იგი და დაიდგნა მუქლნი ქუეყანასა ზედა და აღიხილნა ზეცად და აღიპყრნა ჯელნი თჳსნი ზეცად, ილოცვიდა და თქუა: გამაღლობ შენ, უფალო ჩემო იესუ

¹ უქმნის ხ. ² საელე ხ. ³ ქრ-სა ხ. ⁴ ქე ჩინსაჲ ხ. ⁵ ასეა ხ. ⁶ რა ხ. ⁷ მოაქცენს ხ. ⁸ სტეფანშს ხ.

ქრისტე¹, რამეთუ ყოველსა ეამსა ისმინი ჩემი და აწცა გვედრებდი, რაათა განიკურნენ გუემულნი ესე, რომელნი იქმან უგუნურებით ჩემ ზედა. ვითარ ამას ილოცვიდა² ოდენ წმიდაა სტეფანე, და მეყსელად ძრვამ იყო დიდ და განებუნეს სამყარონი ცისანი და იხილა ცათა შინა მამამა, მკდომარე ზედა საყ-
5 დართა ბრწყინვალეთა, და ძმ იესუ ქრისტე მარჯუენით მამისა და ტრელ-
ერთი სპეტაკი გარდამოფრინვიდა და მოაქუნდა გვრგვინი ბრწყინვალე, ვითარცა მზის თუალი.

ვითარცა იხილა სტეფანე დიდებამ იგი ღმრთისაჲ, მაშინ ქმამ იყო ზეცით გარდამო და თქუა: მკნე იყავ, სტეფანე, ნუ გეშინნ, მწყემსო კეთილო, რამეთუ
10 მრავალნი აცხოვენენ შენითა მაგით სარწმუნოებითა და მოთმინებითა. აღმოგუ-
ლე, ჳეშმარტო ერისთაო ერისა ჩემისაო, განხუმულ არიან შენთვს ცანი, და მხიარულ არს მამამ და ძმ და სული წმიდაჲ შენ ზედა; უხარის ანგელოზთა და
კაცთა მართალთა სიმკნე ეგე შენი. სტეფანე, რჩეულო ჩემო, იყავნ ნებამა შენი
15 სტეფანე ერსა მას და იხილნა გუემულნი ქვისა მისგან. ჭუარო დასწერა ერსა მას
და პრქუა: მიგეტევენ თქუენ უგუნურებამა თქუენი და სახელითა მამისაჲთა
და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა განიკურნენით.

ხოლო ზაქეოზ, მამამ იგი სტეფანესი, თანა-დგა და არა შეორგულდა, არ-
ცალა დააბრკოლა სტეფანე ლოცვასა მას ერისასა, არამედ მანცა აღიყრნა
20 ჳელნი და თქუა: უფალო, შეიეედრე სული მონისა შენისაჲ, რომელი ღირს ჳყავ
მადლისა მოღებად და იჩინე სასუფეველსა შენსა.

მაშინ დაიძინა სტეფანე ძილითა სულნელითა, ხოლო ერი იგი განიკურნა
გუემის მისგან და ცოცხალ იქმნეს, ვითარცა პირველ იყენეს. მაშინ უბრძანა
ათასისთავმან კლავდიოს და სავლ³ და მღღელთა მათ და განაგდეს სტეფანე
25 ჳალაქით გზასა მას კედარით ეერძო, და შჯული დადევს, რაათა და- თუ ვინმე-
-ჳმარხოს იგი, სიკუდილით მოკუედინ და ნაყოფი მისი იავარ იქმენინ⁴, არამედ
შეჳამონ იგი მფრინველთა ცისათა და მჳეცთა ჳუეყანისათა, რაათა სხუანი ჳხედ-
ვიდენ და ვერ იკადრონ სახელითა იესუსისითა⁵ სწავლად ერსა მას. და დაყო
დღმ და ღამმ, და ანგელოზნი სციიდეს მას.

30 და მო- ვინმე -ვიდა კაცი მორწმუნმ ქრისტტსი, რომელსა სახელი ერქუა
გამლაიელ, მრავლებითა მოყუსებითა და ღამე⁶ წარილო იგი და დამპარხა დიდი-
თა პატრიოთა და მრავლითა სულნელებითა. მაშინ წარიყვანა პილატე ბჳეჳმან ცო-
ლი თვისი პროკლ[ა] და მივიდა ადგილსა მას, სადა-იგი იხსნეს ჳორკნი წმიდისა
სტეფანესნი, რაათამცა დამპარხნეს იგინი⁷, და არა ჳუევს. ტიროდეს ფრიად
35 პილატე და ცოლი მისი და იტყოდეს: მოგვკსენენ ცოდეილინი ესე, ნეტარო სტე-
ფანე, მოგვკსენენ და ღირს გუყვენ ჩუენ ქრისტტს ბჳეჳდასა. ესე თქუეს და
თაყუანის-სცეს ღმერთსა და წარვიდეს სახიდ თვისა. და ფრიად წუხდეს ორნივე-
და მასეე ღამესა გამოეცხადა წმიდაჲ სტეფანე და პრქუა პილატეს⁸: ნუ მწუ-
ხარე⁹ ხართ, რამეთუ იყოს რომელთამე ეამთა გამოცხადებამა ესე ჩემი, ვიდრე-
40 მდის არა გამოჩნდენ ჩემთანანი მოწამენი, ხოლო შენ ნუ მწუხარე⁹ ხარ, არა-
მედ ნათელი მოილე და ჳყოფლით საჳსენებელსა ჩემსა ყოველსა ეამსა და ნუ

¹ ქმ ბ. ² ილოცვიდა ბ. ³ სავლ ბ. ⁴ იქმენინ ბ. ⁵ ი-ვსითა ბ. ⁶ ღამე ბ. ⁷ დამპარ-
ხნეს იგი ბ. ⁸ პილატეს ბ. ⁹ მწუხარე ბ.

დააკლებ და ამცენ შვილთაცა შენთა და ყოველთა, რომელთა იციან სახელი ქრისტესი.

მაშინ წარიყვანა პილატე ცოლი თვისი და მივიდა მოციქულისა პეტრესსა და ნათელი მოილო პილატე და ცოლმან მისმან და სიმრავლემან ერისამან მას დღესა, ვითარ ხუთ ათასმან კაცმან, რომელთა პრწმენა ქრისტე¹.

5

და აღესრულა წმიდაჲ სტეფანე² თთუესა სურწყნისასა ექუსსა, დღესა პარასკევსა, ეამსა მეშვდესა.

და ესრჱთ ვიხილე წმიდაჲ სტეფანე მე, პილატე, ზედა ათორმეტთა ვარსკულავთა მჯდომარჱს, ხოლო პირი მისი იყო ვითარცა ანგელოზისა ქრისტესსისაჲ, და თავსა ზედა იყო ჭუარჩი და ფრიალ ბრწყინვალეებითა მისითა ვერ განვიციდილ ზატსა მისსა. ხოლო ამისა შემდგომად ვიხილენ ეტლნი ცეცხლისანი და ვიხილე წმიდაჲ სტეფანე მათ ზედა მჯდომარჱს, და აღიყვანეს იგი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, რომლისაჲ არს დიდებჲა და პატივი უკუნიითა უკუნისამდე³. ამენ⁴.

10

კოვნამა წმიდისა სტიფანესი, ჩამულისა მის მსახურისამა და პირველ-მოწამისამა

15

რომელნი ხართ ქალაქსა შინა და დაბნებესა წმიდანი და ღმრთის მსახურნი, რომელნი სიმწნესა შინა ხართ, უპისკოპოსნი და ხუცესნი, ერთბამად ყოველთა წმიდათა და მორწმუნეთა ქრისტე იესუს⁵ მიმართთა მსახურთა ეკლესიისათა და ძმათა მართოდ მყოფთა ლუკიანე საწყალობელი და უნარჩევსი ყოველთაჲ უფლისა მიერ გიკითხავ.

20

რომელ-ესე ქველის მოქმედმან და კაცთ-მოყუარემან უფალმან ინება, რამთა უმეტეს ალამალოს რქამ ცხებულისა თვისისაჲ, რომელ არს ქალაგებჲა სახარებისაჲ, ინება ჩემ გლახაკისა ქელითა უკუანამსკენლთა ამით დღეთა⁶ გამოცხადებჲა წმიდათა თვისთაჲ სამ გზის სანატრელისაჲ მის და დიდ ზეულისა სტეფანესი, არქედიაკონისაჲ მის და პირველ-მოწამისაჲ, რომელ-ნი-იგი თუალითა თვისითა იხილა ზეცისა მეუფეს, და ნიკოდემოსისიცა, რომელი-იგი სახარებასა შინა კეთილითა საქსენებელითა სანატრელად ითქუმის, და გამაღვილისი. რომელ-იგი საქმესა მოციქულთასა კეთილად მზრახველობითა მადლის მომღებელად იქების, უმეტეს აბიზამსი, ძისა მისისაჲ, რომლისათჱს წიგნთა შინა არა იქსენების, ხოლო გარეშე წვრილისა წინაშე ღმრთისა იდიდების. ვითარცა მეჩუენა ჩემსა ამას უღირსებასა სამითა ამით სახითა გამოცხადებისაჲთა, რომელ-ესე. ვითარცა გესმის, შემწე ჩემდა იყვენით ლოცვითა წმიდითა თქუენითა დიდებისა მიცემად მისა, რომელმან ესევითართა გამოცხადებჲათა მადლი მოსციის ცოდვილთა კაცთა, რომელთა თავი მე ვარ.

25

30

35

და იყო სახეს გამოცხადებისაჲ მის ესრჱთ: მეძინა, ⁷ ვითარცა წინაჲთ ჩუეულეებასა მას ჩემსა, განშორებულსა მას სახლსა სანათლოასასა, სადა დგა კიდობანი, რომელსა შინა შთადვიან ქრმსახურებელი ეკლესიისაჲ; დღეს, რომელი განთენებოდა პარასკევად, თთუესა აპრილსა სამსა, ეამსა მას მეათხუთმეტესა ინ-

1 ქ-შ ბ. 2 სტეფანი ხ. 3 ოქ-ი ოკე ხ. 4 ა-ნ ხ. 5 ი-ჱს ხ. 6 დღეთა ხ. 7 მეძინ ხ.

დიკტიონისასა, მეათესა¹ მას ვიპატონსა ონორის კეისრისასა და მეექვსესა² წელსა თეოდოსის, უფალთა მათ ჩუენთა თვთ-მჰყრობელთასა შარავანდელთასა.

მესამესა ეამსა მის ღამისასა მღვძარელა³ ვიყავ და რეცა რამეჲ დამიკვრდებოდა და შევისუღბი. და ვიხილე კაცი ერთი ჰასაკოვანი და მოხუცებული და საკვრეელად შუენიერი, რომელსა მოებლარდნა საბლარდნელი სპეტაკი. და იყენეს ოთხთავე ყურთა მის საბლარდნელისათა სადგმელნი ოქრო-ქსოვილნი და ქუეთ სადგმელთა მათ სახმ ქუარისაჲ მის საუფლოჲსაჲ ოქრომსფერიად, და ესხნეს სანდალნი ოქრო-ღუედნი და კუერთხი ოქროჲსაჲ აქუნდა მარქუნესა კელსა მისსა.

10 მოვიდა და დადგა მახლობელად, წინაშე ჩემსა და მიგუმი[რა] მით გუერდსა⁴ ჩემსა და მიწორად მე სახელით სამ გზის. და მე მიუგე: რაჲ არს, უფალო? და მრქუა მე: აღდეგ იერუსალმმდ და არქუ წმიდასა მას ეპისკოპოსსა: ვიდრემდე ესრქთ დაფარულ ვიყენეთ და არა აღგუალებ ჩუენ და არა მიმოდასდებ სიმჰვნესა ჩუენსა, რამეთუ არსევე წეს ეამსა ამას მღღელთ მოძღურებისა შუენისასა გამოცხადებჲა ჩუენი. აწ აღგუალე ჩუენ აღრე-აღრე, რამთა ჩუენ გამო კარი

15 კაცთ-მოყუარებისაჲ და მოწყალებისაჲ განელოს სოფელსა, რამეთუ ურეჲსა შინა დგას და მიახს წარსაწყმედელად მრავალათვს უშქულოებათა, რომელნი იქმნებიან მას შინა მარადღე⁵ და არა ესოდენი ესე ურეჲა ჩემთვის ხოლო, არამედ უფროჲს ხოლო მათთვის, რომელნი არიან ჩემ თანა, რომელნი ღირს არიან მრავლისა დიდებისა და პატეიისა. და ადგილი იგი ჩუენი უღუაწ არს და ძუალნი იგი ჩუენნი სადამე წვმითა დაილტენიან, და არს სადამე მზითა განჰმიან და გამოქუეების დლითი-დღეჲ ძუალთა ჩუენთა. და მე, გლახაკან ლუკიანე, მიუგე და ვარქუ: და შენ ვინ ხარ, უფალო, ანუ ვინ არიან იგინი, რომელნი შენ თანა სხენან, ანუ რომელსა ადგილსა გპოვნეთ? და მან მრქუა მე: მე ვარ გამალიელ, რომელმან-იგი პავლე განეზარდე და შქულის მოძღუარ ვყავ იერუსალმმს.

20 ხოლო რომელი-იგი ჩემ თანა დამარხულ არიან, იგი თავადი არს უფალი ჩემი სტეფანე, რომელი-იგი ქეთა განიტვნა ურწმუნოთა მიერ პურიათა იერუსალმმს და განაგდეს იგი გარეშე⁶ ბჰეთა ქალაქისათა გზასა მას კედარით კერძო, და დაყო დღმ და დამმ, რამეთუ შქული დაედგა უშქულოთა მათ მღღელთ მოძღუართა, რამთა არავინ დაჰფლას იგი, არამედ იყოს იგი შესაქმელ მფრინველთა ცისათა. და მე, გამალიელ, უწყოდე სიმჰნმ იგი მისი, რამთამცა ნაწილი მარქუნდა სარწმუნოებისაჲ აღდგომასა მის თანა. და აღვდეგი ფარულად ღამე⁷ და მოუწოდე ფარულად, რომელნი-იგი ვიცნოდე ღირსნი და სარწმუნონი⁸ კაცნი ქმს მიმართ, რლთა მუნქუეს ოდენ ნათელი მოელი. და გულისხმა-უყავ და

25 ვასწავე მათ მისლვად და წამოდებად ჩემითა თავს-დებებითა ჩემსა მას ავარაქსა, რომელსა მრქვან ჩემდა: ქ ა პ ა რ გ ა მ ა ლ, რომელი შორავს ქალაქსა ვითარ ოც მილიონ ოდენ.

30 და მუნ წესი იგი ორმოცთა დღეთაჲ აღასრულეს მსგავსად შქულისა ბრძანებისჲ და სანმარი იგი მეტყუებელთაჲ მათ უბრძანე მიცემად საფასისაგან ჩემისა. და ესრქთ დაეჰმარხე ჩემსა მას ახალსა სამარხეოსა, რომელსა მებრევე არავინ დადებულ იყო. ხოლო რომელი-იგი მის თანა დამარხულ არს, იგი თავადი არს ნიკოდემოზ, მამის ძმაჲ ჩემი, რომელი-იგი მოვიდა ღამე⁹ მაცხოვრისა

35 ვითარ ოც მილიონ ოდენ.

და მუნ წესი იგი ორმოცთა დღეთაჲ აღასრულეს მსგავსად შქულისა ბრძანებისჲ და სანმარი იგი მეტყუებელთაჲ მათ უბრძანე მიცემად საფასისაგან ჩემისა. და ესრქთ დაეჰმარხე ჩემსა მას ახალსა სამარხეოსა, რომელსა მებრევე არავინ დადებულ იყო. ხოლო რომელი-იგი მის თანა დამარხულ არს, იგი თავადი არს ნიკოდემოზ, მამის ძმაჲ ჩემი, რომელი-იგი მოვიდა ღამე⁹ მაცხოვრისა

¹ მეათესა. ხ. ² მეექვსესა ხ. ³ მღვძარელა ხ. ⁴ გურდსა ხ. ⁵ მარადღე ხ. ⁶ გარე-
20 ხ. ⁷ ღამე ხ.

ჩუენისა იესუსა და ისწავა მისგან და ჰრწმენა, ვითარმედ ჟერ-არს წყლითა და სულითა მეორედ ზეგარდამო შობაჲ, და ნათელ-ილო მოწაფეთა მისთაგან ჳელითა პეტრჳსითა და იოვანჳსითა.

და ვითარცა აგრძენს მღღელთ მოძღუართა მათ და ფარისეველთა, განრის-
ხსნეს მის ზედა და იღრჳენდეს კბილთა მათთა და იზრახეს მოკლეაჲ მისი, ვი- 5
თარცა წმიდისა სტეფანჳსი. ხოლო პატროსნებისა ჩემისათჳს ვერ იკადრეს მოკ-
ლეაჲ, უწყოდეს, რამეთუ ნათესაჲი ჩემი იყო, არამედ შეჩუენებულ ყვეს იგი
და მიუღეს პატივი მთავრობისა მისისაჲ და ყოველი ნაყოფი მისი იავარ-ყვეს და
გუემეს იგი გუემითა დიღითა და წყლულებაჲ დასდევს მის ზედა და განაძეს
იგი ქალაქით. 10

ხოლო მე, გამალიელ, წარმოვიყვანე იგი დეფარულად დაბასა მავას ჩემ-
სა, რომელ შენ, ლუკიანე, სდგა მღღელად, და განუწყეს მას როჳიკი ჩემთაგან
საუნჯეთა. შემდგომად მკირედთა ეამთა მანცა შეისუენა, ვითარცა აღმასარე-
ბელმან ქრისტჳსმან. და უბრძანე დამარხებაჲ მისი მახლობელად ფერჳთა თანა
წმიდისა სტეფანჳსთა. 15

ხოლო მესამჳ იგი, რომელ ჩემ თანა დამარხულ არს, იგი არს აბიბოს, სა-
ყუარელი შეილი ჩემი მწემი, რამეთუ მე და მან ერთსა დღესა ნათელი მოვი-
ღეთ ჳელითა მათეჲ მოწაფეთაჲთა, რომელ-იგი იყვნეს მოწაფენი მაქცხოვარისა
ჩუენისანი, რომელსა-იგი ჳურიაებასა სახელი ერჳჳა ადდა, ხოლო ნათლის-ღე-
ბასა უწოდეს საყუარელ, რომელ ითქუმის ებრაელებრ აბიბოს. ოც წელ-შჳჳლის 20
მოწაფე იყო უფროჲს ჩემსა და პავლჳს თანა იზარდებოდა ბაგინსა მას შინა.
დადაჲყო ყოვლადე არა შემთხვის, არცა იხილის, გარნა დღეაჲ ხოლო თჳსი.
და უბიწოჲ და შეუგინებელი აღესრულა. მაშინდა მე, გამალიელ, აღვესრულე
შემდგომად მისსა. და დავემარხე ზეშთასა მას სამარხვოსა წმიდისა სტეფანჳს
თანა. 25

[ხოლო] ცოლი ჩემი ედნა და პირმშოჲ მჳ ჩემი სეღემია, რამეთუ არა
თავს-იღვეს სარწმუნოებაჲ ქრისტჳსი, არამედ უფროჲსლა ლალვაჲ აღადგინეს
ჩუენ ზედა ნათლის-ღებისა ჩუენისათჳს, განგუეშორნეს ჩუენგან, წარვიდეს და
მივიდეს დაბასა მას დედულსა ჩუენსა, რომელსა ჰჳჳჯან კაპარ-სეღემია. და
მუნ მოწყდეს და არა ღირს იჳმნეს დამარხვად ჩუენ თანა ჩუენსა მას სამარხ- 30
ვოსა.

და ესრჳთ მე, ლუკიანე, აღვდეგ და ვჳმადლობდ უფალსა და ვევედრე
ღმერთსა მასეჲ ლამესა და ვთქუ: უფალო, უფალო საუჳუენო, უჳუეთუ კაცთ-
-მოყუარებისა შენისათჳს მოივლინა ჩემდა ხილვაჲ ესე, ჳერ-გიჩნდინ. და ბრძანე.
რამთა მეორედცა და მესამედცა გამომეცხადოს. და ვიწყე მიერთგან მარხვად 35.
მსგავსად განჩინებულთა მათ წმიდათა ორმეოცთა დღეთა. და მერჳმესა პარას-
კევსა, ეამსა მისეჲ ლამისასა მოვიდა და დადგა იგივე გამალიელ ჩემ წინაჲ მით-
ვე ხატითა და მრჳჳა: რად უღებ-ჳყავ და არა ახუედ და უთხარ ეპისკოპოსსა
იოვანეს¹, რასა-იგი მე შენ ბეტოდე? მიუგე და ვარჳჳ: შემინდვე, უფალო,
რამეთუ ერთითა ჩუენებითა ვერ ვიკადრე ეგვეითარისა მღღელთ მოძღუარი- 40
სა აღძრვაჲ და ეგვეითარისა მღღევანისა ერისა აღრღუევეად, უფროჲსლა, რა-
მეთუ მასმიეს მე წიგნთაგან საღმრთოთა, ვითარმედ: პირითა ორისა და სამისა

¹ იოვანჳს ხ.

მოწამისათა დაემტკიცოს ყოველი სიტყუაჲ. ხოლო ესე ვიკადრე და ვთქუ: უკუეთუ არს ხილვაჲ ესე ჩემი უფლისა მიერ, ჩერ-გიჩნდინ მეორედცა და მესამედცა ჩუენებად. აჲ, უფალო, ამიერთგან განმამხიარულე მრჩობლ მოსლეთ: აჲ მაგით, ხოლო მესამედა, თუ სრულ ხოლო ჰყო.

5 და მან აღიმალა ჳამა, ჳელი განყარა და თქუა სამჯერ: შენდობილ იყავნ შენდა! და ვითარცა ეგულვა განსლვაჲ კართა ოდენ, დაიყრა ფერჯი, უკუმომეჳცა და მრქუა: ჩემდა მოიხილე, ხუცეს! მაქუსლა სხუაჲცა სიტყუაჲ შენდა. და ვთქუა: რაჲ არს, უფალო? და თქუა: უწყი, რამეთუ შეორგულდი და სთქუ გონებასა შენსა: უკუეთუ იყოს და ვპოვნე ოთხნივე ერთსა სამარხოსა შინა, 10 ვითარ-მე ვავო ცნობად ძულათა მათ წმიდისა სტეფანესთა? არა ეგრე არს, ვითარ-ეგე შენ ჰგონებ, არამედ თითოეულად ჩუენი სამარხვოჲ ჩას. და ვარქუ: ვითარ, უფალო? და მრქუა მე: დაიდე გულსა შენსა და გიჩუენო შენ. და განიყრნა ჳელი თჳნი ჰაერთა მიმართ და ვხედვედ დამოტევებულთა ოთხთა კომტეთა: სამნი ოქრომასანი და ერთი ვეცხლისაჲ. 15 კომტენი საესე იუვენეს ვარდითა: ორნი იგი ვარდითა სპეტაკითა და ერთი იგი ვარდითა მეწამულითა, ფერად სისხლისა. და ვეცხლისაჲ იგი საესქ იყო სულნელითა შროშნითა და შეკიცულ იყო ვეცხლისაჲ იგი ოქრომასასა მას ერთსა, და უმალეს ჩნდეს სხუათა მათ.

და დადგა კომტე იგი, რომელი საესქ იყო ვარდითა მეწამულითა, მარჯუენით ჩემსა მზის აღმოსავალით კერძო, და კომტქ იგი საესქ ვარდითა სპეტაკითა, და ერთი იგი კომტქ საესქ შროშნითა დადგა მარცხენით ჩემსა ჩრდილოთ კერძო.

ხოლო ორნი იგი დამოკიდენეს აღყენებულად ქუეყანისაგან ვითარ სამით წყრთით ოდენ. და მრქუა მე: იხილენა კომტენი ესე? და ვთქუ: ჰე, უფალო. და 25 მრქუა: კომტენი ეგე არიან სამარხონი ძულათა ჩუენთანნი. და რომელ-ეგე ვარდითა მეწამულითა საესე არს, იგი უფალი სტეფანე არს, რამეთუ იგი ხოლო გურთავს ჩუენ მოწამედ. და რომელსა-ეგე წინაშე შენსა მართლ ჰხედავ, ეგე არს უფალი ნიკოდემოზ, აღმსარებელი ქრისტესი. ხოლო მე და ძქ ჩემი ვართ, რომელთა-ეგე აღყენებულად დამოკიდებულთა გუხედავ.

30 და მე ვიკადრე და ვჳკითხე: რად-მე, უფალო, ერთი იგი კომტქ ოქრომასაჲ არს და ერთი ვეცხლისაჲ? ანუ რაჲსა საესქ არს ერთი იგი ვარდითა მეწამულითა და ერთი იგი შროშნითა? და მრქუა მე: ვეცხლისა იგი კომტქ სამარქსა ჩემისაჲ არს, რამეთუ წმიდა იყო კორცითა და ბრწყინვალე? სულითა, ვითარცა ვეცხლი; ბაგინსა მას ღმრთისასა აღზრდილ იყო, დედაცაჲ მებრვე არა 35 ეხილვა, გარნა დედაჲ ხოლო თჳნი. ამისთჳს საესქ არს შროშნითა სულნელითა.

და ამისსა შემდგომად ვჳმადლობდ მადლსა მას ღმრთისასა და დავადგერ მასვე ზედა მარხვასა და მოველოდე მესამედ მოსლვასა მისსა. და მერმესა პარასკევსა, ეამსა მას წინანდელსავე მოვიდა, დადგა წინაშე ჩემსა პირსპირ იგივე საყვრელი გამალიელ, თქუმით შემრისხნა მე და მრქუა: რაჲ განიზრახე და უდებ-ჰყავ და არა იზრუნე ჩუენთჳს და არცა აღხუდე და უთხარ ეპისკოპოსსა? მართლიად გეტყჳ შენი: უკუეთუ არა აღრე-ადრე აღხუდე და უთხარა ესე, მოიწიოს შენ ზედა კირი არა საგონებელი. და მე, გლახაკმან ლუკიანე, მოუგე და

ვარკუ: წინააღმდეგ ვევედრე, უფალო, რამეთუ მოგელოდე მესამედ ჩუენებად ჩემდა, რაათა ესრჳთ დაუბრკოლებულად განვტუქა გამოცხადებისა თქუენისათს.

და ვიდრე-იგი დგადა და მიტუემიდა ჩუენებასა მას შინა, მიეიტაცე მე ქალაქად და უთხარა ყოველი ესე ჩუენებაჲ ეპისკოპოსსა მას იოვანეს ¹, და მასვე ჩუენებასა მრქუა მე ეპისკოპოსმან: უკუეთუ იხილე ეგე, საყუარელო, თუ ნანდვლვე გამოგეცხადა ეგე ეამთა ამათ ჩუენთა, უკუე ჩემდა ჳერ-არს გამოპურობად ჳარი იგი მთაჲარი, უკუანა საბამი, მშრომელი და ურნატ-სავსედ განმმართებული იგი და ურმად მვნჳ იგი. და შენდა იყოს აგარაკი იგი ნაყოფითურთ, რომელ არს მას შინა. და მიუგე მას და ვარკუ ჩუენებასავე მას შინა: უფალო, უკუეთუ არა მედგას ჳარი მშრომელი, ვითარ-მე იყოს ჩემდა აგარაკი იგი? და მრქუა მე: ეგერ წეს-არს, რამეთუ ქალაქი ესე ურემ-დიდ და ტვრთ-მძიმედ? მოხარკე ² არს და ჳამს დიდისა მის ურმისა ჳარი მვნჳ და ითქუმოდის შენ მიერ მოგებულ.

რამეთუ სამართალ არს ქალაქსა ამას მოცემად ეგევითარი და შენდა კმა არიან ორნი იგი ჳარნი სამწყულოთურთ შემწყუობითა ჳარისა მის დიდისაჲთა საქმარად აგარაკისა მის შენისა. და ესე ვითარცა მრქუა მე ეპისკოპოსმან, ჩუენებასა მასვე ვიხილე უფალი გამალიელ, რამეთუ მოვიდა და მიპურა ჳელი ჩემი და მიმიყვანა მასვე აღვილსა აგარაკსა და მრქუა მე: უკუეთუ გნებავს პოენაჲ ჩუენი, მოგძვიერ ჩუენ აგარაკსა ამას, რომელსა პრქვან ასურებრ ელაგარია, რომელ არს გამოთარგმანებით: ღმრთისა კაცთაჲ. და ვითარცა განვიღვძე შემდომად მესამისა ჩუენებისა, განვიზრახევდ, ვითარმედ: რომელი-მე არს აგარაკი იგი? და არავის უთხარ ჩუენებაჲ იგი მეტრევე, არამედ მივედ და თავით თვისით მოვიხილე ყანობირი იგი საზღვრითა: დიდ ვაკე, შუენიერ, განსათქუმელ. და შორის ველსა მას ბორცვ ერთი მქვშოვანი, რომელსა შინა ვკგონებდ პოენებასა მათსა.

და ამისსა შემდგომად შევედ ქალაქად და ვაუწყე პირველად მორწყუნეთა და ღირსთა ხუცესთა, რაათამცა მასწავეს, რაჲ-იგი ჳერ-არს ყოფად. და მათ მრქუეს: ჰხედავა, ვითარ-ესე ზედაჲს-ზედა ძრვანი იყოფიან ყოველსა ეამსა და ესევეითარი ესე გუაღუაჲ და დაყენებაჲ წვმისაჲ, და გნებავს გამოცხადებული ესე ჩუენებაჲ დაფარად, რომელ კაცთ-მოყუარებისათს სოფელსა გამოცხადდა ⁴ ღმრთისა მიერ? აწ ნუ დასდუმნები. და პირველ იგინი შევიდეს და უთხარეს ჩემთს ეპისკოპოსსა იოვანეს ¹. და მან შემიწოდა და მკითხვიდა, ვითარმედ: ნანდვლ ეგრჳთ არსა? და ესრჳთ დავდეგ და მიუთხარ ხილვაჲ იგი პირველი და მეორჳ. და კერძოჲ მესამისა მის ჩუენებისაჲ დავიპყარ და არა უთხარ ხილვაჲ იგი, რომელ ჳარისა მისთს, უკუანა საბამისა, იოვანე მომიგო. და ველოდებ სმენად მისგან. ხოლო მან აღრე-აღრე აღიმალა ჳმაჲ თვისი და თქუა: კურთხეულ არს უფალი! უკუეთუ ნანდვლ ეგრჳთ იხილე, საყუარელო, და ეამთა ამათ ჩუენთა უნდა უფალსა წმიდათა თვისთა გამოცხადებაჲ, ჩემდა ჳერ-არს, რაათა მოვიხუნე ძულანი იგი წმიდისა სტეფანჳსნი, პირველ-მოწყამისა და არქედიაკონისაჲ, მვნისაჲ მის და კეთილად მსახურისაჲ, რომელმან-იგი თუალითა თვისითა იხილა სასუფეველი ცათაჲ.

¹ იოვანეს ხ. ² ტვრთ-მძიმედ ხ. ³ მოხარკე ხ. ⁴ გმც-ზა ხ.

და ამისა შემდგომად მიუთხარ ნეშტიცა იგი მესამისაჲ მის ჩუენებისაჲ. და მრქუა მე: ნანდღლ ქეშმარიტად უნებს გამოცხადებჲა წმიდათაჲ მათ, ვითარცა-
-ეგე შენ გერუნა.

5 და აღიესო სიხარულითა სახარებისა მისთჳს. მიბრძანა მე: შთავედ და თხარე და იძიენ ბორცუსა მას ოდენ. და რაჟამს ჰპოენ, დაიცევ ადვილი იგი შენ თვთ და მაუწყე მე წიგნითა.

და მე ვითარცა ესევეთარი ბრძანებჲა მოვილე მისგან, შთავედ დაბასა მას ჩემსა¹ და უთხარ ყოველთა მწუხრისა ეამსა და ვამცენ, რამთა ყოველნი ერთად ხვალისაგან მსთუად მოვკრბეთ თხრად ბორცუსა მის.

10 და მასვე ლამესა მეჩუენა იგივე უფალი გამალიელ და მრქუა: ნუ დაშურები, ხუცეს, თხრად ბორცუსა მას ოდენ, რამეთუ არა მუნ ვართ, არამედ ბორცვი იგი საწამებელად ხოლო არს, რომელსა ზედა აღასრულეს რჩული იგი ტყეებისაჲ ჩუენთჳს, არამედ ბლუართი კერძო ყანობირსა მას გვძიენ ჩუენ და მიზომე² ბორცუსა მის გზითგან ყანობირად ოთხას სამეოც და ათხუთმეტ წყროთთა.

15 ეგრეთვე ვისმე სხუასაცა მონაზონსა წრფელსა და უბიწოსა, რომელსა სახელი ერქუა მეგეთე, ერუნა მასვე ლამესა იგივე უფალი გამალიელ და ჰრქუა მას: მივედ და არქუ ლუკიანეს ხუცესსა, ვითარმედ: ნუ მეტად დაშურები ძიებად ბორცუსა მას, რამეთუ არა მუნ ვართ, არამედ ბლუართი კერძო ყანობირსა შინა. უჩუენა³ მას ადგილიცა იგი, რომელ მე, გლახასა აჲმს, მეჩუენა. და კულად

20 მეჩუენეს⁴ მე, ლუკიანეს, საშინ ცხედარნი ოქროსანი მასვე ადგილსა. და იყვნეს ორნი იგი უმდაბლჳს. და ერთსა მას ცხედარსა ზედა ისხნეს ორ კაც: ერთი იგი მკრცოვანი⁵ და ერთი იგი ჰაბუკი. და შემკულ იყვნეს ცხედარნი იგი ესრე სახე: ერთი იგი უმაღლესი და ერთი იგი უმდაბლესი გარდაგებულ იყვნეს ჴუენიერად, და რომელ-იგი მას ზედა ისხნეს, შემკულ იყვნეს, ვითარცა ახალ

25 ნათელ-ღებულნი, და მესამე იგი ოქრო-ქსოილად სამკაულითა სამეუფოთა შემკულ იყო.

და ვითარცა აღვდეგი რიჟურაჟუს ოდენ, მივიმართეთ პირველად მისლვად ბორცუსა მას. ხოლო მონაზონი იგი გუაყენებდა და თქუა: ესე და ესე ვიხილე თხრობად შენდა. მე ვითარცა მესმა, ვცან, ვითარმედ ქეშმარიტ იყო ხილვაჲ იგი

30 მისი. ხოლო პირველად ბორცუსა მას მივიმართეთ და ვთხარეთ ვითარ სამ ეამდმდე ოდენ. და ეპოვეთ ძეგლი ერთი, რომელსა წერილ იყო ებრაელებრ. და მუნქუესვე მოუწოვეთ მწიგნობარსა, რომელმან იცოდა ებრაელებრ. მოვიდა და აღმოიკითხა წერილი იგი. ესე წერილი ესრჳთ არს: ესე ადგილი ტყეებისაჲ კაცთა მართალთაჲ. მაშინ დაუტევეთ და მივედით მას ადგილსა, რომელ-იგი

35 გუეჩუენა ჩუენ მას ლამესა, და ვთხარეთ ყოვლად განცხადებულად და ეპოვეთ მსგავსად სახისა მის, ვითარცა-იგი გუეჩუენა, და ზედაწერილი იგი მათი აღმოკოდით წერილ იყო ესრე⁶: ქელელიელ ნასომ გამალიელ აბიბას. და გამოითარგმანების ქელელიელ ასურთა ენისაგან ბერძენთა ენად: სტეფანოს, და ბერძენთა ენითა ქართულთა ენად: გვრგვონისან; და ნასომ, რომელ არს: ნიკოდემოს, რომელი გამოითარგმანების: მძლჳ სიმართლისაჲ: გამალიელ, რომელ არს: მო-

40 მაგო მე ნიკი ღმერთმან; აბიბოს, რომელ არს: საყუარელი შვილი. და მეყსეულად მუნქუეს ოდენ⁷ იყო ძრვაჲ დიდი და აღიმღერნეს ძუალთჳ წმიდისა სტე-

1 ჩემს ხ. 2 მიზომე ხ. 3 უჩუენა ხ. 4 მეჩუენა ხ. 5 ასეა ხ. 6 ესერე ხ. 7 ოდენ ხ.

ფანქსთა და განმზიარულდეს და სული სულნელებისაჲ დიდძალი გამოჲდა მისისა ლუსკუშისაგან, და ჩუენ ყოველთა, ვითარცა მთრეალთა, მიგუერულებოდა.

და განეფინა და მიიწია სულნელებჲა იგი ვითარ ათ მილიონ ოდენ გარემო მათ აღგილთა, და მოვიდეს სულნელებასა მას გარემო ოთხ კერძოვე და მითხრეს ჩუენ, ვიდრემდე მიიწია სულნელებჲა იგი, და განიკურნნეს მრავალნი უძლურებთაგან მას დღესა შინა, რომელნი-იგი მუნ მოემთხვნეს.

და ამისა შემდგომად ვაუწყე წმიდასა მას ეპისკოპოსსა. და შთამოვიდა იგი და ორნი ეპისკოპოსნი მის თანა. და ვითარ იხილეს, განიხარეს დიდად ფრიად. და წარიდეს წმიდაჲ სტეფანე იერუსალმელ და დადევს წმიდასა სიონსა და შეკრბეს ერთბამად და აღაშენეს საყოფელი ღირსთა მათ ძულთა სტეფანქსთაჲ სადიდებულად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

იოვანი ბოლნისი

ღვინს-მსუმელთათჳს ¹ და მომთრეველთათჳს

მერმე კულად მეგულების მე უწყებად თქუენდა, ღვინს-მსუმელთა და მომთრეველთათჳს, ვითარცა წმიდაჲ მოციქული იტყჳს, რამეთუ: მომთრეველთა სასულფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკვდრონ; და კულად: ნუ დაითრევი ღვინთა, რომლისაგან არს სიბილწე, რამეთუ ტაძარნი ხართ ღმრთისანი და სული წმიდაჲ დამკვდრებულ არს თქუენ შორის, ვითარმე: უკუეთუ აწ ტაძარი იგი და საყოფელი სულისა წმიდისაჲ ჰყოთ საყოფელ ღვინსა და სიმთრეველისა, რაჲსათჳს კარსა და შემავალსა სულსა წმიდასა დაულობავ ღვინთა და სიმთრეველითა? და ღათუ იძიოს და პოოს გზაჲ და შევიდეს სადადთმე სული წმიდაჲ, პოოს საყოფელი მისი საესე, ვითარცა თხიერი, და ფშუოდის, ვითარცა კურჩი. და სულისა მისგან იწრეებისა ივლტოდის სული წმიდაჲ და არა დაადგრეს, რამეთუ ვერ პოოს მუნ ფართობება.

ანუ არა უწყითა, რამეთუ ფუტკარიცა საყოფელსა მას წმიდასა და ფართობასა ეძიებს, რაჲსათმეცა ქმნა მისა შინა სიტკბობებაჲ ნაყოფთაჲ მათ მისთაჲ და გან-მცა-ავსო იგი თაფლითა. და რაჲამს არა პოვის სადგური იგი, ვითარცა მას ჰნებავენ, მოიძულვის ² ადგილი იგი და მოიძაგის ნაშრომიცა იგი. მერმე კულად გამოვიდის და ივლტინ იგი და ეძიებნ სხუასა ადგილსა.

ეგრევე მსგავსად მისა, სული წმიდაჲ რაჲამს მოვიდის და პოის საყოფელი იგი მისი საესე ღვინთა და შეპყრობილი სიმთრეველითა, ყოვლადვე არა პოის მან ადგილი. არცა განსასლენებელი ³, მაშინ მოიძულვის საყოფელი იგი და მოიძაგის სამკვდრებელიცა და ივლტინ იგი მიერ და ეძიებნ სხუასა ადგილსა.

ხოლო აწ შენ, საყუარელო, ისმინე ჩემი და გასწაო შენ: გზა-ეც სულსა წმიდასა, წრფელ ყვენ ალაგნი მისნი, განალე კარი შენი მარხვითა და სიწმიდითა და განჰმზადე შესავალი იგი მისი, ფართო ყავ სადგური, რაჲთა მოვიდეს ერთობით მამაჲ. ძე და სული წმიდაჲ და დაიმკვდროს შენ შორის.

¹ ღვინს მსუმელთათჳს ხ. ² ასეა ხ. (მღრ. ქვემოთ: მოიძულვის). ³ განსასლენებელი ხ.

- და ესეცა უწყოდევე, * კაცო, რასა-იგი იქმ მოყუსისა მიმართ შენისა: მიხზად მას სახიდ შენდა, რათამცა კეთილი უყავ მას პურისაგან და სასუმელისა მსგავსად თქუმულისა, ვითარმედ: შეიყუარო მოყუასი შენი. ვითარცა თავი თვისი, და რამეთუ დაუნეცუე¹ პური შენი მშვიტისა. ხოლო მე ვითარცა
- 5 ვხედავ, არცაღა თავი თვისი ვიყუარს უგუნურებითა შენითა, რამეთუ მოაძულე იგი სულსა წმიდასა; და აწ გნებავს ძმისაცა შენისაჲ, რათამცა იგი მოაძულე. შევიდა იგი სახიდ შენდა მშვდობით ფერკითა თვისითა მკნედ; შევიდა და ხედვიდა იგი თუალითა თვისითა წმიდად და უბიწოდ. ფერი პირისა მისისაჲ ჰკონდა წესიერებით, ერჩდეს ფერკნი მისნი და კელნიცა.
- 10 ეც სამე პური მას და ასუ სასუმელი. კეთილად სამე ჰყოფ. ხოლო რაჟამს იწყე მეტსა მის ზედა და გარდაჰრიე ღვნითა და ასხემილი ვითარცა თხიერსა უწყობით, მაშინ იწყოს მან აღმოზოყინებად და აღმოთხევეად, ვითარცა თხიერმან, რაჟამს შთაასხიან თხიერთა ღვნოჲ თვნიერ ზომისა, მაშინ მანცა იწყოს აღმოზოყინებად და აღმოთხევეად.
- 15 აწ მითხარდა მე შენ: რაჲ კეთილი უყავ ძმასა შენსა, რამეთუ ასუ მას ღვნოჲ და დაათრეე იგი? მოელო მას ძალი იგი ძლიერებისა მისისაჲ მისგან, მოეხუნეს მას კელნიცა და ფერკნიცა: მოელო² მას სიმკნე იგი ძარლუთაგან მისთა, მიჰქდა წესიერი იგი ფერი პირისა მისისაგან, ენაჲცა მისი მო-ვე-ველო მისგან. იხედავს იგი თუალითა, ვითარცა ბორგნეული. ცაჲ და ქუეყანაჲ ყოველი, ეითარცა წისქვილი და ვითარცა ურმის-თუალი წინაშე თუალთა მისთა, ეგრეთვე ექცევის. იქმნა იგი ყოვლად ვითარცა უგუნური; და თუ ზე აღდგეს, და-ვე-ვეცეს; და თუ პოოს კედელი, ებრჯინებოდის; და თუ ვერ პოოს კედელი, მი და მო ტონტმანებდეს, ვითარცა უფერკოჲ. და თუ განვიდეს გარე, და-ვე-ვეცეს მუნ და, ვითარცა თხიერი წარკსნილი, წარდიოდის იგი, ვითარმედ არა ძალნიცა
- 25 პლოშნიდენ პირსა მისსა. ნუუუე³ მოვიდენ მკეცნიცა ველისანი, პოონ და შეჰამონ იგი. ანუ პოონ იგი ყორანთა ცისათა და აღმოჰკანდენ თუალნი მისნი. და უუუეთუ იხილონ მოყუარეთა მისთა, შეწუხნენ, ვითარცა მტერნი მისნი ეკიცხევენ მას.

მე ვითარ ვკვონებ, არაჲ კეთილი უყავ ძმასა მას შენსა, არამედ ყოველი ბოროტი. ანუ არა უწყია, რაჲ-იგი შეემთხვა მამათ-მთავარსა⁴ ნოვეს, ვითარ სუა მან ღვნოჲ და დაითრო და იღვა იგი განშიშულეზული?⁵

უწყოდე საქმეცა იგი ლოთისი, რამეთუ დაითრო იგი და შესცთა იგი ორთავე ასულთა მისთა თანა და არა ცნა სიმთრვალისა მისგან.

გულისკმა-ყავ ესეცა, რაჲ-იგი ქმნა ერმან მან ქორეზს შინა, ვითარცა

35 იტყუს: დასხდა ერი იგი ჰამად და სუმად, და აღდგეს სიმღერად, დაუტევეს ღმერთი და თაყუანის-სცეს კერპსა მას. მოიქსნე ესეცა, ოდეს-იგი შეიბილწნეს ბელფეგორს, ჰამეს და სუეს⁶ ნაგები, დაითრვენეს, ისიძვიდეს. ამისთჳს მოავლინა ღმერთმან მათ ზედა მომსრეელი იგი.

ისმინე ესეცა: თქუეს⁷ მამა-ღედათა მათ სამფსონ ძლიერისათა⁸, ვითარმედ: ღვნოჲ და თაფლუკი არა სუა. და ვიდრემდის იგი არა სუმიდა⁹ ღვნოსა, ლომნი ჭელითა მისითა მოისრეოდეს და დაწვთა ვირისაჲთა ათასეული და ბევრეული

¹ დაუნეცუე ბ. ² მოელო ბ. ³ ნუუე ბ. ⁴ მამად-მთავარსა ბ. ⁵ განშიშულეზუე-ლი ბ. ⁶ სუმს ბ. ⁷ თქუმს ბ. ⁸ ძლიერისა ბ. ⁹ სუმიდ ბ.

მოსიროდეს და დაეცემოდეს¹, და მკლავითა მისითა ბჭენი ქალაქისანი აღი-
ფხურებოდეს. ხოლო რაჟამს ეუფლა მას ღვწო და სიმორვალე, შევარდა სიძ-
ვასა. და დალილა თავი დაჰყვნა მას. და იღვა იგი წინაშე უცხო-თესლთა მათ
სამღერელად.

ეგრევე სახედ იყენეს ღვწის-მსუმელნი იგი ჰეროდესნი. შევიდა ჰეროდი 5
და როკვიდა. და თავი იოვანე ნათლის-მცემელისაჲ და წმიდის: წინამორბედი-
საჲ მოჰკუთათა². და დაიმკვდრა მან ქუესკენელი³ იგი ჟოჯობეთისაჲ.

ხოლო ჩუენ, ძმანო ჩემნო საყუარელნო, ღირსებით და სიწმიდით ეცხო-
ნდებოდით და გულს-მოდგინედ და წადიერებით ვიმარხვიდეთ და ერთობით ვა-
დიდებდეთ მამასა, ძესა და სულსა წმიდასა აწ და მარადის და უკუნისამდე⁴. 10

იოვანე-ზოსიმი

ძეგამ და ღიღებამ ქართულისა მისისაჲ

დამარხულ არს ენაჲ ქართული ღღემდე მეორედ მოსლვისა მისისა საწა-
მებელად, რაჟთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამზილოს ამით ენითა.

და ესე ენაჲ მძინარე არს ღღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლა-
ზარე ჰრქვან. 15

და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან. ესე არიან ორნი და-
ნი, ვითარცა მარიამ და მართა.

და მეგობრობაჲ ამისთვის თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა
შინა დამარხულ არს.

და ოთხისა ღღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინაწარმეტყუელმან, 20
რამეთუ: „წელი ათასი, ვითარცა ერთი ღღჷ“.

და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათჷსსა წილი ზის, რომელ
ასოჲ არს და იტყვს ყოვლად ოთხ ათასსა მარაგას; და ესე არს ოთხი ღღჷ და
ოთხისა ღღისა მკუდარი, ამისთვის მის თანავე დაფლული სიკუდილითა ნათლის-
ღებისა მისისაჲთა. 25

და ესე ენაჲ შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და
დაწუნებული, მოვლის ღღესა მას მეორედ მოსლვისა უფლისასა. და სასწაულად
ესე აქუს: ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი უმეტჷს სხუათა ენათა ქრისტჷს მოს-
ლვითგან ღღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ ესე წილი 30
ანბანისაჲ.

¹ და დაეცემოდეს ხ. ² მოკუთათა ხ. ³ ქუესკენელი ხ. ⁴ უკუნისამდე.

დექსიკონი

1. ა კითხვითი ნაწილაკი; იხმარება ისეთ კითხვითს წინადადებებში, რომლებშიც კითხვითი სიტყვა არ მოიპოვება. ახლავს უმთავრესად ზმნას (იშვიათად სხვა მეტყველების ნაწილებსაც). ხმის ამაღლება ამ ა-ს წინამავალ ხმოვანზე მოდის: ხუცეს, მიუძღუნაო სამკაული ესე მისი?

137, 16¹ გაეუგზავნო ეს მისი სამკაული? უწყია, ხუცეს, მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა, 137, 21 იცი, ხუცესო, მე ჰუნების წინააღმდეგ საომრად მივლივარ; შენლა თავი თუსი არა შეიწყალე და განსდევ ღმრთისაგან, შენ მემცა შემიწყალეა? 138, 6 შენ შენი თავი არ

1 ლექსიკონში სახელები მოცემულია ფუძის სახით, ოღონდ თანმოვანფუძიან სახელებს ყოველთვის და ხმოვანფუძიანებს იშვიათად დართული აქვს სახელობითი ბრუნვის ნიშანი • (ივრია-ე, დედა, მისთანა-ა). ზმნის გამოსავალ ფორმად მიღებული საწყისი, რომელსაც პირიან ფორმთა საჩვენებლად ქცევია და ენებითი გვარის ნიშნები აქვს მიწერილი, სახელობრ:

• (ნულს) ნიშნავს, რომ პირიან ფორმას თავში არაუთარი ნიშანი არა აქვს ქცევია და გვარის იწარმოებლად (დაწერს, ტყვის).

ა-პირიანი ფორმა იწარმოება ა ხმოვნით. გარდაშავალ ზმნებში ეს არის საარვისო ქცევა (და-აწერს).

• პირიანი ფორმა იწარმოება • ხმოვნით (და-აწერს).

ა/უ-პირიანი ფორმა იწარმოება • ან უ ხმოვნით (ა-თი პირველსი და მეორე ობ. პირ-ში, უ-თი მესამე ობ. პირში). ჩვეულებრივ ეს არის სასხვისო ქცევა. გარდაშავლებში ის სამპირიანია, გარდაუვლებში კი — ოპირიანი (და-ა-წერს, და-ა-წერს, და-უ-წერს; მ-ა-ზის, უ-ზის).

• უ ო ბ. — პირიანი ფორმა იწარმოება • ხმოვნით, მაგრამ პირდაპირი ობ. არა აქვს, ერთპირიანია, თუმცა სუბიექტი ბრუნეცკალებადი აქვს (ა-მეფებს).

• ენ. — პრეფიქსიანი ენებითი, იწარმოება • ხმოვნით. ფორმა ერთპირიანია (ა-წერების).

ე-პრეფიქსიანი ენებითი, იწარმოება ე ხმოვნით. ფორმა ოპირიანია (ე-წერების).

და ან ე-ენებითი სუფიქსიანია და იწარმოება და ან ე(—ენ) აფიქსების საშუალებით; თავში ხმოვანი არა აქვს. ფორმა ერთპირიანია (განმართლ-ეების, შეწუხ-ეების).

• და-ენებითი სუფიქსიანია (იწარმოება და-თი), მაგრამ მას კიდევ თავში • ხმოვანი აქვს. ფორმა ოპირიანია (ა-კლ-ეების).

ა/უ-და-სუფიქსიანი ენებითი სასხვისო ქცევის ფორმით იხმარება. ფორმა ოპირიანია (და-ა-მკვლრ-ეების, და-ა-მკვლრ-ეების, და-უ-მკვლრ-ეების).

ზემოთ აღნიშნული ინდექსები ზოგჯერ ჩვენს ახსნაშიც არის ნახპარი.

საქიროების შემთხვევაში ამ ინდექსებს გვერდით ციფრები უზის, რაც პირთა რაოდენობაზე მიუთითებს: (2)1 ნიშნავს, რომ ზმნის ფორმა ოპირიანია, მაგრამ შინააარსი ერთი პირისა აქვს მხოლოდ; (3)2 — ფორმა სამპირიანია, მაგრამ შინააარსი 2 პირისა აქვს მხოლოდ (იხ. ა. შანსძე, გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთემეს ცხოვრების მიხედვით; ძველი ქართული ენის ძეგლები, 3, 1946, გვ. 82—83).

პირველი ციფრა ბიბლიის წიგნებში თავს უჩვენებს, მეორე — მუხლს; სხვა შემთხვევაში პირველი ციფრი ამ წიგნის გვერდს მიუთითებს, მეორე — სტრიქონს ზემოლან.

შეიბრაღე, განდღეჲი ღვთისგან, შენ მე შემიბრაღებ? მტკიცედ სდგაა? 134, 35; კეთილისა ამისთვის სტირა, ხუცეს, 139, 8; (მე) არა სატირი აღვითქუა? მ. 20, 13 C [ერთი] სატირი არ აღვითქვი შენ? შენ ხარა მომავალი იგი, ანუ სხუასა მოველოდით? ლ. 7, 19; ანუ არა ძმანი შენნი მწყესიანა სჯემს? დაბ. 37, 13;

არა გეტყოღეა თქუენ და გარქუ: ნუ ავნებთ ძმასა მავას ჩუენსა? დაბ. 42, 22.

2. ა [„არს“ ზმნის ნაშთი]: რ-თქუენია სასუფეველი ღმრთისაჲ, ლ. 6, 20 C; (ქუეყანაჲ) კუარცხლბერკია ფერკთა მისთაჲ, მ. 5, 35 C; რომელი მადლია თქუენდა, ლ. 6, 34 C; ესე მათგანეეა, მრ. 14, 69 C; რომელი მოსრულა სოფლად, ი. 6, 14 D; უა-

შეად დაბეჯილი ციფრი ნიშნავს, რომ მისი მომდენო რრი ან მეტი ადგილი იმავე თავშია (ბიბლიის წიგნებში) ან იმავე გვერდზე (ამ წიგნში).

შემოკლებანი

- B — ტბეთის ოთხთავი (995 წ.)
- C — აღიშის ოთხთავი (897 წ.).
- D — ქრუჲის ოთხთავი (936 წ.).
- E — პარხლის ოთხთავი (973 წ.).
- L — ქსნის ოთხთავი (X ს.).
- X — ხანმეტი ლექციონარი (=ძველი ქართული ენის ძეგლები. 1. 1944).
- Y — ხანმეტი ნაწყვერები, გამოცემული ი. ჭავჭავაძის შვილის მიერ (ქართ. პალეოგრაფი. 1949).
- Z — მამეტი ტექსტები, გამოცემული ა. შანიძის მიერ (ტ. უ. მ. III, 1923).

- არაბ. — არაბული
- არამ. — არამეული.
- არს. სახ. — არსებობითი სახელი.
- აწმე. (აწ.) ხოლმ.—აწმეყოს ხოლმეობითი.
- ბერძნ. — ბერძნული.
- ბრძ. — ბრძანებითი ცილო.
- გაღად. — გაღატანიით მნიშვნელობით.
- გაღ. — პავლე მოციქულის ეპისტოლე გაღატელთა მიმართ.
- გამ., გამოსლ. — გამოსლუთაჲ.
- დაბ. — დაბადება.
- ებრ. — ებრაული.
- ზედს. — ზედსართავი სახელი.
- ზხ. — ზმნება.
- თანდ. — თანდებულთ.
- ი. — იოვანეს სახარება.
- იერ. — იერემიას წინასწარმეტყველება.
- იოზ. — წიგნი იოზისი.
- იოე. ბოლნ. — იოვანე ბოლნელი.
- იონა — იონას წინასწარმეტყველება.
- კავშ. — კავშირებითი ცილო.
- ლ. — ლუკას სახარება.
- ლათ. — ლათინური
- მ. — მათეს სახარება.
- მრ. — მარკოზის სახარება.

- ნ. — ნახე.
- ნ. კ. — ნახე კიდევ
- ნაწ., ნაწილ. — ნაწილია.
- ობ. — ობიექტი.
- ობ. მრ. -ში — ობიექტი მრავლობითში.
- ობ. მხ. -ში — ობიექტი მხოლოდობითში.
- საბა — სულხან-საბა ორბელიანი.
- საეუთრ. — საეუთრივ, სიტყვისათვის.
- სემ. — სემიტური.
- სირა — სირიული
- სომხ. — სომხური.
- სპ. — სპარსული.
- სტატ. — სტატისტიკური.
- სუბ. — სუბიექტი.
- სუბ. მრ. -ში — სუბიექტი მრავლობითში.
- უირ. — უირიზო.
- უობ. უობიექტო.
- უპირდ. — უპირდაპირი.
- უწვე ხოლმ. — უწვევების ხოლმეობითი.
- ფს., ფსალ. — ფსალმენი დაეთისნი.
- შღრ. — შეღარა.
- ჩუბ. — ლ. ჩუბინაშვილი.
- წვე. — წყვეტილი.
- პრომ. — პავლე მოციქულის ეპისტოლე პრომეელთა მიმართ.

დვილესა ზომთ საბლისაჲ ქურელსა
ნემსისასა განსლვაჲ, მ. 19, 24 C; ყო-
ველივე შესაძლებელა მორწმუნისა,
მრ. 9, 23 D; ჩემი ყოველი შენი არს
და შენი ჩემია, ი. 17, 10 C.

აბრაამიან-ი 163, 18 აბრაამის (აბ-
რაჰამის) შთამომავალი; ადამიანი,
კაცი.

აგარაკ-ი მ. 22, 5; 24, 40; ლ. 12,
16 სახნავ-სათესი ადგილი.

აგარეან-ი 228, 20 აბრაამის შთა-
მომავალი აგარის ხაზით. [ბიბლიუ-
რი გადმოცემით აგარი აბრაამის
ხარკს ერქვა. ამ ტერმინით ჩვეუ-
ლებრივ არაბები აღინიშნებოდა,
შემდეგ მაჰმადიანნი საზოგადოდ].

აგნა ნ. გება.

აგრძნა ნ. გრძნობა.

აგუსტოს (ლათ.) 16, 2, 5 აგვისტო.

ადგილ-ადგილ მ. 24, 7 C ალაგ-
-ალაგ. ადგილითი ადგილად 177, 17
ადგილიდან ადგილზე.

ადრე მ. 28, 8; ლ. 14, 21 ჩქარა,
მალე. ადრე-ადრე 139, 31; 248, 15
საჩქაროდ, მალე.

აერ-ი 34, 9 პაერი.

აეზან-ი ფსალ. 59, 10 საბანელი,
აბაზანა, ტაშტი.

აეზან-ი 239, 14 აეზან (ვეფხვის
ჭიშის ცხოველია)

ავთოლოფოს (ბერძნ.) 236, 10
ცხოველია (ანტილოპა?).

ავლ-ი 140, 42 ფერფლი.

აზნაურ-ი ლ. 19, 12 თავისუფა-
ლი; აზნაურნი დიდ-დიდნი
და ზეპურნი დედანი, აზნაურნი
და უაზნონი სოფლისა ქარ-
თლისანი მოვიდეს, 142, 34 დიდებუ-
ლი, დიდგვარიანი. [ნ. კ. 133, 29;
142, 38; 208; 9, 11, 35; 210, 38;
216, 22; 226, 2]. აზნაურება თავი-
სუფლება: არა არს მონება და აზ-
ნაურება, 49, 1.

ათახისთავ-ი 245, 34 ათასი ქარის-
კაცის მეთაური.

ათერთმეტ-ი მ. 28, 16; ლ. 24, 9
თერთმეტი.

ათულ-ი ლ. 11, 42; 18, 12 შეა-
თელი.

ათოთხმეტ-ი მ. 1, 17 თოთხმეტი.

ათორმეტ-ი მრ. 6, 43; ლ. 2, 42
თორმეტი.

ათრვამეტ-ი ლ. 13, 11 თერამეტი.

ათქალაქ-ი მ. 4, 25 დეკაპოლისი
(ქალაქი იყო პალესტინაში).

ათჩღმეტ-ი 143, 35; აჩღმეტ-ი
დაბ. 37, 2 ჩვიდმეტი.

ათცხრაშეტ-ი 143, 35 ცხრაშეტი.

ათხელება, დ კლება, მოსახლეო-
ბეს შემცირება: მაშინ მცხეთაჲ ათ-
ხელდებოდა და ტფოლისი ეშუ-
ნებოდა 227, 28.

ალაბასტრ-ი ლ. 7, 37 კირქვის
ერთი სახეობა; მისგან გამოთლილი
ქურჭელი (ქილა).

ალაგ-ი მ. 3, 3; ლ. 3, 4 ბილიკი.

ალიზ-ი 141, 5 ბუნარევი აგუ-
რი [ჩვეულებრივ გამოუწვავი].

ალილო 215, 9 ალილუა (საგა-
ლობლის სიტყვაჲ, რომელიც სამყერ
მეორდება).

ალის-ი (ბერძნ.) 239, 31 ჭაპვი,
ლუზა.

ალმურ-ი, არმურ-ი ლ. 8, 23 სა-
ზოგადოდ დიდი ქარი; 195, 3 ნისლი.

ამაო იონა 2, 9 ფუჭი, უქმი.

ამბოროს-ყოფა, ამბოვრის-ყოფა,
ი/უ — (8)2. კოცნა: ამბოროს-
-უყოფდა, ლ. 7, 38L; დაბ. 45, 15
პკოცნიდა, ეამბორებოდა; ამბო-
როს-უყოფეს ფერქთა მისთა, 153, 2
აკოცეს, ეამბორენენ მის ფეხებს; ამ-
ბოროს-უყოფეს ურთიერთას, 181,
35 აკოცეს, ეამბორენენ ერთმანეთს;
ამბოვრის-ყოფაჲ, ამბოვ-

რის-ყოფითა, ლ. 7, 45; ამბორს-ყოფად, ლ. 22, 47; ამბორ-ყოფად, ლ. 15, 20.

ამბოზ-ი 1. 138, 20 ბრბო, ხალხი.

2. ბირებითა ეშპაქისათა იქმნა უწყსოამ ამბოზი, რ მოკლა ლაკ-ლაქმან დისიძე თვსი, 200, 24 არეულობა, ჩხუბი.

ამენ (ებრ.) მ. 24, 34; მრ. 10, 23; ამენ 143, 39 ნამდვილად, კეშმარიტად.

ამიერ მ. 4, 6; ლ. 4, 9; 13, 31 აქედან; ამიერ სოფლით, ლ. 16, 9 ამ ქვეყნიდან.

ამიერიოგან ლ. 1, 48; 3, 8; 5, 10 ამ დროიდან, ამის შემდეგ; აწი.

ამირა (არაბ-სირიული ფორმით) 16, 4; 163, 10 მთავარი, ამა თუ იმ კუთხის შმართველი (არაბთა სახელმწიფოში).

ამიხოზ ლ. 1, 20 ამიტომ.

ამქუმელ-ი დაბ. 38, 28 მეანი, ბე-ბიაქალი.

ამცნო ნ. მცნება.

ამქედრება, დ 146, 34 სახედარზე (ტენზე, ჭორზე, ვირზე) შეჯდომა.

ანგაზრება ლ. 12, 15 სიხარბე.

ანთრაჟ-ი 190, 6; 240, 13 ერთგვარი ძვირფასი (პატიოსანი) ქვა, თვალ.

ანუ მრ. 3; ლ. 16, 13 ან.

ანუ არა მ. 5, 47; 6, 25; ლ. 4, 22; 24, 26, 32 ნუთუ არ, განა არ.

ანის-ი 143, 32 იანვარი.

აპუროზა ნ. კელის აპუროზა.

1. არ: კაცი ცოდვილი ვარი მე, ლ. 5, 8 ვარ; ხარი, მ. 14, 33 ხარ.

2. არ ნ. აღ-არ.

1. არა უარყოფითი ნაწილაკი არა. არ: რომელმან არა აღილოს ჭუარი თვსი, ლ. 14, 27 რომელიც არ აღებს თავის ჭვარს; არა

გამოხვდე მიერ, ლ. 12, 59 არ (ვერ) გამოხვალ იქიდან.

2. არა უარყოფითი ნაცვალსახელი არაა, არაფერი, ვერაფერი: არაჲ პოვა, მ. 21, 19 ვერაფერი ნახა; არაჲ ავნო მას, ლ. 4, 35 არაფერი ავნო მას; უფალო, არას ილუწი, ლ. 10, 40. [მდრ. არაა].

არაბიელ-ი არაბი: პაბო იყო... არაბიელთა თესლი, 163, 20.

არაგინა-ჲ არსიდან: აწ არავინაჲ არს კაცთა ცხოვრებაჲ, თვნიერ მღღელობისა, 204, 30 ახლა ადამიანთა ხსნა არსაიდან არარის, თუ არა მღღელობაში.

არამედ 1. მ. 2, 12 არამედ. 2. მ. 24, 22; მრ. 2, 20 მაგრამ. 3. ლ. 11, 29 გარდა, თუ არა.

არარა ლ. 7, 42 არაფერი. [ნ. კ. 2. არა].

არახადა მ. 2, 6; მრ. 2, 13; დაბ. 41, 19 არასოდეს, НИКОГДА.

არაწმიდა: ცხოვრებოდა არაწმიდად, ლ. 15, 13 გარყვნილებაში ცხოვრობდა.

არაწმიდება მ. 23, 25; ლ. 8, 44 უწმინდურება.

არგანი 161, 5; 175, 27 ჭობი.

არდაბაგება, 0—2 გაცემა, ლა-ლატი: მაშინ ცთენ მრავალნი და ურთიერთას არდაბაგებდენ, მ. 24, 10 C.

არდაგ-ი ლ. 23, 53 ტილო.

არე მ. 24, 32 C ზაფხული.

არეგ ქალაქ-ი, 237, 17 ჰელიოპოლისი, მზის ქალაქი.

არმაზ-ი 232, 10 ქართველთა სალოცავი კერპი, რომელიც ამართული იყო მცხეთაში არმაზის მთაზე.

არმაზ-ნი ციხე მცხეთაში, მტკვრის მარჯვენა ნაპირას: მაშინ მცხეთაჲ ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირ-

ღებოდეს და კალაბ განდიდნებოდა, 227, 28.

არშური-ი ნ. აღმური.

არაა ლ. 23, 4 არაფერი.

არტოშან-ი (სპ.) 134, 5 სპარსული ღვთაებთ; ცეცხლთაყვანისმცემლობა. ნ. ითრუშანა.

არქედიაკონ-ი 148, 18 (ბერძნ). მთავარდიაკონი.

არქიმანდრიტ-ი (ბერძნ.) 203, 3 მწყემსმთავარი; მონასტრის წინამძღვარი.

არქუ ნ. რქუმა.

არლა ი. 20, 9 ჟერ არ.

არლარა უარყოფითი ნაწილაკი აღარ: ამიერიითგან არღარავსუა, ლ. 22, 18 ამის შემდეგ აღარ დავლუე [(შე)ვსვამ].

ახაკ-ი ნ. ჰასაკი.

ახ და შეათრვამეტე 171, 1 ასმეთურამეტე.

ახერ ლ. 2, 36 ბიბლიური იაკობის ერთ-ერთი შვილი იყო.

ახ ერგასიხ-ი 139, 40 ასორმოცდაათი (150).

ახ ერგასიხ და ხაში-ი ი. 21, 11. ასორმოცდაცამეტი (153).

ახოთაგ-ი, ლ. 7, 6 ასი ქარისკაცის მეთაური.

ახპიტ-ი 228, 38; 237, 33 ერთგვარი შხამიანი გველი.

ახ ხამეოც-ი ლ. 24, 13 ას სამოცი (160).

ახტამ-ი 136, 25 ცეცხლის ასაღები (რკინისა).

ახური-ი 148, 1 სირიელი.

ახურახტან-ი მ. 4, 24 სირია.

ახურეთ-ი ლ. 24, 2; 227, 3 სირია.

აფხარეა აფხაზეთი: სოფელი იგი აფსარეაქსამა, 165, 17.

აფხაზეთ-ი 164, 35 დასავლეთი საქართველო (თანამედროვე აფხაზეთითურთ).

აქამთგან 227, 21 აქედან, ამ ღროიდან.

აქამთვე 228, 6 აქეთვე.

აქუნდა, აქუნდენ, აქუნდეს, აქუნს. ქუნან.

აღ-არ: აღხაარება აღიარება.

ი: აღ გ ი ა რ ე ბ შენ, მაჰო, უფალო ცისა და ქვეყანისაო, ლ. 10, 21: რომელმან აღიაროს ჩემდა მომართ წინაშე კაცთა, ლ. 12, 8.

ი/უ—(ი)ჲ: აღ უ ე ა რ ე ბ და უფ-ალსა და ვტყოდა მისთვის ყოველთა, ლ. 2, 38; პირველთა მათ უწესოთა საქმეთა აღუარებდა, 141, 38: აღ უ ე ა რ ე ბ დ ე ს ცოდვათა მათთა, მ. 3, 6; აღუარა მათ, ლ. 22, 6 აღუთქვა, დაჰპირდა მათ; მადლობა აღუარეს, 194, 20 მადლობა უთხრეს; ყოველმან ენამან აღუეაროს სახელსა მისსა, 160, 24; ჳმითა აღსაარებისა მათა, იონა 2, 10; აღმსაქარებელი 175, 12.

აღბმა ძელსა ხეზე ჩამოკიდება: ამის კაცისა პატეი მე არარაჲ ჳელ-მეწიფების, არცა აღბმა ძელსა, არცა პურობილბაჲ, 145, 18.

აღბორება, დ განრისხება, გაგულისება, აღშფოთება, გაბორტება: ხოლო ჰურიანი იგი უფროას ხოლო აღბორგდეს, 150, 39; შემასმენელი... აღბორგებულნი, 167, 21.

აღგება, ი გასწორება, გამართვა: მაშინ აღდგეს ყოველნი იგი ქალწულნი და აღიგნეს სანთელნი მათნი, მ. 25, 7 C.

აღგზნება, აღგზება, —(ი)ჲ დანთება: აღაგზნეს ცეცხლი შორის ეზოსა, ლ. 22, 55 დანთეს ცეცხლი შუა ეზოში; აღგზუნა ცეცხლი, იერ. 17, 27 დღვანთებ ცეცხლს; ცეცხლი კაცმან აღაგზ-

ნის და კაცმანვე დაშროტის, 154, 7; (ცეცხლი) ოდეს გვინებ, აღეგზნით, და, ოდეს გვინებ, დაეშროტო, 154, 16.

ბ: ცეცხლი არა აღეგზნებოდა, 216, 8; ცეცხლისა მოვედ მიფენად ქუყყანასა და რაჲ მნებავს, რა აწვე აღეგზნესა ლ. 12, 49.

აღგუაღ, 0—1 ისელა: მეგობარო, აღრეგუალე ზემო კერძო, ლ. 14, 10 მეგობარო, აღი ცოტა ზემოთ. აღგინება აყენება, ამართვა.

ა—2: აღადგინა ქალი იგი, მ. 9, 25; პირველად ღელა შენი აღადგინე, 140, 25; აღადგინა ქარი, იონა 1, 4; ლალვამ აღადგინეს ჩუენ ზედა, 249, 27 გეჩხუებოდნენ.

ი/უ: აღმიდგინა ჩუენ რქამ ცხორებისაჲ, ლ. 1, 69; აღუდგინენ თესლი ძმასა მას თჳსსა, მ. 22, 24 C; აღუდგინოს თესლი ძმასა თჳსსა, ლ. 20, 28; ამა ესერა დგას დაცემად და აღდგინებად მრავალთა, ლ. 2, 34.

აღდგომა, 0—1 ზღუამ იგი ვიდოდა და უფროამ აღდგებოდა, იონა 1, 11, 13 ღელავდა; აღდეგინ, ფს. 67, 2 ადგეს.

აღღება, ე მოღება, მოკიდება (ცეცხლის): არასადა აღედვის ცეცხლი, 236, 22 არასოდეს არ მოედება (მოეკიდება) ხოლმე ცეცხლი.

აღება ადღება.

აღედ, 0—1: აღედინ, 200, 44 ავიღეს; ხოლო ჩუენ კუალად აღვიდეთ პირველსავე სიტყუასა, 194, 28 ხოლო ჩუენ ისევ დავუბრუნდეთ ზემოთქმულს.

აღვლა, 0—2: რომელმან აღვლანა შუენი ცანი, 244, 16 რომელმაც აიარა შვიდი ცა.

აღვრება 1. ა—2 ავსება: შვიერი აღავსნა კეთილითა, ლ. 1, 53

შვიერები სიკეთით აავსო; ქრისტემან აღგავსენინ თქუენ, 142, 43 ავავსოს თქვენ.

2. ასრულება, შესრულება, დასრულება.

ა—2: ხუცესმან აღავსენ წადილი თქუენი, 142, 42 ხუცესმა დასრულოს თქუენი სურვილი.

0 ვნ.: ვითარცა აღივსებოდა მეექუსში იგი წელი, 140, 35 როცა სრულდებოდა (შესრულდა) მეექუსე წელი; სიტყუანი... აღივსენ ეამსა თჳსსა, ლ. 1, 20 სიტყუები ასრულდება თავის დროზე.

2. 140, 43; 141, 3; 165, 39. აღდგომა; აღვსებისა ორშაბათი, 137, 34 აღდგომის ორშაბათი.

აღზრზინება, ა—2 აღძვრა, წაქეზება, გაღიზიანება: მაშინ განრისხნა საელე და აღაზრზინა ათასისთავი იგი, 245, 34.

აღოუღოღ-ი 200, 37 დათელილი, აღრიცხული.

აღთქმა აღთქმა, დაპირება.

ი/უ: მე აღგიოთქუამ თქუენ, ვითარცა მე აღმიოთქუა მამამან ჩემმან სასუფეველი, ლ. 22, 29; არა სატირი აღგიოთქუა შენ, მ. 20, 13 C [ერთი] სატირი არ აღგიოთქვი შენ? აღუოთქუეს მას ვეცხლი მიცემად, ლ. 22, 5; მოგივლინო თქუენ აღთქუმამ, ლ. 24, 48; აღნათქუემი, 47, 18 აღთქული, დანაპირები.

აღთქუშიხ-ყოფა, 0—2 დაპირება, აღთქმა: აღთქუმაყო მოქმედთა მათ მიმართ თითოჲ სატირი ღლისა, 20, 2 C.

აღუეცა, 0—2 ბერად კურთხევა: აღკუეცეს კაცი იგი, 202, 9; რამთა... აღკუეცონ კაცი იგი, 202, 8; აღკუეცისათჳს მისისა, 202, 4.

აღლოზნა, 0—2 ლოკვა: აღლოზნი ან თუალნი მათნი, 237, 26 აღოკავენ ხოლმე მათს თვალებს.

აღმართება, 0—(8)2 აღმართვა, აღმართება: ესე ჭუარი ქრისტესი... აღმართე, წყისის წარწ; მამამან შენმან აღმართანა სამართვლენი, 145, 16 ააშენა; ოდეს მოიწია ეამი აღმართებად სუეტი იგი პირველ მოქსენებული, იწყეს ხუროთა მათ აღმართებად და ვერ უძლეს, 233, 18; აღმართებულ იყო პატიოსანი ჭუარი, 172, 37.

მ: (დედაკაცი) მეყსეულად აღმართა და ვილოდა, ლ. 13, 13 გამართა (წელში), ადგა; (მკელეული ჩემი) აღმართა, დაბ. 37, 7.

აღმადღება, ი: აღვიმადღეკმა ჩემი, დაბ. 39, 15 ყვირილი მოერთე (ავტებე), ვიყვირე.

დ: მოვლენან დღენი, ოდეს აღმადღეს მათგან სიძე, ლ. 5, 35 (ცაში) აყვანილ იქნება; ქრისტეს აღმადღებითგან, 228, 26.

აღმობოყინება 264, 12, 13 ბოყინი, ამობოყინება.

აღმოგუალ, 0—1 ამოსელა: აღმოგუალე..., განხუმულ არიან შენთს ცანი, 246, 10 ამოდი.

აღმოგურა, 0—8 ამოყვანა, მოყვანა: მე აღმოგგუარო ეგე შენ, დაბ. 42, 37 მე (ამოგოყვან (მოგგერი) მაგას შენ.

აღმოვედ, 0 — 1: აღმოვედინ, იონა 2, 7 ამოვიდეს.

აღმოთხევა 254, 12 ამონთხევა, ამოსხმა.

აღმოკოდა 252, 36 ამოკრა, ამოკვთა.

აღმოორძნება, დ ამოზრდა, გაზრდა: აღმოორძნდა მორჩი, დაბ. 40, 10 ამოზარდა ყლორტი.

აღმოსავალი-მ 2, 1 აღმოსავლეთი: სადაათ-მე მოველოდი: აღმოსავალით-მე ანუ დასავალით, ჩრდილოთ-მე ანუ სამხრით, 214, 10; ხოლო შენ აღდეგ და ვილოდე აღმოსავალით, 229, 1 წადი აღმოსავლეთისაკენ (!).

აღმოტყეება, იუ—(8)2 ამოშეება: აღმოტყეება სული, 152, 34 ამოუშვა, განუტყეება სული (ე. ი. მოკვდა).

აღმოქემა, ი ამოყვანა: ვისი თქუენგანისაა შვილი გინა ჭარი შთავარდეს ჭურღმულსა, და არა მეყსეულად აღმოიქუას იგი დღესა შაბათსა, ლ. 14, 5 ამოიყვანს; არა-მე ჰუპყარასა და აღმოიქუას იგი, მ. 12, 11 Z.

აღმოყვანება, ი ვნ. ამოყვანა: მაშინ იესუ აღმოიყვანა უდაბნოდ სულისაგან, მ. 4, 1 ამოყვანილ იქნა.

აღმოშობილ-ი 195, 3 ამოსული.

აღმოწყაროვა, ი/უ—2: და ვითარცა მდინარე ედემისაა აღმოუწყვაროდა ოქრო-ნაყადულთ პირით მისით, 192, 44 ამოსჩქეფდა.

აღმოცენება, აღმოცენება, დ — (2)1 ამოსელა (მცენარისა): აღმოსცენდა (თესლი) და განჰმა, ლ. 8, 6; (თესლი) აღმოსცენდა და ყო ნაყოფი ასი წილი, ლ. 8, 8; ყუაილად აღმოსცენდა. 161, 25; აღმოსცენდა ქუეყანით, 161, 42; აღმოსცენდეს ეკალნი, ლ. 8, 7.

აღმოკლა, 0—3: აღმოკვადნენ თუალნი მისნი, 254, 26 ამოხდიან, ამოაძრობენ, დასთხრიან თვალებს.

აღმოკლება ამოსვლა.

4—(2)1: (აყიროა) აღმოკლდა ღამე და ღამეცა წარქდა, იონა 4, 10 ამოვიდა; (პაბაშნი) მიერ აღმოკლდა, 184, 31 ამოვიდნენ: არარაა აღმოკლდა პირსა მისსა ვაებაჲ, 138, 4 ამოუვიდა [მოსალოდნელი იყო: აღმოკლდა].

ი/უ—2: (აყიროა) აღმოუკლდა თავით კერძო იონაჲსა, იონა 4; 6 ამოუვიდა.

აღმოკურდა, 0—8 ამოგლეჯა, ამოძრობა, მოტეხა: უკუეთუ ვინმე კბილი მონისა თუსისაჲ... აღმოკეკუარდოს, გამოსლ. 21, 27.

აღმოჭეჭლება, დ (ჭეჭილის) ამოსვლა: ნუუკუე აღმოჭეჭლდენ მარტულნი იგი, 238, 22 რომ არ ამოვიდნენ (აღმოცენდნენ) მარტულები.

აღმხაარებელი-ი ნ. აღ-არ.

აღმხოთობა, ი უობ. დილაადრიანად ადგომა და მისვლა: ყოველმან ერმან აღიმსთვს მისა, ლ. 21, 38; აღმსთობილი, 174, 22 აღრე ამდგარი.

აღმღერება, ი უობ. შეძერა, შეხტომა, შეთამაშება: აღიმღერნეს ძულთა წმიდისა სტეფანწსთა, 252, 42 შეინძრნენ წმიდა სტეფანეს ძელები.

აღმცივება ი/უ შემკირება, შემსუბუქება (ტივრთისა): გარდასდებდეს ჭურჭელთა მათთა ზღუად, რა აღუშცირონ ნავსა მას, იონა 1, 5.

აღნადგინებ-ი მ. 25, 27; ლ. 19, 23 სარგებელი, პროცენტი.

აღნათქუფი-ი ნ. აღთქუმა.

აღორძ(ი)ნება, აორძ(ი)ნება (მცენარის) ამოზრდა; გაზრდა, გამრავლება.

ა—3: განგამრავლო შენ და აღგაორძინო შენ დიდად ფრიად,

149, 1; აღმაორძინა ღმერთმან სიმდაბლესა შინა ჩემსა, დაბ. 41, 52.

აღ: მუნ... სარწმუნოებაჲ აღორძინდებინ, 159, 39; ყრმაჲ იგი აღორძინდებოდა ლ. 1, 80; აღორძინდებოდა და წარებატებოდა ადგილი იგი, 200, 19; აღორძინდებოდაღეს ძმანი 208, 7; (თესლი) აღორძინდა და იქმნა იგი ხე, ლ. 13, 19; აღორძინდეს და განმრავლდეს ნათესავნი აბრაჰამისნი დიდად ფრიად, 149, 12; შროშანი... აღორძინდის, ლ. 12, 27; რაჲამს მართუენი გამოიკადნის და კინი აღორძინდია, 236, 41.

აღპყრობა, ი აღება, აყვანა, აწევა, აშვერა (ხელისა); დაპერა (ზემოთ): აღიპყრნა ჭელნი თუსნი, ლ. 24, 50; აღიპყრნეთ თავნი თქუენნი, ლ. 21, 28; და ჭელთა ზედა აღვიპყრან შენ, მ. 4, 6; აღპყრობად სცნა ჭელნი მისნი, 232, 26 ააწვიანა ხელები.

აღრაცხა, ი აღრიცხვა, გამოანგარიშება: არა პირველად დაჯდეს და აღირაცხო ს, რაოდენი წარქდეს, ლ. 14, 28; შეკრიბა იოსებ იფქლი ვითარცა ქვშაჲ ზღუსაჲ დიდად ფრიად, ვიდრემდე ვერღარა ეძლო აღრაცხად, დაბ. 41, 49; აღრაცხილ, 204, 39.

აღრევა, ი არევა, შერევა; მღელვარება: აღვერიეთ ით ვრსა, უცხოსა შჭლითა, 175, 40; თავისუფლო იყო იგი (გრიგოლ) სიმღერისაგან ყრმათაჲსა და ყოვლისაგან აღრევისა კაცთაჲსა, 203, 13 აღამიანთა მღელვარებისაგან; აღრეული, 195, 28; აღრეულიად, 154, 18.

აღრღუევა აღელვება: ერთითა ჩუენებითა ვერ ვიკადრე: ეგვიითა

ჩისა მღვდელთ მოძღვრისა აღძრვად და ეგვიპტარისა მღვდლისა ერისა აღრღვევად, 249, 41.

აღსაკიდებელი 172, 16 ასაკიდებელი, გადასაკილი.

აღსარული-ი მ. 24, 3, 6, 14; 28, 20; ლ. 21, 9 დასარული, ბოლო.

აღსრულება 1. შესრულება, დასრულება. გათავება.

ა—(8)2: კურნებათა აღვასრულებ, ლ. 13, 32; აღასრულნა განსაცდელნი ეშმაკმან მან, ლ. 4, 13; აღასრულეს მის ზედა ყოველივე, ლ. 2, 39; აღასრულნეს დღენი იგი, ლ. 2, 43; ესე აღხუასრულო და დახუბუბლო ნაყოფსა მას მათსა: პრომ. 15, 28.

ე: და აღ-რად-ესრულეებობდეს დღენი იგი, შეეშმა, ლ. 4, 2; მაშინ აღესრულა თქმული იგი იერემია წინაწარმეტყუელისაჲ, მ. 2, 17; აღესრულნეს დღენი იგი რვანი წინადატუეთისა მისისანი, ლ. 2, 21; კაცმან ამან იწყო შწნებად და ვერ უძლო აღსრულებად, ლ. 14, 30.

2. ე მოკვდომა: ასული შენი აღესრულა, მრ. 5, 35 მოკვდა; აღესრულა მამაცა ამთნეტართაჲ, 189, 21; აღესრულნეს მშობელნი მისნი, 212, 34; ასისთავისაჲ ვისიმე მონაჲ ბოროტად სწეულ იყო და მიახნდა აღსრულებად, ლ. 7, 2; (წმიდანი) აღსრულებულ იყვნეს, 187, 19.

აღრუშა, —2: შესმა: აღსუა იგი თვისა კაპარულსა, ლ. 10, 34 შესვა იგი თავის ვირზე.

აღრეუება, ი/უ—(8)2, უირ. აშევა: აღრეტევე კმაჲ, 137,3 ავიმალღე (აფუშვი) ხმა.

აღრება, —2 წაქეზება, ამხედრება: აღრეხეს და აღაშფოთეს ერი იგი ჰურიათაჲ, 192, 25.

აღრეღოა 1. ღ შეშინება, შეკრთომა: ეკრძალენით, ნუ აღრეღებით, მ. 24, 6 C.

2. —ღ (ეცხლის) მოღება: ეცხლი აღრეღდის და შეწვს, 236, 22 ეცხლი მოეღება და დაწვეეს ხოლმე.

აღრეინება, ე ანთება, აღგზნება: რამთა კმასა და ოხრასა საყურისასა აღრეტყინოს და განბრწყინდეს სულითა ძლიერითა, 205, 25.

აღრეის ხხმა, —(8)2 ალაგება: (ზაქარიას) ურწმუნოებისათჳს აღვრანი ხესხნეს, 49, 40.

აღრეუნება, —2 გაფუება, გაღვიება: (კომმან) აღაფუენოს ყოველი, ლ. 13, 21.

აღრეზრა აღმოფხვრა, ძირფესვიანად ამოგდება.

—(8)2: წყევამან მათმან აღრეხურის სრულიად (სახლნი), 222, 9.

ი ენა: აღიფხუერ და დაენერგე ზლუასა შინა, ლ. 17, 6.

აღრეშა, ი აყვანა: აღიქუეს იონა და შთააგდეს იგი ზლუასა, იონა 1, 15.

აღრება [ეს ზმნა იხმარება ისეთ შემთხვევებში, როცა პირად. ობიექტი (გარდაუვალობისას სუბიექტი) მხოლოდობით რიცხვშია. მრავლობითში მას ენაცვლება აღრეშა].

ა—(8)2 გაღება, გახსნა: ვიდრემღესრმთ დაფარულ ვიყვნეთ და არა აღგუაღებ ჩუენ, 248, 12; აწ აღგუაღე ჩუენ აღრე-აღრე, 248, 14; აღვაღეთ ძამათა ჩუენთა, დაბ. 43, 21 გაუხსენით ჩუენი ტომარები; აღაღო პირი, ლ. 1, 64; აღაღეს საფასეთა მათთა, მ. 2, 11 გახსნეს მათი საგანძურები.

ი აღება: აღიღეს ნამუსრუგი ათორმეტი გოდორი საესებით, შრ. 6, 43; აღიღენ ქუარი თვისი,

ლ. 9, 23 აიღოს თავისი ჭვარი; ხუთ-
ეული აღიღედ ყოვლისაგან ქუე-
ყანისა ეგვიპტისაჲსა, დაბ. 41, 34 მე-
ხუთედი აიღონ ეგვიპტის მთელი მი-
წიდან; აღიღე ეგე, ლ. 23, 18 მოს-
პე ეგ, სიკვდილი მავას.

ე: ვითარცა ცისკარი აღედე-
ბოდა, 234, 32.

აღღება, იერ. 18, 7 აღმოფხე-
რა, მოსპობა, ძირფესვიანად ამოგ-
დება. [ნ. კ. მუქლის აღება, შრომისა
აღება (მურომა, ში)].

აღყენებულად ამორებით, აცილე-
ბით: ორნი იგი (კიშტენი) დამოეკი-
დნეს აღყენებულად ქუეყანის-
აგან ვითარ სამით წყართით ოდენ,
250, 23.

აღყოფა ნ. კელის აღყოფა.

აღცრა განთესვა, გაბნევა: ეშმაკ-
მან გამოგოთხოვნა თქუენ აღცრად
ვითარცა იფქლი, ლ. 22, 31.

აღძრვა, ი ენ. აღშფოთება, დ,
აღღვება, შეძერვა: აღიძრე ო-
დეს ღელვანი, იონა 1, 11 ტალღე-
ბი ღელავდნენ; აღიძრნეს შე-
მასმენელი წმირისა მის მოწამისანი,
167, 20; აღიძრა სულითა თვისი-
თა, 186, 5; აღძრვაჲ, მ. 8, 24;
249, 41.

აღწევა, ი ენ.: ცეცხლი იგი აღი-
წეოდა ვიდრე ცაღმდე, 178, 19
ცეცხლი ცაღმდე აღწევდა (აღიოდა);
აღწევეს ული, 199, 36 ასული.

აღწოდება, ი/უ: სამოთხით გარ-
დამოვრდომილსა მას კაცსა ზეცად
აღწეოდა, 160, 14 მიუწოდა,
მიუხზო, დაუძახა, მიიწვია.

აღხილვა თვალის ახელა, შეხედვა;
დათვალიერება, გასინჯვა; დათვლა.

ი: ბრმანი აღიხილვენ, ლ.
7, 22; თვადმან... აღიხილნა
თვალნი ზეცად, ლ. 9, 16; აღიხი-
ლენ, ლ. 18, 42; აღიხილენ
ნი თ თუალნი, ლ. 21, 28.

იწყო და აღიხილვიდა უხუ-
ცესითგან ვიდრე უმრწემესისა, დაბ.
44, 12 თვალიერებდა; აღიხილა
და იხოვა ყოველი გებულად, 137, 26
დაათვალიერა და ყველაფერი აღ-
მოჩნდა სრულად.

ი/უ: რაათა აღმეხილნე თუა-
ლნი, ლ. 18, 41.

ე: მეყსეულად აღეხილნეს
(თუალნი) და შეუდგეს მას, მ. 20,
34; მომავლინა მე... ბრმათა აღხი-
ლვად, ლ. 4, 18.

აღხუმა აღება, გაღება, გახსნა;
თვალუბის ახელა (ობ. მრ. -ში)

—(8)ჲ: უფალო, ბაგენი ჩემნი
აღახუნენ, ფსალ. 50, 17.

ი: აღვიხუნენით პატრიოსან-
ნი ძუალნი, 143, 24; სულელთა მით
რა აღიხუნეს სანთელნი მათნი,
მ. 25, 3 C; მან უძღურებანი ჩუენნი
აღიხუნეს, მ. 8, 17.

ი/უ: მაშინ აღხუხუნეს პირ-
ნი მთ ყმათანი, 50, 13.

ე: რაათა აღმეხუნენ ჩუენ
თუალნი, მ. 20, 33 C; აღეხუნე
ან თუალნი მისნი, 235, 34.

აღქლა, 0—8: აღქკადა ჭაქვ
იგი ქელსა მისსა, 139, 16 მოხსნა,
ააძრო ის ჭაქვი მისი კისრიდან.

აღქლომა, 0—1 ასულა: აღქლა
ღელუსულელსა, ლ. 19, 4 ავიდა
ღელვზე; აქლა კუამლი დიდძალი,
191, 12 ავარდა (ავიდა) დიდი კუამ-
ლი; აღქდეს ერდოსა ზედა, ლ.
5, 19 ავიდნენ სახურავზე; აღქედ
გოდოლსა მას ტაძრისაჲსა, 242, 30;
აქდოს თავსა ქუევილისასა,
238, 24; აღქვდეთ და გარდამო-
ვადლოთ იგი, 243, 5.

აღქოცა, 0—2 მოსპობა: მოაელი-
ნოს ღმერთმან თქუენ ზედა სიკუდი-
ლი და სიემილი და მახვლი და ტუუ-
ეობაჲ და ეგრეთ აღგჯოცნეს
თქუენ, 150, 10; ცეცხლი გარდამოჭ-

დეს ზეცით და აღჯოცნეს იგინი, ლ. 9,54; აღჯოცოთ საცოთური ქრისტიანეთაჲ, 172, 7; აჯოცად, ლ. 1, 25.

აღჯლომა, 0—1 შეჯლომა: აღჯღა მას (ვირსა), მ. 21, 7 C.

აუჲრო იონა 4, 6, 7, 9, 10 გოგრა. კვახი, ზაჲი.

აჩრდილ-ი ლ. 1, 79; იონა 4, 5 ჩრდილი.

აჩვღმეტ-ი 6 ათჩვღმეტი.

ბ

ბაბილო 281, 20, 25; 233, 12 მალლარი, ხეზე აშვებული ვაზი; ვაზის ფოთოლი.

ბაბილოვნი-ი 163, 5 ბაბილონი. ბაბილოვნელ-ი მ. 1, 17; ბაბილოვნელ-ი 148, 40.

ბაგა ლ. 2, 7 საქონლისათვის საყვების ჩასაყრელი.

ბაგინ-ი 148, 15, 17; 229, 13 არაქრისტიანთა სამლოცველო; 227, 15, 16 კერპთსალოცავი, ბომონი.

ბაღ ნ. დაბადება.

ბაგრატუნიაწ-ი 209, 5 ძველი ქართული საფეოდალო საგვარეულო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს სამეფო დინასტიას.

ბაია 182, 13; 185, 26 ბზა.

ბალანტ-ი (ბერძნ.) ლ. 10, 4; 22, 35 ტომარა, ჩანთა.

ბაწ ნ. დასაბამი, რაბამი.

ბარბაროხ-ი (ბერძნ.) 177, 9 არაბერძენი (სხვა ხალხები ბერძენებს გარდა).

ბარძიმ-ი დაბ. 44, 2 ეკლესიაჲრ სახმარებელი მალალ-ფეხიანი ღრმა სასმისი, რომელშიც წირვის ღროს უსისხლო მსხვერპლს ამზადებენ (ა. შ ა ნ ი ძ ე); საერთოდ სასმისი.

ბახრობა, 0—2 დიციწვა, გმობა, ლანძღვა: იგინი ჰ ბ ა ს რ ო ბ დ ე ს

აწ მ. 25, 30; ლ. 6, 21 ახლა; აწ ე ე. ლ. 12, 39 ახლავე.

ახოვანი-ი 213, 18 მხნე, მამაცი.

ახოვნება 209, 12 მხნეობა, სი-მამაცე.

აბა ეგერა ლ. 17, 21; .22, 10 აი, ხოტ [ითქმის II პირთან მღებარე საგანზე].

აბა ეხერა ლ. 22, 31, 32 აი, ხოტ [ითქმის I პირთან მღებარე საგანზე].

ბას, მრ. 5, 40; ლ. 8, 53; (გრიგოლ) გარეშესა მას სიბრძნესა სოფლისასა ჰ ბ ა ს რ ო ბ ნ, 203, 23 ეწინააღმდეგებოდა, ებრძოდა, დასციწოდა.

ბაძვა, 0—(8)2: მიგულაღე ჭინჭელი-სა და ჰ ბ ა ძ ვ ე ლ, 2 მელგარო, 238, 13 მიდი ჭინჭელასთან და მიჰბაძე, ზარმაცი; ჰ ბ ა ძ ვ ე ლ ჭინჭელსა, 157, 19.

ბეღლზებულ-ი ლ. 11, 15; ბეღლზებულ-ი ლ. 11, 18; ბეღლძებული მ. 10, 25 Y ეშმაკის სახელია.

ბევრ-ი 221, 13 ათი ათასი (10.000); ათორმეტი ბ ე ვ რ ი, იონა 4, 11 ასოცი ათასი (12×10. 100 = = 120. 000).

ბევრეულ-ი 166, 16; ლ. 12, 1 ათიათასობით, ათიათასეული, მრავალი.

ბეთლემ-ი ლ. 2, 4 ქალაქი იყო პალესტინაში იერუსალიმის მახლობლად.

ბეთსაიდა ლ. 10, 13 ქალაქი იყო პალესტინაში.

ბელეგონ-ი დაბ. 43, 11 ტერეენ-თო (ხეა ნაყოფიერი).

ბერვარი-ი 176, 23 საცეცხლური.

ბერძულ-ი ლ. 23, 38 ბერძნული.

ბერწ-ი ლ. 1, 7; 23, 29 მღებრი

არამშობელი (ჩუბ.); უნაყოფო ქმრიანი ქალი.

ბეკელი-ი: ღირს გუყვენ ჩუენ ქრისტეს ბეკედსა, 246, 36 ღირსი გაგვხადე ჩუენ, მივიღოთ ქრისტეს ბეკელი, ე. ი. ნათლისღებაო.

ბეჭაშუალი-ი ფსალ. 67, 14 ზურგის ზემო ნაწილი, ბეჭებს შუა.

ბიფრიტი 229, 39 ერთგვარი ძვირფასი ქვა, ცისფერი.

ბილწი 241, 1 უწმინდური; მ. 24, 15 საზიზრობა, სისაძაგლე.

ბირებულ-ი მ. 14, 8 დარიგებული, გადაბირებული.

ბირთუ 238, 39, ბურთი, გორგალი; სფერო.

ბისონ-ი (სემ.) დაბ. 41, 42; ბუხონ-ი ლ. 16, 19 წმიდა ქსოვილი, ტილო.

ბიწი 230, 3 ლაქა, მანკი, ნაკლი.

ბიჯი ლ. 16, 21 (პურის) ნამცეცები, крохи.

ბზობა .50, 3 დღესასწაულია (აღდგომის წინა კვირას).

ბლარდნ ნ. მობლარდნა, საბლარდნელი.

ბნელი-ი მ. 22, 13; 25, 30 სიბნელე.

ბორჯნულ-ი 254, 19 გაცოფებული.

ბოროტი-ი: ბოროტი ხს, ლ. 6, 43 ცუდი ხე; ბოროტად სნეულ იყო, ლ. 7, 2 მძიმე ავად იყო; ბოროტად ვიგუემები, 151, 35 საშინლად ვიტანჯები; ბოროტსა შინა სენსა არიან, ლ. 5, 31; ბოროტ-უ ჩნდა წინაშე ღმრთისა საქმეს ესე, დაბ. 38, 10.

ბოძი 146, 12; დაბ. 43, 34 საჩუქარი, ნაპოებრი; წილი.

ბრალ-ი მრ, 5, 33 დანაშაული.

ბრალეული-ი 175, 35 დამნაშავე.

ბრალობა 215, 3 დაბრალება, დანაშაულება.

ბრგუნელი-ი ე. ნენა-ბრგუნელი.

ბრდლუნა, ი უობ: გული განი-

წყო ღა იბრდლუნენდა მისთვის, 135, 23 მრისხანებდა, ბობოქრობდა.

ბრინჯი-ი აკაკი (ხეა): მუენ დგა ხს შუენიერი ბრინჯისაჲ. 231, 1-**ბრუჯუშ**, ი/უ უობ. ფეხის წაკრა. ფეხის გადაღება, წაბორძიკება: არამედ საწყალობელსა მას კუალადუ უბრკუმა და დაეცა, 175, 24.

ბრძაგ ნ. ბრძოლა.

ბრძანება 1. ბრძანება 0—2: ბრძანენ, 217, 12 ბრძანოს.

ი/უ: ჰუბრძანა მათ იესუ. 2. 28, 16 Z; მიბრძანე, ლ. 9, 59. 61 ნება დამრთე.

2. 0—(2)1 მობრძანება, მოსვლის ნებება: უფალმან იცის, რაასათჷს ჰბრძანე აქა, 224, 8 უფალმა იცის, რატომ მობრძანდი (ინებე მოსვლა) აქ; კუალადუ: ბრძანოს სახლსა მისსა, 209, 31 კვლავ მობრძანდეს (ინებოს მოსვლა).

3. ი/უ მიცემა (უმაღლესი პირის მიერ უდაბლესისათვის), ჩუქება, ბოძება: უბრძანა მათ ღმერთმან მეფეს, 149, 38; მაშინ უბრძანა (კურაპალატმან) ადგილნი მარჯუენი ავარაკად შატბერდსა, 219, 8.

ბრძენ-ი 181, 7; მ. 25, 2 ჰკვიანი, ბრძენი.

ბრძენთ მთავარი-ი 157, 18 ყველაზე ბრძენი [აქ სოლომონ ბრძენი იგულისხმება].

ბრძოლა, 0—(3)2: იწყის მღერა და ჰბრძავენ პრაცთა მათ, 236, 16 ებრძვის ხოლმე: სასტიკად ჰბრძოდეს მას (ნერსე ერისთაეს) საარკინოზთა ერი, 164, 14 ებრძოდნენ; ვითარითა ძალთა სისხლის მჭამელთა ე ჰბრძოდ, 245, 15; რაჲთა ჰბრძოდის იგი მტერთა მათთა, 149, 38; მე ბრძოლად წარვალ პონთა ზედა, 137, 21.

ბრწყინვა, 0—1: ბრწყინვი-
და, მ. 17, 2 ბრწყინავდა; ბრწყინ-
ვიევილი, 166, 24; მ. 5, 16 ბრწყინ-
ვავდა; (ქრისტე) გამოუჩინებელ
არს და ბრწყინვა მზითა ბრწყინ-
ვალითა, 245, 20.

ბუნება: შენ ხარ ბუნებით
სარკინოზ, 166, 11 შენ ტომით (მოდ-
გმით, ჩამომავლობით) არაბი ხარ.

გ სტატ. არსებობა, ყოფნა:
ჰგიეს, 219, 28 არსებობს, იყოფ-
ვება; ჰგიან, 233, 35 არსებობენ,
იყოფებიან; ეგო, 200, 34; ეგოს
155, 38; ხეგენ, ვალ. 6, 16.

გამ 226, 39 კერპის სახელია.

გალიაჟ-ი 136, 8 სადღღოფლო
სახლი, ან ოთახი.

გალილეა ლ. 2, 4; 23, 6 მხარე
ჩრდილო პალესტინაში. **გალილე-**
ფელ-ი ლ. 22, 59 გალილეიდან წარ-
მომდგარი კაცი.

გალობის შემსხმელ-ი 160, 8
მაგალობელი.

გამო 1. თანდ., მოითხოვს ნათე-
საობითს ბრუნვას, = გამო; ამის გა-
მო, ლ. 14, 20.

2. თანდ., მოითხოვს მოქმედებითს
ბრუნვას, = -იდან: ზეცით გამო,
მ. 17, 5; ნავით გამო, ლ. 5, 3 ნა-
ვიდან; ღრუბლით გამო, ლ. 9, 35.
გამოაქუნდა ნ. გამოქუნა.

გამობერვით განქედლი-ი შიგნით
ცარიელი: იტყოდეს დამბადებე-
ლად... რეალსა, გამობერვით
განქედლისა, 230, 13.

გამობმა, —2, სტატ.: სულნი მის-
ნი გამოაბან სულსა მაგისსა,
დაბ. 44, 30 დამოკიდებულა, გადაბ-
მულა: ამათ ორთა მცნებათა შინა
ყოველი შჯული და წმინდურტყლნი.

ბუნთურჟ-ი 226, 19 მკვიდრი თუ-
რჟი (?)

ბუტო ნ. გამობუტოვა.

ბლუარი 239, 18; 252, 13 სამხრე-
თი; რაათა ჩრდილოა ბლუარსა
თანა იხარებდეს, 230, 28.

1. ჰგე 248, 28; მ. 7, 13, 14; ლ. 7,
12; დაბ. 38, 14 მთავარი კარი.

2. ჰგე 244, 33 მოსამართლე.

3

გამობენ, მ. 22, 40 C.

გამონევა, ი/უ: გამოუბნია
საეპროა, 152, 8 გამოუყარა.

გამობუტოვა, 0—1 კვირტის გა-
მოღება: რტონი მისნი დაჩიან და
ფურცელი გამობუტოვინ, მ.
24, 32 C.

გამოგუალ, 0—1 გამოსელა: ლაზა-
რე, გამოგუალე, 152, 2 გამოლი.

გამოღვინება, —2 გამოყენება,
მოყენება: გამოადგინეს ნავი,
ლ. 5, 11.

გამოვედ, 0—1: გამო-რამ-ვი-
და, ლ. 1, 22 რა (როცა) გამოვიდა;
გამო-რამ-ხ-ჯდოლით მიერ ქა-
ლაქით, ლ. 9, 5; გამოვედით, ლ.
9, 4 გამოლით; არლარა გამოსლ-
ვად ხარ, 138, 30 ვერ გამოხვალ.

გამოვლინება, —2 გამოგზავნა,
მოვლინება: რაათა გამოავლინ-
ნეს მუშაენი სამკალსა თუსსა, ლ.
10, 2.

გამოზრდა, 0—2 კმევა, გამოკე-
ვა: ოდეს ვიხილეთ შენ შშიერი და
გამოგზარდეთ, მ. 25, 37; და
მე გამოგზარდო შენ, დაბ. 45,
11.

გამოთარგმანება ახსნა, განმარტე-
ბა; თარგმნა.

მ — ზ: გამოოსთარგმანებ-
დეს წიგნი, 244, 10 ხსნიდენ,
განმარტავდენ.

ო/უ: გამოომითარგმანებდა
ჩუენ წიგნთა, ლ. 24, 32; გამოხუ-
თარგმანებდა მთ ყოველთა-
გან წიგნთა მისთვის, ლ. 24, 27X;
მართლ გამოოუთარგმნა, დაბ.
40, 16 სწორად აუხსნა; ვითარცა-იგი
გამოოუთარგმანა მას იოსებ,
დაბ. 40, 22.

ი ვნ.: გამოოითარგმანების,
149, 15.

ესე არს გამოთარგმანე-
ბაჲ მგავისი, დაბ. 40, 12.

გამოთქუმა დაბ. 40, 8 ახსნა მიხ-
ვედრა.

გამოყოდილ-ი გამოკრილი: დადვა
იგი საფლავსა გამოკოდლისა,
ლ. 23, 53.

გამოყუეთილ-ი ლ. 23, 53 L გა-
მოკრილი.

გამომართ თანდ. -იდან: რტომსა
გამომართ, 186, 28.

გამომეტუუელ-ი დაბ. 40, 8; 41, 8
ამხსნელი.

გამომუჟანებელ-ი: დედაჲცა, ნათ-
ლად გამომუჟანებელი მათი, მიიცი-
ვალა, 200, 5 მშობელი.

გამონახვა 186, 27 მონახვა, მო-
ძებნა, გაჩხრეკა.

გამონიშება, ი გამოსახვა: გამო-
ვინიშე ნიში იგი ქრისტეს ჭუა-
რისაჲ, 231, 2.

გამოყრობა გამოხსნა: ჩემდა ჭერ
არს გამოჰყრობად ჭარი იგი
მთავარი, უკუანა საბამი, 251, 7.

გამორჩევა, ი: გამოირჩინა
ათორმეტნი მთვანნი, ლ. 6, 13 გა-
მოარჩია.

გამოსაქურისება დაყვერევა, და-
კოდვა მამაკისა.

ი: არიან საქურისნი, რომელთა
გამოისაქურისნეს თავნი თვს-

ნი სასუფეველისათვს ცათაჲსა, მ.
19, 12 Y.

ი ვნ.: არიან საქურისნი, რომელ-
ნი გამოხისაქურისნეს კაც-
თაგან, მ. 19, 12 Y.

გამოხხმა, ა—ჲ გამოყრა: თა-
ვადმან გამოასხა ყოველი, ლ.
8, 54; ოდეს გამოგასხნენ და
გაყუედრებდენ თქუენ, ლ. 6, 22;
იწყო გამოხხმად, რომელნი
ჰყიდდეს ტრედებსა, ლ. 19, 45;
გამოხხმული, 226, 25.

გამოტევიება, ი/უ — (8)ჲ გამო-
შეება: რომელი გამოუტევიებ-
და ბრწყინვალეებასა, 173, 18.

გამოქანდაკება, ი — ზ: გამო-
ქანდაკნა ჭუარნი, 195, 24 (ქვა-
ზე) გამოკვეთა ჭვარი.

გამოქუან, ა—ჲ გამოტანა: გამო-
აქუენდა მკუდარი: ლ. 7, 12;
151, 1 გამოჰქონდათ.

გამოღება, ი: რუჲ გამოიღო
ქსნით, 226, 31 გამოიყუანა; კალაჲ
გამოიღო, 228, 1 აიღო; გა-
მოიღო საკინე, 226, 33; ოთხთა
გამოგიღონ, 138, 31 ოთხნი გა-
მოგიტანენ.

გამოჩინება, ა—ჲ გამოჩენა, გა-
მოცხადება: ნუ გამოცხაჩინებ
ქეშმარტსა, 48, 25; გამოაჩინნა
უფალმან სხუანი სამეოც და ათორ-
მეტნი, ლ. 10, 1; გამოჩინებამა-
ცა ანგელოზთაჲ იხილეს, ლ. 24, 23.

გამოცდა 1. გამოცდა, **ИСКУШЕ-**
НИЕ; ИСПЫТАНИЕ.

0—2: გამოოსციღდა მას და
ეტყოდა, ლ. 10, 25; პირველად გა-
მოცადის ყოველსა ზედა კეთი-
ლისა საქმესა, 208, 37.

ი ვნ.: გამოიცადებოდა
ეშმაკისაგან, ლ. 4, 2.

სხუანი ვინმე გამოცდიოთ სას-

წაულსა ზეცით ოხოვედეს მისგან, ლ. 11, 16; მოუქდა მას გამომცდელი იგი, მ. 4, 3. **გაწმენდა:** ვეცხლი თქუენი გამოცდელი, დაბ. 43, 23 გაწმენდილი.

გამოცემა, 0—3: გამოცემეცოლი ჩემი, 137, 36 მომეცი.

გამოძება, —2 გამოძეება, გამოგდება: გამოაძეს იგი, ლ. 20, 12.

გამოძიება 1. ი: განმეშორებით მე... და გამოვიძინე მე მცნებანი ღმრთისა ჩემისანი, 169, 9 გამოვიძიებ. **2. გამოძიებაჲ,** 244, 5; ლ. 24, 15 კამათი.

გამოწულიძვით: გამოიციტა გამოწულიძვით, 191, 33 დაწერილებით.

გამოხატვა სტიგმა, წერტილი: უმციურესი (დრო): უჩუენნა მას ყოველნი სუფევანი სოფლისანი გამოხატეითა უამისაჲთა. ლ. 4, 5 წერტილსავით მიკრე დროში (წამში).

გამოხუმა, ი გამოლება (ობ. მრ. -ში): ნაყოფად გამოიხუნა წმიდანი თჳსნი მოციქულნი. 162. 1: ალვიხუენით პატოსანნი ძუალნი და გამოვიხუენით წმიდასა მას ეკლესიასა, 143, 24.

გამოქდა, ი გამოყვანა (კერეციდან), გამოჩეკა: მართუენი გამოქადნის, 236, 41; 239, 42: 240. 1.

გამოქდომა გამოსვლა.

0—1: გამოქდა, ლ. 2, 1 გამოვიდა; გამოქდეს ქუეყანად. ი. 21, 9 გამოვიდნენ მიწაზე (ნაპირზე): გამოქდის, 241. 42: გამოქდიან, 237, 40.

ი/უ—2: გამოუქდა წილი იგი იონას, იონა, 1, 7 წილი ხედა (ერგო) იონას.

გამოქუება, ე კლება, გამოკლება: გამოქუეების დლითი-დლელ ძუ-

ალთა ჩუენთა, 248, 22 ყოველდღე აკლდება ჩუენს ძვლებს.

გამოჭურვება, ი ენ. გამოწრთობა: მარგალიტნი და თულნი პატოსანნი... გამოიჭურვენ და განწმენ. 193, 27.

განბასრვა, 0—2 დაცინვა, სასაცილოდ აგდება, დაგმობა, გაყიცება: მტერისა მის მანქანასა შუაკუეარბანი... განებასრნე და დავრკებნე ფერკითა ჩემითა, 170, 2.

განბნევა, —2 გაფანტვა, გაქრობა: განაბნიწნა ამპარტუანნი. ლ. 1, 51; განაბნიოს იგი, 3. 21, 44.

განბოკლებული-ი მ. 8. 1; 10, 8 Y კეთროვანი, კეთრით (ნ.) დაავადებული.

განბორგებული-ი 150. 11 გაგიეებული, გაცოფებული, აღშფოთებული.

განბორება: განბორებისა საღობოჲ, 139, 28 კეთრი, lepra. проказа.

განბრწობილი-ი 198, 31 ნასწავლი.

განგდება, —2 გავდება, მოშორება, მოცილება: აღმოილე იგი (თული) და განაგდე შენგან. მ. 18, 9; განაგდეს შიში მძლავრთა მათ. 172, 42: განმეგდე ჯღვარა პირისაგან თულთა შენთაჲსა, იონა 2. 2. [ნ. კ. წილის განგდება].

განგება 1. —2 შეკეთება, გასწორება, გამართვა: განრაჲგებდეს ბადეთა მათთა, მ. 4, 21.

2. —2 მოწყობა, მოწესრიგება: მაშინ ნეტარმან გრიგოლ ჳერისაებრ განაგო ცხოვრებაჲ დედისა თჳსისაჲ, 222, 15.

3. 214, 39: 215. 18 წესი, წესდება.

4. 188, 22; 231, 36; განგებულეობა 197. 10; 198, 8; 202, 25 ზეციე-

რის გადაწყვეტილება, **შრობინი**.

ნ. გამგებლობა, მმართველობა, მბრძანებლობა: ქელთ-იღვა რამ განგებამა სამცხისაჲ, დაწყნარა ყოველი საბრძანებელი თვისი. 200, 32.

განგლორწილი-ი მ. 23, 27 C შელესილი: გაღატ. გაღამაზებული.

განდგომა, ა—(ჰ) 1: განგუადგების ჩუენგან ყოველი ესე ვერი, 242, 24 (გა)გვიღებდა.

განდრგა გადახრა. გადახვევა. 0—ჰ: ნუუუუუ კულად განგდრიკონ შენ სარწმუნოებისაგან, 166, 12.

ენ.: ერი... განდრკა ღმრთისაგან, 150, 5 გადაუხვია ღმერთს: განდრეკილი 175, 21 გადახვეული, განდგომილი, გამღგარი.

განვაქრა, 0—ჰ გაყიღვა: ნუცა სიკვამულისა შენსა განკვაქრიქრისტიანედ, 168, 38.

განვიდ, 0—1: განვედ, მრ. 5, 8; ლ. 4, 35; 5, 8: ვანედ, ლ. 13, 31; 14, 21 ვადი: განვედით. მ. 22, 9 C ვადით.

განვლ[თ]ომა. ე გაყოფა: ყოველი მეუფებამ, როჲელი თავსა თვისსა განვეთის, მოჲოქრის, ლ. 11, 17; ეშმაკი თავსა თვისსა განვეთა, ლ. 11, 18: განვეთას მამაი ძისაგან, ლ. 22, 53.

განვლინება, ა—ჰ გაგზავნა. გაუშვება: განავლინა ქაღაღნი. 228, 8: მღიდარნი განავლინა ცუღნი. ლ. 1, 53 მღიდრები გაუშვა ცარიელი.

განვლტოლა გაქცევა.

ი ენ.: განივლტოლედ (ბრძ.). ლ. 21, 21 გაიქცენ.

მ: ვიდრე ტყავი განველტი. 238, 6 მოშორდება, მოსძვრება.

განვრცობა, ნ გაერცელება, გა-

ფაროება: განდიღნა და განვერცნა ერი იგი ღმრთისაჲ ისრაჲლი, 149, 16; ქრისტიანობამა... განვერცნა, 153, 19.

განზრდა, 0—ჰ გამოკვება, კმევა: ნეტარ არიან... ძუძუნე, რომელთა არა განზარდნეს, ლ. 23, 29.

განზრახვა 1. ი უბნობა, ლაპარაკი: და ჩუენლა ამას განვეზრახვედით, მოვიდა ყრამა ერთი, 137, 18 ჩუენ ჯერ რომ ამას ვლაპარაკობდით.

ჰ: ი ფიქრი: განვეზრახვედ. 251, 22 ფიქრობდი.

მ. 223, 39: მ. 21, 25 მოლაპარაკებდა. მოთათბირება.

4. ი გამოანგარიშება, აღრიცხვა.

განთენდა, (ნ) განთენა, ლ. 4, 42 გათენდა.

განთიად მ. 20, 1; 21, 18 C; ი. 20, 1 დილას: განთიადით გან, მ. 20, 1 C დილიდან: განთიადმდე, 169, 12 დილამდე.

განთოვება, ი ენ.: გათოვება (დ), თოვლსავით გათოვება: განთოვენეს იგინი სელმონს. ფსალ. 67, 15.

განთხვება, ი/უ: მონაგები მისი დასა მისსა შეჰვედრა და შეილთა მისთა საკუთრებით განუთხვსა, 200, 9 დაუსაკუთრა. მისცა. განუკუთენა.

განთქუმა განთქმა, გაერცელება.

0—ჰ: განსთქუმედ ერსა შორის, 172, 4; განთქუან სახელი თქუენი, ლ. 6, 22.

ი ენ.: განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა ქუეყანასა ასურასტანისასა. მ. 4, 14.

განთხ, ი/უ—ნ: ვიდრე ტყავი განველტის და განუთხნის. 238, 6 გაუთხელდება ხოლმე.

განთხევა გაყრა, გაბნევა, გა-
ფანტვა.

0—(8)2: განმთხიენ ჩუენ,
ფსალ, 50, 3, 12.

ი ვნ.: რამთამა არა განითხი-
ნეს ღმრთისაგან, 150, 37; ძენი იგი
სასუფეველისანი განითხიენ
ბნელსა მას გარესკენლსა, მ. 8, 12.

განთხოვილ-ი ლ. 1, 27 დანიშნუ-
ლი (ქალი).

განკაფა, 0—2: განკაფოს (სამ-
კაული), 137, 23 გაცეეს.

განკაეება, ი კაცად შექმნა, ი კა-
ცად გახდომა: განკაცენა, 150, 19;
განკაცეზასა უფლისა ჩუენისა
იესუ ქრისტესსა, 244, 4.

განკითხვა 1. ი ვასამართლება:
ნუ განიკითხავთ, ლ. 6, 37;
განვიკითხე, ლ. 23, 14.

ი ვნ.: შენ თანა განიკითხო-
და, 175, 23; ნუ განიკითხავთ, რამ-
თა არა განიკითხნეთ, ლ. 6, 37;
განკითხვაჲ, 145, 34.

2. ი: ვერ განგიკითხეს, ვი-
თარმელ ვინ ხარ, 175, 33 ვერ გამო-
ვიცნეს.

3. ი მოკითხვა: მოწლედ გან-
გვკითხვიდა, 196, 30.

განკიცხვა, 0—2 დაკინვა: გან-
კიცხეს იგი, ლ. 23, 11.

1. განკრომა, 0—(2)1 შეშინება,
ე: ნუ განხკრთებით, მრ. 16,
6 X ნუ შეშინდებით; განკკრთა
გული მათი, დაბ. 42, 28.

2. გაკვირება, გაოცება, განცი-
ფრება: განკკრთა უკუე კაცი იგი,
ხოლო იგინცა განკვრდეს, 191, 23
გაუკვირდა, გაოცდა; იცნეს იგი კაც-
თა და მეგობართა და განკკრთეს,
202, 12 გაუკვირდათ, გაოცდნენ,
განციფრდნენ.

განკრძალვა სიფრთხილე: გან-
კრძალვითა... მიეხსნებოდით
და შეხუერდით, 46, 30; განკრ-

ძალევით მოხუქდით საშინელსა
მას, 47, 9 სიფრთხილით.

განკრძალუ-ი: განკრძალუ-
ლად შეასმენდეს მას, ლ. 23, 10
მტკიცედ, ენერგიულად, თავგამო-
დებით, დაბეჯითებით.

განლევა, ი ვნ.: შიშითა გან-
ლევია, 159, 7 ილევია, თავ-
დებიან; რომელნიმე სიკუდილითა
მოსწყდეს და განილინეს, 153,
25.

განლიგება, ნ გაშტერება, კუ-
ის დაკარგა: მაშინ წარეკუეთა სა-
სოებაჲ ჰაბაშთაჲ მათ და განლი-
გნეს და არა უწყოდეს, რამცა-
-იგი ყვეს, 186, 41.

განმართება, ე მოწესრიგება, დ,
მოწყობა, ე: ყოველი წესი საღმრ-
თოჲ განმართა, 213, 26.

[ნ. კ. განმართებელი].

განმართლება, ა—2: განამა-
რთლენ, 226, 4 გამართლოს.

განმართება, 0—2(2) გაშლა, გა-
ლება: განკმარტენით (ყურნი)
სმენად, 158, 13; თუ განკმარ-
ტნე სასმენელნი შენნი 148, 37;
ოდეს თუალი შენი განმარ-
ტებულ არს, ლ. 11, 34 ღია.
გალებული, გაშლილი; განმარ-
ტებულთა ენითა, 174, 18.

განმართ(ო)ება, ე: განემარ-
ტის და წარვიდის მართოჲ, 241,
28 განმართოვდება და მართოდ წავა
ხოლმე.

განმზადება, ი: განიმზადნეს
თავნი მათნი ბრძოლად, 187, 6 მო-
ემზადნენ საბრძოლველად.

განმმართებელ-ი გამწევი: ჯარი
იგი მთავარი, უკუანა-საბამი, მშრო-
მელი და ურნატ-სავსედ განმმა-
თებელი იგი და ურმად მწმ
იგი, 251, 8.

განმსტურობა, ი: განიმსტუ-
რეს რამე და განიცადეს, 190, 14

დაზვერეს, დაათვალიერეს (მღრ. მსტოვარი).

განმტკიცება, ნ გამაგრება, განმტკიცება, ღ: ყრმა იგი... განმტკიცებოდა სულითა, ლ. 2, 40.

განმწვხება, ნ გაზრდა, წამოზრდა, ასაკში მოსვლა: განმწვხსნა სელომ, დაბ. 38, 14; ვიდრემდე განმწვხნეს სელომ, დაბ. 38, 11.

განმწნობა გამხნეება, გაძლიერება.

—ჟ: განამჟნის მამანიცა და დედანიცა, 143, 29.

ღ: ცხოვარი იგი განმჟნდეს, 213, 25 გამხნედნენ.

განოტება, ი ვნ. გაქეუვა, განდევნა: მჟეცნი იგი ეშმაკნი განიოტნეს, 213, 25.

